



ISSN—0132—6066

ქართული  
აкадеმიის  
განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

**3—4 . 1993**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

  
საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
მაცნე

Известия Академии наук Грузии

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

თბილისი  
ТБИЛИСИ

3—4. 1993

ქრსალი ღარსებულა 1971 წელს,  
Журнал основан в 1971 году.

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი), ზ. ალექსიძე,  
თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე), გ. თოფურია  
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),  
Алексидзе З. Н., Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),  
Топурия Г. В.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1993, № 3—4

---

ოქტაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 9.8.93: ხელმოწერილი დასაბეჭდად 4. IX. 95;  
ანაწყობის ზომა 7×12<sup>3</sup>/<sub>4</sub>; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; შალაღი ბეჭდეა;  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13;

ტირაჟი 350

შეკვეთა 1031;

შინაარსი

წერილები

ა. გვახარია, ფიქრები დავით გურამიშვილზე . . . . .	5
რ. თურნავა, სერჯანტის „დონ-კიხოტ ლამანელი“ და დ. კლდიაშვილის აზნაურული რკალის მოთხრობები . . . . .	27
მ. ცინცაბაძე, წიგნი ქეთევან დედოფალზე . . . . .	50
მ. ივანიშვილი, ახალგაზრდა გმირი თანამედროვე სპარსული რომანების მიხედვით . . . . .	57
შ. ქურთიშვილი, ქართული მეტრიკის ისტორიიდან . . . . .	75
ნ. კიჭირია, ხმაბაძვისა და ბგერწერის შესახებ ქართულ პოეზიაში . . . . .	81
ო. ბიტ-ბაბიკი, აქუსტიკური ფორმის დამოუკიდებლობა ს. ესენინის ზოგიერთ ლექსში . . . . .	87
რ. ქუბაბრია, ალა მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის დარბევასთან დაკავშირებული სომხური წყაროები . . . . .	90
ც. ქურციკიძე, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერის შესახებ . . . . .	109
ქ. ბეზარაშვილი, ანტონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანების შესახებ . . . . .	123
ვ. მალრაძე, ეთნონიმებისაგან ნაწარმოები ქართული გვარები . . . . .	139
კ. დანელია, ებრაელი ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში . . . . .	144
ა. ლონტი, კვეციადი ანთროპონიმებისათვის სალიტერატურო ენასა და დიალექტებში . . . . .	163
მ. თანდაშვილი, მ-სა და ს-ს ურთიერთმიმართებისათვის კახურში . . . . .	169
მ. პაიჭაძე, რედუქსურობისა და ქცევის (ვერსიის) კატეგორიები თანამედროვე გერმანულ ენაში . . . . .	175
გ. კარტოზია, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის საკითხები . . . . .	187

პუბლიკაცია

ბ. არველაძე, აკად. კორნელი კეკელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი . . . . .	195
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ბედოშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი . . . . .	206
თ. მარგველაშვილი, საინტერესო ნაშრომი . . . . .	213
ვ. აბრამიშვილი, ნიკო ხიზანაშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფიის შესახებ . . . . .	218

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

А. А. Гвахария, Размышления о Давиде Гурамишвили . . . . .	5
Р. С. Турнава, «Дон Кихот» Сервантеса и рассказы дворянского цикла Д. Каднишвили . . . . .	27
М. Г. Цинцабадзе, Книга о царице Кетеван . . . . .	50
М. Н. Иванишвили, Образ молодого героя в современном персидском романе . . . . .	57
Ш. И. Куртишвили, Из истории грузинской метрики . . . . .	75
Н. А. Кизириа, О звукоподражании и звукописи в грузинской поэзии . . . . .	81
О. Г. Бит-Бабик, Самостоятельность акустической формы в некоторых стихотворениях С. Есенина . . . . .	87
Р. Г. Чубабрия, Армянские источники, касающиеся разгрома Тбилиси 11 сентября 1795 года. Ага-Мухамед-ханом . . . . .	90
Ц. И. Курцикидзе, О рукописи царицы Марии «Жития Грузин» . . . . .	109
К. П. Безарашвили, Библиографические сведения Антона I, Теймураза Багратиони, Платона Иоселиани о грузинских переводах поэзии Григория Назианзина . . . . .	123
В. А. Маградзе, Грузинские фамилии, образованные из этнонимов . . . . .	139
К. Д. Дanelия, Еврейская лексика в древнегрузинских версиях библейских книг . . . . .	144
А. А. Глonti, Об антропонимах с усекаемой основой в грузинском литературном языке и диалектах . . . . .	163
М. Г. Гандашвили, О взаимоотношении $\alpha$ (j) и $\beta$ (s) в кахетинском диалекте . . . . .	169
М. Г. Пайчадзе, Категории рефлексивности и версии в современном немецком языке . . . . .	175
Г. А. Картозия, Вопросы текста «Истории и восхваления венценосцев» . . . . .	187

### Публикация

Б. Арвеладзе, Неопубликованный труд акад. К. С. Кекелидзе . . . . .	195
---	-----

### Критика и библиография

Г. Бедoшвили, Значительный вклад в грузинскую историографию . . . . .	206
Т. С. Маргвелашвили, Интересное исследование . . . . .	213
В. Абрамишвили, О библиографии сочинений Нико Хизанашвили . . . . .	218

ალექსანდრო გვახარია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ფიქრები ღვაწით გურამიშვილზე  
ანუ  
მოგზაურობა „ღვაწითიანის“ ფორცლიბზე  
(გარდაცვალებიდან 200 წლისთავის გამო)

„ცოცხალი რომე პატარად ვლირდი,  
მკედარს რად მეღება მე უსი დიდი?“

20394

ასე მთავრდება „ღვაწითიანის“ ერთ-ერთი ლირიკული წილსვლა — „მღრღელთ ვედრება დავით გურამისშვილისა“. ზუსტად და ლაკონურად შეაფასა პოეტმა თავისი მრავალტანჯული სიცოცხლე, მაგრამ ისიც ნათლად განჰქვრიტა, რა დიდება და „ფასის მომატება“ ელოდა სიკვდილის შემდეგ. ასეთი წინასწარმეტყველების უფლება მხოლოდ გენიოსებს აქვთ (გავიხსენოთ ჰორაციუსი, ფირდოუსი, პუშკინი, გალაკტიონი...).

ცნობილია, რომ ყველაზე სრულად დავით გურამიშვილის ცხოვრების ეკლიანი გზა მისსავე „ღვაწითიანში“ აისახა, ასე სასწაულებრივ რომ გადაურჩა დაღუპვას და შორეული მირგოროდიდან საქართველოს ჩამოაღწია. ყოველი ჩვენგანისათვის სკოლის მერხიდან არის ნაცნობი ამ ბიოგრაფიის ძირითადი მონახაზი, პოეტის მიერ შთამბეჭდავი განცდილი გახსენებული და სიბერეში ნაწილობრივ აღდგენილი:

„რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეტქვა გრძლად, თავი მეცადა,  
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამა არა მეცადა,  
მესწრაფა სევდის ლახვარი, საკვდავად გულსა მეცა და  
აწ ამას ვლონობ, არ ვიცი, ქვეყნად წაეალ თუ მე ცადა.“

...ოცდაორი წლისა იყო, ახალდაქორწინებული, როდესაც ლევებმა გაიტაცეს და სამუდამოდ მოწყდა ლამისყანას, საგურამოს, საქართველოს. ტყვეობიდან მხოლოდ მეორე გაქცევა აღმოჩნდა იღბლიანი. სულგანაწამებს, ხორცდაგლეჯილს იესოს სახე, რწმენა და სხივი უნათებდა წვეტიანი ქვებით მოკირწყეულ გზას:

„სახით სიტყვა შენიერო, სხიო, მზეთა მზის სახეო,  
ვეძებ და შენი მზავსი მე აქ ვერცადა ვნახეო,  
გეაჭები, ნუ გამწირავ, მოვეკდე შენ კერძ დამმარბეო,  
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალოზე სამოთხეო!“

ამ გრძელმა გზამ სოლას, აშტრახანს, ბოლოს მოსკოვს ჩაიყვანა, ვახტანგ VI კარზე. სადაც ემიგრანტული ყოფის მთელი სიმწარე განაცდევინა. ისიც უნდა ითქვას, ამ განათლებულ წრეში, იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის ბევრი რამ შეიძინა, შეისწავლა, გამოიწითო. პირველი პოეტური ცდანიც ამ ხანას განეკუთვნება („ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა...“). შემდეგ და შემდეგ, მთელი ცხოვრება პოეზიაა მისი მხსნელი, სულის მოსაბრუნებელი, ენისა და რწმენის გადამარჩენი!

საქართველოს  
პრობლემატიკა



ჯაბადარბაშის თანამდებობას სამეფო კარზე ეფემერული ხასიათი მატონს და, რადგან სულ მალე ვახტანგ VI გარდაიცვალა, სამეფო კარს საყრდენი გამოეცალა და მის ისედაც გატანჯულ ამაღას ჭერი თავზე დაემხო. დაიწყო ხანგრძლივი სამხედრო სამსახური რუსული იარაღის სასახელოდ, ტყვეობა, დაპრა, ვიდრე დაუძღურებული და მოტეხილი საბოლოოდ არ დაემკვიდრა უკრაინას. თითქოს მამულიც ჰქონდა, სახლ-კარი, შრომისა და განმარტოების შესაძლებლობა. მაგრამ დავით გურამიშვილი მაინც უცხოოდ დარჩა უცხოეთში. ამიტომ არის მისი ყოველი სიტყვა ცრემლით და მწარე ნალველით გაჯერებული. მართალია, გალაკტიონი იტყვის ჩვენს დროში: „უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე, ნეტარება არის რაღაც გვარი“, მაგრამ ეს უფრო დროებით და ხანმოკლე ყოფნას გულისხმობს, როდესაც შინ დაბრუნების გზა არა გაქვს მოპოვებული. დავით გურამიშვილს კი მისი უფროსი თანამედროვისა და თანამედროველის მეფე-პოეტის არჩილის სიტყვები მიესადაგება:

„რა კაცსა მიხედეს გრძლად ყოფნა უცხო თემსა და მიწებსა,  
შარბათიც გქონდეს სასმელად, ნალველსა აღმოიწებსა“.

დღეებს პრაქტიკული საქმიანობა, სარწყავი არხისა და წისქვილის გამართვაზე ზრუნვა უმოკლებდა, საღამოებს კი ჭრაქის ალზე დაწერილ, სევდიან პანგებზე გამართულ ლექსთა ჩაწერა-გაჩაღხვაში ატარებდა. ასე ვიღოდნენ საკმაოდ გრძელი ცხოვრების უკანასკნელი წლები. შემთხვევითი არ არის, რომ შვილივით ნახარდ და ნასათუთარ ავტოგრაფულ ხელნაწერში, შორეულ მოკითხვასავით რომ გამოუგზავნა საქართველოს, ლექსების გვერდით საკუთარი ნახაზებიც შეუტანია, იქვე მლოცველის პოზაში ავტოპორტრეტიც ჩაუხატავს და მუნასიბიც დაურთავს („ეს კაცი ასე ილოცავს“):

„ღმერთო, მიხვეწე ყანები  
ამ სარწყავთ მონაყანები,  
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,  
ფქვილს, ამ წისქვილზე დაფქულსა.  
ყოელად წმიდაო, დამადეც  
წყურღრზედ წამალი სამთელი,  
შემამძღებინე აღვანთო  
მე შენს წინაშე სანთელი“.

ოთხმოც წელს გადაცილებული, ნახევრად დაბრმავებული პოეტის აკანკალებული ხელით ნაწერ-ნახატის ხილვისა! გული ტკივილით გეკუმშება. ამ ტკივილითაა დაწერილი სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომლის სტრიქონები უნებლიეთ მაგონდება ყოველთვის, როცა მერაბ ბერძენიშვილის უბრწყინვალეს ქანდაკებას ვუმზერ:

„წეროს დარად წიგნში მღვარი,  
ლოცულობ და მოსთქვამ კიდეც,  
სოველი და ნაწვიმარი  
გლოვას ველარ განერიდე“.

ასეთი იყო ზოგად ზაზებში ის ბიოგრაფიული ფონი, რომელზედაც ფურცელ-ფურცელ იკრძებოდა „დავითიანის“ უკვდავი სტრიქონები. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ამ წიგნის ყოველი სიტყვა გაყდენთილია პოეტის განცდით, სულ უბრალო დეტალიც კი აყვანილია პოეზიის უმაღლეს მწვერვალებამდე. არც ამაშია რაიმე უჩვეულო. ამას ნათლად ადასტურებენ დიმიტრი ლიხაჩოვის მიერ ალექსანდრ პუშკინის მისამართით ნათქვამი სიტყვები:



„Поэт непременно должен быть обыкновенен в жизни, чтобы его поэзия приобрела подлинное обаяние возвышенности. Творчество всегда преображение, всегда рождение из сора. На чистом мраморе не растут цветы“ (Д. С. Лихачев, Заметки и наблюдения, Л., 1989, гл. 154).

აქ იგულისხმება ის ყოველდღიური ყოფითი „ნაგავი“, რომლისგანაც შედგება ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანების, მათ შორის პოეტების, ცხოვრების დიდი ნაწილი. მკვლევარმა პროზით თქვა ის, რაც ლექსად ზუსტად აღწერა ანა ახმატოვამ:

„Когда б вы знали, из какого сора  
Растут стихи, не ведая стыда,  
Как желтый одуванчик у забора,  
Как лопухи и лебеда.“

Сердитый окрик, дегтя запах свежий,  
Таинственная плесень на стене...  
И стих уже звучит, задорен, нежен,  
На радость вам и мне.“

გაცილებით ადრე იგივე შეეძლო ეთქვა დავით გურამიშვილს. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ მის სამფლობელო ზუბოვკასთან შემთხვევითი შეხვედრა სოფლს ლამაზმანთან ბიძგს მისცემდა ისეთი შედეგის შექმნას, როგორცია ლირიკული წიაღსვლა „ზუბოვკა“ („სიმღერა დავითისა“):

„ზუბოვიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,  
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი,  
შეე თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,  
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემომსერა ძვალი“.

ჩვეულებრივი, თუმც მალაშხატურული დასაწყისია სატრფიალო ლირიკული ლექსისა. ასევე ბუნებრივად, რომ არა ეთქვა რეალისტურად, იშლება მიჯნურისა და ასულის დიალოგი, პირველის მიერ ღრმასიყვარულის გამგლავნება და მეორის, ქმრის ერთგული ცოლის სასტიკი უარი და მიუწევდომლობა, რაც თავში კეტის დარტყმასავით გონებას უბნელებს ლირიკულ გმირს. მაგრამ შემდეგ ქალს ეცოდება უიმედოდ შეყვარებული ვაჟი, ანუგეშებს და კიდევ გაუცინებს მას, თან აიძულებს, იქნებ ოდესმე კვლავ შეეხვდეთო. აი, თითქოს აქ გაკრთება პირველი მისტიკური სხივი, ალეგორიული მინიშნება მომავალ გარდასახვაზე:

„შაეებრალდი, თავს დამადგა ვით ბნელს ნათლის სვეტი...“

აქ „ნათლის სვეტი“ უდავოდ „ნათლის ესთეტიკის“ შემადგენელი ნაწილია, ხოლო ეს უკანასკნელი „კაცობრიობის სულიერი კულტურის უძველესი პერიოდიდან იღებს სათავეს. იგი განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო აღმოსავლური სამყაროსათვის, აგრეთვე ანტიკური საბერძნეთისათვის. აქედან შემოვიდა იგი ქრისტიანულ ლიტერატურასა და თეოლოგიაში“ (ტ. მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986, გვ. 134).

ლექსის მეორე ნახევარში ეს მინიშნება თანდათან ძლიერდება და აშკარა ხდება გადასვლა უფრო მაღალ, საზეო, საღვთო მიჯნურობაზე, რადგან თანდათან მკრთალდება გრძნობად-რეალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი ფერები და არაორაზროვნად იკვეთება მისტიკური სამყაროს ნიშნები (თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გადასვლა მკითხველისათვის ხშირად ძნელად შესამჩნევია):



„ლეთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა:  
სხვას უკეთესს[ს] ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა,  
ჩემის სიყვარულისათვის სცემეს კელშეკრულსა,  
სახით ვხედვად ჩემთვის მკედარსა, სისხლით ვაბასრულსა.“

აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?  
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა,  
ქვესკენ[ლ]სა\*1 ვარ, ვერა გხედვად, მგზულვები ცადა,  
გეაჩები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა.

ქვესკენ[ლ]სა ვარ, ვერა გხედვად, მგზულვები ცადა,  
გეაჩები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა,  
გეაჩები ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!.

ფინალში სტრიქონთა განმეორება ზარივით რეკს, ლოცვასავით გაისმის. ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის ამ განწყობის ასეთი სახით შეჯამება: „ბოლო ორი სტროფი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ლექსის ლირიკული გმირის სიყვარულის ობიექტი ძე ღმერთი ყოფილა. ერთი შეხედვით. თითქოს ძნელია ერთმანეთთან შეათავსო ქალის სახით ქრისტეს წარმოდგენა, ქრისტეს წარმოსახვა ქალად. მაგრამ გამოსავალი ადვილად ვიპოვით, როცა გავიაზრებთ, რომ მამაკაცი პოეტის ღვთისადმი სიყვარულის განსახიერება ოდენ ქალის მეშვეობით შეიძლებოდა, ე. ი. დ. გურამიშვილის წარმოსახვაში ზედროვლიდა ზესივრცული ქრისტე შემოვიდა დროსა და სივრცეში. ასე გამოეცხადა იგი ადამიანს, მისადმი საფიქრალი და საზრუნავი დაუტოვა და ისევ დროისა და სივრცის მიღმა ამაღლდა — „ცადა“, რომელსაც ხეხუწება იგი: „გეაჩები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა“ (ტ. მოსია, ეტიუდები, თბ., 1990, გვ. 84—85).

როგორც ითქვა, რეალური პლანიდან მისტიკურში გადასვლა იმდენად შეუძმნეველი, ბუნებრივი და ორგანულია, რომ ისიც საკვებით ვასაგებია, ზოგი მკვლევარი თუ მკითხველი რომ ვერ ამჩნევს ამ ზღვარს, ვერ ეგუება ამ გადასვლის აღქმას. უფრო მეტი, რეალურ ფერებში წარმოსახულ სურათს ფანტასტიკურ გაგრძელებას უძებნის, ხაზგასმით „მიწიერ“ კომენტარებს ურთავს ლექსს „ჩითის კაბაში გამოკვალთული ქალის“ შესახებ, რომელსაც „წითელი ვარდის ნაცვლად პურის თავთავები და ყაყაოების კონა“ უყარია ხელთ და ისე მოსეირნობს. „სხეტულის ყოველი ნაკეთი, თითქოს შიშველიაო, ისე მოუჩანდა. ფერადი კაბა უფრო საჩინოს ზდიდა ქალის ხორციელ მშვენებას“. აქ წააწყდება მას გამოიჭნურებული პოეტი. მათ შორის ჯერ სამიჯნურო დიალოგი იმართება (პოეტი: „შენ ვადამიკეტე ღვთისა და კაცისაკენ მიმავალი ყველა გზაშარა და ბილიკი... ყველას ერთბაშად დაცვილდი და მიხეზი კი შენა ხარ დაყურყუტებ თქვენი სახლის ირგვლივ და მინდა თვალი მოგკრა, დაგინახავ და მინდა გამოგელაპარაკო, გულში ჩაგიკრა და გიჩურჩულო“... ქალის პასუხი ვერ არის ასეთი ნაზი: „რა ერთთავად ჩვენი სახლის

\*1 ს. ცაიშვილმა სამართლიანად მიაქცია ყურადღება, რომ დიალექტებში გვაქვს „პარალელური ფორმები: ქვესკენი, ქვესკენით, ქვესკენი, რაც ტექსტის ადღგენის დროს აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში“ (წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986, გვ. 274). მან რატომღაც მეორეს მიაჩნია უპირატესობა: „მამასადამე, თუ აღნიშნული სიტყვის ავტორგრაფისეულ წაკითხვას „ქვესკენსა“ უნებურ ცთომილებად ჩავთვლით და ეს, მართლაც, ასე ჩანს, მაშინ იგი უნდა აღვადგინოთ ისევე, როგორც ნიშანდობლივია გურამიშვილის ენისათვის, ე. ი. არა „ქვესკენსა ვარ“, არამედ ფორმით „ქვესკენ(თ)სა ვარ“, როგორც ეს „დავითიანის“ ადრეულ გამოცემებშია“ (იქვე). დამოწმებულია „ქაცვია მწვემისი“ ქვესკენის ზამთარი“. ვფიქრობ, აქ ადღგენა საჭირო არ უნდა იყოს, რადგან „დავითიანში“ გვაქვს ასეთი ფორმაც: „ქვესკენად წავალ თუ მე ცადა“. მამასადამე, აქაც შეიძლება დარჩეს „ქვესკენსა ვარ“. ამჯერად ცთომილებასთან არ უნდა გვჭონდეს საქმე.



ირველი დაბორილება... ავო კაცო, ვით გაბედე და თავი მიხვეო“ და ა. შ.) შემეჩვი ხელჩართული ბრძოლა, თითქმის წარმატებით რომ უნდა დაგვირგინებულყო („უეცრად ქალს ხელი სტაცა, ტუჩი ტუჩს შეუწება და უსუსუაზივით ჩაეხვია“). მაგრამ ამ დროს ზუბოვკელი ლამაზმანი გამოფხიზლდა, ქმარი გაახსენდა და საცოდავ მიჯნურს ისე ჩასცხო თავში კეტი, კინლამ სული გააფრთხობინა. ამით არ დასრულებულა ეს შეხვედრა. ქალმა გაუცინა პოეტს, კვლავ შეხვედრას შეპირდა და, როგორც მკვლევარი დაბეჯითებით წერს, „საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გულთა ეს ორთაბრძოლა წარმატებით დაგვირგინებულა“. წარმატება დროებითი აღმოჩნდა, ჩანს, ექვიანმა ქმარმა შური იძია და „სისხლით გაბასრა“ მოღალატე მეუღლე (იხ. ე. მაღრაძე, გოდება ანუ ცხოვრება დავით გურამიშვილისა, თბ., 1974, გვ. 148—152).

არაფერი ან თითქმის არაფერი ამის მსგავსი ლექსში არ იკითხება, მაგრამ ასე დაინახა მკვლევრის ლაღმა ფანტაზიამ და, ვიმეორებ, ჰქონდა კიდევ ამის უფლება. ოღონდ გაეკვირვებას იწვევს სხვაგვარი ინტერპრეტაციის აკრძალვის მცდელობა: „ზოგიერთი მკვლევარის ახალგაზრდობის დროინდელი აზრითა და ვარაუდით (მერე მოწიფულობაში ეს აზრები შეიცვალეს) სხვა რელიგიურ ლექსებთან ერთად „ზუბოვკაც“ ქრისტეს სამიჯნურო ლექსია. სრულიად ხორცშესხმული ზუბოვკელი ქალი, რომელიც პოეტს ეუბნება: „არ მინდობარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, შენგან თვალად უკეთესი ვაფი-კაცი ქმარიო“ — უეცრად თითქოს აღმოჩნდება იესო ქრისტე. ზუბოვკელი ქალის სახით თუ ქრისტეა დანახტული და ეს სიტყვები მაცხოვარს წარმოათქმევინა დავით გურამიშვილმა, მაშინ იგი მორწმუნე არ ყოფილა. მგონია, ჩვენი მკვლევრების ეს დასკვნა ძალიან გაბედული, დაუსაბუთებელი და მეტისმეტი უნდა იყოს“ (იქვე, გვ. 154).

არ ვიცი, ვის გულისხმობს ავტორი იმ მკვლევრებში, რომელთაც ახალგაზრდობაში გამოთქვეს ასეთი „მკრეხელური“ აზრი, მოწიფულობაში კი შეიცვალეს იგი. კ. კეკელიძე გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე წერდა: „როდესაც ჩვენ დავით გურამიშვილის რელიგიურ ალეგორიაზე ან „საღვთო მიჯნურობაზე“ ვლაპარაკობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მის სამ „სიმღერას“; ესენია: „ზუბოვკა“, „საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა“ და „ესტყვიოთ, რაც ვარდმან თავის თავზედ ქნა საქმე ავი“... ნამდვილად აქ ლაპარაკია ალეგორიულ „საღვთო მიჯნურობაზე“... პირველ „სიმღერაში“ ასეთი აზრია გატარებული: ცოდვილ კაცს, თუ კი ის გულწრფელად მოინანიებს თავის შეცოდებას, ღმერთი არ განაგდება და არ უგულებელყოფს საბოლოოდ, არამედ შეიწყნარებს და შეიყვარებს მას“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 167). ალ. ბარამიძე სულ ახლახან, საიუბილეოდ გამოქვეყნებულ წერილში წერდა: „გურამიშვილის შემოქმედების განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ ზნორ შემთხვევაში მისი ლექსები ორპლანიანი შინაარსისაა, ალეგორიულ-სიმბოლიკურია, ერთმანეთში შერწყმულია რეალური და ირეალური, ნამდვილი და მისტიკური, მიწიერი და ღვთაებრივი (ამისი კლასიკური ნიმუშია „ზუბოვკა“)“ (ალექსანდრე ბარამიძე, „ქართლის ჭირის“ მოზარე, „საქართველოს რესპუბლიკა“, № 224, 31.10.92). ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვთ ს. ცაიშვილს, ნ. ნათაძეს, რ. ბარამიძეს, რ. სირაძეს, ტ. მოსიას და სხვებს. არც ერთ მათგანს არ უფიქრია მისი შეცვლა.

არ ვაპირებ კამათში ჩაბმას, არც რომელიმე თვალსაზრისის უპირატესობის მტკიცებას, თუმცა ჩემთვის აშკარაა „ალეგორიული გააზრების“ ჭეშმარი-

რიტება. სხვა რომ არაფერი ვთქვა, ამას თვით პოეტი უმავრებს ზურგს. მე-  
ორე ლირიკულ წიადსვლაში („ოდეს დავით გურამისშვილი კისტრინის გემში წაშენდა“)  
ცხენითურთ ლიაში დაფელა, იმის მონასიბად ლეთისმშობლის შესწავლა  
პარდაპირაა საუბარი ლეთაებრივი სიყვარულის შესახებ და მოხმობილია  
„ზუბოვკაში“ ნახმარი ანალოგიური გამოთქმები:

„ჩემ საყვარლის მომყვანელო ძეღ, მარამ ქალო...  
მასვი წყალი და მავურე, ცოცხლმკვდარი ვალო!  
ზეცად გესაე, ერთო ლმერთო, ქვეყნად ერთ-უფალო...  
თაყვანსა გცემ, გეაჭებო, ვითხოვ შემიწყნარო,  
მიმკვდარებულს მამაშველო უკვდავეების წყარო,  
მასეა, მკვდარი განმაცოცლო, შენს ძეს შემამაყარო.  
ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო,  
მვენე-მადღერს განმარიდე, ძეღო, ქრისტეს ჭვარო!“

ამ ფონზე სულ სხვაგვარად ეღერს „ზუბოვკის“ ფინალი:

„იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა.  
აჰ, მისთვის გამიჯნურდა გული, მისთვის ხურსა,  
იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს, არა შურსა,  
უკვდავეების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.  
ლეთისგან ვითხოვ არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,  
სხვას უკეთეს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა?...  
ქვეყნესა ვარ, ვერა გზედავ, მე გულეები ცადა,  
გეაჭებო, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“

მავრამ ისიც ცხადია, რომ არსებობის უფლება აქვს მეორე, „რეალისტურ მიდგომასაც“. ოღონდ ერთი პირობით—ზღვარდადებული ფანტაზიით, ზედმეტი „დამიწების“ გარეშე, თორემ სხვა მწერალი-მკვლევარი სერიოზულად ეძებდა და ადგენდა ზუბოვკელი მზეთუნახავის გვარს!

აქ უნებლიეთ გაახსენდება კაცს სუფიური ლექსების ინტერპრეტაციის პრობლემა კლასიკურ სპარსულ პოეზიაში. საყოველთაოდ აღიარებულ სუფი პოეტ ჭელალედდინ რუმისაც (XIII ს.) აქვს ისეთი ლექსები, რომელთა მისტიკური ხასიათი თავიდან არც კი იგრძნობა. მაგალითად, ერთი ლაზელი „შამსი თაბრიზის დივანიდან“ იწყება მიჯნურთა ბაღში ერთად სეირნობის საესებით რეალისტური სურათით: რა კარგი იყო, ყვავილთა შორის, ერთერთის ხილვით რომ ვტკებუბოდით მე და შენ, როგორ შურდათ ცაში ვარსკვლავებს, ხეზე ფრინველებს ჩემი და შენი და ა. შ. მხოლოდ ლექსის ბოლოს ირკვევა, რომ ერთად ყოფნის ბედნიერება ზმანება იყო, მისტიკური შერწყმა, რადგან იმავდროულად ერთი მიჯნურთაგანი ერაყში იმყოფებოდა, მეორე კი — ხორასანში (ირანის საპირისპირო მხარეებში)... კიდევ უფრო დიდ ცილობას იწვევს ჰაფეზ შირაზელის (XIV ს.) ლაზელების სუფიური თუ რეალისტური ახსნა. აღარაფერს ვამბობ ომარ ხაიამის (XI ს.) რომაეების მხოლოდ სუფიურად ინტერპრეტირების სუბიექტურ და აშკარად მცდარ მცდელობაზე. საერთოდ, ეს პრობლემა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: ყოველი ნიმუში მოითხოვს ყოველმხრივ და საგანგებო პოეტურ და მსოფლმხედველობით ანალიზს.

დასასრულ, ამასთან დაკავშირებით ერთიც უნდა ითქვას: რამდენად შესაძლებელია სუფიზმის გავლენის კვალის ძიება ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, დავით გურამისშვილის შემოქმედებაში? მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა რევზ თვარაძემ, რომელმაც სცადა იმის გარკვევა, თუ როგორ თავსდება დავით გურამისშვილის შემოქმედებაში გვერდიგვერდ უღრმესი ქრისტიანულ-არეოპაგიტული სახის მისტიკა და, ვთქვათ, „ქაცვია მწყემსის“ ერთგული სცენები, როგორ ხერხდება „ზუბოვკაში“ ტრფიალ-



ბის საგნად ერთსა და იმავე დროს რეალური, ხორციელი ასულისა და ქრისტიანული ტეს დასახვა (ეს ლექსი სუფისტური გავლენის შედეგად მიიჩნევა. სუფიზმი აქ არაფერ შუაშია... მსგავსი სიყვარულის გამოვლინება ქრისტიანობის ფარგლებიდან გაუსვლელოდაც შეიძლება)“ (რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985, გვ. 283). აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება კორნელი კეკელიძე, რომელმაც პირველმა (და ჭეղჭეღობით უკანასკნელმა) დასვა საკითხი ძველ ქართულ მწერლობაში სუფიზმის ასახვის შესახებ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამის შესაძლებლობას მკვლევარი თეიმურაზ პირველისა თუ ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაში უფრო ხედავს, ვიდრე „დავითიანში“:

Иначе обстоит дело в поэзии выдающегося певца XVIII века из той же школы, Давида Гурамишвили. У этого поэта, с мистическими устремлениями, мы находим целый ряд лирических произведений, в которых со страстью, причисляющей потерявшему голову влюбленному повесе, он воспеваает изящество восхитительной девы — солнца (შუთა შუე) и выражает желание быть неразлучно с нею, ее созерцать, ею наслаждаться. В этих произведениях, оказывается, мы дело имеем с аллегорией: под „возлюбленной красавицей“ разумеется Бог, сын божий“ (К. Кекелидзе, Отражение восточного суфизма в древнегрузинской поэзии, ეტიკუბი, ტ. II, თბ., 1945, გვ. 285). როგორც ვხედავთ, აქ სწორედ „ქრისტიანობის ფარგლებიდან გაუსვლელო“ საღმრთო სიყვარული იგულისხმება.

მოგვიანებით რ. თვარაძე კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს, ოღონდ ნაკლები კატეგორიულობითა და სახეებით მართებული დასკვნით: „...საღმრთო მიჯნურობის მოტივების გაჩენას „აღორძინების“ ხანის ქართულ პოეზიაში მკვლევარი (კ. კეკელიძე. — ა. გ.) სუფიზმის გავლენით ხსნიდა და ეს დებულებაც ცალკე მსჯელობის საგანია“ (რ. თვარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 300). მართლაც, ეს დებულება ცალკე მსჯელობის საგანია არა მარტო ზოგადად ქართულ პოეზიასთან მიმართების თვალსაზრისით, არამედ ცალკეულ პოეტთა შემოქმედების ამ კუთხით განსახილველად. მით უფრო, რომ მკვლევრისავე აზრით, ჭეღ ისიც კი არ არის დადგენილი. „მართებულად იხმარება თუ არა გამოკვლევებში ტერმინები „ალეგორიულ-მისტიკური მოტივები“, „რელიგიურ-მისტიკური მოტივები“, განსაკუთრებით—„მისტიკა“? მართლაც, არის თუ არა. „დავითიანის“ ავტორი მისტიკოსი ამ სიტყვის სრული, მცნიერულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული აზრით?“ (იქვე, გვ. 302).

ერთ რამეში უყოყმანოდ მინდა დავემოწმო რევაზ თვარაძეს: „დავითიანის“ ლამის ყოველ მკითხველს „თავისი“ გურამიშვილი ჰყავდა და ჰყავს თვალწინ (ესეც არის ერთი ნიშანი დიდთა შემოქმედთა თავისებურებისა). და ამგვარმა ვითარებამ, გაიოლებასთან ერთად, გააძნელა კიდევ დავით გურამიშვილის სამყაროსთან მიახლოება“ (იქვე, გვ. 287).

ეს ფიქრებიც, ეს უგზო-უკვლო მოგზაურობაც „დავითიანის“ ფურცლებზე „ჩემი“ დავით გურამიშვილის სამყაროსთან მიახლოების წარუმატებელ ცდად ჩამითვალოს მკითხველმა. ხოლო რადგან ამ მიახლოებას საფუძვლად ჩემი აღმოსავლური, კერძოდ, აღმოსავლურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის ინტერესი უდევს, ამდენად კვლევასაც ეს განხრა მიეცემა ძალაუნებურად და ამისთვისაც შემინდოს მკითხველმა.

\* \*

მიუხედავად საერთო და საკმაოდ ხანგრძლივი აღიარებისა, დავით გურამიშვილი მაინც გაცილებით ნაკლებადაა ცნობილი, ვიდრე მისი პოეტური



ნიჭი ამას იმსახურებს, ხოლო მისი შემოქმედების მთელი რიგი საკითხები და წახნაგები, შეიძლება ითქვას, თითქმის შეუსწავლელია. ეს გარეგანი კარგად შენიშნა ქართველმა მწერალმა და კრიტიკოსმა თამაზ ბიბილურმა: „დავით გურამიშვილი დღემდე უიღბლო პოეტია. ჩვენმა სახელმძღვანელოებმა, ლიტერატურის ისტორიებმა გაძარცვეს გურამიშვილი. ყოველი ქართველი ბავშვი გურამიშვილს იცნობს მხოლოდ როგორც „სწავლა მოსწავლეთა“ და „ქართლის ჭირის“ ავტორს. იმათთვის, ვინც სკოლის მერე ფილოლოგიის გზას არ გაპყვება, ეს ცოდნა, უმეტესად, საბოლოოა. მე შეეძება, რომ რომელიმე მასწავლებელმა თავის მეცხრე-მეთათე კლასელებს უჩიოს — „იესო“ ან „ქაცვია მწყემსი“ წაიკითხეთო. თუ ამგვარი მასწავლებლები გეყავს და მე ვცდები, მათ წინაშე ახლავე საჯაროდ ვიხდი ბოდის, თავს კი იმიტოვებ, რომ ისინი ძალზე ცოტანი არიან და, ამდენად, გამოწაკლისნი. არა, „იესო“ ან „ქაცვია მწყემსი“ სკოლაში არ ასწავლიან. პირველ იმიტომ, რომ იესოს შებრალება დღემდე მომავდინებელ დანაშაულად ითვლებოდა ჩვენში, მეორეს, ალბათ, იმიტომ, რომ „ქაცვია მწყემსი“ ანუ „მხიარული ზაფხული“ „ეროტიკული პოემაა“. აბა სად გაგონილა, მოზარდებს სიყვარულზე და, მით უფრო, ერთმანეთისაკენ დაუოკებელ ლტოლვაზე ელაპარაკო? მაგრამ როგორ გავზარდოთ ჭეშმარიტი ადამიანები, თუ „იესოში“ გაცხადებული თანაღმობა, შემწყნარებლობა და მოყვასისადმი სიყვარული არ ვასწავლეთ? თუ მოზარდს დიადისადმი თვითშეწირვის სული არ გავუღვივეთ? რად უნდა დაგვრჩეს ოხრად „მხიარული ზაფხულის“ მართლაც საზაფხულო, თავაწყვეტილი მხიარულობა, კომიკური მახვილაკობა, კამკაში იუმორი, სიცილის ძლევამოსილება და, რაც უმთავრესია, პოემაში აშკარად გამოკვეთილი უსაზღვრო შესაძლებლობანი ქართული ლექსის რიტმისა, საზომისა და ორიგინალობისა?“ (თ. ბიბილური, ფიქრები პოეზიაზე, კრებ. „პოეზია 90“, თბ., 1991, გვ. 70).

ეს ნაღველნარევი სიტყვები დღემდე ინარჩუნებენ სამწუხარო სიმართლეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა დავით გურამიშვილის შემოქმედების სწორედ აღნიშნულ მხარეებს. კერძოდ, რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი მიქვლიან კონკრეტულად „მხიარულ ზაფხულს“ (დ. ბედიანიძე, მ. ლალანიძე), მაინც ბევრი რამ აქაც რჩება გასარკვევი და საძიებელი.

ავიღოთ თუნდაც წყაროს საკითხი, განვკრებილი კონტაქტური თუ ტიპოლოგიური ლიტერატურული ურთიერთობის თვალთახედვით. თვით პოეტი არაორაზროვნად უთითებს: „წიგნი ესე მხიარული ზაფხული — რუსულად ამის ჯმის სიმღერას ეწოდების «ვესელა ვესნა»“. უფრო მეტი, პირველი სტროფი თითქოს პირდაპირ აღნიშნავს მისაბამ ნიმუშს:

„ერთს ქალს რუსული «ვესელა ვესნა»  
ჩემთვის საკმილად ჩამოეკესნა.  
იმით ჩემი გული  
ოქმნა დადაგული,  
მედების ალი!“

ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ „მხიარული ზაფხული“ ანუ „ქაცვია მწყემსის“ ანალოგიურ პასტორალურ მოტივებსა თუ პარალელებს ეძებენ და პოულობენ რუსულ ან უკრაინულ ფოლკლორსა და მწერლობაში. მაგრამ, ვფიქრობ, ეს ძიებანი ზოგჯერ იმდენად კატეგორიულ იერს ატარებენ, რომ აღარ რჩება ადგილი არა მარტო სხვა, თუნდაც ქართული თუ აღმოსავლური პარალელებისათვის, არამედ საკუთრივ ორიგინალური შემოქმედებისათვის.

დავით გურამიშვილის პოეტურმა ნიჭმა წრთობა ვახტანგ მეექვსის კარზე მიიღო, ხოლო ვახტანგმა განსაკუთრებული როლი შეასრულა თეიმურაზ პირველის შემდეგ ქართულ-სპარსულ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში. იგი არა მარტო თვითონ იყო შესანიშნავი მთარგმნელი და მკვლევარი ამ ურთიერთობისა („ქილილა და დამანასა“, „ამირნასარიანი“ და სხვ.), არამედ მან მთელი მთარგმნელობითი სკოლა შექმნა (მისი ინიციატივით ითარგმნა ისეთი პოპულარული დასთანები, როგორცაა „ბახთიარნამე“, „ბარამგულანდამიანი“, „მირიანი“, „ხოსროვირინიანი“ და სხვ.).

ცხადია, ყოველივე ეს არ დარჩებოდა უცნობი დავით გურამიშვილისათვის. გაკვრით შენიშნა ეს მომენტი ტ. მოსიამ სწორედ „ქაცვია მწყემსთან“ დაკავშირებით. საცოლე ქალის შერჩევის შესახებ მსჯელობას პოემაში მან მოუძებნა „ქილილა და დამანასა“ და „ყაბუსნამესთან“ მსგავსება: „როგორც ირკვევა, დ. გურამიშვილის მხრივ ამ წყაროებთან სიახლოვე ექვს არ იწვევს. იგი მათ საესებით შეგნებულად ითვალისწინებს“ (ტ. მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986, გვ. 211). მაგრამ კიდევ უფრო მოულოდნელი და ვრცელი პარალელი აღმოჩნდა ნიზამის მეოთხე პოემის „შვიდი მზეთუნახავის“ მეშვიდე არაკსა და „ქაცვია მწყემსის“ ძირითად ეპიზოდს შორის (იგულისხმება ქალ-ვაჟის უკანონოდ შეყრის ხელისშემშლელი პირობების საოცარი მსგავსება და ფინალში კანონიერი ქორწინების ქებათა ქება).

ნიზამის (XII ს.) მიხედვით, პარასკევს, თეთრ სასახლეში ირანის მეფის ასული (ზოპრა ანუ ვენერა) ყვება არაკს „წალკოტის მეპატრონე ჭაბუკი და მეჩანგე მხევალი“. ქალაქგარეთ საკუთარ ბაღში წარმოსადგვი ვაჟი წააწყდება მოსიერნე ქალიშვილებს, რომელთაგან ერთი, მეჩანგე მხევალი მოეწონება განსაკუთრებით. ქალ-ვაჟი მოძალებული სურვილის დასაკმაყოფილებლად ოთხჯერ განმარტოვდებიან, მაგრამ ოთხჯერვე მოეცარებათ ხელი (ჯერ დაძველებული ფანჩატური დაემხოზათ თავზე, შემდეგ ჩიტზე მონადირე გარეული კატა დააფრთხოზთ, მინდვრის თავი ძაფს გადაღრღნის და გამხმარ გოგარებს ჩამოყრის ხმაურით და, ბოლოს, მგლის მიერ შეშინებული მელიები შეესევინან და გადაუვლიან). ვაჟი მხოლოდ მაშინ ეწვევა საწაადეს, როცა კანონიერად იქორწინებს უბიწოების თეთრ სამოსში გამოწყობილ ასულზე.

ანალოგიურია ქაცვია მწყემსის მშობლების თავგადასავალი. შემთხვევით არ იგონებს მათ თავგადასავალს ქაცვია, როდესაც მწყემსი გოგონა ზედმეტად გაუთამამდება. ქაცვიას თავშეკავებას სწორედ ეს მოვონება უღვეს საფუძვლად:

„საქმის შიში მაქვს ოთხის-ხუთისა,  
ჩხიკე-შაშველისა, კაცისა, ლეთისა.  
ამათ შეაშინეს,  
კიდევ შეარცხინეს  
ღედ-მამა ჩემი“.

ამას მოსდევს ვაჟის მიერ მშობელთა ამბის მოყოლა (აქაც, ნიზამის არაკის მსგავსად, ეს ისტორია ერთგვარად ჩართულია საერთო თხრობაში): მწყემსი ბიჭი და გოგო ლამობს გულის წადილის ასრულებას, მაგრამ ხან ჩხიკვა გაუხეტია გული, ხან შაშვის ფაჩუნმა შეაშინა, ხან შესაფერი ადგილი ვერ მოძებნეს და ეკლით დაიკაწრეს შიშველი სხეული. ბოლოს მეზობელი კაცი წაადგება მათ და ყველაფერი კანონიერი ქორწინებით მთავრდება. გარდა სიუჟეტური დეტალებისა, აშკარად საერთოა თხრობის მანერა, თამამი და საკმაოდ თავისუფალი სტილი, ავტორთა მიერ დაუფარავად გამჟღავნებული იუმორისტული თანაგრძნობა (დაწვრილებით იხ. ა. გვახაჩია, ნიზამი და

გურამიშვილი, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, მიძღვნილი ალ. ბარამიშვილის  
დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1983, გვ. 70—78).

აღმოსავლური სამყაროს ანარქელისა და ბარალელების ძიება „დავით-  
ანში“ უნდა გაგრძელდეს, რადგან მრავალი მომენტისა თუ დეტალის ახსნა-  
განმარტებაში შეიძლება დაგვეხმაროს (ზემოთ აღინიშნა სამეცნიერო ლიტე-  
რატურაში მითითებული დამთხვევები „ქილილა და დამანასა“ და „ყაბუსნა-  
მესთან“).

რამდენიმე სახელდახელო მაგალითი.

როდესაც იესემ, ვახტანგის მეტოქე ძმამ, გადაწყვიტა კახთბატონის კონ-  
სტანტინეს წყაიდება მის ძმასთან თეიმურაზთან, ასეთი საბუთი მოიხზო:

„თუ მაგას იტყვი. შენ რომ გყავს ძმა, შენი ნახევარია,  
ეგ სიძე არის ამისი, ქალი ყავს, მით მოყვარია,  
შენ სავარცხელი შემწედ გჩანს და მაგას ქრისტეს ჯვარია,  
ამისთვის ეგეც ამისი საწაფლის მომდევარია“.

ამ დეტალს ყურადღება მიაქცია ცნობილმა ისტორიკოსმა ვარლამ დონ-  
დუამ: „კონტექსტით ცხადი ხდება, რომ აქ სავარცხელი და ჯვარი არიან  
ერთმანეთთან დაპირისპირებული. მაშ, გურამიშვილის ენაზე სავარცხელი,  
წინააღმდეგ ჯვრისა, მუსლიმანობის სიმბოლოდ იხატება. ამის საფუძველი,  
ეფიქრობთ, ასეთია: ჩვენ მიერ გადასინჯულ ზოგ ლექსიკოლოგიურ განმარტე-  
ბაში ჯილა სიტყვის პირველ მნიშვნელობად წარმოდგენილია, ფრინველთა  
„ქოჩრის“ „ხოხოლოკ“ გვერდით, ფრინველთა სავარცხელი („გრებეშოკ“).  
აქ ჯერ იმას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ფრინველის ქოჩორისა და ფრინ-  
ველის სავარცხლის მნიშვნელად გამოყენებულია ერთი და იგივე სიტყვა—  
ჯილა. ეს; ცხადია, გამოწვეულია გარკვეული ასოციაციებით. ჯილა ფრთების  
დაკბილულობით ქმნის სავარცხლის შთაბეჭდილებას. გავიხსენოთ სიცი, რომ  
ერთ-ერთი განმარტებით, ჯილა სავარცხლის მსგავსი სამკაულია. ამდენად  
„ჯილის“ მეტაფორად უნდა გამომდგარიყო სავარცხელი სიტყვაც. თუ ეს  
ასეა, მაშინ ვასაგები იქნება გურამიშვილის ზემოთ მოყვანილი ტაეპი: „შენ  
სავარცხელი შემწედ გჩანს, და მაგას ქრისტეს ჯვარია“. ესე იგი მაჰმადიან  
კონსტანტინეს იმედად აქვს „სავარცხელი“, მაშასადამე, ჯილა ხელისუფლე-  
ბისა და ბატონკაცობის მუსლიმური ემბლემა, მაშინ როდესაც მისი ქრისტი-  
ანი ძმის, თეიმურაზის, სასოება ჯვარია“ (ვარლამ დონდუა, დავით  
გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, საისტორიო ძიებანი, I, თბ.,  
1985, გვ. 71—72).

ვ. დონდუას ახსნა გონებამახვილურია, მაგრამ ექვს იწვევს სავარცხლის  
მეტაფორული გაიგივება ჯილასთან გარეგნული მსგავსების (დაკბილულობის)  
საფუძველზე. ამასთან, ჯილა (საბას მიხედვით „დიდებულთ თავსარჭობი“)   
ერთნაირად ამშვენებდა როგორც მუსლიმ, ისე ქრისტიან მეფეებს (მღრ.  
„თარჯ-თომრიან ჯილანნი გაგვიჯადა, ქმნა უჯილო!“). უფრო სარწმუნო ჩანს  
მურმან ბელთაძის დაკვირვება, რომ ყიზილბაშ-მუსლიმთა გარკვეული წრე-  
ებისათვის თვით სავარცხელია ისეთივე წმინდა სიმბოლო, როგორც ქრისტი-  
ანებისათვის ჯვარი (თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის III წლი-  
ური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989, გვ. 5—6).

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: დავით გურამიშვილი დეტალზეამდე  
იყო გარკვეული საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში ირანთან, რაც  
მას „ასეთი მრავალფეროვნებით შეუთვისებია. თავისი ქვეყნის კულტურული  
ისტორიიდან“ (ვ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 72).

ვარლამ დონდუას ეკუთვნის ერთი ტექსტოლოგიური გასწორება, რო-  
მელიც აღმოსავლური ლექსიკის გათვალისწინებას ეყრდნობა. ყველა გამო-



„სოლას, დარუბანდს, არმოანს, თქვენ რა კელი გავქვთ ბაქისა?“

„დაბეჭდილ ტექსტში მძიმით გამოყოფილი სიტყვა „არმოანს“ ამაოდ აფიქრებინებს მკითხველს, თითქოს ესეც, სოლად-დარუბანდის გვერდით, რაღაც მესამე გეოგრაფიული პუნქტი ჩანდეს (ალბათ ამიტომ არ იქნა იგი შეტანილი „დავითიანის“ ლექსიკონში). სამწუხაროდ, ასეთ გაუგებრობას ვერ ასცდა ნ. ზაბოლოცკის ცნობილი თარგმანი, სადაც სათანადო ადგილას იკითხება: („Разве вам Дербент подвластен, Армоан (!—г. д.), Баку, Сулак“? (იქვე, გვ. 114).

მკვლევრის სამართლიანი დაკვირვებით, „არმოანი“ ნაწარმოებია არაბულ-სპარსული „პარამიდან“ (ავრძალული, არაპალალი, უკანონოდ მითვისებული). „არმოანი“ ისევეა ნაწარმოები, როგორც „მაგროვანი“ (—მაგარი). ამდენად, უნდა იკითხებოდეს „დარუბანდს არმოანს“, მძიმე მათ შორის ზედშეტია.

დავით გურამიშვილთან გვხვდება ერთი ანდაზა, რომელსაც აგრეთვე აღმოსავლურ სამყაროსთან მიყვავართ:

„იტყვიან ერთსა ანდაზას: ნემს-მახათს ნუ სცემ მკილებსა, შეგვრკმის, ხელთა დანახვე, წაგზდენს მკლავთა კიღეებსა!“

ზუსტად ასეთივე ანდაზა გვხვდება ადრინდელ სპარსულ პოეტებთან ქეისაისა (X ს.) და უნსურისთან (XI ს.). ამ უკანასკნელთან იკითხება:

„ბა დერაფშ არ თაფანხა ხაპი ზად,  
ბაზ გარდად ბე თო პარ აინა ბად“  
(თუ მახათს ხელის მტევანს დაპკრავ,  
თავს უცილობლად ბორბტემას მოუტან).

ვფიქრობ, ასეთი ძველი დაფიქსირება ანდაზისა ლიტერატურულ წყაროებში მოწმობს სპარსული ვარიანტის პირველადობას (იხ. ი. კალაძე, უნსურის ეპიკური მემკვიდრეობა, თბ., 1983, გვ. 186). საინტერესოა, რას გულისხმობს დ. გურამიშვილი, როცა წერს: „იტყვიან ერთსა ანდაზას?“ ვინ იტყვიან? ანდაზების ქართულ კრებულებში რამდენჯერმე დამოწმებული ანალოგიური შინაარსის ვარიანტები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს მათი წყარო „დავითიანი“: „ნემს-მახათს მკილი არ დაერტყმის“; „ნემს-მახათს მკილით არ ეცემისო“; „სადგისის წვერს მუჭი არ დაეკვრისო“ („ხალხური სიბრძნე“, ტ. V); „მახათზე მკილი არ დაიკვრისო“ (თეოდოსიანის კია, ქართული ანდაზები, თბ., 1967); „მახათს მკილი არ შემოეკვრისო“ (თამარ სვინტიძე, ქართული ანდაზები, თბ., 1955). რა წყარო ჰქონდა თვით დავით გურამიშვილს? (ქართული მაგალითები მომწოდდა თეა შურალიამ, რისთვისაც მადლობას მოვანხენებ).

„დავითიანი“ ავტოგრაფის სახითაა ჩვენამდე მოღწეული (ხელნაწ. S1598), რაც იშვიათი გამოჩაყლისია ძველ ქართულ მწერლობაში. პოეტს სიბერეში თვითონ შეუდგენია ეს კრებული, შეუტანია, მისი აზრით, საუკეთესო ნიმუშები, დაულაგებია ისინი გარკვეული თანმიმდევრობით, ზოგი რამ მოგვიანებით ჩაუმატებია კიდევ. კრებული ძირითადად 1781—1787 წლებშია შედგენილი (ს. ცაიშვილი, დავით გურამიშვილი, თბ., 1986, გვ. 89). ზოგი ლექსის ადრეული დათარიღებაც ხერხდება (მაგ., „კაცისა და საწუთროს ცილობა“ — 1774. „მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით“ — 1733 და სხვ.). ზოგ მათგანს თვით ავტორის მინაწერი ახლავს („ვსტქვი წელსა ათას შვიდას სამოცდაათოთხმეტსა...“). პოეტი არც მალავს, რომ კრებულში მისი სხვადა-





სხვა დროს დაწერილი ლექსების მხოლოდ ნაწილია თავმოყრილი, შექმნილია ძირითადი და რჩეული („ამ ლექსთ თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითობლად“).

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ამ კრებულის ერთი თავისებურება: პოეტი ზოგჯერ თითქოს იმეორებს თავის თავს, ოდნავი სახეცვლილებით ავტოციტირებას ახდენს სხვადასხვა ლექსში ერთი და იმავე აზრისა, მხატვრული სახისა თუ სიტყვიერი ქსოვილისა.

„დავითიანის“ პირველ წიგნში მოქმედება წყვეტილად ვითარდება, საქართველოს ისტორიის მძიმე მონაკვეთებსა და ავტობიოგრაფიულ ფაქტებს ბუნებრივად ენაცვლება ბიბლიური თუ ახალი აღთქმის სურათები, ცოდვილთა სამუქფო (სანაცვლო) ტანჯვის აღწერა, გულწრფელი და გულში ჩამწვდომი ლოცვა-მონანიება. სწორედ ამ მონაკვეთში ადგილი აქვს ორი ერთმანეთთან ახლოს მოთავსებული თავის თუ სიმღერის იდენტურობას, ვარიანტულ გადამღერებას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი — ე. „ჯვარცმის ამბავი“ დაწერილია მესამე პირში, აღწერითი ფორმით, ხოლო მეორე — ზ. „მოთქმა ჳმითა თავბოლო ერთი“ მეორე პირში, მიმართვის ფორმით. ამასთან, ეს უკანასკნელი გამოირჩევა მხატვრული ხერხით, რომელიც სხვაგანაც გვხვდება: ყველა სტროფი, როგორც ეს სათაურშია აღნიშნული, ერთნაირად იწყება და მთავრდება (ყოველ შემთხვევაში, უნდა იწყებოდეს და ბოლოვებოდეს). სწორედ ამ ლექსს იხსენიებს თ. ბიბლიური „იესოს“ სახელწოდებით:

„ვთ, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩინესო,  
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,  
მაცხოვრებელი შენ მათი წამწყვენდლად  
მიგიჩინესო,

დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო!  
ვთ, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩინესო  
ღვთის საიდუმლო გაატახეს, გულში ვერ დავიტიესო,  
ოცდაათ ვერცხლად გაგაყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,  
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“

ასე გრძელდება ეს ქებათა ქება ღმრთისა, ვიდრე ბოლო სტროფი ერთ გაბმულ ლოცვად არ იქცევა (შემთხვევით არ აქლერდა ეს საგალობელი ქართულ ეკლესიაში, იხ. რ. სირაძე, გაზ. „თბილისი“, 22.12.92). საინტერესოა, რომ შუა ლექსიდან ირღვევა „თავბოლოს“ განმეორების პრინციპი (ან თავია განმეორებული, ან ბოლო, ან არც ერთი). უკანასკნელ სტროფში ეს ხარვეზი ანაზღაურებულია ბოლო ტაქტის მრავალჯისი განმეორებით (ეს ხერხი სხვაგანაც გვხვდება):

„გაიკითხვედთ გლახაკთა, ასმეე-აჴმევედით მშვიერსო,  
რასაც კეთილს იქო, ღმერთი თჴვენ მოგაგებსთ მის მავიერსო,  
ორსაც ვაზს წრფელს წინ უდებდით: კორციელს თუ სულეერსო,  
ამისა სანუქჴოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო..  
ქჴვენ სულგარძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,  
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!  
ქჴვენ სულგარძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,  
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!  
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“

საკმარისია შევადაროთ ამ ლექსის ძირითადი ტექსტი (ე. ი. თავ-ბოლოს შორის მოთავსებული, ზანჯასმული სტრიქონები) წინა თავის „ჯვარცმის

ამბის“ ტექსტს (მეოთხე სტროფიდან), რომ მსგავსება, უფრო ზუსტად, დამყარებული  
თხვევა მათი აწარა გახდეს:

„აწ ნახეთ, მისად სანუქფოდ რაც მათ მას შეამთხვიესო:  
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,  
ღვთის საიდუმლო გატეხეს, გულში ვერ დაიტვიცესო,  
თავიანთ მაცხოვრებელი წამწყმენდლად მიიჩნიესო.  
ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,  
შეიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოახვიესო,  
მაგრა შეუტრეს კელები, უფალსა არა სთნიესო,  
ურბო სიტყვა შეკადრეს, გაღამდეს, გაათრესო!“

უკანასკნელ სტროფში მეორდება არა მარტო ბოლო ტაეპი, არამედ მე-  
სამე პირი მეორედ გადაიქცევა ისევე, როგორც ეს „მოთქმაშია“:

„ქმნა სულგრძელება მათხედა და დასთმო მან ჩვენთვისო.  
ღიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!  
ქმნენ სულგრძელება მათხედა და დასთმე შენ ჩვენთვისო.  
ღიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!  
ღიდება მოთმინებისა შენსა, უფალო იესო!“

20394

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება შენიშნული აქვს რევაზ ბარამიძეს  
სწორედ ამ ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით, მაგრამ მსჯელობა იმგვარად  
აქვს წარმართული, თითქოს ანალოგიურ განმეორებებს სხვაგანაც ჰქონდეს  
ადგილი. მკვლევარი წერს: „გურამიშვილი ერთსა და იმავე სტროფებს (ალა-  
რაფერს ვამბობთ სახეების შესახებ) ხშირად იმეორებს ხოლმე. მაგ. ლექსში  
„ჯვარცმის ამბავი“ ვკითხულობთ:

„მკვდარს აღდგენდა, კერნედა კეთროანს, წყალმანკიერსო,  
ბრძას თვალთ უხელდა, ცისცისად არჩენდა ეშმაკიერსო,  
უტყვეს ენას ძღვნიდა, ყურს—სმენას, კეტს—საყარს—სლვას მშვენიერსო,  
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდა:— ჰამე, სვი ესო“. 94 (გვ. 40);

ლაპარაკია ქრისტეს შესახებ სახარების ცნობილი ეპიზოდების მიხედ-  
ვით... ამავე სტრიქონებს იმეორებს გურამიშვილი სხვა ლექსშიც — „მოთქმა  
კპიტა თავ-ბოლო ერთი“:

„მკვდარს აღდგენდი, კერნედი კეთროვანს, წყალ-მანკიერსო,  
ბრძას თვალს უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო“. 27<sub>გ</sub>-4 (44).

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ლექსში ერთი და იგივე სტრიქონები სი-  
ტყვა-სიტყვიანაა გამეორებული. შეცვლილია მხოლოდ პირი. თუ პირველ  
ლექსში ქრისტეზე მესამე პირშია საუბარი, მეორე ლექსში უშუალოდ მი-  
მართავს და მეორე პირითაა ეს უშუალობა გადმოცემული“ (რ. ბარამიძე,  
ნარკვევები ქართული პროზის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 174). სავსებით  
სწორი დაკვირვებაა.

ამის შემდეგ მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას: „სხვადასხვა ლექსში  
ტაეპთა ასეთი გამეორებები არაიშვიათად გვხვდება დაით გურამიშვილთან.  
სანიმუშოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. ერთი ლექსის სტროფი:

„ქმნა სულგრძელება მათხედა და დასთმო მან ჩვენთვისო<sup>2</sup>  
ღიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო! 102<sub>კ</sub>-2

მეორდება მეორე ლექსშიც:

„ქმნენ სულგრძელება მათხედა და დასთმე შენ ჩვენთვისო.  
ღიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო! 129<sub>გ</sub>-გ

<sup>2</sup> დაბეჭდილია „იესო“.

2. მაიკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 3—4



კიდევ უფრო ხშირია სახეთა განმეორებები“ (იქვე). მაგრამ საქართველოში რომ ეს მაგალითებიც იმავე ზემოხსენებული ორი ლექსიდანაა აღებული. ასე რომ, აქ ერთ შემთხვევაზეა საუბარი. ამდენად მისი განზოგადება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად გამოიყურება: „სხვადასხვა ლექსებში ერთი და იმავე ტაქების ასეთი გამეორება სწორედ იმის მიუწყებელი უნდა იყოს, რომ პოეტი ზეპირად იგონებს და იწერს ახალგაზრდობაში თუ ცხოვრების გრძელ მანძილზე სხვადასხვა დროს შექმნილ ლექსებს“ (იქვე, გვ. 175). თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული „დავითიანის“ ტექსტის კვლევის დროს.

\* \* \*

„დავითიანის“ ვერსიფიკაციული ანალიზის ავტორი, მისივე სიტყვით, „სენსაციურ“ შედეგამდე მივიდა: „გურამიშვილი ლექსის 45 საზომით წერდა (გარდა ცალკეულ სტრიქონებში ფიქსირებული საზომებისა), გამოყენებული აქვს გარითმვის 22 სისტემა და სტროფიკის 10 ნაირსახეობა. ყველაფერი ეს იძლევა 87 სალექსო ფორმას“ (აკაკი ხინთიბიძე, ცეხურა ქართულ ლექსში და გურამიშვილის ვერსიფიკაცია, თბ., 1990, გვ. 73). ამავე ავტორის მიხედვით, „ეს ციფრი რომ კოლოსალურია, იმითაც დასტურდება, რომ ამდენ სალექსო ფორმას არ იცნობს გურამიშვილის წინაღობინდელი ქართული პოეზია მთლიანად“ (იქვე, გვ. 70).

ამჯერად ერთი თავისებური ფორმა მინდა გამოვეყო, რომელსაც პირობით „ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ლექსი“ შეიძლება ეწოდოს. აქ იგულისხმება არა მუნასიბად (ექსპრომტად) თქმა (დავით გურამიშვილს ასეთებიც აქვს), არც რიტმისა და რითმის სიმდიდრე. მთავარია აზრის უწყვეტობა, სწორედ რომ სუნთქვისა და განცდის უწყვეტობა, ფაქტობრივად ერთ გავრცობილ წინადადებას რომ წარმოადგენს (ცხადია, სასვენი ნიშანთა პირობითობის გათვალისწინებით).

**მზეთამაზის შესხმა და კემშარიტის გზის თხოვნა  
დავითისაგან**

„დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთამზეო,  
მიუწლომელო ნათელო, გრძელო, ჭველო დღეო,  
უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო,  
უბერებელო, უკვალო, მყოფო, შეურყეო,  
შენ გაქებ და გეაქები დაკარგული ტყვეო,  
მომიხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო,  
ვით მე ვთხოვე, კემშარიტი შენ გზა მუწყეო!“

ასე ვევედრებოდა ტყვეობაში მყოფი პოეტი ღმერთს ლოცვაში გადაზრდილი ლექსით, ვიდრე გაქცევას გადაწყვეტდა. იგივე ხმა აღმოხდება მას ანალოგიურ სიტუაციაში, ისევ ტყვედჩავარდნილს, კისტრინის ომში ცხენოთურთ ლიაში რომ დაეფლა, მას შემდგომ:

**ხვა ხმა**

„მოწყალების კარო, შენს ზღერბლს მოვეკარო,  
უსახლკარო ვარო, ვითხოვ. შემიფარო,  
ვით მოწყალე ხარო, ცოდვილთ მეონარო,  
რაც მე მოგითხარო, შენ შით განმხარო,  
მახუმრ-მამასხარო, მაკინ-მახარხარო,  
დავითის მტერთ ხარო, ძირით აღმოსხარო!“

მხოლოდ XX საუკუნის გარიყრაქზე მოღვაწე რუსი პოეტის ინოკენტი ანენსკის შემოქმედებაში წავაწყდი ანალოგიურ სულმოუთქმელობას (თუმ-

### Умирание

«Слава богу, снова тень!  
Для чего-то спозаранья  
Надо мною целый день  
Длится это умиранье,  
Целый сумеречный день!  
Между старых желтых стен,  
Доживая горький плен,  
Содрогается опалый  
Шар на нитке, темно-алый,  
Между старых желтых стен,  
И бессильный, точно тень,  
В этот сумеречный день  
Все еще он тянет нитку  
И никак не кончит пытку  
В этот сумеречный день...  
Хоть бы ночь скорее, ночь,  
Самому бы изнеможь,  
Да забыться примиренным,  
И уйти бы одуренным  
В одуряющую ночь,  
Только б тот, над головой,  
Темно-алый, чуть живой,  
Подождал пока над ложем  
Быть таким со мною схожим,  
Этот темный, чуть живой  
Там, над самой головой...»

ბშირად იყენებს ამ ხერხს (თუ ამას ხერხი შეიძლება ეწოდოს, თანაც გამოყენებადი) ბორის პასტერნაკი, განსაკუთრებით ლექსების იმ ციკლში, რომელიც მან თავის რომანს „დოქტორ ჟივაგოს“ დაუბრთო:

### Ветер

«Я кончился, а ты жива,  
И ветер, жалуясь и плача,  
Раскачивает лес и дачу,  
Не каждую сосну отдельно,  
А полностью все дерева  
Со всею далью беспредельной,  
Как парусников кузова  
На глади бухты корабельной,  
И это не из удалства  
Или из ярости беспечной.  
А чтоб в тоске найти слова.  
Тебе для песни колыбельной.»

მაგრამ არავის არ გაუთავისებია ეს პოეტური სუნთქვა ისე ბუნებრივად, როგორც მეოცე საუკუნის გენიოსს გალაკტიონ ტაბიძეს:

«გაგონდება თუ არა  
კარაღეთის დღეები,  
მთების ლურჯი კამარა,  
უცხო სამოთხეები?  
კიდევ შეგჩნა თუ არა

მხიარული თვალები,  
თუ დრომ გადაუარა  
და ჩაუქრო ალები?  
მივდიოდით მხარდამხარ  
და დრო გვეუარესა,  
აწ არ ვიცი, სადა ხარ  
და რომელსა მხარესა“.

სახელდახელოდ გადაშლილი წიგნი ცნობილი („გამხიარულდი ბუნარო“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „წყალტუბოდან ქუთაისში“, „იშლებიან ყანები“) თუ უცნობი ნიმუშებითაა აღსავსე:

„აგერ კიდევ ცეცხლამდის, იმ ცეცხლოვან დაღამდის,  
ხავერდოვან არეზე რაც არ უნდა დაღამდეს  
მიმოცურავს ტალღები და აფრების ამარა  
ოცნებათა მგრგვინაეთა მოშფოთვარებს კამარა,  
იქ, სად ერთი სახლი ღვას. სადაც ძველი ცხუმია,  
სანაპირო მზიური თითქოს აბრეშუმია“.

**ახალი მზე**

„ვარდით ნამებს იტაცებდა ხშირი მზე,  
მე ვფიქრობდი ახალგაზრდა ირემზე,  
შენს ნათელზე ვოცნებობდი, პირიმზე,  
გულში ცეცხლი ეღვარებად იქნება,  
სადაც ჰყრია დამსხვრეული ლოდები,  
რომ მიჰფინოს სვეტს დაფნების ფოთოლი,  
სადაც ლელავს ნიმფა და ასფოდელი,  
ახალი მზე სურვილს გაღვწივინება“.

ანდა:

**წარწერა წიგნზე**

„ო, რა თქმა უნდა, ბრძოლა  
დაუნდობელი მოდის,  
მოაქვს ახალი ქროლა  
სამოქალაქო მოტივს,  
გამოურკვეველად მიდის  
მოსავონებლად მწარე  
გამოურკვეველ ბინდის  
და მისტიციზმის მხარე.“

ანდა:

**როგორც ცხენოსანთა ჯარი**

„როგორც ცხენოსანთა ჯარი  
მზის ჯარია ღრუბლის ჯარში,  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
ხმალი ხმალთან, შუბი ფარში,  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
სიმღერა ჰქუხს მთა და ბარში,  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
იხლართება ზარი ზარში,  
საომარი დროის მარში,  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
ავრიალდა ისევ ქარში,  
ვრიგალი რომ მწარედ სტვენდა  
და ჩქარობდა სისხლის ღვარში...  
საომარი დროის მარში,  
საომარი დროის მარში“.

ანდა:

„სანამ წვიმა გადივლიდეს,  
გზები გამშრალდებოდეს,  
ნუ მოაცილი ციურ რიდეს,  
რომ ბურუსში ჩნდებოდეს, —  
თითქო სული სადმე ვლიდეს —  
და გულს ცეცხლი სდებოდეს,  
სანამ წვიმა გადივლიდეს,  
გზები გამშრალდებოდეს.“

ანდა:

„ამ ათას ცხრაას ორმოცდათორმეტს  
თუ უხიფათოდ გავსცდით როგორმე,  
თუ წელიწადი დაეტოვებ მიღმა,  
როგორმე ბედმა თუ გავცილიმა,  
და ისე, რომ არ გადაეცდეთ ნორმებს,  
თუ გავეტიეთ გზაზე როგორმე —  
და რაი ერთად ვერ დავეტიეთ,  
როგორმე გზაზე თუ გავეტიეთ,  
თუ მოვაგვარეთ ეს მტკვრის ნაპირი,  
ჩვენთვის საკირო და შესაფერი, —  
მაშინ, ო, ბედო, აგინთებთ სანთელს,  
რომ განგვარიანე ამ კორიანტელს,  
რომ ღირსეულად ვკრეფთ დაფნის რტოებს,  
რომ გავსცდით ძველი ქუჩის იწროებს...“

ანდა:

„ჩემს გულში დაჰქრის ბრწყინვალეობა და ელვარება,  
აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული,  
მასში ხშირია ქარიშხლების ამლელვარება,  
იქ სარკეების ელვარებით გადააკიწული  
შრიილებს ფარჩა და ზავერდი, ცის ამურები,  
იქ ფერფლის ბინდში გახვეული თრთის ნაკვერცხალი,  
დაფარფატებენ ლაქვარდოვან ქარს ღამურები,  
როგორც ზღვის სარკეს ჰვარტლიანი სერავს მერცხალი,  
როგორც რთინი საოცარი და მისტერია,  
სული გაფრენილს ედარება, ფერად მიმინოს:  
დასტოვოს მხარე, სადაც ყველა ფილისტერია,  
სილაქვარდენში მიიბროლოს და მიიმინოს.“

ამ ბოლო სტრიქონის რუსთაველამდე ამაღლებულმა სიტყვათწარმოებამ (მიიბროლოს და მიიმინოს“ ე. ი ბროლად და მინად იქცეს). რაც, თავის მხრივ, გალაკტიონის რითმის ეპიტუოზობას განაპირობებს, დავით გურამიშვილის პოეტიკის ეს თავისებურებაც გამახსენა ერთგვარად. ხდება ხოლმე საუკუნეთა მიღმა ასეთი მოულოდნელი დამთხვევები თუ შეხვედრები.

გურამ ასათიანმა მოაქცია ყურადღება ცნობილი რუსი მწერლის ოური ოლენას ერთ საარქივო ჩანაწერს და დაიმოწმა კიდევ თავის წერილში «О поэзии классической и романтической»: «У Пушкина есть некоторые строки, наличие которых у поэта той эпохи кажется просто непостижимым:

„Когда сюда, на этот гордый гроб,  
Придете кудри наклонять и плакать.“

«Кудри наклонять» — это результат обостренного приглядывания к вещи, не свойственного поэтам тех времен. Это слишком «крупный план» для тогдашнего поэтического мышления, умевшего создавать мощные образы, но все же не без оттенка риторики — «и звезда с звездой говорит...» (Г у р а м А с а т и ა ნ ი, К л ა ს ი კ ი ს ი ს ო ვ რ ე ნ ი კ ი ს, Т ბ., 1978, с. 9).



ასეთი, იმ დროისათვის მოულოდნელი სიტყვათწარმოებითა და რითმით-  
 მთხვევლობით, გვაოცებს დავით გურამიშვილი. რად ღირს თუნდაც  
 გალითი:

„მამავ, შენი ძეო, ვითხოვ, მიბოძეო,  
 ვიქცევი, ქვესკნეთს ვარდები, მისვეტ-მიბოძეო“...

„მისვეტ-მიბოძეო“, ე. ი. სვეტად და ბოძად მექეცი, წაქცეულს შემეხიდე, გა-  
 მამავგრო!

ანდა მეორე მაგალითი ავიღოთ, სადაც ერთი ბგერის შეცვლა თუ ამოგ-  
 დება ახალ სარიტმოდ ერთეულს ქმნის (ჩვენს დროში წარმატებით იყენებენ  
 ამ ხერხს რუსულ პოეზიაში ბ. ახმადულონა, ე. ევტუშენკო, ა. ვოზნესენსკი):

„რომელმანც მთამან დამფარა, მას მთაზედ იმ სეტყვებითა,  
 მეც იმ მთას მსხვერპლი შეესწირე, რაც ვითხარ იმ სიტყვებითა,  
 შერმე ავდექ და წამოველ ტირილითა და ტყვებითა,  
 ზულ გავანდლე გამხმარნი შამხარნი ცრემლთა რწყებითა.

კოჰამდის სეტყვას ვაპობდი, ფეხები მქონდა შიშველი,  
 ყველაზედ გული მაგრობდა, არაზედ ვიყავ შმიშველი,  
 ვსთქვი თუ, რას მიზამს მადღური, ან მგელი, ან ღათვი, შველი,  
 შავებოვები არავის, თუ, ღმერთო შენ კი მიშველი...“

„სეტყვა — სიტყვა“, „შიშველი — შველი“ და სხვა მათი მსგავსი უფრო  
 დღევანდელი რითმებია, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნისა. ამავე რიგისაა:

„ვარდმან უთხრა: „შე, ბულბულო, ავი გიყვარდი,  
 რატომ ავრე განმეშორე, ხომ არ გიყვარდი...“

არაფერს ვამბობ მაჩამური რითმებისა თუ „მხიარული ზაფხულის“ თა-  
 ვისებური სტროფიკისა და შინაგანი რითმების შესახებ.

“ “

მრავალგზის იყო აღნიშნული, რომ მიუხედავად „დავითიანის“ ჩვენამდე  
 მოღწეული ავტოგრაფული ნუსხის არსებობისა, რაც ძველი ქართული მწერ-  
 ლობის ძეგლებისათვის იშვიათ გამოჩაკლისს წარმოადგენს, რიგი ადგილე-  
 ბისა ტექსტოლოგიურ დახვეწასა და შესწორებას მოითხოვს. გასათვალისწი-  
 ნებელია გადაწერის დროს დაშვებული ნებსითი თუ უნებლიე შეცდომები,  
 კალმისმიერი ლაფსუსები, პოეტის ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა (ხელის  
 კანკალი, მხედველობის მკვეთრი დაქვეითება და ა. შ.). 1931 და 1955 წლის  
 გამოცემების შედარება ცხადყოფს ამ თვალსაზრისით გაწეულ მუშაობას.  
 იგი უნდა გავრძელდეს და გრძელდება კიდევ უკანასკნელი საიუბილეო გა-  
 მოცემის შემდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა 1980 წლის გა-  
 მოცემა.

1962 წელს გამოქვეყნდა შ. ჩიჯავაძის „ტექსტოლოგიური შენიშვნების“,  
 ერთი უნებლიე შეცდომა „დავითიანია“ ავტოგრაფში („მნათობა“ № 1).  
 ავტორი განიხილავს ერთი სიტყვის დაწერილობას შემდეგ სტროფში:

„სამ-ოთხ რივად მუხანათმან გულს ლახვარი მამღერა,  
 სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა,  
 ვით ბოლოვი მქნა ა ვ რ ე ხ ი, ამჩოყა, ამღერა,  
 თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა“.

იგულისხმება საწუთროს მუხანათობა, რომლის გამოც უძეოდ დარჩე-  
 ნილმა პოეტმა გადაწყვიტა „დავითიანი“ ეშვილა. ხაზგასმულ სიტყვასთან  
 დაკავშირებით შ. ჩიჯავაძე წერს: „მოყვანილი სტროფის მესამე ტაქტით გა-



მოდის, რომ სიტყვა „ავრეზი“ მცენარის უნაყოფობას აღნიშნავს. მაგრამ საქართველოში მე ისაა, რომ ეს სიტყვა არც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებსა და არც ადრეულ ქართული ენის დიალექტოლოგიურ საუნჯეში არსად არ გვხვდება მცენარის ან ცხოველის უნაყოფობის გამომხატველ ტერმინად“ (გვ. 190). მართლაც, ავტორისავე მითითებით, „ავრეზის“ საბასეული განმარტებაა „ღვინის საწურავი“, ხოლო „დაწურავა“ განმარტებულია, როგორც „ავრეზში ვადენა“. ცხადია, ეს მნიშვნელობა კონტექსტისათვის სრულიად შეუფერებელია. სავსებით მართებულად მიაქცია ყურადღება შ. ჩიჯავაძემ ამ სიტყვის გვერდით მოთავსებულ მეორე ტერმინს „ავრეზი“, რომელიც საბას ზოგ ავტოგრაფულ ნუსხაში განმარტებულია, როგორც „აყვავდეს და ნაყოფი არა ყოს“, ზოგში — „აყვავდეს უნაყოფოდ“, ზოგში კი — „გუარად უნაყოფო ვაზი“. მართებულია ავტორის მიერ ილია ჭყონიას „სიტყვის კონის“ დამოწმება, სადაც „ავრეზი“ განმარტებულია „უნაყოფო ხედ“. ამდენად, ვფიქრობ, უეჭველია მკვლევრის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ჩვენი პოეტის უნებლიე შეცდომა უნდა აიხსნას ან ზანის და ხანის გრაფიკული სიბაზობით, ან „ავრეზის“ და „ავრეზის“ მეტრამეტე გრაფიკულ-ფონეტიკური მსგავსებით, ანდა პოეტისათვის კარგად ცნობილი საგნის — „ავრეზის“ (ღვინის საწურავის) „ავრეზთან“ ასოციაციით“ (გვ. 191).

მართალია, მოსაზრება ცოტა არ იყოს ბუნდოვნად არის გამოთქმული, საკმარისი იყო პირველივე დებულება — „ზანისა“ და „ხანის“ აღრევა, რადგან მეორე (სიტყვების გრაფიკულ-ფონეტიკური მსგავსება) საკმარისი ხშირია და ამდენად ნაკლებსარწმუნო ამ შემთხვევაში, მესამე კი — სრულიად გაუგებარი (როგორ უნდა გამოეწვია კონკრეტულ საგანს — ღვინის საწურის ასოციაცია განყენებული ცნებისა — უნაყოფობისა?). მაგრამ ასეა თუ ისე, სწორია და აუცილებლად გასათვალისწინებელი შ. ჩიჯავაძის დასკვნა: „ამბრიგად, „დავითიანის“ მოყვანილ ტაეში პოეტის უნებლიე შეცდომას თუ გავაწივებთ, ე. ი. ზანს შევეცვლით ხანით. მივიღებთ მხატვრულად და აზრობრივად გამართულ შესანიშნავ ტაეპს: „ვით ბოლოკი მქნა ავრეზი“ (გამოვლემის უნარს მოკლებული და არა ავრეზი ანუ ღვინის საწურავი)“ (იქვე).

რა შეიძლება დავამატოს ზემოთქმულს? მართლაც, „ავრეზი“ უნდა გამოირიცხოს კონტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობის გამო (საბას განმარტებას იმეორებს დავით ჩუბინაშვილი: „ავრეზი — საწურავი მაგ. ღვინისა, цедилка“). მისი განმარტება „დავითიანის“ ლექსიკონებში (1931 — „უნაყოფო ვაზი“, ს. იორდანიშვილის ლექსიკ.; 1955 — „უნაყოფო“, ივ. გოგინეიშვილის ლექსიკ.) ან კონტექსტითაა განპირობებული, ან „ავრეზის“ მნიშვნელობასთანაა აღრეული. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ „ავრეზს“ არაფერი აქვს საერთო უნაყოფობასთან. საბას განმარტების სისწორეს („ღვინის საწურავი“) ადასტურებს ამ სიტყვის ეტიმოლოგია.

„ავრეზი“ სპარსული სიტყვაა (ავრეზ გრძელი „ი“ აქ თვით სპარსულშივე გამოითქმის „ე“-დ, როგორც მიუთითებენ ლექსიკონები ვულერისისა, ჯონსონისა, იაგელოსი — av—rēz) ფონეტიკური ვარიაცია ძირითადი ფორმისა „ავრეზ“ („ავრეზი“), და ნიშნავს (სიტყვასიტყვით — „ავ“ წყალი, „რეზ“ მღვრელი, დაღვრილი): სარწყავი, სათლი, შხაპი, მილი, არხი, საღინარი, საპირფარეშო. ამვე რიგისაა ქართულში შემონახული საწურავი (ღვინისა).

ერთი სიტყვით, ტექსტში ნამდვილად უნდა აღდგეს „ავრეზი“, რომლის საბასეულ განმარტებას მხარს უმაგრებენ, ი. ჭყონიას გარდა, სხვა დიალექტოლოგიური ლექსიკონები (ქართლ. უნაყოფო მიწა). რაც შეეხება „ხ“-ს და „ზ“-ს აღრევას, ამის სრულ საფუძველს „დავითიანის“ ავტოგრაფი იძლევა. დავით გურამიშვილი იმდენად მსგავსად წერს ამ ასოებს, რომ ძნელი სათ-





ქმელია, თვით პოეტს წაუცდა კალამი თუ გამომცემლებმა ვერ ამოგვიცვალეს სწორად ეს სიტყვა<sup>3</sup>. ეს რომ ასეა, მოწმობს ანალოგიური აღრევა ამბავებისა სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, როგორც წესი, დაბეჭდილია „შაზ-თამაზ“ („იძის გამო შაზ-თამაზმა მიიყენა საქმე ძნელი“, 497; „ასე რომე შაზ-თამაზმა საქმე ასე მოიგვარა“, 498; „რა ნადი-ყულ შაზ-თამაზსა საქმის თავი ვერ უნახა“, 501; „რა თამაზ-ხან შაზ-თამაზსა ამისთანა საქმე უყო“, 503; „მოკვდა შაზ-თამაზ ყენნი, მას შვილი დარჩა არც ერთი“, 504; „თამაზ-ხანისებრ სეფური შაზ-თამაზ ვერ ივარჯიშა“, 515; „მან, ნადი-შამან ყენმან, შაზ-თამაზს კნარკვი უთხარა“, 516; „თქვა: „მეც უნდა დამბორკილოს, ვით შაზ-თამაზ დამბორკილა“, 518). ამ რვა მაგალითის ფონზე თითქოს უცნაურად გამოიყურება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დაბეჭდილია „შაზ-თამაზი“ („იჭდა ყენდა შაზ-თამაზ, ძე ძისა შააბაზისა“, 185). აღსანიშნავია, რომ ავტოგრაფში (S 1598) ეს „ზ“ ისევეა დაწერილი, როგორც წინა მაგალითებში „ზ“, ასე რომ უფრო ბუნებრივი იქნებოდა იქაც „შაზ თამაზ“ ფორმა ამოკითხულიყო (თუმცა სპარსული „პ“ ქართულში ან ასევე გადმოდის, ან ივარგება, და ეს კარგად იცის დავით გურამიშვილმა, როდესაც ხმარობს ფორმებს „ნადი-შა, ფადიშა, მაგრამ ამ სიტყვაში „ზ“-დ გადმოცემა დღესაც კი გვხვდება—„შაზ-ნამე“, „შაზ“ ქადრაკში და სხვ.). შეიძლება ამას გული-სხმობდა ვარლამ დონდუა, როცა საგანგებოდ შენიშნა: „შაზ-თამაზ (ასე ხმარობს გურამიშვილი მის სახელს)“ (ვ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 112). ნაბეჭდი გამოცემების მიხედვით გურამიშვილისათვის ჩვეული ფორმაა „შაზ-თამაზ“, რაც შეეცდომა უნდა იყოს.

ზემოთქმულის ფონზე დასაზუსტებელია კორნელი კეკელიძის კომენტარები, სადაც ორივე ეს ფორმა წარმოდგენილი მცდარი დამოწმებით: „შაზ-თამაზ ია, 185. სპარსეთის შაჰი... თამაზ-ყულის (ნადირ-შაჰის) სახელით შაზ-თამაზი გვხვდება კიდევ შემდეგ სტროფებში — 503, 504, 515, 516“ (დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 314). გაუგებარია, რას ნიშნავს „თამაზ-ყულის (ნადირ-შაჰის) სახელით შაზ-თამაზი გვხვდება“... მითითებულ სტროფებში (185-ის გარდა) „შაზ-თამაზია“ ხმარებული, თანაც თავისი და არა სხვისი სახელით. „შაზ-თამაზი ან შაზ-თამაზი ლთ, 497, 498, 501, 503, 515, 516—სპარსეთის მეფე, იხ. განმარტება 185 სტროფისა“ (იქვე, გვ. 317). მითითება არასრულია.

უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში („ავრეხი“) ეს „ზ“ თუ „ზ“ ზუსტად ისევეა დაწერილი, როგორც „შაზ“ თუ „შაზ“, ასე რომ, თუ აღვადგენთ უფრო სწორ ფორმას „შაზ-თამაზი“, უნდა აღვადგინოთ „ავრეხი“ ასეც მოხდა 1980 წლის გამოცემაში (რედ. სარგის ცაიშვილი), სადაც დაბეჭდილია „ავრე[ხი]“ და მითითებულია გასწორების წყარო (შ. ჩიჯავაძის წერილი). მაგრამ მომდევნო გამოცემებში კვლავ „ავრეხი“ გვხვდება. ასეა ტექსტი დაბეჭდილი „ქართულ მწერლობაში“ (ტ. 7, თბ., 1989), ლექსიკონში კი ერთგვარად კომპრომისული განმარტებაა წარმოდგენილი: „ავრე-ზი—ავრეხი, უნაყოფო“.

<sup>3</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ საპირისპირო ვითარება გვაქვს „ხოსროშირინიანის“ ქართული ვერსიის ერთადერთ ხელნაწერში (A 1787), რომლის გადამწერმა „ზ“-ს ნაცვლად „ხ“ გადმოწერა და მით დაამახინჯა ცნობილი პოეტის სახელი: „ჯესე ნიზომიმ შოინდომა“. ვერ კიდევ 1924 წელს კორნელი კეკელიძემ საესეებით სამართლიანად გაასწორა ეს ადგილი: „ქ. ესე ნიზომიმ შოიგონა...“ (ვ. ორ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, ტფ., 1924, გვ. 234). როგორც შემდეგში აღუქსანდრე ბარამიძემ გაარკვია, ეს სიტყვები ეკუთვნის ხოსრო დეჰლევის (XIII ს.), ნიზამის ერთ-ერთ პირველ მიმბაძველს (ა. ლ. ბარამიძე, „ხოსროშირინიანის“. ქართული ვერსიებისათვის, ლიტ. ძეგანი, I, თბ., 1943).



შეიძლება დავასკვნათ, რომ „დავითიანის“ ახალ გამოცემაში ყოველი გველი და კვადრატული ფრჩხილების გარეშე უნდა დაიბეჭდოს „არეხი“!

“ “ “

„ვით ზოლოტი მქნა ავრები, ამაოჟა, ამალერა,  
თესლ-აშრეტით გამაბმო და უნაყოფოდ დამაბერა“.

უკვე ითქვა, ეს სტრიქონები იმ თავიდანაა აღებული, რომელსაც ეწოდება „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“. „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ არავის ისეთი პოეტური ძალით, გულწრფელობითა და უშუალობით არ დაუჩივლია საწუთოს გაუტანლობის გამო (მიუხედავად ამ თემის დიდი პოპულარობისა შუასაუკუნოვან ქართულ მწერლობაში), როგორც დავით გურამისშვილს. სანიმუშოდ გავიხსენოთ რამდენიმე წინა და მომდევნო სტროფი ამ თავიდან:

„ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთოს ჩხუბია,  
ხო აკის არ უნდა, წარიყვანს, ყელზე საბელი უბია,  
მისთვის ესტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა-უბია,  
მე მსურდა ერთი, არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტუუბია“....

ორგემავე არს საწუთო, ხან ნოტიობს, ხან კი გვაღავს,  
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს,  
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისერის, მშვილდს კი მალავს,  
მას დავნატრი, ვინცა სწორედ სელად საწუთოს გზას გაჰკვალავს.

ორს მოაგებს კაცს საწუთო, არა ერთსა დანაჭერებს,  
ხან მოაწყენს, აატირებს, ხან მოაღხენს, ან ამლერებს,  
ერთნაირად განატაროს, ასე არვის დანაბერებს,  
ვით უქმნია მიწა ჰურკულად, ისევე მიწად განამტვერებს.

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქართველითა ზღვისებრ ღელავს,  
უკან დასდევს დრო და ვამი, მის ნაქსელავს ჰსოვს და სთელავს,  
ის მკლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?  
ამად ვსწუწობ საწუთოსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!“.

რა გასაკვირია, თუ ასეთ ვითარებაში შიშით გაფართოებული თვალებით უმზერდა ეული პოეტი წყვილიადით მოცულ მომავალს, როდესაც წამიერ იმედს („მკვდარს რად მედება მე ფასი დიდი“) უსაშველო უიმედობა ენაცვლებოდა:

„მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მალონებსა,  
კოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მაშიფონებსა?  
თუ არ შეეკრებ და არ უძღენი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,  
ცოცხალიც არვის ვახსონვარ, მკვდარს ვინდა მაშიგონებსა?!“

საბედნიეროდ, პირველი წინათგარძნობა ასრულდა და, რაც დრო გადის, მით უფრო დიდი ფასი ედება დავით გურამისშვილის შემოქმედებას. საბედნიეროდ, მეორე იქვი ფუჭი გამოდგა, მას, როგორც ცოცხალს, იგონებენ ყველგან, სადაც ფასობს ჭეშმარიტი პოეტური სიტყვა, მით უფრო, მის სამშობლოში. არა მარტო ყრმათათვის გამიზნულმა ია-ვარდის კონებმა გაუძღეს ზამთრის ყინვასა და ზაფხულის ხვატს, ისინი ვერ მოცელა „მკლე კაცის“ ცელმა, დღესაც აფრქვევენ სურნელებს და იყვავილებენ მანამ, ვიდრე იცოცხლებს ქართული ენა, ვიდრე იარსებებს საქართველო!

А. А. ГВАХАРИЯ

РАЗМЫШЛЕНИЯ О ДАВИДЕ ГУРАМИШВИЛИ  
ИЛИ  
ПУТЕШЕСТВИЕ ПО СТРАНИЦАМ „ДАВИТИАНИ“

(К 200-летию со дня смерти)

Резюме

Несмотря на ряд исследований, посвященных творчеству великого грузинского поэта Давида Гурамишвили (1705—1792), страницы дошедшей до нас в автографе поэтической исповеди „Давитиани“ („Давидова книга“ либо „Книга о Давиде“) все еще хранят немало таинственных загадок. В статье сделана попытка разъяснить некоторые из них с точки зрения востоковеда. Тут и типологическое сходство сюжета поэмы „Веселая весна“ с одной из повелл Низами, и отражение восточных реалий в этом глубоко христианском сборнике, и вопросы мистической любви, и текстологические проблемы, связанные с восточной лексикой. Ведь Давид Гурамишвили был воспитанником поэтической школы Вахтанга VI, которому принадлежит большая заслуга в деле дальнейшего развития грузинско-персидских литературных связей.

## რუსულად თურნავა

სერვანტესის „დონ კიხოტ ლამანჩელი“ და დ. კლდიაშვილის  
 აზნაურული რეალის მოთხრობები

## (შედარებით-ტიპოლოგიური ასპექტი)

„ძვალი და ტყავი  
 თორ-აბჯარში გამოხლართული,  
 მარადი მგზავრი,  
 სევდიანი მუდამ ივრით  
 ხარ ტყვილამდე ახლობელი  
 რალაც ქართულით.  
 ვით იმერელო აზნაური, გუდამშიერი!  
 ჩემო შემოლილო მეგობარო,  
 გემშვიდობები!  
 მეც ცხვირპირიდან სიმწრის ძმარი  
 ისევ მაღინეს!  
 ვერა გავიგე  
 ამა სოფლის წაგებ-მოგების,  
 თუმც სიბერემდე,  
 როგორც შეეძელ, ვიშერმაღინე!“

რეზო ამაშუკელი —  
 ციკლიდან „დონ კიხოტი — ჩემი მგზავრი“.

ესპანური განვითარებული აღორძინების ლიტერატურის მწვერვალს —  
 სერვანტესის „დონ კიხოტ ლამანჩელს“ („El Ingenioso Hidalgo Don Quijote  
 de la Mancha) და დავით ლდიაშვილის აზნაურული რეალის მოთხრობებს თითქმის  
 სამი საუკუნე აშორებს ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, მათ აერთიანებთ  
 რეალისტური პროზის არსებითი თავისებურებანი.

თავდაპირველად ესპანელმა ჰუმანისტმა რეალისტური ელემენტები შე-  
 იტანა თავის პასტორალურ რომანში „გალატეა“, მაგრამ ამას არ მოჰყოლია  
 განსაკუთრებული წარმატება. შემდეგ „სამომღვრებო ნოველებსა“ და „დონ  
 კიხოტში“ — რენესანსის ესპანური კულტურის ამ სინთეზში — გამოჩნდა  
 მისი როგორც შესანიშნავი რეალისტის მთელი შესაძლებლობანი.

ცნობილია, რომ პიკარესკული ლიტერატურა ვერ მალღებოდა თავისუ-  
 ფალი და სულიერად მდიდარი პიროვნების იდეალამდე. აღნიშნულ ქანრში  
 ყოფითი მოვლენების ჰუმარიტება არ ერწყმოდა პერსონაჟის შინაგან სამყა-  
 რს, მისი ხასიათის ფსიქოლოგიურად ჩვენებას. სწორედ ეს ნაკლი იქნა დაძ-  
 ლეული „დონ კიხოტ ლამანჩელით“ მე-16—17 საუკუნეების მიჯნაზე.

„დონ კიხოტის“ მრავალფეროვანი სიუჟეტი გაშლილია ურიცხვ რაინდულ  
 თავგადასავალში, ამ გზით შექმნილია ეპოქის ამსახველი დიდი რეალისტური  
 ნაწარმოები, რომლის მსგავსი არაფერი მოუცია წინა პერიოდის ესპანურ ლი-  
 ტერატურას.

როგორც პაროდის შემქმნელს, სერვანტესს ჰყავდა წინამორბედები ეკ-  
 როპის ლიტერატურაში რაბლეს, პულჩის, არიოსტოს და სხვების სახით; მაგ-



დონ კიხოტი ესპანეთის აზნაურობის განმასახიერებელი მეტად განზოგადებული ვროტესკულ-რეალისტური ტიპია. მისი რეალისტურობის საკითხის გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რატომ დასჭირდა აეტორს ამ სახის დახატვა ფსიქიკური ანორმალობის ნიშნებით და რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს.

მე-16 საუკუნის უკანასკნელი მესამედი ესპანელი ხალხის ცხოვრებაში დიდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დასაწყისი იყო. საფრთხის წინაშე იდგა ყველა სოციალური ფენა და კლასი. ეს გარემოება ასაზრდოებდა საყოველთაო იმედგაცრუებას და იწვევდა ფსიქიკური წონასწორობის დარღვევასაც. შექმნილი ვითარება აღბეჭდილია იმდროინდელ ესპანურ ლიტერატურაში და, ცხადია, იგი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ამ ფიზიკურ რეალისტს. ამდენად, დონ კიხოტის გონებრივ მდგომარეობაში არ არის ისეთი ნიშნები, რაც ზიანს მიაყენებდა სახის რეალისტურ ხასიათს.

არსებობს სხვა თვალსაზრისიც: შესაძლებელია, სერვანტესმა საგანგებოდ დახატა დონ კიხოტი შეშლილად, მისი პირით თავისუფლად რომ გაეკრიტიკებინა არსებული სინამდვილე. ალორძინების ეპოქაში ხომ გავრცელებული იყო ამგვარი ქანრი, რომელსაც გერმანიაში „სულელების ლიტერატურა“ ეწოდებოდა.

რაც შეეხება მეორე მთავარ პერსონაჟს — სანჩო პანსას, იგი ასევე ფართო განზოგადებით შექმნილი რეალისტური სახეა ფეოდალური წყობილების ესპანელი დაბეჩავებული გლეხისა. მის გონებასახვილობაში, გლეხურ დემოკრატიზმსა და უბრალოებაში, ბუნებრივ ნიჭში, მესაკუთრულ მისწრაფებასა და სხვა მრავალ დადებით თუ უარყოფით თვისებაში გამოხატულია ესპანეთის გლეხთა მასების ყოველგვარი ეროვნული ნიშანი და ფსიქოლოგია.

ამგვარად, სერვანტესმა „დონ კიხოტ ლამანჩელით“ სათავე დაუდო ახალი დროის რომანს.

დავით კლდიაშვილმა, თავის მხრივ, ეგნატე ნინოშვილთან და შიო არაგვისპირელთან ერთად თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული კლასიკური რეალიზმი, შექმნა ფსიქოლოგიური და ინდივიდუალიზებული ხასიათები.

„ქართულ მწერლობაში დავით კლდიაშვილმა დაამკვიდრა ე. წ. მხატვრული ასახვის ობიექტივისტური სტილი. მან მინიმუმამდე შეამცირა წინარე ისტორიები, პერსონაჟთა პირდაპირი პორტრეტული დახასიათებანი, უარყო ყოფისა და პეიზაჟის ვრცელი აღწერილობა.

დ. კლდიაშვილი არჩევს „დახატოს“ პერსონაჟი, „აჩვენოს“ იგი თავისი საქციელით, მეტყველებით, გარეგნობით და არა მოგვითხროს მასზე“<sup>1</sup>.

მაშასადამე, ქართველი მწერალი, მოპასანის სიტყვებით თუ ვიტყვით, იმდენად ძლიერი „ილუზიონისტია“, რომ მისი ნაწარმოები მკითხველს ერთი შეხედვით უბრალო, შიშველ სინამდვილედ შეიძლება მოეჩვენოს. სერვანტესი არ მისდევს ამგვარი მაქსიმალური ობიექტურობის ხერხს, მაგრამ რეალისტური მხატვრული მეთოდი მისი შემოქმედებითი მრწამსის დასაყრდენია. „ყველა მოგონილი ამბავი იმდენად უკეთესია, რამდენადაც ნაკლებ ჰგავს მოგო-

<sup>1</sup> ბ. ბარდაველიძე, დავით კლდიაშვილის მხატვრული პროზა, თბ., 1981 გვ. 321—322.

<sup>2</sup> Guy de Maupassant, Le Roman,—dans le livre: Pierre et Gean, Paris, Paul Ollendorff, Éditeur, 1888, გვ. XVII—XVIII.

ნის, და იმდენად უფრო სასიამოვნოა და მოსწონს მკითხველებს, რამდენადაც უფრო მართალს მიემსგავსება. მოვინიღმა ამბავმა მკითხველს აზრი უნდა აღუძრას. იგი ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შეუძლებელს შესაძლებლად ზდიდეს, ყველა ახირებული უსწორმასწორობისაგან გაწმენდილი და გასუფთავებული უნდა იყოს, ისე რომ მკითხველის ყურადღება მიიპყროს, იგი სინამდვილედ სწამდეს, თანაც ალტაცებას, გაოცებასა და კმაყოფილებას გვრიდეს და სტებებოდეს კიდევ, — ურჩევს მწერლებს „ღონ კიხოტის“ ავტორი და აქედან ნათლად ჩანს, რომ იგი საკმაოდ ახლოს დგას კლდიაშვილისეულ ობიექტივისტურ მეთოდთან.

ცხადია, „ღონ კიხოტ ლამანჩელი“ და კლდიაშვილის აზნაურული რჯალის მოთხრობები წარმოადგენენ მოგზაურული ჟანრის რეალისტური პროზის ნიმუშებს, სადაც სინამდვილესთან მაქსიმალური მსგავსების და სტილური სიანადვის პრინციპებზე დაყრდნობით დახატულია ესპანური და ქართული სოფელი ბატონყმურ-მემამულური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების პირობებში; ნაჩვენებია სოფლის აზნაურობისა და გლეხობის სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელია რომანისა და მოთხრობების ერთმანეთთან შედარება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: მრავალი ლიტერატურათმცოდნის მიერ გაზიარებული თვალსაზრისის თანახმად, დ. კლდიაშვილის მოთხრობები, რომლებიც ასახვენ უსახსრო, ბედისაგან განწირული აზნაურების ცხოვრებას, შეიძლება განხილულ იქნეს ერთი ფართო მხატვრული ტილოს ორგანულ ნაწილებად. ჯერ კიდევ კიტა აბაშიძე მიუთითებდა, რომ აღნიშნული მოთხრობები ქმნიან „გალატაკებულ და გაკოტრებულ აზნაურობის ეპოპეას“; ამასთანავე, მათ შორის არის ორი რომანული მოთხრობა („სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ქამუშაძის გაჭირება“). აქედან გამომდინარე, გამართლებულია, ეს მოთხრობები, ერთად აღებული, შედარდეს „ღონ კიხოტს“.

რაც შეეხება მოგზაურობის ჟანრს, იგი ფრიად გავრცელებულია მსოფლიო ლიტერატურაში. მოგზაურობას, როგორც ლიტერატურის უძველეს საუწყეს, ქართულ მწერლობაშიც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. დ. კლდიაშვილს შეეძლო გაეთვალისწინებინა ამ ჟანრის უცხოური თუ მშობლიური ლიტერატურის მონაპოვარი. მის მოთხრობებში მოგზაურობა გამოყენებულია სიუჟეტის ერთ-ერთ საყრდენად ან თემატურ მოტივად. „სამანიშვილის დედინაცვალი“ მოგზაურობას აქვს საგანგებო დანიშნულება — განსაზღვრავდეს ამ რომანული მოთხრობის ჟანრს.

დ. კლდიაშვილის პერსონაჟები ძალიან ბევრს დადიან. სიარულში ეცნობიან ისინი ერთმანეთს. მგზავრების საუბრებში მელანდებდა მათი შეხედულებები და ხასიათები, იხატება ბარის იმერეთის ხედები, მტვრიანი შარავნები და ორღობეები. ასე იქმნება კლდიაშვილისეული ორიგინალური კოლორიტი.

კიდევ უფრო გრძელია „ღონ კიხოტის“ მოქმედი გმირების მიერ გავლელი გზები. ისინი მოიცავენ ესპანეთის უდიდეს ნაწილს, ქვეყნის სოფლებსა და დაბებს, ქალაქებს, ტყე-ველს, უდაბურ მთებსა და უღრან ხეობებს, მდინარეების, ტბებისა და ზღვის ნაპირებს. ამ გზებზე მოგზაურობს 670-მდე კაცი, რომელთა ხასიათი თანდათანობით იკვეთება სივრცის გადალახვის კვალობაზე. ისმის ათობით ცხენის, ვირისა და ჯორის ფლოქვების თქარათქარი. სერვანტესი მსუყე ფერებით ქმნის ესპანურ კოლორიტს, თუმცა ყოველი აღწერილობა ლაკონურია რომანის მასშტაბებთან შედარებით.



ავტულების თვალსაზრისით პარალელების გავლება შეიძლება შეიძლოს რომანულ მოთხრობებსა („სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაობა“) და „დონ კიხოტი“ შორის. სამივე ნაწარმოები ერთი სიუჟეტით გაერთიანებულ ეპოზოდებადაა დაყოფილი, მაშასადამე, მოიცავს მთავარ და პარალელურ სიუჟეტებს. სერვანტესი დონ კიხოტის ფაფურაქების პარალელურად გადმოგვცემს მწყემსების და ტყვედნამყოფის თავგადასავლებს, ჩართული აქვს ლიტერატურულ-ჟიროტიკული პასაჟები.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ სამანიშვილების ოჯახის გარდა აზნაურთა სხვა ოჯახების ისტორიაც არის მოთხრობილი, მაგრამ მთავარია მინც პლატონის მოგზაურობა მასვლის რაიონში. „ქამუშაობის გაჭირვება“ ასევე მრავალ პარალელურ სიუჟეტს შეიცავს, მიუხედავად ამისა ყველა ეპოზოდს გასდევს დამთრგუნველი გაჭირვების შეგრძნება, როგორც მთავარი მოტივი.

„დონ კიხოტი“ ძირითადად მონოლოგების, დიალოგების და პოლილოგებისაგან შედგება. მასში მოცემული აღწერილობანი, ყანრის თავისებურებათუ გაეითვალისწინებთ, არ უნდა მივიჩნიოთ ვრცლად. ავტორ-მოთხრობელის ნაამბობი არ არის გრძელი და ხშირი. ასე რომ, მწერალი უმეტესად პერსონაჟებს არის ამოფარებული. ამ მხრივ უფრო დახვეწილი კლდიაშვილის მოთხრობები, სადაც ძალიან მოკლეა აღწერილობები და ავტორის პირდაპირი სიტყვა. ეს საესებით გასაგებია, რამეთუ აღორძინების ეპოქის შემდეგ რეალიზმი მეტად ინტელექტუალური, ღრმად გააზრებული გახდა, დაშორდა პირვანდელ გულბრყვილო სახეს, კერძოდ. კლდიაშვილის მოღვაწეობის პერიოდში ე. წ. ობიექტივისტური რეალიზმის მეთოდია გაბატონებული.

სოციალურ-ეკონომიკური პირობები ესპანეთში მე-16—17 საუკუნეებში მიჯნავს და საქართველოში მე-19 საუკუნის დასასრულს, მიუხედავად ასეთი დაშორებისა დროში, მინც ჰგავს ერთმანეთს. დასახელებულ პერიოდში ესპანეთში პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეობის შემდეგ დაიწყო ღრმა კრიზისი. ხელისუფლების დაუდევრობის გამო ნადგურდებოდა მატერიალური ფასეულობანი სანაცვლოდ კი არ იქმნებოდა ახალი, დიდი წინააღმდეგობები ხდებოდა კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის დამკვიდრებას, რომელსაც უნდა შეეცვალა ფეოდალურ-სასაქონლო ურთიერთობა. ეს პროცესი მიმდინარეობდა მტკიცეულად: წარმოების ახალი წესისთვის გზის გადღობვა იწვევდა უკიდურეს სიღარიბეს, ხოლო ხელისუფლების უზნეობა—ქვეყნის სულიერ დაცემას.

ასევე რთული და მძიმე იყო ძველი მეურნეობის ნგრევისა და ახლის შექმნის პირობები მე-19 საუკუნის დამლევს საქართველოში: ვერ ვითარდებოდა წარმოება, რუსეთის ბატონობის უღელქვეშ მოქცეული, საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული ქვეყანა საშინლად იძარცვებოდა, მით უმეტეს, რომ დამპყრობელი წარმოადგენდა ჩამორჩენილ სახელმწიფოს.

მითითებული ერთმანეთის მსგავსი გარემოებები იწვევდა გლახობისა და წვრილი მემამულეების იმ საშინელ მატერიალურ და სულიერ შეჭირვებას, რაც ორივე მწერალმა შთამბეჭდავად ასახა. მათ თვალსაჩინოდ გამოავლინეს აზნაურების უნიათობა შექმნილ მძიმე ვითარებაში. არც სერვანტესი, არც კლდიაშვილი არ შეხებია ეპოქის პოლიტიკურ მოვლენებს: სამშობლოს ყოფაცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მხარეების ჩვენებით მათ მკაცრი განაჩენი გამოუტანეს საქართველოსა და ესპანეთში გაბატონებულ პოლიტიკურ ძალებს. ამ თვალსაზრისით სერვანტესის „დონ კიხოტი“ იმდენად რეალისტურია, რომ ბ. ბელინსკი მას ისტორიულ რომანს უწოდებს.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზნაურთა მდგომარეობას ქართულ და ენაწიკნულში პანურ საზოგადოებაში ისტორიულად მსგავსი პირობები ქმნიდა. ამას ემატებოდა ზოგიერთი ბუნებრივი და ეთნიკური მომენტიც.

ისტორიკოსების აზრით, აზნაურობის საკითხი ქართული სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც სათანადოდ არ შეუსწავლიათ. ბ. ბარდაველიძის წიგნში — „დავით კლდიაშვილის მხატვრული პროზა“ (თბ., 1981) ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას შრომების მიხედვით გადმოცემულია ქართველი აზნაურობის ისტორია და ე. წ. „აზნაურული ხასიათის“ ჩამოყალიბების პირობები, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია ესპანურ იდალგიასთან საფუძვლიანი შედარებისთვის.

ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის საქართველოში დამოუკიდებელი, თავის სამკვიდრო მამულებზე მსხდომი აზნაურები აღარ არსებობენ, — აღნიშნავენ ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიკოსები, — აზნაურები არიან მეფის, ეკლესიის ან სათავადო, აზნაურთა უმრავლესობა წვრილი მემამულეა. მათ ქონებას შეადგენს პატრონის მიერ ნაწყალობევი ყმა-მამული. აზნაურები უპირატესად ადმინისტრაციული ან სამეურნეო-ადმინისტრაციული მოხელენი არიან. მათვე ეკისრებათ მძიმე სამხედრო მოვალეობა და პატრონის ხლება. როგორც ლაშქრობა, ისე ხლება გარკვეული წესით სრულდება და დიდ ხარჯებს მოითხოვს. აზნაურთა უმრავლესობა მცირე მამულიანია.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ე. წ. „აზნაურული ხასიათი“, რომელიც ქართული ეროვნული ხასიათის ნაწილად იქცა თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. აზნაურული ხასიათის გამომხატველი ნიშნებია: 1. წოდებრივი სიამაყის ზღვარგადასული გრძნობა, როგორც ცნობილია, აზნაურები მე-14 საუკუნის ბოლოს გამოეყვნენ „დიდ“, „დიდებულ“ აზნაურებს. ეს უკანასკნელნი იქცნენ თავადებად — პატრონებად. ამიტომ ხშირად ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები თავადებიც იყვნენ და აზნაურებიც. აზნაურს თაობიდან თაობაში გადაეცემოდა ხსოვნა და სწრაფვა თავადობისადმი. აქედან მომდინარეობს მისი უკიდურესი პატივმოყვარეობა. იგი ცდილობს კვლავ დაიბრუნოს მალალი წოდება — თავადობა. ამისათვის ან ომებში უნდა გამოიჩინოს თავი ან მლიქვნელობას მიჰყოს ხელი. ეს განაპირობებს მისი ბუნების ორმაგობას — ამაღლებულ-გმირულს და მლიქვნელურ-ლალატიანს. 2. აზნაური მოლაშქრე იყო, მხედარი, მეომარი და მონადირე. მას უყვარს მოგზაურობა, ხიფათი, თავგადასავალი. აქ მისი ერთგული მოკავშირეებია: ცხენი, იარაღი, საჭურველი. აზნაური მუდამ ხლებისტისაა გამზადებული: სავარჯიშოდ აცვია, შეკაზმული ჰყავს ცხენი, უყვარს და უფრთხილდება იარაღს. ამიტომ აზნაური მუდამ „გადაპრანჭულია“. 3. თუ ლაშქრობაში ან ნადირობაში მონაწილეობა არ შეეძოხვა ანდა დაუგვიანდა, იგი თვითონ იგონებს ხიფათს, თავგადასავალს, ვმრობას. აქედან: ყალბი თავმოყმონეობა, მოჩვენებითი ვაჟკაცობა — ყოყონობა, ტრახახი, საკუთარი დამსახურების გაზვიადება, კულაბზიკობა.

თუ ვინმემ ეჭვი შეიტანა მის ვაჟკაცობაში, არ მოერიდება ჩხუბსა და აყალბაყალს. „აზნაურობა მიყვარდა, გვერდზე დახურვა ქუდისა, სოფელში გავლა-გამოვლა. ყველგან ატეხა ჩხუბისა“, — ნათქვამია ხალხურ ლექსში. 4. რაკი აზნაური მცირემიწიანია ან სულაც უმიწო, იგი უფრო ხშირად საალიდან წასული კაცია, არ უყვარს მეურნის შრომა, თუმცა წვრილმემამულურ ურთიერთობაშია ჩაბმული. მეფესთან და თავადთან დაახლოებულს ეთაკილება კიდევ თოხი და გუთანი, არც საამისო ჩვევები გააჩნია. ამიტომ „გუ-





დამშვირთა“<sup>3</sup>, თვალი სხვის ლუქმაზე უჭირავს. 5. რადგან ძალზე გამაზრდებელი ბული აქვს საკუთარი ღირსების გრძობა, არცთუ იშვიათად მედიდურობაში რომ გადადის, აზნაური უადრესად ზრდილია, გარკვეული შთამომავლობით ეთიკის მიმყოლია. „აზნაურული თავმოყვარეობა“, „აზნაურული ზრდილობა“—თაობიდან თაობაში გარდამავალ ზნეობრივ ტრადიციას გულისხმობს და ერთ-ერთი უმთავრესი წოდებრივი ნიშანია: „ქორო ფრინვა ვინ გასწავლა, შავარდენო ნადირობა, გლეხო კაცო — მუშაობა, აზნაურო — გაზრდილობა?“<sup>4</sup> 6. არცთუ იშვიათად აზნაური ორი ბატონის მსახურია. ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის, გამთიშველ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლებში სამეფო ხელისუფლება ხშირად დაყრდნობია აზნაურებს.

ასევე, თავადები და მთავრები არეულ დროში „თავის“ აზნაურებს იყენებდნენ მტრისა თუ მოყვრის, გარეშესა და შინაურის წინააღმდეგ. ამიტომ იგი ფრთხილია, ექვიანია, ხანაც კი—ცრუ და ორბირი.

ზემოთ ჩამოთვლილი ქართული აზნაურული ხასიათის ნიშნები, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, სავსებით ესადაგება ლამანჩელი მწუხარე სახის რაინდის ხასიათს. მსგავსია ჯერევე ქართველი და ესპანელი აზნაურობის წარმოშობის ისტორია. ესპანეთშიც აზნაურები წარმოშობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფილნენ: ერთნი მეფე-მთავრების ჩამომავლობისა იყვნენ, მეორენი კი მდაბიოთა შთამომავალნი, ამიტომ აზნაურები მუდამ ცდილობდნენ წოდებრივი საფეხურის შენარჩუნებას ანდა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას: „ერთნი იმად გამხდარან, რანიც არ ყოფილან, ხოლო მეორენი ის ყოფილან, რაც ახლა აღარ არიან“. მაშასადამე, ესპანეთში, როგორც საქართველოში, განუწყვეტლოვ მიმდინარეობდა აზნაურების გადაადგილება წოდებრივ კიბეზე. უფრო მეტი სისუსტისათვის თავად დონ კიხოტს „მოუესმინოთ“, რომელიც სანჩოს ასე უხსნის ამ საკითხს: „უნდა გითხრა, სანჩო, საგვარეულო შტო და აზნაურობა ორნაირია: ერთნი—მეფეებისა და მთავრებისაგან სწარმოებეს, და რამდენიც ძირს ჩამოდის, იმდენი წვრილდება, ასე რომ განიერი ძირიდან წარმომავალი, ბოლოს, გადმობრუნებული პირამიდის მსგავსად, წერტილის ოდენა ხდება. მეორენი კი მდაბიო და უჩინარი წინაპრისაგან წარმომდგარან და შემდეგში საფეხურიდან საფეხურზე ზევით ვერ აღიან, ვიდრე სახელოვანნი არ შეიქმნებიან, მერე კი თანდათან ზევით იწევენ: სახელსა და დიდებას იძენენ. ამგვარად, სანჩო, ერთნი იმად გამხდარან, რანიც არ ყოფილან, ხოლო მეორენი ის ყოფილან, რაც ახლა აღარ არიან. და რადგანაც მე ვინ იცის, იმ მეორე რიგს ვეკუთვნი, ურიგო არ იქნებოდა ჩემი ოდესმე დიდი გამოჩენილი გვარის სახელოვნება დამტკიცდეს და ჩემი სასიამაო მეფე დაკმაყოფილოს“<sup>3</sup>.

ცხადია, დონ კიხოტი მაღალი ზნეობის ადამიანია, მას არა აქვს მონურა ან ფარსევლური ბუნება. სიცრუე და ორბირობა მისგან ისევე შორს არის, როგორც ციდან დედაამაწა: მართალია, ხშირად მშვიერია, მაგრამ სხვისი პურ-მარლისკენ არ უჭირავს თვალი. სწორედ ამაში მდგომარეობს მთავარი განსხვავება კლდიაშვილის აზნაურებსა და დონ კიხოტს შორის. ისინი ეკონომიურად და სოციალურად ერთნაირ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ლამანჩელი რაინდს ჯერ არ დაუკარგავს სულიერი სისპეტაკე. იგი მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგული რჩება. რაინდული კეთილშობილება მისთვის მხოლოდ წოდებრივი უპირატესობით არ გამოიხატება, დონ კიხოტი რაინდობის ზნეობრივი კოდექსის მამაცი დამცველია. მაგრამ მხოლოდ რწმენით; ოცნა-

3 მ. ლ. სერვანტეს საავედრა, მახვილგონიერი იდავო დონ კიხოტ ლამანჩელი, წიგნი I, თბ., 1991, გვ. 220.



ბობს ქვეყნად ყველა დაჩაგრულის გაბედნიერებაზე. ქართველი პროზაიკოსებისთვის სის მიერ დახატულ აზნაურებს კი უკვე დაუქარავთ ზნეობრივი სიმტკიცე და შეუვალობა. მათი სიტყვა უკვე აღარ არის რაინდის სიტყვა. კაპიტალიზმის პირობებთან შეუგუებლობას, რასაც მოსდევს ზღმოკლეობა, ტყუილებისა და გაიძვერობისაკენ შემოუბრუნებია ისინი; ლუკმაპურის დაკარგვის შიშით უკადრებელსაც კადრულობენ, მაგრამ დროდადრო სინდისიც ქენჯნით, სხვისი გასაჭირიც ახსოვთ, მოყვასის შებრალებაც შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, რ გააჩნიათ სხვისი ბედნიერებისთვის ბრძოლის სულისკვეთება, კაცობრიობის კეთილდღეობაზე, სამართლიანობის აღდგენაზე ოცნების ძალა მათ არ შესწევთ.

ვეთანხმებით რა გ. ასათიანის თვალსაზრისს, რომ „...პლატონი და კირილე სწორედ იმ სულიერი ფორმაციის, იმ ფსიქოლოგიური მოდემის ნაბოლარები არიან, რომლის სოციალურ-ზნეობრივი აღზევების ზენიტზე ტარელისა და ავთანდილის იდეალური სახეები აღმოცენდნენ. ამის გამო მათ შეგნებაში და მოქმედებაში ყველაფერი გადაგვარებული, ნაკლული, სავალალოდ ნირშეცვლილი სახით წარმართება“<sup>4</sup>. ჩვენს შემთხვევაში ტიპოლოგიის პრობლემის გადაწყვეტა ასე წარმოგვიდგება: კლდიაშვილის აზნაურთა ყოფა ზოგადად შეიძლება განხილულ იქნეს როგორც არა ლიტერატურული, არამედ ცხოვრებისეული პაროდია დონკიხოტოზე. ამ ცხოვრებისეულ პაროდიაში დონ კიხოტის კეთილშობილური, რაინდული ოცნება საყოველთაო სამართლიანობისა და კეთილდღეობის დამყარებაზე, „სავალალოდ ნირშეცვლილია“, თითქმის ამოუცნობია, ვადაქვეყნულია ოცნებად ლუკმაპურის შოვნასა და არსებობის შენარჩუნებაზე. ამდენად, თუ დონ კიხოტის მდგომარეობა დრამატულია, ქართველ აზნაურთა მხატვრული სახეები დგანან დრამატულისა და ტრაგიკულის მიჯნაზე. „შემოდგომის აზნაურებს“ ესპანელ რაინდთან აახლოებს დაუოკებელი ლტოლვა ამაღლებულისაკენ, ზემოქრობისაკენ,—ერთგვარი არტისტიზმი. ეს არის ქართველი აზნაურების არსებობის, თვითდამკვიდრების ფორმა და არა ნილაბი, მათი რწმენის გამოხატულება. ისევე როგორც ლომთა რაინდს ღრმად სჭერა თავისი მკლავის სიძლიერისა და „გმირულ საქმეთა“ სიღაღისა, ზოგიერთი აზნაური, მაგალითად კირილე მიმინოშვილი, ბეკინა სამანიშვილი, ეკვირინე სანიციძე, ვერც კი ამჩნევს, რომ სავალალო მდგომარეობაში იმყოფება, მაინც ოცნებით, კეთილდღეობის რწმენით ცხოვრობს. ამათგან განსხვავებით, ისინი, ვინც გრძნობს გასაჭირს — პლატონ სამანიშვილი, სოლომან მორბელაძე, ოტია ქამუშაძე, არსებულ პირობებთან ბრძოლის უსუსურ და სასაცილო ფორმებს ირჩევენ, ისე როგორც დონ კიხოტი ებრძვის უსამართლობას დამტკრეულ-დაჯანგებული იარაღით. ცხადია, უშედეგოდ და ხშირად დაზარალებულის საზიანოდაც. მართალია ქართველ პერსონაჟებს, დონ კიხოტისაგან განსხვავებით, ზოგადასაკაცობრიო იდეალები არ ამოძრავებთ, მაგრამ მათი გასაჭირი იმდენად საყოველთაო და ზოგადადამიანურია, რომ თითოეული მათგანის უნიათო მცდელობა თავის გადარჩენისა მწერლის მიერ წარმოჩენილია როგორც განსაკუთრებული მყოფი ადამიანის ბრძოლა სიცოცხლისათვის და ამდენად თანაგრძნობას იმსახურებს. დონ კიხოტის, ბეკინას, პლატონის, კირილეს, სოლომანის, ეკვირინეს, ოტიას, როსტომის ტრაგედია ერთ ნიდადაზეა წარმოშობილი, სახელდობრ, ეს არის მათი სრული უუნარობა სწორად შეაფასონ მოვლენები და იცხოვრონ ბურჟუაზიული საზოგადოების წესით.

4 გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988, გვ. 498—502.

3. მაყენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 3—4.



წაწალისაგან დაოსებულ და საკუთარი ტყუილების მახეში გაბმულ ლომან მორბელადეს მოთხრობის დასასრულს ვხედავთ ადამიანების უბედურებაზე დაფიქრებულს. ცნობილ მონოლოგში იგი გამოხატავს სხვებისადმი თანაგრძნობას და პროტესტს ასეთი უზნეო ცხოვრების წინააღმდეგ.

დ. კლდიაშვილის მიერ პლატონ სამანიშვილის შესახებ გამოთქმული აზრი კარგად მიესადაგება მის „შემოდგომის აზნაურთა“ უმრავლესობას და თავად ლამაზჩელ რაინდსაც: „სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“. განა შესაბრალოსი არ არის მეჯორეებისა თუ მეჯიგებისაგან დაბევილი, შუბლზე კოპებდასმული, მეცხვარეებისაგან კბილებ-ჩამტვრეული და მიწაზე გართხმული დონ კიხოტი?

როგორც ქართველი, ასევე ესპანელი მწერალი, თავისი პერსონაჟების მიმართ ხშირად იყენებს ეპითეტს — „საბრალო“, რაშიც ვლინდება თანაღმობა ცხოვრების ობიექტური, მაგრამ უღმობელი კანონების მიერ ტყინებად გადაქცეული ადამიანებისადმი. საბრალოა დამშეული სოლომანი, სადავიდარაბო მამულობით რომ ცდილობს თავის რჩენას. კლდიაშვილის ჰუმანიტური მსოფლმხედველობა ვლინდება აგრეთვე ბესარიონ საქარაძისა და სოლომანის სასოწარკვეთილებით აღბეჭდილ დიალოგში, რომელიც საყოველთაო გაჭირვებაზე მეტყველებს.

დონ კიხოტისა და სანჩოს შებრალებას მოითხოვს სერვანტესი, თვითონ, როგორც ავტორ-მოთხრობელი, ზოგჯერ კი — სხვა პერსონაჟების პირით. აბრე-შუმით მოვაჭრეებსაც კი შეეცოდათ გულფიცხი მეჯორისაგან გვერდებანთებული დონ კიხოტი: „ვაჭრები მეჯორეს ამოდ ეძახდნენ, თავი დაენებებინა საბრალო რაინდისათვის: მაგრამ, რადგან მეტად წახალისდა ცემით, მათ აღარ უსმენდა. „მეზობელმა გლენხმა მიწაზე დავარდნილი რომ დაინახა მომავალი ლომთა რაინდი, თავდაპირველად ვერ იცნო და დაუძახა: „ვინა ხარ და რა სატყვიარი დაგმართნია, რომ ეგრე საცოდავად ჰვინავო?“».

როცა დონ კიხოტმა სანჩოს ჰკითხა, მწუხარე სახის რაინდი რატომ მიწოდო, ამ უკანასკნელმა ასე აუხსნა: „...ბერების მაშალათა შუქზე უცებ შემოგხედდეთ და თქვენი სახე ისეთი საცოდავი და საბრალო მეჩვენა, რომ იმ სახისა ჯერ არსად მინახიხართ. ამას წინათ რომ ეცმა-ტყეპა გამოვიარეთ და მერე კიდევ კბილები ჩავიმტვრიეს, ალბათ იმის გამო დაგედოთ ასეთი სახე“.

ხასიათების ხატვის თვალსაზრისით ორივე მწერალი იშვიათ ოსტატობას ავლენს. კლდიაშვილის ხასიათები ღრმად რეალისტურია და ამავე დროს სოციალურ-ფსიქოლოგიური. მისი პერსონაჟების უმრავლესობას ჰყავს პროტოტიპები, მაგრამ იგი მრავალი თვისებიდან და დეტალიდან ირჩევს მხოლოდ არსებითს, რაც სახეს მატებს როგორც მხატვრულობას, ისე რეალისტურობას. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“ და გლეხები ხშირად ერთი სოფლის მკვიდრნი ან ერთი ოჯახის წევრები არიან, ერთნაირ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ თითოეული მათგანი დამოუკიდებელი პიროვნებაა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებებით.

დონ კიხოტი მეტად განზოგადებული ტიპია. მისი პროტოტიპების თაბაზე არ არსებობს ცნობები, მაგრამ ისტორიულად დადასტურებულია, რომ იმ ეპოქაში არსებობდნენ რაინდული რომანების კითხვისაგან გონებადაბნელებული ადამიანები. ესპანეთის ხელისუფალნი იბრძოდნენ ამ „სენის“ წინააღმდეგ, რომელმაც შრომას ჩამოაცილა, მატერიალურად და სულიერად დასცა საზოგადოება. ლომთა რაინდი ისეთივე თავმომწონე და ამპარტავანია, როგორც ბეკინა და პლატონ სამანიშვილები. სარდიონ ქველიძე და მისი მეუღლე, ეკვირინე სანიკიძე, კირილე მიმინაშვილი და სხვები. მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა დონ კიხოტი ამაყობს თავისი ძალგულოვნებით და გამბედაობით.



სამგირო საქმეებზე დებს თავს, მაგრამ ჩვეულებრივი მუშტი-კრივისა და ხლა-შემოხლის მეტი არაფერი გამოუდის, თანაც უფრო ხშირად თვითონ არის დაზარალებული. ამიტომ მისი ბაქიობა და ტრაბახი შეიძლება შევადაროთ კირილე მიმინაშვილის ქაიღის, რომელსაც ჩხუბისა და აყალმაყალის ატეხა არაფრად უღირს. ვნახით, როგორ ახასიათებს ავტორი-მთხრობელი ლამანჩელ რაინდს: „სულ ისღა ელანდებოდა, რაც წიგნებში ამოიკითხა: გრძნეულობანი, აყალ-მაყალი, ჩხუბი და ბრძოლები, ხმალში გაწვევანი, ჭრილობები, არშიყობანი, სამიჯნურო პომეები, გულის წუხილი და სხვა მრავალი ახრებელი სისულელე“.

დონ კიხოტე ვითქოს მოახლოებულ ფათერაკს გრძნობსო, ისე წროალებს კირილე სუფრასთან: „კირილე ისეთნაირად გამოიყურებოდა და ცმურებოდა, თითქოს რაღაც სამიჯნოს ეძებდა, რომ ჩხუბი აეტეხა, ჩვეულებისამებრ“.

ახლა „ყური დავეგდოთ“ თითოეული მათგანის მუქარას, თავდაპირველად დონ კიხოტს „მოუესმინოთ“: „გამარჯვების დიდება, ახლა რომ უნდა მომეხვეჭა, ხელიდან გამომაცალა (ბრძენმა ფრისტონმა, — რ. თ.), მაგრამ რამდენიც არ უნდა მიმტროს, მაინც მოვა დრო და ჩემი მახვილი იმის ჭადოქრობას დაამხოვს“. აი, როგორ ემუქრება კირილე კოსტას: „არაფერია... ამასაც ვაზღვევინებ, სადაც იქნება... თუ დღესვე არა!“

არ შეიძლება, კირილეს ჩხუბისთავობით შეწუხებულ, ჩონჩხმომხვეული პლატონის ჩივილმა მუშტებით ნაცემი სანჩოს გულსტიკივილი არ მოგვაგონოს. პლატონი:—„მე ოხრიშვილს, რა მრჯიდა ქორწილში სასიარულოდ? რა მექორწილებოდა?! საქმე არ მქონდა მე უპატრონოს, თუ?! ჰმ! თავი რაზე შევირცხვინე? სალაპარაკოდ რავე მოვეცი თავი ამ სულელთან იმდენ ხალხს!“. სანჩო: „ვთქვი ჩემი ბაილი, რომ საშინელი მუშტების მეტი არა მიგემა რა და იმის მეტიც, მგონია, ჩემს სიცოცხლეში არაფერიც არა მერგება რა! უბედურია ადამიანი ვარ. მეც შემაჩვენოს ღმერთმა და დედაჩემიცა, რომ ქვეყანაზე გამაჩინა!“.

გულფიცხია დონ კიხოტ ლამანჩელი და აგრეთვე კირილე მიმინაშვილი. სცენა, სადაც ამ უქანასკნელმა, პლატონზე და სალობერიძეების ოჯახზე გაბრაზებულმა, სამანიშვილის ცხენს მოსაკლავად მოუქნია ხმალი, უდანაშაულო ცხვრებზე შუბმომარჯვებულ ესპანელ რაინდს მოგვაგონებს.

რაც შეეხება ზრდილობას და ეტიკეტს, ამ მხრივ უზნაოდ გამოიყურება როგორც დონ კიხოტი, ისე კლდიაშვილის ყველა აზნაური. აზნაურული ზრდილობა დროთა განმავლობაში იმერულ ზრდილობად, საბოლოოდ კი ქართული ხასიათის ნიშნად ჩამოყალიბდა. ლამანჩელის მჭერმეტყველური, მაღალფარდოვანი ლაპარაკი რაინდული თვგავდასავლების შესახებ მსმენელებს უცხო ენად ეჩვენებოდათ, მაგრამ იმას მაინც ზედებოდნენ, რომე ეს კაცი ფრად ზრდილობიანი იყო, ასე დაემართათ მეფუნდუკოს ცოლს და საფრთხობელა მარიტორნესს.

კირილეს მოგზაურობა გადაუქცევია საკუთარი გართობისა და დროსტარების ასპარეზად. განსხვავებით დონ კიხოტისაგან, რომელიც „მიტომ მოსულა ამ ქვეყნად, რათა სიმართლე აღადგინოს, უსამართლობა დათრგუნოს, ტანჯულ-გვემულნი და ტვირთმძიმენი დაიფაროს, უბედურთ მწედ ეყოს“. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კლდიაშვილის აზნაურები, განსაკუთრებით კირილე, ცხოვრებამ კიდევ უფრო გააბიჯბრუსა, ვიდრე თავად დონ კიხოტმა. რამეთუ ლამანჩელ იდალგოს კეთილი მიზნებისათვის, სხვა ადამიანების გადარჩენისათვის ბრძოლის კაცთმოყვარული სურვილი მაინც შერჩენია, ქართულ აზნაურებს კი საკუთარი სულის გადარჩენისათვის ზრუნვის საშუალება

კი აღარა აქვთ. სხვისი ბედნიერებისათვის შეწყუბებული ადამიანის არსებობა სერვანტესის თანამედროვეებსაც უკვირდათ; აი, რას ამბობს მწერალი შემღებულ იდალგოს დონ დიეგო დე მირანდას პირით, რომელიც დონ კიხოტი ვახუე გაიცნო და გაესაუბრა: „მე თავად მაინც ვერასვებით წარმოვიდგენდა ჩვენს დროში ქვრივთა შემწეს, ქალწულთა მოსარჩლეს, დავრდომილთა და ობოლთა მფარველს ვინმეს შევხვედროდი, და თვითონ თქვენ რომ არ შემხვედროდი, ასეთი კაცის არსებობას არასვებით არ დავიჭერებდი“. რაც შეეხება კლდიაშვილის თანამედროვეებს, მათ შორის აღარ არსებობდნენ დონ კიხოტის მავგარი, სხვისთვის თავგანწირული მეოცნებენი.

ლამანჩელი რაინდის სახე რეალისტურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს წარმოადგენს. ეს მხატვრული ამოცანა შესრულებულია გამოსახვის სხვადასხვა ხერხით. მათ შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟის თვითდახასიათებას. ერთი მოქმედი გმირის მიერ მეორის დახასიათებას და ავტორ-მთხრობელის მიერ პერსონაჟის დახასიათებას ანუ პირდაპირი დახასიათების ხერხს. ასე მაგალითად, დონ კიხოტი და სანჩო ხშირად ახასიათებენ ერთმანეთს და საკუთარ თავს, ალკობენდასეულ ბაკალავრი სასულიერო პირი ალონსო ლოპესი (რომელიც მწუხარე სახის რაინდმა ბოროტმოქმედად ჩათვალა და ბრძოლაში ფეხი მოსტეხა)—დონ კიხოტს, მწყემსი ქალი—სანჩოს, ბაკალავრი კარასკო—დონ კიხოტს და პირიქით, საჭურველმტვირთველი—ტყის რაინდს, დონ დიეგო დე მირანდა—თავის თავს, ჰერცოგის მეუღლე—სანჩოს.

ამგვარად, დახასიათების სხვადასხვა სახეობაში თანდათანობით ვლინდება პერსონაჟის ფიქრები და განცდები, მაგრამ ამას არა აქვს ვრცელი ავტორისეული აღწერილობის ფორმა. თვით დონ კიხოტის გარეგნული პორტრეტიც განაწილებულია სხვადასხვა პასაჟში, მოწოდებულია ცალკეული დეტალების სახით, საერთოდ ეს მთავარი გმირი და დანარჩენი პერსონაჟებიც თავს ავლენენ ძირითადად საკუთარი მოქმედებით, საკუთარი სიტყვით.

ტყის რაინდთან კამათში დონ კიხოტი მალავს თავის ვინაობას, ამ შემთხვევაში ავტორი მას საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას აძლევს, რითაც პერსონაჟი თვითონვე ავლენს ჭკუასუსტობას და მწერალს აღარ სჭირდება ამაზე პირდაპირ მითითება. აღსანიშნავია, რომ ამ საუბარში მწუხარე სახის რაინდი ენამახვილობს, გამოყენებულია კომედიური მინიშნების ხერხი (ი. ბორევის ტერმინი)<sup>5</sup>.

დონ კიხოტი გულთბილი და პატიოსანი ადამიანია. იგი თავისი სიტყვის პატრონია. განსაკუთრებით შორს დგას გულგრილობისაგან. მუდამ ემოციურობა და მოკიდებულებას იჩენს მოვლენებისადმი. გულფიცხია. რომანში თვალსაჩინოდაა ასახული ლომთა რაინდის დარდი და განუწყვეტელი ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაიხსნას მოხიბლული დელსინია ჯადოსანგან. რაინდი მკაცრი და შეუვალა უხეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თვით სანჩოსაც არ აპატიებს სულმდაბლობას. ერთხელ, როცა საჭურველმტვირთველმა ვაჭრობა დაუწყო თავისი ჯამაგირის გამო, თავდაპირველად მოთმინებით უგდებდა ყურს, მაგრამ ბოლოს სანჩო იმდენად დაწვრილმანდა და ისეთი სიხარბე გამოამყვანა, რომ ლომთა რაინდი გაცეცხლდა და საშინლად გალანძლა იგი.

ხასიათის ერთ-ერთ ნიშნად სერვანტესი და კლდიაშვილი ლაზათიანად, კოხტად ჩაცმა-დახურვისადმი ძლიერ მიდრეკილებასაც მიიჩნევენ. მათ ნაწარმოებებში ჩაცმისადმი განსაკუთრებული მისწრაფება გაჩნიათ როგორც

<sup>5</sup> Боре в Ю. Б., О Комическом, М., 1957, 33- 232.



გლუხებს, ისე დიდგვაროვანთ, მაგრამ ამ უკანასკნელთ უფრო მომეტებულად აზნაურული ხასიათის ეს თვისება ორგანულად შეერწყა ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს.

ქართველი მწერალი გულდასმით ხატავს ეკლესიაში წირვაზე მიმავალი ოტია ქამუშაძის და მისი მეუღლის — სონია ჯინჯარაძის ჩაცმულობას: „ოტიაც თავმოწონედ მიჰყვებოდა უკან ცოლსა და დედას, თეთრ ჩოხაში, სატინის ახალუხით, ახალი წულა-მესტებით და დაბალი კვარაპინა ქუდით. რომ რიგეანი შეხედულენა ჰქონდა, ამას თვითონაც გრძნობდა, და რადგან წინაც ასეთი ცოლი მიუყვინდოდა, როგორც სონია, მისი თავმოწონეობა ადვილი მისახვედრი იყო და გასამართლებელიც“. ასევე, კირილე მიმინაშვილი „მალალი ტანის კოჩტად ჩაცმულა შნოიანი ახალგაზრდა კაცია“.

სერვანტესი თავიდანვე აღნიშნავს, რომ დონ კიხოტი შემოსავლს ერთ მეოთხედს ჩაემა დახურვისთვის ხარჯავდა და მხოლოდ საუკეთესო ქსოვილებსაგან იკვრავდა სამოსს. საგულდაგულოდ არის აღწერილი ლამაზი იდალგოს ჩაცმულობა და მისი მუდმივი ზრუნვა ტანსაცმელზე. ჰერცოგთან სტუენრად მეოფი დონ კიხოტი დარბაზში გამოსვლის წინ გაუაციცებით ადევენებს თვალყურს თავის გარეგნობას: „...დონ კიხოტმა რბილი ლოგინი დატოვა, თავისი მეშის ტანისამოსით მარდად მოირთო და, წინდის ბედშავობა რომ დაეფარა, საგზაო ყელიანი წაღები ჩაიცვა, ზევიდან კამკაწითელი მოსასხამი წამოსხა, თავზე ბუზმენტით მორთული მწვანე ხავერდის ქუდი დაიხურა, მხარლღოვ ყაწიმით თავისი ერთგული ბასრი მახვილი ჩამოიკიდა, ხელში მუდამ ვანუშორებელი დიდი კრიალოსანი აიღო და დიდმედიდური საზეიმო მახვილი დარბაზს გემარბთა, სლაც ჰერცოგი და იმის ცოლი უკვე ჩაცმული იმყოფებოდნენ...“ დაუვიწყარია დონ კიხოტის აქლემის ყელის ვიწრო კამზოლი.

ცალკე განხილვის საგანია, თუ როგორ გადმოგვცემს ესპანელი მწერალი მოქმედი გმირების სოციალურ მდგომარეობას. იგი უმთავრესად ერიდება მათ მატერიალურ შესაძლებლობებზე პირდაპირ მითითებას, იშველიებს მატერიალურ თუ ფსიქოლოგიურ დეტალებს, პერსონაჟების ურთიერთდახასიათების და თვითდახასიათების ხერხებს.

რომანის დასაწყისიდანვე ირკვევა, რომ დონ კიხოტის სიმდიდრეს შეადგენდა „მამაპაპური შუბი, ძველისძველი ფარი, ერთი ჯაგლაგი ცხენი და ერთი მწვეარი“. მეტად შთამბეჭდავია შემდეგი დეტალი: სახელოვან იდალგოს მწვანე აბრეშუმის პაჭიჭ-წინდაზე ორიოდ ათეული თვალი ჩაცვივულიყო, პატრონი ძლიერ შეწუხდა, ერთ უნც მწვანე ან ნებისმიერი ფერის ძაფს ნატრობდა გახეული წინდის გასაკერად, მაგრამ ვინაიდან ძაფიც არ ჰქონდა, იძულებული გახდა სანჩოს ყელიანი წაღები ჩაეცვა, რათა დაეფარა ეს უხერხულობა. იქვე სერვანტესი ისტორიკოს სიდ ჰამეტ ბენენჰელს ალაპარაკებს იდალგოების ხელმოკლე ცხოვრების შესახებ. ისინი იძულებული არიან „...თავიანთი ფესხაცმელები თვითონ შეითითნონ და ისე ახერხებენ, რომ მათი კამზოლის ღილები ზოგი აბრეშუმისაა, ზოგი ძუისა და ზოგიც შუშისა! მათი საყელოები მეტწილად არც გატკეცილია, არც გახამებული, არც ნაოქებიანი...“ მაგრამ ვაკვირებას და ირონიულ დიმილს იწვევს ის, თუ როგორ მალავენ გადატაკებულ იდალგოები თავიანთ უილაჯობას, როგორ თვალთმაქობენ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. „ვაი იმ აზნაურს, რომელიც თავის პატივს და ღირსებას ცოტადღენ ხარკს უხდის, — განაგრძობს ბენენჰელი, — კარმიხურულ ოთახში უხეიროდ ნასადილვეი, კბილების საჩიჩქნის თვალმაქურად მომხმარე, ქუჩაში გამოდის და კბილებს იჩიჩქნის, თუმცა პირში ერთი ლუკმაც არ ჩაუდგია. ვაი-მეთქი, ვამბობ, იმას, ვისაც იმდე-



ნად დამფრთხალი და შეშინებული პატივი და ღირსება აქვს და თანაც ვინა, ვითომც ერთი ეჯის სიშორიდანვე ჩანს მის ფეხსაცმელზე დაკერებული ქლანი, მის ქუდზე ოფლი, მოსასხამზე ნაჩერტები და მის კუჭში შიმშილი“.

ესპანელი იდალგოების მიერ კბილის საჩიქნის ხმარება მშვიერი კუჭის დასაფარავად და პირადი ღირსების დასაცავად, მოგვაგონებს პლატონ სამანი-შვილის სიარულს ძალზე გამხდარი, ზურგდაშავებული ცხენით, რომელიც გლეხისაგან—პავლია ლომიაშვილისაგან ითხოვა. ამ ცხოველზე შეჯდომა შეუძლებელია, პლატონი აღიარებს თავის გულისწყაღილს: „ფეხ-ფეხა მივეყვები ბატონო, ფეხ-ფეხა მივეყვები! სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!“.

მაშასადამე, მატერიალური მდგომარეობით დონ კიხოტი ახლოს დგას ღარიბ გლეხობასთან და ამ ნიშნით ემსგავსება ქართველ აზნაურთა ტიპებს (სოლომანი, ბეკინა, პლატონი, არისტო, ოტია).

ფსიქოლოგიურ-სოციალურია აგრეთვე სერვანტესის და კლდიაშვილის გლეხთა ტიპები, თუმცა სახნოს სახე უფრო მეტად არის განზოგადებული. ორივე მწერალი აღწერს გლეხის სამართლიან კერძომესაკუთრულ მისწრაფებებს, თვითდამკვიდრების დაუოკებელ წყურვილს, შეუპოვარ ბრძოლას არსებობისათვის. ისინი უზიარებენ მკითხველს მიწის მუშის გრძნობებსა და ფიქრებს, სამუშოზე გამოაქვთ მისი ხასიათის სიმტკიცე და ღირიკული სინაზეც, ხალასი ფანტაზიის უნარი. გლეხური ხასიათის შექმნისას ორივე პროზაიკოსისთვის დასაყრდენია რეალისტრობა, მაგრამ სერვანტესი ძირითადად გლეხთა დრამატულ და იმავდროულად კომიკურ ტიპებს ქმნის, ხოლო კლდიაშვილი უმრავლეს შემთხვევაში—ტრაგიკულს (კაცია საგუნაშვილი („შერისხევა“), ფეფანა, მარინე („მსხვერპლი“), მიქელა გიორგაძე, სპიდონა გიორგაძე „მიქელა“), ალექსი, ელიზია და მათი დედა ანუსია („მრეფელში“).

სერვანტესის განსახილველი რომანის ფონი დრამატულ-კომიკურია, პერსონაჟები დრამატულ-კომიკურ სიტუაციებში არიან მოქცეულნი. დონ კიხოტის მალაზნეობრივი მისწრაფებები ძლიერი ვნებების სახით ვლინდება. მისი მრავალფეროვანი ფათერაკების დროს დაძაბულობა უკიდურესად იზრდება, მაგრამ გამოსავალი მაინც დრამატულია და არა ტრაგიკული. სულიერწონასწორობააღარღვეული სარაინდო რომანების კითხვით გონებაარეული ლაშანელი იდალგო მნიშვნელოვან ფიზიკურ და სულიერ ტრავმას აყენებს შემხვედრ ადამიანებს ესპანეთის გრძელ გზებზე მოგზაურობისას. მაგრამ მას არავინ მოუკლავს, უფრო ხშირად თავად არის ნაცემი და აბუჩად აგდებული, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დონ კიხოტის სიგიჟე არ არის უწყვეტი მოვლენა; იგი იმავდროულად სიმართლისა და სამართლიანობის მაძიებელი ბრძენიც არის. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, საქმე გვაქვს ე. წ. „ბრძნულ შეშლილობასთან“. კრიზისულია დაპირსპირება ლამაზელის ოცნებასა და სინამდვილეს შორის, მაგრამ რჩება დრამატულს ფარგლებში და ტრაგიკულში არ გადადის.

კლდიაშვილის აზნაურული რკალის მოთხრობებში მოვლენები ხასიათით უახლოვდება ტრაგიკულს, მაგრამ არსებითად მაინც დრამატულია. პერსონაჟების განცდები და გარემო პირობები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, გამოიჩენა მრავალფეროვნებით. ეს ავტორის, როგორც რეალისტის ოსტატობაზე მიუთითებს. სინამდვილის მრავალ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვითარებებში ექცევიან ასევე სერვანტესის ემოციური მუქმედი გმირები.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებული შეხედულების თანახმად, კლდიაშვილის აზნაურთა რკალის მოთხრობებში მწერლის ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი ძირითადად გამოხატულია ჰუმანისტური შინაარსის იუმორით, თუმცა გარკვეულ როლს თამაშობს სატირაც.



ტბოლოგიური ანალოგები განსაკუთრებით მრავლად იჩენს თავს ორთქლის მწერლის სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების განხილვისას. მათ მიერ გამოყენებული პოეტიკური გამოსახვის საშუალებების შეპირისპირებისას.

კომიკური „დონ კიხოტის“ და აზნაურული რკალის მოთხრობებში ძირითადად იუმორის ფორმით გამოვლინდა, მაგრამ სატირაც მნიშვნელოვან დანიშნულებას ასრულებს. იუმორი ორივე შემთხვევაში უმთავრესად გამოხატულია სიტუაციური კომიზმის ფარგლებში. აშკარად ჩანს პერსონაჟებისადმი კრიტიკული და იმედგარეულად თანაგრძნობის გამომხატველი დამოკიდებულება. სერვანტესის ხალსიანი, კარნავალური ბუნების იუმორი კომედიურ-ესთეტიკური მიმართების (ი. ბორევის ტერმინი) საუკეთესო ნიმუშად ითვლება მსოფლიოში. მწერლის შთავგონების წყაროა ესპანური ფოლკლორი, ესპანელი ხალხის სილამუნა და ტემპერამენტი. იმავე თვისებებით გამოირჩევა კლდიაშვილისეული იუმორი — ხალსით, ლალი ხუმრობა-ოხუნჯობით, გულსხმიერებით.

პაროდულ-ირონიულია „დონ კიხოტის“ საერთო ჩანაფიქრი. მასსადაამე. შენაბუნელი მწვავე დაცივიცის ეს ფორმა აქ დიდი მხატვრული დატვირთვის მქონეა. ვხვდებით როგორც იუმორისტულ, ისე სატირულ ირონიას, მაგრამ ეს უკანასკნელი შედარებით ნაკლებდაა გამოყენებული, რამდენადაც ნაწარმოებში განმსაზღვრელია იუმორი. მსგავსია ირონიის ამ ორი სახესხვაობის ურთიერთშეფარება კლდიაშვილის განსახილველ მოთხრობებში. ორივე შემთხვევაში ირონია გამოყენებულია პერსონაჟების ხასიათის შექმნის ერთ-ერთ მთავარ მხატვრულ ხერხად. „ირონია, ირონია... ხან ნაზი და სევდიანი, ტრაგიკულის მიჯნაზე მდგარი, ხანაც — მკაცრი და გამკიცხავი. კომიკური სიტუაციები, ხუმრობა, პაროდია — იუმორის გამოვლენის კონკრეტული ფორმებია დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში, რომლებიც ხშირად ერთი პერსონაჟის ხასიათში იყრის თავს“. — წერს ბ. ბარდაველიძე. ეს აზრი თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს სერვანტესის იუმორის მიმართ: „ცრემლნარევი სიცილს“ იწვევს როგორც კლდიაშვილის აზნაურული ციკლის მოთხრობები, ასევე სერვანტესის რომანი. „ცრემლნარევი სიცილი“ მათი მხატვრული სტილის არსებითი ნიშანია. ორივე მწერალს განსაკუთრებით ემარჯვება ხალასი ხუმრობა, გროტესკისა და პაროდის შექმნა. ისინი კომედიური კონტრასტის (ი. ბორევის ტერმინი) ოსტატები არიან.

იუმორისტული ირონიის ნიმუშების სახით ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ სამანიშვილების დახასიათება ავტორ-მოთხრობელის მიერ და დონ კიხოტის თვითდახასიათება. თავდაპირველად დავაკვირდეთ ქართულ ტექსტს: „... ბეკინას კი თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავისი სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოეცდენინებინა ბეკინასთვის? როგორც იმერეთში ამბობენ, ერთობ გადაპრანჭული იყო ჩვენი ბეკინა.

როცა შინაურობაშია ცაბარაკს გააბადა ბეკინა თავის გამოუღეველ სარჩოზე, ღონიერ ლუქმაზე, მისი ერთადერთი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი პლატონი, თუმცა ტრაბახობად მიაჩნდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც არას ეუბნებოდა საწინააღმდეგოს და მხოლოდ პირჯვრის გამოსახვით იტყოდა ხოლმე: — ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ უფალო!“.

დონ კიხოტი ოცნებობს მეფის მემკვიდრეობაზე და თავი მოსწონს გვარიშვილობით, სიმდიდრით. იგი სანჩოს ეუბნება: „ის მაინც ველარ მომიფიქრებია, თუ როგორ მოვახერხო, რომ მეფის შთამომავალი ვიყო, ან — ყოველ





შემთხვევაში, იმპერატორის შორეული ბიძაშვილი მაინც გავხლდა? არის, რომ რაც უნდა საკვირველნიც იყვნენ ჩემი საქმენი, უიმიოდ მეფე თავის ქალს მაინც არ მომათხოვებს. ხედავ, სანჩო, აქაო და იმპერატორებთან ნათესაობა არა მაქვს, რასაც კი ვაქცაობით დავიმსახურებ, ყველაფერმა ფუქად უნდა ჩამიაროს?! მე მხოლოდ ეს მაშინებს. მართალია, გამოჩენილი და უძველესი აზნაურის შვილი ვარ, დიდი მამულიც მაქვს და შეურაცხყოფისათვის თუ საჩივარი მომიხდა, ხუთასი სულელო საბრძოლო შემოდია მოვი-თხოვო“.

როგორც ვხედავთ, უსაფუძვლოა ორივე პერსონაჟის თავმომწონეობა და მათ ტრაპაზში აქტორებს ჩაუქსოვიათ მჩხვლეტავი იუმორისტული ირონია. ეკვირინეც ასევე მაღალი წარმოდგენისაა თავის გვარიშვილობაზე და ქონებრივ მდგომარეობაზე, მიუხედავად ფაქტობრივი სიღატაკისა. ამიტომ იუმორისტულ-ირონიულია მწერლის დამოკიდებულება ამ პერსონაჟისადმი; თუკი სანჩო ამბობს, „ჩემს იმედებს ესპანეთის საუკეთესო სამთავროშიც არ გავცვლიო“. ეკვირინე ისე ღრმად არის დაარწმუნებული თავისი ოჯახის კეთილდღეობაში, რომ ამ რწმენა-იმედს ვერ შეეღწევა.

იუმორისტული და სატირული ირონიის მიჯნაზე დგას დონ კიხოტის ასეთი ახირებული განცხადება — „განა დიდი რამ იქნებოდა, მოგზაური რაინდი რაივე მიზეზით ჭკუაზე შემეცდარიყო! საქმე ის არის, იგი სულ უმიზეზოდ შეეცდეს ჭკუაზე, რომ შემდეგში თავის გულის სატრფოს უთხრას: თუ ყველა ეს უმიზეზოდ ჩავიდინე, აბა, წარმოიდგინე, მიზეზი რომ მქონოდა რაღას ვიზამდით? ამასთანაც ჩემი სატრფო მბრძანებელის დულსინეა ტობოსელის ხანგრძლივი განმორება გავიყებინა და ტანჯვისათვის განა საკმაო მიზეზს არ მაძლევს?“

დახვეწილი იუმორისტული ირონიით ალაპარაკებს სერვანტესი დალაქს თავისი სათაყვანებელი და ამავე დროს მის მიერვე გამასხრებელი ლამანჩელი რაინდის შესახებ: „შენი შეპყრობა აუცილებელი იყო, რათა უფრო ჩქარა დაგებოლოებია იგი საქმე, რა საქმეც შენმა დიადმა და ვაჟკაცურმა გულმა ჩაგაგონა და რაც აღსრულდება მაშინ, როდესაც ლამანჩის მრისხანე ლომი და ტობოსოს თეთრი გვრიტი ერთ ბუდეში დაიბუდებენ და თავის დიდმშვენიერ ქედს ქორწინების ტკბილ-მსუბუქ უღელქვეშ მოიხრან. ამ შესანიშნავი კავშირისაგან ქვეყნის გასაოცრად მძლავრი ლომის ბოკვერები წარმოიშვებიან მამაცი მამისებრ მმუსრავებრჭყალებიანი და ...“

რაც შეეხება პაროდის, სერვანტესის რომანის ძირითადი თემა სწორედ პაროდის ეყრდნობა. სანიმუშოდ გამოდგება ნაწარმოების ერთ-ერთი ფრაგმენტი — თუ როგორ იხსენებს სანჩო დონ კიხოტის მიერ დულსინეასადმი მიწერილ წერილს, რომლის წაღება საჭურველმტვირთველს დაავიწყდა. ეს არის პაროდია რაინდების სამიჯნურო წერილებზე, რომლებიც ტუუპის ცალებივით ჰგავდა ერთმანეთს და წარმოადგენდა მიჯნური მამაკაცების გაუთავებელ ოხვრა-კვნესას, აღტაცებული სიტყვების უთავბოლო კორიანტელს.

კლდიაშვილთან პაროდია მოცემულია ივანე გვერდევანიძესა და პლატონ სამანიშვილს შორის მგზავრობისას გამართულ საუბარში, რომელიც მალ-თუსის ყბადაღებული თეორიის დაცინვას წარმოადგენს (როგორც ცნობილია, სერ მალთუსი ხალხის სიმრავლისა და საკვების სიმცირის გამო ომს პანაცეად მიიჩნევდა).

ქართველი პროზაიკოსის თხზულებებში იუმორისტული დამოკიდებულებების მრავალფეროვანი გამოხატულებიდან თუ განვიხილავთ ყველაზე იუმორისტულ მოთხრობას — „ბაკულას ღორებს“, მისი კარნავალური მზიარულებით აღსაყვ სურათების ტიპოლოგიურ ანალიზებად შეიძლება ჩავთ-



ვალთ დონ კიხოტის ფათერაკები ფუნდუკში, რომელიც მას ციხე-დარბაზი ეგონა, და ანგულოო უმაქნისის მოხეტიალე დასის მსახიობებთან შეხვედრისას.

ხუმრობა-ოხუნჯობა ორივე მწერლის თითქმის ყველა პერსონაჟს ეხერხება, მაგრამ ზოგიერთები განსაკუთრებით გამოირჩევიან. კლდიაშვილთან ასეთები არიან ახალგაზრდა კოტე ბალდავამე („სამანიშვილის დედინაცვალი“) და სერაფიონ გორდელაძე („ქამუშაძის გაჭირვება“). სერვანტესთან, ცხადია, მეორეხარისხოვანი პერსონაჟები კოლორიტულად არიან დახატული, მაგრამ ავტორს აქცენტი მაინც მთავარ პერსონაჟებზე გადააქვს, მის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეული თვისებები ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ დონ კიხოტისა და სანჩოს მხატვრულ სახეებში იკვეთება. ეს ხომ აღორძინების ეპოქის ხელოვანთა მიერ შექმნილი ტიტანური პერსონაჟების საერთო თვისებაა. ოხუნჯობის ნიჭით სწორედ ლომთა რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი გამოირჩევიან, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი. ამ მხრივ მიზანშეწონილია პარალელების გავლება სანჩოს სახუმარო მონოლოგსა და კოტე ბალდავამის ნამბობს შორის. პირველი ეხება დუღისინეა ტობოსელის სასახლის, ხოლო მეორე არისტო ქვაშავიძის სახლის ძებნას. ორივე ტექსტში ჩანს პერსონაჟების თვითირონია, ავტორების მახვილგონიერება და სიტყვის თავისუფლად ფლობის უნარი.

ერთნაირად იუმორისტულ-ირონიულია ის პასაჟები, სადაც სერაფიონ გორდელაძე თავისი მარჩენალი ძაღლის კუსიას ამბავს ყვება, და დონ კიხოტისა და სანჩო პანსას დიალოგი იმის თაობაზე, რომ რაინდები ხშირად მინდვრის ბალახებით იკვებებიან, სხვა რომ არა გააჩნიათ რა.

სატირულ ირონიას და სატირულ პაროდის მიმართავს დიდი ქართველი პროზაიკოსი ბეგლარ ჯინჭარაძისა და პორფირი ბიაშვილის ხასიათების შექმნისას. სერვანტესის სატირული დამოკიდებულება ვლინდება როგორც მეორეხარისხოვანი, ისე მთავარი პერსონაჟებისადმი. ესპანელი ბელეტრისტი დაუნდობლად ებრძვის თავისი ეპოქის ახალ სარაინდო რომანებს შორის ისეთებს, რომელთაც არავითარი, არც იდეური, არც მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, იგი მკაცრი სატირითა და ირონიით უმასპინძლდება დონ კიხოტსა და სანჩოს, როგორც რაინდთა უაზრო, დრომოტყმული ჩვეულებების მიმდევრებს. ასე მაგალითად, ეშმაკთან არის შედარებული საკუთრივ პირების მსველელობაზე მოიერიშე დონ კიხოტი. ამ უკანასკნელის უკუაღაძოხვეულობის პირქუში სატირულ-გროტესკული სურათია დახატული ნაწყვეტში, სადაც ის ცდილობს დაუმტკიცოს დუღისინეას, რომ ამ ქალის სიყვარულით ნამდვილად გაიყვებულება: „წამსვე საჩქაროდ შარვალი გაიხადა, პერანგის ამარა დარჩა, კისერში ორჯერ ხელი წაიკრა, მალა შეხტა, ქუსლები უკანაზე ამოიკრა, ფეხებაშვერილი ხელებზე დადგა, ორჯერ მალაყს გადავიდა და ისეთი რამ გამოიჩინა, რომ სანჩომ აღარ ისურვა მისი მეორედ დანახვა, როსინანტი მოაბრუნა და გზას გაუდგა“.

სამინლად დამამცირებელი და გულისმომკვლეულია გალიაში ჩასმული, ხელფეხშეკრული ლამანჩელის გროტესკულ-ირონიული სახე, რომელზედაც თითოთ უჩვენებენ გაოცებული თანასოფლელები.

ბარსელონაში მდიდარი და გონიერი კაბალეროს—დონ ანტონიო მორენოს სახლის აივანზე გამოსულ დონ კიხოტს ხალხმა და ბიჭებმა „ცქერა დაუწყეს, როგორც იშვიათ მიომუნს“—ასეთი დაუნდობელია ზოგჯერ სერვანტესი მწუხარე სახის რაინდისადმი, რომელიც, როგორც ვიცით, გულითაც უყვარს და პატივს სცემს მის სიბრძნეს, როცა დონ კიხოტი სარაინდო რომანებისაგან განსხვავებულ, სხვა ნებისმიერ თემაზე საუბრობს.



სერვანტესის მხატვრული სისტემის ერთ-ერთ მთავარ სტილურ ნიშანად უნდა ჩაითვალოს კომედიური კონტრასტების (ი. ბოროვის ტერმინი) გამოყენება. იგივე ნიშანი არსებითია კლდიაშვილის მხატვრულ სისტემაში. მაგალითად, დონ კიხოტს ფუნდუკი ეჩვენება ჩინებულ ციხე-დარბაზად, მეფუნდუკე — ციხისთვად, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები — მშვენიერ ქალწულებად, ქარის წისქვილები — დევების ბრბოდ, შეუხედავი გლეხის ქალი აღდონსა ლორენსო — მზეთუნახავ სეფექალად ანუ დუღსინეა ტობოსელად. ბრძოლით დაღლილ რაინდსა და მის საჭურველმტვირთველ ტყეში ძილი ბუმბულის ლოგინში მოსვენებად მიაჩნიათ. სანჩო ეუბნება თავის ბატონს — დუღსინეა ტობოსელი კი დაგლოცავთ, მაგრამ ამის გაკეთება მოუხდება საქონლის ბაჟის ღობის გადამოძანო. დიდგვაროვანი მზეთუნახავი ქალბატონი იმყოფება... საქონლის ბაჟში — ასეთი მძაფრია მწერლის მიერ შემოთავაზებული კონტრასტი.

დეტალებს, იქნება ეს ყოფითი, საგნობრივი თუ ფსიქოლოგიური დეტალები, ორივე მწერალი დიდ დატვირთვას აკისრებს. დ. კლდიაშვილის მხატვრული მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწორედ დეტალების სწრაფობა და მათ ზუსტად შერჩევაში მდგომარეობს.

იუმორისტული საგნობრივი დეტალების შემცველია შემდეგი შინაარსობრივი მომენტები „დონ კიხოტიდან“: ლამანჩელმა რაინდმა პირველად მუყაოსაგან დაამზადა ნახევარჩაჩქანი. იგი უბრალო სადალაქო თასს მამბრინის ჩაჩქანს უწოდებდა, ბისკაელი ბალიშის მოფარებით ემაღებოდა დუღსინეას მიჯნურის ხმლით შემოტყვას. სერვანტესი ძალიან იშვიათად მიუთითებს პირდაპირ ლამანჩელი იდაღოს ხელმოკლეობაზე. მეტად ემოციურია, და ლატაკი აზნაურის მდგომარეობაზე კლაკონურად მიმანიშნებელი, ეპიზოდი, სადაც დონ კიხოტი მწვანე ძაფის ნაგლეჯს ნატრობს თავისი წინდა-პაჭიკის ჩაცვივებული თვლების მოსაკერავად. ცოტაოდენი მწვანე ძაფი აქ მნიშვნელოვანი საგნობრივი დეტალის როლს ასრულებს.

ანალოგიური დანიშნულების მქონე დეტალები უხვად არის გაბნეული კლდიაშვილის მოთხრობებში. მაგალითად, მეორეხარისხოვანი პერსონაჟის — არისტო ქვაშავიძის გონიერება გამოხატულია მისი მხოლოდ ერთი, მაგრამ ცხოვრებისეული ფილოსოფიის ამსახველი ფრაზით. არისტო ეუბნება პლატონს: „...აღბათ ღვთის ნებაც ურევია ამ საქმეში, თვარა ერთნაირად მოლაპარაკე კაცი სადმე შეგხდომია შენ ჩვენში, თუ ძმა ხარ?“ „ქამუშაძის გაცირვებაში“ სონია და ბეგლარ ჭინჭარაძეების დედა პელაგია ოთახის დალაგებისას იატაკიდან იღებს ფარდავს და იატაკის ფიცრებს შორის არსებული ღრიკოდან ხედავს სახლის ქვეშ შემოსულ ქათმებს. დიასახლისი მათ გამოგდებას ცდილობს „ოქში-ოქშის“ ძახილით, ათასნაირად რომ ემტკიცებინა მწერალს ამ ოჯახის სიღარიბე. შეიძლება მშრალ რიტორიკად დარჩენილიყო მისი სიტყვები, მაგრამ ეს პატარა დეტალი მხატვრულად მიუთითებს სიმაღლეზე.

ამგვარად, დეტალების მიზანმიმართული გამოყენება ქართველი და ესპანელი მწერლის შემოქმედების არსებით სტილურ ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

„დონ კიხოტსა“ და კლდიაშვილის მოთხრობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ცხოველები, სახელდობრ, ვირები, ცხენები და ჭორები (გამოყენებულია სხვა პირუტყვიც: ცხვრები, ღორები, ხარები და ა. შ.), რომლებითაც მოგზაურობენ მრავალრიცხოვანი პერსონაჟები. ეს ცხოველები სიუჟეტში ორგანულად არიან ჩართული. ქმნიან კოლორიტს, ხელს უწყობენ პერსონაჟების ხასიათისა და მათი ფსიქოლოგიური განწყობილების გადმოცემას. ასე მაგალითად, პლატონ სამანიშვილს ცხენი არ ჰყავს, მეზობელი გლეხისა-

გან ნათხოვარი გაძვალტყვევებული ჯაგლაგი მას სამგზავროდ კი არ გამოადგება, არამედ პატივმოყვარეობის დასაქმყოფილებლად. ამგვარად, ოსტატულადაა გამოხატული მოქმედი გვირის ხელმოკლეობაც და მისი ხასიათის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანიც. გზის დასაწყისში გულჯაგრიანი პლატონის ცხენთან საუბარში, რომელსაც არც ფეხის გადადგმა სურს და არც მხედრის ზურგზე შესმა, ვლინდება ამ კაცის სევდიანი განწყობილება.

ასევე კოლორიტული და მრავალმნიშვნელოვანია მარჩენალ ჯორზე ამხედრებული სოლომან მორბელაძის პორტრეტი.

დაუეწიყარია „თავის მსგავს“ ჯორზე მკდომი მიხეილა ხუცესი მოთხრობიდან „მრველში“.

ზაკულას ღორები, ასე ვთქვათ, „მთავარ როლში“ არიან ამავე სახელწოდების მოთხრობაში. ორი ღორი თანმხლებს ორ ცხვართან ერთად მწერალს ჰყოფნის აქ კომედიური ინტრიგის შესაქმნელად, ისე რომ მათი პატრონი არც კი გამოაყავს სამოქმედოდ.

ცხოველებს თითქმის დამოუკიდებელი, სრულყოფილი პერსონაჟების როლს აკისრებს აგრეთვე სერვანტესი. ირონიულია მწერლის დამოკიდებულება როგორც დონ კიხოტის, ასევე მისი ცხენისადმი.

როსინანტი დონ კიხოტის განუყრელი მეგობარია, რომელზედაც ის მუდამ ზრუნავს. იანგვესელი მეჯოგეების მიერ ჯაგლაგი კომპლებით ნაცემი რომ ნახა, რაინდმა თავი გადადო შურის საძიებლად, მაგრამ მისთვის სავალალოდ დამთავრდა ეს შეტაკება. დონ კიხოტსა და როსინანტს ხშირად ერთნაირი განწყობილება ეუფლებათ, მაშასადამე, პირუტყვი გამოყენებულია მთავარი პერსონაჟის ფსიქოლოგიური განწყობილების წარმოსაჩენად. მაგალითად, ეშმაკად მიჩნეული ბერი რომ ჩამოავდო ჯორიდან, ერთნაირად გაიხარეს ცხენმა და მხედარმა: „...რაინდი მივარდა ერთ შავებთან მგზავრს, ვინც კი პირველი მოხვდა ხელში, შუბი ჰკრა და ჯორიდან ძირს ჩამოავდრ, მერე მეორეს მივარდა, მერე მესამეს, და უნდა გენახათ, ამ მგლოვიარე ხალხში რა სიმარდითა და სიმარჯვით ათოხარეკებდა თავის თითქოს ფრთებშესხმულ, გაამაყებულ როსინანტს“.

შვილივით უყვარს თავისი მარჩენალი ვირი სანჩო პანასა.. იგი მოთქვამდა, როცა მისი დიდუფრა განთქმულმა გაიძვერამ და ქურდმა ზინეს დე პასამონტემ მოიპარა. ერთი ფათერაქის დროს სანჩოს ვირისადმი სიყვარულმა კინაღამ მისი ბატონისა და პატრონისადმი — დონ კიხოტისადმი სიყვარულს გადასძლია, რასაც ავტორი მისთვის ჩვეული ირონიით აღნიშნავს.

იუმორისტული ირონიის მაგალითად გამოდგება სერვანტესის განზრახვა — დაამიანებს სანიმუშოდ დაუსახოს როსინანტისა და სანჩოს ვირის მეკობრობა.

დასასრულს, გვინდა მივუთითოთ ტიპოლოგიური მსგავსების კიდევ რამდენიმე ნიმუშზე: ტიპოლოგიურ ანალოგებად შეიძლება ჩაითვალოს ჯიმშერ სალობერიძისა („სამანიშვილის დედინაცვალი“) და დონ დიეგო დე მირანდას მხატვრული სახეები, როგორც შეძლებული, განათლებული, კეთილგონიერი აზნაურებისა, რომლებიც კარგი ოჯახების პატრონები არიან.

ტიპოლოგიურად მსგავსია აგრეთვე ვასილ კარიკაძისა („მსხვერპლი“) და დონ კიხოტის სიზმრები. როგორც ვიცით, გლეხი ვასილ კარიკაძე მუხის მოჭრისას ტოტიდან ჩამოვარდა და ცოცხალ-მკვდარი იყო გარკვეული დროის მანძილზე. მან ნახა სიზმარი, რომელიც საიქიოს მონახულებად ჩათვალა, ხოლო დონ კიხოტს მონტესინოსის უძირო მღვიმეში ჩასვლის წინ ჩაეძინა და სიზმარში იხილა იქაურობა. ორივე შემთხვევაში ვლინდება მწერლების ფანტაზიის უკიდევანობა, დიდი მხატვრული ოსტატობა პერსონაჟების ოც-



ნების გადმოცემისას, მათი მისწრაფებების თვალსაჩინოდ ჩვენების მოცემულია ბუნების მოკლე, მაგრამ თვალწარმტაცი აღწერილობა. მთუ ვინმე კარკაჟე სამოთხეში გარდაცვლილ მეზობლებს ხედება, მათი მონატრების გრძნობას გამოხატავს, მიცვლებულთა სულები გლეხისთვის სანატრელ სინამდვილედ— აბიზინებულ მინდორში ნებიერად დაშლილ ცხერის ფარად ესახება, დონ კიხოტი მისთვის სათაყვანებელ აწ გარდასულ რაინდთა სულებს ესაუბრება, მათ მიჯნურ ქალებს ხედავს, რომლებიც მოჯადოებული არიან ფრანგი ჯადოქრის მერლინის მიერ (ესენი არიან: მღვიმის უცვლელი დარაჯი მოხუცი მონტესინოსი, სახელოვანი რაინდი ღურანდარტე, მისი საქურველმტვირთველი გვადიანა, მშვენიერი ბელერმა, დუნენია რუიდერი თავისი შვიდი ასულითა და ორი დისწულით). ორივე სიზმარი არის ოცნება კეთილ სულთა უკვდავებაზე.

განსაკუთრებულ მოწიწებას იწვევს ის, რომ სერვანტესი და კლდიაშვილი გულმხურვალე ქრისტიანებად იხატებიან მათი შემოქმედების ფონზე.

ამ მწერლების პერსონაჟები უპირველეს ყოვლისა იმით იწონებენ თავს, რომ არიან ქრისტიანები. მათ სულს აცისკროვნებს ქრისტიანული ზნეობა და ხასიათი. რაც შეეხება ცრუმორწმუნეობას, ორივე შემოქმედი მკაცრად ებრძვის მას, განსაკუთრებით იუმორითა და სატირით.

დონ კიხოტისათვის რაინდული კეთილშობილება და ქრისტიანული სათნოება ერთნაირად ძვირფასია. ლამაზჩელს თავის უწმინდეს მოვალეობად მიაჩნია, დაეხმაროს მოყვასს გასაპირში, ეს კაცთმოყვარული ოცნება ესადაგება მის ქრისტიანულ სულსკვეთებას: ამის დასტურად გამოდგება დონ კიხოტის დიალოგი დუნენისთან, რომელიც აჩრდილად მოეჩვენა: „—გაფიცებ, აჩრდილო, ანუ ვინც გინდა იყო, მითხარი— ვინა ხარ და ჩემგან რა გინდა? თუ მომნანიებელთა ტანჯული სული ხარ, მითხარი და შენთვის ყველაფერს ჩავიდენ, რაც ჩემს ხელთ არის, რადგან მე ქრისტიანი და კათოლიკე ვარ. მე დონ კიხოტ ლამაზჩელი ვარ და ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი ყველას შემწეობა გავუწიო. ამიტომ შევიქენ მოგზაური რაინდი, რომლის მოვალეობაა დაეხმაროს ყველას. თვით სალხინებელში მყოფ სულებსაც კი“.

სანჩოსთან საუბარში მწუხარე სახის რაინდი ამბობს: „უფალს სამოთხეში თავისი რჩეულნი მრავალგვარი გზით შეჰყავს, ჩემო მეგობარო! რაინდობაც სარწმუნოებრივი ორდენია, სამოთხეშიც არიან წმინდა რაინდები“.

სანჩოს ქრისტიანობა ისეთ ძვირფას თვისებად მიაჩნია, რომელიც მას ანიჭებს გრაფის წოდების მიღების უფლებას და სიღარიბესაც ნაწილობრივ აქარწყლებს.

სერვანტესი ვარკვევით მიუთითებს მაჰმადიანობასთან და წარმართობასთან შედარებით ქრისტიანობის დიდ უპირატესობაზე. დონ კიხოტი ასე უხსენის თავის საქურველმტვირთველს ტრაპობანის უზარმაზარი კუნძულის იმპერატორ ალიფანფარონსა და გარამანტების მეფე პენტაპოლინ „დამკლავებულს“ შორის გაჩაღებული ომის მიზეზებს: — „იმიტომ, რომ ალიფანფარონი გადაბრძნილი წარმართია, პენტაპოლინის ქალი შეუყვარდა, გასაოცარი მშვენიერა, მაგრამ ქრისტიანი. პენტაპოლინს არ უნდა წარმართ მეფეს ქალი მისცეს, ვიდრე ცრუ წინასწარმეტყველ მაჰმადის სარწმუნოებას არ უარყოფს და ჩვენ სარწმუნოებას არ მიიღებს“.

განათლებული, ზნეკეთილი მღვდელი დახატა სერვანტესმა დონ კიხოტის მეზობლისა და კეთილისმყოფელის სენიორ ლიცენციატის პერო პერესის სახით. მას სწავლულის ხარისხი სიგუენსაში ჰქონდა მიღებული. გონიერებასთან ერთად თვალსაჩინოა მისი პატიოსნება და სიმართლისმოყვარეობა.



ავტორ-მთხრობელი პერო პერესის შესახებ ამბობს: „დალაქი მღვდელს ყველაფერში დაეთანხმა და აცხადებდა, ყველაფერი ეს მართალია და სწორიაო, რადგან იცოდა, მღვდელი ისეთი ჩინებული ქრისტიანი და ისეთი მართლისმოყვარე იყო, რომ მთელი ქვეყნის სიმდიდრე სიმართლის გზას ვერ გადაახვევინებდა“.

მამა ზოსიმე, როგორც განათლებული, კაცმოყვარე და პატიოსანი მოძღვარი, კლდიაშვილის ერთ-ერთი იპოსტაზია. ამდენად, პერო პერესისა და მამა ზოსიმეს მხატვრული სახეები შეიძლება განხილულ იქნეს ტიპოლოგიურ ანალოგებად.

ნათელია, თუ როგორი ირონიით უმასპინძლდება ავტორი დონ კიხოტს და სანჩოს, როცა ისინი ეშმაკებისა და ჯადოქრების არსებობის რწმენას ამჟღავნებენ. კიდევ მეტიც, დიდი ესპანელი ბელეტრისტის აზრით, ძლიერ სცდებიან ის ადამიანები, ვისაც სჯერა წინასწარგანსაზღვრული კარგი თუ ცუდი ნიშნების არსებობა. ერთხელ დონ კიხოტს წინ გადაუბრინა კურდღელმა, რომელსაც მწვევრები მოსდევდნენ, რაინდს ცუდად ენიშნა ეს და იფიქრა, ღუღსინეას ველარასოდეს ვნახავო. სანჩომ მაშინვე გაუქარწყლა თავის ბატონს ეს ცრუ რწმენა ცუდის მომასწავებელი ნიშნის არსებობისა: „თუ მეხსიერება არა მალატობს, ჩვენმა სოფლის მღვდელმა, ჭკვიანმა ადამიანმა და ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, თქვა: მასეთ სისულელეს ყურადღება არ უნდა მიექცეოთო. მგონია, თქვენმა მოწყალებამ დიდი ხანი არ არის, რაც ეს მითხრა და ჩამავონა: კარგი და ცუდი ნიშანი მხოლოდ სულელებს სჯერათო. მაშ, ყველა ამას თავი დაეანებოთ და ჩვენს სოფელში შევიდეთ“.

ცრუმორწმუნეობის დამლუპველი ძალა კლდიაშვილმა აშკარად დაანახვა მკითხველს ფეფენას და მარინეს უბედურების მაგალითზე („მსხვერპლი“). ასევე „ქამუშაძის გაჭირებაში“ ნაჩვენებია. თუ რამდენად ადვილად ექცევიან ცრუ რწმენის გავლენის ქვეშ ცხოვრებისაგან დაჩაგრული, საარსებო საშუალებებსა და განათლებას მოკლებული ადამიანები. ომან ქამუშაძე დარწმუნებული იყო, რომ მისმა კუდიანმა რძალმა ეფროსინემ მოუკლა მცირეწლოვანი შვილი. გააყვებული მზალი მოსაკლავად მისდევდა რძალს, ამ დროს შემოსწრებულმა ოტია ქამუშაძემ ძლივს შეაჩერა ბიძამისი. ეფროსინეს მკითხაობითა და რაღაც წამლების დამზადებით კუდიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ეკვირინე სწორედ ხალხის უმეცრებით ხსნის ეფროსინეს საიდუმლოს.

დ. კლდიაშვილის პერსონაჟები ღვთისადმი მოწიწების გრძნობით და მისი წყალობის იმედით ცხოვრობენ: შეგნებული აქვთ, რომ ცხოვრების რთული პირობები გამოცდას უწყობს მათ ზნეობას, განსაცდელში აგდებს მათ სულს. ასე მაგალითად, ეკვირინე მართალია სწუხს ომანის მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალების გამო, მაგრამ იმასაც ამბობს: რომ გაზრდილიყო თავის რჩენა გაუჭირდებოდა, მისდა უნებურად ცოდვაში ჩადგამდა ფეხს და ასლა კი მის უმანკო სულს „სასუფეველი მაინც არ დაეკარგებოა“.

დ. კლდიაშვილის მოთხრობების პერსონაჟებს ადამიანების ბედნიერებისათვის თავგანწირული ქრისტე ღმერთისაგან ცოდვების მიტევების, მისი შემწყნარებლობის დიდი იმედიც აქვთ. კირილე მიმინაშვილი მასზე გაბრაზებულ პლატონს პატივებს სთხოვს და თან მოაგონებს ქრისტეს მიერ პეტრე მოციქულისადმი გამოჩენილ დიდსულოვნებას: „შე კაცო, პეტრე მოციქულმა სამკურ იუარა ქრისტეს მოწაფეობა, მაგრამ ამისათვის სამიღვთისმყოფე არ დასჯილა. ისევ საყვარელ მოწაფედ დარჩა და შენ ჩემით ერთი უსიამოვნება შეგემთხვა — ამას ველარ დამივიწყებ?!... ბიჭო, გაიხსენე პეტრე მოციქული...“



რა ეპატივა მას და ვისგან? მეც მეპატივოს, ბიჭო, შენგან, რა დიდძალსა და დიდძალსა იქნება, ერთი მეპატივოს!..

ამგვარად, ორივე მწერლის ლიტერატურული შეხედულებების, ბიოგრაფიული მომენტების, ნაწარმოებებში ასახული ეპოქების და, რაც მთავარია, მათი მხატვრული სტილის ურთიერთშედარების საფუძველზე უნდა დავასკვნათ:

1. სერვანტესის „დონ კიხოტ ლამანჩელი“ მოგზაურული ქანრის რომანია. ხოლო კლდიაშვილის აზნაურული რკალის რეალისტურ მოთხრობებში მოგზაურობა ზოგჯერ ქანრის განმსაზღვრელი თემაა („სამანიშვილის დედინაცვალი“). სხვა შემთხვევებში კი—ერთ-ერთი თემატური მოტივი. ზოგიერთ გამოცემის თუ გამოფრცხვავთ, სიამოვნებისათვის არ მოგზაურობენ არც ქართველი და არც ესპანელი პერსონაჟები: მაგრამ დონ კიხოტი და სანჩო პანსა ქვეყნის გზებს დადგომიან ზნეობრივი მოვალეობის შეგნებით, ხოლო ქართველი აზნაურები—საარსებო წყაროს საძებნელად.

2. სერვანტესის შემოქმედება, განსაკუთრებით „დონ კიხოტ ლამანჩელი“, სცილდება აღორძინების ეპოქის გულუბრყვილო რეალიზმის ფარგლებს და თვსებრივად უახლოვდება მე-19 საუკუნის დასასრულის განვითარებულ რეალიზმს, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა—დ. კლდიაშვილმა ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა მხატვრული ასახვის ე. წ. ობიექტივისტური სტილი. მათ სინამდვილესთან მაქსიმალური მსგავსებისა და სტილური სისადავის პრინციპებზე დაყრდნობით დახატეს ესპანური და ქართული სოციალური ბატონყმურ-მემამულური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული წინაგადგომიერ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების პირობებში. დეტალების მიზანმიმართული გამოყენება, მათი შერჩევა სიმართლისა და სიზუსტის წესით სერვანტესისა და კლდიაშვილის პროზის არსებით სტილურ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ისინი მნიშვნელოვან მხატვრულ დანიშნულებას ანიჭებენ ყოფით, საგნობრივ თუ ფსიქოლოგიურ დეტალებს.

3. ორი ჰუმანისტი მწერლის მიერ შემოთავაზებული აზნაურული და გლეხური ხასიათები ერთდროულად არის სოციალურიც, ფსიქოლოგიურიც და ტიპურიც. ხასიათის განვითარებას გვიჩვენებენ მრავალფეროვან სიტუაციებში. გასათვალისწინებელია ერთი ძირეული განსხვავება: დონ კიხოტი და სანჩო პანსა მეტად ვანზოვადებული ტიპები არიან. აღორძინების ხელოვნების კანონებით შექმნილ ამ ტიტანურ სახეებში განხორციელებულია მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის უდიდესი ნაწილი. ისინი მოქცეული არიან უამრავ განსხვავებულ სიტუაციაში და დატვირთული ხასიათის მრავალი ნიშნით. ამიტომ სერვანტესის ეს ორი გოლიათი პერსონაჟი შეიძლება შევადაროთ კლდიაშვილის რამდენიმე მოქმედ გმირს (ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, კირილე მიმინაშვილი, არისტო ქვაშვიძე, სოლომან მორბელაძე, ვასილ კარიკაძე, ომან ქამუშაძე, ოტია ქამუშაძე, ეკვირინე სანიკიძე და სხვები).

4. დონ კიხოტი მაღალი ზნეობის ადამიანია, სიცრუე და ორპირობა მისგან ისევე შორს არის, როგორც ციდან დედამიწა. ხშირად მშვიდია, მაგრამ სხვისი პურ-მარლისკენ არ უჭირავს თვალი. მას არ დაუკარგავს სულიერი მხნეობა, ქვეყნად ყველა დაჩაგრულის დაცვისა და გაბედნიერების სურვილი. კლდიაშვილის აზნაურებს კი უკვე დაუკარგავთ ზნეობრივი სიმტკიცე და შეუფულობა. მათი სიტყვა უკვე აღარ არის რაინდის სიტყვა. ხელმოკლეობას ტყუილებისა და გაიძვერობისაკენ შემოუბრუნებია ისინი, მაგრამ დროდადრო სინდისიც ქნენ, სხვისი გასაჭირიც ახსოვთ, მოყვასის შებრალებაც შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, მათ არ გააჩნიათ სხვისი ბედნიერებისათვის ბრძოლის სულისკვეთება, კაცობრიობის კეთილდღეობაზე, სამართლიანობის

აღდგენაზე ოცნების ძალა არ შესწევთ. სწორედ ამაში მდგომარეობს მთავარი განსხვავება ქართველი პროზაიკოსის „შემოდგომის აზნაურებსა“ და ღონ კიხოტს შორის.

დ. კლდიაშვილის აზნაურთა ყოფა ზოგადად შეიძლება განხილულ იქნეს როგორც არა ლიტერატურული, არამედ ცხოვრებისეული პაროდია ღონკიხოტობაზე. ამ ცხოვრებისეულ პაროდიაში ღონ კიხოტის კეთილშობილური ოცნება საყოველთაო სამართლიანობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებაზე თითქმის ამოუცნობია, გადაქცეულია ლუკმაპურის შონანასა და არსებობის შენარჩუნებაზე ოცნებად. თუ პლატონი, სოლომანი, არისტო და სხვები მოგზაურობენ შიმშილისაგან თავის დასახსნელად და ამის გამო სწადიან უკადრის საქციელს, კირილე მიმინაშვილი ცხოვრობს და მოგზაურობს მხოლოდ პირადი სიამოვნებისათვის. მუშტი-კრივი ებმება არა მოყვასის დასახმარებლად და მისი ღირსების დასაცავად, არამედ თავისი უაზრო სურვილებისა და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ასე დაკნინებულია „შემოდგომის აზნაურთა“ სულისკვეთებაში ლამაზი იდალგოს კეთილშობილური მიზნები, მისი ცხოვრების პრინციპი. ამრიგად, თუ ღონ კიხოტის მდგომარეობა დრამატულია, ქართველ აზნაურთა მხატვრული სახეები დგანან დრამატულისა და ტრაგიკულის მიჯნაზე. მართალია, ქართველ პერსონაჟებს, ღონ კიხოტისაგან განსხვავებით არ ამოძრავებთ მაღალი იდეალები, მაგრამ მათი გასაჭირი იმდენად საყოველთაო და ზოგადადამიანურია, რომ თითოეული მათგანის უნიათო მცდელობა თავის გადაჩენისა მწერლის მიერ წარმოჩენილია როგორც განსაცდელში მყოფი ადამიანის ბრძოლა სიცოცხლისათვის და ამიტომ თანაგრძნობას იმსახურებს.

ღონ კიხოტის, ბეკინას, პლატონის, კირილეს, არისტოს, სოლომანის ეკვირინეს, ოტიას, როსტომის გასაჭირი ერთ ნიადაგზეა აღმოცენებული, სახელდობრ, ეს არის მათი სრული უუნარობა, სწორად შეაფასონ მოვლენები და იცხოვრონ ბურჟუაზიული საზოგადოების წესით. კომიკურია ბოროტებასა და საფრთხესთან ბრძოლის მათი ხერხები; რასაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოსდევს, პირიქით, სასაცილო და იმავდროულად სავალალო მდგომარეობაში აგდებს ამ პერსონაჟებს.

5. ცხადია, ღონ კიხოტსა და კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებს“ გააჩნიათ მსოფლიო აზნაურობისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებები, როგორც არის წოდებრივი სიამაყის ზღვარგადასული გრძნობა, აზნაურული თავმოყვარეობა და აზნაურული ზრდილობა, მოგზაურობისა და ნადირობის სიყვარული, მეურნის შრომის ათვალწუნება, ყოყონობა და ტრაბახი, ჩხუბისა და აყალმყალისადმი მიდრეკილება, მედიდურობა. გარდა ამ ზოგადი ანუ მთავარი თვისებებისა, მათ აახლოებთ ხასიათის შემდეგი ნიშნები: ჭარბი ემოციურობა და ძლიერი ვნებები, გონებამახვილობა და ენამოსწრებულობა, ლახათიანად ჩაცმის ძლიერი მოთხოვნილება, გაზვიადებისადმი მიდრეკილება, ამაღლებულისა და ზეიმურობისაკენ სწრაფვა, ერთგვარი არტიტიზმი, საერთოდ ხასიათის თვალსაჩინო სილაღე. მსგავსია ქართველი და ესპანელი აზნაურობის წარმოშობის ისტორიაც.

6. სერვანტესის რომანის ფონი დრამატულ-კომიკურია. პერსონაჟები დრამატულ-კომიკურ სიტუაციებში არიან მოქცეული. კრიზისულია დაპირისპირება ლამაზი იდეებისა და სინამდვილეს შორის, მაგრამ ძირითადად იჩნება დრამატულის ფარგლებში და ტრაგიკულში არ გადადის.

ტრაგიკულის მიჯნაზე დგას, თუმცა არსებითად დრამატულ-კომიკური ხასიათისაა აგრეთვე კლდიაშვილის აზნაურული რკალის მოთხრობები.





როგორც ესპანელი, ისე ქართველი ბელეტრისტის აღნიშნულ ნაწარმოებში მოხერხებულია კუმანისტური შინაარსის იუმორით, ამავე დროს სატირაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იუმორის ფონზე იკვეთება ირონიულ-პაროდიული სტილი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია „ცრემლნარევი სიცილი“.

სერვანტესი და კლდიაშვილი ნაკლებად იყენებენ სატირულ ირონიას იუმორისტულ ირონიასთან შედარებით, რადგან მათ შემოქმედებაში განმსაზღვრელია ლალი და კარნავალური ბუნების იუმორი. განსაკუთრებით ემარჯვებათ ხალასი ხუმრობა, გროტესკისა და პაროდიის შექმნა. ისინი კომედიური კონტრასტის ოსტატები არიან.

სერვანტესის „დონ კიხოტ ლამანჩელი“ და დ. კლდიაშვილის აზნაურული რკალის მოთხრობები წარმოადგენს რეალისტური პროზის მაღალმხატვრულ ნიმუშებს, სადაც სინამდვილესთან მაქსიმალური მსგავსებისა და სტილური სისადავის პრინციპებზე დაყრდნობით დახატულია ესპანური და ქართული სოფელი ბატონყმურ-მემამულური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების პირობებში. ნაჩვენებია სოფლის აზნაურობისა და გლეხობის სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აღნიშნულ ნაწარმოებებში ქართველი და ესპანელი მწერლის მიერ ასახული აზნაურული და გლეხური ხასიათები ერთდროულად არის სოციალური, ფსიქოლოგიური და ტიპური.

დონ კიხოტის ტიტანური სახე შეიძლება შედარდეს დავით კლდიაშვილის თითქმის ყველა „შემოდგომის აზნაურს“ (ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, კირილე მიმინაშვილი, არისტო ქვაშავიძე, სოლომან მორბელაძე, ომან ქამუშაძე, ოტია ქამუშაძე, ეკვირინე სანიკიძე) იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელთა ყოფა-ცხოვრება წარმოადგენს არა ლიტერატურულ, არამედ ცხოვრებისეულ პაროდიას დონკიხოტობაზე.

Р. С. ТУРНАВА

## „ДОН КИХОТ“ СЕРВАНТЕСА И РАССКАЗЫ ДВОРЯНСКОГО ЦИКЛА Д. КЛДИАШВИЛИ

### Резюме

В наилучших образцах реалистической прозы—в „Дон Кихоте“ Сервантеса и рассказах дворянского цикла Давида Клдиашвили на принципах максимальной сближенности с действительностью и стилевой простоты изображена испанская и грузинская деревня в условиях разрушения крепостного строя и становления буржуазных общественно—экономических отношений.

Дворянские и крестьянские характеры из вышеупомянутых произведений одновременно являются и социальными, и психологическими, и типичными.

Титанический образ Дон Кихота можно сравнить почти со всеми т. п. „осенними азнаურამи“ грузинских рассказов, опираясь на ту точку зрения, согласно которой жизнь последних является не литературной, а жизненной пародией на донкихотство.

„Дон Кихот“ и рассказы азнаурского цикла Д. Клдншвили пронизаны юмором гуманистического содержания, однако сатира также выполняет значительную функцию. На фоне юмора выступает иронично-пародийный стиль, одним из главных признаков которого является „смех сквозь слезы“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა.

მარინე ვინცაბაძე

## წიგნი ქეთევან დედოფალზე

(ძველი მწერლობა)

„ლურჯი ზვით თქული ლოცვა გაჰყვა ქარსა  
ქროდა ქარი...  
ეცხლით სწავდნენ  
ტანშეპარცულ დედოფალსა,  
უღრეკ იყო დედოფალი...“

ანა კალანდიაძე

XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა დასავლეთი ევროპა ხელოვნებასა და ყოფაში ჰუმანიზმს ქადაგებდა, მოხდა უბრეცედენტო ფაქტი—სპარსეთის ქალაქ შირაზში, ათი წლის ტყვეობის შემდეგ, სასტიკი წამებით მოკლეს კახეთის დედოფალი ქეთევანი (1624 წლის 13 სექტემბერს). ამ შემთხვევამ ფართო გამოხმაურება პოვა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ქეთევან დედოფლის მოწამებობრივი აღსასრული აისახა მსოფლიო ქრისტიანულ მწერლობაში.

1633 წელს ინგლისში, ოქსფორდში ქეთევან დედოფლის შესახებ გამოქვეყნდა წიგნი, რომლის აღმოჩენის პატივი ეკუთვნის პროფესორ აკაკი გაწერელიას<sup>1</sup>. აღნიშნული წიგნის მიკროფილმი ინგლისიდან გამოუგზავნეს ირაკლი კენჭოშვილს, რომელმაც იგი თარგმნა და გამოსცა<sup>2</sup>. წიგნი შედგენილია ბერძენი ბერის, გრეგორის აბატ სოფრონისადმი მიწერილი წერილის საფუძველზე (დათარიღებულია 1626 წ. 16 მაისით). დასახლებული წერილი გახდა საფუძველი ბერძნული წიგნისა (ლათინური თარგმანიტურთ), რომელიც ინგლისურად ითარგმნა და წინასიტყვაობასთან ერთად გამოქვეყნდა 1633 წელს. წინასიტყვაობაში საინტერესო თვალსაზრისია გადმოცემული ზოგადად ქართულთა მდგომარეობისა და ევროპელთა მათდამი დამოკრძებულების შესახებ. არის ვარაუდი, რომ ბერძენი ბერის მოხსენიებული წერილი საფუძველად დაედო აგრეთვე გერმანული დრამატურგის ანდრეას გრიფიუსის ცნობილ ტრაგედიას ქეთევან დედოფლის შესახებ.

1657 წ. გერმანიაში გამოქვეყნდა ანდრეას გრიფიუსის დრამა ქეთევან დედოფალზე. ქ. ფრაუბერგში გერმანულ სიძველეებზე მუშაობისას ამ პიესისათვის მიუკვლევი ივანე რამიშვილს. მას გამოუგზავნია წერილი თბილისში და, როგორც ვახტანგ სიღამონიძე<sup>3</sup> მიგვითითებს, გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოუქვეყნებია ეს ღირშესანიშნავი ცნობა იმ ფაქტის შესახებ, რომლის არსებობა მხოლოდ 200 წლის შემდეგ ემცნო ქართველ საზოგადოებას.

გრიფიუსის ტრაგედიასთან დაკავშირებით ზურაბ ავალიშვილი წერს: „მე-17 საუკუნეში ამ ტრაგედიას გერმანიაში ხშირად ასრულებდნენ სცენაზედ. ცნობილია მისი სამი გამოცემა გრიფიუსის ნაწერთა კრებულში (1657, 1663, 1698), ისიც, რომ ცალკე წიგნადაც უნდოდათ გამოცემა და ამ მიზნით შეკვეთილმა სურათებმაც (გრავიურები სპილენძზე) მოაღწია ჩვენამდე“<sup>4</sup>. რო-



გორც ზ. ავალიშვილის ნაშრომიდან ირკვევა, იგი კვლავ აღუდგენიათ გერმანულ სცენაზე პერმან პალმს (1882 წ.) და ვილი ფლემინგს (1928 წ.). ა. გრიფუისის აღნიშნულ ტრაგედიას გერმანელები თვლიდნენ გერმანული სცენის ბაროკოს სტილის სათეატრო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ანდრია გრიფუისის მიერ ქეთევან დედოფალზე შექმნილი ტრაგედიის საფუძველზე ი. ბიბიჩაძემ 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს დედოფალი კათარინა“. ა. გრიფუისის დრამა სათაურით — „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ თარგმნა და გამოსცა აკაკი გელოვანმა 1989 წ.

XVII საუკუნის დასასრულს სლოვაკურ ლიტერატურაში აღმოჩნდა 1701 წლით დათარიღებული სლოვაკურ-ლათინური სინოპსისი ანუ სათეატრო წარმოდგენის პროგრამა, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული ქართველი დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. სლოვაკური ლიტერატურის მკვლევარი იოსებ მინარეკი მიიჩნევს, რომ სლოვაკური დრამის ავტორი არ არის პროფესიონალი დრამატურგი, არამედ — სკალაციელი იეზუიტი. სლოვაკურ მწერლობაში ჩვენთვის საინტერესო პიესის არსებობის შესახებ გვამცნობს მაკა ნაჟუეზი, რომელსაც საყურადღებო დაცვირვებები აქვს გერმანული დრამისა და აღნიშნული სლოვაკური პიესის ურთიერთობის შესახებ. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სლოვაკური დრამის ეპილოგს, სადაც არის გამოთქმული ვარაუდი კათოლიკური ეკლესიის მიერ ქეთევან დედოფლის წმინდანად შერაცხვის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჩვენს დრომდე შემორჩენილი კათოლიკე მისიონერების დოკუმენტური მასალები ქეთევან დედოფლის ვინაობის, მისი სპარსეთში ტყვეობისა და სიკვდილის შესახებ. პირველი, ვინც ამ მასალებზე იმუშავა საქართველოს ინტერესებისათვის, იყო ჩვენი თანამემამულე, ქართველი კათოლიკე მიხეილ თამარაშვილი. მან საარქივო მასალები საფუძველზე 1902 წ. გამოსცა ენციკლოპედიური წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, და მეტად საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა ქეთევან დედოფლის შესახებ. სხვა მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, რომელიც ეხება საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას, მითითებულია პალერმოს (სიცილია) წიგნსაცავში დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის (კომენტარებით) არსებობის შესახებ, რომელშიც, სამწუხაროდ, ქეთევან დედოფლის პორტრეტი არ არის შემორჩენილი, მაგრამ არის ავტორის მიერ ჩაწერილი ქეთევან დედოფლის დახასიათება.

პორტუგალიელმა კათოლიკე ბერმა, წმ. ავგუსტინეს ორდენის წევრმა, ამბროზიო დუშ ანჟუსმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი ღვაწლის საზოგადოებისათვის გაცნობაში. იგი უთანაგრძნობდა ქ. შირაზში ტყვედ მყოფ დედოფალს. მან მიიღო ქეთევან დედოფლისაგან უკანასკნელი ზიარება და წამების შემდეგ იყო მისი ცხედრის ჭირისუფალი. გარდა ამისა, დუშ ანჟუსმა დაგვიტოვა ქუმბარიტი ცნობები ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის მიზეზისა და მისი სიმტკიცის, ერთგულების შესახებ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. 1630 წ. პორტუგალიურ ენაზე გამოქვეყნდა ამბროზიო დუშ ანჟუსის მიერ შედგენილი ორი საბუთი: „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ...“ და „მამა, მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუსის მიერ საქართველოდან 1628 წლის 29 ივნისს გაგზავნილი წერილის ასლი...“. ორივე ეს საბუთი ლისაბონში, ტორე დე ტომბოს ბიბლიოთეკაშია



დაცული სხვა იმ კათოლიკეთა ცნობებთან და წერილებთან ერთად, ბიე გულითადობას იჩენდნენ ქართველი დედოფლის მიმართ.

ქეთევან დედოფლის თანამედროვე კათოლიკ ბერთა შემონახულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ქართულ მწერლობაში შეიქმნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ილია ტაბალუას მიერ გამოქვეყნებული შრომები და სტატიები<sup>8</sup>. ასევე 1973 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემული ნინო სალიას გამოკვლევა „პორტუგალიური დოკუმენტები საქართველოს დედოფალ ქეთევან წამებულის შესახებ“<sup>9</sup>. აღნიშნავთ სომეხი ისტორიკოსის რობერტ გიულბეგიანის საყურადღებო ნაშრომს, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1972 წ. ლისაბონში, ხოლო 1987 წ. ითარგმნა ქართულად<sup>10</sup>. სწორედ რ. გიულბეგიანმა აღმოაჩინა ლისაბონში და გრასას ყოფილ მონასტერში ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი უზარმაზარი პანო, 30 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანისა. მისი ასლი დართული აქვს გიულბეგიანის აღნიშნულ ნაშრომს, სადაც აღბეჭდილია სამი სცენა: ქეთევანის მიერ ზიარების მიღება ღუშ ანჟუსისაგან, დედოფლის წამება და ღუშ ანჟუსის მიერ ქეთევან დედოფლის ნეშტის გადაცემა მისი შვილის, თეიმურაზ პირველისადმი. აქვე აღნიშნავთ, რომ არსებობს ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი მხატვარ ა. გაგარინის სურათი ჩართული გ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ (1882 წ.) და უცნობი მინიატურა (3x4), რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული, დომენტი კათალიკოსის „სადღესასწაულოში“ (A 425). ქეთევან დედოფალთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია თ. ნატროშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატიები და წიგნები<sup>11</sup>, შექმნილი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით; აგრეთვე, მ. გუგუშვილის მონოგრაფია „თეიმურაზ I“<sup>12</sup>, სადაც ავტორმა წარმოგვიდგინა ქეთევან დედოფალთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული მასალა.

1635 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე კლოდ მალენგრმა გამოაქვეყნა „ჩვენი დროის ტრაგიკული ფურცლები“. ქართველი მკითხველი მას არ იცნობს. ი. ტაბალუა „საქართველოს ევროპის არქივებისა და წიგნსაცავების“ II ტომში წერს: „როგორც ამ ნაშრომიდან ჩანს იგი მხოლოდ 1630 წ. გამოქვეყნებულ მასალებს იცნობდა“ (გვ. 137). ასევე ი. ტაბალუას ამავე ტომიდან ვიკებთ, რომ მადრიდის 1624 წლის საარქივო მასალებში ესპანურ ენაზე დაცულია — „სახელოვანი სიკვდილი, ბრწყინვალე დედოფლისა ქეთევან დედოფლის, რომელიც სპარსეთის ქალაქ შირაზში ამ ქვეყნის ხელმწიფის შაჰ-აბასის ბრძანებით 1624 წლის 2 სექტემბერს მოკლეს“<sup>13</sup>.

რუსულ მწერლობაში ქეთევანის შესახებ არსებობს როგორც დიპლომატიური საარქივო დოკუმენტები, ისე ლიტერატურული ძეგლი, კერძოდ, XVIII საუკუნის ცნობები რუსი ელჩებისა, დათარიღებული 1622, 1624, 1639 წლებით. მეცნიერი ო. ბელობროვა, იკვლევს რა ქეთევან დედოფლის შესახებ არსებულ მასალას რუსულ ლიტერატურაში, წერს: „ყველაზე დაწვრილებითი ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ ჩაწერილია მოსკოვში, 1658 წელს მისი შვილის მეფე თეიმურაზისაგან, როცა იგი ჩამოვიდა ალექსანდრე მიხეილის ძესთან... ცოტა მოგვიანებით, 1658 წ. თეიმურაზმა მას მოსკოვში ელჩის ხელით გამოუგზავნა ქეთევანის ნაწილები“. აქვე ბელობროვა გვატყობინებს, რომ XVI—XVII სს. არსებობდა ლიტერატურული ნაწარმოები — „თქმულება დინარაზე“, რომელიც ხოტბას ასხამდა სიბრძნეს დედოფლისას,

რომელმაც შეძლო წინ აღდგომოდა სპარსი მეფის ცბიერებას<sup>14</sup>.

1822 წელს, ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, რუსეთის უმაღლეს ლომატიურ სფეროში — შეიქმნა ქეთევანის ცხოვრების ამსახველი წიგნი. ასევე XIX ს. შუა წლებში ცნობები ქეთევანის შესახებ შეტანილი იყო ქართველ წმინდანთა ცხოვრების ამსახველ კრებულში, როგორც ამის შესახებ წერს ბელობროვა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დროთა განმავლობაში აღმოჩნდება კიდევ სხვა დოკუმენტები, პუბლიკაციები, ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც უფრო გააფართოებს ქართველი დედოფლის აღიარების არეალს. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ქეთევან დედოფლის ნემტის ნაწილი შენახული იყო ინდოეთის ქ. გოაში და გრასას მონასტრის კაპიტელში<sup>15</sup>, რომლის მოძიება არ დასცალდა ქართველ მამულიშვილთა ჭირისუფალს, რვეაზ თაბუკაშვილს. ძნელი დასაჯერებელია, რომ სხვა ქრისტიანულ ეკლესიებს სათანადო რეაგირება არ მოეხდინა ამ მნიშვნელოვან ფაქტზე.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დაადგინა 1 მარტი, რომელიც შემდგომ გადატანილი იქნა 13 სექტემბერს. XVIII ს. გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და შემოქმედი ანტონ I კათალიკოსი თავის „სადღესასწაულის“ (S 1464) წინასიტყვაობაში ამის შესახებ წერს: „ლუაწლი წმინდისა დედოფლისა ქეთევანისი იყო მარტა ე(1) დღესა, ვითარმედ აკოლიტა სრული წმინდისა ქეთევანისა ერთ წიგნად ქმნილი მიხილავს მე წიგნსაცავსა შინა დედისა ჩემისასა, რომელ მეოთხე იყო ასული შთამომავლობისაგან წმინდისა მის დედოფლისა და წიგნსა მას შინა მარტისა თთვისა პირუჭლისა წერილ-იყო ჰკსენება ლუაწლისა წმიდისა ქეთევანისა, არამედ მპრობელობასა კახეთს დედის დედისა ჩემისა დედოფლისა ანასა, დაღუშს ეპისკოპოსთა კიეთემ და მღვდელთა ლუაწლი წმიდისა მის ჰქსენებად სექტემბერსა ივ (13)...“<sup>16</sup> უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული მწერლობის არც ერთი მოღვაწის შემოქმედებაში ქეთევანის ღვაწლი ისე სრულყოფილად არ ასახულა, როგორც ანტონ I კათალიკოსთან. ეს აიხსნება უპირველესად იმ გარემოებით, რომ ანტონ პირველისთვის ქეთევანისადმი „...გალობა და ქება არს ღმრთისმსახურება...“, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავს მოვალედ თვლიდა, როგორც დედოფლის შთამომავალი, თავისი წვლილი შეეტანა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი ღვაწლის ასახვაში: „კადნიერად ვჰსთქუა წინაპარისა მის მშობელისა ჩემსა და მშობელობითა და წინაპართა პაპათა ასულებით ჩემდა საქადულობისა მიზეზისა“.<sup>17</sup> წერს ანტონ I. (ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსი იყო შვილი ერეკლე I-ისა და ანა დედოფლის ასულის ელენესი, ერეკლე I კი ქეთევან დედოფლის ვაჟის — თეიმურაზ I-ის შვილიშვილია). ანტონ კათალიკოსმა დაგვიტოვა ბიბლიოგრაფიული ცნობები დედოფლის სახელზე შექმნილი ნაწარმოებების შესახებ.

ანტონი, გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელის შემდგომ არის ავტორი ქეთევან დედოფალზე შექმნილი სვინაქსარის<sup>18</sup>, მეტაფრასული ცხოვრებისა — და ჰიმნოგრაფიული შესხმისა, რომლის ტექსტი გამოუქვეყნებელია და დაცულია S 1464 ხელნაწერში. აღსანიშნავია, რომ არ დარჩენილა ძველი ეპოქის თითქმის არც ერთი ქართველი მოღვაწე, რომელიც არ შეზებოდა ქეთევან დედოფლის მოწამებრივ ღვაწლს. ესენი არიან: გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელი, ბესარიონ ორბელიშვილი, დომენტი კათალიკოსი, ანტონ I, ნი-

კოლოზ ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ I, მეფე ბერი ეგნატაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი, დიმიტრი ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი. ქეთევან დედოფლის ღვაწლმა ასახვა პოვა ძველი ქართული მწერლობის ყველა ძირითად ჟანრში: პაგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიაში, საისტორიო მწერლობაში, ისტორიულ პოემაში, პოეზიაში. მიუხედავად ჟანრობრივი სიჭარბისა და ძველი ეპოქის მოღვაწეთა ასეთი ინტერესისა თავისი სასიქადულო მამულიშვილის ღვაწლის მიმართ, მათგან მხოლოდ ორი ავტორის თხზულება იყო გამოქვეყნებული, ისიც არა სამშობლოში, არამედ პეტერბურგელ ქართველ ემიგრანტთა წრეში და პარიზში.

ნ. მახათაძის გამოკვლევაში „ქართული კულტურის კერა პეტერბურგში“ ეკითხულობთ: 1818 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა დიმიტრი ბაგრატიონის ისტორიული პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“<sup>19</sup>. ავტორმა აღნიშნული ნაწარმოები მიუძღვნა ერეკლე II-ის ასულს ქეთევან ბატონიშვილს, რომელიც, როგორც რუსეთის წინააღმდეგ 1805 წლის შეთქმულების ცენტრალური ფიგურა, საქართველოდან გადაასახლეს. დიმიტრი ბაგრატიონის „წამება“ დაწერილია თეიმურაზ I-ის ნაწარმოების ამავე სახელწოდების („წამება ქეთევან დედოფლისა“<sup>20</sup>) გავლენით. დიმიტრი ბაგრატიონის პოემა ითვლება ქართული ემიგრანტული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად, როგორც ამას წერს დ. ბაგრატიონის შემოქმედების მონოგრაფიის „დიმიტრიანის“ ავტორი რარა ნაკაშიძე<sup>21</sup>.

ქეთევან დედოფლის სახელოვანი აჩრდილი თან გაჰყვა ემიგრაციაში გადახვეწილ ქართველ ბატონიშვილებს.

XIX საუკუნის დასაწყისის პეტერბურგელ მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია თეიმურაზ ბაგრატიონი. გურამ შარაძე თ. ბაგრატიონისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ლაკონურად წარმოგვიდგენს მის პიროვნებას<sup>22</sup>.

სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან ერთად თ. ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის სამი ისტორიული თხზულების შექმნა და მათ შორის „წამება წმიდათა შორის კახთ დედოფლისა“. ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ 1833 წელს პარიზში თეიმურაზ ბაგრატიონის აღნიშნული წამება, მისსავე დანარჩენ ორ ისტორიულ თხზულებებთან ერთად, გამოაქვეყნა ლითოგრაფიული წესით, ქართული და ფრანგული სათაურით. ამის შემდგომ, 1862 წელს, თეიმურაზ ბაგრატიონის „ქეთევანის წამება“ გამოქვეყნდა საქართველოში, ყურნალ „ცისკრის“ მეოთხე და მეხუთე ნომერში<sup>23</sup>, გამოცემის რედაქტორის ივ. კერესელიძის კომენტარით. ჩვენი აზრით, თ. ბაგრატიონის თხზულება „მოწამეთა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა“ ისევე, როგორც დიმიტრი ბაგრატიონის პოემა, ბევრ მსგავსებას ავლენს ქართულ მწერლობაში პირველ ისტორიულ პოემასთან, თეიმურაზ I-ის „წამება ქეთევან დედოფლისათან“.

ამდენად, ქართველი დედოფლის მოწამებრივმა ღვაწლმა სარწმუნოებრივ-ეპოგრაფიული ინტერესების დაცვისათვის ფართო გამოხმაურება პოვა ქრისტიან ხალხთა მწერლობაში. ქეთევანზე არსებობს საარქივო მასალები, დრამატურგიული ნაწარმოებები, თხზულებები, პოემები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე — ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ბერძნულ (ლათინურ), პორტუგალიურ, ესპანურ, სლოვაკურ, რუსულსა და ქართულზე. ყოველივე ეს მიჯვითობს არა მარტო დიდ ინტერესსა და თანაგრძნობაზე ქართველი დედოფ-

ლის მოწამებრივი სიკვდილის მიმართ, არამედ მისი ღვაწლის აღიარებამ სხვადასხვა სახელმწიფოთა ეკლესიების მიერაც.

წამება ქეთევან დედოფლისა მარადიული თემაა ქრისტიან ერთა მწერლობისა. ქეთევან დედოფალი ამოუწურავი სახეა სამშობლოსათვის სიციცხლის გაღებისა. ქეთევან წამებულნი სიმბოლოა თვით ერთიანი საქართველოსი და მისი უკვდავებისა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. გაწერელია ა., ლიტერატურული წერილები, თბ., 1954.
2. კენჭიშვილი ი., ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე: ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1961, № 4.
3. სიღამონიძე ვ., ჩვენი სამშობლოს წარსულიდან, წერილი ქეთევან დედოფალზე, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1985 წლის 25 სექტემბერი, № 15; ანდრეას გრიფიუსი, ქეთევან ქართველი ანუ გაუტყველი სიმტიციე, თბ., 1989. გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა; ბიბიჩაძე, ი., ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა“, თბ., 1951 (საკანდიდატო დისერტაცია).
4. ზ. ავალიშვილი, თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, პარიზი, 1938.
5. ნაჭყებია მ., ამბანი არ-სამრდონი, გაზ. „თბილისი“, 1988 წლის 26 ნოემბერი.
6. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902. იხ. ლომსაძე შ., მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1987. ძოწენიძე ლ., კათოლიკური მიმართობის ისტორიიდან საქართველოში, კრებული „ძველი ქართული ლიტერატურა“ (XI—XVII სს.), თბ., 1977, გვ. 17. ბარამიძე რ., ქართული კათოლიკური პიმილიები, თსუ შრომები, 1981.
7. დონკრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღზომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ.
8. ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1966, მისივე, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987. მისივე, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის შესახებ, ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 4. მისივე, „კიდევ ერთი ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ, გაზ. „კომუნისტ“, 1988 წლის 20 ოქტომბერი.
9. Salia N., Les documents portugals a la mort martyre de la rein Georgienne Ketevane, le magasin „Bedi Kartlissa“, Paris, 1973, გვ. 69.
10. გიულჩეკიანი რ., ნამდვილი ცნობები ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, თბ., 1987. აღფენიძე ვლ., კამიონში და საქართველო, ჟურნალი „ცისკარი“, 1980, № 5, გვ. 114.
11. ნატროშვილი თ., მოგვითხრობს პორტუგალიელი ამბროზიო, ჟურნალი „დროშა“, 1977, № 14., გვ. 20. მისივე, ერთგულები მწვერვალებისა, ჟურნალი „კრიტიკა“, 1984, № 4, გვ. 67. მისივე, ათასი ელვის ნათელი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1986 წლის 16 მაისი. მისივე, წელი ერთი და ათასი, თბ., 1988. მისივე, მშობიდან მღრიბამდე, თბ., 1991.
12. გუგუშვილი მ., თეიმურაზ I, თბ., 1981. „საღვთისმეტყველო კრებული“, თბ., 1985, № 2; ასათიანი ლ., ძველი ქართველი პოეტი ქალები, თბ., 1936.
13. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, იგივე. ეს ცნობა ტაბალუასთვის მიუწოდებია გ. პიკაქეს, რომელმაც იგი ჩართო ნაშრომში „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ (1652—1658) „საისტორიო მოამბე“, ტ. 19—20, თბ., 1965, გვ. 456—457.
14. Белоброва. О редком изображении царицы Кетеван, сборник: Грузинская и русская средневековые литературы. СПб., 1992, გვ. 48.
15. აღფენიძე ვლ., კამიონში და საქართველო, ჟურნალი „ცისკარი“, 1986, № 5, გვ. 17.
16. S 1464, 6 რ. კ. კეკელიძე, ანტონ I კათალიკოსის სალიტერატურო მოღვაწეობიდან, ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 232. მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII, თბ., 1977, გვ. 206.





17. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბ., 1968. *ქართული*
18. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, თბ., 1980. *ქართული*  
შვილი ბ., ქეთევან დედოფლის წამების მეტაფრასული რედაქცია, კრებული „ძველი  
ქართული მწერლობის მატრიანე“, II, თბ., 1985. მ. ცინცაბაძე, ქეთევან დედოფლის  
სახე ანტონ კათალიკოსის შემოქმედებაში, კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, III,  
1983. შახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967.
19. შახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967. გვ. 87. გორგაძე,  
ქართველები პეტერბურგში, თბ., 1976. ტრ. რუხაძე, მეფობამეტე საუყენის ემი-  
გრანტული პოეზიის ისტორიიდან, თსუ შრომები, თბ., 1939, გვ. 117.
20. „თეიმურაზ I“. ტფ., 1933. ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და მ. ჯა-  
კობიასი. იმედაშვილი გ., თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა და  
მარტილოლოგიური ენანი“, კრებული „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“,  
II, თბ., 1964. ქიქოძე ბ., ისტორიული პოემა ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ.,  
1964, ბარამიძე რ., ერის ტკივილისა და განცდის დიდი მესიტყვე, გაზ. „კომუნის-  
ტი“, 1988 წლის 14 მაისი;
21. ნაკაშიძე რ., დიმიტრიანი, თბ., 1978. ნაკაშიძე რ., დიმიტრი ბაგრატიონის „წამება  
ქეთევან დედოფლისა“, კრებული „ძველი ქართული ლიტერატურა (XI—XVIII სს.)“,  
თბ., 1977, გვ. 150.
22. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, I, II, თბ., 1972, 1974. შარაძე გ., თეიმურაზ  
ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974. შარაძე გ., თეიმურაზ  
ბაგრატიონი, კრებული „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი“. თბ., 1986, გვ. 12.
23. თეიმურაზ ბატონიშვილი, წამება წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა,  
ეჟრნალის „ცისკარი“, 1862, № 4, № 5.

М. Г. ШИЦАБАДЗЕ

КНИГА О ЦАРИЦЕ КЕТЕВАН  
(ДРЕВНЯЯ ПИСЬМЕННОСТЬ)

Резюме

Христианский мир был потрясён мучительной смертью грузинской царицы Кетеван, происшедшей в персидском городе—Ширазе 13 сентября 1624 года. Этому факту были посвящены документальные материалы, публикации, художественные и драматургические произведения мировой письменности.

В данной публикации представляем перечень тех источников о царице Кетеван, которые существуют на английском, немецком, французском, греческом (латинском), португальском, испанском, словенском, русском и на грузинском языке,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილება  
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

## ზ ზ ი ა ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

## ახალგაზრდა გმირი თანამედროვე სპარსული რომანების მიხედვით

70-იანი წლების პირველი ნახევრის სპარსული რომანები მოითხოვენ სპეციალურ კვლევას. მხედველობაში გვაქვს: ჯამალ მირ სადეყის „გრძელი ღამე“, ს. დანეშვარის „საუფუნო“, ირეჯ ფეზეშქ-ზადის „ძია ნაპოლონი“ და აჰმედ მაჰმუდის „მეზობლები“<sup>1</sup>. ჩვენ მიზნად დავისახეთ ამჯერად მხოლოდ ერთ კონკრეტულ ასპექტზე შევაჩეროთ ყურადღება: აღნიშნულ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში შეინიშნება გაღრმავებული ინტერესი ახალგაზრდა ირანელის, როგორც სოციალურად აქტიური ტიპის, მხატვრული ასახვისადმი: მწერლები ცდილობენ წარმოაჩინონ პერსონაჟის ხასიათის ძირითადი მომენტების სპირალურად განვითარების პროცესი.

მკვლევარი დ. კომისაროვი 60—70-იან წლებში გამოქვეყნებულ რომანთა გვერდით (ალი მოჰამედ აფლანის „აჰუ-ხანუმის ქმარი“, ლოლამოსეინ საედის „ძაძით მოსილი ბაილი“, მოჰამედ დიდვარის „სიცრუე და ჯადოქრობა“), რომელთაც გარკვეულწილად ხელი შეუწყვეს უანრის განვითარებას, ასახელებს ჯამალ მირ სადეყის „გრძელ ღამესაც“<sup>2</sup>.

ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოები ძირითადად ახალგაზრდობის პრობლემებს ეძღვნება. რომანული დრო განფენილია 50-იან წლების მიწურულსა

1 ჯამალე მირ სადეყი, დერაზნაიე შაბ, თეჰრან, 1970; სემინე დანეშვარი, საუფუნე, თეჰრან, 1970; ირაჯ ფეზეშქზად, დანიე ჯან ნაჰალუნე, თეჰრან, 1972. უკმაღე მაჰმუდ, ჰამსაიეჰ, თეჰრან, 1975. ირეჯ ფეზეშქ-ზადის რომანზე ყურადღება მიგვაქცევინა და თერანიდან მის მიღებაში დაგვეხმარა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი გ. ბერაძე, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხვებთ.

ჯამალ მირ სადეყი (დაიბ. 1933 წ.) სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 50-იანი წლების დასასრულს. 1963 წ. მან გამოაქვეყნა მოთხრობების პირველი კრებული სათაურით „მწვანეთვალეა მეფის ასული“. ავტორი წერს ძირითადად ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაზე. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ირანის საზოგადოების ზნეობრივი საყრდენების კრიტიკას. ფსიქოლოგიურ-საყოფაცხოვრებო მოთხრობების პარალელურად ჯამალ მირ სადეყიმ შექმნა აგრეთვე ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებებიც. სიმინ დანეშვარი (დაიბ. 1921 წ.) თერანის უნივერსიტეტში სალექციო კურსის კითხვასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს მხატვრული თარგმანის უანრშიც (იხ. მის მიერ თარგმნილი ა. ჩხობოის, ბერნარდ შოუს და სხვა ავტორთა ნაწარმოებები). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობათა კრებულები „ნაჰქალი ცეცხლი“ და „სამოთხის ქალაქი“. იგი არის ცნობილი ირანელი პროზაიკოსის ალე აჰმედ ჯელალის (1923—1969 წ.) ქვრივი. ს. დანეშვარის მიღებული აქვს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. აჰმედ მაჰმუდი მწერლობაში მოვიდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი მოთხრობების კრებული „ჯებიტი“. ხოლო 1962 წ. დაიბეჭდა მწერლის საინტერესო წიგნი „უსარგებლობა“. აჰმედ მაჰმუდი ცნობილია როგორც ნიჭიერად დაწერილი ფსიქოლოგიური ნოველების ავტორი. ბოლო ხანებში მის შემოქმედებაში განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა სოციალური საკითხების გაშუქებამ. ირეჯ ფეზეშქ-ზადი ირანელ რომანისტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელია. ავტორი თავის ფართო ლიტერატურულ შესაძლებლობებს განსაკუთრებით სრულყოფილად ავლენს სატირის უანრში. ამ მხრივ ყურად-

<sup>2</sup> Д. Комиссаров Пути развития новой и новейшей персидской литературы. М. 1982 г. 227.



და 60-იანი წლების დასაწყისის შორის. პერსონაჟებისადმი დიფერენციალური მიდგომამ საშუალება მისცა მწერალს ობიექტურად აესაზა რთული ბრძოლის სურათი ახლის დაბადებისა დრომოქმულ სამყაროსთან შედარებით. სამყაროსთან, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან მაგრად ეჭიდება ძველ პატრიარქალურ ტრადიციებს<sup>2</sup>.

ნაწარმოებში წარმოდგენილია თაობათა ბრძოლის ტრადიციული ინვარიანტული მოტივი<sup>3</sup>. მწერალი მიგვანიშნებს, რომ მთავარი გმირი ქამალი მეხუთე კლასის მოსწავლეა<sup>4</sup>. ამ უკანასკნელზე ურყევად მბრძანებლობს მამა, რომელიც ვაჟის განათლებას საკმარისად მიიჩნევს და გადაწყვეტილი აქვს ხელობის შესასწავლად ქამალი დაბალს მიაბაროს.

წლების განმავლობაში ვაჟი იძულებული იყო, რელიგიურ ცერემონიაში (ხანჭლით თვითგვეამ) მიეღო მონაწილეობა. გარკვეულ პერიოდამდე მისტერიასთან დაკავშირებით იგი უსიტყვოდ იზიარებდა მამის თვალსაზრისს. აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიული წრის წარმომადგენელი მანუჩქარი არ ეთანხმება ქამალის წინადადებას დაესწროს რიტუალს. ამ უკანასკნელს ხანჭლით თვითგვემის პროცესი ხალხის ბარბაროსობის გამოვლენად მიიჩნია. ადრეულ ბავშვობაში (მანუჩქართან დაახლოებამდე) ქამალის მიბაძვის ობიექტებს წარმოადგენდნენ მისტერიაში აქტიურად მონაწილე ოდიოზური ადამიანები: მოსტაფა მყვლევაჟი და შავი პასანი. ყმაწვილი ოცნებობდა წმინდა ალმით ხელში გაძლოლოდა სამგლოვიარო პროცესიას. მწერალი დეტალურად აღწერს მისტერიის შემზარად სურათებს<sup>5</sup>. თუ ერთი წლის წინ ვაჟი მგლოვიარეთა მწკრივს მიჰყვებოდა, ამჯერად, მორიგი რიტუალის შესრულების დროს, იგი შინ დარჩენას ამჯობინებს. ქამალმა საბოლოოდ გული აიკრუა ხალხურ დღესასწაულებზე.

თანატოლებისაგან განმხოლოებული ქაბუჯი ცდილობს დაუახლოვდეს

დებს იმსახურებს მისი მამილეგელი პიესები: „სამართლიანობამ რომ გაიმარჯვოს“ და „ინდოელი ჯაჟი“. შევნიშნავთ, რომ „ძია ნაოლეონის“ ერთ-ერთ ეპიზოდს (იხ. სცენა, როცა შეშინებული ღუსთალი-ხანი ემალბა დანით შეიარაღებულ ცოლს) საფუძვლად დაედო მწერლის მიერ 1959 წ. გამოქვეყნებული მოთხრობის („უბედური თაობა“) სიუჟეტი.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ განსახილველი რომანები დაბეჭდილია 1970—1975 წლებში. მათში დაფიქსირებულია მე-20 საუკუნის დაახლოებით შუა წლების ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები.

<sup>2</sup> Д. Комиссаров. Вместо предисловия, в кн.: Джамал Мир Сади. Долгая ночь, М., 1976, гл. 7.

<sup>4</sup> სპარსულ საყმაწვილო და არა მარტო საყმაწვილო ლიტერატურაში არცთუ იშვიათია ნაწარმოებები ტირან მამებზე. ა. როზენფელდის აზრით, ირანელი მწერლის ქამალ მირ სადევის ნოველა „იმ ღამით, როცა თოვდა“ თემით, ელვრადობითა თუ მხატვრული წყობით უთუოდ წააგავს ა. ჩეხოვის „ვანას“. იხ. А. Розенфельд. — Новелла ведущий жанр современной персидской прозы, сб., В ту ночь, когда шел снег, М., 1964, гл. 13.

ჩვენი მზრით დავძენთ, ა. ჩეხოვის აღნიშნულ მოთხრობას ფორმის თვალსაზრისით აგრეთვე ემსგავსება რ. ფარვიზის ნაწარმოები: „გაკვეთილი თვისუფალ თემაზე“.

<sup>5</sup> მხოლოდ რომანის დასასრულს, ავტობიოგრაფიის წარმოდგენამდე (გვ. 229), ზუსტდება მისი ასაკი. მოცემული პერიოდისათვის ვაჟი ოცი წლისაა. ქამალს მამა დაეცნო, დერაზნაზე შაბ, გვ. 225.

<sup>6</sup> იხ. სამი წლის ბავშვის დასწრება რელიგიურ ცერემონიაზე.

ისეთ ამბივალენტურ ტიპს, როგორც მანუჩეპრია<sup>7</sup>. უნდა ითქვას, რომ მე-  
გობრის ახლობლებს შორის ვაყი თავს წამებულად გრძნობს. ბურჟუაზიული  
საზოგადოების წარმომადგენელთა გართობისა და დროსტარების წესი ქა-  
მალში აღმფიქვითებას იწვევს. მათი საუბრის თემა ძირითადად შეეხებოდა  
განქორწინების, თვითმკვლელობისა და ფსიქიკურ აშლილობათა საკითხებს<sup>8</sup>.  
მწერალი ხაზს უსვამს, რომ აღზრდის გამო ქამალს არ ძალუძს შეეგუოს  
ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ სიახლეს. ის, რაც უარყოფს ნორმას,  
დადგენილსა და ფეხმოკიდებულს, მისთვის მიუღებელია<sup>9</sup>.

ქამალს მიაჩნია, რომ მას გარემოება აიძულებს მომავალში ჩაიცვას თე-  
თი პერანგი, ატაროს პალტუხი, გაიპაროს ყოველდღე, ხოლო კვირაში ორ-  
ჯერ იაროს საღალაქოში. როგორც ჩანს, აუცილებელია დაანგრეოს ზღუდე,  
რომელიც გამოყოფს ვაჟს თავისი ტოლებისაგან და იწვევს მის გაუცხოებას<sup>10</sup>.

მანუჩეპრთან ურთიერთობისას ქამალს უჩნდება მიბაძვის სურვილი. მას  
ძალიან უნდოდა ყოფილიყო მანუჩეპრავით მიმზიდველი, საყვარელი, მკვერ-  
მეტყველი, სამკაული საზოგადოებისა<sup>11</sup>.

ქამალის მახასიათებელია წიგნიერება, სიმორცხვე, თავაზიანობა. პერ-  
სონაჟები საგანგებოდ გამოჰყოფენ მის საზრიანობასა და გონიერებას<sup>12</sup>.  
სხვათა დახასიათებით თანდათანობით ვიღებთ ქამალის ხასიათის მოზაიკურ  
სურათს.

მანუჩეპრი მამის ბიბლიოთეკიდან ხშირად სთავაზობს მეგობარს წიგ-  
ნებს<sup>13</sup>. თუ უწინ ქამალი სახელმძღვანელოებსა და ძველ რელიგიურ ლიტე-  
რატურას კითხულობდა მხოლოდ, მალე მეგობრის შემწეობით სათავადად-  
სავლად და ისტორიული შინაარსის წიგნებსაც ეცნობა. მწერალს საჭიროდ  
მიაჩნია აღნიშნოს, რომ ვაყი ბევრსა და გატაცებით კითხულობს. წიგნების  
გაცნობითა და პროგრესულად მოაზროვნე აღამიანებთან ურთიერთობის შე-

7 ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვით, ქამალი კუსავით არის შეყუყული თავისი ჯავნის  
ქვეშ. გვ. 40.

<sup>8</sup> გვ. 81.

9 შტრ. როცა ფერეშთეს დედა ქამალს ლარნაკით მიართმევს ტკბილეულობას, თავ-  
დაბრუნებულ ვაყი ვერ ბედავს მოპარამის დღეებში გემო გაუსინჯოს მას. მამამ დაარწმუნა  
შეილი, რომ ტკბილეულობის ქამა დასაშვებია მხოლოდ დღესასწაულების დროს. მაგრამ  
ფერეშთეს თანდასწრებით ქამალი ნუგზარს ანგარიშმიუცემლად ჩაიდებს პირში (გვ. 56).  
საერთოდ, ვაყის მეტამორფოზში გარკვეულ როლს თამაშობს ფერეშთე, რომლის თანხ-  
ლებით იგი პირველად შედის ლეინის დუქანში. უწინ ქამალში მუდამ ზიზლს იწვევდა მსგავსი  
დაწესებულება (გვ. 126—127). უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ვაყს კინოთეატრის მი-  
მართადაც. მოცემულ საკითხთან დაკავშირებითაც განიცდის იგი მამა-ბიძის ვაგლენას. ქამალი-  
სათვის კინოთეატრი მუდამ იყო უზნეობის თავშესაფარი (გვ. 59), ხოლო მოგვიანებით მა-  
მის პიროვნებისადმი უნდობლად განწყობილი ქამალი დაასკვნის, თუ მშობელი არსოდაქა  
არ ყოფილა აღნიშნულ დაწესებულებაში და არ იცის, რას წარმოადგენს იგი, არ უნდა ლა-  
პარაკობდეს უარყოფითად მის შესახებ (გვ. 65).

<sup>10</sup> გვ. 81.

<sup>11</sup> გვ. 6.

<sup>12</sup> დედის სიტყვით, ქამალი ძლიერი ხასიათისაა. გამოცდებზე არასოდეს არ ჩაქრილა,  
დაინტერესებულა მეცადინეობით (გვ. 218).

<sup>13</sup> შედარებით თამამი და ნაკლებად ბეჯითი მანუჩეპრი ქამალს ანტიპოდს წარმოად-  
გენს. ავტორი მათ კონტრასტულად უპირისპირებს ერთმანეთს. ყმაწვილებს შორის გან-  
სხვავება თავს იჩენს ჩაბმულობაშიც. მანუჩეპრი მოხდენილად იცვამდა. პეჩაყი და შარვალი  
დაუთოებული, ხოლო წაღები გაპრიალებული ჰქონდა (გვ. 6). შტრ.: მეგობრის სიტყვით,  
იზღენად სსსაცილოდ აცვია ქამალს, რომ იგი ჰკავს „მერთში დაბადებულ ახუნდის ვაყი-  
შვილს“ (გვ. 6).

დეგად ხდება გარდატეხა ქაშალის შეგნებაში, მისი თვალის ახელა<sup>14</sup>.  
ყმაწვილების დამეგობრებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს  
სასწავლო საგანი, როგორცაა აღვებრა<sup>15</sup>.



მიუხედავად იმისა, რომ ქაშალი მამის წინაშე დედას უტყერს მხარს, მათ შორის, ბუნებრივია, არ არსებობს შეხედულებათა ერთგვარობა (შდრ. აჰმედ შაჰმუდის რომანი „მეზობლები“. ხალედის დედას შიში იპყრობს შვილის საქმიანობის გამო, იგი არ იწონებს ვაჟის დაინტერესებას სოციალური და პოლიტიკური საკითხებით). მწერალი ჯამალ მირ სადღეც ცდილობს ახსნა მოუძებნოს მოვლენას, როცა დედასა და შვილს შორის ურთიერთგაგება ირღვევა<sup>16</sup>.

რომანში ნაჩვენებია მამის გავლენისაგან თავის დაღწევის მტკიცეული პროცესი — ზუმი და მორბაღბული ქაშალი აუჯანყდება მშობელს, შეებრძობება მის დესპოტიზმს. ვაჟის რწმენით, ბოლო სიტყვა ყოველთვის მამას როდი უნდა ეკუთვნოდეს, შვილი მოვალეა დაიცვას თავისი ადამიანური უფლებები<sup>17</sup>. (შდრ. ს. დანეშვარის ნაწარმოები „საუფუნი“. იუსეფი საკუთარი ვაჟიშვილის თვალში სამაგალითო და მისაბამ პიროვნებას განასახიერებს).

ქაშალის უფროსი მეგობრის, სხვაგვარად მოაზროვნე მაჰმუდის (რომელიც პრინციპულად არ იზიარებს საკუთარი მამის კონცეფციას) აზრით, შვილს არ შეუძლია ურთიერთობა შეწყვიტოს მშობელთან, მაგრამ მას აქვს უფლება იცხოვროს მათგან განცალკევებით (შდრ. რ. ფარვიზი „გაკვეთილი თავისუფალ თემაზე“. საინტერესოა, რომ ტირანი მამის გვერდით დედასა და ვაჟიშვილს შორის მეტი თანხმობაა).

როცა სტუდენტი მაჰმუდი (იგი პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა) ეკითხება ქაშალს, შეძლო თუ არა მან ბოლოს და ბოლოს მორიგება თავის მამასთან, ვაჟი უარყოფითად უპასუხებს. ქაშალის მტკიცებით, მათ წყალს არ სურთ დენა ერთ კალაპოტში<sup>18</sup>. მამები ძველის დრომოჭმულის სიმბოლოდ აღიქმებიან.

ქაშალზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაჰმუდის (იგი ოპოზიციურად არის განწყობილი არსებული წყობილების მიმართ) სიტყვები, რომლითაც

14 ვაჟი ესწრაფვის, თავი წარმოიდგინოს წაკითხული წიგნების პერსონაჟად. ქაშალს ესიზმრებოდა, რომ იგი, როგორც წიგნებშია მოთხრობილი, ებრძვის მეკობრეებს, მოგზაურობისას საინტერესო ხალხს ხედება, უმიჯნურდება ლამაზ ქალებს (გვ. 14).

15 ქაშალი დილაობით ცოტა ადრე მიდიოდა სკოლაში და ეხმარებოდა მეგობარს ამოხსნა მათემატიკური ამოცანები (გვ. 7).

16 ქალი ცხოვრობდა წარსულით და ჯერ კიდევ უყურებდა შვილს როგორც პატარა გამგონ ბიჭუნას, რომელიც სკოლიდან მოსვლისას აჩვენებდა მას შემდეგ კლასში გადაყვანის ატესტატს. დედას არ შეეძლო შეეფასებინა რეალური სინამდვილე ისე, როგორც აფასებდა შვილი (გვ. 219).

17 რამდენიმე დღის წინ, როცა მათ უბნის ფიშნამაზი (სასულიერო პირი) ესტუმრათ, მამამ დაიწინაურა მოითხოვა, რათა ქაშალს სტუმრის დახმარებით დაემუშავებინა ყურანის პირველი სურა, მაგრამ ვაჟმა თავის ტყვიანი მომიჯნა და არ შეასრულა მშობლის მოთხოვნა. ქაშალი ათვალწუნებით უყურებდა ფიშნამაზს, რომლის შიშით მათ ქუჩაზე უჩადროდ გამოჩენა პატარა ჯოჯონასაც არ ძალუძს, (გვ. 72). შდრ. ქაშალი ზეიმობდა, რომ გაიძარცვა მამაზე, აიძულა იგი, წაყვანა დედა სალოცავში, (გვ. 18). უფროსი თაობის მიხედვით, შვილი უნდა წარმოადგენდეს მათი ნების უსიტყუო შემსრულებელს. აქედან გამომდინარე, მშობლები მტკიცედ ცდილობენ თავიანთი სურვილების გასაგნობრიობას.

18 გვ. 118.

გაცხადებულია მეგობრის აზრი უფროსი თაობის მიმართ<sup>19</sup>.

მაღე ვაჟი სტუდენტთან ერთად სიარულს დაიწყებს კაფეში, სადაც მაჰმუდთან დაახლოებული პირები კითხულობდნენ ოპოზიციური ხასიათის გაზეთებს. შეკრებულნი იხილავდნენ კანონპროექტს ბუქდვითი სიტყვის შესახებ, მსჯელობდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებსა და ნავთობის პრობლემებზე<sup>20</sup>.

იმთავითვე იგრძნობს ქამალი, რომ თავისი ცოდნის დონითა და მომზადებით იგი ბევრად ჩამოუვარდება პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდებს. ვაჟი მტიყენეულად განიცდის თავის უმწეობას.

მრავალი ახალი ტერმინი თუ ცნება მის წინაშე კედელივით აღიმართებოდა, რაც არ აძლევდა საშუალებას სწორად გაეგო და შეეფასებინა წაკითხული<sup>21</sup>. ამიტომ ქამალი ცდილობდა გულისყურით გასცნობოდა წიგნებსა და გაზეთებს, რომლებიც მოჰქონდა მაჰმუდისაგან (შდრ. რომანი „მეზობლები“. ხალედს საკითხავ მასალას სთავაზობენ შაფაყი და მისი მეგობრები, პოლიტიკურად უფრო განათლებული და მომზადებული პიროვნებები). ვაჟმა, ცხადია, იცის, რომ მხოლოდ თავდაუზოგავი მეცადინეობითა და პოლიტიკური ლიტერატურის კითხვით შეუძლია ამაღლდეს მოწინავე ახალგაზრდების დონემდე (შდრ. თავდაპირველად ხალედსაც ასევე უჭირს ახალ ცნებათა შინაარსის გაგება).

ამასობაში კვლავ დგება გადამწყვეტი მომენტი ქამალის ცხოვრებაში. მამის მიერ ოჯახში დამყარებული რეჟიმი საბოლოოდ აუტანელი ხდება ვაჟისათვის. მშობლების ერთ-ერთი დიალოგის მოსმენის შემდეგ აღლევებული ქამალი მტიყედ გადაწყვეტს შინიდან წასვლას<sup>22</sup>. თაობათა დაპირისპირება აქ გადადის სიძულვილში (შდრ. ხალედი რომანში „მეზობლები“. ვაჟს ეცოდება და უყვარს მამა). მთავარია, რომ ქამალმა ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვა მონის მდგომარეობაზე.

შინიდან წამოსული ვაჟი თავშესაფარს პოუვებს მაჰმუდთან, რომელიც ასევე მშობლებისაგან განცალკევებით ცხოვრობს.

ნაწარმოების ფინალში ოპტიმისტურ განწყობილებას ქმნის ფანჯარაში მქრქალად მოციმციმე ნათურის შუქი<sup>23</sup>.

დ. კომისაროვის დაკვირვებით, ჯამალ მირ სადები მიგვანიშნებს, რომ ღამე საოცრად გრძელია და ჯერაც ბევრია სავალი, რათა აღამიანმა განთიადი დაინახოს. მკვლევრის ჩიხედვით, ზემოხსენებული მნიშვნელოვანი აზრი

19 მაჰმუდს მიაჩნია, რომ მისი ეპოქა განსხვავდება მამამისის ეპოქისაგან. ვაჟს არ შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც ცხოვრობდა მისი მშობელი. ყოველ პერიოდს თავისი ცხოვრებისეული პრინციპები, რაღაც ახალი და განსხვავებული ახლავს. აღნიშნულის გამო დამნაშავენი მამები და შვილები როდი არიან. საერთოდ, ორივე თაობის შეხედულებებს პარალელურად არსებობის უფლება აქვთ. დეე, თითოეული მიდიოდეს თავისი გზით (გვ. 70).

20 გვ. 208.

21 იქვე, გვ. 208.

22 „რა გრძელი ღამეა“,—ფიქრობდა ვაჟი და თანდათან რწმუნდებოდა, რომ იგი უსარგებლო, ზედმეტი აღამიანია (გვ. 223—224). კარს რომ გამოიხურავს და ქუჩაში აღმოჩნდება, ქაბუჯი სივარდილეს იგრძნობს. ტკბილი ოცნებები და ზმანებანი კვამლად ექცევა. ქამალი ისე იყო დამწუხრებული, თითქმის დაასაფლავა ძვირფასი აღამიანი, თითქმის დაკარგა ახლო მეგობარი (გვ. 235—236).

23 გვ. 237. საინტერესოა, რომ რომანში ბუნების სურათები გმირის სულიერი მდგომარეობის კონტექსტში აღიქმება. შდრ. სასურველ არსებებსთან (ფერეშთე) დაბრუნებულ ვაჟს აუზში გარინდული და მზის სხივებით განათებული წითელი თევზები ვარდის ბუჩქს აგონებს, (გვ. 88). შდრ. კაშკაშა ვარსკვლავები აუზის წყალში თეთრი ღუმფარებივით ირეკლებიან (გვ. 217). მაგრამ როცა ქამალი სულიერად აფორიაქებულია, ბუნების აღწერა შეეფერება მის განწყობილებას. შდრ.: კაშკაშა ვარსკვლავებით დაწინწკლული ცის შუქი ნა-



თავს იჩენს თანამედროვე ირანელი მწერლების სხვა ნაწარმოებებშიც. მისი ნაწარმოებების შესახებ იხილეთ: ჯ. ბერიძე, ლ. საედის მოთხრობაში „გაცილება“<sup>24</sup>.

შევნიშნავთ, რომ განთიადის მოახლოების პრობლემა არაერთმა ირანელმა რომანისტმა დააყენა თავის ნაწარმოებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მწერალი ქალის სიმინ დანეშვარის რომანი „საქუშენი“<sup>25</sup>.

საგულისხმოა, რომ ლ. კომისაროვის ნაწარმოებში, სადაც ავტორი ჩვენთვის საინტერესო ენარის სიცოცხლისუნარიანობას ამტკიცებს, არ არის დავიწყებული ს. დანეშვარის წვლილიც<sup>26</sup>.

ათი-თერთმეტი წლის ხოსროვი, რომელიც ერთ-ერთ საინტერესო სახეს ქმნის რომანში, მოწინავე იდეების მატარებელი მიწათმფლობელის იუსეფის მემკვიდრეა. იგი ავტორის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც მამის სამართლიანი საქმეების უშუალო გამგრძელებელი. მეტიც, ვაჟმა უნდა გაზარდოს ბრძოლის მასშტაბები და იდეურად უფრო სწორი კალაპოტით წარმართოს იგი.

ნაწარმოების დასაწყისში მწერალი თავად მამის პირით ამქვადვებს ამ ჩანაფიქრს<sup>27</sup>. ხოლო რომანის დასასრულს (იუსეფის მკვლელობის შემდეგ) ვრწმუნდებით, რომ ხოსროვი ნაწარმოების თვისებრივად ახალ გმირს წარმოადგენს.

ვაჟის წინასწარი დახასიათება არ არის მოცემული ავტორის მიერ. პერსონაჟის თვითგამოხატვის პროცესი დიალოგის მეშვეობით მიიღწევა<sup>28</sup>.

ქერი ფანჯრის სიახლოვეს ჰგავდა კბილებდაკრევილ მგელს (გვ. 223). ქამალის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს შემდეგი შედარება: საწოლი ჯერაც აულაგებელი იყო და დაქუშვილი საბანი მოგაგონებდათ მუხლებზე მდგარ ადამიანს, რომელიც ასრულებს ლოცვას (გვ. 229). ნაწარმოების სხვა მხატვრული მომენტებიდან აღსანიშნავია სულიერის უსულო საგანთან შედარება და პირიქით. იხ. წითელი თევზები ვარდის ბუჩქის ასოციაციას იწვევს (გვ. 88). მზის სხივები შედარებულია ოქროს ჩიტთან (გვ. 119). მწერალს ახალი მთვარე მარტოხელა ფრინველს აგონებს, აუზის წყლის ზედაპირზე არეკლილი ვარცკვავები კი — თევზთეთრას (გვ. 130).

<sup>24</sup> შტრ. ნაწარმოები მთავრდება სიტყვებით: „ნუ ჩქარობ, ძმაო! ღამე ძალიან გრძელია და მზე მალე როდი ამოვა“. Л. Комиссаров. Пути развития ..., გვ. 45.

<sup>25</sup> თხზულების ფინალში იკითხება: „ბაღში, ქალაქსა თუ მთელ ქვეყანაში კვლავ ამოვლენ ხეები. ისინი რტოებს გამლიან და მონაბერ სიოს, რომელსაც ახალი ამბები მოაქვს, ჰკითხავენ: გზაში ხომ არ შეხვედრია განთიადი“. ს შ მ ა ნ ე დ ა ნ ე შ ვ ა რ, საქუშენი, გვ. 303.

<sup>26</sup> იხ. Л. Комиссаров. Пути развития. გვ. 227.

<sup>27</sup> შტრ. იუსეფის სიტყვები: რისი განზოცვილებაც თავად მან ვერ მოახერხა, უცქველად ვაჟმა უნდა შეძლოს (გვ. 17). ნაწარმოების პერსონაჟები (აბდოლახანი) ხაზს უსვამენ ხოსროვის გამპირიახობას და ეკვი არ ეპარებათ, რომ ვაჟი მამის ღირსეულ შემცველად გაიზრდება (გვ. 283). აღსანიშნავია, რომ იუსეფი, რომლის მძლავრ გავლენას განიცდის შვილი, ხმას იმადლებს ინგლისელების მიერ ქვეყნის დამონების წინააღმდეგ და საბოლოო ანგარიშით მშობელი ხალხის ინტერესების დაცვას ეწირება.

<sup>28</sup> მკითხველს წარმოდგენა არა აქვს ხოსროვის გარეგნობის შესახებ (შტრ. ბიჭი „ძია ნაბოლენიდან“). ასაკზე მითითებაც არააბირდაირ ზღვება. ვაჟი მეგობრობს ბიძაშვილთან (პორმოზი), რომელიც მასზე სამიოდე წლით არის უფროსი.

ნაწარმოების მიხედვით, მოზარდში კეთილი საწყისი ჰარბობს და იუსტიციის უწყველწარმოად ხელს უწყობს მასში ამ თვისების გაღრმავებასა და განვითარებას<sup>29</sup>.

ხოსროვის თვითდამკვიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამფრთხალი ცხენის დაოკების სცენას<sup>30</sup>. საერთოდ ვაჟის უკომპრომისობა და მიზანმიმართული ქცევა კარგად მქადვნიდება გუბერნატორის ოჯახთან მიმართებაში<sup>31</sup>.

აღსანიშნავია, რომ მოზარდებს შორის დიდი გავლენით სარგებლობს ისტორიის მასწავლებელი ფუთუჰი, რომელიც ახალგაზრდულ უჯრედს უდგას სათავეში<sup>32</sup>. მამასთან ერთად იგი განმსაზღვრელ როლს თამაშობს ვაჟის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბიჭებში ინტერესს აღძრავს. როგორც ახალი, მოწინავე აზრების მატარებელი პიროვნება. ყოველ შესაძლო შემთხვევაში ხოსროვს არგუმენტად მოჰყავს მასწავლებლის ესა თუ ის გამოხატულება<sup>33</sup>.

29 შდრ. სკოლაში წასვლის წინ ჩაის სმის სცენა. ვაჟი რამდენიმე ნატეხ შაქარს გადინახავს კვიციასთვის, ხოლო თავად თანახმაა დაუმტკბარი ჩაი დალიოს (გვ. 21). მწერლის მიერ საინტერესოდ არის აღწერილი ხოსროვის განცდები ულავის დაქედვის დროს. ვაჟი გამოუტყდება იუსტიციას, რომ მას ძალიან უყვარს ცხენი. ხოლო მამა კდილობს ჩაგონის ხოსროვს, უკეთ ვაჟის გულში ბავშვობიდანვე დისადგურა სიყვარულმა, როდესაც გაიზრდება, იგი სიკეთისა და სიმშვენიერის მსახური შეიქნება. მამის აზრით, ღვარძლი და მძულვარება შეუთავსებელია კარგის ქმნასთან და სიღამაზესთან (გვ. 29). წინააღმდეგ დედის სურვილისა, მამა იმთავითვე სიძნელეებს აწვევს შვილს. ცხენის მავალითზე — პირდაპირ თუ ირიბად—ვაჟის ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. იუსტიციის რწმენით, ხოსროვმა აქედანვე უნდა გაიცინობიეროს, რომ მწუხარებაც არსებობს აშკვეყნად.

30 სცენა იღებს ირონიულ ელფერს. ენდარმებსა და მხედართმთავარს ვერ მოუფიქრებიათ, როგორ დაიმორჩილონ შეშინებული ცხენი, რომელმაც გუბერნატორის ასული გაიტაცა. მოცემულ შემთხვევაში ხოსროვის სიმარჯვის გამოცდა ხდება. ვაჟი ადვილად დააწყნარებს ცხენს და მხედარს ბედაურიდან ჩამოსვლაში უშველის (გვ. 142—143).

31 ხოსროვი ბიძაშვილთან (პორმოზი) ერთად მიმართავს პროტესტის სხვადასხვა ფორმას, რათა დაიბრუნოს თავისი კუთვნილი კვიცი, რომელიც ხელუკვეთებმა გუბერნატორის მოთხოვნით წაიყვანეს. თავდაპირველად ხოსროვი გადაწყვეტს, გუბერნატორს ბარათი მისწეროს. უკეთ არ უნახებენ, შინ ეახლოს მის (გვ. 128). ხოსროვის აზრით, მამა და ფუთუჰი სწორს ამბობენ: ვაჟს უნდა შესწევდეს სიძნელეთა დაძლევის უნარი (გვ. 128). პორმოზის რჩევაზე — მოაწყონ მქდომარე ვაფიევა, ხოსროვი უნახებებს, რომ უმჯობესია მონარონ ცხენი (გვ. 126). ვაჟის სიტყვით, იგი თავის მამის შვილად არ ჩაითვლება, უკეთუ ცხენს არ დაიხსნის გუბერნატორის სახლელის ტყვეობიდან (გვ. 128). აქვე ვეინდა აღვნიშნოთ დეტალი, როცა ხოსროვი გუბერნატორთან ბარათის მიწერისას ტრადიციული ფორმებისა და ე. წ. კლშეების გამოყენებაზე უნარს აცხადებს. მის პიროვნების ღირსებისათვის დამამკირებლად მიაჩნია „მიწერ-მიწერის“ კანონიკური წიგნიდან მზა ნიმუშების გადმოღება.

32 ფუთუჰი მოსწავლეებთან ატარებს კრებებს. მის უჯრედში ირიცხებიან „პატარა მამაკაცები“ — პორმოზი ხოსროვთან ერთად. ეს უკანასკნელი აღიარებს, რომ ვაჟს მცირეწლოვანების გამო ჯერ ყიდევ არ იღებენ არც ერთ ორგანიზაციაში. მაგრამ, ხოსროვის სიტყვით, ფუთუჰიმ წყალობა მოიღო და ნება მისცა ბიჭს, „თავისუფალ მსმენელად“ დასწრებოდა სხდომებს (გვ. 168). ფუთუჰის მტკიცებით, მათ ჯერაც ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ თავიანთი პარტიის შექმნის შესახებ. საამისოდ ისინი მარჯვე შემთხვევას ელოდებიან (გვ. 215). რომანის მიხედვით, ფუთუჰის მიზანია ხალხის მასების დარაზმვა, ხელისუფლების სათავეში ჩადგომა და სოციალურ დაავადებათა ფესვების ძირიანად ამოგლეხვა (გვ. 215).

33 ვაჟი ხელმძღვანელობს მასწავლებლისაგან შეთვისებული დებულებით—კაცმა უნდა დაანგრიოს ხიდები, რათა უკან დასახვევი გზა არ გააჩნდეს, (გვ. 126).





ვათი გარკვეულ ვალდებულებას გრძნობს უჭრედის წევრების წინაშე მას არ სურს, ვინმემ იფიქროს, რომ დედამისი მაღალი სოციალური წარმომადგენელია. ხოსროვის განცხადებით, ზარის მამას საკუთარი შრომით გაჰქონდა თავი<sup>34</sup>.

რომანის მიხედვით, ფუთუჰის პიროვნების შეფასებისას მოზარდებისა და უფროსი თაობის ადამიანების (გამონაკლისია იუსეფი) თვალსაზრისები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან<sup>35</sup>. ხოსროეს დადებით მომენტად მიაჩნია ის ფაქტი, რომ მასწავლებელს სიცრუე არ ახასიათებს და მტკიცედ იცავს ადამიანის უფლებებს<sup>36</sup>.

ნაწარმოებში თავს იჩენს ირანელ პატრიოტთა აშკარად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ინგლისელ დამპყრობთა მიმართ. ხოსროვი პორმოზთან ერთად გადაწყვეტს ბოიკოტი გამოუცხადოს ინგლისელ ოფიცრებს. ამავე დროს ბიძაშვილები ცდილობენ ინდოელ ჯარისკაცებთანაც გაწყვიტონ ურთიერთობა<sup>37</sup>.

ამ მხრივ აღსანიშნავია იუსეფის დაკრძალვის ეპიზოდში საგანგებოდ ჩართული დეტალი. ერთ შემთხვევაში ხოსროვი პროტესტს გამოუცხადებს ინდოელ ჯარისკაცსა და მის უფროსებს, ხოლო მეორე შემთხვევაში თვის ტომისადმი კეთილ დამოკიდებულებას ავლენს<sup>38</sup>.

<sup>34</sup> მოზარდის აღიარებით, მეგობრები ძალიან ნაობენ, რომ მასა და პორმოზს დიდგვაროვანთა ლაქა სცხიათ. უჭრედის წევრები გატყვევით შარვლების წინააღმდეგეც გამოდიან. ამტომ ისა და პორმოზი შეთანხმდნენ, კრების წინ დაქმუწილი ძიქვები მიწითაც მოითხუწონ. რაც შეეხება პალსტუხს, მასზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამის გამო ვაგმა ახალი ნატირისფერი შარვალი მკარატლით მარჯვენა მუხლზე გაჭრა, თანაც მოგლიჯა ნაწიბურზე ძაფები, რათა მსახველმა დაძველებულად მიიჩნიოს (გვ. 151). ბიჭმა აუწყა ამხანაგებს, რომ მისი დედის პაპა ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. ხოსროვი, მსგავსად მისი თანატოლებისა (იხ. ხალელი რომანიდან „მეზობლები“, ბიჭი „ძია ნაოლონიდან“), იტყუება საჭიროების შემთხვევაში. იგი ატყუებს უჭრედის ამხანაგებს, მაგრამ ეს არის „კარგი ტყუილი“ (შდრ. საადი: ტყუილი კეთილი განზრახვით სიმართლეს რომ სჯობია), თუმცა დედა ამ ფაქტს უყურადღებოდ არ ტოვებს და შენიშნავს, რომ თურმე ვაჟს ტყუილიც უსწავლია (გვ. 151).

<sup>35</sup> აბულყასემის სიტყვით, დამთხვეულმა ფუთუჰიმ ბოლშევიკური პარტიის უჭრედის დაარსება განიზრახა. ხოლო მეზღუერებში აგიტაცია რომ გასწიოს და ისინი შეავულოინოს, ბუშუქრში გაემგზავრა. აბულყასემი აცხადებს, რომ მას არ სჯერა პარტიით თამაშისა (გვ. 124). არაერთ კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამს ზარიც ფუთუჰის მისამართით. მაგ., მისი შეფასებით, მასწავლებელი ძალიან ცდილობს, სხვის ბავშვებს თავგზა აუბნოს (გვ. 148). მაგრამ საინტერესოა ასეთი პასაჟი. ქალს მიაჩნია, რომ ბიჭები მოწიფულობას ესწრაფვიან, ხოლო მასწავლებელი მათ ამაში ზელს უწყობს (გვ. 151). პერსონაჟები ფუთუჰის საყვედურობენ ავადმყოფი დისადმი გულგრილ დამოკიდებულებასაც (გვ. 126). იუსეფს კი ღრმად სწამს, უკეთუ ფუთუჰი და მისი მსგავსნი ვერ შეძლებენ საზოგადოების გარდაქმნას, მაინც მათი ცდა შეცვალონ საზოგადოება, შესანიშნავ ექსპერიმენტად უნდა ჩაითვალოს (გვ. 126).

<sup>36</sup> გვ. 126.

<sup>37</sup> გვ. 225. შდრ. პორმოზის აზრით, განსხვავება არა აქვს, მათი სტუმრები ინგლისელები იქნებიან თუ ირლანდიელები. თუნდაც კორესპონდენტის საქმიანობას ასრულებდეს, მაქმაჰონი მაინც ჯაშუშად ჩაითვლება. ომის პერიოდში ჯერაც უმეწილი კაცი არ უნდა ატარებდეს სამოქალაქო ტანსაცმელს. პორმოზი დარწმუნებულია, რომ ინგლისელებმა მიუღზავნეს იგი იუსეფს საჯაშუშოდ. აქვე ზარი შენიშნავს, რომ არ შეიძლება განიკითხო კაცი, რომელსაც სრულებით არ იცნობ. რომანის მიხედვით, მაქმაჰონი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ოცნებობს და ლექსებს თხზავს თავისუფლების ხეზე (გვ. 225).

<sup>38</sup> შდრ. იუსეფის გასვენებაზე თერთი ვარდების თაიგულით ხელში გამოცხადდება ინდოელი ჯარისკაცი, რომელსაც სურს სასახლეზე ზევიდან დააღაგოს ყვაილები. მაგრამ მხარზეუბოვადებული ქირისუფალნი თითის წევრებზე დადგებიან და ყუთს ჯარისკაცის



რომანში ცხადად ჩანს ხოსროვის შეუწელებელი სწრაფვა ნადრეად დამტყვევებელი კაცებისაკენ. აღნიშნული პროცესის დაჩქარებას ხელს უწყობს იუსტეფის მკვლელობის ფაქტი.

ვაყი ზელიდან არ უშვებს შემთხვევას, განსაცდელის უამს იუსტეფის ხატი მოიხმოს. იგი მამას ბაძავს ტკივილის არად ჩავდებასა თუ მტრის წინაშე ქედუხრელობაში (ვაყს ეთაკილება ცრემლი შეამჩნიოს მოწინააღმდეგემ).

ხოსროვის ხასიათის რადიკალურ თვისებას წარმოადგენს შეუბოვრობა<sup>39</sup>. განხილული ნაწარმოები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ხოსროვი აღარ გადაუხვევს არჩეული გზიდან და ხალედივით („მეზობლები“) მტკიცედ იბრძოლებს თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

თუ ს. დანეშვარის „სავუშუნში“ მოქმედება წარმოებს მეორე მსოფლიო ომის წლებში, ამავე მაჰმუდის რომანში „მეზობლები“ ძირითადი ამბავი ომისშემდგომი პერიოდის ფონზე ვითარდება<sup>40</sup>.

აღნიშნული თხზულების სტილისტიკა განსხვავდება ჩვენ მიერ ზემო-განხილულ ნაწარმოებთა სტილისტიკისაგან (იხ. ავტორის ტექსტისა და „ცნობიერების ნაკადის“ სიმბიოზი)<sup>41</sup> თბრობა ყოველთვის თანმიმდევრული არ არის ქრონოლოგიურად, დროდადრო მოვლენათა მსვლელობაში ჩართულია ხალედის მოგონებები; ზოგიერთი სიტუაცია მრავალგზის ამოტივტივდება მოზარდის მეხსიერებაში, რაც აიძულებს ვაყს, საბოლოო ანგარიშით, ახლებურად შეხედოს მოვლენებს<sup>42</sup>.

ნაწარმოების წამყვანი პერსონაჟი ხალედი (რომანის დასაწყისში იგი თხუთმეტობედ წლისაა) იბრძვის ირანელი ხალხის თავისუფლებისათვის. მისი მოღვაწეობა მიმართულია ინგლისელი კოლონიზატორებისა და შინაური რეჟიმული ძალების წინააღმდეგ. თხზულებაში მკითხველი ნაბიჯ-ნაბიჯ ეცნობა მოზარდის ხასიათისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესს.

ამჰედ მაჰმუდის რომანს „მეზობლები“ ბევრი საერთო მომენტი აკავშირებს ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებთან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. შეიმჩნევა ხალედის ტიპოლოგიური მსგავსება პ. კორჩაგინთან<sup>43</sup>.

ხელებზე უფრო მალა ასწევნ. ამასობაში ხოსროვი ინდოელს საჩქაროდ გამოართმევს თიგულს და ყვავილებს ცხენებს დაუყრის. შემდეგ მათ მიუახლოვდება მეზობელი ზეთისმხდელის უმცროსი ვაჟიშვილი, რომელსაც მინდვრის ყვავილები აეზუტებინა გულზე. ხოსროვი ჰაბუჯს თიგულს გამოართმევს. კაცები, კუბო მხრებზე რომ გაედოთ, დაიხრებინან, ხოლო ხოსროვი ცხედარს ზევიდან დააყრის ყვავილებს (გვ. 295—296).

<sup>39</sup> როდესაც აბულყასემ ხანი იუსტეფის მკვლელობასთან დაკავშირებით (სხვადასხვა მიზეზთა გამო) თავს იკავებს ადვოკატის დაქირავებაზე, ხოსროვი დამოუკიდებელი მოქალაქის უფლებით აქტიურად ჩაერევა საუბარში და იტყვის, რომ მას შეუძლია პორმოზთან ერთად ააჯანყოს გლეხობა. ვაყს ფუტუჰის დახმარების იმედიც აქვს. ბიძის პასუხზე, რომ მკვლელის გამოაშკარავება შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს იუსტეფის ობლებისათვის, ხოსროვი გადაჭრით აცხადებს, — მისთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება იმ გარემოებას, რომ ვაჟმა შესაძლოა კუთვნილი მამულიც დაეარგოს. კონკრეტულ შემთხვევაში ბიჭი შეეცდება, მთელი სახლელი თვად გამოკვებოს, თუმცა ამჟამად მას ეს როდი ძალუძს. ხოსროვის აზრით, დედა კრა-კერვით შეძლებს, შეიღებინა არჩინოს, სანამ ვაყი გაიზრდება (გვ. 249).

<sup>40</sup> დაახლოებით 1949—1953 წლები ივარაუდება.



გამოცდების ჩაბარების შემდეგ ბიჭი გადაიყვანეს მეხუთე კლასში, რომელშიც მამა წინააღმდეგია სწავლის გაგრძელებისა (შდრ. ქამალი რომანიდან „გრძელი ღამე“. ეს უკანასკნელიც დაბრკოლებას განიცდის მშობლისაგან). ორივე ნაწარმოებში სწავლაზე უარის თქმის მოტივებიცა და არგუმენტებიც რამდენადმე მსგავსია<sup>41</sup>.

თხზულებაში დახატულია ვაჟის სკოლის მიღმური ცხოვრება (შდრ. სასწავლო დაწესებულებასთან დაკავშირებული ეპიზოდები თუ სურათები ასევე არ ჩანს რომანებში „გრძელი ღამე“, „სავეშენი“, „ძია ნაპოლეონი“). მოზარდი ბავშობაშივე უსამართლოდ დაისჯება მეზობლისაგან (ლოლამ ალიხანი), რომელსაც შურდულით მინა ჩაუქმებია ებრაჰიმმა. პასუხა კი რატომღაც ხალედს აგებინეს.

განაწყენებული ბიჭი გადაწყვეტს ანგარიში გაუსწოროს ლოლამ ალიხანს დაუშახტრებელი შეურაცხყოფისათვის.

პოლიციის უბანში (სადაც მეზობლის საჩივრის შედეგად აღმოჩნდება ვაჟი) მომხდარი შემთხვევა ჭაჭკივით არის დაკავშირებული შემდგომ უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან. რაც იწვევს ხალედის ცხოვრების მკვეთრ შეცვლას<sup>42</sup>.

41 შდრ. კოლაის პრინციპით დაწერილი ს. ჩუბაქის თხზულება „მოთმინების ქვა“.

42 От издательства, в кн.: Ахмад Махмуд. Соседи. М., 1983, გვ. 6.

ნაწარმოები ყურადღებას იქცევს როგორც სცენების, ასევე მიკროტექსტის მრავალფერად გამოვრებებით. შდრ. რაჰიმის შიგრ საკუთარი ცოლის (რეზანის) მოკვლის სცენა, იხ. აქმაღლე შაჰმუდ, შამსუნაიჰი, გვ. 309—310 და ა. შ.

43 ხალედის აზრით, პავლე თავგანწირული ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ დაბრმავდა, მაინც არ შეუწყვეტია ბრძოლა (გვ. 186). ვაჟი თვლის, რომ ჩვეულებრივ მოკვდავს როდი შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც იცხოვრა პავლემ. ადამიანი ნამდვილად უნდა იყოს გაკეთებული ფოლადისაგან, რათა გაიაროს მსგავსი გამოცდა და კიდევ უფრო გამოიწროოს (გვ. 175). პავლესთან კონტაქტში გვხვდება ფოლადი და დაბრმავება. მწერალი არ მიუთითებს პავლეს გვარსა და ნაწარმოების სახელწოდებას. როგორც ჩანს, ირანელი მკითხველისათვის იგი კარგად ნაცნობი გმირია. ფანდარი ხალედში იწვევს პავლეს ასოციაციას. მისი დაკვირვებით, იგი პ. კორჩაგინს ბევრი რამით ჰგავს (გვ. 186). ამგვარად, ხალედის იდეალია პ. კორჩაგინი, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, აღტაცებულია ჯ. ვაიხბალის პიროვნებით. პ. კორჩაგინი ერთი წლით უფროსია ხალედზე. ამ უკანასკნელს არ მიუღია სრული სასკოლო განათლება (დამთავრა ოთხი კლასი). მცირე დაწყებითი განათლება აქვს პ. კორჩაგინსაც (დაწყებითი სკოლის სამი კლასი). ვაჟი ნ. ოსტროვსკის პერსონაჟით გამოირჩევა სასწავლებრივი ნებისყოფით და წინააღმდეგობის გაწევი უნარით. ირანელი მოზარდიც ადრეული ასაკიდან იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას (შდრ. ხოსროვი „სავეშენიდან“).

44 ვაჟს სწავლის გაგრძელებაში ხელს უშლის ჰაჟ-შეის ალი, რომელიც ხალედის მამის მრჩეულად გვევლინება. სასულიერო პირი რწმენას გამოთქვამს, რომ რაჟი ბიჭმა ოთხი კლასი დაამთავრა, მას, ალბათ, ფთეჰეს უშეცდომოდ წაიკთხევა შეუძლია. მამა უბასუხებს, რომ ვაჟს უშეცდომოდ ძალუძს წაიკითხოს ყურანის მეორე სურის ერთ-ერთი ლექსიც. ხოლო ჰაჟ-შეის ალის დასკვნით, ეს უკვე საქმარისია ხალედის განათლებისათვის. იგი არწმუნებს კაცს, რომ თუ ვაჟი არ იცის სკოლაში, იგი მამასავით ღვთისმოსავი იქნება და ეს სავსებით დააკმაყოფილებს ჰაბუკს. ჰაჟის შეფასებით, ვინც ბევრს სწავლობს, ის სრულფასოვან ადამიანად ვერ ჩაითვლება (გვ. 13). შდრ. ადრეული ბავშვობიდანვე ქამალისა და ხალედის მომავალს განსაზღვრავენ სასულიერო პირები. საინტერესოა, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგო ვითარებაა „სავეშენში“. აქ განათლებული მშობლები ვაჟს ყოველნაირად უწყობენ ხელს ცოდნის დაუფლებაში.

45 პოლიციის ეზოში მყოფი ხალედი შემთხვევით გაიცნობს პოლიტიკურ პატიმარს (ფანდარი), რომელიც მას დააკავშირებს არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერთან — შაფაყთან. მოზარდი თავის პირველ შრომით საქმიანობას ამან-ალას ჩაიხანაში იწ-

აჰმედ მაჰმუდის გმირსაც გარემოებათა გამო ადრეულ ასაკში უჩინდებდა დაეჯეკების სურვილი (შდრ. ხოსროვი). მამის კუვეიტში ყოფნის დროს იგი ცდილობს სახლელის თავაკის მოვალეობა იკისროს. ვაჟი გამოთქვამს უკმაყოფილებას, როცა შეიტყობს, რომ დედა ყაზარმის უფროსის ბინაში წავიდა, რათა გაურტყოს მას თეთრეული<sup>46</sup>.

ხალედი ყურადღებას მიაქცევს, რომ აღამიანთა გარკვეულ ჯგუფს მკერდზე დაკრებული აქვს თეთრი ბაფთები წარწერით: „მხარს ვუჭერთ ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციას“<sup>47</sup>. ვაჟს გაახსენდება, რომ ანალოგიური შინაარსის ფურცლები გადმოყარეს მოელანზე ერთ-ერთი მიტინგის დროს.

რომანის მიხედვით, ეტაპობრივად ხდება პერსონაჟის ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლად ჩამოყალიბების პროცესი (თავდაპირველად იგი ამხანაგებს ეხმარება არალეგალური ლიტერატურის მათთვის საჭირო პიროვნებისათვის გადაცემაში, პროკლამაციების გავრცელებაში და ა. შ.).

ხალედი მწვავედ განიცდის, რომ პოლიტიკურ მომხადებაში იგი ბევრად ჩამორჩება შაფაყსა და მის მეგობრებს. მაგრამ ვაჟი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წიგნი წაიკითხოს, რათა თავი დააღწიოს სათაქლო უმეტეებას. ერთ-ერთი დარბეული მიტინგიდან გაქვეული ბიჭი თავს შეაფარებს მახლობელ სახლს, სადაც შემთხვევით გაიცინობს შავთვალა გოგონას და ვაჟმეზღვრდება.

მალე ხალედს ფანდარის უჯრედში ჩარიცხვენ (შდრ. ხოსროვის „სავუშენი“). ჭაბუკი თანამოაზრეებთან ერთად ხელმძღვანელობს საერთაო ფაბრიკის ახალგაზრდა მუშებს, რომელთაც იგი ამარაგებს გაზეთებითა და პროკლამაციებით.

მორიგ საიდუმლო თათბირზე უფროსი ამხანაგები ხალედს სთხოვენ, მათ წინაშე ინფორმაციით გამოვიდეს<sup>48</sup>. ეს უკანასკნელი დააწმუნებს მოთათბირეებს, რომ მრთველთა კომიტეტი ადვილად შეძლებს მუშათა დარაზმვას.

ჭაბუკის თათბირით სართავ ფაბრიკაში გამოცხადდება გაფიცვა. ხალედი პირველ წარმატებას იხეიმებს. აღმინისტრაცია იძულებული ხდება დააკმაყოფილოს გაფიცულთა მოთხოვნები.

---

ყვებს. ამ უკანასკნელმა ასწავლა ჭაბუკს თავი შაჰის დამტრევა, ყალიონის გაწყობა, რათა საეგ ხელი ჭიქის ცალი ხელით მიტანა (გვ. 75).

46 ჭაბუკი საყვედურობს დედას, რომელმაც არ მოიკადა რამდენიმე დღე, სანამ ამანია ხალედს გადაუხდიდა ჯამიგის. ვაჟი დაბირდა ქალს, რომ თავის გასამრჯელოს უკლებლოვ მას მისცემს (გვ. 74).

47 ვაჟს ჯერ კიდევ არ შეუძლია გარკვევს მომიტინგეთა მოთხოვნებში. მას არც იქ მოსმენილ ცნებათა შინაარსი გაეგება. მაგრამ ხალედი ხედავს, რომ შაფაყი და მისი თანამოაზრენი იბრძვიან ღარიბთა ინტერესების დასაცავად, აწყობენ მიტინგებსა და მონაწილეობენ გაფიცვებში; აერცლებენ მთავრობის საწინააღმდეგო ლიტერატურას. ვაჟის ფიქრით, თუ მძღოლის თანაშემწეს შეუძლია დაიკაროს მკერდზე წარწერებიანი ბაფთები, მასაც შეუძლია იგივე გააკეთოს (გვ. 78). ხალედი ცდილობს დაიმასსოვროს გაუგებარი სიტყვები, რათა შემდეგ სთხოვოს ნაცნობს, აუხსნას მათი მნიშვნელობა.

48 გარდა ძველი ნაცნობებისა (შაფაყი, ფანდარი, ახალი), იგი აქ შეხვდება ორ უცნობ მამაკაცსაც. ირკვევა, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელობამ მშრომლებს შეუწყვიტა რძით მომარაგება. მუშათა მღელვარების საპასუხოდ, აღმინისტრაცია რეპრესიებს მიმართავს. ის მუშათა დაპატიმრებები და სამოცდაათამდე კაცის ფაბრიკიდან დათხოვნა (გვ. 196).



ვაცს განზრახული აქვს ხსენებულ საწარმოში დაიწყოს მუშაობა ახლოს გაეცნოს მუშათა ცხოვრებას, ხოლო შემოდგომაზე იართოს საღამოს სკოლაში. შაფაყი მეგობრებითურთ ყოველ ღონეს ხმარობს ჭაბუკის ფაბრიკაში მოსაწყობად, მაგრამ მალე გაირკვევა, რომ მზადდება საწარმოს დახურვა.

რომანის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმართ ხალხსა და მთავრობას მკვეთრად საპირისპირო შეხედულებანი გააჩნიათ. მშრომელების აზრით, თუ დაითხოვენ მთავრობას, კოლონიზატორებსაც ბოლო მოეღებათ<sup>49</sup>

მალე ანტისამთავრობო საქმიანობისათვის ხალხედ დააპატიმრებენ და ცალკე საკანში მიუჩენენ ადგილს. წამების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მიუხედავად, ჭაბუკი დაკითხვაზე ჩრასგზით არ გასცემს კონსპირაციული ორგანიზაციის წევრებს.

საპატიმროში მყოფი ხალხი აგრძელებს ბრძოლას პატიმართა უფლებების დასაცავად. მისი აქტიური მუშაობის შედეგად ტუსაღები აცხადებენ გაფიცვას. მიუხედავად აჯანყების მასობრივი ხასიათისა, იგი დროებით მარცხით მთავრდება. ხალხი (საბყრობილში იგი თვრამეტი წლისა ხდება) დარწმუნებულია, რომ შაფაყი სათანადოდ შეაფასებს ვაჟის თავდადებას საერთო საქმისათვის. ამასობაში მოვა ბრძანება პატიმრის განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ციხიდან გამოსულ ჭაბუკს მაშინვე ჯარში გაიწვევენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თაობათა დაპირისპირების მომენტი აჰმედ მაჰმუდის რომანში თითქმის მოხსნილია (მამა-შვილის ურთიერთობა. თხზულებაში „მეზობლები“ განსხვავებულია იმ ჭრთიერობისაგან, რომელიც ასახულია ჯამალ მირ სადეყის „გრძელ ღამეში“).

საინტერესოა, რომ ნაწარმოებში „მეზობლები“ ლოლამჰოსეინ საედისეული სიტუაცია იქმნება (შდრ. ადამიანის ცხოველად გარდასახვის სცენა)<sup>50</sup>. თუმცაღა პერსონაჟების სახეცვლას „ძაძით მოსილ ბიალსა“ და „მეზობლებში“ განსხვავებული მოტივები განაპირობებენ.

რომანის მხატვრული ელემენტებიდან ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი. ავტორი ცდილობს თვალების ფერითა და ხმით დაახასიათოს მოქმედის პირები<sup>51</sup>.

ნაწარმოები განიხილება ხალხდის პოლიტიკურ მებრძოლად ჩამოყალიბების ჭრილში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აჰმედ მაჰმუდის რომანი „მეზობლები“ ჯამალ მირ სადეყის თხზულების („გრძელი ღამე“) გაგრძელებას წარმოადგენდეს. ამ უკანასკნელში მწერალი ამთავრებს ჯამალის ცხოვრების ერთი ეტაპის ჩვენებას. აღსანიშნავია, რომ იმ საფეხურზე, რომელთანაც შეჩერდა ჯამალ მირ სადეყის გმირი, ხალხდმა უკვე მოახერხა ასვლა.

49 რომანში გატარებულია აზრი, რომ შავი და წითელი კოლონიალიზმი არისთ ერთი და იგივეა (გვ. 179).

50 სატუსალოში ერთ-ერთი პატიმარი (ლოლაში) ცენად გადაქცევის იმიტირებას ახდენს. მას სურს, სიტყვით და მოქმედებით დაიარწმუნოს ზედამხედველი, რომ იგი ადამიანი კი არ არის, არამედ ცენია: „გაფიცები, ცენი ვარ, ბატონო!“. ლოლაში ჭიხინის იწყებს და ფეხებს ჩლიქებითურთ ურტყამს მიწას (გვ. 345—348). შდრ. მარჩენალი ძროხის დაკარგვის გამო ფსიქიკამოშლილი მამული-პასანი თავს საკუთარ ძროხად წარმოიდგენს. შდრ. გლეხის ნათქვამი—„მე მამული-პასანი არა ვარ, მე მამული-პასანის ძროხა ვარ“. ბავაში თეჩაყოფილი კაცი ფეხებს მიწაზე აბაკუნებს და ფურჩით ზმუის, ხოლო საყვებად იონჯასა და ჩალას თხოვს.

51 უარყოფითი ტიპის აღწერისას აქცენტი გადატანილია ყვითელი ფერის თვალღებზე. შდრ. ლოლა ალი-ხანის ყვითელი, ბრწყინვას მოკლებული თვალღები (გვ. 43; იხ. აგრეთვე გვ. 298). ალი შაითანსაც ყვითელი უმოძრაო თვალღები აქვს (გვ. 232). შდრ. დაღებით პერსონაჟს (ბიღარე) ღამაში თაფლისფერი თვალღები უმშვენებს ფერმკრთალ პირსახეს (გვ.



ჩვენ მიერ განხილული პერსონაჟების (ქამალი, ხოსროვი, ხალედი) პოლიტიკური აქტივობის ხარისხი მკვეთრად განსხვავებულია (შდრ. ბიჭი „ძია ნაპოლეონი“ პოლეონიდან“). ს. დანეშვარის, ჯამალ მირ სადეყისა და აჰმედ მაჰმუდის მოქმედ პირობებს შორის გენეტიკური კავშირი შეინიშნება. მეტი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ხოსროვი ქამალთან ერთად გაჰყვება ხალედს ვხას.

საინტერესოა, რომ სრულიად სხვა განზომილებაში განიხილება მოზარდის ბიოგრაფიული მომენტები და ცხოვრების გზა ირეჯ ფეზეშქ-ზადის ნაწარმოებში „ძია ნაპოლეონი“. ვფიქრობთ, ირანელი ახალგაზრდის საერთო სურათს საინტერესო შტრიხებს შესძენს ზემოდასახელებული თხზულების მოკლე ანალიზი<sup>52</sup>.

ისევე როგორც ს. დანეშვარის „სავეშენში“, აღნიშნულ რომანშიც მოქმედება ვითარდება 40-იანი წლების დასაწყისში (შდრ. აჰმედ მაჰმუდის „მეზობლები“, სადაც 40—50-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი ამბებია გადმოცემული), ხოლო ფონად აღებულია ირანის დედაქალაქი თეირანი (შდრ. სამხრეთული პროვინციების ასახვა ნაწარმოებებში: „სავეშენი“, „მეზობლები“).

მ. კურგანეცის დაკვირვებით, გოგოლისეული სიცილი შეინიშნება თხზულების უსასრულოდ კომიკურ სიტუაციებში, სასაცილო დიალოგებში, სცენებსა თუ რეპლიკებში, რომლებსაც უხვად იყენებს ავტორი<sup>53</sup>.

თბრობას წარმართავს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელიც დასაწყისში თოთხმეტი წლის (შდრ. ხალედის ასაკი) ყმაწვილად გვევლინება, ხოლო ეპილოგში იგი დაახლოებით ორმოცი წლის მამაკაცად უნდა ვივარაუდოთ. მთხრობელის სახელი მკითხველისათვის ბოლომდე უცნობი რჩება<sup>54</sup>.

ამთავითვე ვიტყვი, რომ „ძია ნაპოლეონი“ გმირს განსხვავებული ინტერესები, ფუნქცია და დატვირთვა აქვს სატირულ რომანში, ვიდრე ქამალს („გოძელი ღამე“), ხოსროვს („სავეშენი“) ან ხალედს („მეზობლები“). მთხრობელი რამდენადმე ინდიფერენტულია პოლიტიკური ამბების მიმართ.

ყმაწვილის აღიარებით, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს (უფრო ზუსტად ცამეტ მორდას) იგი წააწყდება ეზოში მასთან ერთად მოთამაშე ლეილის მზერას და გამიჯნურდება.

92). შვიი ლამაზი თვალებით გამოირჩევა ხალედის ნაცნობი გოგონაც (გვ. 161). აღსანიშნავია, რომ ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სმენით შეგრძნებებსაც. შდრ. ხალედს მოსწონს შაფაყის ხვევრდოვანი ხმა (გვ. 53. იხ. აგრეთვე გვ. 92). შეფთვალა გოგონაც სასიამოვნო ხმით იქცევს ყურადღებას (გვ. 165) ვაბუკს ჩაესმის პატიმრის (ლოლამი) ტკბილი ხმა (გვ. 351). სრულიად სხვა ვითარებაა უარყოფითი პერსონაჟების დახასიათებისას. შდრ. ვაეს ლოლამ ალი-ხანის ხმა კრაზანის გუნდის ზუზუნებით უძერბა ყურში (გვ. 297). რადიოთი გამოსული მთვრობის მეთაური მყაცი და მშრალი ხმით გამოირჩევა. ის ჰკავს კაპიტნის ხმას, იმ კაპიტნისას, რომელსაც აფაყი უზიდავს კონტრაბანდულ აბრეშუმს (გვ. 220).

52 საყურადღებოა, რომ ირანში ზემოდასახელებული ნაწარმოების ათზე მეტი გამოცემა არსებობს და იგი ბოლო დროის ერთ-ერთ პოპულარულ წიგნად არის მიჩნეული. რომანის მიხედვით გაკეთებულია ტელესერიალიც.

53 М. Курганцев. Предисловие, в кн. Ирад ж Незеш кзод. Дядюшка Наполеон. М., 1990, გვ. 5.

54 მ. კურგანეცის მიერ ბიჭი მე-20 ს. შუა წლების თეირანელ მაჩუნეს არის შედარებული. საინტერესოა, რომ ჯამის „ლეილი ვო მაჩუნის“ გმირი ყასიყ მეთოთხმეტე წელშია გადამდგარი. ჩანს, მაჩუნთან მეტი ასოციაცია რომ გამოიწვიოს, ირეჯ ფეზეშქ-ზადი საგანგებოდ არ მოიხსენიებს სახელით ვაეს, ხოლო მოზარდის სატრფოს ლეილა ეწოდება.



აქ თავს იჩენს კლასიკური სამკუთხედის მოტივი. სამწუხაროდ, ასაკით უფროს ბიძაშვილზე (შაფერი ანუ ფური) აღმოჩნდება ლი. მოზარდი ცდილობს გააანალიზოს ყველაფერი, რაც მისთვის სიყვარულის შესახებ არის ცნობილი. ბიჭის სიტყვით, სამიჯნურო რომანები და შეყვარებულთა ცხოვრების აღწერანი მოცემულ პერიოდში მკირე რაოდენობით გამოიცემოდა. ამასთან, ბავშვებს ნებას არ რთავდნენ წაეკოთხათ ისინი. კონკრეტულ მომენტში ვაეის ცოდნა გამიჯნურებულ წყვილთა ისტორიის სფეროში შემოიფარგლებოდა „ლეილითა და მაჯუნით“, „ფარჰადითა და შირინით“, „რომეოთი და ჯულიეტათი“, „პოლითა და ვირჟინით“, „ამირ არსლანით“. ბიჭს ეუფლება შიშის გრძნობა, რამდენადაც თითქმის მთელი ეს თავგადასავლები თავისი არსით ტრაგიკული იყო და ყველა მათგანი გმირთა სიკვდილით მთავრდებოდა<sup>55</sup>.

მითხედავად იმისა, რომ მთხრობელს მეტოქე ჰყავს სიყვარულში შაფურის (ბიჭის დედის ძმის, ე. ი. ძია პოლკოვნიკის მემკვიდრე) სახით, მთავარი მაინც ის არის, რომ ვაეის მამასა და ძია ნაპოლეონს (მოზარდის დედის ძმა და ლეილის მამა) შორის უძველესი დროიდან არსებობდა მტრობა<sup>56</sup>. კაცი იმთავითვე წინააღმდეგი იყო, რომ მისი ღვიძლი და გათხოვილიყო ვაეის მომავალ მამაზე (ცოლისძმას ეთაკილებოდა სიძის მდაბიური წარმოშობა). მეორეც, ბიჭის მამა არ იჩენდა ჯეროვან პატივისცემას ძიას მიერ კერპად ქცეულ ნაპოლეონ ბონაპარტის პიროვნებისადმი და ოჯახურ თავყრილობებზე, ზოგჯერ ცოლისძმის თანდასწრებით, მას იხსენიებდა როგორც ავანტიურისტს, რომელმაც საფრანგეთს თავის მოჭრასთან ერთად ბევრი უბედურებაც მოუტანა<sup>57</sup>. ძია სიძის გამონათქვამებს თავისი კერპის მიმართ უდიდეს დანაშაულად მიიჩნევდა და, მთხრობელის აზრით, სწორედ აქ იმალებოდა კონფლიქტის ძირითადი მიზეზი.

მამებს შორის წარმოშობილი სერიოზული განხეთქილება დიდ გავლენას იქონიებს ყმაწვილის შემდგომ ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია, რომ მათთან სტუმრად მისული ძია პოლკოვნიკის დანახვაზე ბიჭის სულში აციმციმდება იმედი. ეს უკანასკნელი დისწულთან ერთად დაინტერესებული იყო ორ სახლელს შორის „ომის“ შეწყვეტით. მაგრამ უსიამოვნო ამბებს ბოლო არ უჩანდა. მთხრობელის სიტყვით, ყოველდღე ახალ-ახალი დიპლომატიური წამოიჭრებოდა მასსა და ლეილის შორის.

ვაეის მამის ობიექტის წინააღმდეგ ერთთავად საპასუხო სვლები გაკეთება უხდება ძია ნაპოლეონს (შდრ. ცოლისძმას სურს ჩაშალოს წვეულება, რომელიც სიძის სახლში უნდა გაიმართოს).

ბიჭი კი ყოველწინადად ცდილობს, იბოვოს გამოსავალი დახლართული სიტუაციებიდან და შეარჩოს დაპირისპირებული მხარეები. მალე იგი მონახავს თავის თანამოაზრესა და მოკავშირეს — ასადოლა-მირზას სახით, რომელიც

<sup>55</sup> ირ აქ ფეხე შექვან, დანიე ჯან ნაფლანე, გვ. 7. აქ „ამირ არსლანი“ გამოწყლისის სახით მოხმობილია ბედნიერი ფინლის ნიმუშად.

<sup>56</sup> საფრანგეთის ყოფილი იმპერატორისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემის გამო ბიჭის უფროს ბიძას შინაურები მეტსახლად ნაპოლეონს ეძახდნენ. ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, კაცს ყოველთვის ციტატა მოჰყავდა ნაპოლეონ ბონაპარტის გამონათქვამებიდან. ამასთან, ძიას ბიბლიოთეკაში თამოყრილი იყო ყველა წიგნი იმპერატორის შესახებ როგორც ფრანგულ ენაზე, ასევე სპარსულად თარგმნილიც კი (გვ. 11). ძია თავისი ცხოვრების წესითაც ბაძავდა ნაპოლეონს (შდრ. ცოლთან გაყრა) (გვ. 40). იგი აგრეთვე ცდილობდა, თავისი უმნიშვნელო ბრძოლებისათვის ავახაყების წინააღმდეგ აუსტერილიტან და მარენგოსთან მომხდარი ცნობილი ომების ელფერი მენიჭებინა (გვ. 186). ერთი სიტყვით, კაცის მიზანია თავი შინაურების წინაშე უდიდეს მხედართმთავრად წარმოხაზოს.

<sup>57</sup> გვ. 17.

ცა ეს უკანასკნელი საგანგებოდ მივა ძია ნაპოლეონთან, რათა შეატყობინოს მას ლეილისა და ვაჟის დამოკიდებულების ამბავი, კაცი იტყვის: „მგლმტკნულნი ლეკვი მგლად ვაიზრდება, რაც არ უნდა აღზარდო იგი“<sup>58</sup>.

საბოლოოდ ბიჭის ტრფიალი ლეილისადმი მარცხით მთავრდება. ძია ნაპოლეონის ანდერძის თანახმად ლეილი შაფურის ცოლი ხდება. დაკარგული სიყვარულით გამოწვეული განცდები თავისებურ გავლენას ახდენს ვაჟის ჯანმრთელობაზე და იგი საავადმყოფოში აღმოჩნდება. რამდენადაც ასადოლა-მირზას მთავრობა აგზავნიდა ბეირუთში, მან დაითანხმა ბიჭის მამა, რათა შვილისთვის ნება მიეცა მასთან ერთად გამგზავრებულიყო; გამოჯანმრთელების შემდეგ კი უცხოეთში გაეგრძელებინა სწავლა. ვაჟი ლიბანში დაყოფს ომის ბოლომდე, ხოლო შემდეგ გადავა საფრანგეთში. იგი სამშობლოში (თეირანი) მრავალი წლის შემდეგ ბრუნდება<sup>59</sup>.

სალამოს, როცა მთხრობელი ამთავრებდა თავისი სასიყვარულო ისტორიის უკანასკნელი პუნქტების წერას, დარეკავს ტელეფონი. ასადოლა (რომელსაც ახლავს შვედი გოგონები) სთხოვს ვაჟს მათთან ერთად ვაემგზავროს ხუთიოდე დღით დროს გასატარებლად სამხრეთ საფრანგეთში. მაგრამ მთხრობელი სამსახურებრივი საქმის მომიჯნებით უარს იტყვის ვაემგზავრებაზე<sup>60</sup>.

ნაწარმოებში (იგი საყოფაცხოვრებო რომანის ტიპსაც შეიძლება მივაკუთვნოთ) რეალური დრო (ეპილოგის ჩათვლით) დაახლოებით ოცდაშვიდწლიან პერიოდს მოიცავს (ხოლო მხატვრული დრო ოთხ-ხუთ წელზეა გაანგარიშებული)<sup>61</sup>. ავტორი პერსონაჟს მთლად იდეალურ გმირად როდი წარმოგვიდგენს, როგორც ყველა მოზარდს, მასაც გააჩნია სისუსტეები და ვადიდომებ<sup>62</sup>. ამასთან, ვაჟი ამქვანებს ანტიგმირის ნიშნებსაც<sup>63</sup>. მაგრამ ყოველთვის ვიღაც ესარჩლება ბიჭს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი მართალი არ არის. სიტუაციათა გამო ზოგჯერ მის მიერ ჩადენილი დანაშაული სხვას ბრალდება<sup>64</sup>. ასადოლა-მირზას დახასიათებით, იგი გონიერი ყმაწვილია, თუმცა, იშვიათად კაცი ბიჭს კადნიერსა და ყბედსაც უწოდებს<sup>65</sup>.

58 გვ. 431.

59 ვაჟი იძულებულია აღიაროს, რომ მან ჯერაც ვერ დაიხსნა თავი უნუგეშო სიყვარულის ტვირთისაგან. მთხრობელის სიტყვით, ლეილიმ იმედის გაცრეხება ბევრად უფრო იოლად გადაიტანა, ვიდრე ქაბუქმა. როცა კაცი დაბრუნდა სამშობლოში, მას უკვე ჰყავდა სძი ასული (გვ. 455).

60 ასადოლა ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ვაჟი არც ბავშვობაში, არც ქაბუქობისას და არც ამჟამად არ ავლენდა და არ ავლენს უნარს, რათა „იმოგზავროს სანფრანცისკოში“ (უკანასკნელი გამოთქმა პერსონაჟის მეტყველებაში გამოყენებულია ქალისა და ვაჟის ფიზიკური სიახლოვის მეტაფორად) (გვ. 459).

61 ობხულებიდან გამომდინარე, მთხრობელი დაახლოებით 1927 წელს უნდა იყოს დაბადებული. რომანის დასაწყისად 1941 წელი უნდა ვივარაუდოთ, ხოლო ეპილოგში დაახლოებით 1967 წელს მომხდარი ფაქტებია დაფიქსირებული.

62 შდრ. ბიჭის მოწინააღმდეგე (ფური) დოყლაბისთან ერთად ენატანიაც არის. ოცდაერთი წლის ქაბუკი ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად გამოიყურება (შდრ. „შავსა“ და „თეთრ“ პერსონაჟებს რომანში „მეზობლები“ ხშირად სასაუბრო ხმა ან თვალბის ფერი განასხვავებთ) (გვ. 18).

63 შდრ. ფურისთან მისი დამოკიდებულება, როცა საზარდულში ფეხის ჩარტყმით მეტოქეს კინაღამ დაახეიბრებს. თუმცაღა ამ საქციელსაც გამართლებას უძებნის მთხრობელი. ფურიმ მოიბარა ბიჭის ლეილისადმი ვაგზავნილი წერილი და ვაჟის მამაც აუგად მოიხსენია („მათხოვარი“ და „ხუდაცემული“ უწოდა). (გვ. 324—325).

64 როცა ბიჭმა პეტარდები ისროლა ქალთან საწოთირო მდგომარეობაში მყოფ ფურის შესაშინებლად, ძია ნაპოლეონმა დაიჯერა, რომ ეს ამბავი ინგლისელებმა მოიძოქმედეს (გვ. 369).

65 გვ. 395.





მოზარდისათვის ყველაფერი, როგორც ფოქუსში, თავს იყრის სადმი სიყვარულში. იგი გატაცებულია მამა-ბიძას შორის ინტრიგებით, რათა არ დაკარგოს სატრფოსთან შეხვედრის შესაძლებლობა<sup>66</sup>. ვაჟისთვის დამახასიათებელია მიყურადება. (რაც არ იგმოზა სხვა პერსონაჟების მიერ). იგი არც თვალთვალსა და უკან ადევნებას თაკილობს<sup>67</sup>. მიუხედავად ამისა, მოზარდში მეტწილ შემთხვევაში იმარჯვებს კეთილი საწყისი და იგი მოცემული პერიოდის სპარსული ბელეტრისტიკის ერთ-ერთ საინტერესო სახეს წარმოადგენს (შდრ. მისი ამალელებული სიყვარული ქალიშვილისადმი)<sup>68</sup>.

აღსანიშნავია, რომ დასახლებულ ნაწარმოებშიც (შდრ. „საეუშინი“, „მეზობლები“) მოხმობილია „ინგლისური ფონი“. ძია ნაპოლეონის აზრით, ინგლისელები ვერ იტანენ იმას, ვისაც სამშობლო უყვარს (ვაჟი თავს პატრიოტად მიიჩნევს და უცხოელებს ორპირ მგლებად მოიხსენიებს)<sup>69</sup>.

ირეჯ ფეზეშქ-ხადის რომანში ხშირია ევროპული ლიტერატურის პერსონაჟებთან თუ ცნობილ პიროვნებებთან შედარება<sup>70</sup>.

რომანი „ძია ნაპოლეონი“ სტილური ნიშნებით მსგავსებას ამჟღავნებს ე რასპეს „მიუნჰაუზენის თავგადასავალთან“<sup>71</sup>. მთელი რიგი მომენტებით იგი ასევე შეხებია წერტილებს ავლენს დასთანურ ლიტერატურასთანაც (შდრ. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ელემენტები: \* პერსონაჟის გაუჩინარება, ძიება და პოვნა)<sup>72</sup>.

<sup>66</sup> ბიჭი ცდილობს, ხელი შეუშალოს ძიას გამგზავრებას დედაქალაქიდან, ვინაიდან მან იცის, რომ მამა თან წაიყვანს ლეილისაც (გვ. 191).

<sup>67</sup> ყმაწვილი შეფერება ქინქლის ბაღის ქვეშ, რათა მამისა და მსახურის ლაპარაკს მიყურადოს (გვ. 76). უკანასკნელ ხანებში იგი იმდენად მიეჩნევა მიყურადებას, რომ, როცა მის სახლში მისულ აფთიაქარს შენიშნავს, ვაჟი ეზოში გამაულ ფანჯარას ყურით მიეწებება (გვ. 158). ბიჭი ლანდით გაჰყვება შირალის საცხოვრისისაყენ მიმავალ ძია ნაპოლეონსა და მამა-ყასემს (გვ. 152).

<sup>68</sup> მართალია, მან იცის, რომ ძია ნაპოლეონი გამოჩანმრთელების შემთხვევაში უსათუოდ გაათხოვებს ლეილის ფურთზე, რაც ბიჭისათვის უბედურების ტოლფასი იქნება, ვაჟი მაინც დედას ევედრებოდა ძია ნაპოლეონის განკურნებას (გვ. 450).

<sup>69</sup> ყმაწვილის უფროსი ბიძის სიტყვით, ინგლისელებმა როგორც კი შეიტყვეს, რომ იგი სამშობლოს თავისუფლებისათვის ზრუნავს და კონსტიტუციის მომხრეა, იმ წუთიდან გადაიქცნენ მის დაუპირებელ მტრებად (გვ. 47—48). ძიას განმარტებით, მან დიდი ზიანი მიაყენა ინგლისელთა კოლონიზატორულ ზრახვებს, როცა ისინი შემოიჭრნენ მათს ქვეყანაში (გვ. 408).

<sup>70</sup> მოზარდების დედის ძმის აზრით, მამა-ყასემმა ისე უღალატა მის, როგორც მარშალმა გრუშომ უღალატა ნაპოლეონ ბონაპარტს ვატერლოოსთან ბრძოლაში (გვ. 80). რომანის პერსონაჟები შედარებული არიან აგრეთვე ლუსინ ბონაპარტთან, მარშალ მარატთან, გენერალ ველინგტონთან (გვ. 411—440). ასადოლა-მირზას (მას ევროპული განათლება აქვს მიღებული) მეტყველებაში განსაკუთრებით ხშირად ისმის დასავლეთევროპული ლიტერატურის პერსონაჟთა თუ ცნობილ ადამიანთა სახელები. ლექსითი ციტატები კი ცაცს ირანულ ავტორთა (საადი, ჰაფეზი) შემოქმედებიდან მოჰყავს მხოლოდ (გვ. 190; 451). ჩვეულებრივ ირანული მწერლები ან ხალხურ რომანთა ავტორები (შდრ. „ამირ არსლანი“) თავიანთ პერსონაჟებს ადარებენ ირანულ გმირებს (როსთომ დასთანს, სოჰრაბს, აფრასიაბს, ესფანდიარს, ფარამარზას თუ იუსუფს). ასადოლას სიტყვით, ძია ნაპოლეონი ისე ამაყობს თავისი წარმოშობით, თითქოს მისი წინაპარი ვიქტორ ჰიუგო ანდა გარბაღალი ყოფილიყოს (გვ. 218). იგი ძია ნაპოლეონის (რომელიც სამსახურიდან პრაპორშჩიკის ჩინით გადადგა) დაქინვით მარშალ პინდენბურგს ადარებს (გვ. 218).

<sup>71</sup> იხ. ე. რასპე, მიუნჰაუზენის თავგადასავალი, თბილისი, 1988. შდრ. ძია ნაპოლეონი ჰყვება თუ როგორ შეებრძოლა იგი ხოდადად-ხანს. თოფი მუდამ სამიზნეზე ცოტათი უფრო მაღლა სცემდა. ამიტომ მან დაუმოხრა მოწინააღმდეგეს კისერში, რათა შუბლში მოხვედროდა (გვ. 179). ცხადია, ზუსტად ასეთი სცენა არ გვხვდება ე. რასპეს დასახელებულ ნაწარმოებში, მაგრამ აღნიშნული ეპიზოდი სიტუაციური კომიზმით ახლოს დგას „მიუნჰაუზენის თავგადასავალთან“.

<sup>72</sup> შდრ. ძია ნაპოლეონის ოთახიდან უეტრად გამქრალი დუსთალი-ხანი ბარათს და-



საინტერესოა, რომ ნაწარმოებში ამბის გადატანის მხატვრულ ხერხად გამოყენებულია ხმაურის ფაქტორი<sup>73</sup>.

მ. კურგანცევის სამართლიანი შენიშვნით, გააფთრებული ოჯახური ჩხუბის ისტორია „საეკვო ბეგრის“ გამო რალაციტ ჰგავს უკვდავ მტრობას ივან ნიკიფოროვიჩსა და ივან ივანოვიჩს შორის: ამასთან საოცრად ბევრი რამ აქ მოგვეგონება ნ. გოგოლის ნოველის არა დასაწყისის, არამედ უკანასკნელ ფრაზას: „მოსაწყენია ყოველივე ამქვეყნად. ბატონებო“!<sup>74</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხილულ რომანთა ავტორები ახალგაზრდა გმირების დაქორწინებამდე წყვეტენ თბრობას. ქამალი და ფერეშთე (იხ. „გრძელი ღამე“) ერთმანეთს შორდებიან. ბიჭის („ძია ნაპოლეონი“) სატრფო ფურის გაკყევბა ცოლად. მთბრობელს (რომელმაც მოცემული მომენტისათვის ოთხ ათეულ წელს მიადწია) ჯერაც არ ძალუძს თავისი უიმედო სიყვარულის დავიწყება და ისევ მარტო ცბოვრობს. ასევე გაურკვეველია ხალედისა და შემთხვევით დაცნობილი ასულის მომავალი ურთიერთობა. ციხეში მოხვედრულ ჭაბუკს ყოველგვარი კონტაქტი აქვს გაწყვეტილი სატრფოსთან. ხოლო ხოსროვში („სავეშუნი“) გრძნობითი საწყისი ჯერ კიდევ ნაკლებად იჩენს თავს (მას ვერ ვხედავთ გოგონებთან მიმართებაში).

როგორც დასახელებული რომანები მოწმობენ, საზოგადოების შედარებით უფრო აქტიურ ნაწილს მასწავლებლები წარმოადგენენ. ეს უკანასკნელნი ხშირად ხელმძღვანელობენ არალეგალურ ორგანიზაციებს (შდრ. ფუთუჰი „სავეშუნი“, მამუდი „გრძელი ღამე“, ბიდარი „მეზობლები“).

ავტორები არცთუ იშვიათად მიმართავენ პირველ პირში თბრობას (იხ. „გრძელი ღამე“, „მეზობლები“, „ძია ნაპოლეონი“). საინტერესოა, რომ ზემოთ განხილული ოთხივე ნაწარმოები ღია ფინალით მთავრდება.

ხალედს („მეზობლები“) შაფყთან კავშირი სრულიად სხვა ადამიანად აქცევს. ქამალიც („გრძელი ღამე“) ისწრაფვის თავისი ადგილი იპოვოს ცბოვრებაში. მოსალოდნელია, რომ იგი ხალედივით უკომპრომისო ბრძოლის გზას აირჩევს.

სამივე ნაწარმოებს („სავეშუნი“, „მეზობლები“, „ძია ნაპოლეონი“) აერთიანებთ ინგლისელი დამპყრობლებისადმი საბროტესტო განწყობილება.

აღსანიშნავია, რომ ირანში „გლეხური პროზის“ (შდრ. ებრაჰიმ გოლესთან) პარალელურად იქმნება ნაწარმოებები, სადაც შეინიშნება პროლეტარული რომანის ელემენტებიც (შდრ. „მეზობლები“).

ტოვებს მხოლოდ. კაცი აღმოჩნდება ექიმ ნასერ ოლ-ჰოჰამასთან (გვ. 81—138).

<sup>73</sup> გარკვეულ მიზეზთა გამო თბრობა საინტერესო ადგილზე წყდება. მაგ., როცა ასადოლა ცდილობს გამოჩნდებულ მოზარდს „სან-ფრანკისკოში გამოგზავრება“ ნახატების საშუალებით წარმოადგინოს, უეცრად ბალიდან მათ ხმაური და ყვირილი შემოესმებათ. მაშყასეში იქ მყოფთ ყვირილის მიზეზს განუმარტავს. აღმოჩნდება, რომ ძია ნაპოლეონს ვილამამ გადაუკეტა წყალსადინარი და ახლა მის სარდაფებს დატბორვა ემუქრება (გვ. 327—328). შდრ. აგრეთვე: სიკვდილის წინ ძია ნაპოლეონი ასადოლას გამოუტყდება, რომ მასთან რალაც სათქმელი აქვს; მაგრამ ხდება ისე, რომ ძია ვერ მოახერხებს საიდუმლოს გამხელას, ვინაიდან ამჯერადაც საშინელი ღრიანციელი ატყდება ბალის მბრიდან. მაშყასეში აფრთხილებს სტუმრებს, რომ ნებას არ მისცემს მათ, შეაწუხონ ალა. ამასობაში თავშეხვეული დუსთალი-ხანი შემოიჭრება ოთახში. როგორც ირკვევა, სიძემ (ყიასაბადი) მას ქვით გაუტეხა თავი. დუსთალი-ხანი ვერ ასწრებს მოწმეთა ჩვენების წყითხვას, რომ მალე ბაღში კვლავ ხმაური ატყდება. ოთახში ასფირან ყიასაბადი დედიოტრთ და აზიზ ოს-სალთან შემოცივდება (გვ. 442—444). შდრ. ხმაურის მხატვრულ ხერხად გამოყენება დასთანებში. როცა პეტროს შაჰის ბრძანებით ჩაფრები შემართავენ ჯოხებს ამირ არსლანის, ჰაჯე თაყუსისა და ჰაჯე ქვეუსის გასართავავად, უცებ მოედანზე ხმაური ატყდება; ჩაფრებს ხელკეტები გაუშეშდებათ ჰაერში. სისახლეში ხალხი შემოიჭრება. მოცემულ შემთხვევაშიც თბრობის გაწყვეტა ხდება.



როგორც დაინახეთ, 70-იანი წლების დასაწყისის ირანელ რომანისტთა შემოქმედებაში იკვეთება ტენდენცია მხატვრულ ფერებში წარმოადგენს განსხვავებული ინტერესების მქონე ახალგაზრდა გმირთა სახეები.

ამ ტენდენციების განვითარებას გარკვეულად სახე უცვალა და ლიტერატურის წინაშე სხვა ამოცანები დააყენა ირანის ცნობილმა ისლამურმა რევოლუციამ. რა გზით წავა თანამედროვე ირანში რომანის განვითარების გზები, ამას, ალბათ, მომავალი ვეჩვენებს.

М. Н. ИВАНШВИЛИ

ОБРАЗ МОЛОДОГО ГЕРОЯ В СОВРЕМЕННОМ ПЕРСИДСКОМ РОМАНЕ

Резюме

В статье подробно рассматривается образ молодого героя на основе анализа известных романов 70-ых годов: „Долгая ночь“ Джамала Мир-Сад-еки, „Савушун“ Симин Данешвар, „Дядюшка Наполеон“ Иредж Пезеш-зада и „Соседи“ Ахмед Махмуда.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიამ

## ლიტერატურის კვლევის მიზანი

## ქართული მეტრიკის ისტორიიდან

ლიტერატურული ხელოვნების ორივე ტრადიციული ფორმის — ლექსისა და პროზის განმასხვავებელი ნიშანი მათს სამეტყველო ბუნებაშია. ცნობილი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის აზრით, პოეზია არის რიტმული სიტყვა და რიტმი, ფართოდ აღებული, ასხვადფერებს საგანსაც და მოვლენასაც. „რიტმს სიტყვისას აქვს მაგიური ძალა. ძველად რიტმებით არჩენდნენ ავადმყიდებს... აღმოსავლეთში იციან შელოცვა, რომლის სიტყვიერი რიტმი გველს აჩერებს...“. პოეზიის, როგორც რიტმული ფენომენის, თვითარსის უკანასკნელ ამოწურვას ჰერცტს მწერალი რუსთაველის ცნობილ ნათქვამში: „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“.

საღმრთო რიტმი, იგივე თანხომიერი ბგერითი ერთეულებს კანონზომიერი გამეორება, — ქართულ პოეზიაში მარცვალთა რაოდენობით განსაზღვრული მუხლებითაა წარმოდგენილი და მეტრიკა ვერსიფიკაციის საყრდენი ბარდობა. აკაკი გაწერელია აღნიშნავს: „ბგერითი ერთეულების კანონზომიერი განმეორება მუსიკასა და პოეზიაში რეგულირდება ამა თუ იმ საზომის ანუ მეტრის ზეგავლენით. მეტრი ძირითადი კომპონენტია რიტმისა, იგი ყველაზე იდეალური სახეა ტაქტის ბგერითი ორგანიზაციისა ლექსში“<sup>2</sup>.

ქართული ვერსიფიკაციის ისტორია მეტრულად ორგანიზებული ლექსის ისტორიას წარმოადგენს, რადგან ჩვენთვის უცნობია ქართული ლექსის წინამეტრული პერიოდი.

ძნელია განსაზღვრა იმისა, თუ როდის გაჩნდა პირველი ქართული ლექსი, მაგრამ რადგანაც ხალხური პოეზია წინ უსწრებს ხოლმე მწიგნობრულს, ჩვენ დაკვირვება უნდა მივმართოთ მითოლოგიური ციკლის ლექსებსა და სამონაღირეო ეპოსზე, ნაღურ ლექს-სიმღერებსა და მთიბლურებზე, რომლებიც ერთგვარად წარმოგვიდგენენ იმ ტემპსა და რიტმს, რომელიც შრომის პროცესს ახლდა თან. ადრეული ნიმუშები ხალხური პოეზიისა მეტრულად უფრო თავისუფალია, რადგან სიმღერასთან სინთეზურ კავშირში წამყვანი მნიშვნელობა მუსიკალურ ჰანგს ენიჭებოდა. განვითარებისდა კვლდაკვალ, მუსიკალური ელემენტების შეზღუდვამ ენობრივი მოვლენების გაძლიერება გამოიწვია. თუ ადრინდელ საფეხურზე მელოდია და მუსიკალური რიტმი აწესრიგებდა სტროფს, ახალი ხალხური ლექსის სტროფულ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ტაქტის ფუნქციის და, საერთოდ, ენობრივი მოვლენების გაძლიერებამ. ლექსს უჩნდება მიდრეკილება მეტრული კანონზომიერებისაკენ. მთიბლურები 9-მარცვლიანი ლექსებია, ხოლო უძველესი ხალხური ლექსის მეტრული ფორმა — ძირითადად რვა-მარცვლიანი იყო.

1 გრ. რობაქიძე, რუსთაველის მსოფლიო მხერა, გვ. „საქართველო“, 1920, № 112.

2 აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 136.

ქართული მწიგნობრული პოეზია იწყება თარგმანებით ბერძნული ლიერო პოეზიიდან, რომელსაც მოსდევს ორიგინალური ჰიმნოგრაფიული ერთ მწიგნობრული პოეზიის ქრისტიანულზე უფრო ადრეული შესახებ ვარაუდს ამართლებს რამდენიმე ფაქტი ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში შეპარული ციტატებისა: V-VII ს-ის „პროკოფის მარტილობაში“ არსებული 20-მარცვლიანი ფისტიკაურის ნიმუში, საგალობელ იადგარში შენიშნული 16-მარცვლიანი შაირი.

საერო ლიტერატურული ლექსის ერთ-ერთ ადრინდელ ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ ატენის სიონის კედლებზე აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც მე-9 საუკუნეს განეკუთვნება. აქ შეიდმარცვლიანი ლექსი ორი სხვადასხვა საზომითაა წარმოდგენილი: 5/2.

„იხილეთ ესე ეამი,  
წავა, ვითარცა წამი“,

და 4/3:

„ეგრე იტყვის მოძღვარი,  
მუნ არა არს ვაჟარი“.

ქართული სასულიერო პოეზიის სალექსო ფორმას წარმოადგენს იამბიკო — ხუთტაეპიანი 12-მარცვლიანი ლექსი, ცეზურით 5 მარცვლის შემდეგ.

კლასიკური პოეზიის კარიბჭესთან, XII საუკუნეში ჩახრუხადისა და შავთელის მიერ ხდება ამ, განსხვავებული ვერსიფიკაციული სისტემების შერწყმა. მათი საზომი მიძიმეა (20-მარცვლიანი ლექსი), შიდარიტმები კი ლექსს მუსიკალურს ხდიან. „თამარიანი“ და „აბდულუმესიანი“ ნიადაგს უშობადებენ ქართული პოეტური გენიის უმაღლეს გამოვლინებას — „ვეფხისტყაოსანს“. განუმეორებელს არა მხოლოდ ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ხილვებით, არამედ როგორც ვერსიფიკაციული წყობის მწვერვალს. „ვეფხისტყაოსნის“ საზომი 16-მარცვლიანი შაირია, მოქნილი და ეპოსისათვის შესაფერი მეტრი, რომელიც განცდა-განწყობილებისა თუ მოქმედებათა შესაბამისად ორგვარი — დაბალი და მაღალი შაირის სახითაა წარმოდგენილი. მაღალი შაირი ოთხმარცვლიან სიმეტრიულ სიდიდეებზე აგებული მეტრული სტრუქტურაა (44/44), დაბალი შაირი კი ასიმეტრული სიდიდეებითაა განსაზღვრულ (35/35). ამგვარ წყობას „ოქროს კვეთის“ ღვთაებრივ პროპორციად მიიჩნევა ცნობილი მეცნიერი გ. წერეთელი<sup>3</sup>. მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა ამრავალფეროვნებს პოეტურ მეტყველებას, ემოციური და აზრობრივი ნიუანსებით ამდიდრებს ტექსტს, აკეთილშობილებს მას. საზომი, რომელიც ქართულ პოეზიაში მანამდეც არსებობდა, ვერსიფიკაციული სრულყოფის სიმღლეზე აიყვანა რუსთაველმა და, ალბათ, სწორედ ამიტომაც საუკუნეთა მანძილზე „ვეფხისტყაოსანი“ ითვლებოდა შემოქმედებით ეტალონად, რაც ეპიგონობის განვითარებას უწყობდა ხელს. აკაკი წერეთლის თქმით: „მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთაველისაგან, ისე ძლიერად დამოწმებული, რომ ვეღარც კი

3 ზ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983, გვ. 7, 15. იხ. აგრეთვე, ავ. გაწერელია, ახალი ნაშრომი ქართულ პოეტიკაში, „ლიტ. საქართველო“, 1984 წ. 6 აპრილი; ავ. ხინთიბიძე, საერო პოეზიის სათავეებთან, ვახ. „კომუნისტი“, 1984, № 171.

4 გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, წიგნში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1973, გვ. 14.

წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვაგვარი ლექსის წერა, თუ არა თექვსმეტმარცვლოვან და ოთხტაეპიან შაირისა“<sup>5</sup>.

აღორძინების ხანის ცალკეული გადახრები ებოსიდან ლირიკისაკენ, „მეორე ლექსი ცოტაი“, თეიმურაზ პირველის ანბანთქებანი, არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, იაკობ შემოქმედელის პალინდრომი, სულხან-საბას მიერ შემოტანილი ახლებური სტროფული კომპოზიციები, ვახტანგ VI-ისა და „ნარგიზოვანის“ ავტორის თხზულებანი ძირითადად თექვსმეტმარცვლიანი შაირით იყო შესრულებული. მაგრამ მეტრიკაც განიცდიდა ცვლილებას. საბას ზოგიერთი რვეული რეამარცვლიანია („რა ოსტატი ასოთ სხმიდა“), „უცხო“ კი ჰეტეროსილაბური ლექსია — ამარცვლიანი სტროფების ბოლო ტაეპები 13-მარცვლიანია. ვახტანგ VI-ის „მუხრანული“ თავისებური წყობის ამარცვლედია (442), ხოლო „ვახტანგური“ შერეული საზომითაა დაწერილი. რამდენიმე ახალ „ხმას“ (საზომს) მისცა დასაბამი მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატმა. კერძოდ, აღსანიშნავია თოთხმეტმარცვლელი შუაში ცეზურით (43143): „თუ მამუკას მელექსედ არ იტყვიან, ვა მეო“. ამ საზომით იქნა დაწერილი შემდეგში გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“. ამავე დროს, „ჰაშნიკის“ მეშვეობით გახდა ცნობილი როგორც სულხან-საბას „უცხო“, ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული ლექსები, აგრეთვე, ორმუხლიანი ამარცვლელი („თუმცა ღრუბელსა ცვარნი ენამა“), რეამარცვლიანი დაბალი შაირი („მთვარემან მზე მოიწვია“), თოთხმეტმარცვლელის ნაირსახეობა (8/6: „მრავალთა ჟამთა მოგებდალ თემთა იარეთ“) და მთიბლური (5/4: „რაზომ ხმელეთი იარეთ“)<sup>6</sup>.

XVIII ს-ის მეტრულ ნოვაციებს, რომლებიც დავით გურამიშვილის სალექსო რეფორმით დაგვირგვინდა, საფუძველი წინა საუკუნეში ჩაეყარა და იგი გულმოდგინედ მზადდებოდა ზემოხსენებულ ავტორთა მიერ. თავდაპირველად ვერც გურამიშვილი გაექცა რუსთველური ლექსის ინერციას და „დავითიანის“ ისტორიული ნაწილი პოეტის ბიოგრაფიით, სადაც თხრობის ეპიკური სტილი იყო საჭირო, რუსთველური ლექსითაა შესრულებული. კვლავ აკ. წერეთლის ნათქვამი უნდა გავიხსენოთ: „პირველი მწერალი, რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონობას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი. ჯერ ისიც დიდხანს მისდევდა რუსთაველს, ბოლოს მიხვდა, რომ მაჩანჩალა იყო მისი და სხვა არაფერი და მაშინ კი თქვა, „რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას სხვა ვერ შეედრებო“, იყადრა გადახვევა და დაიწყო იმგვარ ლექსების წერა, როგორც არიან მისი „ქაკვია მწყემსი“ და მისი სახალხო „ეო-მეო“-ები“<sup>7</sup> „დავითიანის“ ისტორიულ ნაწილში მხოლოდ ეპიზოდურად, ლირიკული გადახვევების დროს იჩენს თავს ლექსის სხვა საზომები. თანდათანობით მატულობს მეტრული სიახლეები, იმის მიხედვით, ლირიკული განცდა გვაქვს თუ ეპიკური თხრობა და, ამდენად, „დავითიანის“ მეტრული რეპერტუარი ძალზე მრავალფეროვანია. 57 საზომიდან, რომლითაც გურამიშვილი წერდა, 30-ზე მეტი მის მიერაა შემოტანილი. თვით რუსთველურ საზომსაც კი პოეტმა ახალი რიტმული ნიუანსები შესძინა. მაღალრუსთველურში ორმარცვლედების გამოყოფით (2/4/2), რაც ხალ-

5 აკ. წერეთელი, ოსზ. სრული კრებული, ტ. VI, თბ., 1957, გვ. 51.

6 მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, აკ. ხინთიბიძის რედაქციით, თბ., 1981, გვ. 10.

7 აკ. წერეთელი, ოსზ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 52



„ორმოც თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა  
თავსა დაგვახვივა რეტი“<sup>8</sup>.

გურამიშვილის სახელს უკავშირდება ქართულ მეტრიკაში კარგად ცნობილი „ზუბოვიკის“ მეტრი 44/42 („ზუბოვიკიდან მომავალმა ვნახე ერთი ქალი“), რომელმაც ფართო გავრცელება პოვა და ასე შთამბეჭდავად გახშირდა შემდგომ ვალაქტიონის სტრიქონებში: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“ („მთაწმინდის მთვარე“), ყურადღებას იქცევს ექვსმარცვლელი ლუწმარცვლიანი მუხლებით (42): „მოწყალების კარო...“, მოკლე და ელასტიკური საზომი. ექვსმარცვლელის მეორე ფორმა (33) „ქაცვია მწყემსის“ ჰეტეროსილაბური საზომში შედის: „შემოკრბენ ყოველნი“. გურამიშვილმა ცხრამარცვლელის მთბლურ წყობასაც განსხვავებული ვარიანტი მოუძებნა (415): „გინახოდესთ ანგელოზთ დასნო“ („ღვთისმშობლის მიცვალების დღის შესხმა“). გურამიშვილიდან მოდის 15-მარცვლელის იშვიათი ფორმაც (5/5/5): „აღსდგა ქრისტე და აღმოიყვანა ადამიანი“ („აღდგომის დღეს ყრმათათვის სამღერალი“) და სხვ. ახალშემოტანილი საზომების დიდი ნაწილი ჰეტეროსილაბურია. „ქაცვია მწყემსის“ ყოველი სტროფი სამი სხვადასხვა საზომის კომბინაციის შედეგს წარმოადგენს: 5/5, 3/3 და 5:

ერთ ქალს რუსული „ვესელა ვესნა“  
ჩემთვის სახმილად ჩამოეკვსნა.  
იმით ჩემი გული  
იქნა დაღაგული,  
მედების ალი!

უნდა აღინიშნოს, რომ გურამიშვილის ჰეტეროსილაბურ (არათანაბარმარცვლიან) საზომებზე ჯერ კიდევ პეტრე უმიკაშვილმა მიუთითა<sup>9</sup>.

გურამიშვილის მეტრული ნოვაციები, ერთი მხრივ, ლირიკის განვითარების შედეგია, მეორე მხრივ კი — ხალხური ლექს-სიმღერების პანგის მოძალევისა; განსაკუთრებით გაამრავალფერა მისი მეტრული რეპერტუარი რუსულ-უკრაინულმა ხალხურმა სიმღერებმა, რაც ახალი იყო ქართული რიტმიკისათვის. ამ სახიფათო მცდელობის მიუხედავად, გურამიშვილმა შესძლო უცხო ხმების ქართულ ნიადაგზე დანერგვა, ქართული რიტმისათვის მორგება. ხალხური ლექს-სიმღერების მოძრავმა და რხევადმა რიტმმა რამდენადმე შეაშუბუქა და გაანელა პოეტის მძიმე რელიგიური განწყობილებანი, უფრო მიწიერი და ყოფისეული გახადა ის. თითქოსდა, სასულიერო გლობას თავისი სპეციფიკური სახე დაეკარგა.

განსაკუთრებული პოლიფონიურობით იქცევს ყურადღებას „დავითიანის“ დასკვნითი ნაწარმოები, „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან იზოსილაბური და ჰეტეროსილაბური საზომები. განსაკუთრებით ხშირია ეს უკანასკნელი (34/24; 43/24; 42/43; 43/43; 43/33; 53/23; 34/33; 5/55; 35/35; 43/33; 33/53 და სხვ.). გურამიშვილი შეგნებულად უზვევს ლექსის ტრადიციული მწყობრი მუსიკისაგან და თავადვე აღნიშნავს,

<sup>8</sup> დავით გურამიშვილის მეტრული ნოვაციები საფუძვლიანადაა შესწავლილი და გაანალიზებული აკაკი გაწერელის „ქართულ კლასიკურ ლექსში“ (გვ. 252—281) და აკ. ხინთიბიძის წიგნში „ცეზურა ქართულ ლექსში და გურამიშვილის ვერსიფიკაცია“, თბ., 1986, გვ. 71.

<sup>9</sup> „დავითიანი“, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, თბ., 1881, გვ. XXIV.

რომ ფსალმუნების ავტორს, დავითს მივბაძეო. ძალიან ხშირად მიმართავს გუგუნიძის  
რამიშვილი ჰეტეროსილაბურ საზომებს რელიგიურ თემაზე წერის დროს.  
მეტად რთული იყო სასულიერო შინაარსის საერო ფორმასთან მორიგება,  
მაგრამ დიდი პოეტური ძალისა და ნიჭიერების წყალობით გურამიშვილმა ამ  
გზაზეც წარმატება იხეიმა.

გურამიშვილის სალექსო რეფორმის მთავარი ხერხემალი მეტრიკა იყო,  
მაგრამ მისმა სიახლეებმა ამ სფეროში თავის დროზე დიდი გავლენა ვერ მო-  
ახდინა ქართული მეტრიკის განვითარებაზე, რადგანაც „დავითიანმა“ გვიან  
შემოადღწია საქართველოში.

დიდი დამსახურება მიუძღვის ბესიკს ქართული მეტრიკის განახლებაში.  
ნიშანდობლივია, რომ ცნობილი ლექსმცოდნე კოტე დოდაშვილი ახალ ხანას  
ქართული მეტრიკის ისტორიაში ბესიკით იწყებს. ყველაზე მნიშვნელოვანი,  
რითაც ბესიკმა ქართული მეტრიკა გაამდიდრა, „ტანო ტატანოს“ საზომია —  
5/4/5, რომელიც ჩვენში ბესიკურის სახელითაა ცნობილი. ბუნებრივი აღმო-  
ჩნდა ქართული ლექსისათვის გრძელი და მოკლე მუხლების მონაცვლეობა:  
„ტანო ტატანო / გულწამტანო / უცხოდ მარებო“. ამ საზომითაა დაწერილი  
ა. ჭავჭავაძის „გოგჩა“, ბარათაშვილის „მერანის“ კენტი სტროფები. ამ საზო-  
მით თარგმნა ივ. მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიები.

სიახლეს წარმოადგენდა თერთმეტმარცვლელი სამმარცვლიანი კადენციით  
(4/4/3), რომელიც საიათნოვასთან ერთად ბესიკმა დაამკვიდრა ქართულ პოეზი-  
აში: „შავნი შაშენი (შავს გალიას) შემსხდარნი“.

ბესიკის არაერთი საზომი ჰეტეროსილაბურია, მაგ.: „ცრემლთა მდინარე“  
რომლის ეჭო გალაკტიონის პოეზიაშიც გაისმა („ფოთლების ლანდი“). „მე-  
სამე ტაეპის მარცვალთმეტობაც, რაც ხალხურისათვის იყო დამახასიათებელი,  
ბესიკმა შემოიტანა ლიტერატურაში („სტვენს ბულბული“). თვით იამბიოც  
კი, — 12-მარცვლიანი იზოსილაბური საზომი ბესიკმა ცეზურასთან სტრიქონე-  
ბის გაჭრით არათანაბარმარცვლიანად აქცია („სამძიმარი“). ბესიკის პოეზიაში  
ნათლად აისახა აგრეთვე, ოც და თექვსმეტმარცვლიანი საზომების დატეხვის  
პროცესი<sup>10</sup>.

აღმოსავლური სალექსო ფორმების მიგრაციას ბესიკი ეროვნულ ყალიბში  
სვამდა; ამიტომ შეეწყო და შეეთვისა მისი მუხამბაზები, თეჯნისები და ბა-  
იათები ქართული ლექსის ბუნებას. მუხამბაზურმა სტილმა თავისი შესატყვი-  
სი ვერსიფიკაციით ბესიკის პოეზიაში აპოგეას მიიღწია, რომლის შემდეგაც  
დაიწყო უკუსვლა და მომზადდა ნიადაგი ახალი, რომანტიკული სტილის შექმ-  
ნისათვის.

ქართველ რომანტიკოსებს, ისევე როგორც სამოციანელებს, მეტრული  
ძიებანი არ უწარმოებიათ. საერთოდ, მე-19 საუკუნის ქართული ვერსიფიკა-  
ცია ამ მხრივ ღარიბია. მე-17, მე-18 საუკუნეების მდიდარმა მეტრულმა რე-  
პერტუარმა ერთგვარად გააჯერა მე-19 საუკუნე. ბარათაშვილი ძირითადად  
მოდდიციურებული ფისტიკაურით, მუხამბაზებისა და თეჯნისების მეტრით  
წერდა, თუმცა თავისი პოეტური მრწამსით აღმოსავლურ სტილს უპირისპირ-  
დებოდა. საზომთა მონაცვლეობაც „მერანში“ სათავეს ბესიკიდან იღებს.

<sup>10</sup> ავ. ხინთიბიძე, აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციფრსა, გაზ. „ლიტერატურა და  
ხელოვნება“, 1990, № 1, გვ. 287.





ოღონდ ბარათაშვილის სასაუბრო ინტონაციამ ცნობილი და გავრცელებული საზომები, რეალური მეტყველების შესაბამისად, რიტმულად მრავალფეროვანი გახადა.

ილია, აკაკი და ვაჟა ხალხში გავრცელებულ ნაცად მეტრულ ფორმებს ეტანებიან, რაც, მათი შემოქმედებითი კრედოს შესაბამისად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგებისათვის, ხალხზე შემოქმედების მოსახდენად, მართებული ვაა იყო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მეტრული ერთფეროვნება, რომელიც თითქმის მთელი საუკუნე გრძელდებოდა, შეცვლას ითხოვდა. ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებსაც, რომელთაც მსოფლიო ეზიარა, თავიანთი „ხმა“ მოჰქონდათ; აუცილებელი გახდა ვერსიფიკაციის მთელი არსენალის გადახალისება. იწყება ახალი ეტაპი ქართული პოეტის განვითარებაში, რაც, თავისთავად, უკვე ცალკე, საგანგებო განხილვის საგანს წარმოადგენს.

Ш. И. КУРТИШВИЛИ

### ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ МЕТРИКИ

Резюме

В работе хронологически рассмотрено разнообразие грузинской метрики на разных этапах ее развития и подчеркнут тот факт, что история грузинской версификации представляет собой историю метрически организованного стиха, потому что неизвестен его прежний период.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ნ ა ნ ა კ ი ზ ი რ ი ა

ხ მ ა ბ ა ძ მ ი ს ა და ბ გ ე რ წ ე რ ი ს შ მ ს ა ხ ე ბ ქ ა რ თ უ ლ პ რ ე მ ი ა შ ი

**ხ მ ა ბ ა ძ მ ი ს** ვ უ წ ო დ ე ბ თ ს ი ტ ყ ე ვ ა ს, ა ლ მ ი ნ ი შ ე ნ ე ლ ს, რ ო მ ე ლ ი ც თ ა ვ ი ს ბ გ ე რ ი თ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ა ლ ს ა ნ ი შ ი ს მ ი ე რ გ ა მ ო ც ე მ უ ლ ხ მ ა უ რ ს. ა ს ე თ ი ა ქ ა რ თ უ ლ შ ი ს ი ტ ყ ე ვ ე ბ ი — შ რ ი ა ლ ი, ღ რ ი ა ლ ი, ჯ ა ხ ა ნ ი, ქ ა ხ ა ნ ი და ს ხ ე.

**ბ გ ე რ წ ე რ ი თ ს** ვ უ წ ო დ ე ბ თ ს ი ტ ყ ე ვ ა ს, ა ლ მ ი ნ ი შ ე ნ ე ლ ს, რ ო მ ლ ის შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ბ გ ე რ ე ბ ი ( ა ნ რ ო მ ე ლ ი მ ე ე რ თ ი ბ გ ე რ ა) თ ა ვ ი ს ა რ ა ბ გ ე რ ი თ ი თ ვ ის ე ბ ი თ ( ა ნ თ ვ ის ე ბ ე ბ ი თ) შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა ა ლ ს ა ნ ი შ ი ს. ა რ ა ბ გ ე რ ი თ თ ვ ის ე ბ ე ბ ი შ ი ვ ე ჯ უ ლ ის ხ მ ო ბ თ ის ე თ თ ვ ის ე ბ ე ბ ს, რ ო გ ო რ ი ც ა ა ს ი დ ი დ ე, ს ი თ ბ ო, ს ი ლ ა მ ა ზ ე, ს ი ნ ა ზ ე და ა. შ. ს ა მ ე ტ ყ ე ვ ე ლ ო ბ გ ე რ ა ს თ ა ნ ა ს ე თ ი თ ვ ის ე ბ ე ბ ის დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ა მ ა ს ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს ჩ ე ე ნ მ ი ე რ ჩ ა ტ ა რ ე ბ უ ლ ი ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი ც. ა მ ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ და ს ხ ე ა დ ა ს ხ ე ბ ა ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ის მ ქ ო ნ ე 30 ც დ ის პ ი რ ი. ც დ ის პ ი რ ე ბ ს ე ძ ლ ე ო და თ დ ა ვ ა ლ ე ბ ა — ჯ ა ნ ს ა ზ ლ გ რ უ ლ ი ბ გ ე რ ა დ ა ე ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ნ ა თ ზ ე დ ს ა რ თ ა ვ თ ა 14 ა ნ ტ ო ნ ი მ უ რ ი წ ყ ე ვ ი ლ ის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ. ე ს წ ყ ე ვ ი ლ ე ბ ი ი ყ ო: ც ი ვ ი — თ ბ ი ლ ი, მ ა ლ ა ლ ი — დ ა ბ ა ლ ი, ლ ა მ ა ზ ი — უ შ შ ო, ს წ რ ა ფ ი — ნ ე ლ ი, ნ ა ზ ი — უ ხ ე შ ი, კ ა რ გ ი — კ უ ლ დ ი, დ ი დ ი — პ ა ტ ა რ ა, ძ ლ ი ე რ ი — ს უ ს ტ ი, წ რ ი თ უ ლ ი — კ უ თ ხ ო ვ ა ნ ი, მ უ ქ ი — ლ ი ა ფ ე რ ის, რ ბ ი ლ ი — მ ა გ ა რ ი, მ ქ რ ე ლ ი — ბ ლ ა ვ ე ი, ხ მ ა მ ა ლ ა ლ ი — ჩ უ მ ი, წ ვ რ ი ლ ი — მ ს ხ ე ვ ი ლ ი<sup>1</sup>.

ხ მ ა ბ ა ძ ე და ბ გ ე რ წ ე რ ა პ ო ე ზ ი ა შ ი ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა ს უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა. ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა ა რ ის პ ო ე ტ უ რ ი ხ ე რ ხ ი, რ ო მ ე ლ ი ც გ ე ლ ის ხ მ ო ბ ს ე რ თ ი და ი მ ა ვ ე ბ გ ე რ ის გ ა მ ე ო რ ე ბ ა ს სა ლ ე ქ ს ო ს ტ რ ი ქ ო ნ შ ი. მ ის ი მ ი ზ ა ნ ი ა ე მ ო ც ი უ რ ი ზ ე გ ა ვ ე ლ ნ ა მ ო ა ხ დ ი ნ ო ს მ კ ი თ ხ ე ლ ზ ე. სა ლ ე ქ ს ო ს ტ რ ი ქ ო ნ შ ი ხ მ ა ბ ა ძ ე მ ა შ ი ნ გ ე ვ ა ქ ე ს, რ ო ც ა მ ე ო რ დ ე ბ ა ის ე თ ი ე რ თ ი ბ გ ე რ ა ა ნ ბ გ ე რ ი თ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, რ ო მ ე ლ ი ც პ ო ე ტ ს ე ს ა ქ ი რ ო ე ბ ა რ ა ი მ ე ხ მ ა უ რ ის გ ა დ მ ო ს ა ც ე მ ა დ. ბ გ ე რ წ ე რ ა კ ი ლ ე ქ ს შ ი მ ა შ ი ნ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა, რ ო ც ა გ ა მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ბ გ ე რ ა ა ნ ბ გ ე რ ა თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი თ ა ვ ის ი ა რ ა ბ გ ე რ ი თ ი თ ვ ის ე ბ ე ბ ი თ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა სა ლ ე ქ ს ო ს ტ რ ი ქ ო ნ შ ი გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ გ რ ძ ნ ო ბ ა ს. ბ გ ე რ წ ე რ ა შ ი ე ვ ე ჯ ა ნ ვ ი ბ ი ლ ა ე თ ი მ შ ე მ თ ხ ე ვ ე ე ბ ს ა ც, რ ო ც ა სა ლ ე ქ ს ო ს ტ რ ი ქ ო ნ შ ი გ ა მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ბ გ ე რ ა თ ა ვ ის ი თ ვ ის ე ბ ე ბ ი თ ა რ ა რ ის დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ლ ე ქ ს შ ი გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ გ რ ძ ნ ო ბ ა ს თ ა ნ, მ ა გ რ ა მ მ ა ს შ ი ა რ ც ხ მ ა ბ ა ძ ე ჩ ა ნ ს. ა ქ ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა მ ზ ო ლ ო დ გ ა რ ე ნ ე ლ ი ს ი ლ ა მ ა ზ ის ა თ ვ ის გ ა მ ო ი ყ ე ნ ე ბ ა. ა მ ა ზ ე სა უ ბ ა რ ი უ ფ რ ო დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ქ ე ვ მ ო თ ი ქ ე ნ ე ბ ა.

წ ა რ შ ო ვ ა დ გ ე ნ თ ხ მ ა ბ ა ძ ე ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ს:

„შ ე ჯ ო ნ ო ბ — ხ შ ი რ ი შ რ ი ა ლ ო თ შ ე რ თ ა  
 მ შ ო ბ ლ ო უ რ ი ტ ყ ის მ წ ე ა ნ ე ზ ი რ თ ე ბ ი“.

(გ. ტ ა ბ ი ე, გ ე. 60).

ა მ ნ ა წ ყ ე ვ ე ტ შ ი შ ბ გ ე რ ის ა და შ რ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ტ ყ ის შ რ ი ა ლ ი ა გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი. ა ს ე ვ ე ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ტ ყ ის შ რ ი ა ლ ის გ ა მ ო ს ა ბ ა ტ ა ვ ა დ შ და შ რ

<sup>1</sup> უ ფ რ ო დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ა მ ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ის ჩ ა ტ ა რ ე ბ ის ა და მ ის ი შ ე ლ დ ე ბ ის შ ე ს ა ხ ე ბ ი ხ. ნ. კ ი ზ ი რ ი ა, ფ ო ნ ე მ ა ტ უ რ ე რ თ ე უ ლ თ ა ბ გ ე რ ი თ ი და ა რ ა ბ გ ე რ ი თ ი ა ს ო ც ი ა ლ ე ბ ი ქ ა რ თ უ ლ შ ი, ნ ე ტ ყ ე ვ ე ლ ე ბ ს ა ნ ა ლ ი ზ ო, № 6, თ ბ ი ლ ს ი, 1983; ნ. კ ი ზ ი რ ი ა, ს ა მ ე ტ ყ ე ვ ე ლ ო ბ გ ე რ ის ა ს ო ც ი ა ლ ე რ თ ა ნ, „მ ა ც ნ ე“, ე ლ ს, 1981, № 1.



მიმდევრობა (ზოგ შემთხვევაში **შრ** მიმდევრობა გათიშულია ხმოვნით) **მეფი** **მეფი**  
 ნაწყვეტში:

„შეედევარ ტყეში, ნუში მხედება შტობგამოლი,  
 შორს შროშანების შარი-შური შორდება შარას“.

(ო. მისურაძე, ტყეში).

ამავე ლექსიდანაა:

„ტყე შეშეშეშა, შეშრიალდნენ შვილი შტოები“.

**შ** ბგერითა და **შრ** მიმდევრობით ზეების შრიალი, ზოლო **ხ** ბგერის გამოყენებით სიოს ხმაა გადმოცემული შემდეგ მაგალითში:

„შიღის ზაფხულო, ბაღში, მდელოში  
 სისინებს სიო, შრიალებს ნეშო“.

(გ. ტაბიძე, გვ. 152).

ასეთივე შემდეგი სტრიქონები:

„ო, შრიალით ეშეება  
 შემოვადგომა სნეული“.

(გ. ტაბიძე, გვ. 450).

**შ** ბგერასთან და **შრ** მიმდევრობასთან ერთად შრიალის ეფექტის მისაღწევად გამოყენებულია **ჩ** ბგერაც. როგორც ვიცით, **შ** და **ჩ** ბგერები ჰომორგანული ბგერებია და ორივე „შიშინაა“:

„მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,  
 შავი ლეჩაჭი დაეცა შარებს“.

(გ. ტაბიძე, გვ. 200).

ქარის, გრიგალის ხმაურია გამოხატული **ქ** და **ხ** ბგერების, აგრეთვე **ქარ**, **ხარ**, **გრ** მიმდევრობების საშუალებით სალექსო სტრიქონებში:

„ქარით ხარხარებს ქუხილი მუქი,  
 გრიალებს ქარ“.

(გ. ტაბიძე, გვ. 222).

ამავე ლექსშია აგრეთვე მსგავსი ხმაურის გამოხატველი სტრიქონებიც:

„ძლიერო სიერცის გრიალებს გორა,  
 გრიალებს ქარ“.

ორივე მაგალითში ქარის ხმაურის გადმოცემას აძლიერებს **რ** ბგერაც. ხმაბაძვის უმშვენიერეს ნიმუშს წარმოადგენს გ. ტაბიძის „ქარი ჰქრის“. მთელ ლექსში თითქოს ისმის ქარის ჰროლა, რაც მიიღწევა **ქრ**, **ქარ**, **კარ**, **რკ**, **რიგ**, **როგ**, **ხარ** მიმდევრობებით. ძალიან აქტიურად ისმის **რ** ბგერა, რომელიც სხვა მიმდევრობებშიც გვხვდება. ამავე ლექსში ძალიან საყურადღებოა ბგერა **ჰ** სიტყვაში **ჰქრის**. ყველა იცის, რომ ეს ზმნა ერთბირიანია, მას ობიექტი არ

შეწყობა, ამიტომ ობიექტური პირის ნიშანი **ჰ** აქ ზედმეტია, მაგრამ **ჰ** ქართული ხმის მიბაძვაში უდიდეს როლს თამაშობს და მისი ამ ლექსში არსებობა გასაოცარ ეფექტს ახდენს.

**რ** ბგერისა და **გრ, გრგ, ქრ** მიმდევრობების გამოყენებით გამოხატული ძლიერი ხმაური მაგალითში:

„ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“  
(**გ.** ტაბიძე, გვ. 71).

**რ** ბგერისა და **რა** მიმდევრობის ოსტატური გამოყენებით მატარებლის ხმაურს ემსგავსება შემდეგი სტრიქონები:

„მესმის რულში მატარებლის რა-რა-რა,  
არა რა ბედს არარაა, არარა“.  
(**გ.** ტაბიძე, გვ. 263).

**გ** ბგერის გამეორება ამსგავსებს გუგუნთან შემდეგ სალექსო სტრიქონს:

„გულს გალობა აგუგუნებს“.  
(**ს.** ჩიქოვანი, გვ. 455).

**წ** ბგერა მეორდება წივილის გამოსახატავად მაგალითში:

„წვიმა აწივლებს უთვალავ წიწილს“.  
(**ს.** ჩიქოვანი, გვ. 285).

**ყ** ბგერის გამეორება ქმნის ყივილის ეფექტს სტრიქონებში:

„ეს ყივილი ეჯახება ტყვიას  
და ყივილზე პურის ყანა ბიზინებს“.  
(**ს.** ჩიქოვანი, გვ. 78).

მიბაძვა ჭრიჭინის ხმასთან ხორციელდება **ჭ** და **რ** ბგერების გამეორებით ამ სტრიქონებში:

„ჭერი შეინძრა, იატაკმა გაიჭრიჭინა,  
თავგულივით ხელში შერჩა ჭრელი ჭინწილა“.  
(**ლ.** ასათიანი, გვ. 73).

ზემოთ ვთქვით, რომ ხმებაძვის გარდა ქართულ ლექსში დასტურდება ბგერწერაც. ეს ის შემთხვევაა, როცა ალიტერაციაში მონაწილე ბგერა ან ბგერითი კომპლექსი თავისი არაბგერითი თვისებებით ძირითადად შეეფერება სალექსო სტრიქონში გამოხატულ გრძნობას, ანდა ბგერათა გამეორების მიზანია ლექსისათვის მეტი მუსიკალობის მინიჭება. შევეხებით ბგერწერის ორივე შემთხვევას:

1. ალიტერაციაში გამოყენებული ბგერა (ბგერითი კომპლექსი) თავისი არაბგერითი თვისებებით შეეფერება სალექსო სტრიქონში გამოხატულ გრძნობას. მაგალითად:

„უცხო კაცად რომ შემოცნო,  
შერცხვა და თავი დახარა“.

(ლ. ასათიანი, გვ. 23).

ამ მაგალითში მეორდება **ც** ბგერა. მასში გამოხატულია სინაზე, სისუსტე. თუ გავიხსენებთ ჩვენ მიერ ჩატარებულ ზემოდასახელებულ ექსპერიმენტს, ვნახავთ, რომ ცდისპირთა უმეტესობა **ც** ბგერას შემდეგნაირად ახასიათებს: დაბალი, ლამაზი, ნაზი, კარგი, პატარა, სუსტი, რბილი, ჩუმი, წვრილი. აქ არ შეეხებთ ყველა იმ ანტონიმურ წყვილს, რომლის მიხედვითაც ცდისპირებმა დაახასიათეს თითოეული ბგერა, მაგ., წრიული — კუთხოვანი, რადგანაც დასახელებულ სალექსო სტრიქონებში გამოხატული გრძნობისათვის აქ წარმოდგენილი თვისებები სავსებით საკმარისია.

**ნა** მიმდევრობა მეორდება შემდეგ მაგალითებში:

„ეს ნაქადული ნანაობს, თუ ყანა ნათათავარი?“

(ლ. ასათიანი, გვ. 141).

„მინანავებდა ნანა ნავებთან,  
ნამიან ნაპირს ება ნავები“.

(ო. შიხრაძე, \*\*\*).

ცდისპირების მიერ **ნ** ბგერის დახასიათება (ლამაზი, ნელი, ნაზი, კარგი, პატარა, სუსტი, ჩუმი, წვრილი) შესაფერისია იმ გრძნობისა, რაც ამ სალექსო სტრიქონებშია გამოხატული.

სინაზე, სილამაზეა გამოხატული სტრიქონებში „მთვარემ ლამე გაათია, კრთება შუქთა დინება“ (გ. ტაბიძე, გვ. 232), რასაც უდავოდ უწყობს ხელს **თ** ბგერის გამეორება. **თ** ბგერას ცდისპირები ასე ახასიათებენ: დაბალი, ლამაზი, ნელი, ნაზი, კარგი, პატარა, სუსტი, ღიაფერის, რბილი, ჩუმი.

**ბ** ბგერა იღებს ალიტერაციაში მონაწილეობას შემდეგ მაგალითში:

„აბუდა ქუხილი, გავარდა მეზი,  
გაეხმურა ტყე მეზის ტეხილს“.

(გ. ტაბიძე, გვ. 293).

აქ დახატულ სურათს უსათუოდ უწყობს ხელს **ხ** ბგერის გამეორება, რადგანაც **ხ** ბგერა თავისი არაბგერითი თვისებებით ძალიან ახლოს დგას ამ სტრიქონებში გადმოცემულ შინაარსთან. ცდისპირებმა **ხ** ბგერა ასე დაახასიათეს: უშნო, უხეში, ცუდი, დიდი, ძლიერი, მაგარი.

საოცრად ეფექტურია შემდეგი მაგალითი:

„ტრამალ და ტრამალ გამოგდევენ,  
შემოვამტყერე გზები ტრიალი,  
მცხეთას ვუმტყერიე საკეტურები,  
ვლენე ტაძრები კელაპტრიანი“.

(გ. ლუონიძე, გვ. 245).

ამ სტროფში ალიტერაციაში მონაწილეობს ორი ბგერა — **ტ** და **რ**. რამდენიმე სიტყვაში („ტრამალ“, „ტრიალი“, „კელაპტრიანი“) ეს ბგერები ერთმანეთის გვერდითაა, ზოგ სიტყვაში კი მათ შორის ერთი ან ორი ბგერაა („შემოვამტყერე“ — **ტვრ**, „ვეუმტყერიე“ — **ტვრ**, „საკეტურები“ — **ტურ**, „ტაძრები“ — **ტაძრ**). თვით სტროფში გამოხატულია სიძლიერე, აქტიურობა, რასაც



უდავოდ უწყობს ხელს ეს ორი ბგერა თავისი არაბგერითი თვისებებით. ცდუნებულ პირები ტ ბგერას შემდეგნაირად ახასიათებენ: სწრაფი, უხეში, დიდი, ძლიერი, მაგარი, ხმამაღალი. რ ბგერაც ასევეა დახასიათებული: სწრაფი, უხეში, დიდი, ძლიერი, მაგარი, ხმამაღალი. ერთნაირი არაბგერითი თვისებების მქონე ეს ორი ბგერა ერთმანეთთან კომბინაციაში, რასაკვირველია, მკითხველზე უფრო მეტ ეფექტს ახდენს.

ამგვარად, წარმოდგენილ მაგალითებში ალიტერაციაში მონაწილე ბგერები თავისი არაბგერითი თვისებებით შეესაბამებიან იმ ეპოციურ განწყობილებას, რაც სალექსო სტრიქონში ლექსიკურად არის გამოხატული.

2. ზოგჯერ (და ამისი მაგალითი უამრავია) პოეტი იმეორებს რომელიმე ბგერას (ან ბგერათა მიმდევრობას), მაგრამ გამეორების მიზანი არ არის ის, რომ ალიტერაციაში მყოფი ბგერის თვისებები შეესაბამებოდეს ლექსის განწყობილებას. აქ, შეიძლება ითქვას, ბგერებით თამაშთან გვაქვს საქმე. თუმცა ეს „თამაში“ ძალიან სასიამოვნო მოსასმენი ხდება. სალექსო სტრიქონში შეიძლება გამეორდეს სიტყვათა თავკიდური ბგერა (ან ბგერათა მიმდევრობა), არა-თავკიდური ბგერა (ან ბგერათა მიმდევრობა), ბგერა (ან ბგერათა მიმდევრობა), რომელიც სტრიქონის ზოგ სიტყვაში თავკიდურია, ზოგან კი სიტყვის შუაშია. წარმოვადგენთ მაგალითებს:

- „შემოხვდა, შემომანათა, ჩინჩხლები შემომაყარა“ (ლ. ასათიანი, გვ. 23).
- „ეთომ ჩავაბი ჩემს ჩანგს ეყვანი“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 124).
- „თუ წელთა წილა წელზე წეება“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 137).
- „ჰავს წარსულიდან წამოსულ წუხილს“ (ს. ჩიქოვანი, გვ. 301).
- „შემთხვევით შეგხვდი შესნ დობილთ შორის“ (ი. გრიშაშვილი, გვ. 411).
- „ჰაერს ზარივით ჰკიღია ჰანგი“ (ს. ჩიქოვანი, გვ. 361).
- „რატომ მოვლტით პოეტის ბინას?“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 3).
- „და მკაცრად გავაძევერე გადაცრეცილ და გულცივ სივრცეს“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 85).
- „ეკალს მკერდი გაუაწყნავს“ (ი. გრიშაშვილი, გვ. 275).
- „შემოიჭრა ნესტი ჰის თუ ჰურის“ (ს. ჩიქოვანი, გვ. 77).

ალიტერაციაში ბგერათა მონაწილეობის მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ შემდეგი შემთხვევები:

1. მეორდება ერთი ბგერა. ამისი მაგალითები უკვე გვქონდა ზემოთ;
2. მეორდება ჰომორგანული ბგერები. მაგ., „შე მაშრიყეთის ვხდები მაყარი, შენ მალრიბს მიხვალ უნალველოდა“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 65). ამ მაგალითში მეორდება **ღ**, **ხ**, **ყ** ბგერები. სამივე უკანაენისმიერია. ეს ბგერები განაწილებულია ძალიან საინტერესოდ: პირველ სტრიქონში — **ყ — ხ — ჟ**, მეორეში — **ღ — ხ — ლ**;
3. მეორდება თანხმოვანთა კომპლექსი, მაგ., **წყ** მიმდევრობაა შემდეგ სალექსო სტრიქონში: „შემომწყრა ჩემი მწყაზარი წყვილი“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 53). ზოგჯერ კომპლექსში შემავალი ბგერები სალექსო სტრიქონში შეცვლილი მიმდევრობით მეორდებიან. მაგ., „პირქენენ ქუფური ფიქრები“ (გ. ჯაბუშანიური, გვ. 7). აქ **რქ** და მისი შებრუნება **ქრ** მიმდევრობა დასტურდება: „ხე შეირხა მიმოხრილი ფრთებით“ (გ. ლეონიძე, გვ. 176). ამ სტრიქონში **რხ** და **ხრ** მიმდევრობებია. ასევე **რხ** და **ხრ** მიმდევრობებია მაგალითში — „თვალს ართობდა დარხეული ვერხვები, არ მოხრია წუთით მხრები სარდალს“ (ს. ჩიქოვანი, გვ. 400);



4. მეორდება ცალკე ბგერა და ბგერათა კომპლექსი, სადაც ეს ბგერა წარმოადგენს „დრომ ძველ მიდამოს ვაკკრა ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი“ (გ. ტაბიძე, გვ. 366). ამ მავალითში მეორდება ც ბგერა და ცხ კომპლექსი.

5. შესაძლებელია თანხმოვანთა კომპლექსი ხმოვნითაც იყოს გათიშული. ამგვარად, მეორდება თანხმოვანთა კომპლექსი და ხმოვნით გათიშული იგივე თანხმოვანი ბგერები. მაგ., „როგორც ფარფატა, ცისფერი აფრა“ (ს. ჩიქოვანი, გვ. 129), ამ მავალითში მეორდება ფრ, ფარ, ფერ მიმდევრობები; „შორს შროშანების შარი-შური შორდება შარას“ (ო. მაისურაძე, ტყეში). აქ მეორდება შრ, შარ, შორ, შურ მიმდევრობები.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ალიტერაციაში ყველაზე ხშირად მონაწილეობენ „სისინა“ და „შიშინა“ თანხმოვნები, მომდევნო ადგილი ალიტერაციაში მონაწილეობის მხრივ უეულარულ ნაპარალოვნებს და რ ბგერას უჭირავთ, ამას მოსდევს რბილსასისმიერი ხშულ-მსკდომები, შედარებით ნაკლებია ბაგისმიერი და დენტალური ხშულ-მსკდომები, ხოლო ბოლო ადგილი ალიტერაციაში მონაწილეობის თვალსაზრისით ვ, მ, ნ, ლ სონორებს უჭირავთ.

დამოწმებული მხატვრული ლიტერატურა:

1. ლ. ასათიანი, რჩეული, თბ., 1971.
2. ი. გრიშაშვილი, ერთტომეული, თბ., 1949.
3. გ. ლეონიძე, ლექსები, პოემები, თბ., 1954.
4. ო. მაისურაძე, ხელნაწერი.
5. გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1973.
6. ს. ჩიქოვანი, ლექსები, თბ., 1950.
7. გ. ჯაბუშანიური, ლირია, თბ., 1977.

НАНА КИЗИРИА

О ЗВУКОПОДРАЖАНИИ И ЗВУКОПИСИ  
В ГРУЗИНСКОЙ ПОЭЗИИ

Резюме

Звукоподражанием называем явление, при котором обозначающее своим звучанием напоминает обозначаемое.

Звукописью называем явление, при котором обозначающее своими незвуковыми качествами напоминает обозначаемое. Незвуковыми считаем такие качества, как нежность, теплота, красота и т. д.

Звукоподражание и звукопись в поэзии связаны с алитерацией.

По нашим материалам, в грузинской поэзии в алитерации самое активное участие принимают «свистящие» и «шипящие» согласные, часто встречаются также увулярные щелевые, вибрант რr и веларные смычные. В алитерации реже встречаются губные и дентальные смычные. Что касается сонорных ვv, მm, ნn, ლl, в алитерации они очень редко принимают участие.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

Օ. Գ. ԲԻՏ-ԲԱԲԻԿ

САМОСТОЯТЕЛЬНОСТЬ АКУСТИЧЕСКОЙ ФОРМЫ  
В НЕКОТОРЫХ СТИХОТВОРЕНИЯХ С. ЕСЕНИНА

В настоящее время различные авторы все чаще обращаются к проблеме звуковой символик. Одни говорят о наличии значения звуков в языке, другие говорят, что эта связь существует лишь потенциально и только иногда проявляется в речи. Это такие виды речи, где проявляется повышенный интерес к плану выражения. В первую очередь это, конечно же, поэтическая речь, где обнаруживается организованность по тому или иному фонетическому (т. е. звуковому) моменту [3, 113].

По мнению Ю. М. Лотмана, раздробленность стиха не заканчивается на уровне слова. Звуковая организация стиха завершает размельчение словесных единиц на отдельные фонемы. Может показаться, что сумма структурных граней стиха раздробляет составляющие стих слова на фонологические единицы, превращая стих в звукоряд. Стих — это одновременно последовательность фонологических единиц, воспринимаемых как раздробленные, отдельно существующие, и последовательность слов, воспринимаемых как последовательность единства фонемосочетаний. При этом обе последовательности составляют коррелирующую пару [5, 91].

Ведущую роль при рассмотрении стиха на мельчайшем атомарном уровне играет семантика. Теория семантики стиха, выдвинутая И. Левым, основывается на двух главных положениях:

I. Рассматривается не семантическая система, а естественный процесс, происходящий во время чтения стихотворения, т. е. не сегментируется семантика как таковая, а прослеживается континуум значений, передаваемый строками стихотворения [4, 87]. Этот континуум значений может быть представлен с помощью методики семантического дифференциала, предложенной Ч. Осгудом, Дж. Сучи и П. Танненбаумом в статье „The Measurement of Meaning“, Urbana, 1957, p. 290—304 [7, 290—304].

В настоящей статье использованы антонимические пары прилагательных, примененные А. П. Журавлевым для анализа фонетического значения поэтического текста [5].

II. В основу анализа семантических эффектов языковой формы должен быть положен структурный анализ самого высказывания.

В обычной речи звуки встречаются с определенной частотностью. Носитель языка интуитивно правильно представляет себе эти нормальные частотности и заранее ожидает встретить в стихотворении каждый звук нормальное число раз. Следовательно, если доля каких-либо звуков в тексте находится в пределах нормы, то эти звуки не несут специальной смысловой и экспрессивной нагрузки, их символика остается скрытой. В то же время нарочитое сгущение в употреблении того или иного элемента делает его активным, структурно заметным.

Правильно организованная повышенная частотность создает определенную ритмическую инерцию. И уже потом, на месте, где ожидается появление данного элемента, он отсутствует. Этим достигается эффект разрушенности, имитируется мнимая неорганизованность, простота, естественность текста. Кроме частоты повторяемости одних и тех же фонем, существенна повторяемость их позиции (в начале слова, во флексивных элементах, под ударением и т. д.). А. П. Журавлев, например, предлагает учитывать изменение фонетического значения в сочетаниях





звукос с «двойной символикой», а также вес ударных, повторяющихся и входящих в состав рифмы звуков, увеличивая их число при счете [5, 115]. Все эти факторы мы постарались учесть в настоящей статье, при выявлении звуковой символики поэтических текстов.

Утверждение, что между планом содержания и планом выражения, между означающим и означаемым наблюдается последовательный изоморфизм, господствует сейчас в качестве аксиомы. Однако тут же возникает вопрос о том, исключает ли общий изоморфизм отдельные случаи асимметрии между этими планами. Об асимметрии данных планов можно говорить, во-первых, в случае, когда при сохранении одной и той же информации в плане содержания и в плане выражения возможны различные способы упорядочения этой информации; во-вторых, асимметрия может проявляться при различной значимости информации одной и той же языковой формы [4, 87].

В большинстве случаев влияние фоники стиха на его значение осуществляется именно через посредство этих форм и значений. Однако есть случаи, когда акустическая форма, как полагают, обладает собственным значением, не сводящимся к количественным модификациям текстового значения.

В настоящей статье рассматриваются поэтические тексты, обладающие т. н. самостоятельным фонетическим значением, или самостоятельной формой.

Для анализа стихотворений на основе алгоритма, приведенного А. П. Журавлевым в книге «Фонетическое значение», была составлена программа на языке бейсик [1, 70].

В стихотворении «Сыплет черемуха снегом» нет ничего печального. Но на наш взгляд, именно акустический образ текста рождает ассоциации, которые могут быть определены как печальные ( $z=9,4$ ), тихие ( $z=9,75$ ). Дополнительными признаками являются минорный ( $z=6,25$ ) и медлительный ( $z=6,85$ ). Выявлению этих признаков способствует с одной стороны резкое занижение звуков **a** ( $y=-2,5$ ) и **и** ( $y=-1,75$ ), а с другой стороны завышение **y** ( $y=1,7$ ) и **ы** ( $y=2,6$ ). Для данного текста определенную роль играет отрицательная звукопись: занижение «а» и «и» увеличивает значимость признаков «печальный», «тихий», «минорный» [3].

Из согласных звуков в тексте доминируют твердые, жесткие **п** ( $y=1,85$ ), **х** ( $y=1,16$ ), **г** ( $y=1,43$ ).

В IV строфе, например, зловещий «с» сопровождается «печальными» «темными» **у** **ы** **т**:

Сы́пь, ты, че́ремуха́ сне́гом,  
По́йте вы, пта́хи, в лесу́  
По́ полю зы́бистым бе́гом  
Пе́ной я цвёт разнесу́.

С этой же самой точки зрения чрезвычайно интерес представляет собой стихотворение «Заиграй, сыграй, тальяночка, малиновы меха». По нашей системе оенок оно получило признаки «устрашающий» ( $z=7,5$ ), «зловещий» ( $z=7,1$ ), «тихий» ( $z=6,45$ ). При прочтении в тексте не обнаруживается ничего, что могло бы свидетельствовать в пользу упомянутых выше признаков. Резкое занижение **y** ( $y=-2,42$ ), для признака «зловещий», **ц** ( $y=-2,12$ ) для признака «тихий», а также звуков **л** **м** увеличивает удельный вес шкал «устрашающий», «зловещий», «тихий». Кроме того, выявлению этих признаков способствует доминирование грубых жестких **д** ( $y=-1,76$ ), **г** ( $y=1,58$ ), **к** ( $y=2,25$ ), **х** ( $y=2,51$ ). Т. к. для «г»  $y > 2$ , то в тексте должны быть аллитерации на «г», которые легко проследить во II строфе:

Васильками сердце светится, горит в нем бирюза  
Я играю на тальяночке про синие глаза.

Обращают на себя внимание звуковые комплексы -гр-, -гл. Суровый «г» усугубляется символикой зловещих, устрашающих л, р.

В III строфе заметно нагнетение «к»:

То не зори в струях озера свой выткали узор  
Твой платок, шьем украшенный, мелькнул за козогор.

В звуковых комплексах -тк-, -тр-, -ки-, -кр- отрицательную символику «к» дополняют угрюмые, зловещие р, т, н.

Примечательным является то, что в рассмотренных нами текстах главенствующую роль играет не семантика, а звуковая организация стихотворений. Фонемы и их сочетания являются важнейшими компонентами не только плана содержания, но и плана выражения поэтических текстов. Асимметрия данных планов позволяет говорить об особой роли звука в поэзии. В данном случае звук не только является «эхом смысла», но и обладает собственным значением, которое может быть названо фонетическим.

#### Л и т е р а т у р а

1. Бит-Бабик О. Г., Звуко-цветовые соответствия в поэзии И. Анненского, „მეცნიერება“, № 3, 1992, с. 69.
2. Есенин С. А., Стихотворения, Поэмы, М., 1973.
3. Журавлев А. П., Фонетическое значение, Л., 1974, с. 113.
4. Левый И., Значения формы и форма значений, Сб.: Семиотика и искусствометрия, М., 1973, с. 87.
5. Лотман Ю. М., Лекции по структуральной поэтике, Труды по знаковым системам, 1964, вып. 160, с. 91.

Кафедра русского языка ТГУ им. И. А. Джавахишвили  
Представил член-корреспондент АН Грузии А. А. Гвахария

## ოსმალეთის იმპერია

 ალა-მამკად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის  
 დარბაზისთან დაკავშირებული სომხური წყაროები

ალა-მამკად ხანმა 1795 წლის 11 სექტემბერს საშინლად დაარბია თბილისი და ცეცხლს მისცა იგი. როგორც სარგის კაკაბაძე აღნიშნავს, „ალა-მამკად ხანის შემოსევა ყუენობის სახელით ისე დაამახსოვრდა ხალხს, რომ იგი გადაიქცა ადგილობრივი ერის საწყისად. ამბობდნენ, ესა და ეს ამბავი მოხდა ყუენობის წინ ან მის შემდეგ ამდენ წელიწადსო“<sup>1</sup>.

კავკასიაში ალა-მამკად ხანის შემოსვლას ჩვენ ორი საუკუნე გვაშორებს. ეს არც ისე დიდი დროა. ამ ფაქტის შესახებ ისტორიამ მრავლად შემოგვინახა წერილობითი წყაროები, რომელნიც ზოგჯერ ემოციური სიმძაფრით გამოირჩევიან და ცოცხალ წარმოდგენას უქმნიან მკითხველს სპარსთა მიერ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ: „პირუტყვთა ჯოგის მსგავსად (შემოიჭრნენ) შაჰის ბრძანებით და თავს დაესხნენ ჩვენს ქალაქს 1795 წლის 10 სექტემბერს... მრავალი გაჟლიტეს და ამოწყვიტეს, ზოგი ეკლესიაში, ზოგიც სასახლეში, მრავალსა და მრავალს სახლებსა და დუქნებში, სავაჭროებსა და ქუჩებში. ფარდულების წინ (მოუღეს ბოლო), ხმლით აჩეხეს... მხოლოდ მარტოდ დარჩენილ ბავშვებსა და ძუძუმწოვართაგან ზოგიერთს უმოწყალოდ ახეთქებდნენ კედელს, ზოგს კი ზემოთ ავლებდნენ და შუაზე კვეთდნენ. იყო ხმამაღალი გოდება და ცეცხლი გულში ყოველთა, გაუნელებელი... ზოგმა ტყვეობიდან გამოპარვა მოახერხა, ზოგიც ქალაქიდან გამოყვანისას ჩამორჩა და უკან მობრუნდა, მაგრამ დამწვრისა და დახოცილთა სუნის გამო ვერავინ შეძლო ქალაქში შესვლა. ეს სიმყრალე ქალაქის ირგვლივ 20 მილის მანძილზე იყო გაწოლილი. მრავალი ხნის განმავლობაში მიწას მიუბარებელი დარჩა ურიცხვი ცხედარი და მხეცები გამძვინვარებით დაძრწოდნენ ქალაქში“<sup>2</sup>.

ალა-მამკად ხანის მიერ კავკასიაში შემოჭრასთან დაკავშირებულ სომხურ პირველწყაროთა შორის გვხვდება როგორც ეპისტოლარული (ლუკა კარნეცის წერილები, იოსებ არღუთიანის მიმართვა გრიგორიოპოლისის სომხურ საზოგადოებრიობას, თავუპისა და გაიანეს წერილი, პარუთიუნ ნონენცის წერილი), ასევე მემუარული (სერობ გრიჩი, ანონიმი, არტემ არარატელი, სარგის ჰასან ჯალალიანი) ხასიათის თხზულებები.

ძველთა ფორმა უმთავრესად პროზაულია, იშვიათად კი შესრულებული სალექსო წყობით. ამ მხრივ, საინტერესოა ალა-მამკად ხანის თანამედროვე ცნობილი აშულის, საიათნოვას შეგირდის შამჩი-მელქოსა და სერობ გრიჩის ლექსები<sup>3</sup>.

1 ს. კაკაბაძე, კრწანისის ომი, 1991, თბ., გვ. 160.

2 რ. ტიტანიანი, სომხური წყაროები ალა-მამკად ხანის ამიერკავკასიაში შემოჭრასთან დაკავშირებით, ერევანი, 1981, გვ. 46 (სომხურ ენაზე).

3 შამჩი-მელქოს ლექსი ქართულად თარგმნა ბ. აბულაძემ და გამოქვეყნებულია ვ. ნალბანდიანის წიგნის „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში“ ქართულ ვარიანტში (თბილისი, 1959, გვ. 166—167). წიგნი სომხურიდან ქართულად თარგმნეს ნ. ჯანაშიამ და ელ. ცაგარეიშვილმა.



წყაროთა უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია. მათ მნიშვნელოვან რაოდენობას თავი მოუყარა და 1981 წელს ცალკე კრებულად გამოსცა რ. ტიტანიანი. მან გამოიყენა როგორც მატენადარანში დაცული ხელნაწერები, ასევე „დივან ჰაიოც პატმუთიანი“, „კრუნე ჰაიოც აშხარპი“, „ლრაბერ ჰასარაკაკან გიტუთიუნერი“ თუ „ბაზმავეკ ჰანდისარანში“-ში დაბეჭდილი მასალები. ორი წყარო გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, კერძოდ, მ. თალიდიანის ცნობები „ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შესახებ“ დაიბეჭდა კალუტაში (ინდოეთი) 1848 წელს მესრობ თალიდიანის „სპარსეთის ისტორიის“ I ტომში, ხოლო მეორე — აბრაამ ასტაბადელის „ცნობები ალა-მაჰმად ხანის შესახებ“ გამოიცა პარიზში 1903 წლის 1 იანვრის ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალის მე-5 ნომრის ფურცლებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავის კრებულში ტიტანიანს ხან მთლიანად და ზოგჯერ კი ფრაგმენტულად მოჰყავს წყაროები. ყურადღებას ამახვილებს თხზულების იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ ალა-მაჰმად ხანის ამიერკავკასიაში შემოჭრას უკავშირდება. თხრობა ხშირად იწყება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ირანში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების აღწერით. თითქმის ყველა წყარო გვაწვდის ცნობას ერეკლე მეფისა და იბრაიმ-ხან ყარაბაღელის ალა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირის არსებობის შესახებ, დაუფარავად ამხელენ სომეხი მელქის მეკლუმისა და განჯის ხანის გადაღობის უშუალო მონაწილეობასა და ხელშეწყობას სპარსელების მიერ თბილისის აღებასა და დარბევაში. სომეხ ავტორთათვის კარგადაა ცნობილი საქართველოში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარება. უმეტესწილად კეთილგანწყობა იგრძნობა ერეკლე მეფის მიმართ.

მატენადარანში არსებული ხელნაწერების ნახვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა და, აქედან გამომდინარე, ვერც იმის გარკვევა, განსახილველი თხზულებები დედნებია თუ გადაწერილი პირები. რ. ტიტანიანი ხშირად მხოლოდ წყაროს გამოქვეყნების თარიღით, ადგილითა თუ პერიოდული გამოცემის დასახელებით იფარგლება და დედნის ადგილსამყოფელის შესახებ ცნობას არ გვაწვდის<sup>4</sup>.

სომხური წერილობითი წყაროები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოცულობის თვალსაზრისითაც. ზოგიერთი ავტორი მხოლოდ სომხეთში შექმნილი მძიმე ვითარების აღწერით თუ სპარსელების მიერ თბილისში არსებული სომხური ეკლესიების ძარცვა-ყველფის გადმოცემით იფარგლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსები ძლიერი გამომხატველობით უნარით გამოირჩევა. ეს გლოვის ვანრია, მაგრამ მათ მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ. ისინი, ალბათ, მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის წყაროთა ჯგუფში უნდა მოთავსდეს. მოგვეყავს ფრაგმენტი შამი-მელქოს ლექსიდან:

ასი ათასი სჯიფნიდა ქართლის ქალაქს ყიზილბაში,  
ერთერთს ძალად დააცილეს მეგობარი და ყარდაში,  
დახოცილებს ძალი სჰამდა, არ გვეოფნიდა კუბო მაშინ,  
სწორედ სისხლის ტბორი იდგა ქუჩებში და ბალ-ბოსტანში,  
დედებს შვილებს ზე აკლავდნენ, ცოდვა ქუჩდა დედაქალაქს.  
შამი-მელქოს თვალებიდან სისხლის ცრემლმა იკამკამა,  
გქესი ყიზილბაში მოკლა, მიაყულა ხანიც თანა<sup>5</sup>.

4 მატენადარანში დაცულია ადი-გიუზალ ბეკის ავტორობით შესრულებული აზერბაიჯანული ტექსტის სომხური თარგმანი ნომრით 4463. ადრე იგი აღნიშნული ყოფილა ნომრით 3363; რ. ტიტანიანი, ახალ აღმოჩენილი ერთი დოკუმენტი 1795 წლის თბილისის დარბევასთან დაკავშირებით, „ბანბერ მატენადარანი“, ერევანი, 1960, № 5, გვ. 483 (სომხურ ენაზე).

რაც შეეხება სარგის ჰასან ჯალალიანცის თხზულებას „ალვანთა ქვეყნის ისტორია“



ორი ხელნაწერი დაცულია თბილისშიც, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში. ესენია: ანონიმური ავტორის თხზულება „ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის შემარჩუნებელი დარბევის მოკლე ისტორია. განდევნა ქართველთა მცხოვანი მეფის ერეკლე მეორისა 1795 წელს (დაბადებიდან) უფლისა“ (№ 98) და სერობ გრიჩის „ალა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს ქალაქ ფაჩაკარანის გადაწვის მოკლე ისტორია“ (№ 22). ამ ორ წერილობით წყაროს ცალ-ცალკე და მათი ურთიერთმიმართების საკითხს მოგვიანებით შევეხებით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, წყაროები მოცულობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი საკმაოდ ვრცელია (გაიანესა და თავუპის წერილი, სერობ გრიჩი თუ ვარდან ოძნეცი), ზოგიერთის ავტორი კი მხოლოდ ორი-ოდე სიტყვითა და მოკლე მიმოხილვით კმაყოფილდება: „1795 წელს, როდესაც (ალა-მაჰმად ხანმა) მოაქცია თავისი მფლობელობის ქვეშ მთელი სპარსეთი, გაემართა ქართველთა ქვეყნისაკენ. ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი ცეცხლსა და მახვილს მისცა და მოსახლეობა ტყვედ წაასხა“<sup>5</sup>. ან „უამთა დინებისას ლეთის ჭეშმარიტი სამართლის თანახმად, მოიწია ჩვენზე უბედურება და მოგვეზღო ჩვენთა ცოდვათა გამო, როცა 1795 წელს სექტემბრის 13-ს სპარსი მბრძანებელი — უსქესო ალა-მაჰმად ხანი მოვიდა და დაეუფლა თბილისს — მშვენიერ ქალაქს ჩვენსას, რომელსაც დიდი ზიანი მიაყენა და საზარელი უბედურება (დაატეხა თავს). უმოწყალოდ გაეკლტა მცხოვრებნი, მრავალი ტყვედ წაასხა, გადაწვა ნაგებობანი და გაიტაცა დილდალი განძი და სიმდიდრე იმდენი, რომ აღმოვჩნდით უკიდურეს გაჭირვებაში შეძლებულნი თუ უქონელნი“<sup>6</sup>.

ჩვენს ხელთარსებულ სომხურ წყაროთა ავტორები უმეტესწილად აღწერილი ამბის თანამედროვენი, ზოგჯერ თვითმხილველნიც არიან. ისეც ხდება, რომ ისინი მოგვიანებით კრებენ თანადამხედურთა ცნობებს და ამ მასალაზე დაყრდნობით ქმნიან თავიანთ თხზულებებს (ვარდან ოძნეცი, მესროპ თალიღიანი).

ავტორთა და აღრესატთა ერთი ნაწილის ვინაობა ცნობილია. ისინი უმთავრესად იმ დროისათვის საკმაოდ ავტორიტეტული და გავლენიანი პიროვნებანი არიან, მათ შორის ლუკა კარნეცი, იოსებ არღუთიანი, კატარინე და ჰოვხანეს ლაზარიანები, თავუპი მირიმიანიანი და გაიანე ხოჯა ბეიბუღიანი, შამჩიმელქო და ა. შ. ისინი სხვადასხვა სოციალურ წრეს განეკუთვნებიან, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მიმოწერას უმთავრესად მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები აწარმოებენ.

ავტორთა მეორე ჯგუფში ერთიანდება სამი ანონიმური ავტორი და ის პიროვნებანი, რომელთა მხოლოდ სახელი და გვარია ჩვენთვის ცნობილი და დამატებითი ინფორმაციის მიღებას წყაროთა ანალიზის საფუძველზე ვცდილობთ.

როგორც აღვნიშნეთ, ორი სომხური ხელნაწერი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში. ერთის სათაურია „ალა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს

<sup>5</sup> რია, დედანი ინახება ვერმანიაში, კერძოდ, ტიუბინგენში. აღნიშნული თხზულების მიკროფილმი დაცულია მატენდარანში ნომრით 369.

<sup>6</sup> მ. თალიღიანი. სპარსეთის ისტორია, ტ. 1, კალკუტა, 1848, გვ. 213—218, (სომხურ ენაზე).

<sup>7</sup> თბილისის მუღნის ეკლესიის სომხური ერთობის გადაწვეტილება: რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

დღედაქალაქ ფაიქტაარანის გადაწვის მოკლე ისტორია<sup>7</sup>. წყაროს ავტორი სერობ გრიჩი, ხელნაწერი დათარიღებულია 1796 წლის 26 მარტით.

ხელნაწერი წარმოადგენს სახარჯო დავთარს. ყდა ტყავდაკრული. ძუნწად ორნამენტირებული, ფურცლები მოუხეშავი, სქელი, დაყოფილია სვეტებად ყდას გადასაშლელ მხარეს ორი პატარა ოქროსფერი ანჯამა აქვს დატანებული, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ხელნაწერი სრულყოფილი სახით არ არის შემონახული.

ნაწერი შესრულებულია მეღვინით, ლამაზი, თანაბარი ასოებით, დიდი გულისყურითა და მონდომებით. დავთრის დანარჩენი ფურცლები შევსებულია ძნელად გასარჩევი, ნაჩქარევი და გაკრული ხელით.

თხზულება ფორმის თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა, პირველი პროზაული—ძირითადი და მეორე—ლექსის ფორმით წარმოდგენილი. მეორე ნაწილის განხილვას აქ არ შეუდგებით. კონკრეტულ შემთხვევაში ის ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ლექსის აკროსტიქით შედგენილი ბოლო სტროფი წერილის ავტორის სახელს გვატყობინებს.

სომეხი ისტორიკოსის რ. ტიტანიანის თანახმად, ავტორი სერობ პატკანიანი უნდა იყოს, რაც დასტურდება მამა გაბრიელ პატკანიანის მიერ 1847 წლის „კოვკას ღრავრის“ 26-ე ნომერში დაბეჭდილი წერილით, რომელიც სერობ გრიჩის სამგლოვიარო სიმღერასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა: „სამგლოვიარო ელეგია (ეკუთვნის) ლტოლილ ყმაწვილს, კონსტანტინოპოლიდან გადმოხვეწილს, სახელად სერობს, ვაჟს ტერ პეტროს მღვდლისა, წოდებულს პატკანიანად, იგი ასწავლიდა ბავშვებს, რის გამოც მიიღო ვართაპეტის წოდება და მზრუნველობით ზოგიერთი მამულიშვილისა მოიპოვა თანაგრძნობა, დაქორწინდა და იყო თვითმხილველი ამბისა, რომელიც მოკლედ ასახა თავის სამგლოვიარო ელეგიაში“<sup>8</sup>.

სერობი დაბადებულია 1770 წელს კონსტანტინოპოლში. აქვე მიუღია დაწყებითი განათლება, შემდეგ ტრიესტს გამგზავრებულია და სწავლა პართუნ ბასენცეანთან გაუგრძელებია. კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ მასწავლებლობისათვის მოუყიდა ხელი, მაგრამ უსამართლოდ დაუდანაშაულებიან და დაუპატიმრებიათ. სერობს გაქცევა მოუხერხებია და თბილისში ჩამოსულა, სადაც თავი გაბრიელ მაიორისათვის<sup>9</sup> შეუფარებია.

ერეკლე II-ის მხარდაჭერით სერობს სომეხთა პირველი სკოლა დაუარსებია<sup>10</sup>. 1805 წლიდან სერობი მასწავლებლობას ეწეოდა ჯერ ასტრახანში, ხოლო შემდეგ ნორ-ნახჭევანში. გარდაიცვალა 1836 წელს<sup>10</sup>.

სერობთან და მის თხზულებასთან დაკავშირებით ს. კაკაბაძე აღნიშნავს: „კრწანისის ომის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა სერობის მოთხრობა. კრწანისის ომის ეს, დავით ბატონიშვილივით, ადრეული მოწმე სასულიერო პირი ყოფილა. თავისი თხრობა თბილისის აღებისა და აოხრების შესახებ მას დაუწერია სანაინის მონასტერში 1796 წლის იანვარში, ე. ი. სპარსელთა მიერ თბილისის აღებიდან სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ... სერობი თვითონვე შესწრებია კრწანისის ომს და თვალყური უდევნებია ბრძოლისათვის, მაგრამ ის, რასაკვირველია, ვერ ერკვეოდა ომის ყველა დეტალში, ამიტომაც კრწანისის ბრძოლების წარმოდგენა მარტოოდენ სერობის ცნობების მიხედ-

7 რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.  
 8 გაბრიელ მაიორთან დაკავშირებით იხ. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, II, 1948, გვ. 207; „Кавказ“, 1858, № 86, გვ. 446.  
 9 სომხური საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, გვ. 152.  
 10 რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.



ერთ შეუძლებელია, თუმცა კრწანისის ომის შესასწავლად ისინი უნდა დაეხმებოდნენ ველხარისხოვან წყაროდ ჩაითვალოს.

არსებობს აგრეთვე 1796 წლის ივნისის კონსტანტინეპოლში უცნობი პირის მიერ დაწერილი მოკლე თხრობა ალა-შაჰმად ხანის თბილისზე თავდასხმის შესახებ. ამ თხრობას საფუძვლად უდევს სერობის ტექსტი, ამიტომაც შეიძლება ვარაუდი, რომ ზემოხსენებული მოკლე თხრობაც სერობსვე ეკუთვნის<sup>11</sup>.

სერობ გრიჩის თხზულება დათარიღებულია 1796 წლის 26 მარტით, 1796 წლის იანვრით კი თარიღდება ანონიმური ავტორის ვრცელი ვარიანტი. ჩვენთვის უცნობია სანაინის მონასტერში სერობის ყოფნის ფაქტიც.

რ. ტიტანიანის თანახმად, სერობს თავი შეუფარებია გაბრიელ მაიორისათვის, რომელიც კრწანისის ომის მონაწილე ყოფილა და გმირულად დაეცა კიდევ ამ ბრძოლის ველზე, რაც დასტურდება როგორც ქართული, ასევე სომხური წერილობითი წყაროებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, სერობი ალა-შაჰმად ხანის შემოსევის დროს უშუალოდ თბილისში არ უნდა ყოფილიყო, თუმცა საქართველოში მისი ყოფნა სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია.

განსხვავებულია ჩვენი მოსაზრება აგრეთვე ს. კაკაბაძის შეხედულებისაგან სერობ გრიჩისა და ანონიმის „შემოკლებული თხრობის“ ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისითაც. ამ საკითხზე მოგვიანებით შევაჩერებთ ყურადღებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული, № 98-ით აღნიშნული ანონიმის თხზულება „ალა-შაჰმად ხანის ვერაგული თავდასხმის დროს თბილის-ფაქატკარანის უმოწყალო დარბევის მოკლე ისტორია. ალა-შაჰმად ხანის მიერ ქართველთა მცოვანი მეფე ერეკლე II-ის განდევნა 1795 წელს“ შედგება ოთხი ფურცლისაგან. შენახულია კარგად, აკინძულია თანამედროვე პირობებში.

ს. კლეპიკოვის ჰვირინშანთა კატალოგის მიხედვით, ხელნაწერი მე-18 საუკუნის უკანასკნელი და მე-19 საუკუნის პირველი წლებით თარიღდება. ნაწერი შესრულებულია მოშავო-მოყავისფრო მელნით.

განსხვავება ხელნაწერსა და გამოქვეყნებულ ტექსტს შორის ორთოგრაფიული ხასიათისაა, ისიც მეტად უმნიშვნელო. ხელნაწერში არსებულ რიგობით რიცხვით სახელებს ბეჭდურ ტექსტში ზოგჯერ ასოებით აღნიშნული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ცვლის. ხელნაწერში ზოგჯერ ირღვევა საკუთარ სახელებთან დიდი ასოების გამოყენების წესი. ბეჭდურ ტექსტში არ არის აღნიშნული ხელნაწერში დადასტურებული „გერმანელთა-ს“ გვერდით ფრჩხილებში მოთავსებული „ეგების გალთა“. ხელნაწერს კი აკლია ბეჭდური ტექსტის ბოლოში დართული „ვინმე გადამწერი“.

ხელნაწერში ძალიან იშვიათად, მაგრამ ადგილი აქვს წინდებულებისა და მომდევნო სიტყვათა ფუძეების შერწყმას.

აღნიშნული წყარო 1941 წელს ჟურნალ „ტელეკაგირის“ მე-3—4 ნომერში გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. მისი ცნობით, ამ წყაროს შემცველი რვეული ვენეციის მხითარისტთა კონგრეგაციის განსვენებული წერის დიონისიოს ვარდაპეტ კალატოზიანის ნათესავებისაგან შეუსყრიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და იმ დროს დაცული ყოფილა ნომრით 20<sup>12</sup>.

11 ს. კაკაბაძე, კრწანისის ომი, გვ. 11.  
12 ლ. მელიქსეთ-ბეგო, ანონიმური ავტორის ახალაღმოჩენილი თხზულება თბილისის 1795 წლის დარბევასთან დაკავშირებით, „ტელეკაგირი“, 1941, № 3—4, გვ. 47—48 (სომხურ ენაზე).

მკვლევართა ერთი ნაწილი (ლ. მელიქსეთ-ბეგი, რ. ტიტანიანი) ბევრ სდგინებას ერთოს პოულობს ანონიმისა და ხერობ გრინის თხზულებებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი (ს. კაკაბაძე) ავტორებს აიგივებს კიდეც. მსგავსება მართლაც მეტად თვალსაჩინოა. თხზულებებს ბევრი აქვს საერთო როგორც კომპოზიციური მთლიანობის, ასევე ფაქტთა გადმოცემის თანმიმდევრობის თვალსაზრისით. ხშირად ემთხვევა ერთმანეთს ქრონოლოგიური აღნიშვნები და ჯარის რაოდენობრივი შემადგენლობაც. როგორც სერობის, ასევე ანონიმის თხზულება შეიცავს ანდერძმინაწერს, პროზაულსა და პოეტურ ნაწილს.

ორივე ავტორი აღწერილი ამბის დათარიღებას თურქეთის სულთან სელიმის (ანონიმთან — სელიმ III)<sup>13</sup> ზეობასა და რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის მეფობას უკავშირებს და ალა-მაჰმად ხანის პოლიტიკური კავშირების გარკვევას ცდილობს, იმ განსხვავებით, რომ ანონიმ ავტორს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის თარიღი გალთა ეროვნული აჯანყების მე-4 წლით აქვს ნაანგარიშევი. ორივე წყარო მოწმობს, რომ ალა-მაჰმად ხანს თავისი პოზიციების გასამაგრებლად კონსტანტინოპოლში (სერობთან — ბიზანტიონში) და გერმანელთა „ქეისართან“ შეკრევები გაუგზავნია. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის ცნობილი არც ერთი ქართული, სომხური, თურქული თუ სპარსული წყარო არაფერს ამბობს ალა-მაჰმად ხანის გერმანიის „ქეისართან“ კავშირის შესახებ.

როგორც სერობის, ასევე ანონიმის თხზულება ცნობას გვაწვდის იმის თაობაზე, რომ ალა-მაჰმად ხანს საქართველოში შემოსვლისთანავე ერეკლესთვის მძევალი მოუთხოვია, რაზედაც ერეკლეს უარი შეუთვლია. სერობს, ანონიმისგან განსხვავებით, დაკონკრეტებული აქვს მძევლის ვინაობა: „ითქვა და დატოვეს შუშა, ხელი საქართველოზე აღმართეს, მეფე ერეკლეს დესპანი გაუგზავნეს და მძევლად შვილი ან შვილიშვილი მოსთხოვეს“.

ორივე ავტორი ადასტურებს, რომ მოზდოკში რუსთა 25000-იანი ჯარი მდგარა და მზად იყო დაუყოვნებლივ მოწვეულიყო ქართველთა დასახმარებლად ეკატერინე II-ის ბრძანებისთანავე (სერობთან — ხელმოგრედ ბრძანების შემდეგ).

უნდა ითქვას, რომ მიმდინარე მოვლენების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება ავტორებს გარკვევით აქვთ გამოთქმული. სერობი გუდოვიჩს (მოზდოკში მდგომი რუსეთის ჯართა სარდალს) უფრო გულუბრყვილოდ მიიჩნევს და დატრიალებული ტრაგედიის პასუხისმგებლობას მას არ აკისრებს — „ცბიერებით დაარწმუნა ის“ (გუდოვიჩი). რაც შეეხება ანონიმს, მისთვის გუდოვიჩი წინასწარგანზრახული პოლიტიკური კურსის გამტარებელია: „რამეთუ მოსკიდული ჰყავდა საჭურისს (მხედართმთავარი რუსთა) მოსაზღვრე ქალაქებში შესვლასთან დაკავშირებით, რომელთაც ადრე მისი წინაპრები განაგებდნენ. მოსკიდა საჩუქრებით მხედართმთავრის გული...“

სერობსაც აქვს აღნიშნული ე. წ. „ეარანალისთან“ ძღვენით დატვირთული დესპანისა და მასთან ერთად მეგობრული წერილის გაგზავნის ფაქტი, მაგრამ ამას იგი დიდ ყურადღებას არ აქცევს და ქრთამის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

როგორც სერობი, ასევე ანონიმი ცნობას გვაწვდის ერეკლეს მიერ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის საშველად მოხმობასთან დაკავშირებით.

13 სელიმ III — ოსმალეთის სულთანი 1789—1807 წწ.





ანონიმი: „შემდეგ საშველად უხმო პატარა ქართველ მთავარს ანტონიუსს სოლომონს, რომელმაც სასწრაფოდ 12 000 მეომარი შემოიყვანა თბილისში“.

სერობი: „მოუწოდა მხოლოდ თავშიშველთა მეფეს, რადგან პატევი იყო მისთვის მოსვლა ქრისტიანთა დასახმარებლად. მოვიდა 12000-იანი ჯარით“.

ორივე ავტორი აღნიშნავს, რომ სოლომონ II-ს 11 000 მეომარი გაექცა. ორივე თხზულების თანახმად, ერეკლესაგან განმდგარ ალა-შაჰმად ხანის მომხრეებად ჯავად-ხანი (ანონიმიდან — ჭავატა) და მელიქ მექნუნია დასახლებულნი. როგორც სერობთან, ასევე ანონიმიდან აღწერილია „ფრიმერ მაიორის“ (ანონიმიდან „არაჯინ მაიორის“) გმირული სიკვდილი ბრძოლის ველზე.

განსხვავებულია სერობისა და ანონიმის წყაროებში მოწოდებული ცნობები ერეკლეს ჯარის რაოდენობის შესახებ.

სერობის თანახმად: „გამოვიდა ქალაქიდან 1795 წლის 9 აგვისტოს ამ დარჩენილი 1 000 და 2 000 ერთგული კაციტურთ, თავისი მხედრობით, ჰქონდა 11 ევროპული ზარბაზანი, 300 მეთაურითა და ორი მთავარსარდლით“.

ანონიმი: „ხოლო ერეკლესეული 2 000 (მებრძოლი), 11 ევროპული ზარბაზანი, 300 გამოცდილი (მეომარი), 20 წინამძღოლი და ორი სახელოვანი მხედართმთავარი“.

სერობი, ანონიმისაგან განსხვავებით, ხანების განდგომის მიზეზთა ახსნისას არ ყოყმანობს და გარკვევით აღნიშნავს: „ვინაიდან ორივენი (ჯავად ხანი და მელიქ მექნუნი.—რ. ჭ.) ერეკლე მეფის დაუძინებელი მტრები იყვნენ“.

სერობის თანახმად, „ყოვლად უღირსმა საქურისმა არ ინდომა 6 დღეზე მეტ ხანს აქ გაჩერება“, ანონიმის მიხედვით, სპარსელები აქ სამი თვე დარჩნენ.

ანონიმისაგან განსხვავებით, სერობთან არ გვხვდება ცნობა იმერეთის ჯარების მიერ თბილისიდან ლტოლვილი მოსახლეობის ძარცვის შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სერობის ნაშრომი უფრო ვრცელია და მხატვრული ნაწარმოების ელფერი დაჰკრავს.

თუ სერობის ნაშრომი 84 სტრიქონისაგან შედგენილ 16-მარცვლოვან ლექსს შეიცავს, ანონიმის ლექსი სულ ოთხსტრიქონიანია, სტრიქონი კი — ათმარცვლიანი და ეს სტროფი ნაწყვეტის, ფრაგმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართებულად გვეჩვენება იმის თქმა, რომ ამ ორ თხზულებას შორის მკაფიო მსგავსებასთან ერთად მნიშვნელოვანი სხვაობაც არსებობს. ჩვენი აზრით, სერობ გრიძი და ანონიმი სხვადასხვა პიროვნებანი არიან, მაგრამ სერობისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ანონიმის თხზულება (მხედველობაში გვაქვს ვრცელი ვარიანტი) და უნდა ეხლმძღვანელა კიდევ ამ „ისტორიით“.

ჩვენ არ ვიცნობთ ანონიმის ვრცელ ვარიანტს და არც მისი ადგილსამყოფელის შესახებ ვიცით რაიმე. მისი არსებობის ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთიც ამ ე. წ. „მოკლე ისტორიის“ ბოლოს დართული მინაწერია: „დაიწერა ქალაქ ტფხის-ფაიტაკარანში ტყვეობიდან ძლივს თავდახსნილის მიერ 1796 წლის იანვრის თვეს მჭევრმეტყველებით. როგორც ფოთოლთა ხევეიდან, ასევე სიტყვათაგან მრავალთა ნაყოფი ისტორიისა სამზოვზე გამოტანილ

14 ანბაშუსთან დაკავშირებით იხ. ლ. მელიქსეთ-მეხევი, ბუში-აჩუკის განმარტებისათვის, აკ. წერეთლის საიუბილეო კრებული, თბ., 1940, გვ. 204; ს. ჭიჭია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დათარი, წიგნი 3, თბ., 1958, გვ. 81—83; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომთაძისა და ნ. ბერმენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 144.

იქნა, მსმენელთათვის სასურველქმნილი შეიკვეცა დასავლეთში, კონსტანტინოპოლში 1796 წლის ივნისში“.

ამგვარად, თანმიმდევრობა ამგვარია: ანონიმის კრცელი ვერსია, სერობის თხზულება და ანონიმის შემოკლებული ვარიანტი.

ჩვენ არ ვიცით, თხზულება ავტორმა შეამოკლა თუ სხვა პიროვნებამ, არც ის, თუ სად ინახება „მოკლე ისტორიის“ დედანი. ორიგინალის ადგილის შესახებ არავითარ ცნობას არ იძლევა რ. ტიტანიანი. მისთვის, როგორც ჩანს, უცნობია ანონიმის „მოკლე ისტორიის“ საქართველოში ხელნაწერის სახით არსებობის თვით ფაქტიც კი. რაც შეეხება ლეონ მელიქსეთ-ბეგს, თავის წერილში, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა 1941 წელს ჟურნალ „ტელეკაგირში“, იგი არ აღწერს ხელნაწერს, ამბობს, რომ იგი ოთხი ფურცლის შემცველია.

ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული წყაროს წარმომავლობით და მისი გარეგნულ-შინაარსობრივი მონაცემების გათვალისწინებით გარკვეული დასკვნების გაკეთება ვცადეთ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტექსტში არსებულმა რამდენიმე გარემოებაში, კერძოდ, ჩვენს ხელნაწერში დადასტურებულმა რამდენიმე ინფორმაციამ:

1. „მოისყიდა საჩუქრებით მხედარმთავრის გული და მან მისცა ნება ერეკლე მეფის განადგურებისა და საქართველოს დაუფლებისა, რათა შემდეგ თვითონ მოსულიყო, განედევნა საჭურისი და თვით დაბატონებოდა მთელ საქართველოს, როგორც მოხდა კიდევ“.

თუკი მივიჩნევთ, რომ საქმე გვაქვს ორიგინალთან, ან მის შეუსწორებლად გადაწერილ პირთან, „მოკლე ისტორიის“ შესრულების თარიღმა უნდა გადმოიწიოს სულ ცოტა 1801 წლის 12 სექტემბრის შემდეგ, როდესაც მოხდა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება.

2. უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული მონაცემი, როგორც მელიქსეთ-ბეგის, ასევე ტიტანიანის ხელთარსებულ პირში, ფრჩხილებშია მოთავსებული. ფრჩხილებშია მოქცეული აგრეთვე ტექსტის სხვა ფრაგმენტებიც, სადაც გამოხატულია ავტორის (?) ვარაუდი, რაც თითქმის არღვევს ტექსტის მთლიანობას და წყვეტს თხრობის მიმდინარეობას:

ა. „ამ თავყრილობაზე გადაწყდა, რომ გავგზავნათ შიკრიკი კონსტანტინოპოლის მეფესთან და გერმანელთა (ეგების გალთა) კეისართან“.

ბ. „საჭურისის კენჭეში მოწვენისას (ან შიშის, ან ხანგრძლივი შურის გამო ერეკლეს მიმართ) წარდგენენ საჭურისის წინაშე და მორჩილება აღუთქვენ მას“.

გ. „და-ნახა სოლომონმა, რომ გაიცა ქალაქი, იქაბა გადასვლა თავის ქვეყანაში, სადაც მოახერხა ურჯულოთაგან განთავისუფლება მომხდარ ამბავთა თვითმხილველმა ჩვენმა მთხრობელმა და სადაც დაწერა (თავისი თხზულება)“.

აქ თვითმხილველ ავტორზე მესამე პირშია ლაპარაკი და, თუკი ტექსტი სწორად არის გააზრებული, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ტყვეობიდან თავდასხნილს“ თავისი შრომა იმერეთში დაუსრულებია.

დ. ჩვენი ხელნაწერის თანახმად, თბილისიდან მტერმა „დიდძალი ქონება გაიტაცა და ტყვეები წაასხა. ყოველივე ეს მოხდა 20 დღის განმავლობაში“, მოგვიანებით კი ავტორი (?) დასძენს: „ქალაქის დამაქცეველი ტირანი აქ თითქმის სამი თვე დარჩა“.

ეს ორი ცნობა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. იქნებ მტერმა დაარბია თბილისი და ნადავლითა და ტყვეებით დატვირთული 20 დღეში ქალაქს გა-  
7. მაიენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 3—4



ეცალა, 3 თვე კი საქართველოში დაყო, მაგრამ არც ერთი და არც ერთი ცნობა არ დასტურდება ჩვენს ხელთარსებული წერილობითი წყაროებით:

1. „ყოვლად უღირსმა საჰურისმა არ ინდობა 6 დღეზე მეტ ხანს აქ გაჩერება. ცეცხლს მისცა მთელი ქალაქი (თავისი) ხიდებითურთ და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა“<sup>15</sup>.

2. „რაღენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა იქიდან (თბილისიდან.—რ. ჭ.) ალა-მაჰმად ხანი და მოვიდა განძაქის საზღვარზე“<sup>16</sup>.

3. „8 დღის შემდეგ მოსახლეობის განადგურებისა, ცეცხლი წაუვიდეს ქალაქს, დაწვეს, შეურაცხევეს მშვენიერება წმინდა ეკლესიათა და სასახლეთა მისთა და (დატოვეს) ვითარცა აღმოდებული ხე, რომელიც ჯერ კიდევ ბოლავს და გაეცალნენ იქაურობას“<sup>17</sup>.

4. „11 დღე დავრჩით იქ და ყოველს დღეს ახალ-ახალ საშუალებას ფიქრობდნენ: ქალაქის დაქცევისა, გაცარცვისა და დატყვევებისათვის“<sup>18</sup>.

5. „ალა-მაჰმად ხანმა დაყო 8 დღე და უკან იქნაცა სპარსეთიდე“<sup>19</sup>.

6. „დაყო დღე ცხრა მდგომამან სოღანლულს და წარვიდა ეგრეთ“<sup>20</sup>.

7. „მთელი ექვსი დღე 11—17 სექტემბრამდე სპარსნი მძვინვარებდნენ“<sup>21</sup>.

8. „დარჩნენ თბილისში 8 დღე“<sup>22</sup>.

9. „8 დღის შემდეგ ალა-მაჰმად ხანმა ბრძანება გასცა წასასვლელად მოემზადნით“<sup>23</sup>.

10. „დარჩა ხოჯა 8 დღე სოღანლულსა შინა, ხოლო მეფე ირაკლი განლტოლივი აღვიდა არაგვზედ მთიულეთს“<sup>24</sup>.

11. „აყრილი სოღანლულით ალა-მაჰმად ხან დასასრულსა ენკენისთვისასა რომელ არს სექტემბერი, ყოვლითა მხედრობითა თვისითა, დიდისა მისწრაფებითა წარვიდა სპარსეთად განჯის გზით“<sup>25</sup>.

12. „В течении 3-х дней город был разоряем персиянами“<sup>26</sup>

ცნობილია, რომ ალა-მაჰმად ხანის საქართველოდან წასვლა დააჩქარა მის წინააღმდეგ ირანში დაწყებულმა აჯანყებამ და რუსთა ჯარების საქართველოსკენ მსვლელობამ. ბუტკოვის თანახმად, 1795 წლის 20 ნოემბერს პოლკოვნიკ სიროხნევის მეთაურობით ვლადიკავკაზიდან საქართველოში კავკასიის მთების გავლით გზის შესაქეთებელი სამუშაოების შესასრულებლად გამოგზავნილ იქნა ორი ქვეითი ბატალიონი ორი ქვემეხით და 32 ყაზახი<sup>27</sup>.

15 სერობ გრიჩი, ალა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს ქალაქ ფაიტაკარანის ვადაწვის მოკლე ისტორია, რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

16 აბრაჰამ ასტაბადელი, ცნობები ალა-მაჰმად ხანის შესახებ, იხ. რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

17 ჰ. ოსკერჩიანი, ალა-მაჰმად ხანის შემოჭრის შესახებ, იხ. რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

18 „მოთხრობა თვალთ მნახველისა“, „ივერია“, თბ., 1885, № 2.

19 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედ., თბ., 1944, გვ. 66.

20 „იონან ქართველშვილის მემუარები“, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქტორობითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 73.

21 „საქართველო და მისი ისტორიული წარსული“, „ივერია“, 1891, № 164, გვ. 2.

22 ვაზ. „დროება“, 1877, № 10, გვ. 2.

23 „საქართველოს კალენდარი“, მ. იანჭოშვილი, 1896, გვ. 111.

24 „მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, მოსე ჯანაშვილის რედაქციით, თბ., 1905, გვ. 44.

25 „თხზულება მეფის ძის თეიმურაზისა და ალა-მაჰმად ხანის მიერ შეპყრობა ტფილისისა“, „ივერია“, 1891, № 53, გვ. 1.

26 „Тифлисский листок“. 1895, № 157, გვ. 1.

27 Б у т к о в. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. СПб., 1862, გვ. 268.

იოანე ქართველიშვილი კი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ „იმგზელისაჲსა წელს (იგულისხმება 1795 წ.—რ.ჟ.) ეს მდგომარე ოკტომბერი რომ გავიდა, ნოემბერში გადმოვიდა რუსთა ჯარი საქართველოს მფარველად, ორი ბატალიონი. იმათი კამანდირი იყო პოლკოვნიკი სირიხნევი. პირველად დადგნენ მუხრანს, შემდგომად გორს და ქ. ტფილისს“<sup>29</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზ. შარაშენიძის მიხედვით, „ჩვენს ხელთარებულ ყველა სპარსულ წყაროში აღნიშნულია, რომ აღა-მამამდ ხანმა 9 დღის შემდეგ დატოვა საქართველო“<sup>30</sup>.

წარმოუდგენელია მსგავსი შეცდომა მოსვლოდა თავისი თხზულების დაწერისას თვითმხილველ ავტორს, რომელმაც თავის თავზე იწვნია სპარსთა შემოსევის მთელი სიმწარე, შემოსევიდან ოთხი, თუნდაც ექვსი თვის შემდეგ. ჩვენი აზრით, აღნიშნული ცნობა არ უნდა ყოფილიყო ანონიმი ავტორის ვრცელ რედაქციაში, რომელიც თბილისში დაიწერა „ტყვეობიდან ძლივს თავდახსნილის მიერ 1796 წლის იანვრის თვეში“.

რაც შეეხება „დასავლეთში, კონსტანტინოპოლში, 1796 წლის ივნისის თვეში“ შემოკლებულ ვარიანტს, იგი შესრულებული უნდა იყოს სხვა პიროვნების მიერ, რომელსაც ანონიმის თხზულების ვრცელ ვარიანტთან ერთად უნდა გამოუყენებინა სხვა წერილობითი წყარო (არა სერობ გრიჩის „ისტორია“). ანდა, რაც ჩვენ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, ზეპირსიტყვიერი გადმოცემა.

ვფიქრობთ, შემოკლებულმა ვერსიამ მესამე პიროვნებისაგან ახალი რედაქცია განიცადა მე-19 საუკუნის პირველ წლებში. სწორედ ეს რედაქტირებული ვარიანტი უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ანონიმური ავტორის „მოკლე ისტორიის“ ნუსხა.

ჩვენთვის ცნობილი წერილობითი წყაროებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თბილისის წმინდა სტეფანოზის სომხური დედათა მონასტრის წინამძღვრის—მაირაპეტ თავუპი მირიძანიანისა და ამავე მონასტრის დედათღიაკონის გაიანე ხოჯა ბეიბუდიანის წერილი ჰოვხანისა და მისი მეუღლის—კატარინესადმი. წერილი დათარიღებულია, აღნიშნულია მისი დაწერის ადგილიც: „დაიწერა მოზდოკში 1795 წელს, სექტემბრის 16“. აღა-მამამდ ხანის შემოსევის აღწერილობათა შორის ეს ყველაზე ადრეული წყაროა<sup>31</sup>.

წერილი ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშაა დაწერილი, რის გამოც მას მძაფრად ემოციური ტონი აქვს.

ეს წერილი 1960 წელს გამოაქვეყნა რ. ტიტანიანმა სათაურით „ერთი ახალადმოჩენილი დოკუმენტი 1795 წლის თბილისის დარბევის შესახებ“. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, იგი გადაწერილი ყოფილა მატენადარანის № 8216 ხელნაწერის ფურცლებზე, რომელიც შერეული თემატიკის კრებულს წარმოადგენს<sup>32</sup>. დედნის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ხ. ხუციანი თავის წიგნში „თბილისის წმინდა სტეფანოზის დედათა მონასტრის ისტორია“ მონასტრის პირველ დედათმძღვრად ასახელებს თავუპის და მისი მოღვაწეობის ხანას 1790—1799 წლებით შემოფარგლავს. ეს თავუპი და ჩვენი წერილის ავტორთაგანი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. მის

<sup>29</sup> „იოანე ქართველიშვილის მემუარები“, გვ. 77.  
<sup>30</sup> ზ. შარაშენიძე, ირანი მე-18 საუკუნის II ნახევარში, თბ., 1970, გვ. 175, (როუმ-ოს-საფა, მონათანამე ნასერი, ნახევ-ით თავარის).  
<sup>31</sup> რ. ტიტანიანი, ახალადმოჩენილი ერთი დოკუმენტი..., გვ. 484.  
<sup>32</sup> იქვე, გვ. 484.

შესახებ ცნობები აღნიშნულ წიგნში მეტად მწირია. ვიცით, რომ ივრის მკვიდრი ყოფილა „განსვენებული ჰოვსეფის ასული“. მას არა სტოდნია სომხური წერა, ამიტომ მისი ანდერძი სომხურად მის სულიერ მოძღვარს, მღვდელ ტერ-მელიქსეთ პაპასიანს შეუდგენია. ყოფილა საკმაოდ შეძლებული, რადგან „იერუსალიმის პატრიარქისათვის 150 ოქრო მიუროთმეცია“<sup>33</sup>.

გაიანესთან დაკავშირებით რ. ტიტანიანი აღნიშნავს: „თაგუპის შესახებ გარკვეული ცნობების მოძიება შესაძლებელია ხ. ხუციანის წიგნში „თბილისის წმინდა სტეფანოზის დედათა მონასტრის ისტორია“, გაიანეს შესახებ აქ ცნობა არ მოგვეპოვება, მოხსენებულია ერთი სხვა გაიანე, რომელიც მონასტერში 1799 წელს მოვიდა, ამიტომ მათი გაიგივება არ შეიძლება“<sup>34</sup>.

საქმე ის გახლავთ, რომ ხ. ხუციანის აღნიშნულ წიგნში, მართალია, გაკვრიტ, მაგრამ მაინც ნახსენებია მეორე გაიანეც, რომელიც თაგუპის „სულიერ ასულად“ იწოდება და აღნიშნულია, რომ მას იერუსალიმის ტაძრისა და მონასტრისათვის 15 ოქრო შეუწირავს<sup>35</sup>. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს პიროვნება სწორედ გაიანე ხოჯა ბეიბუღიანი უნდა იყოს, ბეიბუღიანთა იმ შტოს წარმომადგენელი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული წმინდა სტეფანოზის მონასტრის თბილისში დაარსების ისტორია 1724 წელს. წერილში გაიანე იხსენიება როგორც თბილისის „განსვენებული იშხანის — მელიქ-ალას“ ქალიშვილი.

აღრესატები არიან ალა-ჰოვჰანესი და მისი მეუღლე კატარინა. მონაზონთა მოკრძალებული ტონი, მიმართვის ფორმა და ხასიათი ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჰოვჰანესი და კატარინა მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი და ღრმად პატივცემული პიროვნებანი არიან. წერილში მათი გვარი არსად არ იხსენიება.

რ. ტიტანიანის აზრით, ჰოვჰანესი ლაზარიანია, რაც ჩვენც სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან ლაზარიანთა გვარი იყო ფუძემდებელი ნორ-ჯუღას წმინდა ეკატერინეს მონასტრისა, რომლის ანალოგიითაც მელიქ აშხარბეგ ბეიბუღიანს მოუწადინებია მსგავსი მონასტრის დაარსება თბილისშიც.

უნდა ითქვას ისიც, რომ ჰოვჰანეს ლაზარიანი ცნობილია როგორც „ლაზარიანთა ოჯახის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი (1735—1801), სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის კართან დაახლოებული პირი, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ჯერ თეიმურაზ II-სა და შემდეგ ერეკლესთან<sup>36</sup>.

თაგუპი და გაიანე აღწერილი ამბის თანამედროვენი არიან, მაგრამ არა თანადამხედურნი და თვითმხილველნი. როგორც წერილიდან ირკვევა, ისინი ქალაქიდან ჯერ კიდევ მაშინ გაქცეულან, როდესაც ალა-მაჰმად ხანის შემოჭრის რეალური საშიშროება წარმოშობილა. მონაზვნების მონათხრობი თბილისის აოხრების შესახებ დამყარებულია „ლტოლვილთა მიერ ამბად მოტანილზე“.

ჩვენ არასარწმუნოდ გვეჩვენება წერილის ბოლოს დასმული თარიღი 16 სექტემბერი. ეჭვს წერილში არსებული რამდენიმე გარემოება აღძრავს:

1. წერილში გადმოცემულია თბილისის დარბევის შემდეგდროინდელი ვითარება. ის იწერება მაშინ, როდესაც უკვე „დიდი ხნის შემდეგ“ ზოგიერთები შევიდნენ ქალაქში, სადაც „მრავალი ხნის განმავლობაში“ უპა-

33 ხ. ხუციანი, თბილისის წმინდა სტეფანოზის დედათა მონასტრის ისტორია, თბ., 1914, გვ. 24 (სომხურ ენაზე).

34 რ. ტიტანიანი, ერთი ახალდმოჩენილი დოკუმენტი; „ბანბურ მატენაღარანი“, 1960, № 5, გვ. 484.

35 ხ. ხუციანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

36 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 103.



ტრონოდ ეყარა ალა-მაჰმად ხანის მიერ დაზოცილი გვამები. ამგვ დროს, როგორც თვით გაიანე და თავუპი გადმოგვეყვინ, ყოველივე ეს მათ შეუძლებელი ყვიათ ლტოლვილთაგან, რომელნიც ჯერ უნდა შესწრებოდნენ აღწერილ ბეებს და შემდეგ შეხვედროდნენ მონაზვნებს, რომელნიც მოზლოკში იმყოფებოდნენ.

2. მხედველობაში მისაღებად გვეჩვენება ის ფაქტიც რომ თბილისიდან მოზლოკამდე 200-ზე მეტი კილომეტრია. ძნელი წარმოსადგენია ამხელა მანძილის ფეხით გავლა დროის მცირე მონაკვეთში, თანაც ისეთ პირობებში, როგორც წერილშია აღნიშნული: „გამოვიქეციით შულამისას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მართლაც ყოველგვარი ფეხსაცმლის გარეშე, ფეხშიშველა გამოვედით მონასტრიდან და ჩვენი ქალაქიდან გავწიეთ მთებისაკენ. შევედით ხეობაში და იქ მრავალი დღე შეუფარებლად წვიმის ქვეშ ვიძყოფებოდით. საჭმელზე რომ არაფერი ვთქვათ, რა იყო პური, ისიც ვერსად ვნახეთ. იყო ერთიანი მწუხარება და გოდება. არა მხოლოდ მშობლიურ მიწას მოწყვეტილნი და გაუცხოებულნი, არამედ მრავალგზის დაწყლულებულნი ვიყავით“.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ვფიქრობთ, რომ წერილი უფრო მოგვიანებით უნდა დაწერილიყო.

წერილის დათარიღებასთან დაკავშირებით რ. ტიტანიანი აღნიშნავს: „საბუთის ბოლოს დადასტურებულია თარიღი 1795 წლის 16 სექტემბერი. ალბათ, უნდა იყოს 16 ოქტომბერი“<sup>37</sup>.

ჩვენი ხელთარსებული სომხური წერილობითი წყაროებიდან დიდი ნაწილი ლუკა კარნეცის (სომეხთა კათალიკოსი 1780—1798 წწ.) ეკუთვნის.

უშეტესი ნაწილი მათგან მიღებულ წერილებზე პასუხს წარმოადგენს, ზოგს კი თვით უგზავნის როგორც ცალკეულ პირებს, ასევე საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს — თბილისის ბეთლემის ეკლესიის სომეხთა ერთობას, თბილისის მოსახლეობასა თუ რუსეთში მცხოვრებ სომეხებს.

ლუკა კარნეცის მიმოწერა აქვს რუსეთის იმპერატორ პავლე I-თან, ერეკლე II-თან, გიორგი მე-12-სა და იოსებ არლუთიანთან, პოლკოვნიკ იშხან ალა ჰოვჰანეს ელიაზარიანთან, რუსეთის არქიეპისკოპოს პლატონსა და ინდოეთში მცხოვრებ მდიდარ ვაჭრებთან—შამირ შამირიანთან. მოვსეს ხაჩიციანთან და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ლუკა კარნეცის წერილებს უმთავრესად ინფორმაციული ხასიათი აქვს, თუმც მათ შორის თხოვნის შემცველი და მადლიერების გამომახატველი წერილებიც გვხვდება. იგი უშუალო თხრობით აცნობს თავის ადრესატს უახლოეს წარსულში ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ფაქტებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სომეხეთში მიმდინარე მოვლენებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კათალიკოსის თვალსაწიერი სომეხეთის საზღვრებს არ სცილდება, რაც იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში თითქოს არც უნდა გავვიკვირდეს, მით უფრო, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებასაც რომ ლუკა კარნეცი უშეტესწილად მიმართავს იმ სომეხ მოღვაწეებს, რომელნიც მშობლიურ მიწას მოცილებულნი არიან. უენაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მდიდარი ეპისტოლარული მასალის ფონზე სულ რაღაც ორი წერილი მოგვეპოვება, სადაც ის გაკვირთ ახსენებს ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის ისტორიას, აქედან ერთი ერეკლე მეფის სახელზეა გაგზავნილი: „ის, რაც თქვენს ქალაქს დაატყდა თავს, ჩვენი ტაძრის უბედურების ეამს ქვეყნის აოხრებითა და (მო-

37 რ. ტიტანიანი, ერთი ახალმოჩენილი დოკუმენტი..., გვ. 484.



სახლეობის) დატყვევებით, ყოველივეს აღემატება და შეუძლებელია წყებას (მიეცეს).“<sup>38</sup>

მეორე წერილი კი წარმოადგენს ლუკა კარნეცის მიმართვას თბილისის მოსახლეობისადმი, სადაც ის აღნიშნავს: „ახლა კი შეეიტყვეთ ამბავი უდიდესი განსაცდელისა და შემამძრუნებელი წამებისა, რაც წილად ხვდა საბრალო ქალაქსა და მრავალტანჯულ ხალხს თქვენსას. ჯერ იყო ძარცვა-დაწიოკება, შემდეგ გადაწვა და დატყვევება, რაც მოჰყვა ვერაგი და დაუნდობელი რიცხვმრავალი სპარსი ყაჩაღების თავდასხმას, მეორედ თავზარდაცემული ვაიფანტენით და განერიდეთ მთიელ უღმრთო ავახაკთა დაუნდობლობას, შესამედ კი ავადმყოფობამა და სატკივარმა დაგრიათ ხელი“<sup>39</sup>.

ორევე წერილის დედანი ინახება მატენაღარაში, პირველი ნომრით 2922, ხოლო მეორე — 4501.

იოსებ არღუთიანი (23.5.1743—9.3. 1801) იყო სიმეონ ერეკნელის მოწაფე. 1769 წელს ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად, ხოლო 1773 წელს დაინიშნა რუსეთში მაცხოვრებელი სომხური თემის წინამძღვრად. 1780 წლის მარტიდან უძღვებოდა ყირიმის სულიერ ერთობას. 1778 წელს ყირიმელი სომხები იოსებ არღუთიანის ხელშეწყობით გადასახლდნენ რუსეთში და 1780 წელს დააარსეს ნორ-ნახჭევანი. 1792 წელს არღუთიანის ინიციატივით მალდავეთიდან და ბესარაბიიდან ლტოლვილი სომხებისათვის მან დააარსა გრიგორიოპოლისი. 1780 წლიდან მონაწილეობდა რუსეთის ჯარების მსვლელობაში კავკასიის მიმართულებით. ის პირადად იმყოფებოდა რუსეთის ჯართან ერთად, როდესაც იგი 1796 წელს შემოვიდა კავკასიაში. იყო ეკატერინესთან დაახლოებული პირი. 1800 წელს არჩეულ იქნა სომხეთის კათალიკოსად, მაგრამ ეჩმიაძინამდე გზად, თბილისში გარდაიცვალა<sup>40</sup>.

იოსებ არღუთიანი ის პიროვნებაა, რომელიც ინდოეთის, კერძოდ, მადრასის სომეხ მოღვაწეთა მსგავსად, სომხეთის განთავისუფლების პერსპექტივას თავისი ქვეყნის რუსეთის მფარველობაში მოქცევასა და საქართველოსთან მჭიდრო კავშირში ხედავდა. „სხიფენილ“, ძლიერი მკლავის (მქონე) „კეთილმორწმუნე“ მეფე ერეკლეს იმედის თვალითა და რწმენით შეპყრებდა. „იმედი სომხეთისა (დაკავშირებული) იყო თქვენთან, თქვენთან ერთად მოთქვამს ტომი და ერი სომეხთა, რომელიც ქვეყნის კიდეში მიმოდანტულა“. — წერს იოსებ არღუთიანი ერეკლე II-ს 1795 წლის 27 ნოემბერს გრიგორიოპოლისიდან<sup>41</sup>.

როგორც ჩანს, იმდროინდელ საზოგადოებაში იოსებ არღუთიანს საკმაოდ ძლიერი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი ჰყავდა. მათთვის მიუღებელი იყო არღუთიანის პოლიტიკური კურსი და არ ეთანხმებოდნენ მის არჩევანს, რის გამოც მის არჩევას სომხეთის კათალიკოსად, რაც სასურველი იყო ქართული სამეფო კარისათვის, გარკვეულ წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ბაგრატ ბატონიშვილის თანახმად, „1799 წელს მოკუდა რა ორქივატერი ლუკაზ ეჩმიაძინისა, მაშინ სომეხთა ინებეს სტამბოლიდამ მოყვანა მუნებურისა პატრიარქისა დანიელისა და დასმა მისი ორქივატერად ეჩმიაძინისა. ამისმა მსმენელმან მეფემან გიორგიმ ითხოვა იმპერატორისაგან პავლეს მიერ, რათა წარმოავლინოს როსიით თავადი არღუთინოვი იოსებ,

<sup>38</sup> ლუკა კარნეცის მიმართვა ერეკლე II-ის მიმართ; რ. ტიტანიანი, სომხური წყაროები აღა-მამად ხანის ამიერკავკასიაში შემოჭრასთან დაკავშირებით, გვ. 15—16.

<sup>39</sup> ლუკა კარნეცის კონდაკი თბილისის მოსახლეობის მიმართ, რ. ტიტანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—131.

<sup>40</sup> სომხური საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 86.

<sup>41</sup> წერილის დედანი დაცულია მატენაღარაში, № 2951.



მღვდელთმთავარი რუსეთისა სომეხთა, და ჰყოს ორქივატერად ეჩმიაძინსა შინა. მსკნელმან იმპერატორმან აღასრულა ესე ყოველი მეფისა თხოვნისა მისი. მაშინ შთავარდა შური სომეხთა შორის, რომელთამე ინებეს ოსეფ და რომელთამე დანიელ. რომელსცა დიდად ესვიდნენ სომეხნი. სამღვდელთა სომეხთა მოსწამლეს ოსეფ ორქივატერი და მოკვდა ტფილისსავე თვესა მარტსა 10 და ვერ ეყურთხა ორქივატერად<sup>42</sup>.

სომხური საზოგადოებრიობის ერთი ჯგუფის სურვილი „სომეხთა სტამბოლის პატრიარხის დანიელის“ დასმასთან დაკავშირებით დასტურდება დავით გიორგის ძისა და მისი ძმების ცნობათა საფუძველზეც. ამ წყაროს თანახმად, იოსებ არღუთიანსა და გიორგი მე-12-ს „მსწადლათ ამათ ორთავე შერთება ბერძენთა და სომეხთა სარწმუნოებისა“<sup>43</sup>, რასაც, სრულიად ბუნებრივია, შეეძლო მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბება იოსებ არღუთიანის მიმართ.

ფიქრობთ, არ უნდა იყოს სამართლიანი აღ. ჯამბაყურ-ორბელიანის ბრალდება „სომეხების არქივატერის იოსებ არღუთაშვილის მიმართ“, თითქოს „მან დალუბა საქართველო და აღა-მაჰმად ხან მოიწვია საქართველოზე“<sup>44</sup>.

სარგის ჰასან ჯალალეანცის ნაშრომის „აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ დედანი ინახება ტუბინგენში (გერმანიაში), საიდანაც 1969 წელს მატენადა-რანმა მიიღო ამ თხზულების მიკროფილმი. ნაშრომში მოცემულია არცახის ქვეყნის 1721—1822 წლების პოლიტიკური ისტორია. თხზულება დაყოფილია თავებად. მათგან ერთ-ერთი უშუალოდ აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევას უკავშირდება.

ავტორის ვინაობის გარკვევაში დაგვეხმარა სხვა სომხური წყარო-რომლის ავტორია ვარდან ოძნეცი. ამ ავტორისა და მისი თხზულების შესახებ მოგვიანებით შევჩერდებით.

ოძნეცის თხზულების თანახმად, სარგის ჰასან ჯალალეანცი მელიქ-მეკლემისა და განჯის ხან ჯავადის თანამზრახველად და თანამოაზრედ გვევლინება: „ამ დროს კათალიკოსი ჰასან ჯალალეანცი სარგისი და მელიქ მექუნანი, რომელნიც ჯავად ხან განძაკელის მფარველობით იმყოფებოდნენ ჯალაქ განძაკში, ერთი შეურაცხყოფილი ისრაელ კათალიკოსისაგან, ხოლო პეორე — ქართველთა მეფის თავადებისაგან, არწმუნებდნენ ჯავად ხანს, რომ წარმდგარიყო ძღვენით მორჩილების ნიშნად შაჰის წინაშე შუშაში. იქნებ, სანაცვლოდ მტრობისა ქართველთა ნახარაგებისა და ისრაელ კათალიკოსის შურისძიების (საშუალება) მისცემოდათ. როგორც ქნეს კიდევ, ჯავად ხანმა, მელიქ მექუნანმა და სარგის კათალიკოსმა, რომელთაც შუშის ციხეში ჰყავდათ ნათესავები და მეგობრები, გარედან მოუწოდეს მათ, დამორჩილებოდნენ შაჰს, მაგრამ ამაოდ“.

მოგვიანებით კი თბილისში დატრიალებული უბედურების შემდეგ ოძნეცი დასძენს: „1795 წლის დამლევს სარგის კათალიკოსი ჰასან ჯალალეანცი იმყოფებოდა ჯერ კიდევ ჯავად ხანთან განძაკში“<sup>45</sup>.

გიორგი ლეონიძე, როდესაც თავის დამოკიდებულებას გამოთქვამს საიათნოვას ახპატის ეპარქიის ეპისკოპოსად კურთხევასთან დაკავშირებით, აღ-

42 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 95.  
 43 მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, მოსე ჯანაშვილის რედაქციით, თბ., 1905, გვ. 54.  
 44 აღ. ჯამბაყურ-ორბელიანი, დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა ახალციხეში და სხვა ამბები, გამოც. ს. კაჟაბაძე, თბ., 1914, გვ. 18.  
 45 ვარდან ოძნეცი აღა-მაჰმად ხანის შემოსევასთან დაკავშირებით, რ. ტიტანიანი, სომხური წყაროები აღა-მაჰმად ხანის ამიერკავკასიაში შემოჭრასთან დაკავშირებით, გვ. 191.



ნიშნავს: „საქმე იმაშია, რომ ახმატელი ეპისკოპოსი დავითი, რომელმაც თუმანინი ლაპარაკობს, საათნავა კი არ არის, არამედ ცნობილი როვი, რომელსაც მისცეს ახმატი 1784 წელს. ამის შემდეგ ახმატს განაგებდა აზნაური სარგის ჰასან ჯალალოვი (1797—1807)“<sup>46</sup>. სრულიად დასაშვებია, რომ ჩვენი ავტორი და გ. ლეონიძის მიერ დასახელებული პიროვნება ერთი და იგივე ადამიანი იყოს.

ის, რომ ჩვენი ავტორი და ვარდან ოძნეცის წყაროში მოხსენებული კათალიკოსი სარგისი ერთი და იგივე პიროვნებაა, ჩვენს ეჭვს არ იწვევს. ამის, შეიძლება ითქვას, უტყუარი დასტურია თვით ჩვენი ავტორის თხზულება. არც ერთი სხვა წყარო არ გვაწვდის პირადი დამოკიდებულების ისეთ მკვეთრ სურათს, როგორც სარგის ჰასან ჯალალოვანის თხზულება.

იგი სრულიად გარკვევით აღნიშნავს, რომ მელიქ მეჭლუმს „კაცს შორსმჭვრეტელს“ „მტრულ დამოკიდებულება ჰქონდა ერეკლე მეფის მიმართ და დიდი ხანია ცდილობდა იბრაიმ ხანის ხელში ჩაგდებას, რის გამოც აღამაჰმად ხანს დაუეჯავშირდა“.

პართალია, ავტორი ერეკლესაც „მამაცს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ „მან ვაეკაცურად გაუწვია წინააღმდეგობა სპარსთა გამძვინვარებულ ჯარებს“, თითქოს კიცხავს მელიქ-მეჭლუმს, რომელმაც „გაარღვია ალყა და უცოდველი ქრისტიანების სისხლით შეღება პირი ხმლისა“ და აღწერს აგრეთვე ვანაწყამები ხალხი როგორ „ევედრებოდა უფალს შურისძიებას მელიქ-მეჭლუმისა გამო, რომელმაც ერეკლე მეფესთან ქიშპობის მიზეზით სომეხი ტყვეები სპარსეთში წაასხა, მაინც იკვეთება მისი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ერეკლეს მიმართ: „ჯავადი, (რომელიც) უფრო დიდსულოვანი იყო, ვიდრე ერეკლე“. „ერეკლე უფრო მელიქ მეჭლუმის სიკვდილით გახარებული, ვიდრე გამარჯვებით, ხალისიანი დაბრუნდა თბილისში“.

„ღირსეულ კაცს არ შეგფერის თავშეფარებული კაცის მტრისათვის გადაცემა, როგორც შენ ჰქენი და გახდი მიზეზი თბილის-ქალაქის აოხრებისა“, — ეუბნება ამავე თხზულებაში ჯავადი ერეკლეს.

უცნაური ბრალდება აქვს წამოყენებული ერეკლეს. იქნებ ჩვენი ავტორი აზატ ხანთან დაკავშირებულ ფაქტს გულისხმობს? „ერეკლეს დახმარებით ქერიმ ხანმა 1760 წელს ხელში ჩაიგდო აზატ ხანი, რეს შედეგადაც ქერიმ ხანმა სცნო ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ, აგრეთვე ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე. რითაც აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში“<sup>47</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ სარგის ჰასან ჯალალოვანი განსაკუთრებულ გულისტკივილს გამოთქვამს მელიქ მეჭლუმის სიკვდილისა გამო: „ამიტომ აღწერელი ტკივილი იპყრობს ჩემს გულს და ეუფლება (ჩემს) სულს, მით უმეტეს მელიქ მეჭლუმისა გამო“, — წერს იგი.

პოვპანეს ოსკერჩიანი მოვლენათა თანამედროვე ავტორია. მისი „ანდერძ-მინაწერები“, რომელიც 1751—1804 წლებში არარატის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას ასახავს, შეიცავს აგრეთვე ცნობებს აღამაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის შესახებ, რაც სათაურით „ამბავი სპარსთა საქურისი შაჰის აღამაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის შესახებ“ შესულია რ. ტიტანიანის კრებულში და აღნიშნულია № 19. იგივე ნაწილი გამოქვეყნებულია „კრუნკ ჰაიოც აშხარპის“ 1862 წლის მე-4 ნომერში.

პოვპანეს ოსკერჩიანის ბიოგრაფის სრაქელ არარატიანის წარმოშობა

<sup>46</sup> გ. ლეონიძე, მგოსანი სათათნო, თბ., 1950, გვ. 26—27.

<sup>47</sup> ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.



„უფალი ჰოვანესის, უფროსი მღვდლის მარტიროსიან ოსკერჩიან ვალარშაძის ტელის მოკლე ცხოვრება და სამწერლო მოღვაწეობა“ ვიტყობთ, რომ მისი მამა ასტაბადიდან მოსულა და დამკვიდრებულია ეჩმიადინში, სადაც 1761 წელს დაბადებულია ჰოვანესი. მას განათლება ეჩმიადინის ვანქში მიუღია, სადაც იგი ძერწვასა და მხატვრობას დაუფლებია მოქანდაკე პარუთიუნსა და მხატვარ ჰოვანათანთან. მათი წყალობით ჰოვანეს ოსკერჩიანი შეიქნა ხელნაწერთა გადამწერი და გამფორმებელი.

ვარდან ოძნეცი მესრობ თალიდიანთან ერთად, აქამდე წარმოდგენილ ავტორთაგან განსხვავებით, ალა-მაჰმად ხანის საქართველოში შემოსევის თანამედროვე არ გახლავთ. ვარდან ოძნეცის თავისი თხზულების წერა 1847 წელს დაუწყია, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მისი ნაშრომის მხედველობაში მიღება, ვინაიდან მას დიდი შრომა გაუწევია — შეუფროვებია ცნობები თანადამხედურთა და კომპეტენტური პირებისაგან, გამოუყენებია ანდერძმინაწერები, მატიანები, წერილები, კონდაკები. ვარდან ოძნეცის უსარგებელია აგრეთვე მირზა ადიგიუხალ ბეკის „ყარაბაღ-ნამეთი“, რომელიც ვაუჯიოხავს, ან სომხურად უთარგმნია, როგორც ჩანს, თვითონ, როდესაც შუშასა და ვანძაკში სულიერი მოძღვრის მისიას ასრულებდა.

ვარდან ოძნეცის თხზულების სრული სათაურია „დიდი და პატარა სომხეთის ახალი პოლიტიკური და საეკლესიო ისტორია“, რომლის ორი თავიც — „ამბავი ალა-მაჰმად ხან საქურისის სომხეთში მოსვლისა, გადაწვა და დატყვევება თბილის-ქალაქისა“ და „ალა-მაჰმად ხანის წასვლა სპარსეთში, შემდეგ მისი მობრუნება შუშაში და იქ მისი მოკვლა“ დათმობილი აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. ხელნაწერი დაცულია მატენადარანში ნომრით 44331.

ვარდან ოძნეცის თხზულების პირველ თავში არის ამგვარი წინადადება: „ნაცვლად სიფხიზლისა და ლოცვისა, ლოთობდნენ და დროს ატარებდნენ, ვიდრე მოაწია მათზე უბედურებამ, რაც გეკოდიდება“. აღნიშნული ვკავარაუდებინებს, რომ ოძნეცის ამ კომპილაციურ ნაშრომს ჰყავს თავისი აღრესატიც.

მესრობ თალიდიანი დაიბადა ძორაგიულში 1803 წელს. იგი იყო სომეხი მწერალი, მასწავლებელი და ორატორი. სწავლობდა ეჩმიადინის სკოლაში, შემდეგ კი სწავლას აგრძელებს პ. დარაბაღისთან. 1824 წელს იგი გაემგზავრა ინდოეთში. 1826—1830 წლებში სწავლობდა კალკუტის ინგლისურ საეპისკოპოსო აკადემიაში, მიღებული აქვს ხელოვნების მაგისტრის წოდება.

1831 წლიდან მ. თალიდიანი მოგზაურობს, სწავლობს კალკუტას „კეთილშობილთა“, ახალი ჯულას „ამენაფრკიჩის“ აკადემიაში, ეჩმიადინის სამონასტრო, თავრიზისა თუ კონსტანტინოპოლის სომხურ სკოლებში.

1846 წელს კალკუტაში დააფუძნა „წმინდა სანდუხტის“ სკოლა ქალეზისა და ვაყებისათვის. იგი ეწინააღმდეგებოდა გაბატონებულ სქოლასტიკურ სისტემას და ცდილობდა ევროპული სწავლების მეთოდების დამკვიდრებას.

1839 წელს თავისი თამამი პროგრესული იდეების გამო მ. თალიდიანი გაძევებული იქნა კონსტანტინოპოლიდან და იგი კალკუტაში მიემგზავრება ინგლისურ საეპისკოპოსო აკადემიაში სტამბის სომხური განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1852 წელს მ. თალიდიანმა თავისი სტამბა კალკუტას ახლოს მყოფ ჩირჩა ქალაქში გადაიტანა.

1858 წელს სამშობლოში მიმავალი გზად ავად გახდა და ქალაქ შირაზში გარდაიცვალა<sup>48</sup>.

48 სომხური საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 130.



აბრაამ ასტაბადელმა თავისი თხზულება 1245 (1796) წელს ატყუებულმა როგორც თვითონ აღნიშნავს, ყოფილა აღწერილი ამბების „თანამედროვე“. ამ ნაშრომის დაწერა მისთვის უთხოვია „გულთან გაკარის წინამძღვარს ბრძენ უფალს თომა დასტაყეცის. ამ საყდრის მე-9 ეპისკოპოსს“ რის შესახებაც ავტორი წერილის ბოლოშიც აღნიშნავს: „დაიწერა მოსახსენებლად ჩვენი წელთაღრიცხვით 1245 წლის 12 იანვარს მოციქულთა ბრწყინვალეებით შემკულ წმინდა ტაძარში თომა (ეპისკოპოსისა), რომელიც (იმყოფება) ავულისში“.

აბრაამ ასტაბადელი ვარდაპეტია. აღნიშნავს, რომ არის „წმინდა სახარების მესამე მფლობელი“. როგორც ირკვევა, ეს წმინდა წიგნი გატაცებული ყოფილა და დამპყრობთაგან გამოუსყიდია „პარუთიუნის ვაჟს კეთილმორწმუნე ვაჟარ მარტიროსს“ ანუ „ავღულეცი ტუტენცი პარუთიუნის ძეს, დიდმორწმუნე ვაჟარ მარტიროსს“ და შეუწირავს უწმინდესი თომას წმინდა ტაძრისათვის. აქვეა მოყვანილი მარტიროსის ანდერძმინაწერიც.

უნდა ითქვას ისიც, რომ კრებულში შესული ეს წერილი დედანი არ არის, იგი ასლია „გადაწერილი პარუთიუნ თუმანიანის მიერ ავულისში“. დედნის ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოქვეყნებულია პარიზში 1903 წელს ლიტერატურულ-სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალის „ბანასერის“ მე-5 ნომერში.

პარუთიუნ ნონენცი ალა-მამაძე ხანის მიერ თბილისის დაპყრობის თვითმხილველი და თანადამხედური ავტორია. იგი წერილს უგზავნის პოპანეს არღუთიანს, ნონენცის სოციალური წარმომავლობა უცნობია. იგი თავის თავს „ყოვლადმორჩილ მონას“ უწოდებს.

ალა-მამაძე ხანის თბილისში შემოჭრის საკითხის შესასწავლად ეს წყარო შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც აღნიშვნის ღირსია. ავტორი სპარსელებს მთელი ოჯახითურთ დაუტყვევებიათ და უკიდურეს განსაცდელში ჩაუგდიათ. „ყოვლათა ჩემთა დამივსეს თვალები და ჯიუტად დავრჩი აქ. ვიმედოვნებდი, რომ ურმების საშუალებით გადავირჩენდი თავს“, — წერს იგი.

მეორე ანონიმი ავტორის წერილი 1795 წლის ნოემბრით თარიღდება. გამოქვეყნებულია „ღრბერ პასარაკაკან გიტუთიუნნერის“, 1969 წლის მე-7 ნომერში. იგი „განსწავლულ ვარდაპეტებსა და მოციქულთა მადლით (მირონცხებულ) ეპისკოპოსებს“ უსურვებს „ქრისტიანულ სიმრთელეს“, ხოლო თავის ადრესატს კი წერს: „შენი დიდებულების ნებაა, ჩასწვდეს ქეშმარიტებასა და შეიტყოს ამბავი ბრძოლისა ქართველთა და სპარსთა შორის“.

წერილის შექმნის პროცესში ავტორიცა და ადრესატიც ერევნიდან მოშორებულნი უნდა ყოფილიყვნენ — „შენ კარგად მოგეხსენება, რომ ჩვენი ყოფნისა გამო წმინდა ტაძარში მომხდარი და თავსდატეხილი ერევანზე, თუ ნაწილობრივ შფოთი და არეულობა, რაც იყო იქ, ასე ახლოს და გარეთ დატრიალებული, სხვადასხვაგვარად აღწევს ჩვენამდე, (ხანდახან) ერთმანეთის საპირისპიროდ და ახლა კი რაოდენ შორსა ვართ იქიდან“, — აღნიშნავს ავტორი.

ავტორი ადრესატის ინტერესის დაკმაყოფილებას ცდილობს მონათხრობის ზუსტი გადმოცემით იმ პიროვნებათა, „რომელთაც ნახეს და (განცადეს) შიში და უბედურება ახლანდელი ტანჯვისა“. ამ მიზნით მას მოუძებნია „ვიწმე დატყვევებულთაგან“, რომელიც ყოფილა „ნორაშენის ეკლესიის უფროსი მღვდელი ტერ იაკობი. იგი მთელი თავისი ქონებითა და ოჯახითურთ — 17 სულთ ხელთ ჩაუგდიათ სპარსელებს“.

მესამე ანონიმის შესახებ ვერაფერს ვიტყვით გარდა იმისა, რომ წერი-

ლი დათარიღებულია 1795 წლით და გამოქვეყნებულია „დივან ჰაიოც პატ-მუთეანის“ 1—2 წიგნში 1893 წელს.

ბიოგრაფიულ ცნობებს მირზა ადიგიუზალ ბეკის შესახებ იძლევა მისივე თხზულება „ყარაბალ-ნამე“. ეს წყარო აზერბაიჯანულიდან არის ნათარგმნი სომხურად. ერთი ვერსიის თანახმად, იგი ვარდან ოძნეცის უთარგმნია და გამოუყენებია თავისი თხზულების წერის დროს. „ყარაბალ-ნამე“ თარგმნილია აგრეთვე რუსულად. ტექსტი თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბაკიხანოვის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა. თარგმანი გაკეთებულია აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის მიხედვით.

„ყარაბალ-ნამე“ მოიცავს ყარაბალის 1736—1828 წლების ისტორიას. თხზულების წერა ავტორს გვიან დაუწყო — 1845 წელს, როდესაც თვითონ საკმაოდ ასაკოვანი ყოფილა, რის გამოც მიუძარათავს მირზა ჰუსეინ მუჰამედ ალა ოღლუსათვის, რომელიც ცნობილი იყო ფსევდონიმით „სალარი“, და უთხოვია მონახობი გამართული, მხატვრულად დახვეწილი ერთ ჩაეწერა.

ადიგიუზალ ბეკი აღნიშნავს, რომ ყარაბალზე რუსთა ძალაუფლების გავრცელების შემდეგ მის ერთ-ერთ გამგებელს — გენერალ კოლოტაიკინს ვაჟს, მიხეილ პეტრეს ძეს — უთხოვია მისთვის — კაპიტან-მირზა ადიგიუზალ ბეკისათვის, მოკლედ აღეწერა ყარაბალის ხანთა ისტორია. დამკვეთისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი ყოფილა ის ფაქტი, რომ ადიგიუზალ ბეკი წარსულში მსახურობდა გურჯისტანში მეფისნაცვალთან და ემირებთან, იყო ენების კარგი მცოდნე და კარგად გათვითცნობიერებული ყველა ამ საკითხში<sup>9</sup>.

მირზა ადიგიუზალ ბეკი დაბადებულია ყარაბალში. ალა-მამამდ ხანის მიერ შუშის ციხის გარშემორტყმის დროს იგი სკოლის მოსწავლე ყოფილა და მის ოჯახს თავი საქართველოსათვის, კერძოდ, ახალქალაქისათვის შეუფარებია. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მინისტრმა კოვალენსკიმ უნდობლობა გამოუცხადა გიორგი მე-12-ს კარის მწერლებს და ფარულად სამსახურში აიყვანა ადიგიუზალ ბეკი, როგორც ოსმალურის მცოდნე, და მნიშვნელოვანი საბუთების წარმოების საქმე მთლიანად მას მიაწოდო. მოგვიანებით ადიგიუზალ ბეკი მდივნის მოვალეობას ასრულებდა გენერალ ლუსანევთან, რომელიც 1811 წელს ფაშაკსა და შურაგელში ოქქის მმართველად დაინიშნა. იმავე წელს მან მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი. 1816 წელს კი გენერალი ერმოლოვის ბრძანებით, გაიგზავნა ყარაბალის ყოფილ მფლობელთან, გენერალ-მაიორ მეხტი ყული-ხანთან, რომლის მეტად დაახლოებული პირი შეიქნა.

მეხტი ყული ხანმა ადიგიუზალ ბეკს დაუბრუნა ოჯახის კუთვნილი სამფლობელო და უბოძა მიწის რამდენიმე დასახლებული ნაკვეთი, აგრეთვე დანიშნა იგირმიდორტის მაგალის ნაიბად.

1823—1826 წლებში გენერალი ერმოლოვის დავალებით იგი იცავს ყარაბალის საზღვრებს. 1829 წელს კი თავად აფხაზოეთან ერთად მონაწილეობს მუსლიმანთა პოლკთათვის მხედართა შეკრებაში, ამ სამხედრო ნაწილების ფორმირება ხდებოდა ყარაბალში, შირვანსა და შაქში. პასკევიჩმა ადიგიუზალ ბეკი კაპიტნის ჩინით დააჯილდოვა. 1830 წელს იგი სამხედრო სამსახურს თავს ანებებს. მირზა ადიგიუზალ ბეკი გარდაიცვალა 1848 წელს.

<sup>9</sup> А. Адигезаль-бек. Карабаг-Наме, Баку, 1950, стр. 43.

АРМЯНСКИЕ ИСТОЧНИКИ, КАСАЮЩИЕСЯ РАЗГРОМА ТБИЛИСИ  
11 СЕНТЯБРЯ 1795 ГОДА АГА-МУХАМЕД-ХАНОМ

Резюме

Армянские письменные источники, касающиеся разгрома Тбилиси 11 сентября 1795 года Ага-Мухамед ханом-довольно, многочисленны. В основном они опубликованы. Их большая часть дошла до нас в прозаическом изложении и лишь малая представлена в поэтической форме.

Авторы вышеупомянутых источников являются современниками, а иногда свидетелями описанных событий, в большинстве случаев влиятельными и знаменитыми людьми своего времени. К другой группе относятся три анонимных автора и те лица, о которых кроме имени и фамилии нам ничего не известно. Дополнительные сведения об этих авторах мы попытались получить на основе анализа имеющихся письменных источников.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიამ

## ც ი ა ლ ა ჟ უ რ ნ ი კ ი მ ი

## „ქართლის ცხოვრების“ მარიაამისაშული ხელნაწერის შესახებ

ხელნაწერის კვლევა ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად არცთუ სასიამოვნო სიახლეს გამოაგვლენს ზოლმე. მაგალითად, ასეთს: როგორც ვიცით, ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც ხელნაწერს ერთვის ანდერძი, რომელიც გადამწერსა და დამკვეთზე ანდა გარკვეულ ისტორიულ პირსა და მოვლენაზე გვაწვდის ცნობებს. აღნიშნული ცნობები, გარდა იმისა, რომ ნათელს ჰფენენ ჩვენი ისტორიისათვის დიდი თუ მცირე მნიშვნელობის ამბებს, ძალზე გვიადვილებენ ხელნაწერის დათარიღებასაც. და აი, ამ დროს, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც აღმოჩნდება, რომ ესა თუ ის ხელნაწერი თურმე სწორად არ დაგვითარიღებია, რადგან ანდერძი ავთენტური არ არის. იგი (ეს ანდერძი) ტექსტთან ერთად გადმოუწერიათ სხვა ხელნაწერიდან, რომელიც საკვლევი ხელნაწერის დედანს წარმოადგენდა. დედანი ხელნაწერი კი უმეტეს შემთხვევაში აღარ არსებობს, იგი ისტორიული ქართველებისა თუ რაღაც ბედისწერის წყალობით დაკარგულა ან განადგურებულა.

რამდენიმე წლის წინათ ასეთი არაავთენტური ანდერძის არსებობა დადასტურა ნ. შოშიაშვილმა „ანასეული ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილ Q 795 ხელნაწერში. ეს ხელნაწერი მასზე დართული ანდერძის მიხედვით მეფე ალექსანდრეს (1476—1511 წწ.) მეუღლის, ანას, ბრძანებით გადაწერილ ხელნაწერად ითვლებოდა და შესაბამისად 1479—1495 წლებით თარიღებოდა<sup>1</sup>. ნ. შოშიაშვილმა ხელნაწერის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე მისი თარიღი ერთი საუკუნით აქეთ (XVI ს-ის მეორე ნახევრამდე) გადმოსწია. რაც შეეხება ხელნაწერის ანდერძს, ნ. შოშიაშვილის აზრით, იგი ეკუთვნის „ანასეული ქართლის ცხოვრების“ ნამდვილ გადამწერს. Q 795 ხელნაწერის გადამწერმა, რომელსაც XVI საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ შეეძლო შეესრულებინა ეს სამუშაო, აღნიშნულ ხელნაწერში „ანასეული ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან ერთად მისი ანდერძიც გადმოიტანა<sup>2</sup>.

აღბათ ცხადია, რატომაც წავიძღვარეთ ამგვარი შესავალი. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ხელნაწერზე, რომლის ანდერძ-მინაწერებიც მის გადამწერს არ ეკუთვნის და ტექსტთან ერთად წინამორბედი ხელნაწერიდანაა გადმოწერილი. საქმე ეხება ე. წ. „მარიაამისეულ ქართლის ცხოვრებად“ მიჩნეულ ხელნაწერს — S 30-ს. ჩვენი აზრით, არც ეს ხელნაწერი უნდა იყოს მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილი ნუსხა. იგი მხოლოდ პირია „მარიაამისეული ქართლის ცხოვრებისა“.

S 30 ხელნაწერი, სამწუხაროდ, ბოლონაკლულია. ხელნაწერს რომ ჩვენამდე სრული სახით მოედწია, შესაძლოა ამ მხრივ მის გარშემო საკვლევი და სამტკიცებელი აღარაფერი გვექონოდა: შეიძლებოდა, რომ ნამდვილი ცნობები ხელნაწერის შესახებ მის ბოლოში აღმოჩენილიყო.

როგორც ვიცით, S 30 ხელნაწერი ანდერძ-მინაწერების ცნობათა მი-

1 იხ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 307.

2 ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადამწერის თარიღი: „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, 1975, გვ. 45—55.



ხედვით 1633—1646 წლებითაა დათარიღებული. ამ ანდერძ-მინაწერებში მარიამი (როსტომ მეფის მეუღლე) ქართლის დედოფალად იხსენიება მისი ძე ოტია (რომელიც მარიაშს პირველი ქმრისგან, სვიმონ გურიელისგან, ჰყავდა) ცოცხალია: მარიაში ქართლის დედოფალი გახდა 1633 წელს, ოტია კი გარდაიცვალა 1645 წელს.

ს 30 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ცხრამეტჯერ იხსენიება მარიაშ დედოფალი, სამჯერ — მისი ძე ოტია. ანდერძ-მინაწერებს ჩამოვთვლით იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობაც აქვთ მათ ხელნაწერში. მათი არავთენტიკურობის შესახებ კი უფრო ჭკვემით გვექნება საუბარი.

1. „ში ყოვლად წმიდაო ღთისმშობელო, შეიწყალე დედოფალი ქართლისა მარიაშ“. 49r.
  2. „ფრიად ცოდვილს დედოფალს მარიაშს დღეგრძელობით ღთს შეუწდოს ცოდვანი მისნი, ამინ“. 52r.
  3. „ღთო, წარმართე დედოფალი მარიაშ და სასუფეველი დაუმკდრე“. 55v.
  4. „ღთო, აკურთხე დედოფალი მარიაშ, რომლისა ბრძანებითა იწერებთან ესე წიგნნი“. 68v.
  5. „ღთო, აკურთხე დედოფალი მარიაშ დღეთა შინა სიგარძისა მისისათა, ამინ“. 90r.
  6. „დედოფალს მარიაშს შეუწდოს ღთს დღეგრძელობითა, ამინ“. 94r.
  7. „ღთო, აკურთხე დედოფალი მარიაშ დღეგრძელობ[ი]თა“. 100r.
  8. „ღთო, დაიცივე დედოფალი მარიაშ ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა, ამინ“. 118v.
  9. „ღთო, წარმართე დედოფალი მარ[ი]ამ, რომლითა (!) ბრძანებითა იწერებთან ესე წიგნნი. ამ სოფელს დღენი განუგრძელე და მას უკუნოს (ასეა!) ქალწულთა თანა დაამკდრე“. 120r.
  10. „ღთო და წმიდაო ღთისმშობელო, ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა დაიცივე ქართლის დედოფალი მარიაშ, რომლისა ბრძანებითა იწერა ცხოვრება ქართლისა. ღთს აკურთხოს, ამინ“. 142v.
  11. „ღთო, წარმართე დედოფალთ-დედოფალი მარიაშ და ცოდვანი მისნი შეუწდენ“. 142v.
  12. „ღთო, შეიწყალე დედოფალი მარიაშ, რომლისა ბრძანებითა იწერების ესე წიგნნი, ამინ“. 151v.
  13. ღთო და საშინელო სუეტო ცხოველო, დაიცივე და წარმართე ორსავე ცხოვრებასა დედოფალი მარიაშ“. 260v.
  14. „ღთო და წმიდაო ღთისმშობელო, შეიწყალე და დაიცივე ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა დედოფალთ-დედოფალი მარიაშ, რომლისა ბრძანებითა იწერებთან წმინდანი ესე წიგნნი, ამინ“. 288r.
- მე-15 და მე-16 ანდერძ-მინაწერები სიტყვასიტყვით ემთხვევიან ერთმანეთს:
- 15—16. „ღთო, წარმართე ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთ(ა)-დედოფალი მარიაშ“. 365v; 372v.
  17. „ღთო, დაიცივე ორსავე ცხოვრებასა დედოფალთა-დედოფალი მარიაშ და ძე მისი ოტია“. 400r.
  18. „ღთო, დაიცივე ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა-დედოფალი

<sup>3</sup> კ. გ რ ი გ ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 115. Э. Такай-швили. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. IV, вып. 1—4, 1906—1912, гв. 34.



მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებითა იწერება წმინდა ესკრიპსუნსა მისი წიგნი“. 406v.

19. „ღთო, დიაცვე ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა-დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, ამინ“. 469v.

სანამ ძირითად საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროა ზოგი რამ ითქვას თვითონ მარიამ დედოფლის პიროვნების შესახებ. მარიამი (გარდ. 1682 წ.), მანუჩარ დადიანის ასული და ლევან დადიანის დაი, როგორც ვიცით, 1633 წლიდან იყო ქართლის მეფის, როსტომის (გარდ. 1658 წ.), მეუღლე და ქართლის დედოფალი (1648—1656 წლებში ქართლ-კახეთის დედოფალიც), როსტომის გარდაცვალების შემდეგ კი ტახტზე მისი მემკვიდრის, ვახტანგ V შაჰნავაზის (გარდ. 1678 წ.), მეუღლე და კვლავ ქართლის დედოფალი.

მთელი ამ ხნის (ორმოცზე მეტი წლის) განმავლობაში ქართლის სადედოფლო ტახტზე მარიამი უდიდესი ავტორიტეტის პიროვნებად მოჩანს. უთუოდ თანამედროვეთა თვალსაზრისს გამოხატავს XVIII საუკუნის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი, როდესაც მარიამის შესახებ წერს: „და ეღვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოს კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან. იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“<sup>4</sup>.

ნარატიული დოკუმენტების მიხედვით, სხვა ქართველ დედოფალთაგან განსხვავებით, მარიამი მეფის კომპენტენციითა და იურისდიქციით აღჭურვილი დედოფალია, რომელიც აქტიურად მოღვაწეობს ქვეყნის საშინაო განმგებლობაში. იურიდიულ საბუთებში, რომლებიც მარიამის მიერაა გაცემული (ასეთი საბუთი კი საკმაოდ ბევრია), მარიამი კელმწიფედ და დედოფალთა-დედოფლად იხსენიება, რომლის უფლებამოსილებაც ქვეშევრდომთა მიმართ შემდეგი აქტებითაა გადმოცემული: უწყალობა, ვანუახლა, დაუბრუნა, გაათავისუფლა, შესწირა, დაამტკიცა, დაუმტკიცა, გაარიგა, უბრძანა, ბრძანა და სხვ.<sup>5</sup>, ე. ი. იმავე აქტებით, როგორითაც გადმოიცემა მეფეთა უფლებამოსილებანი.

როგორც ბოლო დროს მიკვლეული ცნობებიდან ჩანს, ქვეყნის საშინაო განმგებლობასთან ერთად მარიამი წარმატებით მონაწილეობდა აგრეთვე საგარეო პოლიტიკაშიც<sup>6</sup>.

სპეციალისტების აზრით, მარიამის ასეთ განსაკუთრებულ უფლებებს და შესაბამისად, დიდ ავტორიტეტსაც განაპირობებდა მისი პიროვნული თვისებები — ხასიათის ძალა, ქვეყნის მართვის დიდი ნიჭი და უნარი<sup>7</sup>.

იგივე ნარატიული დოკუმენტები მარიამს იხსენიებენ აგრეთვე როგორც უაღრესად განათლებულ პიროვნებას და ქართული კულტურისა და მწიგნობრობის აღორძინებისათვის დიდად მზრუნველ დედოფალს. მ-ს სახელთანაა დაკავშირებული მტრების შემოსევების დროს დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთება და შემკობა (მან ხელახლა ააშენა ბოლნისის ეკლესია, შეაკეთა სვეტიცხოვლის ტაძარი, განაახლა რუის-ურბნისისა და კიდევ სხვა ეკლესიები), შეგროვება, გაახლება და შემკობა ქართული ხელნაწერებისა (პარზლის მრავალთავი, ჭალის გულანი), თავისი ხარჯით: გამოსყიდვა და

4 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩი იშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 441.

5 იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონის III წიგნის მასალები, რომელიც მომზადებულია გამოსაცემად კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლების მიერ.

6 ამ ცნობებს მოაკვლია დ. ჟღენტმა იხ. მისი ნაშრომი: ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში: მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, № 2.

7 იქვე, გვ. 106.





შეძენა მტერთაგან მიტაცებული ხელნაწერი წიგნებისა (პარხლის მეთველი თავი, სვეტიცხოვლის ეამნი, ტბეთის ოთხთავი). როგორც S 30 ხელნაწერი ანდერძ-მინაწერები გვამცნობენ, მისი ბრძანებითაა გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ წიგნიც<sup>8</sup>.

ახლა, რაც შეეხება S 30 ხელნაწერის ავთენტურობის ანუ მარიამისეულობის საკითხს, როგორც ვიცით, დაკვეთითა და ბრძანებით გადაწერილი ხელნაწერები ოდითგანვე განსაკუთრებულნი იყვნენ თავიანთი კალიგრაფიით, მოხატულობითა და შემკულობით. ასე იყო თამარის ეპოქაში (გავიხსენოთ ვანის ოთხთავი), ასე იყო თამარის შემდეგ, მარიამამდე (ლაბსყალდისა და მოქვის ოთხთავები—XIII-XIV სს.), მარიამის დროს (ბეგთაბეგ მდივნის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ — H 54, 1680 წ.; სვეტიცხოვლის გულანი — A 30, 1681 წ.). და მარიამის შემდეგაც (სოლომონ I-სათვის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ — S 5006 XVIII ს.). ყველა ეს ხელნაწერი სამეფო კარისათვის გადაწერილი ხელნაწერებია. ისინი ერთმანეთს ეცილებიან გარეგნულ სილამაზესა და შთამბეჭდაობაში.

S 30 ხელნაწერის მარიამისეულობაში კი, პირველ რიგში, სწორედ მისმა გარეგნულმა სახემ დაგვაქეზა. ხელნაწერს ნამდვილად არა აქვს ის საზეიმო იერი. როგორც უნდა ჰქონდეს ისეთი დედოფლის ბრძანებით გადაწერილ ხელნაწერს, როგორც მარიამი იყო. ამ ხელნაწერში აშკარად დარღვეულია სამეფო კარისათვის ხელნაწერის საგანგებოდ გაფორმების ტრადიცია.


მარიამ დედოფალი, რომელსაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თანამედროვენი თავისი მორჭმულობით თამარ მეფეს უტოლებდნენ, რომელმაც ამავე დროს სხვებზე უკეთ იცოდა ხელნაწერი წიგნის ფასი და არამისი ბრძანებით გადაწერილ ხელნაწერებს ისეთი გულითადობით აახლებდა და ამკობდა, ჩვენი აზრით, სამეფო კარისათვის მისივე ბრძანებით გადაწერილ ხელნაწერს, მდარე გემოვნებით შესრულებულს, ვერც შეჰკადრებდნენ და არც შეიკადრებდა.

S 30 ხელნაწერში რამდენიმე ხელი მონაცვლეობს<sup>9</sup>. მასში, მართალია, არის ლამაზი კალიგრაფიით ნაწერი ადგილები, მაგრამ ბევრია ისეთიც, რომელსაც დაუდევრობა და ნაჩქარევობა ეტყობა, განსაკუთრებით ხელნაწერის ბოლოს. ხელნაწერის ერთ ნაწილში მსხვილი და ჩამუჭებული ასოებით ნაწერი ტექსტი ვადამწერის დაბალ კალიგრაფიულ გემოვნებაზე მეტყველებს თუნდაც იმ მხრივ, რომ, როგორც ჩანს, საწერი იარაღის — კალმის შერჩევა მისთვის პირველხარისხოვანი საქმე სრულიადაც არ ყოფილა (იხ. ხელნაწერის გვერდები: 130r—192r). საკმაოდ ხშირად ფურცლის ბოლო სტრიქონის ასოები ჩაზიდულია ქვემო არშიაზე, რომელთაგან ზოგს გაკეთებული აქვს მეტად მდარე ხვეულები (იხ. სურ. 1, 2, აგრეთვე ხელნაწერის ფურცლები: 13v, 14r, 15, 16v, 17v, 18, 19, 22r; 76v, 77, 78; 79; 80; 81; 82; 376v; 388; 389r, 390v, 391; 435v, 441v, 442, 453v, 454r, 466r). ხელნაწერში არცთუ იშვიათად გვხვდება არათანაბარი ასოებით, მეტ-ნაკლებად მდარე ხელით ნაწერი გვერდები (იხ. სურ. 3, აგრეთვე ხელნაწერის გვერდები: 19r, 36r, 57r, 64r; 173r, 381r; 435v, 436, 439, 447v, 448r, 450r).


ხელნაწერს აქვს ე. წ. კუსტოდები. მათზე დაკვირვებაც კვლავ იმას გვი-

<sup>8</sup> სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ მაჰმადიანი მეუღლე, როსტომი, ყოველნაირად უწყობდა ხელს დედოფალს დანგრეული და დაზიანებული ქრისტიანული ძეგლების აღდგენა-განახლებაში, მეუღლეზე მარიამის დიდ გავლენასთან ერთად კვლავ ქართული კულტურის მიმართ მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.


<sup>9</sup> ე. წ. თაყაიშვილი სამ გადაწერას ეარაუღობს. შესაძლოა, მეტიც იყოს. ამ მხრივ ხელნაწერს საგანგებო შესწავლა სჭირდება. იხ. E. T a k a i ш в и л и. Описание, ..., გვ. 29.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

ჩვენებს, რომ S 30 ხელნაწერი ვინმეს პატივსაცემად, მით უფრო, ქვეყნის დედოფლისათვის საძღვნოდ არ უნდა ყოფილიყო შექმნილი.

კუსტოდა არის ფურცლის verso-ს ქვემო არშიაზე დასმული სიტყვა ან სიტყვის ნაწილი, რომლითაც იწყება მომდევნო ფურცლის recto. შეიძლება ითქვას, რომ კუსტოდების ხმარების თვალსაზრისით S 30 ხელნაწერში სრული ქაოსია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ იგი ხელნაწერის ყველა ფურცელზე არ გვხვდება: ზოგან გამოტოვებულია (90v—135v), ზოგან კიდევ გამორჩენილი (195v, 392v,—398v, 400v, 401v), ზოგან შედარებით კალიგრაფიული ხელითაა შეტანილი, ზოგან გაკრული, ნაჩქარევი, არაკალიგრაფიული ხელით (352v—391v), ზოგან მთელი სიტყვაა ჩაწერილი, ზოგან სიტყვის ნაწილი, ან სულაც სიტყვის ერთი მარცვალი, ზოგან წინა ფურცლის verso-ს ნაცვლად მომდევნო ფურცლის recto-ზეა დასმული (8r, 9r, 16r, 24r, 40r, 48r, 56r, 64r, 72r, 80r, 88r, 96r)<sup>10</sup>; ზოგან ფურცლის ქვემო

10 სხვათა შორის, აღნიშნულ recto გვერდებზე კუსტოდის დასმა განმარტებულია იმ მიზეზით, რომ წინა ფურცლების v-ს ქვემო არშიებზე დაკავებულია რვეულის დამამთავრებელი მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 3—4

არშიის შუა ნაწილშია მოთავსებული ზოგან—შიდა კუთხეში. აქვე ნაწილია ისიც, რომ ზოგან გადამწერის ხელს სხვა ხელი ენაცვლება. ხელნაწერის მხოლოდ პირველი თორმეტი რვეულის ფარგლებში აქვს რვეულბრივი აღრიცხვა. რვეულის დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი ასონიშნები, რომლებიც საგანგებოდ მსხვილი ასოებითაა შესრულებული, შემოფარგულია სიმეტრიულად დასმული წერტილებით (ზოგან მოკლე ხაზებით). შესრულების მხრივ მაღალი გემოვნება არც რვეულების აღმნიშვნელ ამ ნიშნებს ატყვიათ, თავი რომ დავანებოთ იმ ნაკლს, რომ რვეულებად დაყოფა მთელ ხელნაწერს არ გასდევს.

ეს, რაც შეეხებოდა ნაწერის გარეგნულ მხარეს. S 30 ხელნაწერში თვალში საცემია აგრეთვე ტექსტობრივი და ორთოგრაფიული შეცდომების სიმრავლე, კალმის ლაფსუსები. მათი დასახელებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან „ქართლის ცხოვრების“ აკადემიურ გამოცემაში ეს შეცდომები სქოლიოებში სრულადაა აღნუსხული<sup>11</sup>. ალბათ, სავსებით დასაშვებია, რომ კარგი კალიგრაფი ერთდროულად დიდი ვანათლებლით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია სამეფო კარის გადამწერად ისეთი პიროვნება, რომელიც დედოფლის ბრძანებით გადაწერილ საგანგებო ხელნაწერში ამდენ შეცდომას დაახვევებს.

აღსანიშნავია, რომ გადამწერის დროს დაშვებული რამდენიმე შეცდომა ანდერძ-მინაწერებშიც გვხვდება: „დღეგრძელობითა“-ს ნაცვლად „დღეგრძელობთა“ (მე-7 ანდერძ-მინაწერი), „მარამ“-ის ნაცვლად „მარამ“ (მე-9 ანდერძ-მინაწერი), „რომლისა ბრძანებითა“-ს ნაცვლად „რომლითა ბრძანებითა“ (იქვე), „მას საუჯუნოს“-ის ნაცვლად „მას უჯუნოს“ (იქვე), „რომლისა ბრძანებითა იწერა ცხორება ქართლისა“ (მე-10 ანდერძ-მინაწერი), უნდა ყოფილიყო „იწერების“ ან „დაიწერა“ (შდრ. მე-12 და მე-18 ანდერძ-მინაწერები).

როგორც „ქართლის ცხოვრების“ მთელ ტექსტში, ისე მარიამის სახელზე შედგენილ ანდერძ-მინაწერებში გამოვლენილი შეცდომები იმაზე მიანიშნებენ, რომ S 30 ხელნაწერის გადამწერებსა და გადამწერის მესვეურთ გადაწერილი ხელნაწერის შემოწმება შეცდომების გასწორების თვალსაზრისით საჭიროდ არც კი მიუჩნევიათ. ეს კი S 30 ხელნაწერის მარიამისეულობაში დაქვეების კიდევ ერთი არგუმენტია.

მარიამის სახელზე შედგენილი ანდერძ-მინაწერები სხვა მხრივაც გვაეჭვებენ S 30 ხელნაწერის ავთენტურობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, S 30 ხელნაწერში რამდენიმე ხელი გამოიყოფა. მარიამის სახელზე შედგენილი თითოეული ანდერძ-მინაწერი შესრულებულია იმ გადამწერის ხელით, რომლის გადამწერილ ნაწილშიც გვხვდება ეს ანდერძ-მინაწერი. სწორედ ამიტომაც, რომ გადამწერთა კვალიფიკაციის შესაბამისად, ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრების“ მთელი ტექსტი, ზოგი ანდერძ-მინაწერი კალიგრაფიული ხელითაა ნაწერი, ზოგიც ნაკლებკალიგრაფიულით. სხვათა შორის, S 30 ხელნაწერის გადამწერთა კვალიფიკაციის სხვადასხვა ხარისხზე ისიც მეტყველებს, რომ ზოგი ანდერძ-მინაწერი ტექსტიდან გამოყოფილია, ზოგიც შიგ ტექსტშია ჩართული, ზოგი ხალვათადაა ნაწერი, ზოგიც შემკიდრობებულად, ზოგი წითელი მელნითაა შესრულებული, ზოგიც შავი მელნით.

ლი ასონიშნებით: ა<sup>ა</sup> (8v), ბ<sup>ბ</sup> (16v) და ა. შ. მათ გვერდით კი ეუსტოლის აღმნიშვნელ სიტყვას აღვილი არ ყოფილა.


<sup>11</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 3—886; ტ. II, გვ. 1—144; 151—324,



პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ შავი მელნითაა ნაწერი პირველი სამი ანდერძ-მინაწერი. ჩვენი აზრით კი, არ შეიძლება მარამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილ ხელნაწერში დედოფლისავე დასალოცი მინაწერებში სათვის შავი მელანი გამოუყენებინათ, მით უმეტეს, როცა სხვა ადგილებში წითელი მელანი ინტენსიურად იხმარება.

გარდა იმისა, რომ შავი მელნითაა ნაწერი, პირველი ანდერძ-მინაწერის ავთენტურობა იმ მხრივაცაა საეჭვო, რომ მოთავსებულია ორ ტექსტს შორის ისე, რომ არც ერთიდან გამოყოფილი არ არის: იწყება სტრიქონზე, რომელზედაც წინა ტექსტი მთავრდება და მთავრდება სტრიქონზე, რომელზედაც მომდევნო ტექსტის სათაური იწყება. იგი ისეა შერწყმული ამ ორ ტექსტთან, რომ მისი გამოყოფა საგანგებო დაკვირვების გარეშე შეუძლებელიც კი არის. სხვათა შორის, ეს იმის გამოც ხდება, რომ მომდევნო ტექსტის სათაური („წმიდისა და ღწთვე განბრძნობილისა დიდისა ბასილისი თხოობა ევეგელის [მი]მართ, მოძღურისა თვისისა, შიშუელ-მართალთათჳს და ქუეყანისა საზომისათჳს აღმოსავლეთგან ვიდრე დასავლეთამდე“) ასევე შავი მელნით, ასევე ტექსტის ზომის ასობით და წინა ტექსტისაგან გამოყოფილად არის შეტანილი ხელნაწერში. უნდა აღინიშნოს, რომ S 30 ხელნაწერს არც ამ სათაურის გამოუცალკევებლობა და მისი შავი მელნით გადაწერა ჩვეთვლება ღირსებად. ხელნაწერი რომ მარამ დედოფლის ბრძანებით იყოს გადაწერილი, ზემოაღნიშნული სათაურის დაწერის დროს გადაწერი ალბათ მელნის ფერის შერჩევასაც მაინც გამოიჩინდა მეტ სიფრთხილს.

მეორე მინაწერიც (52r), როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველის მსგავსად შავი მელნითაა შესრულებული. იგი მოთავსებულია „შიშუელმართალთა“ აპოკრიფის ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ სტრიქონი, სადაც ეს ტექსტი მთავრდება („ვინაცა ამას ცხად-ყოფს ევსევი“), შევსებულია, გადაწერს მაინც „მოუხერხებია“ და ამავე სტრიქონზე „დაუტეგია“ ანდერძ-მინაწერის პირველი სიტყვის („ფრიალ“-ის) პირველი ასო ფ, თან ისე, რომ სიტყვა „ევსევი“-ს ი ამ ფ-სთან გადაუბამს კიდევ (სურ. 4).



სურ. 4

ყურადღებას იქცევს ანდერძ-მინაწერის შინაარსიც: „ფრიალ ცოდვილს დედოფალს, მარამს, დღეგრძელობით ღწთ შეუნდოს ცოდვანი მისნი, ამინ“. ამ სიტყვების თქმა და დაწერა კი მარამ დედოფლის შესახებ ალბათ მხოლოდ თვითონ მარამს შეეძლო და სხვას არავის. ასე რომ, ანდერძ-მინაწერის ტექსტისაგან გამოყოფილობა და შავი მელნით ჩართვა ტექსტში ამავე ანდერძ-მინაწერის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარამის მიმართ „მკრეხელურ“ შინაარსთან ერთად იმაზე მიანიშნებს, რომ გადაწერის ინიციატივა აქ ნულამდღა დასული და იგი საიდანაც სრულიად მექანიკურად იწერს ტექსტს.

მესამე ანდერძ-მინაწერში (65v), რომელიც ასევე შავი მელნითაა შესრულებული (წითლით წერია მხოლოდ პირველი სიტყვა „ღწთ“), ყურადღებას იქცევს სხვა ფაქტიც: მართალია, ანდერძ-მინაწერი ტექსტის სათაურის შემდეგ ცალკე სტრიქონზეა მოთავსებული, მაგრამ რაკი გადაწერს იგი ამ



სტრიქონზე ვერ დაუტევია ბოლო სიტყვის „დაამკვდრე“-ს. ნაწილობრივად კვლავ ჩამატების ნიშნით (წერტილებით) შემოუფარგლავს და ამ სიტყვის პირველი ნაწილისათვის („და“-სთვის) თავზე დაუწერია (სურ. 5).

ანოლისა დანაიფხიჯა: შათისა, ადრე ღდრია: ჩრქნა  
 მდგ: და: აჯარ: იგი: ფრანკურ: ქორეკრა: თარღვაო-ს ბა  
 ახაჯა: მის: რფთაჯ: მდგთა: მისთა: ~~ქორეკრა~~  
 და: წამართა: დიდო-თელი: მართი და: სხორეკრა  
 და: მის: ქართლის: ქორეკრა: რი-მელი: სეშო: ადრე

სურ. 5

აქ სავსებით შესაძლებელია, ვივარაუდოთ ხელნაწერებისათვის ჩვეუ-  
 ლებრივი რამ: გადამწერმა ანდერძის ჩასაწერად წინასწარ გამოტოვა სტრი-  
 ქონი და ისე განავრძო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გადაწერა, მაგრამ  
 როდესაც ანდერძ-მინაწერს მიუბრუნდა, მისთვის ერთი სტრიქონი საკმარი-  
 სი არ აღმოჩნდა, ამიტომ იძულებით ანდერძ-მინაწერის ტექსტი ამგვარად  
 შეამკვიდროვა.

ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე მე-9 ანდერძ-მინაწერშიც. აქ,  
 გარდა იმისა, რომ ანდერძ-მინაწერის ბოლო სიტყვა „დაამკვდრე“ გაყოფი-  
 ლია ისე, რომ სტრიქონი მთავრდება „დაამკვ“ ნაწილით და თავზე აწერია  
 „დრე“, ბოლო სამი სიტყვაც („ქალწულთა თანა დაამკვდრე“) ანდერძ-მინა-  
 წერის წინა სიტყვებთან შედარებით უფრო წვრილი ასოებით და მკვიდროდა  
 ნაწერი (სურ. 6).

ათრს: ჩქონისა: ჩრქნისა: იქსს: ქონისტვისა  
 და: ა: წამართა: დიდო-თელი: მართი: რი-მელი  
 ა: ბრძანებრითა: იქორეკრა: ახე: ჩრქნის: მსწრა  
 ლს: ჩრქნის: მსწრა: მსწრა: მსწრა: მსწრა  
 მდგ: მართი: მართი: მართი: მართი: მართი

სურ. 6

როგორი ახსნაც არ უნდა დავუძებნოთ ამ ფაქტს, ერთი აშკარაა, S 30  
 ხელნაწერის გადამწერთ ამგვარი ოპერაციების ჩატარება და ამით ხელნაწე-  
 რის იერის გაუბრალოება არ უჭირთ.

რაც შეეხება დანარჩენ ანდერძ-მინაწერებს ისინი ყველა გადაწერილია  
 წითელი მეღვინით. აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ეს ანდერძ-მინაწერები  
 ხელნაწერში არაერთგვაროვნად არიან განაწილებულნი: ზოგი აგრძელებს სა-  
 თაურის სტრიქონს (5, 6, 7, 8, 13), ზოგი სათაურის მომდევნო ახალ სტრი-  
 ქონზე იწყება (4, 9, 14), ზოგი ტექსტშია ჩართული (15, 17, 18, 19), სხვა  
 კიდევ ტექსტის ბოლოსაა მიწერილი (16).

ტექსტში ჩართული ანდერძ-მინაწერების შესახებ უნდა ითქვას, რომ

ისინი ისეთ უადგილო ადგილებში თიშავენ ტექსტს, რომ არ შეიძლება, ყუ- რადღებაც არ მივაქციოთ, როგორც ხელნაწერის გარეგნულ გაფორმებაში დასვე- ბულკიდევ ერთ ხარვეზს. ესეც კვლავ იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელნაწერი არ უნდა იყოს სამეფო კარისათვის შექმნილი ნუსხა. ვფიქრობთ, რომ დე- დანში (საიდანაც ეს ხელნაწერი გადმოიწერა) აღნიშნული ანდერძ-მინაწე- რები მოთავსებული იყო ხელნაწერის ორი გვერდის გასაყარზე (საფიქრებე- ლია, რომ წინა გვერდის ბოლოს), S 30 ხელნაწერის გადამწერმა კი ისინი ტექსტს მექანიკურად მიადევნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ანდერძ-მინაწე- რები ერთი ხელით გადაწერილ ნაწილში გვხვდება.

S 30 ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტე- რით (როგორცაა არაკალიგრაფიული ხელით გადაწერილი ხელნაწერის ცალ- კეული ადგილები, მდარე გემოვნებით გაფორმებული კიდურა სტრიქონები, ორთოგრაფიული და სხვა სახის შეცდომები ტექსტსა და ანდერძ-მინაწე- რებში, დაუდევრობა ანდერძ-მინაწერების გადაწერაში, კუსტოდების დართ- ვასა და ფურცლების რვეულებად დაყოფაში და სხვა) S 30 ხელნაწერის არაავთენტიკურობა მაინც ვერ დასაბუთდება. კონკრეტული საბუთის გარე- შე ისინი (ეს ფაქტები) მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვიტოვე- ზენ: ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ მაინც ხომ შეიძლება დავეშვათ, რომ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი და ჩვენთვის უცნობი მიზეზით მარიამ დედოფლის დაკვეთით სწორედ ამგვარად, არაკვალიფიციურ ღონეზე, გა- დაწერა ხელნაწერი?

როგორც ჩანს, ჩვენს ვარაუდს გაწბილება არ ეწერა და S 30 ხელნაწერ- ში მართლაც გამოჩნდა ისეთი საბუთი, რომელიც ამ ხელნაწერის არამარია- მისეულობას ნამდვილად ამტკიცებს.

ამ საბუთის დასახელებამდე საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი: ცნობილია, რომ S 30 ხელნაწერი „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ძველი რედაქციის ტექსტს შეიცავს. როგორც ვიცით, არსებობს აგრეთვე „ქართლის ცხოვრე- ბის“ მაჩაბლისეული ხელნაწერი — H 2135, გადაწერილი გიორგი მაჩაბლის მიერ 1736 წ. მოსკოვში. ეს ხელნაწერი იმ მხრივაცაა თავისებური, რომ მას- ში წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ როგორც ძველი, ისე ახალი რე- დაქციის ტექსტები. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გარკვეულია, რომ მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი სავსებით ემთხვევა მარიამისეულად მიჩნეული „ქართლის ცხოვრების“ (S 30 ხელნაწერის) ტექსტს<sup>12</sup>. გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ გიორგი მაჩაბელს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის გადაწერისას, როგორც თვითონ წერს ხელნა- წერის ერთ-ერთ ანდერძში, ხელთ ჰქონია არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ ძველი „ხელნაწერი“. გიორგი მაჩაბელი საგანგებოდ გახაზავს მის სიძველეს, „ღიად ძველი იყოთ“, — წერს იგი<sup>13</sup>.

აქედან გამომდინარე, მეცნიერებაში დამკვიდრდა აზრი, რომ „დღეისა- თვის დაკარგული არჩილის ნაქონი ხელნაწერი მარიამისეულის ტიპისა უნდა ყოფილიყო“<sup>14</sup>.

12 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბუქვად მოამზადა ფილოლო- გის ვანყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. XXVII—XXXIII.  
13 H 2135, გვ. 665: „მე, ფრიად ცოდვილი (I) გიორგი მაჩაბელმან დაწერე წმიდა ესე ქართლის ცხოვრება, ღიად, ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი. ამის მეტი არ ეწერა. მოს- კოვის ქალაქს დაიწერა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდათექვსმეტს — 1736. დასაბამითვან შეიდი ათას ორასორმოცდაათს — 724“.  
14 სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ტექსტი გა- მოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით აკადემიკოსმა ე. თაყაი- შვილიშვილმა, თბ., 1949, ნაკვ. 27, გვ. 9.

რომ არ გაჩნდეს კითხვა იმის შესახებ, ე. წ. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ (S 30 ხელნაწერი) და არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი ერთი და იგივე ხომ არ არის და, მაშასადამე, გიორგი მანაბელს ხელთ სწორედ S 30 ხელნაწერი ხომ არ ჰქონდაო, წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ს. ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ტექსტების შედარების შედეგად კატეგორიულად გამორიცხა ამ აზრის დაშვების შესაძლებლობა. მისი დასკვნა ასეთია: „ორივე ნუსხა—მანაბლისეული და მარიამისეული ერთისადაიმავე დედნიდან უნდა მომდინარეობდესო“<sup>15</sup>.

S 30 ხელნაწერი რომ მანაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ დედნად (და, მაშასადამე, მეფე არჩილის ნაქონ ხელნაწერად) არ შეიძლება მივიჩნიოთ, ეს, უპირველეს ყოვლისა, S 30 და H 2135 (მანაბლისეული „ქართლის ცხოვრება“) ხელნაწერების ისეთი ადგილებიდანაც მტკიცდება, როდესაც S 30 ხელნაწერის ზოგიერთი მცდარი წაკითხვა H 2135 ხელნაწერში არ მეორდება და ეს უკანასკნელი თავისი სწორი წაკითხვებით „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენ ხელნაწერებს უჭერს მხარს. ამგვარი წაკითხვები ცოტა არაა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემიდან, სადაც M-ით S 30 ხელნაწერია აღნიშნული, m-ით კი — H 2135:

M:

- „მცირისა აღაზნისა თაფიდგან“
- „დადგა ძირსა მიხსა“.
- „იყვენს მოსარჩლე პაოსისა“.
- „ცოლმან მიხმან ქართლოსმან“.

m(BPRTbd):

- „მცირისა აღაზნისა შესართაფითგან“ (5,9)
- „დადგა ძირსა მახისხისა“ (6,8)
- „იყვენს მორჩილ პაოსისა“ (7,27)
- „ცოლმან ქართლოსისმან“ (8,21)

ახლა, რაც შეეხება ჩვენს მიერ მოხსენიებულ საბუთს, რომელიც S 30 ხელნაწერის არამარიამისეულობას ადასტურებს. ს. ყაუხჩიშვილი როდესაც მანაბლისეული ხელნაწერის ე. წ. მარიამისეულთან ახლო ნათესაობას ამტკიცებს, ერთ-ერთ არაგუმენტად ასახელებს იმას, რომ მანაბლისეულ ხელნაწერში გადამწერის შენიშვნები ვახტანგ მეფისა და თვით გადამწერის, გიორგი მანაბლის, შესახებ ჩართულია იმ ადგილებში, სადაც მარიამისეულ ხელნაწერში მოიპოვება შენიშვნები მარიამ დედოფლის შესახებ<sup>16</sup>.

საქმე ეხება S 30 ხელნაწერის მე-5, მე-6 და მე-7 ანდერძ-მინაწერებს და მანაბლისეულ ხელნაწერში ზუსტად მათ პარალელურად თვითონ გიორგი მანაბლისა და ვახტანგ მეფის შესახებ ჩართულ ანდერძ-მინაწერებს:

S 30:

- „ლ'თო, აჟურთხე დედოფალი მარიამ დღეთა შინა სიგრძისა მისისათა. ამინ“. 90 რ.
- „დედოფალს მარიამს შეუნდოს ღმერთ-მან დღევრძელობითა, ამინ“. 94 რ.
- „ლ'თო, აჟურთხე დედოფალი მარიამ დღევრძელობიქითა“ 100 რ.

H 2135:

- „ლ'თო, მშვიდობაში მოაქმარე გიორგის, ამილანბარის შვილს, მანაბელს“. გვ. 95.
- „გიორგი მანაბელს, ლ'თო, მიეც შეწუნა შენი წერისათვის თუისისა“. გვ. 100.
- „ლ'თო, აჟურთხე მეფე ვახტანგ დღევრძელობითა“. გვ. 109.

ანდერძ-მინაწერების დასახელებული სამი წყვილიდან პირველი წყვილი ორივე ხელნაწერში მოსდევს სათაურს: „შემოსლვა სპარსთა ქართლს და მეფობა მირიანისი, ქასრეს ძისა“. მეორე წყვილი მოსდევს ტექსტის დასაწ-

15 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. XXXIII. ამ ორი ხელნაწერის ურთიერთ-მიმართების შესახებ იხ. აგრეთვე: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; ტ. I. გვ. 052—054.

16 ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა..., გვ. XXXII.



ყის: „აწ ვაქსენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქასრე არღაშორისი, სასანაჲსა მისაჲსა ანისა“. მესამე — ისევ სათაურს: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყრუ-ლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა [ნიერ]“.

გარდა იმისა, რომ ეს ანდერძ-მინაწერები S 30 და H 2135 ხელნაწერებში ერთსა და იმავე ადგილებშია ჩართული და თითქმის ერთი მოცულობისანი არიან, ისინი თავიანთი შინაარსითაც ენათესავენებიან ერთმანეთს. ანდერძების პირველსა და მესამე წყვილში ორივეგან ერთნაირადაა (ერთნაირია დაქარაგმებაც) მიმართვა ღმრთისადმი: „ღოთო“. S 30 ხელნაწერის მთელი 19 ანდერძ-მინაწერიდან მეორე წყვილის ანდერძ-მინაწერი ერთი სამთავანია, სადაც ანდერძის დასაწყისში არ არის მიმართვა ღმრთისადმი და გიორგი მაჩაბელსაც ამგვარადვე აქვს აგებული შესაბამისი ანდერძი. შდრ.:

„დედოფალ მარიამს შეუნდოს ღმერთმან“. S 30.  
„გიორგი მაჩაბელს, ღოთო, მიეც შეწეუნა შენა“. H 2135.

მაჩაბელი რომ S 30 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებს იცნობს და მათ ყაიდაზე აგებს თავის ანდერძებს, ამ მასალიდან აშკარაა. ეს ნაცნობობა განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ანდერძ-მინაწერთა მესამე წყვილში:

„ღოთო, აყრთხე დედოფალი მარიამ დღეგრძელობ[ი]თა“. S 30.  
„ღოთო, აყრთხე მეფე ვახტანგ დღეგრძელობითა“. H 2135.

ეს წყვილი ზუსტად ერთნაირი შინაარსისაა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთგან მარიამ დედოფალია დასახელებული, ხოლო მეორეგან — ვახტანგ მეფე<sup>17</sup>.

ალბათობა იმისა, რომ S 30-ისა და H 2135 ხელნაწერების გადამწერებმა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიტანეს „ქართლის ცხოვრების“ ერთნაირ ადგილებში ერთმანეთის მსგავსი ანდერძ-მინაწერები, ნულის ტოლია. უნდა გამოვრიცხოთ ის ვარაუდიც, რომ დედან ხელნაწერში, საიდანაც S 30 და H 2135 ხელნაწერები გადმოიწერა, ამ ანდერძ-მინაწერში ეწერა ვიღაც სხვისი სახელი და ერთმა იგი „დედოფალ მარიამით“ შეცვალა, ხოლო მეორემ — „მეფე ვახტანგით“. S 30 ხელნაწერში მარიამის ხსენებით 19 ანდერძ-მინაწერია, ხომ არ შეიძლება დაეუშვათ, რომ ყველა მათგანი სხვის სახელზე შედგენილ ანდერძ-მინაწერებს დაემყარა?

ერთადერთი ახსნა, რაც ამ ფაქტს შეიძლება ჰქონდეს, შემდეგია: საერთო დედანში ამ ანდერძ-მინაწერის ერთ-ერთი ვარიანტი ეწერა, ერთმა გადამწერმა იგი შეცვალა, ხოლო მეორემ უცვლელად გადმოიტანა. ეს მეორე კი, რა თქმა უნდა, არის S 30-ის გადამწერი, რადგან არჩილის ნაქონ ხელნაწერში, „დიად ძველში“, რომელიც ხელთ ჰქონდა გიორგი მაჩაბელს, ყოველად შეუძლებელია ყოფილიყო არჩილის მომდევნო მოღვაწის, მეფე ვახტანგის, ხსენება.

ამგვარად, ანდერძ-მინაწერთა ზემოხსენებული სამი წყვილის შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ მარიამის სახელზე შედგენილი ანდერძ-მინაწერები არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ კუთვნილებაც ყოფილა. S 30 ხელნაწერის გადამწერთ ისინი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან ერთდ მთლიანად (!) გადმოუტანიათ, H 2135 ხელნაწერის გადამწერს, გიორგი მაჩაბელს, კი მიზანშეწონილად მიუჩნევია მხოლოდ სამი მათგანის გარკვეული ტრანსფორმაციით მოწოდება.

<sup>17</sup> აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ვახტანგ VI — მოსკოვში ემიგრირებული ქართული კოლონიის (რომლის წევრი თვითონ გიორგი მაჩაბელიც იყო) მეთაური.





S 30 ხელნაწერისათვის აქედან არ შეიძლება სხვა დასკვნა გაკეთდეს, რომ იგი არ არის „ქართლის ცხოვრების“ მართლად არსებული ნუსხა. ამ დასკვნას საყვარელი უქერს მხარს S 30 ხელნაწერის მთელი გარეგნული იერიც, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

S 30 და H 2135 ხელნაწერებში საერთო დედნიდან გამომდინარე კიდევ ორი ერთნაირი ფაქტი შენიშნა.

1. S 30 ხელნაწერს არავითარი მხატვრული სამკაული არა აქვს. რაც შეიძლება ამ ხელნაწერს სამკაულებად ჩაეთვალოს, არის ის, რომ სათაურის შემდეგ და ტექსტის დასასრულთან შიგადაშიგ (არა ყოველთვის) გვხვდება ნაძვის წიწვების მიმართულების შავ-წითელი ხაზებით შედგენილი ნიშანი (\* $\ast$ ) და ასევე შიგადაშიგ და შავ-წითელი ხაზების მონაცვლეობით მხედრული  $\sigma$ -ს მსგავსი კლავნილი ხაზები. სილამაზითა და შესრულების განსაკუთრებული დონით არც ეს ნიშნები გამოირჩევა. აქ საყურადღებო ისაა, რომ იგივე ნიშნები გვხვდება ზუსტად შესაბამისად ადგილებში მაჩაბლისეულ ხელნაწერშიც.

2. S 30 ხელნაწერში ორგან გადამწერის მინაწერებიცაა: „ლ<sup>თ</sup>ო, აცხოვნე ამისი მწერალი“—94r. „ლ<sup>თ</sup>ო, შ<sup>ე</sup> მწერალი ამისი გ<sup>ი</sup>“ (=გიორგი) 142v. ეს მინაწერები ხელნაწერის კუთვნილებად ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, შეცდომით.

პირველი მინაწერი „ქართლის ცხოვრების“ მეოთხე თავს („ქართლისა (!) შესულა სპარსთა და მეფობა მირიანისი, ქასრეს ძისა“) ერთვის ბოლოს. საქმე ისაა, რომ იგივე ფრაზა („ლ<sup>თ</sup>ო, აცხოვნე ამისი მწერალი“) ზუსტად იმავე მეოთხე თავის ბოლოს დასტურდება მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერშიც (მდრ. H 2135, გვ. 100).

მეორე ასეთსავე მინაწერში, როგორც ვნახეთ, გადამწერი სახელით იხსენიება (გიორგი). მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს მინაწერი არ გვხვდება, რომ მისი არაავთენტურობა, პირველის მსგავსად, მარტივად გადაწყდეს. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობთ, რომ არც ის ეკუთვნის S 30 ხელნაწერის გადამწერს. ამაზე მიანიშნებს, ჯერ ერთი, ის, რომ ორივე მინაწერში ერთი და იგივე ავტორი იგრძნობა (მდრ. „ამისი მწერალი“ და „მწერალი ამისი“), მეორეც, ის, რომ ორივე მინაწერი ერთი და იმავე ხელთ გადაწერილ ნაწილში გვხვდება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ნაწილის გადამწერს ერთი ამ მინაწერთაგან გადმოსაწერი დედნიდან გამოეყო, ხოლო მეორე თავისი სახელის დართვით თვითონ შეეტანა ხელნაწერში.

ამ მინაწერების S 30 ხელნაწერში არსებობა ერთხელ კიდევ გახაზავს გადამწერის არაკორექტულ დამოკიდებულებას თავისი გადაწერილი ხელნაწერის მიმართ და ამავე დროს, უფრო მეტად გვარწმუნებს ამ ხელნაწერის უშუალო კავშირში არჩილის ნაქონ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთან.

S 30 ხელნაწერის „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ იმით განსხვავდება მაჩაბლისეულისაგან (იგულისხმება მისი ძველი ნაწილი), რომ S 30 ხელნაწერს წინ უძღვის „განძთა ქვაბისა“ და „შიშუელმართალთას“ აპოკრიფული ტექსტები, მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ კი მათ არ იცნობს. ეს ფაქტი ერთი შეხედვით დაბრკოლებას უქმნის არჩილის ნაქონ „ქართლის ცხოვრებასთან“ S 30 ხელნაწერის დაკავშირებას. რაკი ეს აპოკრიფები არ არის მაჩაბლისეულ ხელნაწერში, შეიძლება არ ყოფილიყო ისინი არჩილის ნაქონ ხელნაწერშიც. (ე. ი. ამ აპოკრიფების გამო დადგებოდა საკითხი S 30 ხელნაწერისათვის სხვა წყაროს არსებობის დაშვების შესახებ). მაგრამ ეს ააქ

არ არის. იმავე გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილ ამ აპოკრიფებს ცალკე ხელნაწერის სახით მივაგენით პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერებში (იოვ. კოლექ. № 10). ისინი სრულიად იდენტურნი აღმოჩნდნენ S 30 ხელნაწერის შესაბამისი აპოკრიფული ტექსტებისა<sup>18</sup>. ამან კი რამდენიმე წლის წინ საშუალება მოგვცა, გამოგვეთქვა აზრი, რომ არჩილის ნაქონი ხელნაწერი, რომელიც მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ხელთ ჰქონდა გიორგი მაჩაბელს, ამ ორ აპოკრიფსაც შეიცავდა<sup>19</sup>. ეს აზრი დღეს უკვე საესებით სარწმუნოდ გვეჩვენება.

ამ ორი აპოკრიფიდან უფრო ვრცელი — «განძთა ქვაბი» ახლახანს გამოცა როგორც S 30-ის, ისე პეტერბურგის № 10 ხელნაწერების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ტექსტობრივად ისეთივე სიახლოვეა, როგორი სიახლოვეც გვაქვს S 30-ისა და მაჩაბლისეული ხელნაწერების თვითონ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებს შორის<sup>20</sup>.

დაბოლოს, ბუნებრივად ისმის კითხვა — დღესათვის დაკარგული არჩილის ნაქონი „დიად ძველი“ ხელნაწერი ხომ არ არის ნამდვილი მარიამისეული ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“? ვფიქრობთ, რომ ეს მართლაც ასეა. S 30 ხელნაწერში „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი მარიამის სახელზე შედგენილ ანდერ-მინაწერებთან ერთად არჩილის ნაქონი ხელნაწერიდან ჩანს გადაწერილი ამ დასკვნის სასარგებლოდ სხვა საბუთების დასახელებაც შეიძლება.

მაჩაბლისეული ხელნაწერი, მართალია, პროფესიონალის ხელითაა გადაწერილი, მაგრამ ჩვეულებრივი ნუსხაა, იგი ვინმესადმი მიძღვნილი საგანგებო ხელნაწერი არ არის. გადაწერილია მდარე ქალაქზე სხვადასხვა სიმუქის მქონე შავი მელნით. მაგრამ რაც გამოარჩევს ამ ხელნაწერს, არის ის, რომ მასში უხვადაა გამოყენებული წითელი მელანი. აქ წითელი მელნითაა გადაწერილი ტექსტის სათაურებთან ერთად აბზაცის დასაწყისები, ბევრი ფრაზა და მეტ-ნაკლებად მოზრდილი მონაკვეთები ტექსტისა, ავრთვერ ტექსტთან დაკავშირებული განმარტებები ხელნაწერის კიდებზე. ყველაფერი ეს შესრულებულია გიორგი მაჩაბლისავე ხელით. ჩვენი აზრით, აქ საესებით უნდა გამოირიგნოს გიორგი მაჩაბლის ინიციატივა. მისი წყარო არჩილის ნაქონი ხელნაწერი უნდა იყოს, რომელიც სწორედ მისი განსაკუთრებულობის გამო ამგვარად იქნებოდა გაჩერებული წითელი მელნით გადაწერილი ადგილებით.

S 30 ნუსხაში წითელი მელნის გამოყენების ეს სიუხვე ხელნაწერის მხოლოდ ერთი მონაკვეთში შეინიშნა, ისიც ზუსტად მაჩაბლისეული ხელნაწერის შესატყვის ადგილებში (შდრ. S 30: 404v, 405, 406, 407, 410r—H 2135: გვ. 564, 565, 566, 567, 568, 569, 573). ამ ადგილებში წითლითაა ნაწერი ტექსტის მოზრდილი მონაკვეთები. უნდა ვიფიქროთ, რომ S 30 ხელნაწერის გადაწერათაგან მხოლოდ ერთმა გაუწვია ანგარიში არჩილის ნაქონ ხელნაწერში წითლით ნაწერი ადგილების სიუხვეს.

სხვა საბუთი იმისა, რომ არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებად“ ჩავთვალოთ, თვითონ ამ ხელნაწერის არჩილის ნაქონობაა. არჩილი სამეფო ოჯახის შვილი იყო, უფროსი ძე ვახტანგ V შაჰნავაზისა და გერი მარიამ დედოფლისა. ამიტომ საესებით

<sup>18</sup> ხელნაწერი აღწერა მ. ქავთარიაშვილმა. აღწერილობა გამოქვეყნებული არ არის.

<sup>19</sup> ც. ქუტუაძე, კლავ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების აპოკრიფულ თხზულებათა შესახებ, მაცნე, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1, გვ. 63.

<sup>20</sup> La Caverne des Trésors, Version géorgienne, éditée par Ciala Kourcikidzé Lovani, 1993, გვ. 1—139.

შესაძლებელია, რომ იგი მარიამისეული ხელნაწერის მფლობელი ყოფილიყო და ეს ხელნაწერი თან ჰქონოდა მოსკოვში ცხოვრების პერიოდში.

რაც შეეხება S 30 ხელნაწერს, ჩვენი აზრით, მისი გადაწერის დრო, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნით მაინც უნდა იყოს დაცილებული თავისი წყაროს— არჩილის ნაქონი ხელნაწერის გადაწერის დროს. S 30 ხელნაწერი უნდა გადაეწერათ არა უადრეს XVII ს. მიწურულისა და არა უგვიანეს XVIII ს. დამდეგისა. ამას გვაფიქრებინებს თვითონ ხელნაწერის მონაცემები პირველ რიგში, მისი ჰვირნიშნები. ხელნაწერში XVII ს-ის სხვა ჰვირნიშნებთან ერთად გვხვდება ორმაგი ჰვირნიშანი: გვირგვინი ვარსკვლავნახევარმთავრით და ვერტიკალურ შორის განლაგებული სამი ნახევარმთავრე (იხ. გვ. 455, 468, 469... ორმაგი დავირნიშნება კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული პირველად XVII ს დასასრულიდან ჩნდება<sup>21</sup>. მეორე მხრივ, S 30 ხელნაწერში 359rv-ზე ვახტანგ VI-ის მინაწერია, სადაც იგი ბატონიშვილად იხსენიება. ვახტანგ VI კი ბატონიშვილად იწოდებოდა გამეფებამდე, 1712 წლამდე.

ის ფაქტი, რომ S 30 ხელნაწერში ვახტანგ VI-ს მიეწერება ტექსტის ცალკეული ადგილების განმარტებები, რომლებიც ხელნაწერის კიდებზე მოსივრე ხელითაა შეტანილი<sup>22</sup>, გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელნაწერი გარკვეული მოზანდასახულობით გადაწერილი ნუსხა უნდა იყოს. სავსებით მოზანშეწონილია, ვიფიქროთ, რომ იგი გადაიწერა მარიამისეული ხელნაწერიდან თვითონ ვახტანგ VI-ის ინიციატივით (ვახტანგს, არჩილის მსგავსად სამეფო ოჯახის შვილს, მარიამისეულ ხელნაწერზე ხელი ადვილად მიუწვდებოდა) სამეცნიერო მიზნებისათვის, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის რედაქტირებაზე სამუშაოდ.

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

О РУКОПИСИ ЦАРИЦЫ МАРИИ „ЖИТИЯ ГРУЗИИ“

Резюме

В труде рассмотрен вопрос аутентичности рукописи царицы Марии „Жития Грузии.“

В приписках рукописи „Жития Грузии“—S 30, хранящейся в Институте рукописей им. К. Кекелидзе, упоминаются имена царицы Марии (сконч. в 1682г.) и ее сына Отии (сконч. в 1646г.) По этой причине в научной литературе эта рукопись считалась списком царицы Марии и датировалась 1633—1646 годами.

В труде установлено, что рукопись S 30 является не списком царицы Марии, а лишь его копией. Списком царицы Марии нужно считать принадлежавшую прежде царю Арчилу (сконч. в 1713г.) рукопись „Жития Грузии“, которую упоминает Георгий Мачабели в переписанной им рукописи „Жития Грузии“—N 2135 (1736г.). Принадлежавшая прежде царю Арчилу рукопись „Жития Грузии“ на сегодня считается утраченной.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდეილოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება.

წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

21 რ. შატარაძე, „Tre Luce“, პალეოგრაფიული მიხანი, II, თბ., 1969, გვ.74.  
22 Е. Такайшвили, Описание рукописей...გვ. 10.



კითხვან ბეზარაშვილი

ანტონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, კლათონ იოსელიანის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის კომეხიის ქართული თარგმანების შესახებ

ცნობილია, რომ XVIII—XIX სს. მოღვაწეთა ბიბლიოგრაფიული ცნობები ქართული მწერლობის შესახებ შეიცავენ ზოგჯერ სწორ, ზოგჯერ კი მცდარ ინფორმაციას, დაფუძნებულს წყაროთა ან დროში დიდად დაცილებული მოვლენების არასწორ გაგებაზე. სამწუხაროდ, ასეთი ინფორმაცია ზოგჯერ უკრიტიკოდ მიიღება ხოლმე და მკვადრდება მეცნიერებაში. ამჯერად შევეჩებით გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანების საკითხს. თავად ეს თარგმანები იმდენად დიდი არაა მოცულობით, რამდენადაც რთულია შედგენილობით, რის გამოც აზრთა სხვადასხვაობის და მცდარი გაგების საფუძველი იყო მუდამ მეცნიერებაში.

1986 წ. გამოვაქვეყნე შრომა<sup>1</sup>, სადაც გამოვეყავი ამ თარგმანების სხვადასხვა ფენა: ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლის გნომური ლექსების საფუძველზე შედგენილი ე. წ. „ასეული იამბიკო“, არსენ იყალთოელის, მცირე ანონიმური და ვრცელი ანონიმური (ანუ გელათურ სკოლაში შესრულებული) თარგმანები. აქვე გაანალიზებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული სავარაუდო მთარგმნელები, საფუძვლიანად იყო უარყოფილი ეფრემ მცირის კანდიდატურა (რადგან ეფრემის მიერ „ასეულ იამბიკოში“ თარგმნილი ლექსები მეორდება ანონიმურ ვერსიაშიც). ხოლო სათანადო წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული პეტრე გელათელის და სხვა კანდიდატურები (პლ. იოსელიანის და ზ. ჭიჭინაძის შეუთმობებელ ცნობებზე დაყრდნობით მიღებული). ენობრივ-სტილისტური ანალიზისა და კოდოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული არგუმენტების მიხედვით, ვრცელი ანონიმური თარგმანი გელათურ სკოლაში შექმნილად მივიჩნეით. ამასთან, აქვე გამოიყო ტექსტის ერთი ნაწილი, რომელიც ხელნაწერთა ფურცელთა აღრევის გამო ჩართული იყო გრიგოლის პოეზიის ვრცელ ანონიმურ ვერსიაში, ხოლო სინამდვილეში წარმოადგენდა იოანე სინელის „კლემაქსის“ მანამდე უცნობ კიდევ ერთ გალექსილ ვერსიას, დაფუძნებულს ამავე თხზულების ე. წ. პეტრიწულ პროზაულ თარგმანზე (ანუ გელათური სკოლის თარგმანზე). ეს აღრევა მომდინარეობდა ერთი ძირითადი ხელნაწერიდან (A: S 2568, XVIII ს.), რომელიც, ჩვენი აზრით, გადმოწერილი იყო გელათური სკოლიდან მომდინარე ნუსხიდან გამრავლებული იყო ანტონის სკოლაში და ამიტომ დამახინჩებული ტექსტი, რომლის რაობა გაურკვეველი იყო გადამწერთათვის, შეუსწორებლად გადადიოდა ყველა სხვა ხელნაწერში.

<sup>1</sup> კ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 3, გვ. 87-112.



1987 და 1989 წლებში გამოვაქვეყნე შრომები „კლემასის“ ახალგაზრდა თელი ვერსიის შესახებ<sup>2</sup>, სადაც შესწავლილია კოდიკოლოგურ-ტიქსტოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული არგუმენტები, მოცემულია ენობრივ-სტილისტური ანალიზი, რომელთა შედეგადაც თავისი ადგილი აქვს მიჩნეული ამ ვერსიას. გამოქვეყნებულია ტექსტი და ესეც გელათურ სკოლაში შესრულებულად არის მიჩნეული გრიგოლის პოეზიასთან ერთად (ამასთან, ჯერ კიდევ 1986 წ. გამოქვეყნებულ მითითებულ შრომაში იყო აღნიშნული, თუ რას წარმოადგენდა ვრიგოლის პოეზიასთან არსებული ეს სტროფები). 1989 წ. გამოვაქვეყნე ნაწილი გრიგოლის პოეზიის ტექსტებისა<sup>3</sup>. იმავე წელს სადისერტაციო ნაშრომში ვრცლად არის შესწავლილი ყოველივე ზემოთქმული და ნაშრომს ერთვის გრიგოლის პოეზიის ტექსტები<sup>4</sup>.

მიუხედავად ამისა, 1988 წ. გამოქვეყნდა პროფ. თ. კუკავას შრომა<sup>5</sup>, სადაც კვლავ ეფრემს, როგორც მთარგმნელს მიეკუთვნება ის იამბიკოებიც, რაც, როგორც გავარკვევთ, გელათურ სკოლაში არის შესრულებული და ნაწილობრივ, გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსებია და ნაწილობრივ კი იოანე სინელის „კლემასის“ ფრაგმენტები, თ. კუკავას შრომაში აღნიშნული იამბიკოები ბერძნულ დედნებთან არ არის შედარებული და ამიტომ ხელნაწერთა ფურცელთა აღრევის გამო ასევე აღრეულად და შეცდომით არის გადმობეჭდილი, ისიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ხელნაწერებიდან და ყველა უკლებლივ გრიგოლს მიეწერება. როგორც ჩანს, პატივცემული მკვლევარისათვის უცნობი დარჩა ჩვენი 1986 და 1987 წ. გამოქვეყნებული დასახ. შრომები, ხოლო 1989 წ. პუბლიკაციები თითქმის მისი პუბლიკაციის თანადროული აღმოჩნდა. ამით უნდა იყოს გამოწვეული აღნიშნული უზუსტობანიც.

აქ აღარ გავიმეორებთ, თუ საიდან მოდის მცდარი შეხედულებანი ეფრემისა და სხვათა მთარგმნელობაზე გრიგოლის პოეზიისა, რაც აბარატაგზის გვაქვს განხილული აღნიშნულ შრომებში. ამჯერად შევეხებით მხოლოდ XVIII—XIX სს. იმ რამდენიმე მოღვაწეს, რომელთაც ბოლომდე ვერ გავარკვევს, თუ რა სახის თხზულებებთან ჰქონდათ საქმე გრიგოლის პოეზიის სახით, მაგრამ თავიანთი სავარაუდოდ შეხედულებებით ხელი შეუწყვეს ამ პოეზიის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების უფრო ადრეულ პერიოდთან, კერძოდ, გელათურ სკოლასთან დაკავშირებას.

ამასთან, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დასახელებული შრომების გამოქვეყნების შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა ფილოლო-

2 ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემასის“ უცნობი ქართული ვერსია. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, № 4, გვ. 129-154. მისივე, იოანე სინელის კლემასის“ ახალგაზრდა თელი ქართული ვერსია. „მაცნე“, ელს, 1989, № 3, გვ. 142-163.

3 ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანებიდან, ისეუ შრომები (ლიტერატურათმცოდნეობა). ტ. 285, 1989, გვ. 153-174. ვადაცემული იყო, მაგრამ არ დაბეჭდილა ლიტერატურათმცოდნეობის მომდევნო ნომერში კიდევ ერთი ნაწილი გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანებიდან, რითაც სრულად წარმოჩნდებოდა ტექსტთა შედგენილობის რეალური სურათი.

4 ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია. სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1989. К. Б е з а р а ш в и л и, Грузинская версия поэзии Григория Назианзина. Автореферат. Тб., 1990.

5 თ. კუკავა, ეფრემ მცირეს იამბიკოები, თბ., 1988. ჯერ კიდევ 1986 წ. გამოქვეყნებულ ზემოთ დასახელებულ შრომაში შევნიშნავდით, რომ 1975 წ. თ. კუკავას მიერ გამოქვეყნებული წერტილის მიხედვით (ეფრემის პოეტიკა, „სუსთეტიისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხები“, ტ. II, თბ., 1975, გვ. 237-242), მცდარად იყო მიჩნეული ეფრემი გრიგოლის იმ ლექსების მთარგმნელად, რაც, როგორც ირყეოლა, მისი თარგმანი იქნა (გვ. 87)..

გიორგ მეცნიერებაში, კერძოდ, მომზადებულია პროფ. დ. მელიქიშვილის შრომა „გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა და ქართული ფილოსოფიური ენის განვითარების გზები“, იბეჭდება ე. ჰელიძის „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია“<sup>6</sup>. რადგან გელათური სკოლის წარმომადგენელთაგან შესწავლილი და გამოქვეყნებული იყო მხოლოდ იოანე პეტრიწის შრომები (დ. მელიქიშვილი), ამონიოს ერმისის და იოსებ ფლავიოსის თხზულებების ანონიმური თარგმანები (მ. რაფაეა, ნ. მელიქიშვილი), ამდენად, ჩვენი ძეგლებიც მხოლოდ მათთან იყო ტერმინულად შედარებული. აღბნა, მიზანშეწონილი იქნება მათი ხელახალი ტერმინული შედარება ზემოთ აღნიშნული ახალი მონოგრაფიების შედეგებთან, რაც უფრო მეტ სიცხადეს შეიძინებს გრიგოლის პოეზიის გელათური სკოლის მთარგმნელის გარკვევის საქმეში. ამჯერად კი ჩვენი შრომიდან გრიგოლის პოეზიის შესახებ გამოვიტანთ იმ ნაწილს, რაც ქართული მწერლობის ისტორიისათვის უფროა საყურადღებო, ვიდრე ბიზანტიტიკისათვის და განვიხილავთ მას ქართულ პრობლემათიკასთან დაკავშირებით. კორექტივია შესატანი ქვემოთ წარმოდგენილ XVIII—XIX სს. მოღვაწეთა შეხედულებებშიც. შევეცდებით ამ ფონზე განვიხილოთ გრიგოლის პოეზიასთან დაკავშირებული მათი მოსაზრებანი.

ანტონ I. ანტონის „წყობილსიტყვაობა“ წარმოადგენს ეროვნული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველ ცდას, ამ მწერლობის პირველ დიდ შეფასებას... იგი პირველი ინფორმაციული ხასიათის დიდი ქმნილებაა<sup>7</sup>, ამდენად მის ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად.

ანტონის „წყობილსიტყვაობის“ ერთი მინაწერის ცნობის ზოგიერთი შეცდომიდანაც ჩანს, რომ რეალური და ზუსტი ინფორმაცია გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული ვერსიის შესახებ ანტონისა და მისი მიმდევრებისათვის არ არის ცნობილი, რადგან აქ ჯერ ერთი, პირდაპირ კი არა, არამედ მცდარად გაგებული სურათია ასახული და მეორეც, ეს ინფორმაცია კი სხვაგან არსად არ მეორდება. ჩანს, რომ ანტონს ან მის რომელიმე მიმდევარს, ვინც არ უნდა იყოს ამ მინაწერის ავტორი („წყობილსიტყვაობის“ ავტოგრაფული ნუსხა არ არსებობს<sup>8</sup> და ზუსტად თქმა ძნელია, თუ ვის ეკუთვნის ეს მინაწერი), ამოუცვია ანონიმური „კლემასის“ ფრაგმენტებში და გრიგოლის ზოგჯერ სახელწაუწერელ ლექსებში ამ თხზულებათა რაობა, მაგრამ მათ მთარგმნელ-შემდგენელზე სწორი ინფორმაცია მაინც ვერ მოუცია, რის გამოც ეს მინაწერი „წყობილსიტყვაობის“ ძირითადი ტექსტის გარეთ დარჩენილა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი ძეგლები XVIII საუკუნეში არ თარგმნილა (თუმცა ხელნაწერები ამ დროისაა) და მათი რაობაც ყველა გადამწერმა არ იცოდა.

„წყობილსიტყვაობის“ ეს ორი მინაწერი სტროფი, რომლებიც არ შედის ამ ძეგლის ძირითად ხელნაწერებში და გამოცემებში (და ამიტომაც რჩებოდა ყურადღების მიღმა) წარმოდგენილია იმ ანტონისებური სათაურით, რითაც შესულია ამ თხზულებაში თითოეული მოღვაწე და ავტორი:

„თ ვ ს მ ა მ ი ს ა ნ ი კ ი ტ ა მ ე ს ტ ი ხ ი ს ა“:

ნ ი კ ი ტ ა ს ვ ის მ ე გ ვ ე ტ ყ ვ ა ნ მ ე ს ტ ი ხ ე ს ა,

<sup>6</sup> ე. ჰელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნი პირველი, „რელიგია“, 1994, № 3-4-5, გვ. 113-126. წიგნი მეორე, „რელიგია“, 1995, № 1-2-3, გვ. 76-89.

<sup>7</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოცემა, თბ., 1972, გვ. 5.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 9.

საკვრ-რიტორსა, მაღალსა მეშაირეს,  
აჩუენებენცა, ვითარმედ: ამან დიდმან  
გრიგორის დიდის ნაჲყიან ჴელის სტიხნი  
ჩუენებრ გვთარგმნა, კჳალად ( ) ვითარმედ) აღგვკსნა  
ძნელნი.

ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა,  
თუ ქსთჳუა, მსჯობანცა, მაგრა განსაკვრებელ  
არიან. ბრძნულნი, ნუღმე კჳალად ( ) ვითარმედ) სხუცა  
სინელისათა გამონი თქმანი რამე  
პიტიკოსთა მებრ წესისა ტურფანი (S 3685. H 383).

ეს სტროფები გამოქვეყნებულია ხელნაწერ H 383-ის (1825 წ.) მიხედ-  
ვით პროფ. რ. ბარამიძის და ი. ლოლაშვილის მიერ. გადამწერის შენიშვნით,  
„ესე დაჰმოთილ იყო, მე ვჰპოვე და შთავსწერე, თავადმან დავით თუმა-  
ნოვმან“ (100v)<sup>9</sup>. ხელნაწერ H 383-ის ერთ-ერთი წყაროა ხელნაწერი H 225  
(1802 წ.), ი. ლოლაშვილის დაკვირვებით<sup>10</sup>, რომელიც ასევე გაიოზ რექტო-  
რიდან მოდის და ანტონის არხილიაკონის ტრიფილეს ხელშია გავლილი, რო-  
გორც „წყობილსიტყვაობის“ უმეტესი ხელნაწერები<sup>11</sup>. H 225-ში ეს იამბიკო-  
ები ჩართულია უნომროდ პეტრე გელათელისა და იოანე შავთელის ხოტბა-  
თა შორის (95v—96r), მაგრამ აქვს მინაწერი: „ამ ნიკიტას მუკლებს ნურც  
ერთს ნუ დასწერ. იოანე შავთელისა იწყე“<sup>12</sup>. საყურადღებოა, რომ ანტონის  
დედნიდან მომდინარე ნუსხაში A 334, 1768 წ., ან ანტონის მიერ რედაქტი-  
რებულ ტექსტში S 1464, 1759—1760 წწ.<sup>13</sup>, რომ არაფერი ვთქვათ სხვა  
ხელნაწერებზე, ეს სტროფები არაა. აღნიშნულ გამოცემათაგან განსხვავებით,  
ჩვენ გადავსინჯეთ კიდევ რამდენიმე ნუსხა: S 1477, 1787 წ.; S 5049, 1789 წ.;  
S 4774, 1792 წ. სადაც ასევე არაა მოთავსებული განსახილველი სტროფები  
არც ტექსტის შუაში და არც ბოლოში. მხოლოდ ერთ ადრეულ ხელნაწერში  
S 3685, 1797 წ., რომელიც დასახელებულ გამოცემებში არაა გამოყენებული  
და ასევე გაიოზ რექტორისაგან მომდინარე და ტრიფილეს ხელში გავლილი  
ნუსხიდან უნდა მომდინარეობდეს გაიოზის წინასიტყვაობისა და ტრიფილეს ან-  
დერძის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო სტროფები ბოლოშია მიწერილი  
(629v) და გამოქვეყნებულია ხელნაწერთა აღწერილობაში<sup>14</sup>. რაც შეეხება  
„წყობილსიტყვაობის“ პლ. იოსელიანისეულ გამოცემას (1853 წ.), მის მიერ  
გამოქვეყნებული წყაროები გაანალიზებულია ამ ძეგლის ორსავე დასახე-  
ლებულ გამოცემაში და ჩვენთვის საინტერესო სტროფები იქ არ არის.

ი. ლოლაშვილის აზრით, ამ სტროფებში შეეცდომაა, რადგან ნიკიტა მეს-  
ტიხეს, რომელსაც თითქოს უმოღვაწნია XI-XIII საუკუნეებში (რადგან ერთ-  
ერთ ხელნაწერში (H 225) ეს სტროფები ამ პერიოდის ავტორთა შორის  
იყო მოთავსებული), ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს. ანტონ

9 იხ. რ. ბარამიძის დასახ. გამოცემა, გვ. 11. იხ. აგრეთვე ანტონ ბაგრატი-  
ონი. წყობილსიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა აღუერთო ი. ლო-  
ლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 103-105.

10 იხ. ი. ლოლაშვილის გამოცემა, გვ. 104.

11 იხ. რ. ბარამიძის გამოცემა, გვ. 9.

12 იხ. ი. ლოლაშვილის გამოცემა, გვ. 104.

13 იქვე, გვ. 86, 97.

14 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, თბ., 1967, გვ. 165.



ქართველ პოეტად მიუჩნევია არსენ ივალთოელის ერთი იამბიკოს კიდურწე-რილობის ნიკიტა (ნიკიტა სტიტათი)<sup>15</sup> და ამასთან ეს ნიკიტა მესტიზე გაუიგივებია ნიკიტა პაფლალონელთან, რომელმაც გრიგოლის იამბიკოებს დაუერთო კომენტარები და ამგვარი აღრევის შედეგად წარმოიშვა მისივე ცნობა, რომ „ნიკიტა მესტიხემ“ „გრიგოლ დიდის ნაზიანზელის სტიხნი ჩუენებრ გვითარგმნა, ვითარმედ აღგვკსნა ძნელნი“. ეს შეცდომა ანტონს თუ მის მოწაფეს გაუსწორებია და ეს ორი იამბიკური სტროფი „წყობილსიტყვაობაში“ აღარ შეუტანია. ი. ლოლაშვილის აზრით, ნიკიტას ნათარგმანებ გრიგოლ ნაზიანზელის „სტიხნი“-ში ეფრემ მცირის მიერ გადმოღებული გრიგოლის 100 იამბიკო რგულისხმება<sup>16</sup>; მაგრამ საყურადღებოა, რომ კომენტარებულა არა ეფრემის „ასეული იამბიკო“, არამედ ოთხთეაპედის ანონიმური თარგმანი („თარგმანებაჲ სწავლანთა ოთხმუჯლთა ღმრთისმეტყუელისათაჲ ნიკიტა პაფლალონელი-საჲ)<sup>17</sup>. ი. ლოლაშვილი არაფერს ამბობს მინაწერ სტროფთა ბოლო ნაწილზე, სადაც კიდევ ერთ ძეგლზეა საუბარი—იოანე სინელის „კლემაქსზე“ („არიან... კულად სხუაცა სინელი სათა გამონი თქმანი რამე...“). ბუნებრივია, ი. ლოლაშვილისათვის უცნობი იყო, რომ არსებობს იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსია და იგი გრიგოლის ლექსების ასევე ანონიმურ ქართულ ვერსიასთან არის დაკავშირებული. ამ იამბიკურ სტროფებში სწორედ ეს ჩანს.

ახლა, როცა ვიცით არსებობა გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების და იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიებისა, უფრო იოლია ამოვიცნოთ განსახილველი სტროფების შინაარსი, ხოლო ეს სტროფები რომ სწორედ ამ ორ ძეგლს და მათ კავშირს გულისხმობს, აშკარაა (ისინი, როგორც ვთქვით „წყობილსიტყვაობის“ ერთ ნუსხაში (H 225) იეზეკიელისა და პეტრე გელათელისადმი მიძღვნილ სტროფებს მოსდევს. ჩვენი ძეგლების ხელნაწერთა უმეტესობაშიც (A-დან: S 2568 მომდინარე) იეზეკიელის და პეტრე გელათელის იამბიკოები და გრიგოლის პოეზიის და „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთად მოთავსებული<sup>18</sup>.

მიუხედავად შეცდომებისა, „წყობილსიტყვაობის“ ეს სტროფები ჩვენთვის სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი, რომ მათში ჩანს ამ ორი ვერსიის ურთიერთობა და მათი ერთ პიროვნებასთან (ერთ მთარგმნელ-შემდგენელთან) დაკავშირება. რაც შემდგომ, ალბათ, ამაზე დაყრდნობით „წყობილსიტყვაობის“ პლ. იოსელიანისეულ კომენტარშიც აისახა, სადაც ასევე გრიგოლის ე. წ. 186-მუხლიანი თხზულება, ჩვენი აზრით, ორსავე ამ ვერსიას გულისხმობს (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, ამ სტროფებით უდავოდ ირკვევა ბევრი რამ და მტკიცდება კოდიკოლოგიურ-ტიქსტოლოგიური და ენობრივ-სტილისტური ანალიზით გამოთქმული შეხედულებანი გრიგოლის პოეზიის და მასთან იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმურ ქართულ ვერსიებზე:

1. XVIII საუკუნეში რამოდენიმე მკოდნე პირმა (და არა ყველა გადამწერმა) მანაც იცოდა, რომ გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანი და იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსია ერთმანეთთანაა და-

15 შტრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 279. იხ. ი. ლოლაშვილის დასახ. გამოკვლევა.  
 16 იქვე, გვ. 105, შენ. 24.  
 17 ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია, „მრავალთავი“ XVII, თბ., 1992, გვ. 93-106.  
 18 იხ. ჩვენი ზემოთ დასახ. შრომები.



კავშირებული (ალბათ ხელნაწერებში ერთად მოთავსების გამო და მათი შინა-  
არსიდან გამომდინარე) და, შესაძლოა, ერთსა და იმავე პიროვნებას ეძღვნება  
ნოღეს.

2. ამ პიროვნების ვინაობა უცნობია, სახელი „ნიკიტა მესტიზე“ პირო-  
ბითია, რადგან მისი არსებობა სათუოდაა მიჩნეული („ნიკიტას ვისმე  
გუე ტყუან მესტიხსა... აჩუენებენცა, ვითარმედ ამან...“), როცა  
სხვა ავტორებზე „წყობილსიტყვაობაში“ დანამდვილებითაა ნათქვამი: „იეზე-  
ციელს ვიცნობ თვისით სიტყუებით“ (სტრ. 766—ი. ლოლაშვილის გამოცე-  
მა), „ვნახენ წერილნი პეტრე ფილოსოფოსის“ (769) და სხვ. როგორც  
ჩანს, ბოლოს იგი ქართველ ავტორად აღარ უცნიათ, რადგან არ შეუტანიათ  
„წყობილსიტყვაობის“ თავში „თვს ქართველთა სიბრძნისმოყუარეთა  
კაცთა მწიგნობართა“, განსაკუთრებით, ზემოთ დასახელებულ ანტონის რე-  
დაქტირებულ ტექსტებში.

3. ეს ნიკიტა რომ არაა ქართველი ავტორი და გრიგოლის პოეზიის ხელ-  
ნაწერთა შინაწერების მიხედვით, ოთხტაეპედის კომენტატორ ნიკიტა პაფლა-  
ლონელთანაა აღრეული, ჩანს იქიდანაც, რომ ამ შინაწერ იამბიკოებში იგი გრი-  
გოლის ლექსების „ძნელთა აღმსნელად“ (ე. ი. განმმარტებლად) არის დასა-  
ხელებული. მართლაც, ქართული ვერსიის ბერძნულთან შედარება ცხადყოფს,  
რომ ნიკიტას ვრცელი პარაფრაზი ქართველ მთარგმნელს გამოუყენებია, მაგ-  
გრამ უფრო მეტად თავად ოთხტაეპედის ტექსტის ქართულ ზღმნიშვნელობით  
თარგმანის ძნელი თუ თარგმანისას გამოტოვებული ადგილები განუმარტავს<sup>19</sup>.

4. ამ შინაწერიდან ჩანს აგრეთვე, რომ ოთხტაეპედის და მისი ნიკიტა-  
სეული კომენტარის ქართველი მთარგმნელიც ერთი და იგივე პირია („აჩუე-  
ნებენცა ვითარმედ ამან დიდმან გრიგორის დიდის ნაზიანზელის სტიხნი ჩვე-  
ნებრ გვითარგმნა, კუალად აღგვანა ძნელნი“).

5. არც ანტონმა და არც მისმა მიმდევრებმა არ იციან, თუ ვინ არის ჩვენი  
ძეგლების მთარგმნელ-შემდგენელი, ხოლო შექმნის ეპოქას რომ დაახლოებით  
ვარაუდობენ, ჩანს იქიდანაც, რომ ეს სათუო სტროფები ერთ-ერთ ხელნა-  
წერში (H 225) იეზეციელისა და პეტრე გელათელის შესახებ დაწერილ სტრო-  
ფებთან არის მოთავსებული, ე. ი. იოანე პეტრიწის მიმდევრებთან (ან-  
ნის მიხედვით), ანუ გელათური სკოლის მოღვაწეებთან (უკანასკნელი გა-  
მოკვლევების მიხედვით) და შეფასებაც ისეთი აქვს მიღებული, როგორც  
იოანე პეტრიწის მიმდევარს—იოანე პეტრიწთანაა პიტიციოსობით შედარე-  
ბული იეზეციელისა და პეტრე გელათელის მსგავსად.

6. აქედან გამომდინარე, იგი XII—XIII სს. მოღვაწედ და იოანე პეტრი-  
წის და მისი სკოლის მიმდევრად მიაჩნიათ (აქედანვე ჩანს, რომ XVIII სა-  
უკუნისათვის ეს ანონიმი არც იეზეციელთან და არც პეტრე გელათელთან გა-  
იგივებული არაა). სხვათა შორის, ხელნაწერებშიც იეზეციელისა და პეტრე  
გელათელის იამბიკოები ყველგან უმეტესად გრიგოლის პოეზიისა და „კლე-  
მაქსის“ ანონიმურ ქართულ ვერსიებთანაა დაკავშირებული, იშვიათად—იოანე  
პეტრიწის „სათნოებათა კიბესთან“ (იხ. ზემოთ შწწ. 18). ამდენად, შემთხვე-  
ვითი არ იყო, რომ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია და „კლემაქსის“ ანონიმურ  
ქართული ვერსიები XVIII საუკუნეში გაამრავლეს გელათური სკოლის  
წარმოადგენლების—იოანე პეტრიწის, იეზეციელისა და პეტრე გელათელის  
ლექსებთან ერთად.

<sup>19</sup> იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური  
ქართული ვერსია, „მრავალთავი“ XVII.

7. სხვათა შორის, „წყობილსიტყვაობაში“ ეხეიელისა და პეტრე გელათელისადმი მიძღვნილ ატროფებთან ამ სტროფების ჩართვა, შესაძლოა, იმდროინდელი იყო გამოწვეული, რომ გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართულ ვერსიის შემცველ A ხელნაწერში (S 2568), როგორც ვთქვით, ისინი (გრიგოლის ლექსები, იეზეიელის და პეტრე გელათელის იამბიკოები) ერთადაა მოთავსებული, როგორც გელათური სკოლის მიმდევართა ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებანი. ანტონის დროისათვის, შესაძლოა, არსებობდა A-ს ადრეული ჩვენთვის უცნობი ნაკლები დედანი და სწორედ იგი იყო ცნობილი ანტონისა თუ მისი მიმდევრებისათვის. ი. ლოლაშვილის დაკვირვებით ანტონის „წყობილსიტყვაობის“ წყაროებზე, ანტონს ხელთ უნდა ჰქონოდა ზოგიერთი დღეისათვის დაკარგული ხელნაწერი, რადგან მას ხელი მიუწვდებოდა დავით გარეჯის, მცხეთის, გელათის საკათალიკოსო და თბილისის სამეფო წიგნსაცავებზე, რომლებიც არაერთგზის აოხრდა XVIII საუკუნეში<sup>20</sup>.

8. ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ აღნიშნული ძეგლები XVIII საუკუნეში არ თარგმნილა და შექმნილა, რადგან მაშინ „წყობილსიტყვაობის“ ცნობაში ზუსტად იქნებოდა მოცემული მთარგმნელ-შემდგენელის ვინაობა და არსებული ცნობის განხილული გაუგებრობანი არ წარმოიშობოდა.

საგულისხმოა, რომ იოანე პიტრიწის „სათნოებათა კიბეც“ ასევე ვვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული<sup>21</sup>, მაგრამ „წყობილსიტყვაობის“ შესაბამის თავში მისი ეს შრომა მოხსენებულია (სტრ. 739). იოანე პიტრიწის ამ სრულ ტექსტზე ისევე როგორც XI—XIII სს. მწერლობის სხვა ნიმუშებზე სრული ინფორმაციაა XVIII—XIX სს. ლიტერატურაში<sup>22</sup>. ჩვენი ნაკლები დედნიდან მომდინარე ძეგლების რაობა კი გაურკვეველი იყო, რადგან ავტორისა და მთარგმნელის ვინაობის ცნობების გარეშე დეფექტური ტექსტით იყო გავრცელებული. სწორედ ამიტომ მათზე არანაირი პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება ამ პერიოდის საცნობარო ლიტერატურაში.

ანტონის „წყობილსიტყვაობის“ წარმოდგენილი ცნობით ნაწილობრივ მართლდება აგრეთვე მკვლევართა მოსაზრება ამ ძეგლზე—ანტონის მიერ წყაროების პასუხისმგებლობით გამოყენებაზე (მიუხედავად იმისა, რომ ანტონის ზოგი მოსაზრება მცდარია, მისი „წყობილსიტყვაობის“ ცნობები ძირითადად სანდოა, რამდენადაც ზოგჯერ, შესაძლოა, ჩვენთვის უცნობ წყაროს ეყრდნობოდეს; ანდა ფასეულია თუნდაც იმიტომ, რომ ზოგჯერ სხვა წყაროები დღემან რაიმე საკითხის შესახებ<sup>23</sup>). ანტონის მიერ წყაროების პასუხისმგებლობით გამოყენებაზე მეტყველებს ისიც, რომ განხილული საეკვო სტროფები აღარაა შეტანილი „წყობილსიტყვაობის“ უმრავლეს ნუსხაში.

საყურადღებოა შემდეგიც: ცნობილია, რომ ანტონი „წყობილსიტყვაობაში“ განადიდებს ქართველ მწიგნობრებს და ერთგვარ რომანტიკულ დამოკიდებულებას ამკლავებს წარსულის მეგვიდრეობის მიმართ. ხშირად ასეთი განდიდება არცთუ უსაფუძვლოა, მაგრამ ზოგჯერ, ი. ლოლაშვილის აზრით, ვადაქარბებულია, მაგ., იეზეიელისა და პეტრე გელათელის შემთხვევაში

20 ი. ლოლაშვილი, „წყობილსიტყვაობის“ დასახ. გამოკვლევა, გვ. 56.  
21 იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბეც, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 168.  
22 იხ. წყობილსიტყვაობის ი. ლოლაშვილისეული გამოცემა, გვ. 269. იხ. დავით რექტორი, იოანე ბაგრატიონი, „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“. ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1982, გვ. 156, 169. ანტონის „სპეკალი“, იხ. „წყობილსიტყვაობის“ დანართი, გვ. 317.  
23 იხ. წყობილსიტყვაობის ი. ლოლაშვილისეული გამოცემა, გვ. 27, 55-58, რ. ბარამიძის დასახ. შრომა, გვ. 3.



(სტრ. 766-767, 768-769)<sup>24</sup>. მართალია, ისინი განათლებული მწიგნობრები არიან, მაგრამ ვერ შეედრებიან იოანე პეტრიწს, არსენ იყალთოელს, ეფრემ მცირეს (რომელსაც ადარებს მათ ანტონი) ვერც ლიტერატურული პროდუქციით, ვერც გონებრივი დიაპაზონით, ვერც მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნებით<sup>25</sup>. ასევე შეიძლება მოგვეჩვენოს ზემოთ განხილულ სტროფებში „ნიკიტა მესტიხის“ (ჩვენთვის ანონიმის) ქება, მით უმეტეს, რომ თუ ანტონი იეზუიტებს და პეტრე გელათელს მხოლოდ და მხოლოდ ადარებს ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს და იოანე პეტრიწს და მათ მსგავსად და თანასწორად მიიჩნევს, ჩვენი ანონიმი პეტრიწზე უმჯობესადაც კია აღიარებული („ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა, თუ ჰსთქუა, ჰსჯობანცა...“).

ფიქრობთ, ამ სტროფებში (იეზუიტების, პეტრე გელათელისა და ჩვენი ანონიმის შესახებ) საუბარი უნდა იყოს არა იმდენად ამ ავტორთა განდიდებაზე, რამდენადაც ერთი მწიგნობრული სკოლის ტრადიციების მიყოლაზე. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ეს ავტორები უპირველესად იოანე პეტრიწთანაა შედარებული და შემდეგ არსენთან და ეფრემთან (ჩვენი ანონიმი კი მხოლოდ პეტრიწთან). იეზუიტი და პეტრე გელათელი რომ პეტრიწის მიმდევარნი იყვნენ (უკანასკნელი შრომების შემდეგ კი შეიძლება ვთქვათ რომ ზოგადად გელათური სკოლის წარმომადგენლები), ცნობილი იყო ჩვენს მეცნიერებაში, როგორც ზემოთ ვნახეთ. იგივე შეიძლება ითქვას ანონიმზედაც. ანტონის ასეთი შეფასებით თითქოს ცხადი ხდება ქართული სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიის ერთი ძირითადი წამყვანი გზა—ელინოფილები: ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, განსაკუთრებით იოანე პეტრიწი და „მისი მიმდევარნი“ (იეზუიტი, პეტრე გელათელი და ანონიმი). იქნებ, სწორედ ამ ნიშნით—მიბაძვით და დიდ წინამორბედთა ტრადიციების დაცვის მიხედვით ადარებს მათ ანტონი ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს და იოანე პეტრიწს და ამ ნიშანს მიიჩნევს ქებისათვის საკმარისად? („ესე კმა ქებად, მირწმუნე ესე, მსმენო! (768),—ამბობს იგი პეტრეზე<sup>26</sup>. სხვათა შორის, ამასვე უნდა გულისხმობდეს იოანე ბაგრატიონი, როცა ამბობს, რომ იეზუიტი და პეტრე გელათელს „მოდღვრებით“, „სწავლით“, „მუთუსწორებდნენ“ და „შეამსგავსებდნენ“ იოანე ფილოსოფოსს, არსენის, ეფრემს და სხვათა ფილოსოფოსთა<sup>27</sup>.

შესაძლოა, ანონიმის იოანე პეტრიწზე უმჯობესად მიჩნევა იმ ნიშნით მოხდა, რომ მისი ლექსითი თხზულებანი რაოდენობრივად იეზუიტებისა და პეტრე გელათელისაზე მეტი იყო; ანდა, შესაძლოა, კიდევ იმ ნიშნითაც, რომ გარდა დოგმატიკურ-მორალური ლექსებისა, ანონიმმა თარგმნა გრიგოლის პოეზიის ყველაზე საუკეთესო ნაწილიც—მისი ჰიმნური აღსარებები, რომელთა მსგავსი ქართულ სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიაში (არც ნათარგმნი და არც ორიგინალურში) ჯერჯერობით არ ჩანს. ეფრემთანაც, არსენთანაც და იოანე პეტრიწთანაც მხოლოდ დოგმატიკურ-მორალურ ან ასკეტიკურ-მისტიკურ თემებზე შეთხზული ლექსები გვხვდება. ფაქტიურად, ქართულ სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიაში (ნათარგმნი და ორიგინალური), თუ არ ჩავთვლით მცირე იამბიკებს, რაოდენობრივად ყველაზე დიდი ნაწილი გრიგოლ

24 იხ. ი. ლოლაშვილის დასახ. გამოცემა, გვ. 274—275.

25 იქვე, გვ. 57.

26 ანტონი, წყობილიტყვაობა... ი. ლოლაშვილის გამოცემა, გვ. 274.

27 იოანე ბაგრატიონი, მცირე უწყებანი..., გვ. 172.

ნაზიანზელის პოეზიაზე და იოანე სინელის „კლემექსზე“ მოდის (ეფრემ მცხეთელის „ასეული იამბიკო“, გრიგოლის ლექსებისაგან შედგენილი; გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული ვერსიები, თანე სინელის „კლემექსის“ იოანე პეტრიწისა და ანონიმის გალექსილი ვერსიები).

აქვე დასაშვებია მეორე ვარაუდიც, როგორც ცნობილი იყო, კ. კეკელიძეს იოანე სინელის „კლემექსის“ ე. წ. პეტრიწული (ანუ გელათური) თარგმანის ავტორად პეტრე გელათელი მიიჩნდა ტექსტზე დართული იამბიკოების მიხედვით, ხოლო თავად პეტრე გელათელი—XII—XIII სს. მოღვაწედ<sup>28</sup>. ი. ლოლაშვილმა სხვაგვარად წაიკითხა აღნიშნული იამბიკოები და „კლემექსის“ მთარგმნელად იოანე პეტრიწი მიიჩნია, ხოლო პეტრე გელათელი—მხოლოდ ტექსტზე დართულ იამბიკოების ავტორად, სადაც პეტრე თითქოს მხოლოდ ზოტბას ასხამდა იოანე პეტრიწის ღვაწლს<sup>29</sup>. ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებდით<sup>30</sup>. ე. ჭელიძემ კვლავ მართებულად წაიკითხა იამბიკოები: „პა. შენათა, დიდო, იქართლეს კულად...“ და როგორც პეტრეს იამბური ანდერძის მიხედვით, ისე თავად „კლემექსის“ ტექსტის ტერმინული სტრუქტურის მიხედვით დაასკვნა, რომ „კლემექსის“ აღნიშნული პროზაული ვერსიის მთარგმნელი პეტრე გელათელია, ხოლო თავად იგი XIII ს. შუა წლების მოღვაწეა<sup>31</sup>.

ასე რომ, პეტრე გელათელის რიტორობის, ღვთისმეტყველების, პიტიკოსობის ქება, შესაძლებელია, გადაჭარბებული არ იყოს ანტონის მიერ (როგორც ი. ლოლაშვილი ფიქრობდა). მისი ლიტერატურული პროდუქცია უფრო მეტია, ვიდრე იეზუცილისა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე იამბიკოს ავტორია. ასე რომ, ჩვენი ძეგლების შედარება ტერმინული თვალსაზრისით პეტრეს შრომებთან უფროა შესაძლებელი. იქნებ პეტრეს „სტიხნი“ ჩვენს ძეგლებსაც გულისხმობდეს „წყობილსიტყვაობაში“, ხოლო „ნიკიტა მესტიხეს“ სათუო სტროფები იქნებ სწორედ ამიტომ იქნა ამოღებული საბოლოოდ ანტონის რედაქციის „წყობილსიტყვაობიდან“ და ამ ძეგლის სხვა ნუსხებიდან. მაგრამ, როგორც ვთქვით, მხოლოდ დამატებითი კვლევა თუ გადაჭრის სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს ფეხმოყიდებულ ვარაუდს, რომ გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანების ავტორად პეტრე გელათელი მივიჩნით<sup>32</sup>. ხოლო თუკი მხოლოდ ანტონს დავეყრდნობით, იეზუციელსაც შეეძლო მთარგმნელის თანაბარი უფლებებით ესარგებლა, რადგან მასაც ასევე უქმებს პიტიკოსობას ანტონი და მისი იამბიკოებიც პეტრე გელათელის იამბიკოებთან ერთადაა მოთავსებული ანონიმის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში.

28 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I. გვ. 333. 612.

29 „სათხოვბათა კიბის“ ი. ლოლაშვილისეული გამოცემა, გვ. 65—68, 89.

30 ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემექსის“ უცნობი ქართული ვერსია, „მაცნე“, 1987, № 4, გვ. 130.

31 ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა I, „რელიგია“, № 3—4—5, გვ. 121. იხ. აგრეთვე მისივე შრომა „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია“ (იბეჭდება). იმავე აზრისაა დ. მელიქიშვილიც.

32 გელათურ სკოლაში გავრცელებული რამდენიმე საერთო ტერმინის მიხედვით ანონიმური ოთხმუსულის შედარება „კლემექსის“ პეტრე გელათელისეულ თარგმანთან სიკადა ე. ნიკოლაძემ (ეფრემ მცხეთელ—მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959, გვ. 56), რაც საბოლოო დასკვნისათვის არ გამოდგება (იხ. ჩვენი დასახ. შრომები).

„წყობილიტყვაობის“ განხილული დანართი სტროფები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ გრიგოლ ნაზიანზის პოეზიის ვრცელი ანონიმური თარგმანი და მასთან დაკავშირებული იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსია შექმნილია არა XVIII საუკუნეში, არამედ XII-XIV სს. შორის გელათურ სკოლაში, შესაძლოა, ერთი და იმავე პირის მიერ. ტერმინულ სხვაობას მათ შორის ზოგჯერ თხზულებათა ენრიც განსაზღვრავდა (იხ. ჩვენი დასახ. შრომები).

ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი (შედგენილობა, ტექსტების ნაკლულევანება, პროსოდის ნიშნები, ურთიერთჩართვა ფურცელთა აღრევის გამო და სხვ.), ენობრივ-სტილისტური ანალიზი და აგრეთვე ზემოთ განხილული ფილოლოგიურ-ისტორიული არგუმენტებიც ცხადყოფს, რომ გრიგოლის პოეზიის და „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიები შესრულებული და შედგენილია გელათურ სკოლაში ქართულ ვარემოში (რაც უფრო დაწვრილებითაა გაანალიზებული ჩვენს დასახ. შრომებში) და გადაწერილი და გამრავლებულია ანტიონის სკოლაში მის მიმდევართა მიერ XVIII-XIX საუკუნეებში, სადაც მრავლდებოდა ძირითადად გელათური სკოლის მოღვაწეთა თხზულებანი.

თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ნაწილში უკრიტიკოდ გადავიდა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის A რედაქციის ცნობა, სადაც ეფრემისეული „ასეული იამბიკოს“ მთარგმნელად პეტრე იბერია დასახელებული. ამ ნუსხის B რედაქციით იგი ნათარგმნია „წმიდათა მამთა ქართველთა მთარგმნელთაგან“<sup>33</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონის ეს ცნობა მართებულად გამოცხადდა მცდარ ინფორმაციად<sup>34</sup> და მის მიზეზად დასახელებული იქნა შემდეგი: თეიმურაზს ხელთ უნდა ჰქონოდა „ასეული იამბიკოს“ მეორე რედაქცია (ანუ გრიგოლის ოთხტაბედის ანონიმური ქართული თარგმანი—ქ. ბ.), რომლის მთარგმნილადაც, პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობით, პეტრე გელათელია დასახელებული და როგორც ჩანს, ორი პეტრეა არეული ერთმანეთში<sup>35</sup>. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ასეთი გაგება თეიმურაზის წიგნსაცავის ერთი ხელნაწერიდან უნდა მოდიოდეს, სადაც გრიგოლის ლექსების შემდეგ პეტრე გელათელის იამბიკოა მოთავსებული ზედწარწერით „პეტრე“: „პა, შენთაცა, დიდო, იქართლეს კულად...“ C 9,54v. ეს ხელნაწერია ს.-პეტრე-ბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერი თეიმურაზ ბაგრატიონის კოლექციიდან L:C 9, ჭვირნიშნის მიხედვით 1788 წლით დათარიღებული, მხედრულად დაწერილი, თეიმურაზის კრიპტოგრაფით<sup>36</sup>. ეს ხელნაწერი გრიგოლის ლექსების, ანონიმური „კლემაქსის“ და ჩართული

<sup>33</sup> იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი—ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი (გამოკვლევა და ტექსტები). თბ., 1974, გვ. 95, 138. შდრ. შ. ნუცუბიძე, შრომები V, თბ., 1975, გვ. 228, 236. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 106-107, შენ. 2.

<sup>34</sup> კ. კეკელიძე, Проф. Э. Хонигман о Петре Ибере и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, „ეტრედები“, IX, თბ., 1963, გვ. 255, შენ. 4. ი. ლოლაშვილი, არეოპაგეტის პრობლემები, თბ., 1972, გვ. 162—163. არეოპაგეტული კრებული, დონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1983, გვ. 172. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი 11 (შემოქმედება), თბ., 1974, გვ. 58—59.

<sup>35</sup> იხ. კ. კეკელიძის და გ. შარაძის დასახ. შრომები.

<sup>36</sup> P. Орбели, Собрание грузинских рукописей ИВ АН СССР. Ученые записки Института Востоковедения, IX, 1954, о. 30—66. P. Орбели, Из криптографированных записей Теймураза Багратиони. УЗ ИВ, т. XVI, М., 1958, с. 396.



იამბიკოების შედგენილობით მოსდევს A-ს, ანუ გრიგოლის ლექსების ანთოლოგიური თარგმანების შემცველ ძირითად ხელნაწერს—S 2568-ს, დამატებით ერთვის თეიმურაზის ფილოსოფიური ლექსიკონი.

როგორც ვთქვით, ჩვენი ვარაუდით, ამ საკუთარი კოლექციის ხელნაწერს უნდა გულისხმობდეს თეიმურაზი თავის წიგნსაცავის კატალოგში, სადაც საუბრობს გრიგოლის 100 5-ტაეპიან იამბიკოდ ვალექსილ სტიხზე (ანუ ეფრემ მცირის „ასეულ იამბიკოზე“), რომელიც, მის მიხედვით, ნათარგმნია „წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან“. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ L ხელნაწერს მხოლოდ თავში აკლია ორი რვეული (L რვეულიდან იწყება. დანარჩენი რვეულები სრულია), სადაც შესაძლოა, სწორედ ეფრემის „ასეული იამბიკო“ იყო მოთავსებული, რომელსაც L რვეულიდან უკვე გრიგოლის ლექსების ვრცელი ანონიმური ვერსია მოსდევდა (სხვათა შორის, „ასეული იამბიკო“ ამგვარად უძღვის წინ გრიგოლის ლექსების ანონიმურ თარგმანებს C F I, ანუ S 348, S 373<sup>1</sup>, A 711, XVIII—XIX სს. ხელნაწერებში)<sup>37</sup>. თეიმურაზისათვის, როგორც ჩანს, არ განირჩევა ერთმანეთისაგან გრიგოლის ლექსების ეფრემისეული და ანონიმური ვერსიები. კატალოგის B რედაქციაში კი თითქოს ჩანს, რომ „ასეული იამბიკო“ ნაწილია გრიგოლის ლექსების ქართული თარგმანებისა (ესე სტიხნი გრიგორი ღმრთისმეტყველისანი, რომელსა შინაც არიან სწავლანი წარმართთა მიმართ, რომლისაგან განაყენა ქრტიანენი ივლიანე განდგომილმან. ზედაწარწერილი თვით მისივე. ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან“<sup>38</sup>).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ჩანს, A (S 2568) ხელნაწერის დედანი თავისი შედგენილობითაც (იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბე“, ანონიმის თარგმანები გრიგოლის პოეზიისა და „კლემაქსისა“, იეზეკიელი, პეტრე გელათელი და სხვ.) უფრო ადრეული, გელათური წარმომავლობის კრებულია. „ასეული იამბიკოს“ ჩართვა A-დან უშუალოდ თუ არაუშუალოდ მომდინარე გრიგოლის პოეზიის სხვა კრებულებში უფრო გვიანდელი მოვლენაა<sup>39</sup>.

ის რომ, წარმოდგენა გრიგოლის ლექსების ქართული თარგმანების შედგენილობაზე და ანონიმურ „კლემაქსზე“ ამ პერიოდში ბუნდოვანია, ჩანს სხვათა შორის, თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის ავტოგრაფული კატალოგის შემთხვევითი მცდარი ცნობითაც. თეიმურაზი (ალბათ, მის ხელთ არსებული ხელნაწერების მიხედვით) არ იცნობს ამა თუ იმ ძეგლის ქართულ მთარგმნელს (გრიგოლის ლექსები, მისივე სტიხნი „განუზომელთაგან სიტყვანი იამბიკოდ“, რომელიც ვიცით, რომ არსენ იყალთოელის თარგმნულია, იოანე მონაზონის სტიხოსნი)<sup>40</sup> და მათზე ზოგადი მითითებით კმაყოფილია.

<sup>37</sup> იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S) I, 1960, გვ. 401; S V, 1967, გვ. 27. T. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, II, Тифлис, 1902, с. 181.

<sup>38</sup> კატალოგისათვის იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი—ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, გვ. 138. „ასეული იამბიკოს“ ძირითადი სახელია „წმ. გრიგოლი ღმრთისმეტყველისა ძეგლები იამბიკოთა სასწავლოსა წილ წარმართთაგან, რომლისაგან განაყენა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან. ზედაწარწერილი თვით მისივე“ (Jer. 43, A 109, XII—XIII სს. იხ. ჩვენი შრომა „მაენეში“, 1986, № 3, გვ. 88). „ზედაწარწერილი“ გრიგოლის გნომური ოთხმუხლდის (PG, 37, c. I, 2, 33) ეპიგრაფი ივლისსმება, სადაც ავტორის სახელი მოიხსენიება და რომლითაც იწყება ეფრემ მცირის მიერ შედგენილი „ასეული იამბიკო“.

<sup>39</sup> ქ. ბეზარაშვილი, დასახ. საღისერტაციო შრომა, გვ. 111.

<sup>40</sup> იხ. ქ. ბეზარაშვილი ი. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, გვ. 90 (ძირითადი ხელნაწერების წაიხთხვა „განუზომელთაგან“, ე. ი. სასოზით).



ფილდება: „თარგმნილი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან ქრისტეანულნი ძველად ბერძნულად ჩვენთა მთარგმნელთა ნათარგმნი“<sup>41</sup>. სხვათა შორის მათგან ერთ-ერთს ზოგადი მითითება ანონიმური თარგმანების შემთხვევაში უფრო შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე კატალოგში მათ მთარგმნელად პეტრე იბერის შეცდომით გამოცხადება, რაც კატალოგის მეორე ვერსიაში სამართლიანადაა გასწორებული (იხ. ზემოთ). ცხადია, თეიმურაზ ბაგრატიონი არ იცნობს მათ მთარგმნელს, რადგან ამ პერიოდისათვის (XVIII—XIX საუკუნეებისათვის) უკვე ზუსტი ინფორმაცია არა აქვთ მასზე, ხოლო ჩვენი ძეგლები რომ XVIII საუკუნეში ყოფილიყო თარგმნილი, მაშინ უეჭველად ეცოდინებოდათ თეიმურაზსაც და სხვებსაც. მიუხედავად ამისა, ისინი (ანტონი ან მისი მიმდევრები, თეიმურაზი, პლ. იოსელიანი—იხ. ქვემოთ) ვისაც არ უნდა ასახელებდნენ ამ თხზულებათა მთარგმნელებად, მათი ცნობებით მიიჩნევენ ჩანს, რომ ამ ძეგლებს ადრინდელ თარგმანებად მიიჩნევენ (დაახლოებით პეტრე გელათელის ეპოქასთან ახლომდგომად).

თეიმურაზის კატალოგთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ ზუსდდება ზოგი ინფორმაცია ჩვენი ძეგლების შესახებ: გ. შარაძის ვარაუდით, რომელიც კ. კეკელიძის მოსაზრებას ეფუძვნება, კატალოგის მცდარი ცნობა მთარგმნელზე (პეტრე იბერი) გამოწვეულია იმით, რომ თეიმურაზს ხელთ უნდა ჰქონოდა „ასეული იამბიკოს“ მეორე რედაქცია (იგულისხმება ანონიმური ოთხტაყედი—ქ. ბ.), რომელიც პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობით პეტრე გელათელს უთარგმნია, რაც გამხდარა პეტრე გელათელისა და პეტრე იბერის ერთმანეთში აღრევის მიზეზი<sup>42</sup>. აქ დაუშვამტებდით იმას, რომ თეიმურაზის კოლექციის ხელნაწერი C 9 შეიცავდა როგორც ერთს, ისე მეორეს (ანუ როგორც ეფრემ მცირის „ასეულ იამბიკოს“, ისე ოთხტაყედსა და გრიგოლის სხვა ლექსებსაც, ზემოთ აღნიშნული ცნობებით და მიზეზით პეტრე გელათელისეულად მიჩნეულს), რაც გამხდარა ამ ორი ვერსიის ერთმანეთთან დაკავშირების და ერთი მთარგმნელისადმი მიკუთვნების მიზეზი (პეტრე იბერი) და რაც ავტოგრაფიული კატალოგის B რედაქციაში სამართლიანად შეიცვალა უფრო ზოგადი ინფორმაციით ძველ ქართველ მთარგმნელთა შესახებ<sup>43</sup>.

<sup>41</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი—ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი (გამოკლევა და ტექსტები), თბ., 1974, გვ. 95, 138.

<sup>42</sup> იხ. ზემოთ დასვ. შრომები: გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 58—59, კ. კეკელიძე, Проп. Э. Хонигман о Петре Ибере... გვ. 255, შვ. 4.

<sup>43</sup> წარმოვადგენთ თეიმურაზის კატალოგის ცნობებს ორივე რედაქციის (AB) მიხედვით: „სტიხნი გრიგორი ღმრთისმეტყველისა (†ნი A) AB კონსტანტინეპოლის პატრიარხისა ნახიან (+ხ A) ელისა AB/ას იამბიკოდ გალექსილი A ( ) იამბიკონი, არს მუხლებად B) და თვითთელსა იამბიკოსა ხუთ-ხუთი ტრიქონი (!) აქს A ( ) (ესე იგი თვითთელს სტატია ანუ ლექსი) ხუთ-ხუთი ტრიქონი B). ესე არს ქართულსა ზედა ენასა თარგმნილი წმიდისა მამისა ქართველთა მთარგმნელისა პეტრეს მიერ, რომელ იყო ძეა სრულიად საქართველოსა მეფისა ვარაზ-ბაკურისა ზოსროიანისა, და იყო ესე დროსა თეოდოსი მცირისა ბერძენთა იმპერატორისასა. ესე სტიხნი გრიგორი ღმრთისმეტყველისანი A ( ) რომელსა შინაც B) არიან სწავლანი წარმართთა (+ მათ A) მიმართ AB, რომელნიცა A ( ) რომლისაგან B) განაყენა ქრისტიანენი ივლიანდ განდგომილმან AB, ზედა წარწერილი A (ზედწარწერილი B) თვით მისივე AB (+გრიგორისა A). +ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან B (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი—ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974, გვ. 52. საყურადღებოა მკვლევართა აზრი, რომ თეიმურაზი ზოგჯერ სწორ ცნობებს იძლევა ქართველ მთარგმნელებზე (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი. კრებულში: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1986, გვ. 15). ამ მხრივ, ჩვენს შემთხვევასთან დაკავშირებით კატალოგის B რედაქციის ცნობაც გრიგოლის ლექსების ქართველ მთარგმნელებზე სიმართლესთან უფრო ახლოა თავისი განზოგადოებით.

პლატონ იოსელიანი. აკად. კ. კეკელიძე ჩვენი ძეგლები  
ერთ-ერთ საგარეოდ მთარგმნელად პეტრე გელათელსაც ასახელებდა (XII—  
XIII ს.) პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვით, პეტრეს უთარგმნია გრიგოლის 186-მუხლიანი (ტაეპიანი) სიტყვა სტიხად<sup>44</sup>, რასაც კ. კეკელიძე აიგივებდა გრიგოლის ოთხტაეპედთან, რამდენადაც ასახელებდა S 379 ხელნაწერის იმ ადგილს (გვ. 103—119), სადაც ეს ვრცელი ლექსია მოთავსებული<sup>45</sup>, თუმცა იქ არ არის 186 მუხლი. აქ დასაშვებია ორი ვარაუდი:

1. ან აქ უნდა იგულისხმებოდეს ჰომილია („სიტყვა“), რომელიც მუხლებად (სტიხოსებად) იყო დაყოფილი<sup>46</sup>, თუმცა ასეთი სიტყვა არ ჩანს პეტრე გელათელის თარგმანთა შორის ხელნაწერების მიხედვით და არც პლ. იოსელიანის მიერ დასახელებულ სხვა სიტყვებს შორის. არც ისაა ნათქვამი, თუ გრიგოლის რომელი სიტყვა იგულისხმება აქ (186-მუხლიანი სიტყვა არ ჩანს გრიგოლის სტიქომეტრიან ჰომილიებს შორის). სხვათა შორის, კ. კეკელიძესთან დასახელებული ამ ცნობის თარგმნისას მ. თარხნიშვილს „სიტყვა“ გადააქვს როგორც „ჰომილია“. მის მიხედვით, პეტრე გელათელმა თარგმნა გრიგოლის 186-მუხლიანი ჰომილია ლექსად<sup>47</sup>.

2. სიტყვა (სიტყვა) შესაძლებელია სხვაგვარ საკითხავსაც ეწოდებოდეს. მაგ., ლექსს (მდრ. გრიგოლის „სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ“ ეფრემისეული თარგმანი და მისივე სხვა ლექსები: ეფრემისავე თარგმნილი ეფრემ ასურის ლექსები „სიტყუა ოთხმარცუალი და შვდმარცუალი“ და სხვ.<sup>48</sup>). აქედან გამომდინარე, პლ. იოსელიანის და ზ. ჭიჭინაძის ცნობის 186-მუხლიანი თუ ტაეპიანი „სიტყვა“. შესაძლოა მართლაც გრიგოლის ლექსებს გულისხმობდეს. მაგრამ არა მხოლოდ ოთხტაეპედს, რომლის არც სტროფთა და არც ტაეპთა რაოდენობა 186 არ არის, არამედ მთლიანად გრიგოლის პოეზიის ქართულ ანონიმურ თარგმანს და მასთან „კლემპქისი“ ანონიმურ ქართულ ვერსიასაც, რომელთა სტროფების რაოდენობა მთლიანობაში (მეტ-ნაკლებობით სხვადასხვა ხელნაწერში სანგურით გამოყოფილი დასაწყისების მიხედვით) დაახლოებით 186-ია.

რაც შეეხება ცნობას პეტრე გელათელის ამ ვერსიების მთარგმნელად გამოცხადების შესახებ (უფრო მწორად მხოლოდ გრიგოლის ლექსებისა, რადგან პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძისათვისაც, როგორც ჩანს, უცხოთა „კლემპქისი“ ანონიმური ვერსიის არსებობა, რამდენადაც მხოლოდ გრიგოლზე საუბრობენ და ოიანე მსინელს არ ასახელებენ), იგი, ვფიქრობთ, უნდა მოდიოდეს A:S 2568 ან მისი მსგავსი ხელნაწერის შედგენილობიდან, რომ-

<sup>44</sup> „გრიგორი ნაზიანზელისა სტიხად სიტყუანი, რომელსა შინა შეიცვან 186 მუხლინი“ (პლ. იოსელიანის წინასიტყვაობა დართული ანტონ I-ის წყობილისიტყვაობის 1853 წ. გამოცემაზე, გვ. 267). აქედან იმეორებს ამასვე ზ. ჭიჭინაძეც: „გიორგი (sic!) ნაზიანზელის სიტყვა შეიცავს სულ 186 ტაეპს“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XIII საუკუნიდან XVI საუკუნემდე, თბ., 1885, გვ. 2).

<sup>45</sup> კ. კეკელიძე, ზე. ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 332-333, 615.

<sup>46</sup> ჰომილიათა სტიქომეტრიისათვის იხ. კ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში (გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ“), „გულანი“, თბ., 1989, გვ. 100 და შემდგ.

<sup>47</sup> M. Tarchnischvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgische Literaturgeschichte K. Kekelidze, Vatican, 1955, S. 245.

<sup>48</sup> იხ. შენ. 46. იხ. აგრეთვე S. Gregorii Nazianzeni Arcana graeca..., ed. D. Hoesehelius, Lugduni Batavorum, 1531, იხ. შენ. ან და შენ. ამ სტაეპა დასახ. ლტერატურა.





მელსაც ალბათ დასახელებული მოღვაწენი იცნობდნენ. საქმე ისაა, რომ 1800 წ. და აქედან სხვა ხელნაწერებშიც (LE, ანუ C 9, 1788 წ. და 282542) პეტრე გელათელის იამბიკო („აჰა შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად“...), რომელიც შეიცავს ცნობას იოანე სინელის „კლემაქსის“ პეტრე გელათელის მიერ ხელმოწერად თარგმნის შესახებ, მოსდევს „კლემაქსის“ ანონიმურ ქართულ ვერსიას (A-ში, როგორც ვთქვით, საერთოდ მოთავსებულია გელათური სკოლის თხზულებანი: იოანე პეტრიწის, ანონიმის-პეტრე გელათელის, იეზუიელის). ამიტომ პეტრეს ამ იამბიკოს შეიძლება პლ. იოსელიანისათვის ეფიქრებინა, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ლექსები (და მასთან „კლემაქსის“ იმ დროისათვის უცნობი ქართული ვერსიაც) პეტრე გელათელმა თარგმნა. იგივე შეიძლება ითქვას თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაზეც (იხ. ზემოთ).

სხვათა შორის. „კლემაქსის“ გელათური პროზაული ვერსიაც ამ ნიშნით იყო (კ. კეკელიძე) და არის (ე. ჭელიძე) პეტრე გელათელისეულად მიჩნეული, რადგან ხელნაწერ A 39-ში (XIII—XIV სს.). მას მოსდევდა პეტრე გელათელის აღნიშნული იამბიკო (217v. გამოქვეყნებულია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) I, 1974, გვ. 120). შესაძლოა, ასე უოფლიოყო ჩვენს შემთხვევაშიც.

აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობები ზოგჯერ კი მცდარია. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება სიმართლეს შევსაბამებოდეს და ჩვენთვის უცნობ წყაროებს ეყრდნობოდეს, რასაც ისინი არ ასახელებენ<sup>49</sup>. ამ მხრივ, თუ ჩვენი ზემოთ თქმული ვარაუდი მართალია იმის შესახებ, რომ 186-მუხლიან სიტყვებში რაოდენობრიობის მი-ზ. ჭიჭინაძის ცნობები ზოგჯერ კი მცდარია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება სიხედვით გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანი და „კლემაქსის“ ანონიმური ვერსია იგულისხმება, მაშინ პლ. იოსელიანისა და მისგან აღებული ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული ცნობაც<sup>50</sup>, სიმართლესთან ახლოს ყოფილა.

კ. კეკელიძის მიხედვით, თუ მართლა პეტრე გელათელს ეკუთვნის გრიგოლის 186-მუხლიანი სიტყვის თარგმანი, მაშინ იმავე უნდა მივაკუთვნოთ ის „24 იამბიკო“ გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელიც ჩვენ გვაქვს S 379 ხელნაწერში<sup>51</sup>. კ. კეკელიძე დანამდვილებით არსად ამბობს, რომ ისინი პეტრე გელათელს მიეწერება. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ შეიძლება პეტრეს ეკუთვნოდეს<sup>52</sup>. კ. კეკელიძის ამ შენიშვნაში ერთი რამ არის საყურადღებო:

49 შტრ. ნ. მახათაძე, პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებული: „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964, გვ. 187-206. Барамидзе А. А., Ватеншвили Д. Л., Иоселиანი П. И. Очерк жизни и научно-общественной деятельности. Тб., 1978, с. 189—193. ნ. მახათაძე, ზაქარია ჭიჭინაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, მაინე, ელს, 1978, № 1, გვ. 56—67. მისივე, ზაქარია ჭიჭინაძე, კრებულში: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1986, გვ. 134-144. ზ. ჭიჭინაძე როგორც თვითონ ამბობს, აპირებდა მის მიერ გამოყენებული ისტორიული წიგნებისა და კატალოგების დაბეჭდვას (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XIII-XVI სს., თბ., 1885, გვ. 34), რაც ვერ განახორციელა.

50 ზ. ჭიჭინაძის წყარო ზოგჯერ პლ. იოსელიანის (იხ. ნ. მახათაძის დასახ. შრომები), ჩვენს შემთხვევაში ეს აშკარაა.

51 კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., I, გვ. 332-333, 615.

52 იქვე, გვ. 615. ეს ცნობა პეტრე გელათელის მიერ გრიგოლის 186-მუხლიანი სიტყვის (ლექსად) და 24 იამბიკოს თარგმნის შესახებ აისახა ლექსიკონ-ცნობარშიც (ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, გვ. 194). სადაც, ალბათ, კ. კეკელიძის მიხედვით ნათქვამია, რომ დაჭიოებით არ შეიძლება ითქვას, არის თუ არა 24 იამბიკოს მთარგმნელი პეტრე გელათელი. ამ ე. წ. 24 იამბიკოს შესახებ იხ. ჩვენი ზემოთ დასახელებული შრომები (მასში იგულისხმება გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანები).

მისი აზრით, თუ პეტრე გელათელმა თარგმნა გრიგოლის ერთი თხზულება—  
ოთხტაეპედი, მაშინ მასვე უნდა ეყუთვნოდეს ოთხტაეპედის ანონიმურ თარგმანთან  
დაკავშირებული გრიგოლის სხვა ლექსების თარგმანიც, ე. ი. კ. კე-  
კელიძე მათ ერთი მთარგმნელის ნამოღვაწარად მიიჩნევს.

რაც შეეხება გრიგოლის ლექსების ვრცელი ანონიმური ქართული ვერ-  
სიის მთარგმნელის ვინაობას, ეს საკითხი, როგორც ვთქვით, კიდევ მო-  
ითხოვს დამატებით კვლევას ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ახალი გამო-  
კვლევების შუქზე, რის შედეგადაც უფრო უნდა დაზუსტდეს ლიტერატუ-  
რულ-ისტორიული არგუმენტებიც. XVIII—XIX სს. მწერლებს იოანე პეტ-  
რიწის მიმდევრებად მიაჩნიათ ზოგიერთი მოღვაწე, რაც აისახა ზემოთ გან-  
ხილულ მათ ბიბლიოგრაფიულ ცნობებში (რომელიც ძველი წყაროს არასწორ  
ინტერპრეტაციას ეყრდნობოდა<sup>53</sup>). იგივე შეხედულება, როგორც ჩანს აისახა  
აგრეთვე ანტონის სკოლაში გამრავლებულ ჩვენი ძეგლების შემცველ ხელ-  
ნაწერთა შედგენილობაშიც (A:S 2568, XVIII ს., B:H 1737, XVIII ს.,  
E:S 3642, 1800 წ., F:S 3731, 1809 წ.)<sup>54</sup>, სადაც ჭერ იოანე პეტრიწის იამბი-  
კური „სათნობათა კიბეა“ მოთავსებული, შემდეგ კი—ჩვენი ანონიმის, პეტ-  
რე გელათელის, იეზუიტების და სხვათა იამბიკები. ისინი წარმოგენილია  
თითქმის ისეთივე თანმიმდევრობით, როგორცაა ეს მოღვაწენი განხილული  
„წყობილისტყვაობაში“. ამდენად, ჩვენც იოანე პეტრიწის ანუ ე. წ. პეტრი-  
წული (იგივე გელათური) სკოლის მიმდევრებად მიგვაჩნდა ისინი, განსა-  
კუთრებით კი, ჩვენი ანონიმი (იმავე აზრის იყო ეზუიტი და პეტრე გე-  
ლათელზე კ. კეკელიძე—იხ. ზემოთ დასახ. მისი შრომები). ამასთან დაკავ-  
შირებით საყურადღებოა, რომ გრიგოლის ლექსების შემცველ ძირითად  
ხელნაწერში—S 2568-ში, საიდანაც მოდის დანარჩენი ხელნაწერები,  
იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბე“ განსხვავებული ხელითაა ნაწერი და  
ხელნაწერის თავშია თითქოს შეკინძული. თუმცა კი ხელნაწერის რვეულებ-  
რივი პავინაცია საერთოა და თითქოს სრულია<sup>55</sup>.

ამგვარად, ზუსტდება ქართველ მოღვაწეთა ცნობები ქართული მწერ-  
ლობის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის—არალიტურგიული სა-  
სულიერო პოეზიის, კერძოდ, გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზიის და მასთან,  
იოანე სინელის „კლემასის“ ანონიმური ქართული თარგმანების შესახებ.  
ამასთან, ისახება გზები ახლებურად შევხედოთ ე. წ. პეტრიწული სკოლის და  
მისი მიმდევრების საკითხს და ზოგიერთი მოღვაწე, მათ შორის ჩვენი ანონი-  
მიც დავსახოთ გელათური სკოლის ერთ-ერთ მოღვაწედ და იოანე პეტრიწის  
მიმდევრად, რა პერიოდის ღვთისმეტყველიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი  
(მდრ. ე. ჭელიძის დასახ. შრომები, სადაც მან პეტრიწი XII—XIII სს. მოღვა-  
წედ მიიჩნია). ანონიმი აგრძელებს ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის გზას  
ქართულ არალიტურგიულ პოეზიაში (იხ. ჩვენი დასახ. შრომები).

53 ე. კელიძე, დასახ. სტატია, გვ. 114.

54 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) IV, 1950, გვ. 164, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S) IV, 1965, გვ. 53; (S) V, 1967, გვ. 121, 274.

55 ამ ხელნაწერის შედგენილობისათვის იხ. ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემასის“ უცნობი ქართული ვერსია, „მაცნე“, 1987, № 4, გვ. 135.

К. П. БЕЗАРШВИЛИ

БИБЛИОГРАФИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ АНТОНА I, ТЕЙМУРАЗА  
БАГРАТИОНИ, ПЛАТОНА ИОСЕЛИАНИ О ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДАХ  
ПОЭЗИИ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА

Резюме

В статье изучаются и уточняются некоторые сведения грузинских деятелей XVIII—XIX вв. Антона I, Т. Багратиони и Пл. Иоселиани из истории грузинской литературы (на материале древнегрузинских переводов поэзии Григория Назианзина), сопоставляя их с новейшими исследованиями о тех же вопросах.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა

## ნახთანვ მაღრაძე

## ეთნონიმიზისაგან ნაწარმოები ქართული გვარები

ქართულ ონომასტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთნონიმებისაგან ნაწარმოებ საკუთარ სახელებს — ადამიანთა გვარებს. ქართული გვარები ნაწარმოებია არა მხოლოდ ქართული სატომო, არამედ სხვა ხალხებისა და ტომების სახელებისაგანაც. საინტერესოა, რომ გვარების წარმოქმნა სხვადასხვაგვარია და რამდენიმე ყალიბს იყენებს, თუმცა ძირითადად იმეორებს ტოპონიმთაგან ქართული გვარების წარმოების წესს.

გვარები შეიძლება დავყოთ აფიქსური წარმოების ან იმ ძირეული სიტყვების მიხედვით, რომელთაგანაც არის ესა თუ ის გვარი მიღებული.

ეთნონიმური წარმოშობის გვარები შეიძლება ოთხ ჯგუფში განაწილდეს.

1. ზოგიერთ ეთნონიმს აქვს უნარი გაუფორმებლად იქნეს გამოყენებული გვარად. ასეთები: აფხაზი, ბერძენი, გურული, დვალი, იმერელი, ლაშხი, მეგრული, მესხი, სვანი, ჩერქეზი, ძურძუკი, ჯავახი<sup>1</sup>.

ეს გაუფორმებელი ეთნონიმები თავისი პირვანდელი მნიშვნელობის გარდა გვარის ფუნქციასაც ასრულებს.

ამ ჯგუფის გვარები თორმეტს არ აღემატება.

გვხვდება ეთნონიმები, რომლებიც აფიქსების დართვის გარეშე არ იხმარება. მათი რაოდენობა გაცილებით მეტია<sup>2</sup>:

აშვილი, არაბი, აჭარელი, ებრაელი, გურჯი, თათარი, თურქი, თუში, ისრაელი, ლეკი, შიიული, ოსი, რუსი, სედიზ, სომეხი, სპარსი, ფრანგი, ქართველი, ქისტი, ლილვი, ყაზახი, ჩაჩანი, ჭანი, ხაზარი, ხალიბი, ხევსური, ჯიქი...

ამ ძირებიდან სხვადასხვა გვაროვნული მაწარმოებლის დართვით მრავალი გვარი გვაქვს მიღებული.

2. სუფიქსებდართული ეთნონიმები.

ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ქართული ანთროპონიმული სუფიქსებდართული საკუთრივ სატომო სახელები ან უკვე გვარებადქცეული ეთნონიმები. ასეთი ნაწარმოები გვარები მრავლად გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში.

ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ „ქართული გვარების დაბოლოებად -ძე და -შვილი ისე გავრცელდა რომ წინათ სუფთა ფუძით ხმარებულ გვარებსაც დაერთო“<sup>3</sup>.

1 სტატიაში გამოყენებულია მხოლოდ გაუფორმებლად დადასტურებული გვარები.

2 ნაგულისხმევია მხოლოდ ის ეთნონიმები, რომლებიც რაიმე სართის დართვის საშუალებით თუნდაც ერთ გვარს მაინც აწარმოებს.

3 სეიდი — სეიდიშვილი, ეთნონიმი სეიდი სპარსული მოდგმის ტომი, ამ ტომის წარმომადგენლები XVII ს-ში თბილისში გადმოსახლეს. მათ უბანს სეიდაბადი ეწოდა. ი. შაიხუ-რაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 146.

4 ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 297.



მეცნიერის გამოთქმული აზრი ეთნონიმებიდან წარმოქმნილ გვარებში ვეგება. — შვილ გვაროვნული დაბოლოებით მიღებული გვარები ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება. მათი რაოდენობა 54-ია:

აჭარაშვილი, აჭარიშვილი, ბერძენიშვილი, გურჯიაშვილი, გურჯიშვილი, დვალიშვილი, თათარაშვილი, თათრიაშვილი, თათრიშვილი, თურქიშვილი, თუშიშვილი, იზრაილაშვილი, ისრაელაშვილი, იმერლიშვილი, კახაშვილი, კახიშვილი, ლაზიაშვილი, ლაზიშვილი, ლასხიშვილი, ლეზგიშვილი, ლეკიაშვილი, ლეკიშვილი, მეგრელიშვილი, მესხიშვილი, მთიულიშვილი, მუშიაშვილი<sup>9</sup>, ოსიშვილი, რუსაშვილი, რუსიშვილი, რუსეიშვილი, საგინაშვილი<sup>10</sup>, სეიდიშვილი, სვანიშვილი, სომხიშვილი, სპარსიაშვილი, ფრანგიშვილი, ქაშაქაშვილი<sup>11</sup>, ქართველიშვილი, ქისტიშვილი, ქორთაშვილი, ქორთიშვილი, ქორთულიშვილი, ქოთრუაშვილი<sup>12</sup>, დლიდვიშვილი, ყაზაიშვილი<sup>13</sup>, ყაზახიშვილი, ჩაჩანაშვილი, ჩერქეზიშვილი, ქანიშვილი<sup>14</sup>, ხევსურიშვილი, ხუნძახიშვილი, ჯავახიშვილი, ჯიქიშვილი, ჯიქიაშვილი<sup>15</sup>.

ზოგ შემთხვევაში პატრონიში შენარჩუნებულია ეთნონიმის სახ. ბრნიშანი: ბერძენიშვილი, დვალიშვილი, ლეკიშვილი, მეგრელიშვილი, ქართველიშვილი... ზოგჯერ ფუძისეული ა — აჭარაშვილი, ზოგჯერ კი — დაკარგულია ეს ხმოვანი — აჭარიშვილი. არის ა და ე ხმოვნების განვითარების შემთხვევები: გურჯიაშვილი, ისრაელაშვილი, თათრიაშვილი, ქორთუაშვილი, ჩაჩანაშვილი.

ა-ს განვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ეთნონიმის ჯერ საკუთარ ან მეტსახელში გადასვლით და შემდეგ კი გვარად გაფორმებით, ხოლო ე მიღებულია ანალოგიით: კუპრ-ე-იშვილი, ნან-ე-იშვილი, უჩან-ე-იშვილი, ფას-ე-იშვილი...

შემდეგ ადგილზე რაოდენობით -ძე-ზე დაბოლოებული გვარები მოდის: აფხაძე, არაბიძე, აჭარაძე, ბერძენაძე, ბერძენიძე, დვალაძე; ებრაელაძე, ებრალიძე, თათარაძე, თათარაიძე, თათრისიშვილი, თურქაძე, კახაძე, კახიძე, მაკრაბიძე<sup>11</sup>, მესხაძე, მესხიძე, მურუსიძე<sup>12</sup>, ოსაძე, ოსიძე, რუსაძე, რუსიძე, საგინაძე<sup>13</sup>, სვანაძე, სვანიძე, ტუსკაძე<sup>14</sup>, ქართველაძე, ქორთოძე, ჩაჩანიძე, ქანიძე, ხაჩარაძე, ჯავახაძე, ჯავახიძე, ჯიქაძე.

მსგავსად ნაწარმოები გვარი 34 დადასტურდა.

5 ი. მაისურაძეს მიანიჩია, რომ შესაძლებელია, მესხის, იმავე მუსხის უძველესი გამოთქმა იყოს — მუშეი (მუშეების ტომი). შდრ. მუშეუდიანი//მუშედიანი. (დასახ. ნაშრ.),

6 საგინა — ანტიკური ეთნონიმი. პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ ჯიქებს ზემოთ საგინები ცხოვრობდნენ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 427.

7 ზ. ჯუშუბრიძე, დასახ. ნაშრ.

8 აქ ძირეულ ელემენტად წარმოდგენილია ეთნონიმური წარმოშობის საკუთარი სახელი ქორთი, ქორთუ, რაც მეგრული გამოთქმაა ქართისა. ჯ. როგავა, მეუნარჯიას გვარის წარმოშობის შესახებ, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1970, № 2, გვ. 187.

9 ზ. ჯუშუბრიძე, რა გქვია შენ, თბ., 1971, გვ. 44.

10 იხ. სქოლიო 6.

11 ი. მაისურაძეს მიანიჩია, რომ შესაძლებელია მაკრაბი ეთნონიმ მაკრონიდან მომდინარეობდეს, (დასახ. ნაშრ., გვ. 100).

12 ი. მაისურაძის მიხედვით მუ იგივე მუ სვანური თავსართია სადაღურობის მაჩვენებელი; მურუს უდრის რუსს (რუსეთელს). მნიშვნელობით იგივეა, რაც ქართული რუსიშვილი. ი. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

13 იხ. სქოლიო 6.

14 ს. ჯანაშია ტუსკ და თუშ ძირებს ერთი წარმომავლობისად მიიჩნევს, (შრომები, III, 1949).

ქართულ გვარებს, ძესა და შვილის გარდა აწარმოებს აგრეთვე ფორ-  
მანტები **ია, უა (ვა), იან.**

-ვა-ზე დაბოლოებული გვარი ოთხია: აბშილავა, აფხაზავა, შონავა, ცა-  
ნავა<sup>15</sup>.

-ია გვაროვნული ბოლოსართით მთავრდება გვარები: აბაზგია, ალანია,  
თურქია, კახაია, ლაშხია, მესხია, რუსია, ტუსიკია, ქორთუა, ჩერქეზია, ჩარგა-  
ზია<sup>16</sup>, შონია<sup>17</sup>, ჭანია, ჭარაია, ჭანტურია, ჯავახია, ჯიქია.

შ. აფრიდონიძე თვლის, მეგრული გვარების მაწარმოებელი -ია სუფიქსი,  
გარდა თანხმოვნებისა, ანთროპონიმული ფუძის აუსლაუტში დაერთვის ა  
ჩმოვანსაც და იძლევა -ა-ია დაბოლოებას<sup>18</sup>.

-იან-ით გაფორმებული გვარი მხოლოდ ორია: კახ-იან-ი, ხევსურ-იან-ი.  
აქვე შეიძლება დეასახელოთ ქალდ-ან-ი<sup>19</sup>; სადაც ან მიღებულია -იან მა-  
წარმოებლისაგან.

ერთი გვარია — ქორთუა-ა.

3. ეთნონიმებისაგან სადაურობის ბოლოსართით ნაწარმოები გვარები.  
როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეთნონიმებისაგან ნაწარმოები გვარები ძირი-  
თადად იმეორებენ ტოპონიმებისაგან ქართული გვარების წარმოების ტიპს.  
თუმცა ქართულ გვარებს აწარმოებს აგრეთვე ფორმანტები -ელ და ურ(ულ)<sup>20</sup>.

ეთნონიმებზე აღამიანის წარმომავლობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსის  
დართვითაა მიღებული შემდეგი გვარები: კახელი, მესხელი, სვანელი.

-ურ(ულ) ბოლოსართით ხუთი გვარია გაფორმებული: არაბული, გუ-  
რული, თუშური, ქისტაური, ხალიბაური.

ორივე ქვეჯგუფიდან ორ შემთხვევაში -ა ჩართულია (ქისტაური და ხალი-  
ბაური); ხოლო ყველა დანარჩენ მაგალითში, როგორც მოსალოდნელი იყო,  
მაწარმოებელი დაერთვის ფუძეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურული ერთდროულად ეთნონიმსაც მიუ-  
თითებს და წარმომავლობის სახელსაც, ისევე, როგორც მეგრელი. თუმცა,  
ამ შემთხვევაში გვაქვს თავსართ-ბოლოსართი მ-ელ-ი.

4. ეთნონიმებისაგან სადაურობის აღმნიშვნელი სახელებს ან გვარებს  
დამატებით დაერთვის გვაროვნული სართები.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ტოპონიმური წარმომავლობის -ელ აფიქსი-  
ანი გვარები დამატებით დაირთვენ გვაროვნულ სართებს: გურიელაშვილი,  
გურიელიშვილი, იმერლიშვილი, კახელიშვილი, მეგრელიშვილი, მუსხელიშვი-  
ლი, რაჭველიშვილი, ქართველიშვილი, ქორთელიშვილი, ფშაველიშვილი, ფხო-  
ვილიშვილი და ქარელიშვილი.

ასეთი გვარი თორმეტია.

ძე-თი დაბოლოებული გვარი რვაა:

გურიელაძე, გურიელიძე, კახელაძე, კახელიძე, მეგრელაძე, მეგრელიძე,  
მუსხელაძე და მუსხელიძე.

სადავოა ზოგი გვარის წარმოშობა. მაგ.: ჯავახაძე, ჯავახიშვილი, ჯავახია;  
კახაძე, კახიშვილი, კახაია, კახია, კახიაშვილი.

15 იქვე.

16 ჩარგაზ მეგრულად ჩერქეზის შესატყვისია.

17 ზ. კუშმბურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

18 შ. აფრიდონიძე, ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის, „ონომას-  
ტიკა“, 1982, № 7, გვ. 252.

19 ქალდი, ხალდი უძველესი ეთნონიმი, აქედანაა ქვეყნის სახელწოდება ქალდეა.

20 იქვე.



XIII ს. ძეგლში უკვე დასტურდება სახელი ჯავახი<sup>21</sup>. შესაძლებელია სწორედ სახელისაგან და არა ეთნონიმისაგან იყოს წარმომდგარი ეს გვარები. მსგავსი მდგომარეობაა მეორე გვართან დაკავშირებითაც. შესაძლებელია კახა ან კახი სახელები ფიგურირებდეს ამ გვარებშიც, მაგრამ კახელაძე, კახელიძე და კახელი-შვილი, მით უმეტეს, კახეთელ-იძე, გამოირიცხულია საკუთარი სახელისაგან მიღებულად ჩავთვალოთ და უდავოდ გვეჩვენება ეთნონიმისაგან მისი წარმოება.

როდესაც ვიხილავდით ოიკონიმებისაგან ნაწარმოებ ქართულ გვარებს, იქ სისტემურად მოქმედებდა შემდეგი მოდელი: ტობონიმი-ტ+ელ წარმომავლობის სუფიქსი > გვარი-+ გვარის მაწარმოებელი სუფიქსი > გვარი. მაგ.: ეგრისი-→ეგრისელი-→ეგრისელაშვილი.

კოლხიდა-→კოლხიდელი-→კოლხიდელაშვილი.

ქსოვრისი-→ქსოვრელი-→ქსოვრელიშვილი.

ხოზი-ხოზელი-→ხოზელაშვილი, ხობელიძე...

ტობონიმები ხშირად აწარმოებს მსგავს დაწყვილებულ ფორმებს, რაც შედარებით იშვიათია ეთნონიმებში.

გაანალიზებული მასალა საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ ორი მოდელი ეთნონიმებისაგან გვარების წარმოებისა.

მოდელებში გამოყენებულია მხოლოდ ეთნონიმები, რომლებიც დამოუკიდებლადაც იხმარება გვარებად.

მოდელი I

ეთნონიმი. იგივე გვარი	-+ელ სად. მაწარმ.	--+ გვაროვნული სართები
გურული	გურული გურიელი	გურიელაძე, გურიელიძე, გურიელაშვილი, გურიელიშვილი
კახი	კახელი	კახელაძე, კახელიძე, კახელა- შვილი, კახელიშვილი, კახეთელიძე
იმერელი	იმერელი	იმერელიშვილი
მეგრელი	მეგრელი	მეგრელაძე, მეგრელიძე, მეგრელიშვილი
მესხი	მესხელი	_____
სვანი	სვანელი	_____
ქართლელი	ქართლელი	ქართლელიშვილი

II მოდელში ორი გვარია ამოვარდნილი — მესხი და სვანელი, რომელთაც მესამე ფორმა არ განვითარებია.

მოდელი II

ეთნონიმი. იგივე გვარი	-+ ელ სად. მაწარმ.	--+ გვაროვნული სართები
აფხაზი	—	აფხაიძე, აფხაზაძე
ბერძენი	—	ბერძენაძე, ბერძენიძე, ბერძენიშვილი
დვალი	—	დვალაძე, დვალიძე, დვალიშვილი
ჩერქეზი	—	ჩერქეზიშვილი, ჩერქეზია
ძურძუკი	—	_____
ჯავახი	—	ჯავახაძე, ჯავახიძე, ჯავახიშვილი, ჯავახია

<sup>21</sup> ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპერსები, თბ., 1941, გვ. 74,

II მოდელში, როგორც ვხედავთ, წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი არ ფუნქციონირებს. ბუნებრივია, მისგან წარმოქმნილი გვარებიც არ გვხვდება. ერთი გვარი კი მხოლოდ ეთნონიმ-გვარადაა გამოყენებული.

ეთნონიმებისაგან წარმოშობილი გვარები ჩვეულებრივად შემდეგნაირად:

1. ზოგიერთი ეთნონიმი უცვლელად, გაუფორმებლად გამოიყენება გვარად: აფხაზი, ბერძენი, დვალი, სვანი, ჩერქეზი, ძურძუკი...

გვხვდება ეთნონიმები, რომლებიც აფიქსების დართვის გარეშე არ იხმარება: აბშილი, ფრანგი, ჭანი, ხევსური, ჯიქია...

2. ასეთი გვარები შეიძლება გაფორმდეს ქართული ანთროპონიმული მაწარმოებლებით:

-შვილი: დვალიშვილი, ბერძენიშვილი, მესხიშვილი, ჩერქეზიშვილი, ღლიღვიშვილი...

-ძე: ბერძენაძე, დვალიძე, მესხიძე, სვანაძე, ხაზარაძე...

-ვა: აბშილავა, აფშილავა, აფხაზავა, შონავა, ცანავა.

-ია: აბაზგია, ალანია, ჩერქეზია, ჭარია, ჯიქია...

-იან: კახიანი, ხევსურიანი.

-ან: ქალდანი.

3. გვარები წარმოქმნილია ეთნონიმებზე სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსების დართვით:

-ელ: კახელი, მესხელი, სვანელი.

-ური: არაბული, გურული, თუშური, ქისტური.

4. ეთნონიმებისაგან სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს ანუ გვარებს დამატებით დართვის გეოგრაფიული სართები:

-შვილი: გურიელაშვილი, იმერლიშვილი, კახელიშვილი, ფშავლიშვილი...

-ძე: გურიელაძე, კახელიძე, მეგრელაძე, მუსხელაძე...

ხშირად მოქმედებს მოდელი ეთნონიმი (გვარი) — წარმომავლობის სახელი (გვარი) — გვაროვნული სახელები: კახი — კახელი, კახელიძე; გურული — გურიელაძე, გურიელაშვილი; მეგრელი — მეგრელაძე, მეგრელიძე...

В. А. МАГРАДЗЕ

## ГРУЗИНСКИЕ ФАМИЛИИ, ОБРАЗОВАННЫЕ ИЗ ЭТНОНИМОВ

### Резюме

Фамилии, образованные из этнонимов, группируются следующим образом:

1. Некоторые этнонимы переходят в фамилии без специального оформления: Бердзени, Двали, Свани...

2. Фамилии могут оформляться грузинскими антропонимическими элементами: Бердзени-швили, Свани-дзе, Черкез-иа...

3. Фамилии образованы при помощи суффикса -ел: Имер-ел-и, Ках-ел-и...

4. К этим фамилиям дополнительно могут присоединяться фамильные суффиксы: Имер-(е)л-швили, Ках-ел-идзе...

Часто действует модель: этноним (/фамилия) имя, означающее происхождение человека → фамильные имена: Кахи → Кахели → Ках-ел-и-дзе...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა



## კორნელი დანელია

## მბრალული ლექსიკა ბიგლიურ წიგნთა ქართულ მერსიბში

13. **ოსანა, ჭსანა, ჭსანა, ოსანა** (ებრ. hošî 'ā-anna, ბერძნ. ὄσαννα, სომხ. ორპნუთიენ)... ებრაულ-არამეული სიტყვის მნიშვნელობაა—**შეგვეწიე, დაგვიცავი, გვიშველე**. ამ სიტყვის პირველი ნაწილი ოსა იგივეა, რაც ებრაული ცშაჟ, რომელიც ნიშნავს — თავისუფლებას, დახსნას, შევლას. ხოლო ნა გამაძლიერებელი ნაწილაკია („კიდევაც“), ე. ი. ოსანა „კიდევაც გვიხსენ“, „გვიხსენი რა“ T. B., III, გვ. 327). მაგრამ ხშირი ხმარების შედეგად მან დაკარგა კონკრეტული მნიშვნელობა და იქცა ქებათ-ალტაცებით წამოძახილად. ჯენინგსი სირიულ ὄσαν'ია (დრ'შანა) სიტყვის ორივე მნიშვნელობას აღნიშნავს: შეგვეწიე, დაგვიცავ (ფსალ. 117,25), ალტაცებითი შორისდებულები (ჯენინგსი, გვ. 17).

საბა ლექსიკონის აღრულ რედაქციებში წერს: „ებრაულად ოსანა დიდება, გვაცხოვენთაც ითქმის“ (D), ხოლო შემდგომ და საბოლოო რედაქციებში ნათქვამია: „**ოსანა კურთხევა**, გინა მალალთა მსგავსება, გინა **დიდება**, გინა **გვაცხო(ვ)ნე(ი)**, გინა **კურთხეულ არს** მომავალი, გინა **უფალი მაცხოვარი**, გინა **ძლიერი მეუფე** მშვიდობისა, რომელ მომავალ არს მალლით“ (IV<sub>2</sub>, გვ. 622). ამ სიტყვის ნაირგვარი მნიშვნელობა, რომელსაც საბა აღნიშნავს, სხვადასხვა ქრისტოლოგიური ლიტერატურის ჩვენებას უნდა ითვალისწინებდეს და თვით სახარებისეულ ადგილებს. სახარებაში ეს სიტყვა რამდენჯერმეა რეალიზებული. იერუსალიმში სახედრით შემავალ ქრისტეს „რომელნი წინა-უძლოდეს და რომელნი უკუანა შეუდგეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: **მსანა (დიდება C) მალალსა (ოსანა მალალთა შინა FGK)**“, მრ. 11,9 DEC; „მოილეს რტოდ დანაკისკლდთავან და განვიდეს მიგებებად მისა და ღაღადებდეს და იტყოდეს: **მსანა (მსანა C)!** **კურთხეულ არს მომავალი** სახელითა უფლისაათა და მეუფე ისრაჲლისა“ (ი. 12, 13).

ზოგან ბერძნ. ტექსტის ὄσαν'ია თარგმნილია **კურთხევა** და **დიდება** სიტყვებით მსგავსად სომხური რედაქციისა, სადაც ორნუთიენ არის ნახმარი. მ. 21,2-ში ὄσαν'ია ორჯერ არის ნახმარი, რომელიც DE რედაქციაში გადმოცემულია **„კურთხეულ არს“**, ხოლო C-ში **„დიდებულ არს“** ფორმით, გიორგისეულ რედაქციაში კი I შემთხვევაში **„ოსანა“**-თია გადმოღებული, მეორე შემთხვევაში კი **„გუაცხოვნენ“** ფორმით. ამავე მუხლში **„კურთხეულ არს“** გადმოსცემს ბერძნ. εὐλογοῦμεν -ს. იქვე, მ. 21, 15-ში ბერძნ. ὄσαν'ია DE-ში უპირთ **„კურთხევა“**, ხოლო C-ში **„დიდება“** ფორმებით არის გადმოცემული, ხოლო ეფთვიმესა და გიორგისეულ ვერსიებში **მსანა (ოსანა)** და **ოსანა (ოსანა)**-თი. ამ იკითხვისთა გათვალისწინებით ცხადი ხდება ოსანა-ს საბასეული განმარტების წყაროებიც. ის ოთხთავის პარალელურ ვერსიათა იკითხვისებასა და კომენტარებსაც ემყარება. აღსანიშნავია, რომ ბერძნ. ომეგას (ა-ს) გადმოცემა მ-თი იშვიათია და ერთ-ერთი შემთხვევა მსანა-შია

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ელს, 1993, № 2.

დადასტურებული. მეორე ფაქტი, რაც ყურადღებას იქცევს, გემინირებული თანხმობის გადმოცემა ზოგ ხელნაწერში (მსანა C, ოსანა K).

სახარების გავლენით ოსანა სკლიტერატურო ქართულშიცაა რწვითად ნახმარი კურთხევის, დიდების მნიშვნელობით: ისმის ოსანა მალალთა შინა (რ. ერისთ.), „უმღერე მიწას ოსანა“ (გ. გაფრინდ.) (ქეგლ, VI, 1960, გვ. 71),

14. აბბა, აბა, აბბა, ანბა (ებრ. אֲבָבָה, სირ. אבבא, ბერძ. ἄβββ) ამ სემიტური ძირის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უცნობია. საზოგადოდ აღნიშნავს „მამას“. „წმიდა, სულიერ მამას“, „მამამთავარს ტომისა, ხალხისა“ (გეზენ., 1), მოგვიანებით კი პატივისცემის გამოხმატველ ებთიეტად იქცა. ებრაულიდან ბერძნულში შესული აბბა ახალი აღთქმის წიგნებში სინონიმალაა ნახმარი πᾶτερ -ისა და ორივე გვერდიგვერდ გამოიყენება როგორც სინონიმური წყვილი: და იტყვია: „აბა (აბბა C) მამაო ჩემო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ“ (მრ. 14, 36), შდრ.; აბბა ἢ πᾶτερ.

ბერძნული გზით ეს აღმოსავლური სიტყვა ქართულში ადრე შემოსულა „წმიდა მამის“ მნიშვნელობით საეკლესიო პრაქტიკაში, პალესტინის VI საუკუნის I ნახევრის მოზაიკურ წარწერაში მოიხსენიება ანტონი აბა (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960).

აბბა ხშირადაა ნახმარი „მამათა ცხოვრების“ ქართულ თარგმანში: ლოცვისათვის აბბა საბაჲს (55,11) ზიკუდლისათვის აბბა თოდლისსა (55,14). უფრო ცნობილია აბბა-ს დისიმილაციით მიღებული ფორმა აბბა (173,28, 174,8; მამათა ცხ., ვ. იმნ. გამოცემა, 1975), აბბა გიორგი (103—104; ძვ. ქართ. ლიტ. ქრ., I, ს. ყუბან. გამოცემა, 1946). აბბა-ს დისიმილაციითაა მიღებული ანბა: ანბა იოვანე, ანბა ირინიოს (1, 65, 28, 10; ლიმონ., ილ. აბულაძის გამოც. 1960).

ზოგჯერ აბბა და ანბა ერთი და იმავე თხზულების ერთ და იმავე გვერდზეა ნახმარი: რომელსა ერქუა აბბა ისაჲ და კუალად სხუასა აბბა ასონა და ანბა ივლიანე (ზ. სარჯვ., ქართ. სალიტ. ენის ისტ. შეს., 1984, გვ. 313).

15. დაბირ-ი (ებრ. דָבִיר, ბერძ. δαβιρ, სომხ. დაბირ, რუს. дабир). ეს სიტყვა ებრაულში, კერძოდ, ძველ აღთქმაში, აღნიშნავს სამლოცველოში, ტაძარში უჯანა მხარეს (Hinterraum-ს), რომელიც იწოდება coctes codesim-ად ანუ „წმიდათა წმიდალ“ (das Allerheiligste in Tempel; გეზენ., 152). ძირეული dbr ეტიმოლოგიურად უჯანას გამოხატავს. „წმიდათა წმიდა“ ტაძრის წინა ნაწილისაგან გამოიყოფოდა ხის კედლით, მასში ინახებოდა აღთქმის კიდობანი, ამ ადგილას შესვლის უფლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჰქონდა მღვდელმთავარს (ლევ. 4,6, III, მეფ. 8,8; ნიდლ. словарь, გვ. 394, შდრ. 97).

ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანში არაერთხელ იხსენიება დაბირ-ი: „სილომონე ქმნა ჭაჭუედნი ბადისსახედ გარდამოტევებულად და სერსეროთი დაბირს და დაასახა იგინი ზედა სუეტსა თვთა მათ“ (II ნეშტ. 3, 16 M); „მოადგა არდაბაგი ვარემო ზღუდესა მას ტაძრისასა და დაბირსა“ (III, მეფ., 6,5 M); „შემოაქმნა კედელი იგი დაბირსა წმიდასა მას წმიდათასა“ (III, მეფ., 6,16 M); „და ქმნა შინაგან დაბირსა მას ორნი ქერობინი ძელისა ურთხელოსაგან“ (III, მეფ., 6,23 M); „და კარები დაბირისა მისი ქმნა ძელისაგან ლევისა და ზღურბლნი მისნი ხუთნაკეცითა“ (III, მეფ. 6,13 M).

ეს სიტყვა ქართულს არ უსესხებია. მხოლოდ ბიბლიის ქართული თარგმანის კუთვნილებად დარჩა. მასზე ცნობები დაცულია ქართულ ლექსიკოგრაფიაში: „დაბირი აღმართებული გინა წმიდა წმიდათა“ (საბა, ლექსიკ., IV, 189); „დაბირი აღმართებული თხემი წმიდა წმიდათა კრუგი, ძანირ“ (ნ. ჩუბ., ლექსიკ., 166). ამ განმარტებას დ. ჩუბინაშვილი უმატებს მხოლოდ пропорაციის-ს (დ. ჩუბ., ლექსიკ., 350). ილ. აბულაძის მიხედვით კი, დაბირი არის

„სადმართო მცნების წარმოსათქმელი ადგილი“ (აბულ., ლექსიკ., 105).

16. ელამი, ელამონი-ი (ებრ. 'eil, 'ajlām, ბერძ. εἶλ, αἰλᾶμ, αἰλαμυειν), რომელიც ებრაულში აღნიშნავს წინკარს, კარიბჭეს, ტაძრის შესასვლელში მოსაცდელ ადგილს, ვესტიბულს (გუზენ., გვ. 29), ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდან ჩანს შესული, რადგან მისი განსხვავებული იკითხვისები ზუსტად გადმოსცემს სათანადო ბერძნულ ფორმებს: ელამი (αἰλᾶμ), ელამონი (αἰλαμυαῖος), ელამოთი (αἰλαμυαῖν). თავის მხრივ, ბერძნული ფორმები ებრაულ წყაროში ამ სიტყვის მსაზღვრელი ნაწილაკის დართვა-დაუბრუნებლობითა და რიცხვის ცვლილებით არის განპირობებული<sup>15</sup>: „და შემიყვანა მე ეზოსა სახლისა უფლისასა შინაგანსა და წინაშე საკარეთა ტაძრისა უფლისათა შორის ელამსა და შორის საკურთხეველსა“ (ეზეკ. 8.16 OJ); „და შემიყვანა მე ელამსა მის ტაძრისასა და განზომა ელამი იგი წყრთითა ხუთ სივრცე ამიერ და წყრთითა ხუთ სივრცე ამიერ... და სამკრენი კარისამის ელამისანი ათ წყრთა ამიერ“ (ეზეკ. 40, 48 OJ); „და შესლვასა მას მთავრისასა გზით ელამისათ ბჰისა მისგან შევიდეს და გზისა მისგან მისვე ბჰისა განვიდეს“ (ეზეკ. 46, 8 OJ); „და თენი და ელევნი და ელამონი მისვე საზომისებრ და სარკუმლები იყოს მას და ელამონები“ (ეზეკ. 40, 29—30); და კრეტსაბმელები მისი და საკარები მისი და ელამოთი მისი ბჰესა მას მერთესა“ (ეზეკ. 40, 38).

სულხან-საბა სწორად განმარტავს ამ სიტყვას: „ელამი (40, 47 ეზეკ.) ბჰეთა თანა აღაგიან სადგომი კაცთათვის, რათა ჰამბ(ე)ის(ა) შესლვა-გამოსლვადმდე მუნ დაიციადონ“ (თხზ. IV, გვ. 238). შდრ.: „ელამი კამარა, გუმბათი“ (აბულ., ლექსიკ. გვ. 147).

17. თეე, თე, თეიმი-ი, თეინი-ი (ებრ. תֵּי, תֵּימִי, תֵּינִי, სომხ. კოზაკ), რომელიც ებრაულში აღნიშნავს ტაძრის შესასვლელში პატარა გვერდით ოთახს, მკველისთვის განკუთვნილს (გუზენ., გვ. 867—868, შდრ., „ДОКОВАЯ КОМНАТА“ რუსულ თარგმანში), ბიბლიის ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდან ჩანს გადმოსული, როგორც ამას განსხვავებული იკითხვისები ცხადყოფს: თეე (תֵּי), თეიმი/თეინი (תֵּימִי/תֵּינִי). თავად ბერძნული გადმოსცემს ებრაული תֵּי სიტყვის მრ. რიცხვის תֵּיִם ფორმას: „და თეე (თე O) იგი ბჰისა მის და თეინი წინაშე სამნი იმიერ და სამნი ამიერ“ (ეზეკ. 40, 10JO); და სარკუმელნი დაფარულნი თეიმთათ კერძო შიგან და ელამით კერძო“ (ეზეკ. 40, 16 L); „და თეინი (თენი O) ბჰისა და გარემო... ერგასის წყრთა“ (ეზეკ. 40, 14—15 JO); „და აბა ესერა ბჰეს... და განზომა იგი და თეე (თე O) იგი და ელევნი და ელამონი მისვე საზომისებრ“ (ეზეკ. 40, 24JO).

ამ სიტყვის განმარტება ზოგ ლექსიკონში ზუსტი არაა, შდრ.: „თეეა პატოსანი ცხედარი, განსასვენებელი, გინა საწოლი (საბა, ლექსიკ., IV, გვ. 307); „თე, თეე, თმ, თემ, საბჭენი კავი/ჩანგალი, კოჭი, დირე“ (აბულ., ლექსიკ., 179). მაგრამ ჭეოვნად არის განმარტებული თ. ცქიტინვილის მიერ<sup>16</sup>.

18. ელევ-ი, ელა (ებრ. 'elaw, ბერძ. αἰλᾶν), რომელიც ებრაულში არქიტექტურული ტერმინია და აღნიშნავს ტაძრის სვეტს, ბიბლიის ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდან ჩანს შესული (αἰλᾶν — ელევ-ი, ა: გადმოდის ე-დ): „და თენი სამნი იმიერ და სამნი ამიერ, და ელევნი (ელა ე L) და ელამონნი და დანაკისკულები (ფინიკნი L)...“ (ეზეკ. 40, 21 SL).

<sup>15</sup> ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოცხადდა თ. ცქიტინვილიძე, თბ., 1976, გვ. 303.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 361.



ეზევიელის წიგნის ქართულ თარგმანში ელევო ბევრჯერაა ნახმარი თეამონის და ელამ/ელამონ-ის გვერდით: „და თეენი და ელევნი და ელამონნი მიხვეს საზომისაებრ“ (ეზეკ. 40,29<sup>ს</sup>ლ). ეს ფრაზა ხშირად მეორდება ამ წიგნში (იხ. ეზეკ. 40,24—33—36...).

სულხან-საბა ელა და ელევს სხვადასხვა ერთეულად თვლის, თანაც ელევ-ის ნაცვლად იმოწმებს არასწორ ელევენ ფორმას: „ელაჲ (40, 21 ეზეკ.) კარის პირი ცალი: ელევენი (40,37 ეზეკ) სარკმელი კამაროსანი მაღალი ტაძართა შინა, გინა სახლთა“ (თხზ., IV<sub>1</sub>, გვ. 23ხ—აჲ). სიზუსტე არც ილ. აბულაძის განმარტებაშია დაცული: „ელევო კამარა“ (აბულ., ლექსიკ., გვ. 147).

19. ბედეკ-ი (ებრ. bedeq, ბერძნ. βεδεκ, სომხ. ბედეკ), რომელიც ებრაულში აღნიშნავს დაძველებულს, დაზიანებულს, სიძველით გაფუჭებულს, IV მეფეთა წიგნის ქართულ თარგმანში რამდენჯერმეა ნახმარი, კერძოდ, მე-12 თავში 7-ჯერაა რეალიზებული: 5. „მათ აღაგონ ბედეკი სახლისა მის უფლისა ყოველსა შინა, სადაცა პოიონ ბედეკი“. 6. „და იყო, ოცდამესამესა წელსა იოას მეფისასა არა აღაგეს მღდელთა მათ ბედეკი სახლსა მას უფლისასა“. 7. „და მოუწოდა მეფე იოას იუდაე მღდელსა და ყოველთავე მათ მღდელთა და ჰრქუა მათ: რასა არა აღაგეთ ბედეკი სახლისა მის უფლისა? და აწ ნუ მიიღებთ ვეცხლსა ყოველთაგან მოფარდულთა თქუნთა, არამედ ბედეკისა მისთვის სახლისა უფლისა მიეციოთ იგი“. 8. „და აღუთქუნეს მღდელთა მათ არა მოლებად ვეცხო ირისა მისგან და არცა აღგებად ბედეკი ტაძრისა მის...“. 12. [მისცეს ვერცხლი] „გამომკვეთელთა ქვისათა სასყიდლად ძელისა და ქვითა გამოკუთვითლთა აღსაშენებელად ბედეკისათვის სახლისა მის უფლისა“ (IV მეფ. 12.5—12 M).

გარკვეულ ადგილებში ებრ. ბედეკ-ის ფარდად ქართული თარგმანის შემცველ ზოგ ხელნაწერს დაცული აქვს სართული, რაც კონტექსტისა და უცნობი „ბედეკის“ არასწორი გააზრების შედეგია<sup>17</sup>. რუსულ თარგმანში ებრ. ბედეკ-ი ყველა შემთხვევაში თარგმნილია როგორც повреждение, поврежденное. სულხან-საბა სწორად განმარტავს: „ბედეკი (4 მეფ. 12,5) დაძველებულის და დარღვეულის გაახლება“ (IV<sub>1</sub>, გვ. 104). საბას განმარტებას ემყარება ილ. აბულაძეც: „ბედეკი გაახლება (შენობისა)“ (აბულ., ლექსიკ., გვ. 30).

20. იავვანა, ღავვანა (ებრ. baal, bama, ბერძნ. βββαα, სომხ. აიყანა, სლავ. bhavia, (შდრ. Корс, გვ. 298. ТБ VI, გვ. 338) ებრაულში აღნიშნავს მაღლობს, საკერპთმსახურო ადგილს (კერპ ბაალის სამლოცველოს). ებრაულზე დამოკიდებულ რუსულ თარგმანში უთარგმნელადაა ებრაული bama გამომოღებული Bama-ს სახით (ზოგ ბერძნულ ხელნაწერშიცაა βαμα), ბერძნულ სექტუაგინტაში კი ჰრელი სურათია: ββαα, βαμ, βββαα. გელათური ბიბლიის (G) ბეჭდური ტექსტი ვახტანგ VI-ის სტამბისა (w), რომ იავვანა-ს ხმარობს. ეს უნდა ემყარებოდეს ბერძნულ ჳ βββαα-ს მცდარ წაკითხვას — ნაწევარი ჳ ეტა, ი-დ ჩანს წაკითხული და ფუძეს მიკუთვნებული. რაც შეეხება G-ს ღავვანა იკითხვის, ის დამოკიდებული ჩანს ბერძნულ βββαა-ზე. ღ/-ჰ/ უნდა გადმოსცემდეს ანლაუტის სპირიტუს ლენისს. გელათურ (და აქედან მცხეთურ) ბიბლიაშია: „რაჲ არს ღავვანა, რამეთუ მიხუალთ თქვენ მუნ? და ჰრქუეს სახელი მისი ღავვანა G“ (W: იავანა(1), იავვანა(2)) ეზეკ. 20, 29. აღსანიშნავია, რომ ძველ (JO) რედაქციებში იავვანა(ღავვანა) ფორმის ადგილზე ბაალი იკითხება. სულხან-საბა, ჩანს, იავვა-

<sup>17</sup> შხ. შანიძე, ორი ებრაული სიტყვა ძველი აღთქმის ტექსტში; ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962, გვ. 55.

ნა-ს იმოწმებს თავის ნარედაქციევი M (მცხეთური) ხელნაწერიდან, ითვალისწინებს ბერძნულ წყაროსაც და ასე განმარტავს: „იავანა და ბამა ადგილი არს შესამწყვდეველი, ვითარცა ჩვეული კერპთა ბოროტად მსახურებისა“ (თხზ., IV<sub>1</sub>, გვ. 324).

21. ეფუდ-ი, ეფუთ-ი, ეფუდბარ-ი (ებრ. *ephod*, ბერძ. *ἐφῶδ'*, *ἐφῶδ*) ებრაულში აღნიშნავს სინაგოგაში მღვდელთმსახურებისას გამოსაყენებელ ძვირფას, უსახელოებო ფერად მოსასხამს. ეფუდი ოქრომკედისგან იყო ნაქსოვი და ძვირფასი თვლებით შემკული. თორმეტ ძვირფას ქვაზე ებრაელთა თორმეტი ტომის სახელები იყო ამოკვეთილი. ამ სამოსის ვრცელი აღწერილობა მოცემულია ბიბლიაში (გამ. 28,4—43). ძველების რწმენით, ამ სამოსლის შემკულობას მაგიური ძალა ჰქონდა და მას მიმართავდნენ თხოვნით ღვთიური ხილვის მოსაველინებლად (I მეფ. 23,9) (გეზენ. გვ. 58—59, Библи. словарь, გვ. 133).

სულხან-საბას მოჰყავს ცნობა ბიბლიური ეფუდის თაობაზე: ეფუდი უწყება, გინა აქსნა. ეფუდი ითქმის ცხად არს, კეშმარტად. ხოლო სახე მისი იყო მოთხვით მტკაველადი ქსოვილი ოქრომკედ(ი)თვან და ამიერ და იმიერ ორნი თვალნი სამარაგდენი, რომელთა ზედა ეწერა ექვს-ექვსი სახელი 12 (+ტომთა Ab) ისრაელისათა. მას ზედ(ა) იკითხვიდენ და მით აუწყის უფალ-მან(ს) ZA“ (თხზ. IV<sub>1</sub>, გვ. 249—250).

ნ. ჩუბინაშვილით, ეფუდი ძველის სჯულის მღვდელთა საბურველი საცო, ან სამკლავე“ (მსაჯ. 17,5) *ἐφῶδ*, *ἐφῶδ* (ლექსიკ., გვ. 212). ამ განმარტებას იმიერებს დ. ჩუბინაშვილიც (ლექსიკ., გვ. 298).

„და ჰრქუა დავით აბიათარს მღვდელსა: განიბყარ ეფუდი ეგე წინაშე უფლისა“ (I მეფ. 23, 9 M); „ამას იტყვს უფალი:... გამოვირჩიე სახლი მამისა შენისა ყოველთაგან ტომთა ისრაელისათა ჩემდა მღვდელად და აღსვლად საკურთხეველსა და აღვებად ეფუდისა“ (I მეფ. 2,28M); „და ყრმა იგი სამოველ იყო მსახურებად წინაშე უფლისა და ემოსა მას ეფუდბარი“ (I მეფ. 2,18 MP).

ახალ ქართულში ეფუთი საეტლო. სავარსკვლათმრიცხველო წიგნს აღნიშნავს. ქეგლ-ით „ეფუთი“ კუთხ. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც ეფრემ ვერდი. „ერთი გაისარჯე და ეფუთი მომიძებნე“ (უიარ.). „შინ სოლომონ ბრძენის კარაბაღინი და ეფუთი აქვს“ (დ. შენგ.) (ქეგლ-ი III, 1953, გვ. 1460).

## II. ფლორა, საკმელო

22. საბეკ-ი<sup>18</sup> (ებრ. *שֶׁבַק*, ბერძ. *σαβῆκ*), რომელიც ებრაულში ნიშნავს ხშირ ბუჩქნარს, ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს (გეზენ., 535), ბიბლიის ქართულ თარგმანში ნახმარია იმ ეპიზოდში, რომელშიც მოთხოვნილია აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვის ცდა (ერთგულების დასამტკიცებლად ღმერთმა ასეთი მძიმე დავალება მისცა აბრაამს): სახელდახელოდ აგებულ საკურთხეველზე აბრაამმა შეშა დასდო. ისააკი შეკრა და ის იყო, უნდა დაეკლა და მსხვერპლად ცეცხლზე დაეწვა, რომ ზეციდან მოესმა უფლის ხმა: ვიცი, გეშინია ღმრთისა და მისი ნების აღსასრულებლად არ მოერიოდე ძის სიცოცხლესაცო. აბრაამმა თვალები აღაპყრო ზეცად და იხილა სასწაული. „ვერძი ერთი გამოკიდებულ იყო რქათაგან ნერგსა საბეკსა რქათა მიერ. და მივიდა აბრაამ და მოიბა ვერძი იგი და შეწირა იგი მსხვერპლად უფლისა ისააკის წილ, ძისა თვისისა“ (დაბ. 22, 13M).

<sup>18</sup> მზ. შანიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, 1960, გვ. 55—63.



აღსანიშნავია, რომ ბერძნულ თარგმანში და ამ უკანასკნელის კვალობაზე სომხურ და ქართულ თარგმანებში, ამ ძველი ადგილის მარჩობლი, გაქვანძვლის ცობილი გადმოცემაა: ჯერ საბეც-ის მიახლოებითი თარგმანია მოცემული ფაზუც-ის სახით და თან უთარგმნელადაც არის წარმოდგენილი: ფაზუც თაქსკ, შდრ.: სომხური თარგმანის *განთიანთ თარსიკაყ* ქართ. *ნერგსა საბეცსა*, მაგრამ რუსულ თარგმანში, რომელიც უშუალოდ ებრაული წყაროდან მოდის, სწორადაა ებრ. *šavek* გადმოღებული ერთი სიტყვით, „в чаще“-თი.

სულხან-საბას *საბეცი* თავის ლექსიკონის ბოლოს დართულ უცხო სიტყვებში („თარგმანი ქვეყანათა და კაცთა სახელებისა“) აქვს შეტანილი და განმარტებული: „საბეცი (+22,13 დაბად. ZA) ზე გამოკნისსა, გინა მიტევებისა, გინა ვერძისათვის 7AB“ (ლექსიკ. IV<sub>2</sub>, გვ. 625).

*საბეცი*, როგორც ბიბლიის ქართულ თარგმანში ერთხელ ნახმარი სიტყვა, ცხადია, არ უსესხებია ქართულს და საბას შემდეგ გამოსულ ლექსიკონებში არც ასახულა.

23. *სორექი*-ი (ებრ. *sōreḳ*, ასურ. *šarka*, ბერძ. *σάρκι*, სომხ. *სორექი*), რომელიც ებრაულში აღნიშნავს წითელი ჯიშის რჩეულ ვენახს, ბიბლიის ქართულ თარგმანში შესულია ბერძნული წყაროდან: „დავკნერგე ვენაჲი სორექი და აღვაშენე გოდოლი საშუალ მისა, და წინ სასაწნახელე მოვთხარე მას შინა და ველოდე ყოფად ყურძნისა, ხოლო ყუნა ეკალნი“ (ეს. 5,2M). ამ სახელით ებრაულში აღინიშნება მხარე, ხევიც, საიდანაც გოლიათი სამსონის დამღუბველი დალილა იყო: ფიქრობენ, შესაძლოა ამ ხევს ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იქ სორექის ჯიშის ვენახი ხარობდა (Библ. словарь, გვ. 431): „შეიყუარა სამსონ დედაკაცი იგი ქვესა მას სორექისასა, რომელსა სახელე ერქუა დალილა“ (მსაჯ. 16,4M). ეფრემ მცირე „საკეტკონის“ თარგმანში განმარტებას იძლევა: „დავას ვენაჲი სორექი, რომელ რჩეულად გამოითარგმანების“ (A—689,74r). სულხან-საბა. ჩანს, იმყარება ამ ან ამგვარ ცნობას, როცა წერს: „სორექი (ეს. 5,2) რჩეული გინა ვენაჲი“ (ლექსიკ. IV<sub>2</sub>, გვ. 628). ჩუბინაშვილები აოსებითად იმეორებენ საბას განმარტებას: *სორექა* ებრაულად რჩეული ვენახი (ეს. 5,2) избранный (ნ. ჩუბ., ლექსიკ., გვ. 339); *სორექა* ებრაულად რჩეული ვენახი, виноградник (ის. 5,2 შავთ. 87) (დ. ჩუბ., ლექსიკ., გვ. 1190). ნ. მარი სწორად განმარტავდა „აბდულმესიანის“ ტექსტზე დართულ ლექსიკონში, *სორექი* „сорек“, вид ценного винограда или вина (ТР., IV. 1902, Спб., გვ. რაა).

ეს სიტყვა ბიბლიის თარგმანიდან შევიდა ქართულ წერილობით ძეგლებში, ძვირფასი ყურძნის ან ღვინის მნიშვნელობით. ი. შავთელი ამ მნიშვნელობით ხმარობს მას: „მაშინვე ნაზი თვით ეს ვენაჲი, /კეთილ-განსხმული, სორექთ მომრთმელი“ (აბღ. 58,1)<sup>19</sup>.

*სორექი-მა*, როგორც ებრაული ფლორას კონკრეტული შინაარსის სიტყვა. ქართულში ფეხი მოიკიდა, როგორც სამხ. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელწოდებამ<sup>20</sup>.

24. *კინამომა*, *კინამომო*, *კინამო* (ებრ. *qinnemōn*, ბერძ. *κινναμόν, κινναμόν, κινναμόν*, *κινναμόν*, *κινναμόν*, *κινναμόν*) ებრაულში აღნიშნავს დარიჩინის მსგავს სურნელოვან მცენარეს, რომელსაც ნელსაცხებლის და არომატული ზეთის დასამზადებლად იყენებდნენ. ბიბლიის ქართულ თარგმანში ეს სიტყვა ბერძნული წყაროდან ჩანს შესული: „რაასათვის გუნდრუქსა საბაათ მომართუამთ

19 ი. შავთელი, აბდულმესიანი, გამოსაცემად მოამზადა გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაუთმო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1964.  
20 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II, თბ., 1935. მზ. შანიძე, „სორექი“ სიტყვა „აბდულმესიანში“, თსუ შრ., B—2 (140), თბ., 1971.

მე და კინამომოხა ქუეყანით შორით“ (იერ. 6,20M); „და შენ მოიხვენ სულ-  
ნელი ყვაილი ზმერნისა რჩეულისა ხეთასი სიკილა და კინამომო სუნეფენელნი  
ნახევაი მისი“ (გამ. 30,23M); „მოციქულებანი შენნი..., ნარდიონი დაჰქუ-  
ქუმაა, საკუმეველი ლერწმისა და კინამოა ყოველთა თანა ხეთა ლიბანისათა“  
(ქებ. 4,14M).

კინამო, კინამომა-ს ფარდად რუსულ თარგმანშია „благонный трост-  
ник“ (იერ. 6. 20). „корича благонная“ (გამ. 30, 23 ან „корича“ (ქებ. 4. 14  
სულხან-საბათი, „კინამო არს ყვაილი სუნელი, ეგვპტეს მოვა, მძინარე  
კაცსა რა პირსა დაადვა, გულის პასუხს წარმოიტყვის, რა ცხელთა რაშიმე  
შთაღვა ანუ აბანოთა შეიტანო, გააგრილებს, ხრწნილებისა მიერ შობილსა  
მატლსა უჩინო ჰყოფს“ (ლექსიკ. IV<sub>1</sub>, გვ. 377); ნ. ჩუბინაშვილით კინამო  
ხის ქერქი სუნელი, დარიჩინი“ (ქებ. 4,14); „кинамон, корича“ (ლექსიკ. გვ.  
249), ხოლო დ. ჩუბინაშვილით „კინამო (ბერძნ.) დარიჩინი, ქანდა. корича“  
(ლექსიკ., გვ. 615). ილ. აბულაძეს თავის ლექსიკონში ორ ერთეულად შე-  
აქვს კინამო და კინამომა (აბულ., ლექსიკ., გვ. 199), თუმცა ერთი სიტყვის  
ვარიანტებია ბერძნული ფორმებისებრ.

25. სუარ-ი, სუარიმ-ი, სოარიმ-ი, ლელუსუარ-ი (ებრ. סוֹאֵר, סוֹאֵרִים, ბერძნ.  
συναρη, სომხ. სუარიმ) ებრაული წარმოშობის ეს სიტყვა სოფარ  
მრ. ფორმით არის ბერძნულ თარგმანში ადაპტირებულად გადასული. სუ-  
არიმ-ის სახით. ხოლო ამ უკანასკნელიდან — ქართულ თარგმანში და ცალ-  
კე, როგორც ზედსართავი სახელი ნიშნავს „ცუდს, უვარგისს“ (გეზენ., 855).  
იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტში მიემართება ლელვის (leinā-),  
ჯიშს: „იყვენ იგინი ვითარცა ლელუნი სუარიმისანი (სოარიმისანი 0), რო-  
მელ ვერ იჰამოს სიჯერკულისაგან“ (იერ. 29,17:0). ეს ადგილი მცხეთურ  
(M) ხელნაწერში ასე იკითხება: „მივსცე მათ, ვითარცა ლელუნი სუარნი  
მისნი, რომელნი არა იჰამენ სიჯერკულისაგან“; შდრ.: „Я сделаю их такими  
как негодные смоквы, которых нельзя есть по негодности их“.

სულხან-საბას ორგან შეაქვს ლექსიკონში სუარ და ლელუსუარ ფორ-  
მები: სუარი უყამო (ლექსიკ., IV<sub>2</sub>, გვ. 115), ლელუსუარი (ხე) (29,17 იერემ.).  
„ესე არს ეგვიპტური ზრქულფურცელი, რომელ(ი) ფურცელთა ზედა მო-  
ისხამს ლელვთა“ (თხზ. IV<sub>1</sub>, გვ. 417). საბას განმარტებას სიზუსტე აკლია,  
მაგრამ სწორია, როცა ლექსიკოგრაფი ლელუსულელის განმარტებისას წერს:  
„ვიეთთა ლელუსულელი და ლელუსუარი არა გაურჩევაითო“, (თხზ. IV<sub>1</sub>,  
გვ. 417). ლელუსულელი კი, საბათი, „ესე არს, რომელ სიკო — ლეღვი და  
მორბო—სულელი. ჩვენთა მთარგმნელთაცა ამის გამო აღუწერიათ, თვარა  
სადაცა ლელუსულელი წერილ არს, ყოლას ეწოდება“.

ლექსიკონებში სუარ, სოარიმ სიტყვა ბიბლიური მნიშვნელობით განი-  
მარტება: „სუარი უყამური, ცუდი несвоевременный, худой, სუარი ლელვი  
худая смоква (დ. ჩუბ., ლექსიკ., გვ. 1195); „სოარიმი უვარგისი, ცუდი“  
(აბულ., ლექსიკ. გვ. 400).

26. მანა, მანა, მანანა, მანანა (ებრ. man hā, ბერძნ. μαρυα, სომხ.  
მანანა). ამ ბიბლიურ სიტყვას უკავშირებენ ებრ. manhū-ს („რა არის“) ომის  
გამო, რომ ეგვიპტელთა მონობისგან თავდახსნილ ებრაელებს უდაბნოში  
40 წლის ხეტიალისას თითქოს ღმერთი ციდან უგზავნიდა ერთგვარ საჭმელს,  
თეთრ, ქინძის თესლის მსგავს მარცვლებს. გაოცებული იუდეველნი კითხუ-  
ლობდნენ: მანაჲ („რა არის“?).

„ხოლო იხილეს რამ ძეთა ისრაელისათა, ჰრქუა მოყუასმან მოყუასსა:  
„რამ არს ესე? რამეთუ არა უწყოდეს, რამ იყო: ხოლო მოსე თქუა მათდა  
მიმართ: ესე პური რომელა მოგვცა თქვენ უფალმან ჰამად“ (გამ. 16, 15 M).



ამ მანნისგან აცხოვდნენ ან ხარშავდნენ პურეულს (გამ. 16, 23). ამ საიღუმ-  
ლო ღვთიური პურის მნიშვნელობაზე ნაირგვარი აზრი არსებობს (Словарь  
Библ. дог-ия. გვ. 540—542. Библ. словарь. გვ. 237.)

ეს სიტყვა ქართულში ნაირგვარად არის გადმოღებული ბერძნული  
μαζαα-ს ადაპტაციის მიზნით (მანა, მნა, მანნა, მანანა...) და გადმოსცემს  
როგორც ღვთიურ პურს, ასევე უსისხლო, პურეულის შესაწირავს ღმრთი-  
სადმი: „ღღესასწაულთა და კრებათა იყოს მანნაი (მანანაი O) და ცხოვლი  
შუარაკსა თანა (ეზეკ. 46, 11JO), და ტარიგი წელიწადული შეწიროს... და  
მანნაი მანანაი (O, მანაი G) ყოს მას ზედა განთიად მეექვსეც საწყაულისაი  
(ეზეკ. 46,14JO).

ახალ აღთქმაში მანნა (მანანა) ქრისტეს წინარე სიმბოლოდ მოიაზრება:  
„რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა  
დადგრომილ არს და მე მის თანა, რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით  
გარდამოჲდა. არა ეგრეთ, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუნთა მანანაი და მოს-  
წყდეს. ხოლო რომელი ჭამდეს ამას პურსა. ცხოვდეს უკუნისამდე“  
(ი. 6,56—58).

აღსანიშნავია, რომ ახალი აღთქმის ქართულ რედაქციებში მანნა კი  
არ არის, არამედ სისტემებრ მანანა (ქართულისათვის უჩვეულო გემინაცია  
დაძლეულია ხმოვნის ჩართვით: ნნ—ნან: მანნა > მანანა). როგორც აღვნიშნეთ,  
ძველი აღთქმის მანნა ქრისტეს წინარე სიმბოლო იყო. ამიტომ ახალ აღთქმა-  
ში მანანა ქრისტეს მიემართება, უკეთ, მისი მოძღვრების რწმენას: ზეციური  
პური სიმბოლო იყო ხსნისა, ხოლო ქრისტეს მოძღვრების რწმენა — საბო-  
ლოო ხსნა ადამიანისა. ამიტომ ამბობს ქრისტე: მე ვარ პური ცხოველი, რო-  
მელი ზეცით გარდამოვკედ, უკუეთუ ვინმე ჭამოს ამის პურისაგან, ცხოვ-  
დეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჯორცი ჩემი არს, რომელსა  
მე მივსცემ ცხოვრებისათს სოფლისა“ (ი. 6,51).

საბა ზოვად აღსწორად განმარტავს: „მანნაი შესაწირავი“ ZAB. შდრ.:  
ადრეული რედაქციით „შესაწირავი გინა ძღვენი“ (ლექსიკ. IV, გვ. 440).  
საბა მანანა-საც განმარტავს, როგორც შესაწირავს (იქვე, გვ. 437). ასევე სხვა  
ერთეულია საბათი მანანა „ზეცით შთამოვრდომილად ითქმის. ხოლო ენთა  
ასურულითა მანანა რაიაო, ვინათ(გან) არა იცოდეს, რა იყო ამისთვის იკი-  
თხვიდენ რაიაო და მით ეწოდა მანანა (+მანანა თეთრი იყო. მსგავსი ქინძის  
მარცვლისა, თაფლებრ ტკბილი, მზე დაადნობდის ZA) ZAB (იქვე, გვ. 437).

მწიგნობრულ ქართულში მანანა შევიდა გადატანითი მნიშვნელობით,  
მოულოდნელი დახმარების, სასიხარულო ამბის გაგებით: „ასი მანეთი ახლა  
ციდან ჩამოვარდნილი მანანა იქნება“ (ნ. ნაკაშ.) [დედამ ღვთისამ] „ვეი  
მოგვცა მით გვიწვიმა ციდან მანანაო“ (რ. ერისთ.) (ქეგლ., V, გვ. 42).

27. ხავონანი (ებრ. kawwan, მრ. kawwanim, ბერძნ. Χασων /χασων, /χασωνας).  
ეს ებრაული სიტყვა აღნიშნავდა ტკბილ ნამცხვარს, რომელზეც ღვთაების სა-  
ხე იყო გამოსახული (გუზენ., გვ. 338). ქართულში ნახმარია ბიბლიის მცხე-  
თურ (M) ხელნაწერში (გვიანდელ რედაქციაში), ადრინდელ ხელნაწერებში  
კი მის ფარდად ქართული მსუნვევანია რეალობებული: „და ცოლნი მათნი ნა-  
ყენ ცმელსა ქმნად ხავონანი ძალთა ცისათა“ (იერ. 7, 18M), შდრ.: უქმნენ  
მსუნვევანი ძალთა ცისათა“ O. სხვა ადგილას (იერ. 44,19) M-შიც მსუნვევანია:  
„წუ თვნიერ ქმართა ჩუენთასა უქმენით მას მსუნვევანი, და უგენით მას საგებ-  
ნი“ (შდრ.: ... επιστημαει ενου Χασωνας...).

ქართულ ლექსიკონებში არსებითად სწორადაა განმარტებული. საბათი,  
„ხავონანი ნაზუქიეთი“ (საბა. თხზ., IV, გვ. 411). დ. ჩუბინაშვილით კი—  
„ხავონანი ლელენგო, ხმაილის ნაზუქი, ხაბაჰინი сдобный опреснок



### III. დროის აღნიშვნელი ლექსიკა

28. **შაბათი** (ებრ. šabbath ემყარება დასვენების მნიშვნელობის šbth ძირს; გეზენ., 806). ქართულს და სომხურსაც (შაბათ) ეს ფუძე ებრაულ-სირიული სამყაროდან აქვთ შეთვისებული, ისევე როგორც ბერძნულს **σάββατος** ოლონდ ეს უკანასკნელი ადაპტირებულია: **შ** შეცვლილია **ს**-თი და ბერძნული **ov** დაბოლოება აქვს მიღებული. ებრაულში კვირეულის მეშვიდე, უქმი დღეა შაბათი (ბიბლიური კოსმოგონიით სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა 6 დღის „შრომის“ შემდეგ, მეშვიდე დღეს დაისვენა). ქრისტიანობა რომ გამოიყვანა თავის საყრდენ იუდაიზმს, კვირეულის უქმ დღედ დაწესდა არა ებრაული კვირეულის მეშვიდე დღე, შაბათი, არამედ მისი (ე. ი. შაბათის) მომდევნო დღე, **ერთ-შაბათი**. ამდენად ქართულში **ერთ-შაბათი** სამუშაოდღეა, უქმიდან პირველი დღე, მაგრამ კალენდარულად ქრისტიანული სამყაროს კვირეულის უქმ დღეს, უფლის დღეს, კვირას (Κυριακή-ს) ემთხვევა. ამდენად, ბიბლიაში ნახმარი ერთ-შაბათი (מִצְרַיִם אַחַד שַׁבָּתוֹן, მრ. 16.2. ი 201 ...) კონტექსტში ებრაულ სინამდვილეს ასახავს, კვირის პირველ სამუშაოდღეს, ანუ ორშაბათს და არა კვირას, როგორც მას განმარტავენ<sup>21</sup>. ამ მხრივ რუსული თარგმანი უფრო ზუსტად გადმოსცემს გადღისეულ ვითარებას, როცა „ერთ-შაბათი“, უკეთ ბერძნული **μὴ ἓν σάββατον** გადმოაქვს როგორც „первый день недели“.

**შაბათი** ადრეა ნახსენები. ის საყრდენია კვირის 5 დღის სახელწოდებისათვის (ერთშაბათი, ორშაბათი...), ორი დღის სახელწოდებად კი ბერძნულიდან ნახსენები **პარასკევი** და **კვირა** დარჩა (ამ უკანასკნელმა „ერთ-შაბათი“ შეცვალა).

ებრაული მთვარის წელიწადის თვეთა სახელწოდებანი ბაბილონური წარმოშობისად მიიჩნევა. იგი იწყება **ნისანის** თვით, რომელიც არსებითად რომაული მზის წელიწადის აპრილზე მოდის. კ. კეკელიძის აზრით, უძველესი ქართული წელიწადი მთვარისა და „იმავე ბაბილონურ-სემური სისტემისა უნდა ყოფილიყო, როგორც ძველს ირანსა და სხვა ქვეყნებში. ის შემოსული უნდა იყოს ჩვენში მთვარის კულტთან ერთად ქარანიდან“<sup>22</sup>.

ებრაული მთვარის წელიწადის თვეთა სახელები ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში უთარგმნელადაა გადმოსული, მაგრამ ხშირად გლოსა ახლავს მზის წელიწადის ქართული თვის სახელწოდებაზე მითითებით. ეს სახელები ქართულში არ დამკვიდრებულან.

29. **ნისან-ი, ნესა** (ებრ. nisan, ბერძნ. Νισάν, Νεσαν) გეზენიუსით (გვ. 503) ესაა ებრაელთა წელიწადის პირველი თვე, რომელიც დაახლოებით აპრილზე მოდის, პასექის დღესასწაულის თვეცაა: „თუესა მას **ნისანსა**, თუესა მას **პირველსა** (I ეზრ. 5,6 O); „პირველსა მას დღესა ადარ და **ნესანსა**, რომელი არს იგრიკაჲ და ვარდობაჲ, ჩუენებაჲ იხილა“ (ესთ. შეს. O. ეს ადგილი M-ზე არაა).

სინურ მრავალთავში კვირილე იურუსალემელის ჰომილიაში „აღდგომისათვის მკუდრეთით“ იკითხება: „მიპრაკნისა მას თუესა მიწვევნითგან ზაფხული არნ; მესამე რამეთუ ამას თუესა ებრაელებრ **ნისან** სახელ-ედების, რო-

<sup>21</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბ., 1948, გვ. 114.

<sup>22</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, ერთდღები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, თბ., 1956, გვ. 100.

მელსა — იგი დღესასწაული ვნებისა მის აღსრულების“ (სინ. მრ., 159, 14, ა. შანიძის გამოცემა, 1957).

ნისან-ის სინონიმებად ძველ ქართულში, როგორც ჩანს, ხან ვარდობის თვა დასახელებული (მოდითა 3 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით), ხანაც იგრიცხა (მოდითა 4 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით)<sup>23</sup>. ეს იმიტომ ზღებოდა, რომ ძველ ქართულში მზის მოძრავე წელიწადის თვეები მოგვიანებით რომაულ-ბიზანტიურ მზის უძრავი წელიწადის ორი თანამიმდევარი თვის მიჯნაზე მოდიოდა.

„და მოუწოდეს მწიგნობარსა პირველსა მას თთუესა ნისანსა, რომელ არს ვარდობისაჲ, კვ მის თთვისა და მიუწერეს“ (ესთ. 8. 9); „ერთსა მას თთუესა ნისანისასა, ესე არს თთუე იგი იგრიცხაჲ (ესთ., სათაური, A 570, 83).

30. ადარ-ი (ებრ. 'adar, ბერძ. ἀδάρ, სომხ. აღარ). ებრაელთა მთვარის წელიწადის მეექვსე თვე, რომელიც დაახლოებით მოდიოდა რომაული კალენდრის მარტზე (გეზენ., 12; Библ. словарь, 250).

„პირველსა მას დღესა თთუესა ადარ და ნესასა, რომელ არს იგრიკაჲ და ვარდობაჲ, ჩუენებაჲ იხილა“ (ესთ. შეს. O). ეს ადგილი M-ში არაა.

„მეთათამეტესა თთუესა აღარისასა, რომელ არს იგრიკაჲ“ (ესთ. 8, 12, A—570, 646); „მეთათომეტე დღმ თთვისა მის აღარისაჲ, რომელ არს იგრიკაჲ“ (ესთ. 3,13, A 570,93).

31. ანთანიმ-ი (ებრ. 'ethanim, ბერძ. Ἐθάνιμ, სომხ. ანთან). ებრაულში ეს სიტყვა აღნიშნავდა მთვარის წელიწადის მეშვიდე თვეს (უფრო ადრე პირველი თვე იყო), რომელიც მოდიოდა რომაული კალენდრის სექტემბერში (იგივეა რაც თიშრი, რომელიც სომხურშია რეალიზებული თშრინ-ის სახით), ეტიმოლოგიურად ათანიმ წყალდიდობის მნიშვნელობას უკავშირდება (Библ. словарь, გვ. 249). ბიბლიის ქართულ თარგმანში გადმოსულია ბერძნული წყაროდან: „და მოკრბეს სოლომონ მეფისა ყოველნი იგი ძენი ისრაელისანი თთუესა მას ანთანიმს, რომელ არს თთუე მეშვიდე“ (III მეფ. 8,20M). ქართულსა (და სომხურშიც) თავკიდურა მარცვალში თ ხმულთან ნ განვითარებულა (ათამინ—ანთამინ), ხოლო შემდგომ მ/ნ საურთიერთო მეტათეზისით: ანთამინ > ანთანიმ.

32. ქასლევი-ი, ხასილევი-ი (ებრ. Kislew, ბერძ. Χασλέω, Χασλέω, рус. Кислев). ეს სიტყვა ებრაულში ადრე გამოხატავდა მესამე თვეს, ხოლო ეგვიპტელთა ტყვეობიდან დახსნის შემდეგ მეცხრე თვეს, რომელიც მოდიოდა რომაული კალენდრის დეკემბერზე (Т. В., II, გვ. 239): „იყო თთუესა მას ქასლევისა“ (ნეემ. 1,1J); მცხეთურ (M) ხელნაწერში ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტის თარგმანში რეალიზებულია ხასილევის სახით: იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ზაქარიას მიმართ მეოთხესა თთვისა მეცხრისასა, რომელ არს ხასილევი“ (ზაქ. 7,1M).

33. ელიულა (ებრ. 'elul, ბერძ. Ἐλουλ) აღნიშნავს ებრაული მთვარის წელიწადის მეექვსე თვეს და მოდიოდა რომაული კალენდრის სექტემბერზე. გეზენიუსით, ებრ. elul მოდის ასურულ ululu-საგან (გეზენ., გვ. 40). „აღსრულა ზღუდე იგი ოცდამეხუთესა თთუესა ელიულაჲსასა“ (ნეემ. 6,14J).

34. იბულ-ი (ებრ. bül, ბერძ. βύβλ, βιβλ, სომხ. ბულ) აღნიშნავს ებრაული მთვარის წელიწადის მერვე თვეს და მოდის რომაული კალენდრის ოქტომბრის თვეზე (გეზენ., გვ. 89, Библ. словарь, გვ. 250). ქართულში მო-

<sup>23</sup> იქვე, გვ. 116.

სალოდნელი იყო ბულ-ი (მდრ. წაბს ლუკიანეს რეცენზიის ტექსტში და სომხ. ბულ), მაგრამ იბულ-ი ბერძნული წყაროს მცდარი წაკითხვის შედეგად მოდიოდეს, ი დამატებულია წინა სიტყვის (ἐν μῦθι: „თვეში“) დამატებითი-დან. მართალია, ბერძნულის ძირითად ხელნაწერებში ქართული იკითხვისის „თუესა მას იბულს“-ის ფარდად იკითხება ἐν μῦθι: წაბს, მაგრამ ეს არ ცვლის გამოთქმული ვარაუდის შესაძლებლობას (როგორც ვთქვით, ლუკიანეს რეცენზიის ტექსტში წაბს მოიპოვება). ეს სიტყვა ბიბლიის ტექსტში ერთხელაა რეალიზებული: „თუესა მას იუსსა (!), წელსა მას მეთათრთმეტესა სუფევსა თვისსა თუესა მას იბულს (რამეთუ იგი არს თუე მერვე) აღესრულა ტაძარი იგი“ (III მეფ., 6, 37 M).

#### IV. ზომა-წონის, საწყაოს, ფულის ერთეულები.

საწყაოს ერთეულების უცხოენოვან სახელწოდებათა დიდი ნაწილი ძველ ქართულში უთარგმნელად არის გადმოსული, და როგორც აღვნიშნეთ, არსებითად ბერძნული წყაროდან. ამ უკანასკნელიდანაა ქართულში შემოსული ებრაული წარმოშობის ამ ტიპის სახელებიც. აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში იცნობდნენ ებიფანე კვიპრელის ტრაქტატს „საზომთათვის და საწყაულთა“, რომელშიც ლაპარაკია ბიბლიის შემადგენელ ნაწილებსა და მასში ნახსენებ საწყაო-საზომებზე. ეს თხზულება სრულად სირიულ ენაზეა დაცული, ხოლო ბერძნულსა და ქართულში — ფრაგმენტულად. კვიპრელის თხზულების ქართული თარგმანის ნაწილი დაუცვეს ცნობილ „შატბერდის კრებულს“<sup>24</sup> (S—1141), ამ შრომის ის ნაწილი, რომელიც „ფსალმუნის“ დაყოფას ეხება, პარალელს პოულობს ე. წ. „მცხეთის დავითნზე“ (A—38) დართულ ერთ-ერთ დამატებასთან<sup>25</sup>, როგორც ეს შენიშნულია დღეს<sup>26</sup>. საწყაოს ზოგ ებრაულ ერთეულზე მოვიყვანთ ცნობებს.

35. მოდი-ი (ებრ. middā, ბერძ. μᾶθηζ, ლათ. modius) ებრაულში ეს სიტყვა ზოგადად აღნიშნავს ზომას, საზომს (Билл. словарь, გვ. 244). ამ სიტყვის ისტორიაზე ცნობები დაცულია ებიფანე კვიპრელის ზემოდასახელებულ თხზულებაში: „და საწყაულ იქმნა, ებ-სა ქსესტსა ჰრქვან ებრაელთა მოდ, ხოლო მოდი ბერძენთა გამოთარგმანეს და მოდ-ადვე სახელ-სდებენ, ეგრევე-სახელ მეგვტელნი სახელს-სდებენ მეტ, ეგრევე-სახელ ასურნი და არაბიელნი მოდ-ადვე სახელ-სდებენ, რომელი გამოითარგმანების „აღსარება“. რომელ არს მოდიმ. უკუეთუ არა აღივსოს მოდი, იგი არა აღიარის, ვითარმედ სავსე არს... მოდსა საწყაულ ჰრქვან, ვითარცა ებრაელთა შორის ალექ ყრმასა სწავლასა შინა ჰმოდლორინ“ (შატბ. კრებ., გვ. 194).

მოდი ქართულში შევიდა თხევადი და მარცვლელის კონკრეტული საზომის სახელწოდებად. აღსანიშნავია, რომ ზომა-წონის; საწყაოს ერთეულების მნიშვნელობა ისტორიულად ცვალებადი იყო და ამიტომ ჰირს მათი კონკრეტული მნიშვნელობის დადგენა. საბას სიტყვების არ იყოს, „საწყავი თემითი თემად ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები“ (თხზ. IV<sub>2</sub>, გვ. 254). გ. მთაწმიდელი წერს: „დიდსა ლავრასა მისცენს... ოთხნი ჯორნი და სამნი ცხენი და ნავი ხუთასისა მოდისაჲ (31.5). ა. შანიძით, მოდი დაახლოებით 8 ნახევარი ან სხვა ანგარიშით 26 ლიტრია“<sup>27</sup>. საბათი, მოდი საწყავი არს, 22 ქსეს-

<sup>24</sup> შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 191—195.

<sup>25</sup> მზ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 91.

<sup>26</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960, გვ. 455—460.

<sup>27</sup> ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდელის ენა, გ. მთაწმიდელი, ცხორება იოვანე-ი და ეფთვიმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

ტიანი. ცხრა ათას[ს] დრაჰკანსა მრაცხელნი ერთს[ა] მოდსა უწოდენ (ლექსიკ. IV<sub>1</sub>, გვ. 500). თავად **ქსექსტი**, საბასვე განმარტებით, ორი ლიტრა და ნახევარია (IV<sub>2</sub>, გვ. 234). სხვა განმარტებით: **მოდი**, **მოდა** ჩანახი ძველებური, რომელიც შთაიტევდა ასს კვერცხსა“ (ნ. ჩუბ., ლექსიკ., გვ. 288). ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებას იმეორებს დ. ჩუბინაშვილი და ამ უკანასკნელზე დამოწმებით ქეგლ-იც (ტ. V, 1958, გვ. 627) (მდრ. **ჩანახი** დაახლოებით ნახევარი ფუთია).

აღსანიშნავია, რომ ეფრემ მცირეს **მოდ** საზომის, მეტრის, ე. ი. ნიმუშის, მნიშვნელობით აქვს ნახშირი: იგი წერს სვიმეონ საკვირელომოქმედის ეკლესიაზე: „საწყაული კეთილი და განმყოფელი იფქლისა ცხოვრებისად ქეშმარტებით წმიდად **მოლად** სახელდებულ არს“. ამას ახლავს სქოლიო: „შენსწავე, რამეთუ ბერძენნი არა თორნედ, არამედ წმიდად **მოლად** უწოდენ წმიდა ეკლესიასა ჩუენ ქართველთასა“<sup>28</sup>. აქ ნათქვამია, რომ ბერძენები ქართულ ეკლესიას წმინდა საზომს (ე. ი. ქეშმარიტ, უტომეღ), წმინდა მეტრს უწოდებენ და არა წმინდა თორნეს ანუ წმიდა ფარს-თ. მდრ. „მოილო თორნმ (ფარი M) — უძლეველი სიწმიდმ (სიბ. სოლ. 5,20 OM).

36. **გომორ-ი**, **ლომორ-ი** (ებრ. *גומר*, ბერძნ. *γόμερ*, სომხ. ქსესტ). ეს ებრაული წარმოშობის სიტყვა ბერძნულსა და ამ უკანასკნელის გზით ქართულში სითხისა და მარცვლეულის კონკრეტულ საწყაოს აღნიშნავს, 1/10 ვიფს (Билл. словарь, გვ. 245—246) ანუ 4 ლიტრს (ლიტრა *λίτρα* რომაული სისტემით უდრის 327,45 გრამს, არაბულით კი — 449,28 გრამს). საბა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით **გომორ-ის** ანუ **ლომორ-ის** რამდენიმე სახეს გამოყოფს: „მცირე ლომორი არს მოდი ათი, და დიდი ლომორი — მოდი ათხუთმეტი, ხოლო სხვა ლომორი არს მეთათედი დიდისა საწყავისა, რომელ არს არტავი... რა ეპოე, იგი დავწერე“ (თხზ. IV<sub>2</sub>, გვ. 253—254). ნ. ჩუბინაშვილიც საბას ლექსიკონს ემყარება: **ლომორი**, **ლომური** 15 მოდი, ხოლო მცირე ლომური 10 მოდი (ლექსიკ., გვ. 411). დ. ჩუბინაშვილი აზუსტებს: ებრაული, საწყაო 15 მოდი ან 10. *еврейская мера, десятая часть ефи* (ლექსიკ. გვ. 1364). არაა ზუსტი ილ. აბულაძის განმარტება, რომ გომორი იყოს კოკა (ლექსიკ., გვ. 95).

ქართულში **გომორ**, **ლომორ** ბერძნული *γόμερ*-ის გადმოცემაა ( $\gamma =$  გ/ღ) ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებში: „რამეთუ ათი გუერდი არს **გომორ**“ (ხოლო ათი **ლომორი** — გრივ **ღ**). (ეზეკ., 45,14 **ღ**); „შეკრიბეთ კაცად-კაცად-მან მისგან, რაოდენ ჯერ-იყოს, **ლომორი** თავად-თავად, რიცხვსა-ებრ სულთა თქუენთასა (გამ. 16,16M), და აღწყეს **ლომორი**, და არა დაჰმატდა ფრიადსა და მცირედსა და მცირედსა არა დააკლიდა“ (გამ. 16,18M).

37. **სიკლა**, **სიკილა** (ებრ. *שקל*, ბერძნ. *σικλῆ*, სომხ. სიკლ. რუს. *сикль*). ებრაულიდან ბერძნულში შესული და ადაპტირებული ეს სიტყვა აღნიშნავს წონის ერთეულს ვერცხლის (ან ოქროს) ფულისა. ებრაულში **შეკელი** აღნიშნავდა ყველაზე სახმარ მონეტას (Билл. словарь, გვ. 102). ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდანაა გადმოსული **სიკლა** (სიკილა): „და სასწორი — ოცდახუთი ობოლი, ათხუთმეტი **სიკლა** და მნაჲ იყავნ თქუენი“ (ეზეკ. 45,12 $\zeta$ ). აღსანიშნავია რომ **სიკლა** ხელნაწერში არშიაზე მინაწერია: „**ობოლი** ჰქვან მერვესა უნკიასა, უნკიადსა ზოგი [ე. ი. ნახევარი.—კ. დ.] არს სიკლაჲ, მნაჲ არს **რთ** დრაჰკანი“. საბათი, **სიკილა** და **სატირი** (ე. ი. სტატირი) სინო-

<sup>28</sup> ეფრემ მცირე, უწყებები მიზეხსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენებოს, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-სამეცხელო დაურთო თ. ბრე-ვაქემ, თბ., 1959, გვ. 3.

ნიმებია და ღირებულებით დიდრაქმას ანუ დრაქმანახევარს უდრის (ლექსიკ., IV, გვ. 421, 224). სხვა განმარტებით, **სიკილა** ერთი დიდრაქმა, ძველქართული ფული ებრაელთა, საწონადაც იხმარებოდა (რიცხ. 31,25) სიკლ. (ლექსიკ., გვ. 364); **სიკილა** (ბერძნ.) ერთი დიდრაქმა, ძველებური ფული ან საწონი ებრაელთა სიკლ. вес и монета еврейская. დიდრაქმა ფასობდა 14 შაურად (დ. ჩუბ., ლექსიკ., გვ. 1172). (დრაქმა ქართულში დრამას სახითაცაა გამოარტიკებული და აღნიშნავდა 20—25 კაპიკის ღირებულ ვერცხლის ფულს ან წონით ერთეულს, 3,5 გრამს: ქეგლ-ი, III, 1953, გვ. 1219—1221).

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ **სიკილა**-ს პარალელურ ქართულ რედაქციაში **სახწორი** ენაცვლება: „და შენ მოიხუენ სულნელი ყუავილი ზმვრნისა რჩეულისა ხუთასი **სიკილა**... და ირეოს ხუთასი **სიკილა**ა წმიდისა და ზეთი ზეთთაგან სათველი ერთი“ (გამ. 30, 23—24M), შდრ. „და შენ მოიღე სულნელთაგან ყუავილი მურისაგან რჩეულისა ხუთასი **სახწორი**...“ O. მაგრამ თუ აქ საწორი გადმოსცემს ბერძნ. **სიკლოს**-ს, ახალ აღთქმაში ბერძნ. **სტატირს** და **მნა**-ს ეფარდება (შდრ. მ. 17,27, ლკ. 19,16—18).

38. **მნა** (ებრ. *manē*, ბერძნ. *μηνή*, სომხ. *მნა*), როგორც ოქროს ან ვერცხლის ფულის ერთეული, მონეტა, უდრიდა 100 დრაქმეს ან 25 სტატირს. ეგრემ შვიტით, „მნაა არს ლიტრად ერთი და ლიტრისა მეორის ნაწილი“ (Jer. № 43, 87v). ის ნახმარია ძველი და ახალი აღთქმის ქართულ ვერსიებში: „და საწორი—ოცდახუთი ობოლი, ათხუთმეტი **სიკლა**, **მნა**“ იგი იყავნ თქუენი (ეზეკ. 45,12C), მისცა მათ ათი **მნა**“ (ლკ. 19,13).

საბათი, **მნა** არის ებრაულად კინხარეს, ხოლო ელლენებრ ტალანტი, რომელ არს ქანქარი (თხზ. IV, გვ. 497), დ. ჩუბინაშვილით კი **მნა**, **მნასი** (ბერძნ.), ს. ოქროს ან ვერცხლის წონა. ახლანდელის გირვანქის ოდენა, რადგანაც ძველად წონით იღებდნენ საფასესა, старинная монета в 60 сикл. весом в фунт (ლექს., გვ. 778). ქართულში **მნა** ბერძნული წყაროდანაა შემოსული.

39. **კვი**, **ვიფი** (ებრ. *קִיפִי*, ბერძნ. *κιφί*, სომხ. *კაპიჭ*, რუს. *дѣл*) აღნიშნავს გარკვეულ საწყაოს მარცვლეულისას და ნახმარია M ხელნაწერში: „იყოს მოღებდ და მიღებდ მეათედი ღომორისაჲ—კაბიჭი, და მეათედი ღომორისაჲ—**კვი**... და ესე დასაბამი, რომელი განაჩინოთ: მეექუსედი საწყეოსაჲ—ღომორისაგან. იფქლისა, და მეექუსედი **კვისა**—ოცდაათისა გრისაგან ქრთილისა“ (ეზეკ. 45,11—13M). ძველ JO. რედაქციებში **კვი**-ს ფარდად ნახმარია **კაბიჭი** (შდრ. სომხ. *კაპიჭ*) და **სათველი** (სათუელი). ბერძნული ფარდება *Χειρίς* და *κιφί*. საბათი, **კვ** არის ღომორი (თხზ. IV, გვ. 468), ხოლო ეს **ღომორი** დაახლოებით კოკას უდრის. საბა **ვიფ**-საც განმარტავს ოღონდ უფრო კონკრეტულად, კერძოდ, როგორც „საწყავი, სამთა მოღთა დამტევნელი (თხზ. IV, გვ. 271). დ. ჩუბინაშვილიც არსებითად იმეორებს საბასეულ განმარტებას: „**ვიფი** საწყაო სამი მოდი, ერთი სატა“ (ლექს., 508), ხოლო მოდი არის „ძველებური ჩანახი, რომელი შთაიტევდა ასს კვერცხსა“ (იქვე, გვ. 788). სხვაგან (III მეფ. 4,22). **სათუელი** გადმოსცემს ებრ. *קור*-ს, ბერძნ. *Κόρις*-ს

## V. სხვადასხვა

40. **ბეზეკი** (ებრ. *בִּזְזָק*, ბერძნ. *βιζζῆκ*, სომხ. *არეგაკან*, რუს. *мылния*), რომელიც ებრაულში აღნიშნავს ელვარეს, ელვისებრ ბრწყინვალეებას (შდრ. სომხ. *არეგაკან* „მზე“) და საბას განმარტებითაც არის „ელვარე“ (თხზ. IV, გვ. 105). რეალიზებულია G (გელათურ) და M (მცხეთურ) ხელნაწერებში: „და ცხოველნი რბობილია და მოიქცეოდეს მწრაფლ, ვითარცა სახე **ბეზეკისა**“ (ეზეკ. 1, 14 M; G-ში სეცდომით **ზეზეკისა**, იკითხება), შდრ. и животные быстро двигались туда и сюда, как сверкает молния.

41. იეზერი (ებრ. nēzer, ბერძნ. νεζερ (:εζερ, εζერ), სომხ. იეზერ), რომელიც ებრაულში აღნიშნავს შარავანდს, გვირგვინს, პატივს, რეალიზებულია IV მეფეთა წიგნის ქართულ (M) რედაქციაში: „წარმოავლინა მათა ძე იგი მეფისა და მიეცა მას ზედა იეზერი იგი და წამება და სცხო მას და დაადგინა მეფედ. და აღიტყუელნა ერმან და თქუა: ცხოვნი, მეფე!“ (IV მეფ. 11-12M). იეზერი იკითხება ამ ადგილას სხვა ხელნაწერებშიც (ოშკისაში, A—571-სა და A—646-ში). რუსულ თარგმანშია „кениц“.

მზ. შანიძის აზრით, ქართული იეზერი დამოკიდებული უნდა იყოს სომხურ აგერ ფორმაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად სომხური ფორმა დამოკიდებული ჩანს ბერძნული ტექსტის მცდარ იკითხვისებზე (შდრ. ვარიანტული: [εζερ, ჰჯა. ალბათ, εζინεζერ→σιν εζერ), არ გამოირიცხება, რომ ქართული ფორმაც უშუალოდ იყოს დამოკიდებული ბერძნულ [εζერ იკითხვისზე. სხვა ადგილას ებრ. nēzer თარგმნილია შარავანდ (II მეფ. 1,10M) სიტყვით, ან გვრჯენ და სიწმიდე (ფსალ. 88,40) ერთეულებით)<sup>29</sup>.

42. მექონოთი (ებრ. m'konoth, ბერძნ. μεχωνοθ, სომხ. მექონოთ), რომელიც ებრაულში აღნიშნავს კიბის ან კვარცხლბეკის საფეხურს, ძველი აღთქმის წიგნთა ქართულ რედაქციებში არაერთხელაა დადასტურებული: „რამეთუ იტყუს უფალი ძალთაჲ: სუეტთათჳს და ზღუსათჳს მექონოთათჳს და ნეშტთა ზედა ჭურჭელთა“ (იერ. 27,19 M); „ზედა თავსა მას მექონოთისასა წყრთისა ერთისა კერძო სიდიდით მრგულიად გარემო ზედა თავსა მის მექონოთისასა“ (III მეფ. 7,35 M). „დაპრა მეფემან აქაზ კარშაეები მექონოთთა მათ და ცვაღნა მათგან ავაზანნი იგი“ (IV მეფ. 16,17 M).

საბათი, მექონოთი არს ტაძართა და ეკლესიათა კართა ზარისხელად აღსავალი (თხზ. IV, კვ. 84), ილ. აბულაძით კი, მექონოთი, მიქონიდი, მიქონოთი, მიქონიოთი საფეხური, კვარცხლბეკი (ლექსიკ., 235).

43. კარმელი (ებრ. karmel, ბერძნ. κάρμηλος; სომხ. კარმელოს), რომელსაც ებრაულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს (გეზენოუსი, 1915, გვ. 363). ქართულ თარგმანშიც ხშირადაა რეალიზებული შემდეგი შინაარსით: 1. ნაყოფით მდიდარი ველი, ხეხილის ბაღი: „სადა არს უფალი... შემყუანებელი ჩუენი კარმელისა მიმართ ჭამად ნაყოფთა მისთა და კეთილთა მისთა (იერ. 2,7M), შდრ Я ввел вас в землю плодоносную, чтобы вы питались плодами ее... 2. ბაღებით მდიდარი ქვეყანა, კერძოდ, იუდეა: „ვიხილედ და, აჰა კარმელი მოთჳრებულ და ყოველნი ქალაქნი მომწუარ ცეცხლითა ჰირისაგან უფლისა“ (იერ. 4,26 M), შდრ. Смотрю, и вот, Кармил — пустыня, и все города его разрушены от лица Господа. 3. ერთ-ერთი მთის სახელწოდება (И. Якимов. Толкование..., 1. გვ. 41, 106): ცხოველ ვარ მე, — იტყუს უფალი ღმერთი, — მეფე ძალთა სახელი მისი, რამეთუ ვითარცა არს თაბორი მთათა შორის, და ვითარცა კარმელი ზღუსა შორის, ეგრეთ მოვიდეს“ (იერ. 46, 18 M) შდრ.... как фавор среди гор и как кармил при море, так верно придет он.

44. მავმაროთი, მავმაროთი (ებრ. m'zammereth, ბერძნ. μαμμεραθ). ესაა ებრაული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს სანთლის თავის მოსაპურელ, ნაწვის მოსაცილებელ ხელსაწყოს (გეზენ., 411). ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდან არის შესული: „სასაკუმეველები და ვეხნები და საბფოთნი და მავმაროთნი და საწურეველები და სასანთლეები... მიიხუნა მთავარქონდაქარმან“ (იერ. 52,19 M).

<sup>29</sup> მზ. შანიძე, ორი ებრაული სიტყვა ძველი აღთქმის ტექსტში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962, გვ. 54.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული **მახმარი** (საბანელი ტაშტი (საბა. თხზ., IV, გვ. 432), დ. ჩუბინაშვილით კი—საბანოვე დიდი ტაშტი, *ванна* (დ. ჩუბ., ლექსიკ., II, გვ. 660), ილ. აბულაძით — ჭურჭელი (აბულ., ლექსიკ., გვ., 220). უზუსტობის საფუძველია ჩამოთვლილ სავანთა თანმიმდევრობაში უცხოენოვან ფარდთა აღრევა.

45. **საპფოთ-ი M**, **საპფოთ-ი O**, **საპფუთ-ი J** (იერ. 52,19) (ებრ. *šappōth*, ბერძნ. *σαπφούθ* სომხ. საპფოთ). ეს ებრაული სიტყვა აღნიშნავს ფიალას, ტოლჩას, შდრ. რუსული თარგმანის *чаша* (გეზენ., გვ. 548). ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდანაა შესული: „სასაკუმეველები და ვეხნები და **საპფოთნი** და მახმარიონი და საწურველები და სასანთლები... მიიხუნა მთავარქონდაქარმან“ (იერ. 52,19 M). ბერძნული წყაროს მიხედვით სწორი ფორმაა **საპფოთი (M)**, ხოლო **საპფუთი (J)** მრგვლოვანი ოქუს-გრაფიკული მონაცვლეობით ჩანს მიღებული (ნაკლებ სავარაუდოა ოს-ლაბიალიზაცია ფ-ს გავლენით), **საპფოთი (O)** კი არასწორი ფორმაა: არაბუნებრივი პფ ბგერათმომდევრობა დაძლეულია ფ-ს გადასმით.

ეს სიტყვა საბას ლექსიკონში არაა. დ. ჩუბინაშვილით კი, **საპფოთი** არის საბანელი, ტასტი (დ. ჩუბ., ლექსიკ., II, გვ. 1106). ილ. აბულაძითაც, არის ტაშტი (აბულ., ლექსიკ., გვ. 367).

46. **იდად-ი** (ებრ. *hēdad*, ბერძნ. *ἰδεδ*) ეს ებრაული სიტყვა, რომელიც გამოხატავს „მხიარულ ხმაურს“ (გეზენ., 174), ძველ JO ვერსიებში სულ არაა გადმოღებული (გამოტოვებულია), მხოლოდ M-შია ნახმარი: „და ღვთისა საწინებელთა შინა შენთა არა დაწინებს განთიად **იდად**, არცა მიმწუნრი არა ყვეს **იდად**“ (იერ. 48, 33 M). ეს სიტყვა ქართულ ლექსიკოგრაფიაში ამ წყაროდან შევიდა. საბათი, „**იდად** (48,33 იერემ.) ესე სიტყვა (+ არს 7) **სიცოცხლე სიხარულითა**“ (თხზ., IV, გვ. 327). დ. ჩუბინაშვილით კი, **იდად** მხიარულების ხმა, ვაშა, *браво, виват* (დ. ჩუბ., ლექსიკ., II, გვ. 578). დ. ჩუბინაშვილის განმარტება ზემოდასახელებული ადგილის რუსულ თარგმანს ემყარება, სადაც **იდად-ის** ფარდად „**крик радости**“ იკითხება. ქართულ სალიტერატურო ენას ეს სიტყვა არ უსესხებია<sup>30</sup>.

47. **სისაქ-ი**, **სისახ-ი** (ებრ. *šēšaq*, ბერძნ. *Σισαχ*, სომხ. სისაქ, რუს. *Сесах*), ეს არის ატბაშის (ებრაული ანბანის ასოთა შებრუნებული რიგით ხმარებაზე დაფუძნებული) წესით საიდუმლო (კრიპტოგრაფიული) დაწერილობა **ბაბილონ** სიტყვისა (გეზენ., 866). ის იერემიას წინასწარმეტყველების ქართულ რედაქციებში ბერძნული წყაროდანაა შესული (წინააღმდეგ შემთხვევაში **შეშაქ** იქნებოდა): „მეფემან **სისაქ** (სისახ M) სუას უკუანასკნელ (შემდგომად M) მათსა“ (იერ. 25,26JO): „ვითარ წარწყმდა **სის[აქ]** (-J) და მოინადირა სიქადელი ყოვლისა ქუეყანისა“ (იერ. 51,41 O), შდრ. ვითარ მოოჯრდა **სისახ... M**.

48. **ნაგებ-ი** (ებრ. *negeb*, ბერძნ. *ναγέβ*) ეს სიტყვა ებრაულში ორი მნიშვნელობისაა: 1. **სამხრეთი**, 2. ბიბლიის მიხედვით, გარკვეული **ქვეყნის** სახელწოდება. ეზრა სუთიელის წიგნის ქართულ თარგმანში **ნაგები** ნახმარია პირველი მნიშვნელობით, გამოხატავს დედამიწის სამხრეთ ნაწილს, წყლით დაფარულს. აქ ბიბლიურ კოსმოგონიაზეა საუბარი, რომ ღმერთმა შექმნა რა მიწა და წყალი, მესამე დღეს უბრძანა „წყალთა შეკრებად მეშვიდესა ნა-

<sup>30</sup> მხოლოდ საბა, თუ არ ვცდებით, თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ მხოლოდ ერთხელ ხმარობს ამ სიტყვას და, როგორც ნაკლებად ენობილს, განმარტავს კიდევაც: „რამდენსაც ზარბაზნს ვასტყორცემდენ, იმდენს ჩვენი მენავენი ვაივარულს დაიბაზმდენ. ზარბაზნის მადლის გარდახდა იყო. ქართულად ასე მოვა: ი და დ მეფესა ი და დ ვინც არ იცით, „აღზინეო სიცოცხლეს“ ჰქვიან“ (თხზ., I, 154, 17).

წილსა ქუეყანისასა“. „ხოლო მეხუთესა დღესა უბრძანე მეშვდესა მას ნაწილ-სა, სადა იყენეს წყალნი, რომელსა ჰრქვან **ნაგებ**, გამოცენებად საცხოვართა, მფრინველთა და თევზთა“ (ეზრა სუთ., 4,47): „ვერ უძლო მეშვდემან ნაწილ-მან, **ნაგებმან**, სადა დგეს წყალნი, დატევენად მათა“ (ეზრა სუთ., 4,50; ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები. თბ., 1973, გვ. 294—295).

49. **მამონა** (ქალღეუბი ფუძეა māmōn, ებრ. māmōn, სირ.-არაბ. māmōnā, ბერძ. μαμωνά; არამეული māmōn მომდინარეობს mah'mon -ისგან, ხოლო უკანასკნელი იგვევა, რაც māmōn, რომელიც რეალიზებულია იველ აღთქმაში, შდრ. ფსალ. 37,16, ეკლ. 5,9 (გენინგსი, ლექსიკ., გვ. 125). ამ ფუძის მნიშვნელობაა სიმდიდრე, ქონება. ყოველგვარი შენაძენი, მათ შორის, ოქრო-ვერცხლის ფული. ზოგი ღვთისმეტყველი მას სიმდიდრის წარმართული ღვთაების სახელად თვლის. ზოგიც (გრიგოლ ნოსელი) ეშმაკ ბელზებელის სახელად. მაგრამ ეს არ არის გაზიარებული (T. B., ტ. III, გვ. 134). მას ბიბლიაში გადატანით განზოგადებული მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს **ანგარებას**.

ეს სიტყვა თავის ორივე ამ მნიშვნელობით ნახმარია მათეს და ლუკას სახარებებში: „ვერ ჰელ-ეწიფების კაცსა ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუად იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერ ჰელ-ეწიფების ღმრთის მონებად და **მამონაჲსა**“, (მ. 6,24). ლუკას სახარების მე-16 თავში სამჯერაა რეალიზებული ეს სიტყვა: „და მე გეტყვ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი **მამონაჲსა** ამის-გან სიცრუვისა“ (ლ. 16,9); „უტუეთუ სიცრუვისასა ამას **მამონასა** სარწმუნო არა იქმნეთ, ჰეშმარტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?“ (ლ. 16,11); „ვერ ჰელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და **მამონაჲსა**“ (ლ. 16, 13).

საბას ეს სიტყვა საკუთარ („კაცთა“) სახელებში შეაქვს და განმარტავს, როგორც „უსამართლოდ მოგებულ სიმდიდრეს“ (IV<sub>2</sub>, გვ. 619). საბა, ალბათ, ამ შემთხვევაში **მამონას** სიმდიდრის ღვთაების სახელად თვლიდა, როგორც ეს გამოკვეთილად ნ. ჩუბინაშვილის განმარტებიდან ჩანს: მამონა სიმდიდრე, ანუ სიმდიდრის ღვთაება“ (ლექსიკ., გვ. 206).

ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულისათვის არ არის უცხო **ანგარების** მნიშვნელობით სახარებისეულ სენტენციაში მისი მარჯვედ ხმარებულობის გამო.

50. **რაცა, რაკა** (ებრ. raq, არამ. rēk, სირ. raka, ბერძ. ρακι, სომხ. მი-მარ). ეს სიტყვა სარწმუნოდ არ განიმარტება, მაგრამ ყველა კომენტატორი ერთი აზრისაა მის უარყოფით, ცუდ, არადადებით მნიშვნელობაზე, რადგან სხვაგვარ გააზრებას არ იგუებენ სახარებაში ერთხელ (მ. 5,22) ნახმარი ეს სიტყვა: „რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანა-მდებ არს საშველისა. და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა „**რაკა**“ (რაც FG, რაკკა K), რომელ არს **საძაგელ**, თანა-მდებ არს კრებულისაგან განსვლად...“ (მ. 5,22). აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას ოთხთავის ძველ ქართულ რედაქციებში **რაკა**-ს გლოსა ახლავს: „რომელ არს **საძაგელ**“. გიორგისეულ ვერსიაში კი ეს გლოსა ამოღებულია, რადგან მას მხარს არ უჭერდა ბერძნული წყარო.

საბათი, **რაკა** ასურულითა ენითა ვაჲ **შენ**, გინა **სანერწყველ** (IV<sub>2</sub>, გვ. 6). არსებითად მასვე იმეორებს ნ. ჩუბინაშვილი: „**რაკა** ასურთა ენითა ვაჲ **შენ**, raka, пустой человек“ (გვ. 334). საბას განმარტება უნდა მოდიოდეს სახარებისეული ადგილის ითანე ოქროპირისეულ განმარტებიდან (რომელსაც იზიარებენ თეოფილაქტე და ეფთვიმე ზილაბენი) და რომელიც ცნობილი იყო ძველ ქართველ მწიგნობართათვის. ოქროპირით, **რაკა**-ასურულად „შენ“-





ის მნიშვნელობის სიტყვას მოგვაგონებს, რომელიც მცირე წყენას <sup>მნიშვნელობა</sup> <sub>მნიშვნელობა</sub> დებთ, დაუდევრად მოპყრობას გამოხატავს.

„ასკეტიკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში ნათქვამია: „**კითხვა**: რა არს **რაკა**? **მიგება**: სიტყუა სოფლისა, უმშუდესადრე საგინებლად უთუსესთა მიმართ მოპოვნებულნი“ (A—689,69v). ე. ი. აქ ნათქვამია: **რაკა** არა-მწიგნობრული, სასაუბრო სიტყუაა, რომელიც უწყინრად საგინებლად იხმარება უახლოესი ადამიანების მიმართ. ხოლო „მათეს სახარების თარგმანების“ შემცველ ერთ მე-11 საუკუნის ქართულ ხელნაწერში **რაკა**-ზე ძველ ღმრთისმეტყველთა (უფრო ოქროპირის) ნააზრევი ნათლად არის გადმოცემული: „ხოლო სიტყუა ესე **რაკა** არა გინება არს, არამედ შეურაცხება, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების ასურასტანელთა ენისაგან **რაკა**: „მ, შენო“, რომელ-ესე არს შეურაცხებისა სიტყუა, ვითარცა ვინ ჰრქვს მონასა თესსა. ხოლო კაცთმოყუარმ ღმერთი ყოვლისავე ბოროტისა დასაბამსა და ძირსა აღმოფხურის, რამთა არა უძრმსიცა მოვიდეს, და გვბრძანებს, რამთა ურთიერთას არა შეურაცხებით, არამედ პატივით ვეტყოდით, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: პატივითა ურთიერთსა უსწრობდით, რამეთუ ესე არს წესი იგი სულიერი (Jer. 12; 22iv. ვიოწმებთ ზ. სარჯველადის წიგნიდან „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 237).

**რაკა**-ს მნიშვნელობაზე, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარობა არ არის. ოქროპირისგან განსხვავებით (რომლის აზრი ზემოთ მოვიყვანეთ) ავეგუსტინე ევლის, რომ ეს სიტყვა კონკრეტულად არაფერს გამოხატავს და წარმოადგენს მხოლოდ მრისხანებით შორისდებულ წამოძახილს. იერონიმით კი, ეს სიტყვა ებრაულია და ნიშნავს „ცარიელს“, ე. ი. უტეინოს, სულელს (T. B., III, გვ. 96). ჯენინგის უახლოეს ლექსიკონში სირიული ახალი აღთქმისა **რაკა** განმარტებულია ასე: გამოხატავს ზიზღს, აბუჩად ავლებას, უფარვის, უხეირო, არაფრისმამქნის კაცს, იდიოტს. სავარაუდოა მისი დაკავშირება არამეულ **გეკა**-ს და ებრ. **გეკ** „ცარიელ“ სიტყვასთან (ჯენინგსი, გვ. 211).

51. **კორბან**, **კურბან** (ებრ. **qorbān**, სირ. **kūrbānā**, ბერძ. **καραβαν**, სომხ. **კორბან**) არის სამსხვერპლო საჩუქარი, ძღვენი, **Darbringung** (გეზენ., 726). საბას ეს სიტყვა საზოგადო სახელებთან კი არა, არამედ „ქვეყანათა და კაცთა სახელების“ რიგში აქვს შეტანილი და განმარტებული: „**კორბანა** სამღვდელთა საუნჯე“ (+ შინა შესაწირავი **ZAB**) **ZABD**, (IV, გვ. 617). ნ. ჩუბინაშვილი ოდნავ აზუსტებს განმარტებას: „**კორბან** ებრაულად: შესაწირავი ანუ სამღვდელთა საუნჯე, **корбан**“ (გვ. 252). ალ. ხუდაბაშიანი, **კორბან** იგივეა, რაც **განძაკ**, ე. ი. ძვირფასეულის შესანახი კოლოფი ან თასი, რომელშიც ეკლესიაში დებენ ფულს (**Армяно-русский словарь**, I, M., 1838, გვ. 262) ჯენინგსით კი, სირიული **kūrbānā** არის მსხვერპლი, შესაწირავი (ებრ. 10, 10—14), ძღვენი, საჩუქარი (მ. 8,4; (ჯენინგსი, ლექსიკ., 191).

ეს სიტყვა სახარებაში ერთხელ არის ნახმარი, როცა ქრისტე შეახსენებს ფარისეელებს მათ მიერ მოსეს ათი მცნებიდან დედ-მამისადმი პატივისცემის ფორმალურად დამოკიდებულებაზე, რომლებიც მშობლებს ასე მიმართავენ: „რითაც შემეძლო მე დაგხმარებოდი ან პატივი მეცა, ის შეეწირე ღმერთს, ის **კორბან** ანუ საღმრთო ძღვენი“. ამგვარად ფარისეელები მევალებსაც ატყუებდნენ: თქვენგან აღებული ვალი ღმერთს შევსწირეთ და ვერაფერს დაგიბრუნებთო (**Бнл. словарь**. 221). „რამეთუ მოსე თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, და რომელმან ბოროტი თქუას მამისათეს და დედისათეს, სიკუდილით მოკუედინ. ხოლო თქუენ სიტყუთ: უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა და დედასა **კორბან**, რომელ არს ნიჟი, რომელი-რამ ჩემგან

სარგებელ გეყოს, და არას უტყვევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად, და ღმერთსა უმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა მავით თქუენითა...“ (მრ. 7,10—13).

აღსანიშნავია, რომ კორბან ზოგ ხელნაწერში (DEG) კურბან-ის სახითაა წარმოდგენილი, რაც უფრო სირიულ გახმოვანებასთანაა ახლოს, თუმცა არ გამოირიცხება მრგვლოვანი **ო**-სა და **უ**-ს გრაფიკული მონაცვლეობაც. ეს სიტყვა ქართულში დარჩა, როგორც ჰაპაქს ლეგომენონი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში ებრაული ლექსიკური ერთეულების უთარგმნილად ხმარება ბერძნული წყაროთა გაშუალებული. ასეთი სიტყვების დიდი ნაწილი მხოლოდ ქართული თარგმანის კუთვნილებად დარჩა და ენაში არ დამკვიდრებულა, მაგრამ ნაწილმა განიცადა ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილება და ისე შევიდა სამწერლობო ქართულში, როგორცაა: **ალილეუია** (ალილუია), **სატანა**, **მანანა** (მანანა, მანა), **პასექი** (პასქა), **ამენ**, **სორეკი**, **ამბა** (ანბა, აბა); **შაბათი**. ნაწილი ებრაული ლექსიკის კი არ დამკვიდრდა, თუმცა იშვიათად რეალობებულია ქართულ ორიგინალურ ძეგლებში. ასეთებია: **საბაოთი**, **ადონაი**, **ოსანა**, **ევფუდი** (ევფუთი, ეფუთი), **იდად**, **მოდი** და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი ებრაული სიტყვის მნიშვნელობის არამკაფიოობას მოჰყვა მათი ფონეტიკური გაცვეთა და გადააზრებაც: **ალილეუია**—**ალილო** („ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებათ“. შდრ. **ალილო** „წინასააღდგომო სიმღერა“), **საბაოთ**—**საბაო** (შდრ. „სიდან სადაო, წმიდა საბაო“).

#### გამოყენებული ლექსიკოგრაფიული შრომები (შემოკლებათა განმარტება)

- ი. იმნ., ოთხთ.—ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949.
- ი. აბულ., ლექსიკ.—ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- საბა, ლექსიკ.—სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული: თხზულებანი, IV, თბ., 1967, IV<sub>2</sub>, 1966 (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ).
- ჩ. ჩუბ., ლექსიკ.—ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
- დ. ჩუბინ, ლექსიკ.—დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.
- Словарь библ. бог-ия — Словарь библейского богословия под редакцией Ксавье Леон-Дюфура, перевод со второго французского языка..., Брюссель, 1974.
- Библ. словарь — Библейский словарь, Составил Эрик Ниюстрем. Перевод со шведского под редакцией И. С. Свенсона. Торонто, 1985.
- Т. В. — Толковая библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхого и Нового завета (в двенадцати томах) под редакцией А. П. Лопухина, Петербург, 1904—1913 (ახალ გამოცემა სამ ტომად: 1987, სტუკალოში).
- Двор. — Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, М., т. I, 1958, т. II, 1958.
- გუნენ.—W. Gesenius', Hebräisches und aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1915.
- ჯენინგსი.—W. Jennings, Lexicon to the syriac New Testament, Oxford, 1926.
11. შაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 3—4

ЕВРЕЙСКАЯ ЛЕКСИКА В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ  
ВЕРСИЯХ БИБЛЕЙСКИХ КНИГ

Резюме

В работе рассмотрено около 50 еврейских лексических единиц, попавших в грузинский текст через греческий перевод ветхозаветных книг. Прямая (непереведенная) передача таких слов в греческой и грузинской версиях обусловлена в основном отсутствием прямых эквивалентов, ибо такие слова выражают специфику еврейского быта.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი-  
ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა  
ბ. ჯორბენაძემ

## ალექსანდრე ლეონტი

 კვიცავდი ანთროპოზონიმიზისათვის სალიტერატურო ენასა და  
დიალექტებში

ანთროპონიმთა ფუძეების აბსოლუტურ ბოლოში დადასტურებული ხმოვნები (ა, ე, ო, უ, ი) ჩვეულებრივ უკვეცელია. სალიტერატურო ქართულში თავიდანვე დამკვიდრებული წესის თანახმად ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ბრუნებისას ბოლო ხმოვნებს არ იკვეცენ. უკვეცელია: შოთა, ჯაბა, გუჩა; ბარბარე, პეტრე, პავლე; დუტუ, ლუტუ, ხუხუ; ჯიბილო, სოსო, ქეთო; მაცი; გვადი, ფატი და მისთ. ამიტომ ისინი უკვეცელ სახელთა კლასში განიხილებიან. წესი ტრადიციულადაა აღწერილი ქართული ენის როგორც ძველ, ისე ახალ გრამატიკულ ლიტერატურაში, ამ თვალსაზრისს იცავენ: ნ. მარი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ი. სიხარულიძე, ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ჰ. ფოგტი, ს. ელენტი, შ. ძიძიგური, ლ. კვაჭაძე, ი. იმნაიშვილი, კ. ჩხენკელი, ა. დავითიანი, ალ. ონიანი, ბ. ჯორბენაძე, ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ყველა ქართული და უცხოელი ენათმეცნიერი, რომელიც ქართული ენის სტრუქტურულ სისტემას იკვლევს.

რა ვითარება გვაქვს დერეგაციისას? ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები წარმოქმნილ სტრუქტურებში ინარჩუნებენ თუ არა აუსლაუტურ ხმოვნებს? საწარმოქმნო მორფემები და მორფომოიდები ახდენენ ანთროპონიმულ ფუძეთა ფონეტიკურ მოდიფიკაციას? ყველა მორფემასა და მორფომოიდზე, ცხადია, ამის თქმა გაჭირდებოდა, მაგრამ მათ შორის გამოიყოფა ერთი მნიშვნელოვანი წყება, განსაკუთრებით აბსტრაქციულ და მაკინებელ-საალერსო სახელთა სადერეგაციო ელემენტების ჯგუფიდან, რომლის დართვა ხმოვანფუძიან ანთროპონიმებზე ბოლო ხმოვნის მოკვეცას იწვევს. პროდუქტულად უნდა მივიჩნიოთ: -ობა, -უნა, -ურ-ა//ულა, -ა, -ია, -იკა, -იკო, -იკელა, ან კიდევ: სა-ო, სა-ე. შოთა—შოთიკო, ჯანო—ჯანიკო, ივანე—ივანიკა, ხუხუ—ხუხიკა, ძუკუ—ძუკია, გიორგი—გიორგიკა, ფატი—ფატიკა, მაცი—მაციკა, გვადი—გვადიკა და ა. შ. მსგავსი ტიპის სტრუქტურებს ეპოულობთ როგორც სალიტერატურო ენაში, ისე, უპირატესად და უფრო უხვად, დიალექტურ მეტყველებაში. საილუსტრაციოდ მოვიშველიებ გურული დიალექტის მასალებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მაქვს ჩაწერილი.

1. იკვეცება ა ხმოვანი: ჯაბა—ჯაბიკო, ჯაბუკა, ჯაბუკელა; ჯაჯა—ჯაჯიკა, ჯაჯიკელა; გლაზა—გლაზუნა; თინა—თინიკო, თინიკელა, სათინო, სათინიკა; შალვა—შალიკო (—შალვიკო), შალიკი, შალიკელა, საშალვე... ამ რიგისა: შოთა, თაყა, ბაყა, ბაქა, ბაჯა, ხახა, დთა, მზეხა და მისთ. შდრ.: „ჯაბიე მესტუმრა“, „ჯაბუკელა მეზდება“, „ჯაჯიკელამ გამაკუჭა“, „ჩემი თინიკელი ახლა გასათხოვი ქალია“, „საწყალი გლაზუნაი უკრიმაკულებდა ხასანბეგურას“, „შოთიე მეხუთე კლასი გადავიდა“, „შალიკიამ ბეჭრი გვაცინა“... ბ. ჯორბენაძე დიალექტებში ადასტურებს შოთუკა-სა და მისი ტიპის ინოვაციებსაც (23, 199).

2. იკვეცება ე ხმოვანი: ხალამბრე—ხალამბრიე, სახალამბრიოთ; კიკე—



ქვიცო—ქვიცელა, ქვიცია; ერმილე—ერმილია, ერმილობა; ექვთიმე—ექვთიმეა, ექვთიმეობა, საექვთიმო; კორფილე (პორფილე)—კორფილია, უკორფილოთ, საკორფილე; პეტრე—პეტრია//პეტრეი, პეტრეკელა, პეტრეო; პავლე—პავლია//პავლიე, პალიო (→პავლიო), საპავლე... ამევე რიგისა: ფადიე, ლადიე, შაინე, მათე, თათე, ზოსიმე, ულიანე, ძეკვე, იორდანე, იაკინთე, ისიდორე, იპოლიტე, ფილიპე, კალისტე, თედორე, დიომიდე, კოტე, დოროთე, ფოტინე და სხვ. შდრ.: „ხლამბრაბი გამეიყვანა აი ლელე“, „ექვთიმია ისთე დაბერდა, აღარაფერი შუუძლია“, „კორფილას სირბილში ვინ აჯობებს!“ „კოტიას ბეჭერი ლაპარაკი უყვარს“, „ქვიცელაი შინ არაა“, „ფილიამ სოფელი ეიანცა“, „ფოტინაი ახლა ვილას ახსოვს“, „კოტიკელაი დიდი ბიკი გახთა“...

ე-ზე დაბოლოებული ანთროპონიმები სალიტერატურო ენაში უკვეცელადაა მიჩნეული. აკაკი შანიძე ამბობს: „მხოლოდ პირის სახელებია, რომლებიც ე-ს არ იკვეცენ, ესენია ადამიანთა სახელები და მათთან გათანაწორებული უცხო წარმოშობის გვარები: ალექსანდრე, კირილე, კოტე, პავლე, პეტრე, ელენე, მაკრინე“ (16,66). გურულსა და ზოგიერთ სხვა დიალექტში (იმერულში, რაჭულში, აჭარულში) ეს დერევაციული ნორმა არაა. ჩანს, აქედან შეყონა სალიტერატურო ენაშიაც. თანამედროვე მწერლების თხზულებებში გვხვდება მოფერებით-საალერსო სტრუქტურები: კოტიკო, პეტრეკელა, ივანია, პავლია, ელიკო, დათია და ა. შ. ბ. ჯობენაძეს დადასტურებული აქვს აჭარულში: აიშე — აიშუჟაე, აიშულაე (23,568), იმერულში პეტრე — პეტრია, პეტრეი (იქვე, 451). ძველი ქართლის ინოვაცია პავლისა ზ. სარჯველაძეს ხელოვნურ ფორმად მიაჩნია (12,371).

3. იკვეცება ო ხმოვანი. ამის საილუსტრაციო მაგალითებად გამოდგება თუნდაც სოსო, ვასო, თედო, ვანო, ტასო, ამბაკო, რაისო, ბაისო, ატატო და მისთ. ანთროპონიმები: სოსო—სოსიკო, სოსია//სოსიე, სოსიკელა; თედო—თედია//თედიე (შდრ.: კახ., ქართლ. თედუა); ვანო—ვანიკო, ვანიკელა (შდრ.: კახ., ქართლ. ვანუა); ვასო — ვასიკო, ვასიკელა; ტასო — ტასიკო, ტასია//ტასიე, ტასიკელა//ტასიკელაი; ამბაკო—ამბაკელა//ამბაკელაი; რაიოსო—რაისიკელა//რაისიკელაი; ატატო—ატატელა//ატატელაი და ა. შ. ა. შანიძის აზრით, პირის სახელები: ანდრო, ბეკო, გაბრო, გიგო, ვანო, ვასო, თედო, კაკო, თამრო, ნინო, ტასო, ქეთო და სხვ.—ყველა უკვეცელია (16, 66), გურულსა და ზოგიერთ სხვა დიალექტში (ქართლურში, კახურში, იმერულში, რაჭულში, აჭარულში) კი ისინი კვეცადი სახელებია: ანდრიკო, ანიკელა, ვასიკელა, თედია, კაკუნა, თამრიკო, ნინიკო, ტასიკო, ქეთუნა და ა. შ. ცნობილია, რომ ო-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები სალიტერატურო ენაში საერთოდ უკვეცელია. გამოჩაყლისებია ღვინო, რომელსაც მხ. რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლო ხმოვანი ეკვეცება (ღვინის, ღვინით). ოღონდ -ებ-იან მრავლობითს უკვეცელი ფორმით აწარმოებს (ღვინოები), და დრო, რომელსაც ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლო ხმოვანი არ ეკვეცება, მაგრამ ბრუნვათა ნიშნები (-ის, -ით) სრულად აქვს წარმოდგენილი (დროის, დროით), -ებ-იან მრავლობითში კი ესეც უკვეცელ ფუძეს ინარჩუნებს (დროები). შვევექლო, ამ ორი ობოლი სიტყვისათვის გვერდში ამოგვეყენებინა თუთუზო, მაგრამ ამას ხელს უშლის თუთუზა ვარიანტი. თუთუბო-ში ო ბოლო ხმოვანი ძირეული არ უნდა იყოს, მორფემოიდი ჩანს, ამიტომ ამ სიტყვის კვეცადად მიჩნეულია და ღვინოსთან გატოლება გაჭირდებოდა (6,178). ბ. ჯობენაძეს ო-ს მოკვეცის ნიმუშებად დასახელებული აქვს კახურში: ლექსო — ლექსუა, ვანო — ვანუა (23,132); აჭარულში: შალიკო — შალიკუნა, ვასიკო — ვასიკუნა, დათიკო — დათიკუნა, სერგო — სერგუნია, ვალიკო — ვალიკუნა

(იქვე, 439). ავტორი თვლის, რომ **ო** მოკვეცილია ასეთ დიალექტურ სტრუქტურებში: თედო — თედუა, სანდრო — სანდრუა, ვანო — ვანუა, მიტო — მიტუა (იქვე, 191).

4. იკვეცება უ ხმოვანი. უ-ზე დაბოლოებული სახელები ქართულში ცოტაა, მით უმეტეს საკუთარი სახელები თითებზე ჩამოსათვლელია. გვაქვს: დუტუ, ბუდუ, დაჭუ, ზუზუ, თეთუ, პუჭუ, პეხუ, შუშუ, ძუჯუ, უტუ, შუტუ და სხვ. ზოგიერთი მათგანი ვაერცვლებულია გურულშიც: დუტუ — დუტიე, ბუდუ — ბუდეი, შუტუ — შუტიე... შდრ.: „დუტიას არ დუუჯერეს“, „შუტიამ დაამთავრა კლასი“...

უ-ზე დაბოლოებული სახელები საერთოდ უკვეცლადაა მიჩნეული (16,66).

5. იკვეცება ი ხმოვანი. ი-ზე დაბოლოებული საზოგადო და ზედსართავი სახელები, როგორც ცნობილია, არც ძველსა და არც ახალ ქართულში აღარ მოგვეპოვება, გაშკრალია. სავარაუდოა, რომ აღრე გექონდა. მაგრამ რაოდენობით ძალიან ცოტა უნდა ყოფილიყო. „ი-ზე დაბოლოებული ფუძე ქართულში, — ამბობს ა. შანიძე, — აღარ შემოგვრჩა, უცხო წარმოშობის პირის სახელებს გარდა: აკაკი, გიორგი, ლავრენტი, ტერენტი“ (16, 67). მე მგონია, რატი, გვადი, მაცი, მაქცი, ფატი, ედუა, დაჩი ამ ტიპის ი-ზე დაბოლოებული ქართული ანთროპონიმებია და მათ რიცხში უნდა ჩაეყენოთ. ზმნური წარმოშობის გამიხარდი თავად ა. შანიძესაც ამ წრის ანთროპონიმად მიაჩნია (იქვე). გვადი, ფატი, აკაკი, გიორგი მორფოლოგიურად ტოლფარდი ანთროპონიმებია, ოღონდ გურულსა და ზოგიერთ სხვა დიალექტში ამათაც ემიჩნევათ ფუძისეული ბოლო ი ხმოვნის რყევა. დასტურდება: რატუნა, გვადიკო, გვადუნა, მაცუკა, ფატუნა, ფატიკო. ცოცხალ მეტყველებაში კაცი ყურს მოჰკრავს ამისთანა საალერსო გამოთქმებს: „ხომ ხედავთ, ჩემი ფატულა როგორ დაქალდა!“ „რატუნია, ბიჭო, გეიციენ, გეიციენ!“ „კილომ სავადოთ გაქვენ საქმე, ვეღარ მორჩით მაგის სტავლას!“ ნასესხებ ანთროპონიმთა აქტუალიზებაში გურული დიალექტი იცნობს ი ფუძისეული ბოლო ხმოვნის მოკვეცას ამისთანა შემთხვევებში, როცა ის გაგებულა სახელობითი ბრუნვის ნიშნად. ამის მაგალითები სხვა დიალექტებიდანაც შეგვიძლია დავიმოწმოთ. კახური: გიორგმა, გიორგს (23,322); ქართლური: გიორგმა, აკაკმა, გიორგამ (იქვე, 301); მთიულურ-გუდამაყრული: გიორგაი (იქვე, 280); ლეჩხუმური: აკაკმა, აკაკო, აკაკუნა, აკაკობა (იქვე, 501); ხევსურული: აკაკო. „რა მოგიწერავ, აკაკო? რად გამაღრიე სენია?“ (წელიწადეული, I—II, თბ., 1923—1924, გვ. 255).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ბრუნებისას უკვეცელ სახელებადაა მიჩნეული. ჯერ კიდევ ანტონი თვლიდა, რომ ალექსანდრე, იოვანე, პავლე, პეტრე, სტეფანე, ტიტე, უვესპასიანე, ქრისტეფორე, ფილიპე უკვეცილი სახელებიათ: „არა ემოყუტების მერყეობა ჰსობითსა ბოლოსა თჳსსა ე“ (1,10). ა. შანიძის მტკიცებით, „საკუთარ სახელთაგან პირის სახელები ყველა უკვეცილია“ (16,66, §§80—82). ამ შეხედულებას იზიარებს ა. ჩიქობავაც. მისი აზრით, ბოლო ხმოვანი არ ეკვეცებათ „ადამიანთა სახელებს, რომელთა ფუძე ბოლოვდება ა, ე, ო, უ ხმოვნებზე: თომა, პეტრე, ანდრო, დუტუ“ (19,239). ლ. კვაჭაძეს ქართული ანთროპონიმების ბრუნების თავისებურებანი სავანგებოდ არ განუხილავს, მაგრამ მას უცხოური წარმოშობის ხმოვნებით დაბოლოებული ანთროპონიმები პავლე, პეტრე, ვანო, ანდრო, უტუ, დუტუ, აკაკი, გიორგი ისევე, როგორც შოთა, ჯაბა, გელა, მაცვალა, ნათელა და მისთ.—ყველა უკვეცელ სახელად მიაჩნია (5,190). „ანთროპონიმები არც იკვეცებიან და არც იკუმშებიანო“, — ამბობს თ. უთურგაიძე

(14,99). ასევე აღ. ონიანის დაკვირვებით, ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ თროპონიმები — ყველა უკვეცელია (10,180).

ამრიგად, საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით, ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები, როგორც წესი, უკვეცელი სახელებია. მაგრამ ეს შეიძლება ითქვას არა სართოდ, არამედ მხოლოდ ბრუნების მიხედვით. ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები უკვეცელია არა სართოდ, არამედ მხოლოდ ბრუნებისას. რაც შეეხება დერვიაციას, აქ სულ სხვა ვითარება გვაქვს. აბსტრაქციულ და მაკინიბეულ-საალერსო სახელთა საწარმოებელ მორფემათა (-ობა, -ა, -აი, -იკა, -იკო, -იკ-ელ-ა და სხვ.) დართვა კი, როგორც ვნახეთ, იწვევს ბოლო ფუძისეული ხმოვნების (ა, ე, ო, უ, ი) კვეცას. ინდივიდუალურ მეტყველებაში ამ წესს ექვემდებარება ხმოვნებზე დაბოლოებულ ანთროპონიმთა სრული კორპუსი. თითო-ორლა გამონაკლისი ან ანთროპონიმთა ძირეული მორფემების ფონეტიკური სტრუქტურის ცალკეულ ერთეულთა ინოვაციები სურათს ვერ ცვლის. ცნობილია, რომ ქართული (და ქართველური) ძირეული მორფემის სპეციფიკურ ტიპად იმისთანა ერთეულებია მიჩნეული, „რომლებიც მარტივი თანხმოვნების ნაცვლად დეცესური რიგის ჰარმონიულ კომპლექსებს გვიჩვენებენ“ (მ.305), რის ნიმუშადაც წყალობა (კოლხ. ჰყოლოფუა) და მისი ტიპის სტრუქტურები ითვლება. ამ პროცესის შესატყვისობანი რომ დავძებნოთ მარკირებულ ანთროპონიმებში, გვექნება: ფეფ-, სეფ-, სეს-, კეკ- და ა. შ. შეკვეცილი ფუძეები (ძირები) ფეფე, სეფე, სესე, კეკე ტრადიციული სტრუქტურები და ჩამოთვლილი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ბუნებრივად კვეცად სახელთა ჯგუფში გადაირიცხება.

ნ. მარს ივანე, პეტრე, პავლე, რიფსიმე და მისთ. ანთროპონიმები კვეცად ფუძიანებად მიიჩნდა, რადგან ითვალისწინებდა, რომ მაკინიბეულ-საალერსო სტრუქტურების საწარმოებელი -ია, -იკა, -იკო და მისთ. ელემენტები ხმოვნით დაბოლოებულ ანთროპონიმთა ბოლო ფუძისეული ხმოვნის მოკვეცას იწვევს (პეტრია, პავლია, რიფსიმია), ხოლო ერთი მაგალითი ამის საილუსტრაციოდ, ივანიკა, დამოწმებულიც კი აქვს (8,22).

როგორც ამას ეს დაკვირვება ადასტურებს, ანთროპონიმთა ბოლო ხმოვნის მოკვეცა სალაპარაკო ენასა და აქედან მწიგნობრულ მეტყველებაშიაც გავრცელებული პროცესია. დიალექტური ტექსტიბიდან დავიმოწმებ კიდევ რამდენიმე ნიმუშს. ა. შანიძის მიერ ფიქსირებულ ხევსურულ ტექსტებში დასტურდება: პეტრე—პეტრუა, გიგა—გიგუა, ბათირა—ბათირუა, გიორგი—გიორგა... „პეტრუასა და მერცხალსა კაცი არვინ ჯობ ბიჭებსა“ (17,236), „გიგუამ ველარ გვიშველა, მეშვლობაი ქნა გიგამა“ (იქვე, 259), „მაშინაც ბათირუასა თქვენდამც შეეგდა თვალიო“ (იქვე, 261), „გიორგავ, შენსა სახლკარსა იტყვიან წინი ჯმოსასა“ (იქვე, 241); ა. ჩიქობავას გარეკახურში შეხედრია ო-ზე დაბოლოებულ ანთროპონიმთა ამისთანა წარმოქმნილი ფუძეები: შაქრო—შაქრუა, ვასო—ვასუა, გიგო—გიგუა, ვანო—ვანუა, ლადო—ლადუა, სერგო—სერგუა, ტაბრო—ტაბრუა, ნატო—ნატუა (18,64). შ. ძიძიურს დიალექტებსა და ისტორიულ საბუთებში აღწერილი აქვს: დათო—დათუა, დათიკ- (მოკვეცილია ო); პავლიკ- (მოკვეცილია ი), მახარე—მახარია; ბეჟუკა—ბეჟუკელი; გიორგი—გიორგელა (მოკვეცილია ი), „ზოგჯერ -ია სუფიქსი კვეცავს ბოლოვიდურ ხმოვანსო“ (21, 46—47,149); ს. ქლდნის გურულში: ისიდორე—ისიდორაი, პეტრე—პეტრეი (მოკვეცილია ე); ვერა—ვერეი, ჭოლა—ჭოლიე (მოკვეცილია ა); სოსო—სოსიკო, სოსიკელა, დათიკო—დათიკელა (მოკვეცილია ო. 11,65); შ. ნიქარაძეს აჭარულში: ზურიკო—ზურიკაა, ფაცუკო—ფაცუკა (9,110); ქ. ძოწენიძეს ქვემო იმერულში: თომა—თომიე, შოთა—შოთიე, მოსე—მოსიე, თალიკო—თალიკია, ვალი-



კო — ვალიკია, ანიკო — ანიკია, შალიკო — შალიკია (22,184, 146, 291).  
 ხაზგასმული სტრუქტურები საერთოა სხვა დასავლური კილოებისათვისაც (გეორგიანული, სლავური, ბალტიკური, ინდო-ევროპული).  
 -იკო-თი წარმოქმნილ ანთროპონიმებს -ელა მორფემოიდის დართვისას გუ-  
 რულში ფუძისეული ბოლო ო ხმოვანი ეკვეცება: ბიკიკო — ბიკიკელა, დათი-  
 კო — დათიკელა, მასიკო — მასიკელა, დარიკო — დარიკელა, თალიკო — თა-  
 ლიკელა, თამრიკო — თამრიკელა, პასიკო — პასიკელა, ვარდიკო — ვარდიკე-  
 ლა, ფეფიკო — ფეფიკელა, პაწიკო — პაწიკელა. შ. კუფრიდონიძემ სპეცი-  
 ალურად განიხილა: ვაჟა — ვაჟიკა, ვაჟუჟა, ვაჟიკო; ანა — ანიკო, ანუკა; ნი-  
 ნო — ნინიკა, ნინიკო ტიპის მოდლები (2,55—60), რომლებიც კილო-თქმებ-  
 თან ერთად აქტუალიზებულია სალიტერატურო ენაშიაც.

ნასესხები (ხმოვნით ფუძემდამთავრებული) ანთროპონიმები გიორგი, ლავ-  
 რენტი, ტერენტი, ბიკენტი, აგრეთვე ექვთიმე, თევდორე//თედორე, ივანე,  
 კვირიკე, სტეფანე, თორნიკე, კიტა და ა. შ. -ობა დერივატის დართვისას ფუ-  
 ძისეულ ბოლო ხმოვანს, როგორც წესი, იკვეცენ. გიორგა—გიორგობა,  
 ლავრენტი—ლავრენტობა, ექვთიმე—ექვთიმობა, თევდორე—თევდორობა,  
 ივანე—ივანობა, კვირიკე—კვირიკობა, თორნიკე—თორნიკობა, კიტა—  
 კიტობა (ორკიტობა—აკაკის მიხედვით)... სახელთა გაშენავებისას: იპოლიტე—  
 იპოლიტობდა, გაიპოლიტდა; ექვთიმე—ექვთიმობა, ექვთიმობს და ა. შ.

ანთროპონიმთა ზემოთ განხილულ წყებაში ფუძისეულ ბოლო ხმოვანთა  
 შეკვეცა დერივატულ სტრუქტურებში, როგორც ვხედავთ, საერთო გავრცე-  
 ლების მოვლენაა. ტენდენცია ძლიერი ჩანს დიალექტებში, მაგრამ ფეხს იკი-  
 დებს სალიტერატურო ენაშიაც, რასაც -იკა, -იკო, -ია, -უნა, -უჟა, -ობა,  
 ელემენტების ფუნქციის გაფართოება მოწმობს. კვეცადრა ყველა ხმოვანი.  
 ბრუნებისას უკვეცელ ანთროპონიმთა ფუძეები წარმოქმნილ სტრუქტურებს  
 შეკვეცილი ფუძეებით ამოდელებენ.

**ლიტერატურა**

1. ანტონ I, ქართული ლექსმეტრია, თბ., 1885.
2. აფრიდონიძე შ., ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები, „ქართული  
 სიტყვის კულტურის საკითხები“, IV, თბ., 1981, გვ. 55—60.
3. გამყრელიძე თ., შაჰაჯარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქარ-  
 თველურ ენებში, თბ., 1965.
4. კალაძე ც., სახელ-მამისახელებით მიმართვის შესახებ ქართულში, „ქართული სა-  
 ტყვის კულტურის საკითხები“, VI, თბ., 1984, გვ. 309—329.
5. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, I, თბ., 1961.
6. შანჭგალაძე ალ., „ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულე-  
 ბისათვის ქართულში, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, თბ., 1956,  
 გვ. 171—186.
7. Марр Н. Я., Исполн. Толкование Песни Песней, ТР, III, СПб., 1901.
8. Марр Н. Я., Грамматика древнегрузинского литературного языка, Л., 1925.
9. ნიქარაძე შ., ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
10. ონიანი ალ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1982.
11. ქლენტი ს., გურული კილო, თბ., 1936.
12. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ.,  
 1984.
13. უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა, თბ., 1976.
14. უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
15. ყაუხჩიიშვილი ს., ბერძნულ მამაკათა სახელების გადმოცემისათვის ქარ-  
 თულში, „არილი“, თბ., 1925, გვ. 89—105.
16. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
17. შანიძე ა., ხევსურული პოეზია, I, თბ., 1931.





18. ჩიქობავა ა., გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, თბ., 1929, 57—88.

19. ჩიქობავა ა., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ. I, 1950.

20. ჩიქობავა ა., სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, თბ., 1956, გვ. 239—264.

21. ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.

22. ძოწენიძე ქ., ქვემოიშვრული კილოკავი, თბ., 1973.

23. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

А. А. Глonti

### ОБ АНТРОПОНИМАХ С УСЕКАЕМОЙ ОСНОВОЙ В ГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ И ДИАЛЕКТАХ

#### Резюме

Известно, что в грузинском языке указанные гласные (а, е, о, и, ი) в ауслауте антропонимов обычно не усекаются, гласные сохраняются во всех падежах. поэтому антропонимы с окончанием основы на гласные принято считать именами с неусекаемой основой. Однако, во время словообразования, присоединение деривативных морфем (в первую очередь, аффиксов, образующих отвлеченные и уменьшительно-ласкательные имена) приводит к усечению конечных гласных (šotha — šothiko, barbare — barbaroba, ivane-ivanika, gigo — gigua, dutu — dutie, phati — phatula, giorgi — giorgoba) и эти антропонимы переходят в разряд имен с усекаемой основой. Таким образом, неусекаемых антропонимов или гласных в грузинском языке нет. Это преимущественно имеет место в диалектной речи, но начинает отмечаться и в литературном языке, что не подчеркнуто в научной литературе. Статья посвящена доказательству этого утверждения.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო მედიკოვიტრი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა.  
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა.

## მანანა თანაფაშვილი

## ჟ-სა და ს-ს ურთიმართმიმართებატვის სახეში

კახურის ხმოვანთა სისტემაში გარდა ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებისა, დასტურდება ნახევარხმოვანი [ჟ]. როგორც არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი აღნიშნავენ, „ეს ბგერა ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ კილოში იგი ისე ფეხმოკიდებული არაა, როგორც კახურში“<sup>1</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი ეს ფაქტი და მასზე არაერთი მკვლევარი შეჩერებულა კახურ დიალექტზე მუშაობის დროს. სპეციალური წერილები უძღვნა ამ საკითხს არნ. ჩიქობავამ<sup>2</sup>. ვრცლად მსჯელობენ მასზე არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი წიგნში „ქართული ენის კახური დიალექტი“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა მკვლევარი [ჟ]-ს განიხილავს [ს]-სთან მიმართებაში და, ჩვენი აზრით, საფუძვლიანადაც: არსებითად [ჟ] კახურში [ს]-ს ბგერინაცვალა.

ძველ ქართულში [ჟ] [ი]-ს დასუსტების შედეგადაა მიღებული და ამდენად ძველი ქართულის დონეზე [ჟ] და [ი] ერთი და იგივე ფონემის პოზიციური ვარიანტებია, თუმცა ორივე ალოფონი ძველ ქართულ ანბანში ცალ-ცალკე გრაფემითაა გამოხატული.

[ჟ] ძველ ქართულში იხმარება შემდეგ პოზიციებში:

V — #: ძმად, დედად.

V — C: წყაროსა, წყაროთა, რუმსა, რუმთა და სპორადულად.

V — V პოზიციაში: ესააა, კაააფა<sup>3</sup>.

თუ ძველ ქართულში [ჟ] [ი] ხმოვნის დასუსტების შედეგადაა მიღებული და წინაშეაღვალ ხმოვანთან ერთად დიფთონგის შექმნის ტენდენციით არის განპირობებული (რაც არსებითად ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგია მორფოლოგიურ სტრუქტურაზე), კახურში სულ სხვა ვითარება გვაქვს. მართალია, [ჟ] ყველა ზემოთ დასახელებულ პოზიციაში დასტურდება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი არის არა ხმოვნის დასუსტების შედეგად მიღებული ნახევარხმოვანი, არამედ [ს] თანხმოვნის ბგერინაცვალი. ამდენად, [ჟ]-ის ხმარების ინტენსიურობით კახური დიალექტი საგრძნობლად განსხვავდება ძველი ქართული ენის ფონემატური სტრუქტურისაგან, როგორც პოზიციური, ისე ფუნქციური თვალსაზრისით.

ჩვენ, ერთი მხრივ, გავაანალიზებთ იმ პოზიციებს, რომელშიც დასტურდება [ჟ], მეორე მხრივ, გავითვალისწინებთ იმ ფუნქციურ დატვირთვას, რომელსაც ეს ბგერა ატარებს.

1. ხმოვანფუძიან სახელთა პარადიგმაში [ჟ] ენაცვლება მიცემითი ბრუნვის ნიშანს და ამ შემთხვევაში იგი [ს]-ს ალომორფია:

პოზიცია V — #: „პენსიაა ვიდეფ“.

<sup>1</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1856, გვ. 31.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, ტფილისი, 1825; მისივე, ს ბგერის დასუსტება ქიზურში, „ენიმის მოამბე“, I, ტფილისი, 1837.

<sup>3</sup> ხ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1984 წ., გვ. 282.

„ნახევარზე ღოღოა ვკრეფამდით“.

„ბზეა შიგნით უშვებოდნენ და ნამჯაა კიდე გაჭმობდნენ“.

„ყრუეი იყო, ყრუა რაა გააგებინეთ“.

პოზიცია V—C: „დედათან გავგზანე“.

„წყაროთან დაახვედროდნენ“.

2. [ა] ენაცვლება ნათესაობითი ზრუნვის ნიშნის თანხმობის სახელებსა და ნაცვალსახელებში (როგორც თანდებულთან, ისე უთანდებულო ფორმებში) და [ს]-ს ალოფონად გვევლინება:

პოზიცია V — # „ვენაცვალე დღევანდელ აღდგომი დღეს“.

„წლია ბოლოა გაქვითამდენ, ვალი გაქო“.

„იმიო ყურძენი გამოდიოდა როგორც სანთელი“.

პოზიცია V — C: „იმაა სახლიათინ ამზადებდენ“.

„მამიათინ ეთქვა დასწერე ჭვარიო“.

3. [ა] ენაცვლება S<sub>2</sub> ან O<sub>3</sub> პირის ნიშანს და ამ შემთხვევაში იგი პ/ს-ს ალომორფია:

პოზიცია V — C: „ა ეგრე ხეები ვათალიან, მალა ჩამაყიდიან“.

პოზიცია # — C: „რათა ძღუბამთ ი ყანაა, თქვე მამაძღლებო?“

4. [ა] ენაცვლება S<sub>3</sub> მრავლობითის -ეს სუფიქსის თანხმობის და [ს]-ს ალოფონია:

პოზიცია V — #: „გამააცხე და აჰამეს“.

5. [ა] რეალიზდება სხვათა სიტყვის ო-ს წინ, როგორც S<sub>3</sub> ნიშნის [ს]-ს ალომორფი:

პოზიცია V — V: „ცხერის პატრონმა უდროთ მოუსხლიტა ბატკანი — წადი და შენი იყოო“.

როგორც ვხედავთ, [ა]-ის ხმარება კახურში პოზიციური თვალსაზრისით ემთხვევა ძველ ქართულს იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში არ გვხვდება [ა] ანლაუტში, პაუზის მომდევნოდ. ამ პოზიციაში [ა]-ის რეალიზება უმეტესად ქიზიყის მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი<sup>4</sup>.

პოზიციურად [ა] კახურში თავისუფლად რეალიზდება სიტყვის ანლაუტში, ინლაუტში და აუსლაუტში, მაგრამ დისტრიბუციის თვალსაზრისით მას ერთგვარი შეზღუდვა ახასიათებს. [ა]-ის რეალიზების აუცილებელი პირობაა მის წინ ხმოვნის არსებობა; ინტერკონსონანტურ და კონსონანტის მომდევნო პოზიციაში [ა]-ის რეალიზების ფაქტი კახურში ჩვენ ვერ დავადასტურებთ და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან [ა] დამოუკიდებელი ფონემა არ არის და არსებობს იმდენად, რამდენადაც ხმოვანთან ერთად ქმნის დიფთონგს. ეს მოთხოვნა არსებითად არ ირღვევა # — პოზიციაშიც, ვინაიდან ამ პოზიციაში გაბმულ მეტყველებაში ა გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი წინამდებელი სიტყვა ხმოვნით მთავრდება:

„მგელს რაღათა დცემეო?“

„ის ბიჭები ძანაა დგვანან“.

„გააკეთა მწვადები და აწვამს“.

„ქალი ეუბნევა: კაცო რა ანახეო?“.

საგულისხმო დაკვირვება აქვთ ამასთან დაკავშირებით არ. მარტიროსოვსა და გრ. იმნაიშვილს. როგორც [ა]-ის შესახებ მსჯელობისას ავტორები მოუთი-

<sup>4</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, ს. ბგერის დასუსტება ქიზიყურში, „ენიკის მოამბე“, I, გვ. 69. არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 33.

თებენ, „ა (← ს) იკარგვის კიდევ, თუ მას წინ ხმოვანი არ უსწრებს: მაგ.: ტა-ქანი, ტუმრები, წორეთ, მომწრე, წავლა და სხვა“<sup>5</sup>. ჩვენი მხრივ დავეუმატებ- დით იმას, რომ [ა] არ რეალიზდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სიტყვა წინადადებას იწყებს. ყოველ შემთხვევაში ასეთი მაგალითები ერთეულია.

ვიდრე ვიმსჯელებდეთ [ა]-ის ფონემატური სტატუსის შესახებ, აუცილებ- ლად მიგვაჩნია გავაანალიზოთ [ს]-ს დისტრიბუცია კახურში. საინტერესო და- კვირვებები აქვს ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავას. [ს]-ს პოზიციის და- სუსტება მკვლევრის აზრით, თან, თვის თანდებულის ფორმებში უნდა დაწყებულყო: სთ → ათ. პროცესი შემდგომ განზოგადდა და საფუძველი დაუღო [ს]-ს სისტემურ შეცვლას [ა]-ით. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი მიუთითებენ, რომ სტ, სწ კომპლექსებში [ს] გადადის [ა]-ში უმთავრესად მაშინ, როცა მას წინ უსწრებს ხმოვანი: მოვეაწარ, მააწავლა, დაეაწარ.

[ს] არ რეალიზდება და მას ენაცვლება [ა] შემოსულ სიტყვებში: ბოღტანი, ფოღტა, კომბოღტო, დაღტური. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, მორფემათა ზღვართან გვაქვს საქმე თუ ძირეულ მორფემასთან, სიტყვა ნასესხებია თუ ქართული წარმოშობისა: თანხმოვნის წინ რეალიზებულ [ს]-ს კახურში სისტე- მატურად ენაცვლება [ა].

ახლა ვნახოთ [ს]-ს დისტრიბუცია თანამედროვე სალიტერატურო ენაში. თ. უთურგაიძის მიერ „ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურაში“ წარმოდგე- ნილ ფონემურ კლასთა ურთიერთმიმართების ამსახველ ცხრილებში [ს] გვხვდე- ბა ფ ა ქ კ ხ ვ მ ნ რ ლ ფონემათა წინ და ფ ქ კ ფონემათა მომდევ- ნოდ, ანუ  $\beta \text{ ს} = \text{ფ ა ქ კ ხ ვ მ ნ რ ლ}$  და  $\alpha \text{ ს} = \text{ფ ქ კ}$  ფონემებს<sup>6</sup>.

როგორც ვხედავთ, [ს] რეალიზდება [ფ] და [ქ] თანხმოვანთა როგორც წინა, ისე მომდევნო პოზიციაში. [ხ] და [კ] ფონემებთან დაკავშირებით მას აკრძალვა აქვს: [ს] რეალიზდება [კ]-ს მომდევნოდ და [ხ]-ს წინ. [ს]-ს  $\beta$  ველი მოიცავს აგრეთვე [კ] [ქ] მკვეთრ თანხმოვნებსა და სონორებს: ვ მ ნ რ ლ.

სათანადო მაგალითების გაანალიზების შემდეგ ავტორი მიდის იმ დასკვნამ- დე, რომ „ყოველგვარი ძიების გარეშე — თუ საიდან არის ნასესხები ესა თუ ის სიტყვა ან რა მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია იგი — შეიძლება ს + მკვეთრი თანხმოვანი მივიჩნიოთ ქართულისათვის არაბუნებრივ კომპლექ- სად სიტყვის დასაწყისში, რადგან, ჭერ ერთი, არ არის დაცული ჰომოგენუ- რობა, რაც ასე დამახასიათებელია ძირითადი მოდელის ჩქამიერი კომპლექსები- სათვის, მეორეც, ენაში არა გვაქვს ქართული წარმომავლობის შ + მკვეთრი თანხმოვანი, როგორცაა შა-, შტ-, შწ-, შკ-. მესამე, რაც არსებითია, არა გვაქვს [ხ]-ს შესაბამისი რიგი ზბ-, ზძ-, ზჯ-, ზგ-. ყოველივე ამის საფუძველ- ზე ს + ჩქამიერი ხშულის ნებისმიერი კომბინაცია სიტყვის დასაწყისში გვი- ანდელია ქართული ენისათვის“<sup>7</sup>. თუ ამას დავეუმატებთ ფონემურ კლასთა მიმართებებს ქართულში და იმ აკრძალვებს, რაც ამ კლასებთან დაკავშირებით გვაქვს (ერთი და იმავე კლასის თანხმოვნები არ შედიან ერთმანეთთან კომბი- ნაციაში), მაშინ ვიკვებით, რომ [ს] ვერ ქმნის ბგერათკომპლექსებს C<sub>2</sub> კლასის ფარგლებში. ეს კი გამორიცხავს [ს]-ს კომბინაციის შესაძლებლობას დ თ ტ ძ ც წ ჳ ჩ მ ჯ ზ უ წ თანხმოვნებთან. როგორც ვხედავთ, [ს]-ს დისტრიბუციის საერთო სურათი ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის მიხედვით იმგვარ- რია, რომ [ს] თანხმოვანი 28 თანხმოვნიდან ვერ ქმნის კომბინაციას 20 თან- ხმოვანთან. ამას ემატება თუმცა ენის სტრუქტურის მიერ აუკრძალავი, მაგრამ

<sup>5</sup> იხ. არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დაახ. ნაშრომი, გვ. 33.  
<sup>6</sup> ა და  $\beta$  ველების შესახებ იხ. F. Harary and H. Paper, Toward a general calculus of phonemic distribution. Language, 33, № 2.  
<sup>7</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 95.



ენაში არარეალიზებული სბ, სგ, ბს, გს, კს, სლ, სყ კომპლექსები და იქმნება სრული სურათი [ს] თანხმოვნის დისტრიბუციისა.

თ. უთურგაიძის მიერ დამუშავებული ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა ერთი მორფემის ფარგლებში არსებულ ვითარებას ასახავს, მაგრამ, როგორც ჩანს, სისტემის შიგნით მოქმედი აკრძალვები მორფემათა ზღვარზე ვრცელდება. ყოველ შემთხვევაში [ს]-ს დისტრიბუცია კახურში ამგვარ ვითარებას გვიჩვენებს.

თქმულიდან გამომდინარე, [ა] არსებითად [ს]-ს ალოფონია და მის პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს. [ა] რომ [ს] თანხმოვნის ფონეტიკურად შეპირობებული ვარიანტია და არ წარმოადგენს მის ბგერინაცვალს (მთელი ენობრივი სისტემის თვალსაზრისით), ერთი მხრივ, ის აკრძალვებიც გვიდასტურებს, რომელიც [ა]-ის რეალიზაციას ახლავს თან, და, მეორე მხრივ, [ა]-სა და [ს]-ს რეალიზაციის პოზიციური შეპირისპირებაც.

კერძოდ:

1. [ა] არ რეალიზდება C — C და C — # პოზიციაში, ამ უკანასკნელში მხოლოდ [ს]-ს რეალიზება არის შესაძლებელი.

2. [ს] შემონახულია მიც. და ნათ. ბრუნვის ფორმებში, როდესაც მას მოსდევს ემფატიკური ა. [ს]-ს შენახვის აუცილებელი პირობაა აგრეთვე აღნიშნულ ბრუნვებში ც ნაწილაკის დაბრუნება.

3. ერთსა და იმავე პოზიციაში (V — #) ერთი წინადადების ფარგლებში ერთ შემთხვევაში რეალიზდება [ა], მეორე შემთხვევაში კი [ს].

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

1. C — C პოზიციაში [ს]-ს არ ენაცვლება [ა]. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, [ს] ბგერის დასუსტება ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლით არის გამოწვეული, რაც კახურში სრულად განხორციელდა, მაგრამ ვინაიდან იმ ფონემის რეალიზაცია, რომელიც ენაცვლება [ს]-ს, შეუძლებელია C — C პოზიციაში, ყველა ამგვარ შემთხვევაში [ს] უბრალოდ იკარგება ყოველგვარი ჩანაცვლების გარეშე (მაგ., მომწრე ← მომსწრე, სულწრაფობა ← სულსწრაფობა).

რაც შეეხება C — # პოზიციას, რომელშიც შეუძლებელია [ა]-ის რეალიზება, [ს] ხან რეალიზდება, ხან — არა.

მაგ.: „შვილს უთხრა, უნა დაგაქორწილო“.

„ჩემ ბედ და იღბალ სანამ არ გავიგეფ, მანამ არ დაქორწილდებიო“.  
საკუთლისხმოა, რომ [ს] რეალიზდება C — # პოზიციაში მაშინ, თუ მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება. თანხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ [ს] უბრალოდ იკარგება.

2. [ს]-ს შენახვის აუცილებელი პირობაა ემფატიკური ა და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან დისტრიბუციის თვალსაზრისით ხმოვნებთან [ს]-ს კომბინაცია არ არის აკრძალული, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც [ს]-ზე დამთავრებულ სახელს მოსდევს თანხმოვანზე დაწყებული სახელი, რაც გაბმულ მეტყველებაში არსებითად თანხმოვანთკომპლექსის ფარდია, ემფატიკური ა თანხმოვანთგამყარის ფუნქციით გვევლინება.

მაგ.: „ძაღლსა და ღორ მიუგდო საჯიჯგნათ“.

„მე მივდივარო ჩემი ბედისა და იღბლი გასაგებათაო“.

„ჩუმათა ვპარამდი წიგნსა და რვეულ და იგრე ვწავლობდი“.

მოყვანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ [ს]-ს რეალიზაცია პოზიციურია და ერთსა და იმავე ბრუნვაში დასმული სახელები ინახავენ [ს]-ს, თუ ამის პირობები არის დაკული ან კარგავენ, თუ ეს პირობა დარღვეულია.

რაც შეეხება ც ნაწილას, ამ ნაწილას დართვათავისთავად გულისხმობს ემფატიკური ა-ს არსებობას, რაც თავის მხრივ [ს]-ს რეალიზაციის პირობას ქმნის.

ამავე რანგში უნდა განვიხილოთ ის შემთხვევაც, როდესაც მიც. ბრუნვაში დასმულ თანხმობანფუძიან სახელს მოსდევს ხმოვანზე დაწყებული სიტყვა:

„შარვალს ამოიცივამდნენ“.

„ისე გვრდიდა, ცოც ნიავს არ გვაკარებდა“.

„კაცს ოჯახი უნდა უყვარდეს“.

2. საგულისხმოა, რომ ერთსა და იმავე პოზიციაში (V — #) ერთი წინადადების ფარგლებში ერთ შემთხვევაში რეალიზდება [ა], მეორე შემთხვევაში კი [ს]. [ა] რომ [ს]-ს პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს, კარგად გვიჩვენებს ორშემასმენლიანი წინადადება, სადაც პირველ შემთხვევაში რეალიზებულია [ა], ხოლო მეორე შემთხვევაში — [ს].

ამასთან დაკავშირებით არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი მიუთითებენ: „ორშემასმენლიან წინადადებაში ზოგჯერ მხოლოდ პირველი ზმნის -ს სუსტდება და ა-ს გვაძლევს, მეორისა კი უცვლელადაა, მაგ.: აიღე და გააძევეს, გაშააცხე და მიაყუდეს, წაიყვანე და მიაბარეს; არ გაიბერო და არ დაიხრჩოს და სხვა“<sup>8</sup>.

როგორც ვხედავთ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც მეორე შემასმენელი ამთავრებს წინადადებას და ამდენად არ იქმნება ორი სიტყვის ზღვარზე თანხმობის თავმოყრის შესაძლებლობა. წინადადების შუაში მდგარ შემასმენელთან დაკავშირებით კი ამგვარი შესაძლებლობა არსებობს და [ს]-ს მაგივრად [ა]-ის რეალიზებაც ამით არის განპირობებული. ამასთან, საგულისხმოა, რომ იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც [ა]-ზე დაწყებული სიტყვა იწყებს წინადადებას. ასეთ წინადადებას უმეტეს შემთხვევაში წინ უძღვის სხვა წინადადება და, ამდენად, მაინც გაბმულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე.

საგულისხმოა, რომ ნასესხებ ლექსიკაში რეალიზებული [ა] V — C პოზიციაში (დადტური, ლადტი, კომბოტრო, ბოტანი) და # — C პოზიციაში გვხვდება, თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას წინ უძღვის ხმოვანზე დაწყებული სიტყვა: მაგი მწავლა, კობტა ტტაქნები და სხვა.

თქმულიდან გამომდინარე, ექსპლოზიისა და იმპლოზიის გათვალისწინებით, სრულიად ცხადია, რომ [ა] [ს] ფონემის პოზიციურად შეპირობებული ვარიანტია და მის ალოფონს წარმოადგენს.

[ს]-ს [ა]-ით შენაცვლების ფაქტს ჩვენ განვიხილავთ როგორც ენის ფონემატური სტრუქტურის მორფოლოგიურ და ზოგჯერ სინტაქსურ სტრუქტურაზე დაწოლის შედეგს. საგულისხმოა, რომ ნორმებითა და დამწერლობით შეუზღუდავი ქვესისტემა (მოცემულ შემთხვევაში კახური დიალექტი) უპირატესობას ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნებს ანიჭებს და სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით მოქმედების ფართო ასპარეზს უთმობს მას, რაც თავის მხრივ საშუალებას უქმნის ფონემატურ წესებს, შეიქრან მორფოლოგიისა და სინტაქსის სტრუქტურებში და გამოიწვიონ მთელი რიგი ცვლილებები.

<sup>8</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

О ВЗАИМООТНОШЕНИИ  $\alpha(j)$  И  $\beta(s)$  В КАХЕТИНСКОМ  
ДИАЛЕКТЕ

Резюме

В кахетинском диалекте кроме гласных ა ე ი ო უ (ა ე ი ო უ) имеется полугласный  $\alpha(j)$ . В отличие от древнегрузинского языка, где  $\alpha(j)$  принято  $\alpha$  результате ослабления  $\circ(i)$ , в кахетинском диалекте  $\alpha(j)$  является фонетически обусловленным вариантом  $\beta(s)$  в некоторых позициях. На это указывают, с одной стороны, те запреты, с которыми связана реализация  $\alpha(j)$ , с другой стороны — позиционные противопоставления  $\alpha(j)$  и  $\beta(s)$ . А именно:

1.  $\alpha(j)$  не реализуется в С—С и С— $\#$  позициях. В последней возможна только реализация  $\beta(s)$ .

2.  $\beta(s)$  реализуется в дат. и род. падежах, когда за ним следует эмфатический  $\circ(a)$ .

3. Закон распределения  $\alpha(j)$  и  $\beta(s)$  распространяется также и на границы морфем с целью избежания реализации ожидаемого запрещенного комплекса согласных.

Эти факты замены  $\beta(s)$  на  $\alpha(j)$  мы рассматриваем как подавление морфологической структуры фонематической структурой.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას საბუნებისმეტყველების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოდგენა არნ. ჩიქობავას საბუნებისმეტყველების ინსტიტუტმა

## მანანა კაიშაძე

 რეფლექსურობისა და ჰცივის (ვერსიის) კატეგორიები  
თანამედროვე ბერძნულ ენაში

როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი, ქცევის გრამატიკული კატეგორია, ანუ ვერსია, მხოლოდ ქართველური ენებისთვის იყო დამახასიათებელი და მეტადრეკი ქართულისათვის, როგორც ქართველური ენების ფუძე-ენისათვის. ამიტომ ნუ გაიკვირვებს მკითხველი წინამდებარე სტატიის ამგვარ სათაურს — „რეფლექსურობისა და ქცევის კატეგორიები თანამედროვე ბერძნულ ენაში“.

ქართული ენის ზმნური სისტემა, სახელდობრ კი ქცევის კატეგორია, უკვე დიდი ხანია მრავალი უცხოელი და განსაკუთრებით ბერძნული ლინგვისტის კვლევის საგანს წარმოადგენს (რომ არაფერი ვთქვათ ქართველ ქართველოლოგებზე). აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია: ფრ. ბოზი (1), ი. ს. ფატერი (2), ი. კლაპროთი (3), ჰ. შუხარტი (4), ფრ. მიულერი (5), ა. დირი (6), ჰ. თ. იუნკერი (7), ფ. ნ. ფინკი (8), რ. ბლაიხშტაინერი (9), კ. ბუდა (10), გ. დეეტერსი (11), რ. მეკელიანი (12), ვ. პეშენი (13), გ. პეჩი (14), კ.—პ. შმიტი (15), ვ. ბოედერი (16), ჰ. ფენრიხი (17), ჰ. შპიცბარტი (18).

ა. შანიძემ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ცალკე პარაგრაფად გამოყო „ქცევის საკითხი ინდოევროპულ ენებში“. შეგახსენებთ მხოლოდ ერთ ვარაუდს ამ პარაგრაფიდან: „ქცევა მკვეთრად გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა ქართულსა და მოძმე ენებში... სხვა ენებში, რამდენადაც ვიცი, ეს კატეგორია აღნიშნული არ არის, მაგრამ ჩემთვის უეჭველია, რომ ის ინდოევროპულ ენებსაც მოეპოვებათ, თუმცა არა ისე მკაფიოდ გარჩეული, როგორც ეს ჩვენს ენებშია“ (19, 362).

ჩვენც ა. შანიძის სწორედ ამ ვარაუდს გავყევით კვალდაკვალ და დეტალურად გავანალიზებთ ბერძნული ენის ზმნური სისტემა სწორედ იმ კუთხით, ფუნქციონირებს თუ არა მასში ქცევის კატეგორიის მოდელი და თუ კი, მაშინ როგორი ფორმით (20). ჩვენ გამოვიკვლიეთ 245 ბერძნული ზმნა და ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დავსკვენით, რომ ბერძნულში ქცევა ანუ ქცევის ფორმები შემდეგი ლექსიკურ-გრამატიკული ფორმებით გამოიხატება:

1. საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევა — გრამატიკულად ნულოვანი ფორმით, ლექსიკურად კი შესაძლებელია მისი პერიფრაზირება შემდეგნაირად *keinem, niemandem, ანდა für keinen, für niemanden*;

2. სათავისო ანუ სასუბიექტო ქცევა — გრამატიკულად უწინდებულო დატივით ანდა ნაცვალსახელით *sich* დატივში და/ ან აკუსატივში: ლექსიკურად შესაძლებელია მისი პერიფრაზირება შემდეგნაირად *für sich* ანუ აგენისიათვის;

3. სასხვისო ანუ საობიექტო ქცევა — გრამატიკულად უწინდებულო დატივით ან აკუსატივით, ლექსიკურად კი პერიფრაზირებით *für jemanden (anderen)*. ეს ორი ბრუნვა, დატივი და აკუსატივი, ქცევის ფორმების გრამატიკულ მარკერს წარმოადგენს და ორი სემის მატარებლად გვევლინება:

ა) პოსესიურობისა და ბ) მოქმედების დანიშნულებისა ან მიმართულებისა.





როგორც ცნობილია, ქცევის კატეგორია ზმნით გამოხატულ მოქმედებას კუთვნილება-დანიშნულებას აღნიშნავს (19, 332). ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქცევა გამოხატავს კუთვნილებას და მოქმედების დანიშნულებას ანუ მოქმედების მიმართება-მიმართულებას სუბიექტს (აგენსს) და ობიექტს ან ობიექტებს (პაციენსსა და ადრესატს) შორის. კუთვნილება შეიძლება პოსესიურობის ცნებითაც შეიცვალოს, ხოლო თვით ცნება — პოსესიურობა კი ამ შემთხვევაში ორი სემისგან შედგება: ა) კუთვნილება-ფლობისა და ბ) დანიშნულება-ორიენტირებისაგან. ფაქტიურად ქცევის კატეგორიის შემთხვევაში საქმე გვაქვს ზმნით გამოხატული მოქმედების ინტრო-/ექსტროვერტულობასთან, რაც ერთმანეთთან აკავშირებს პირისა და ქცევის კატეგორიებს, წარმოშობს წინადადების კონსტრუქციას და განსაზღვრავს ფუნქციონალურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის.

„ქცევის კატეგორიის ზოგადი მორფო-სინტაქსური ფუნქცია არის ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან მოსპობა“ (21, 6). ამდენად ქცევის კატეგორია ზმნის ვალენტური სტრუქტურის ცვლილებასაც განაპირობებს. საინტერესოა მ. მაჭავარიანის აზრი, რომლის თანახმადაც მაქცევები ანუ ქცევის ნიშნები პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ნიშნების პროკლიტილებს წარმოადგენენ (21, 20—24).

ა. შანიძის აზრით: „ქცევაზე იმდენად შეგვიძლია ლაპარაკი, რამდენადაც ზმნის ფუძეს ძალა შესწევს ორი ფორმა მიიწევი გვიჩვენოს...“ (19, 354). ჩვენ კი მივგაჩნია, რომ ქცევის კატეგორიაზე მაშინაც შეიძლება საუბარი, როდესაც შინა ქცევის მხოლოდ ერთ ფორმას გამოხატავს, იმ პირობით, თუკი ეს არ იქნება ქცევის საარვისო ფორმა.

გერმანულ ენაში სათავისო ქცევის განსაკუთრებულ მარკერად ანუ მაქცევრად ვლინდება რეფლექსური ნაცვალსახელი sich, რაც საცხებით ეთანხმება გ. ნებიერიძის დასკვნას, რომლის თანახმადაც სათავისო ქცევა ქართულში სუბიექტისა და (ირიბ) ობიექტს შორის რეფლექსურ მიმართებას გამოხატავს (22, 144).

სასხვისო ქცევის შემთხვევაში სუბიექტსა და ობიექტს იდენტური რეფერენტები (დენოტატები) არ აქვთ ანუ ისინი რეფერენციალურად იდენტურნი არ არიან. სათავისო ქცევის შემთხვევაში სუბიექტი და ობიექტი რეფერენციალურად იდენტურნი არიან, ანუ სუბიექტი ერთსა და იმავე დროს არის მოქმედების ანდა გამონათქვამის აგენტიც (აგენსი) და რეციპიენტიც (ადრესატი). ამ მიმართულებით ძალზე საგულისხმოა გ. ნებიერიძის დასკვნა ქცევის კატეგორიის სტატუსის შესახებ ლინგვისტურ უნივერსალიებთან მიმართებაში: „სათავისო და სასხვისო ქცევის ამგვარი გაგება ქცევის კატეგორიას აქცევის უნივერსალურ გრამატიკის სფეროში, რადგანაც სუბიექტის ირიბ ობიექტთან რეფლექსური ან ირეფლექსური მიმართების საკითხი უნივერსალური გრამატიკის საკითხია“ (22, 144).

რეფლექსურობა მკიდრო კავშირში არის სემასთან „თვითონ, თავად“ (გერმ. selbst, selber). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ეტიმოლოგიური და სემანტიკური გამოკვლევები აქვთ პ. შტაინთალს (23, 9), ფრ. ბოპს (1, 33—34), ვ. გ. გაცს (24, 245). განსაკუთრებით ნიშანდობლივად მიგვაჩნია ლ. პერმოდსონის დაკვირვება: „საგულისხმოა ძველ ინდურში tanu—„სხეული“ და atimán—„სული“-ის ხმარება თვითობის და რეფლექსური მიმართების გამოსახატავად“ (25, 31). სემა selbst („თვითონ, თავად“) გერმანულში ნაცვალსახელ sich-თან ერთად რეფლექსურობის და სათავისო ქცევის მარკერის ფუნქციას ასრულებს მაშინაც კი, როცა მათი რეალიზება ან აქტუალიზება არ ან ვერ ხერხდება ზედაპირისეულ დონეზე.

ქცევის ფორმათა ფუნქციონირების მექანიზმი ქართულ ენაში ხშირად ტანგირებს სხვა ზმნურ კატეგორიებთან; ასე მაგ., გვარისა და ასპექტის კატეგორიებთან, რაც თავს იჩენს ქცევის ნიშნების, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქცევის მახასიათებელი ხმოვნების პოლიფუნქციურობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ქცევის ესა თუ ის ფორმა გარკვეული ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების დიფერენცირებას ასახავს, ჩვენ საქმე გვაქვს ქცევის ფორმების ფაკულტატიურ გამოყენებასთან (26, 46). ქცევის ან სხვა რომელიმე გრამატიკული კატეგორიის ფაკულტატიური გამოყენება იმიტომ ხდება, რომ ამ კატეგორიის გრამატიკულ ფორმას ისეთი ენობრივი ფორმა უპირისპირდება, რომელიც ან სრულებით უცხოა მოცემული ენისათვის, ანდა, როგორც წესი, გამოიყენება რაიმე სხვა გრამატიკული ფორმის გამოსახატავად (26, 6).

იმდენად, რამდენადაც ჩვენი გამოკვლევის მიზანია ქცევის კატეგორიის მოდელის გადატანა გერმანული ენის ზმნური სისტემის მექანიზმზე (და ბუნებრივია იმის დასაბუთებაც, რომ გერმანულში ამგვარი კატეგორია ფუნქციონირებს), ჩვენ ვამჯობინეთ ქცევის ა. შანიძისეული ინტერპრეტაცია და კონცეფცია, რომლის თანახმადაც იგი ერთმანეთისაგან აცალკევებს ქცევის ნიშნებსა და გვარის ნიშნებს (განსხვავებით ვ. ბოედერის და სხვათა პოზიციისაგან). ჩვენი აზრით, ა. შანიძის კონცეფცია სტრუქტურულად და სემანტიკურად უფრო ამარტივებს ქცევის კატეგორიის რაობას და სათანადოდ ქცევის კატეგორიის მოდელის მორგებას გერმანული ენის ზმნურ სისტემაზე, ამიტომ ყოველივე შემთქმულის საფუძველზე ჩვენ ვაკეთებთ პირველ დასკვნას: გერმანული ენის ზმნური სისტემისათვისაც არის დამახასიათებელი ქცევის კატეგორია, თუმცაღა, განსხვავებით ქართული ენისაგან, სადაც ქცევას მკვეთრი და მწყობრი გრამატიკული ფორმანტები ახლავს, იგი გერმანულში გამოხატულია გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით. ამდენად, ჩვენ ქცევას გერმანული ენის ზმნურ სისტემაში მივიჩნევთ არა წმინდა გრამატიკულ კატეგორიად, არამედ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიად, მსგავსად ტემპორალობის, მედიალურობის, ასპექტუალობისა და რეფლექსურობის კატეგორიებისა.

ვერა და ვერ დავწამებთ გერმანულ გერმანისტებს, მეტადრე კი გრამატიკოსებს ცილს იმაში, რომ მათ თავიანთი მშობლიური ენის გრამატიკაში გამოუკვლეველი საკითხები დარჩათ. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა ეღერდეს ეს ფაქტი, გერმანული რეფლექსური ზმნების კლასიფიკაციის საკითხი ჯერაც არ არის ბოლომდე ერთნიშნად გადაწყვეტილი. ეს საკითხი მით უფრო ძნელი გადასაწყვეტი ხდება, რადგან მას თან ერთვის ე. წ. თავისუფალი დატივების პრობლემაც გერმანულში.

თავისუფალი დატივების პრობლემა განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული ვ. პელზიგის (27), ჰ. ვეგენერის (28), ი. როზენგრენის (29) და დ. კრონის (30) ნაშრომებში. თავისუფალი დატივების პრობლემა სინტაქსური პრობლემა გაზღავთ და წინადადების წევრთა დონით შემოიფარგლება, საკამათოა ვ. პელზიგის/ვ. შენკელის აზრი იმის შესახებ, რომ თავისუფალი დატივები და კერძოდ კი *dativus commodi/incommodi* იმ თავისუფალ დამატებებს წ არ მოადგენენ, რომლებიც არ არიან აქტანტები და არ არიან დამოკიდებული ზმნურ ვალენტობაზე (31,31—32). სხვადასხვა დატივური კონსტიტუენტის სინტაქსური სტატუსის ზუსტი დადგენა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. დ. კრონის აზრით, პოსესიური დატივი აქტანტია და არა თავისუფალი დამატება (*freie Angabe*) (30, 15). ი. როზენგრენი კი საკითხს უფრო რადიკალურად აყენებს, რაც მისი სტატიის სათაურშივე მკვეთრად ჩანს: „არსებობს



კი თავისუფალი დატივი?“ (29). ამ სტატიამი ი. როზენგრენი, ანალიზისას გ. ჰელბიგისა და ჰ. ვევენერის უკვე ხსენებულ ნაშრომებს, ასკენის, სხვაეება დატივურ ობიექტსა და თავისუფალ დატივს შორის მხოლოდ სემანტიკურად შეიძლება აიხსნას (29, 274).

ჩვენ განვიხილეთ თავისუფალი დატივების ყველა ჯგუფი გერმანულში და გვაანალიზეთ ის ენობრივი მასალა, რომელიც მოყვანილი აქვს გ. ჰელბიგს თავის სტატიამი „თავისუფალი დატივები გერმანულ ენაში“ (27), რის საფუძველზეც შემდეგ დასკვნამდე მივედით: თავისუფალი დატივების ჰელბიგისეული შეიღგუფიანი კლასიფიკაციის ყველა მაგალითში ე. წ. თავისუფალი დატივი ანუ დატივური კონსტიტუენტი ასრულებს სათავისო და სასხვისო ქცევის მარკერის ფუნქციას. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც: 1. დატივური კონსტიტუენტი წინადადების ლოგიკურ სუბიექტსაც წარმოადგენს და სათავისო ქცევის მარკერადც გვევლინება; 2. დატივური კონსტიტუენტი წინადადების ლოგიკურ სუბიექტს წარმოადგენს, მაგრამ არ არის სათავისო ქცევის მარკერი (*dativus incommodi*, *Dativ des Zustandsträgers*). თითქმის ყველა შემთხვევაში, იქ, სადაც დატივური კონსტიტუენტი სათავისო ქცევის მარკერის ფუნქციას ასრულებს, არა გვაქვს მკვეთრად გამოხატული რეფლექსურობა ამ მოვლენის ვიწრო გაგებით. ეს უკანასკნელი მხოლოდ რამდენიმე მაგალითში გვხვდება და კერძოდ კი იქ, სადაც რეფლექსური ნაცვალსახელი *sich* ბიფუნქციონალურად გვევლინება — როგორც მარკერი რეფლექსურობისა და სათავისო ქცევისა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეფლექსურობა (*Reflexivität*) ჩვენთვის კატეგორიული რანგის სიდიდეს წარმოადგენს. უფრო ზუსტად კი რეფლექსურობა (თანამედროვე გერმანულ ენაში) არის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ამ ტერმინის ვ. ბონდარკოსეული გაგებით (32). გერმანისტიკაში (და არა მარტო გერმანისტიკაში) დიდი ხნის მანძილზე საკამათოდ ითვლებოდა რეფლექსურობის კატეგორიულური სტატუსი; მას ხშირად ზმნური გვარის კატეგორიის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევდნენ. ამ თემატიკას ეძღვნება მრავალი საინტერესო და საგულისხმო ნაშრომი. დავასახელებთ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს: კ. ბრუგმანის (33), ე. რიხტერის (34), გ. რაიხენკორნის (35), ა. მარგულიეს (36), ლ. ჰერმოდსონის (25), ი. ერბენის (37), ა. იენტის (38), ფრ. ვაგნერის (39), გ. შტიოცელის (40), ი. ა. ბუცის (41), ვ. ხრაკოვსკის (42; 43; 44; 45; 46; 47), რ. ლიციშის/ვ. ფიდერის/კ. კოსტოვის (48) და აგრეთვე ლენინგრადის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევათი ჯგუფის კოლექტიური მონოგრაფიების მთელ სერიას ა. ხოლოდოვიჩისა და ვ. ხრაკოვსკის ხელმძღვანელობით (49; 50; 51; 52; 53; 54; 55; 56). ჩვენი პოზიცია ამ საკითხებისადმი ერთაზროვნადაა გამოხატული ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში (57, 28) და მოკლე დასკვნის სახით ვავიმოვრებთ, რომ რეფლექსურობა არ წარმოადგენს ზმნური გვარის კატეგორიის ფორმას, რადგანაც იგი არ ავლენს იმ აუცილებელ კატეგორიულ და გრამატიკულ თვისებებსა და მარკერებს, რაც გვარის კატეგორიის ფორმებისათვის არის დამახასიათებელი. რეფლექსურობა, როგორც კატეგორია, თავად ავლენს აქტიური და პასიური ფორმების პარადიგმას. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- |                            |                                  |
|----------------------------|----------------------------------|
| A) Er kämmt sich;          | B) Der Stoff wäscht sich gut;    |
| Sie verbeugt sich;         | Der Schlüssel hat sich gefunden; |
| Sie dreht sich (im Kreis); | Der Wein trinkt sich gut;        |
| Sie rächt sich.            | Die Wäsche wäscht sich gut;      |

თვალშისაცემია ის გარემოება, რომ A ჯგუფის მაგალითებში მოქმედებითი გვარის ანუ აქტივის ფორმები გვაქვს. ეს ჩანს როგორც ზმნის სემან-



ტიკაში, ასევე სუბიექტის (Subjekt/nominativ) აგენტურ სემანტიკაში (აგენტურ სემანტიკაში) ბრუნვაში (Agens). B ჯგუფის მაგალითები პასივს გამოხატავენ, ანუ ე. წ. პასივის პარაფრაზებს წარმოადგენენ (Passivparaphrasen): ახლა შევეცადოთ ჩავატაროთ ამ მაგალითების პერიფრაზირების ტესტი სემების selbst და selber გამოყენებით, Exklusivierungstest):

- A) Er (selber) kämmt sich (selbst);  
 Sie (selber) verbeugt sich (selbst);  
 Sie (selber) dreht sich (selbst);  
 Sie (selber) rächt sich (selbst).
- B) Der Stoff wäscht sich (wie von selbst) gut;  
 B) Der Schlüssel hat sich (wie von selbst) gefunden;  
 Der Wein trinkt sich (wie von selbst) gut;  
 Die Wäsche wäscht sich (wie von selbst) gut.

შევადაროთ B ჯგუფის ეს მაგალითები სათანადო რუსულ და ქართულ ეკვივალენტებს:

- Ткань стирается хорошо (как бы сама собой/как бы сама по себе);  
 Ключ нашелся (как бы сам собой/как бы сам по себе);  
 Вино пьется легко (как бы само собой/как бы само по себе);  
 Белые стираются легко (как бы само собой/как бы само по себе);  
 ნაჭერი კარგად ირეცხება (თითქოს თავისით/თითქოს თავისთავად);  
 გასაღები მოიძებნა (თითქოს თავისით/თითქოს თავისთავად);  
 ღვინო კარგად ისმება (თითქოს თავისით/თითქოს თავისთავად);  
 სარეცხი კარგად ირეცხება (თითქოს თავისით/თითქოს თავისთავად).

B ჯგუფის ყველა მაგალითში მოქმედება (თითქოს) უნებლიეთ სრულდება, ხოლო სუბიექტი (Subjekt/nominativ) ერგატიულ ანუ აქტიურ ხასიათს ატარებს. A ტიპის მაგალითებში კი სუბიექტი (Subjekt/nominativ) აგენსია, ხოლო ნაცვალსახელი sich — პაციენსი. ამდენად სავსებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაცვალსახელი sich აქტანტს წარმოადგენს.

რეფლექსურობის, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის, მნიშვნელობა არის ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის უკუქცევადობა სუბიექტიდან სუბიექტზე —  $x_1 R x_1$  —, ამასთან აუცილებელ პირობას წარმოადგენს სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის სრული ან ნაწილობრივი (partim) რეფერენციალური იდენტურობა.

ი. ქრ. ადელუნგიდან მოყოლებული გერმანული ენის ყველა ნორმატიულ გრამატიკაში განასხვავებენ რეფლექსურ და რეციპროკულ ზმნებს და სათანადოდ რეფლექსივსა და რეციპროკს. ი. ქრ. ადელუნგი sich-ნაცვალსახელიან ზმნებს „verba reciproca“-ს უწოდებს და აღნიშნავს, რომ გერმანულში, სამწუხაროდ, არ არის ამ ორი სხვადასხვაგვარი ტიპის ზმნების უფრო ზუსტი აღმნიშვნელი ტერმინი (58, 373). რა თქმა უნდა, რეფლექსურ და რეციპროკულ ზმნებს შორის ერთგვარი მსგავსებაც შეინიშნება — პირველნი უკუქცევითია, ხოლო მეორენი „ურთიერთქცევითნი“. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ რეფლექსური ზმნები გამოხატავენ მოქმედების უკუქცევადობას სუბიექტიდან სუბიექტზე, რეციპროკული ზმნების შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ორი (და ზოგჯერ მეტი) აქტიური მოქმედების სუმირებულ ფორმასთან; მოქმედებას სხვადასხვა სუბიექტი ასრულებს და ამიტომ რეციპროკული ზმნები მხოლოდ მრავლობით რიცხვში დგას. ეს მოვლენაც თავის მხრივ, ცოტა არ იყოს, კიდევ უფრო აბრთხლებს რეფლექსური ზმნების კლასიფიკაციის პრობლემას, რადგანაც აქაც საქმე გვაქვს sich ნაცვალსახელის ბიფუნქციონა-



ლობასთან: იგი გვხვდება როგორც რეფლექსურ ზმნებთან, ასევე რეციპროკულ ზმნებთან. რეფლექსური და რეციპროკული ნაცვალსახელი sich და einander ანაფორული მეტყველების ნაწილებს განეკუთვნება. ჩვენი დაკვირვება მხოლოდ რეფლექსური ზმნებით შემოიფარგლება.

რეფლექსურობის პრობლემა გერმანულში ყველაზე თვალნათლივ თავად რეფლექსური ზმნების კლასიფიცირებისას იჩენს თავს. უმეტესწილად გამოყოფენ 2 ჯგუფს: 1. „ნამდვილ“ და 2. „არანამდვილ“ რეფლექსურ ზმნებს („echte“ und „unechte“ reflexive Verben). თუმცა ამ ზმნების კლასიფიკაციის სხვა ტერმინოლოგიაც არსებობს; ასე მაგალითად: — „შინაგანი ანაფორა“ — innere (=subjektive) Anapher (კ. ბრუკმანი) (33);

— „არამყარი“ და „მყარი“ რეფლექსური ზმნები — „gelegentliche“ und „stehende“ Reflexiva (ო. ბეპაველი) (59);

— „გამოზნული“ და „უმიზნო“ რეფლექსური ზმნები — „zielende und ziellose“ Reflexiva (ლ. ზიუტერლინი) (60);

— „ობიექტურ-რეფლექსური“ და „სუბიექტურ-რეფლექსური“ ზმნები — „objektiv-reflexive“ und „subjektiv-reflexive“ Verben (მ. დიხბაინი) (61);

— „ობიექტური რეფლექსური ზმნები“, „რეფლექსური ზმნები მედიალური მოქმედების დიათეზით“, „მოქმედებისა და ფსიქიკური პროცესების ამსახველი ზმნები“, „რეფლექსური ზმნები სტატივის დიათეზით“ — „Objektsreflexiva“, „reflexive Verba mit der Diathese der medialen Tätigkeit“, „Tätigkeits—bzw. Vorgangsreflexiva und Reflexiva der psychischen Vorgänge“, „reflexive Verben mit der Diathese des Stativums“ (ლ. ჰერმოდსონი) (25);

— „პირიანი რეფლექსური ზმნები“ და „უპიროდ ხმარებადი რეფლექსური ზმნები“ — „persönliche Reflexiva“ und „Reflexiva im außerpersönlichen Gebrauch“ (პ. ბრინკმანი) (62);

— „იდენტურობის აღმნიშვნელი ზმნები იდენტური ანდა რეფლექსური ობიექტით“ და „სუბიექტური ზმნები სუბიექტური ნაცვალსახელით“ — „Identitätsverben mit einem Identitätsobjekt bzw. Reflexivobjekt“ und „Subjektverben mit Subjektspronomen“ (პ. რენიკე) (63);

— „პირიანი რეფლექსური კონსტრუქციები“, „უპირო რეფლექსური კონსტრუქციები“ და „რეფლექსური დანართები“ — „persönliche Reflexivkonstruktionen“, „unpersönliche Reflexivkonstruktionen“ und „reflexive Fügungen“ (კ. ე. ჰაიდოლფი/ვ. ფლემიგი/ვ. მოზი და სხვ.) (64);

— „რეფლექსური“ და „ნაწილობრივ რეფლექსური ზმნები“ — „reflexive“ und „partimreflexive Verben“ (გ. შტაოცელი) (40);

— „ობლიგატორული რეფლექსური ზმნები“ და „ნაწილობრივ რეფლექსური ზმნები“ — „obligatorisch—reflexive Verben“ und „partimreflexive Verben“ (უ. ენგელი) (65);

— „კონსტრუქციები ანაფორული sich-ით“, „კონსტრუქციები ლექსიკალური sich-ით და „კონსტრუქციები დანართი sich-ით“ — „Konstruktionen mit anaphorischem „sich“, „Konstruktionen mit lexikalischem „sich“ und „Konstruktionen mit Fügungs sich“ (მ. რაისი) (66);

— „ანაფორულა რეფლექსიკა“, „მედიალური sich და „ინჰერენტული ანუ ლექსიკალური“ sich — „anaphorisches Reflexivum“, „mediales „sich“ und inhärentes oder lexikalisches „sich“ (პ. ჰაიდერი) (67);

— „რეფლექსური ზმნები ობლიგატორული რეფლექსური ნაცვალსახელით“ და „რეფლექსური ზმნები არაობლიგატორული რეფლექსური ნაცვალსახელით“ — „reflexive Verben mit einem obligatorischen Reflexivpronomen“ (= nicht ersetzbar durch ein anderes Objekt) und „reflexive Verben“ mit einem nicht-obligatorischen Reflexivpronomen (= ersetzbar durch ein anderes mit Subjekt nicht identisches Objekt) (გ. ჰელბიგი/ი. ბუნა) (68):

— ფორმალურად რეფლექსური ანუ ფსევდორეფლექსური ზმნები ა) ობლიგატორული sich-ით, ბ) ფაკულტატური sich და „სემანტიკურ-რეფლექსური ზმნები“ — „formal-reflexive od. pseudo-reflexive Verben a) mit einem obligatorischen „sich“, b) mit einem fakultativen „sich“ und „semantisch-reflexive Verben“ (გ. ჰელბიგი) (69).

განასხვავებენ აგრეთვე სინტაქსურსა და სემანტიკურ რეფლექსურობას (რ. რუჟიჩკა/ა. შტიოპე/გ. ვალტერი) (70). რადგანაც რეფლექსურობა ძირითადად უკავშირდება სინტაქსურ კრიტერიუმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, sich ნაცვალსახელის „ობლიგატორულ“ რეალიზაციას, როგორც რეფლექსურობის მარკერისა, ამიტომ რეფლექსურობის, როგორც კატეგორიის, პრობლემაც sich ნაცვალსახელს უკავშირდება. იმისათვის კი, რომ დავადგინოთ რეფლექსურობის გრამატიკული ანუ სინტაქსური სტატუსი, ჩვენ უნდა მივმართოთ რეფლექსური ნაცვალსახელის sich სინტაქსურ ინტერპრეტაციას. გერმანული ლექსიკოგრაფიული წყაროების უმრავლესობაში რეფლექსურ ზმნებს ისეთივე გრამატიკული (=სინტაქსური) სტატუსი ენიჭებათ, როგორც გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს. მაგრამ ამ თეზისის უარყოფა ძალზე ადვილია, თუკი ზმნების ფორმალური კლასიფიცირებისას მხოლოდ იმ ნიშნით ვიხეღმძვანელებთ, დგას თუ არა სათანადო ზმნასთან ნაცვალსახელი sich. წმინდა სპეკულაციურად ის ზმნები, რომელთაც ნაცვალსახელი sich აკუზატივში დგას, შეიძლება გარდამავალ ზმნებად ჩავთვალოთ, ხოლო ის ზმნები, რომლებთანაც ნაცვალსახელი sich დატივში დგას; გარდაუვალ ზმნებად (იმ პირობით, თუ ამ ზმნებთან არ დგას სხვა პირდაპირი ობიექტი). ე. ი. sich ნაცვალსახელის კვალიფიცირება შესაძლებელია როგორც ობიექტისა, რომელიც აკუზატივში ან დატივში დგას. გარდამავლობა და გარდაუვალობა (Transitivität/Intransitivität) ოპოზიციურ წყვილს წარმოადგენს, რომელსაც არანაირი ოპოზიციური მიმართება არა აქვს რეფლექსურობასთან. ამდენად დაისმის საკითხი რეფლექსურობის გრამატიკული სტატუსის შესახებ. რადგანაც ისევე, როგორც გარდამავლობა/გარდაუვალობის ოპოზიციური წყვილის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ოპოზიციური წყვილი რეფლექსურობა/არარეფლექსურობა (Reflexivität/Irreflexivität). იქედან გამომდინარე, რომ ლექსიკური სემანტიკა ზმნის ყველა უნარ-თვისებას და მათ შორის ვალენტობასაც განსაზღვრავს, ზმნური ვალენტობაც პირველ რიგში ლექსიკურ-სემანტიკურ ხასიათს ატარებს. ლექსიკურ-სემანტიკური ვალენტობა განაპირობებს სათანადო ვალენტური მოდელის სინტაქსურ რეალიზაციას. ეს ფაქტი მეორეხარისხოვანია ზმნური ვალენტობის ლექსიკურ-სემანტიკურ არსთან შედარებით. ზმნების დაყოფისას კი გარდამავალ და გარდაუვალ კლასებად სინტაქსური ფაქტორი უკვე პირველხარისხოვან (ცენტრალურ) როლს ასრულებს. ამიტომ ჩვენ ამ ურთიერთდამოკიდებული ელემენტების შემდეგ პიერარქიულ სქემას გამოვეყოფთ:

ზმნის ლექსიკური სემანტიკა

↓  
ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური ვალენტობა

↓  
ზმნის სინტაქსური ვალენტობა

↓  
მართვა, როგორც ზმნის ვალენტობის სინტაქსური რეფლექსი

↓  
ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა

ჩვენის ღრმა რწმენით რეფლექსური ზმნების ცალკე კლასად გამოყოფისთვის გადაწყვეტი და პირველხარისხოვანია არა სინტაქსური, არამედ სემანტიკური ფაქტორი. ამას გვკარნახობს თავად რეფლექსურობის კატეგორიის დეფინიცია: რეფლექსური ზმნები გამოხატავენ მოქმედების ან მდგომარეობის უკუქცევას სუბიექტიდან (=აგენსი) სუბიექტზე (=აგენსი)— $x_1 R x_1$  —: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფლექსურობა გვაქვს მაშინ, როდესაც მოქმედება ან მდგომარეობა არ/ან ვერ სცილდება სუბიექტის სფეროს, ანუ სუბიექტის სფეროში რჩება ჩაკეტილი. აგენსში (=სუბიექტი) ჩვენ ვგულისხმობთ იმგვარ შემთხვევებსაც, როდესაც ნომინატივში მდგომი სუბიექტი არა მარტო სულეირ, არამედ უსულო არსებითი სახელითაც არის გამოხატული, მაგ.: Der Unfall hat sich ereignet. ჩვენ განვახავებთ: ა) ე. წ. უპირო რეფლექსურ ზმნებს (მაგ.: Es ergibt sich daraus, daß...; Hier lebt es sich gut და სხვ.) და ბ) პირიან რეფლექსურ ზმნებს (მაგ.: sich schämen, sich waschen, sich rechtfertigen და სხვ.). უმეტესია უპირო რეფლექსური კონსტრუქციებისა, ისევე, როგორც კონსტრუქცია lassen + sich + Infinitiv, პასივის პარაფრაზის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ პასივის პარაფრაზარება ჩვენ რეფლექსურობის მეორად ფუნქციად მიგვაჩინა. რეფლექსურობის პრაპრულ ფუნქციად კი აქტიურობას ვთვლით.

Reflexiva tantum-ის ფენომენი აიხსნება ამ ზმნების გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობების ფუნქციონირების სფეროების შევიწროებით. ავიღოთ მაგალითისათვის ზმნა sich schämen. ზმნური ლექსემა schämen განაპირობებს ხსენებული ზმნის სინტაქსურ „აღჭურვილობას“ sich ნაცვალსახელით აკუსატივში. ეს ზმნური ლექსემა იხმარება მხოლოდ აკუსატივში მდგომ sich ნაცვალსახელთან ერთად და არა სხვაგვარად; ამასთან მას მხოლოდ ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი აქვს, რომელიც ამავე ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ ინვარიანტსაც უღრის. ამ ზმნის სხვაგვარი გამოყენების ფორმები, როგორც მაგალითად \*Er schämte sie და სხვ. შეუძლებელი და არასწორია როგორც გრამატიკულად, ასევე ლექსიკურად. ეს კი ამტკიცებს (ჩვენი იერარქიული სქემის თანახმად), რომ ნაცვალსახელი sich ამ და სხვა ანალოგიურ შემთხვევაშიც ვალენტობაზეა დამოკიდებული, თავდაპირველად ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ ვალენტობაზე და უკვე შემდეგ ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე. ხოლო იმ ფაქტს, რომ ნაცვალსახელი sich sich schämen ზმნის შემთხვევაში მხოლოდ აკუსატივში დგას, განსაზღვრავს სათანადო ზმნის მართვა. ისმის კითხვა, აქვს თუ არა ნაცვალსახელს sich ზმნა sich schämen-ის შემთხვევაში ობიექტის სტატუსი. პ. დ. ერლინგერის აზრით, „წინადადებაში „Er schämt sich“ ნაკლებად შეიძლება ვილაპარაკოთ „აკუსატივურ ნაცვალსახელზე“ sich (mich)..., არამედ უფრო სუბიექტისადმი იდენტურ ნაცვალსახელზე. ამასთან ბრუნვას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აკისრია“ (71, 153). სავსებით სამართლიანად მიიჩნევს პ. დ. ერლინგერი იმ გარემოებას, რომ რეფლექსურ ნაცვალსახელს ვალენტობის

თეორიაში არა აქვთ საკუთარი ერთნიშნა ადგილი (71, 149). ჩვენი აზრით რეფლექსური ნაცვალსახელები დამოკიდებულნი არიან ზმნის ლექსიკურ, სემანტიკურ და სინტაქსურ ვალენტობაზე. ისეთ შემთხვევებში, როგორცაა ზმნური ლექსემები *sich schümen, sich erholen* და სხვ., რეფლექსურ ნაცვალსახელს *sich* ჩვენ ვანიჭებთ სუბიექტის ნაცვალსახელის ანუ სუბიექტის სახელის კვალიფიკაციას (Subjektpronomen, Subjektstnomen). ისეთ შემთხვევაში კი, როგორც არის ზმნური ლექსემები *sich waschen, sich kämnen, sich rechtfertigen* და სხვ., რეფლექსურ ნაცვალსახელს *sich* ჩვენ ვანიჭებთ რეფლექსური ობიექტის კვალიფიკაციას.

ამდენად, ჩვენ განვასხვავებთ რეფლექსური ზმნების ორ ჯგუფს:

1. Reflexiva tantum-თა ჯგუფს (*sich* როგორც სუბიექტის ნაცვალსახელი; არა სრულფასოვანი ობიექტი, მაგრამ აქტანტი);

2. რეფლექსურ ზმნათა ჯგუფს (*sich* როგორც რეფლექსური ობიექტი, რომელიც ჩაენაცვლება სუბიექტის სხვა არაიდენტურ ობიექტებსაც).

გერმანულ ენაში ნაცვალსახელი *sich* (გარდა იმისა, რომ იგი რეცეპროკულ მიმართებასაც აღნიშნავს) ორგვარ ფუნქციას ასრულებს: ა) სათავისო ქცევის მარკერისა და ბ) რეფლექსურობის მარკერისა. ქცევის კატეგორია, და კერძოდ კი შისი ორი ფორმა — საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმები — რეფლექსურობის კატეგორიის ოპოზიციურ წყვილს წარმოადგენს. Reflexiva tantum-თა ჯგუფის ყველა ზმნა სემანტიკურ დონეზე სათავისო ქცევას გამოხატავს და მათ არ გააჩნიათ ოპოზიციური წყვილი; რეფლექსურ ზმნათა ჯგუფს კი სემანტიკურ დონეზე ოპოზიციური წყვილები გააჩნიათ — ამავე ზმნური ლექსემების საარვისო და სათავისო ქცევის ფორმები.

ამრიგად, რეფლექსურობის კატეგორიას თანამედროვე გერმანულ ენაში შემდეგი გამოხატვის ფორმები აქვს:

1. ფორმალურ-სინტაქსური გამოხატვის ფორმა — *sich* + ზმნური ლექსემა, ამასთან *sich* მორფოლოგიურად მარკირებულია აკუსატივით ან დატივით;

2. სემანტიკური გამოხატვის ფორმა — სათავისო ქცევა.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. Fr. Bopp, Über das Georgische in sprachverwandtschaftlicher Beziehung (1846). In: Fr. Bopp, Kleine Schriften zur vergleichenden Sprachwissenschaft, Leipzig, 1972, s. 397—478.
2. J. S. Vater, Grusinische oder georgische Sprachlehre nach Maggio, Ghai und Firalow In: Id., Vergleichstafeln der europäischen Stammsprachen und süd-west-asiatischer, Halle, 1832, S. 183—219.
3. J. Kiaprot, Kaukasische Sprachen, Halle, 1814.
4. H. Schuchardt, Über das Georgische, Wien, 1895.
5. Frdr. Müller, Zur Conjugation des georgischen Verbums. Wien, 60, 1869.
6. A. Dirr, Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache mit Übersetzungsstücken und einem Lesebuch, Wien, 1904.
7. H. F. J. Junker, Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift, In: Caucasia 2, 1925, S. 1—82 und 3, S. 82—121.
8. F. N. Finc, Haupttypen des Sprachbaues, Leipzig, 1910.
9. R. Bleichsteiner, Die kaukasische Sprachgruppe. In: Anthropos, 32, 1937, S. 61—74.
10. K. Bouda, Beiträge zur etymologischen Erforschung des Georgischen, In: Lingua 2, 1949—1950, S. 291—307.
11. G. Deeters, Das Khartwelische Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.





12. R. Meckelein, Die georgische grammatische und lexikalische Literatur, Eine kurze Übersicht, In: Der Neue Orient, Bd. V, 3. Jhg., Berlin, 1919, s. 135—137.

13. W. Peschen, Die Charaktervokale des altgeorgischen Verbums in der Übersetzung des Matthäus und Markus und den Palimpsest — Texten, Bonn, Diss., 1939.

14. G. Pätsch, Zu einigen Verbalkategorien im Georgischen, In: BK (=Bedi Kartlissa, Revue Kartvelologie), Paris, 35, 1977, S. 289—293.

15. W. Schmidt, Grundfragen der deutschen Grammatik, Berlin, 1983.

16. W. Boeder, Über die Versionen des georgischen Verbs, Folia Linguistica 2, 1968, S. 82—152.

17. H. Fähnrich, Die Funktion des Charaktervokals i im georgischen Verb, In: WZ der FSU Jena, H. 1, 1965, S. 153—157.

18. H. Spitzbardt, Zur glottochronologischen Differenzierung der Kartwelsprachen, In: WZ der FSU Jena, 22, 1973, S. 381—400.

19. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973.

20. M. Paitschadse, Zur Kategorie der Reflexivität in der deutschen Gegenwärtssprache, Diss. B., Leipzig, 1991.

21. მ. შაქავერიანი, ქვევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი, 1987.

22. გ. ნებერიძე, ქვევის კატეგორია ქართულში (ტრანსფორმაციული ანალიზი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1976, გვ. 132—145.

23. H. Steinthal, Abriß der Sprachwissenschaft in 2 Bdn. (Bd. 2), Hildesheim-New York, 1972.

24. В. Г. Гак, Сравнительная типология французского и русского языков, Ленинград, 1977.

25. L. Hermodsson, Reflexive und intransitive Verba im älteren Westgermanischen, Uppsala, 1952.

26. ბ. ზორბენაძე, ქართული ენის ფლექტატურ გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1985.

27. G. Helbig, Die freien dative im Deutschen, In: DaF, H. 6, 1981, S. 321—332.

28. H. Wegener, Der Dativ im heutigen Deutsch, Studien zur deutschen Grammatik 28, Tübingen, 1985.

29. I. Rosengren, Gibt es den freien Dativ? In: DaF, H. 5., 1986, S. 274—287.

30. D. Krohn, Dativ und Pertinenzrelation, Syntaktisch-semantische Studien unter Berücksichtigung von Lexemen mit dem Merkmal „Kleidungsstück“, Acta Universitatis Gothoburgensis, 1980.

31. G. Helbig, W. Schenkel, Wörterbuch zur Valenz- und Distribution deutscher Verben, Tübingen, 1983.

32. A. V. Bondarko, Zur Problematik der funktional-semantischen Kategorien, In: Potsdamer Forschungen, Reihe A, H. 20, Potsdam, 1977, S. 9—17.

33. K. Brugmann, Kurze vergleichende Grammatik der indogermantischen Sprachen, Strassburg, 1904.

34. E. Richter, Zur Entwicklung des reflexiven Ausdrucks im Romanischen, In: Zeitschrift für Romanische Philologie, hrsg. von Dr. G. Gröber, XXXIII Bd., Halle, 1909.

35. G. Reichenkorn, Passivum, Medium und Reflexivum in den romanischen Sprachen, Jena und Leipzig, 1933.

36. A. Margulies, Die Verba Reflexiva in den slawischen Sprachen, Carl Winters Universitätsbuchhandlung, Heidelberg, 1924.

37. J. Erben, Deutsche Syntax, Eine Einführung, Bern, Frankfurt a. M., New York, 1984.

38. A. Jäntti, Zum Reflexiv und Passiv im heutigen Deutsch, Eine syntaktische Untersuchung mit semantischen Ansätzen, Helsinki, 1978.

39. Fr. Wagner, Untersuchungen zu Reflexivkonstruktionen im Deutschen, Frankfurt am Main-Bern-Las Vegas, 1977.

40. G. Stötzel, Ausdrucksseite und Inhaltsseite der Sprache, Methodenkritische Studien am Beispiel der deutschen Reflexivverben, Linguistische Reihe, Bd. 3., München, 1970.



41. И. А. Буц, Взаимодействие залоговых значений в современном немецком языке, Москва, 1983.
42. В. С. Храковский, Активные и пассивные конструкции в языках эргативного строя, «Вопросы языкознания», 1972, №5, 34—41.
43. В. С. Храковский, Диатеза и референтность, «Залоговые конструкции в разноструктурных языках», Ленинград, 1981, с. 5—38.
44. В. С. Храковский, Исчисление диатез, «Диатезы и залого», Тезисы конференции, Ленинград, 1975, с. 34—51.
45. В. С. Храковский, Конструкции пассивного залога (определение и исчисление), «Категория залога», Материалы конференции, Ленинград, 1970, с. 27—41.
46. В. С. Храковский, Пассивные конструкции, Типология пассивных конструкций, Диатезы и залого, Ленинград, 1974, с. 5—45.
47. В. С. Храковский, Залог и рефлексив, «Проблемы теории грамматического залога», Ленинград, 1978, с. 50—61.
48. R. L ö t z s c h (W. F i e d e r) K. K o s t o v, Die Kategorie des Genus Verbi in ihrem Verhältnis zu einigen verwandten morphologischen Kategorien, In: Studia Grammatica XIII, Berlin, 1976, s. 63—94.
49. Диатезы и залого, Тезисы конференции, Ленинград, 1975.
50. Категория залога, Материалы конференции, Ленинград, 1970.
51. Проблемы лингвистической типологии и структуры языка, Ленинград, 1977.
52. Проблемы теории грамматического залога, Ленинград, 1978.
53. Типология каузативных конструкций, Морфологический каузатив, Ленинград, 1974.
54. Типология результативных конструкций, Ленинград, 1983.
55. Типология пассивных конструкций, Диатезы и залого, Ленинград, 1974.
56. Залоговые конструкции в разноструктурных языках, Ленинград, 1981.
57. М. Г. П а й ч а д з е, Влияние лексических факторов на залоговый механизм глагольной системы современного немецкого языка, Канд. дисс., Тбилиси, 1986.
58. J. Chr. A d e l u n g, Umständliches Lehrgebäude der Deutschen Sprache, in 2 Bdn... Leipzig, 1782.
59. O. B e h a g e l, Deutsche Syntax. Eine geschichtliche Darstellung, Bd. II, Heidelberg, 1924.
60. L. S ü t t e r l i n, Die deutsche Sprache der Gegenwart, Leipzig, 1918.
61. M. D e u t s c h b e i n, System der neuenglischen Syntax, 2. Aufl., Leipzig, 1926.
62. H. B r i n k m a n n, Die deutsche Sprache. Gestalt und Leistung, Düsseldorf, 1962.
63. H. R e n i c k e, Zu den nhd. Reflexiva, In: Zeitschrift für deutsche Philologie 75, 1956, s. 279—288.
64. K. E. H e i d o l p h (W. F l ä m i g) W. M o t s c h u. a., Grundzüge einer deutschen Grammatik, Berlin, 1981.
65. U. E n g e l, Deutsche Grammatik, Heidelberg, 1988.
66. M. R e i s, Reflexivierung im Deutschen, Köln, 1981.
67. H. H a i d e r, Von Sein oder Nicht Sein: Zur Grammatik des Pronomens „sich“, In: W. A b r a h a m, Satzglieder im Deutschen, Tübingen, 1982, s. 223—254.
68. G. H e l b i g, J. B u s c h a, Deutsche Grammatik, Ein Handbuch für den Ausländerunterricht, Leipzig, 10, 1987.
69. G. H e l b i g, Probleme der Reflexiva im Deutschen (in der Sicht der gegenwärtigen Forschung) In: DaF, H. 2, 1984, S. 78—89.
70. R. R u ž i č k a A., S t e u b e G., W a l t h e r, Syntaktische und semantische Reflexivität, In: Satzstruktur und Genus verbi, Studia Grammatica, Berlin, 1976, S. 95—112.
71. H. D. E r l i n g e r, Reflexivpronomen und syntaktisches Programm, In: Wirkendes Wort, Deutsche Sprache in Forschung und Lehre, Düsseldorf, 1971, H. 3., S. 145—153.

## КАТЕГОРИИ РЕФЛЕКСИВНОСТИ И ВЕРСИИ В СОВРЕМЕННОМ НЕМЕЦКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

Грамматическая категория версии, как известно, выделяется лишь в глагольной системе картвельских языков, в особенности в грузинском.

Согласно предположению А. Шанидзе, категория версии должна быть свойственна также и индоевропейским языкам, хотя и не в столь ярко выраженной грамматической форме, как в грузинском языке. Это предположение А. Шанидзе и послужило отправной точкой при исследовании нами глагольной системы немецкого языка. При этом нами было установлено, что формы версии в немецком языке выражаются следующими лексико-грамматическими средствами: 1) нейтральная версия: грамматически — нулевой формой  $\emptyset$ , лексически — перифразом *keinem, niemandem* или *für keinen, für niemanden*; 2) субъектная версия: грамматически — беспредложным дательным падежом или местоимением *sich* в дательном/винительном падеже, лексически — перифразом *für sich*; 3) объектная версия: грамматически — беспредложным дательным/винительным падежом, лексически — перифразом — *für jemanden (anderen)*.

Версия и рефлексивность в современном немецком языке являются функционально-семантическими категориями. Проблема рефлексивности в немецком языке наиболее четко проявляется при классификации возвратных глаголов. При этом принято было считать, что рефлексивность не имеет соответствующей оппозиционной пары (как, к примеру, транзитивность и интранзитивность).

В результате рассмотрения различных моделей классификаций возвратных глаголов (данных у К. Бругманна, О. Бехагеля, Л. Зюттерлина, М. Дейчбейна, Л. Хермодссона, Х. Бринкманна, Х. Ренике, К. Э. Хейдольфа /В. Флемига/ В. Моча, Г. Штётцеля, Ц. Энгеля, М. Рейс, Х. Хейдера, Г. Хельбиги, П. Буша, Р. Ружички, А. Штойбе, Г. Вальтера и др.) мы пришли к следующим выводам:

В немецком языке местоимение *sich*, помимо обозначения реципрокной реляции, имеет две функции — оно является: а) маркером субъектной версии и б) маркером рефлексивности.

Категория версии, а точнее, ее две формы — нейтральная и объектная — представляют собой оппозиционную пару категории рефлексивности.

Категория рефлексивности имеет в современном немецком языке следующие формы выражения:

- 1) формально-синтаксическую — *sich* + глагольная лексема;
- 2) семантическую — субъектИВная версия.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრა.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიამ

## გ უ რ ა მ კ ა რ ბ ო ზ ი ა

## „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის საკითხები

„აზმათა“ ტექსტი ორი—A და B—რედაქციით არის დაცული. პირველ რედაქციას განეკუთვნება ის ხელნაწერები, რომლებშიც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ დამოუკიდებლად (სხვა თხზულებებთან შეურევლად) არის წარმოდგენილი, მეორე რედაქციისა კი ის ნუსხებია, რომლებიც ვახტანგ მეექვსის „სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილ თამარის ისტორიას შეიცავენ. სადაც „აზმანი“ სხვა თხზულებებთან არის შერწყმული. „აზმათა“ ტექსტი მოტანილია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით, ზოგჯერ მითითებულია კ. კეკელიძის გამოცემის წაკითხვაკ<sup>2</sup>.

1. არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ 11<sup>18</sup>.

ვეფაროთ ი. ჯავახიშვილის კონიექტურაჲ. A<sup>1</sup> A<sup>4</sup>-ში მის ნაცვლად ვეფაროთ იკითხება.

ვეფაროთ „აზმათა“ ტექსტში შეუძლებელი ფორმაა. ენიანი ვნებითს მეორე კავშირებითში პირველი პირის სუბიექტის სიმრავლე, -თ-სთან ერთად, -5 სუფიქსითაც უნდა იყოს გამოხატული (ვე-ფარ-ნ-ე-თ). B რედაქციის ნუსხებში სწორედ -5 სუფიქსიანი ფორმაა ნახმარი: მივრიდოთ და დავეფარნეთ პირისა მათისაგან.

A<sup>1</sup> A<sup>4</sup>-ის წაკითხვას განსხვავებული სახით წარმოგვიდგენს A<sup>2</sup> ხელნაწერი, ფრაზის ბოლოში და სეგმენტი ზმნისწინად არის ნაგულისხმევი და არა კავშირად: მივრიდოთ თვი დვიფროთ. ეს კი საცხებით გამართული, უნაკლო წინადადებაა: „მივრიდოთ, თავი დავიფაროთ!“ უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი სინტაქსურად დაკავშირებულია მომდევნო ზმნასთან (თავი დავიფაროთ), წინამავალი ზმნა კი უბიექტოდ არის წარმოდგენილი. მივრიდოთ ნიშნავს: „მოვშორდეთ, გავეცალოთ, გავერიდოთ“. იგი ორვალენტოვანი გარდაუვალი ზმნაა, პირდაპირ ობიექტს არ შეიწყობს. შდრ. „აზმათა“ ტექსტიდან: და ვითარ იხილა დავით მენემან, ამანცა მენემან შორი და ერთ-კრძომან, და მარჯვენასა მჟარსა შორი და ზაქარია მჟარგრემლმან. 97<sup>4</sup>-5.

შდრ. აგრ.

1 დაწერილებით იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1959, გვ. 07—09, 015—019, 034—035. ხელნაწერთა აღსანიშნავად გამოყენებულია შემდეგი ლიტერები: A<sup>1</sup>—მარიამისეული, S 30, 1633—1645 წ. წ. (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით—M), A<sup>2</sup>—მცხეთურის პირი, Q 1219, 1697 წ., A<sup>3</sup>—თეიმურაზისეული ნუსხის მეორე ნაწილი, ლენინგრ. № 13, XVIII ს-ის I მეოთხ. (T), A<sup>4</sup>—მაჩაბლისეული, H 2135, 1736 წ. (m); B<sup>1</sup>—რუმინეცისეული, H 2080, 1703 წ-მდე (R). B<sup>2</sup>—თეიმურაზისეული ნუსხის პირველი ნაწილი (T), B<sup>3</sup>—ქალაშვილისეული, Q 207, 1731 (c), B<sup>4</sup>—საეკლესიო მუზეუმისა, A 131, 1748 წ. (E). B<sup>5</sup>—ჯანაშვილისეული, S 4770, XVIII ს-ის შუა წლები (D), B<sup>6</sup>—ფალავანდისეული, H 988, 1761 წ. (p), B<sup>7</sup>—სხეიტორის მუზეუმისა, XVIII ს-ის II ნახ. (s), B<sup>8</sup>—დადიანისეული, S 354, XVIII ს-ის უკანასკნ. მეოთხ. (d).

2 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941.

3 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1965, გვ. 234.



და აწ გვევდრები მე, მოგურიღო და უკუ-სღვ, და უზომო ოქრო და ვეცხვარეულები  
და ცხენი მოგცეთ. ეპით. 315<sub>გ</sub>  
დაესხნეს კულაღ, და მეფემან მიპირიდნა, და მოაოკრნეს ქუეყანანი. ეპით. 269<sub>ის</sub>.

2. ოდესმე შარვაშეს ლომისა ბოკვერი გამოგზავნა, მათ გაეზარდეს. და ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არც ველური, არც შინაური გაზრდილი არცაჲს უნახავს მისი არაჲი. 62<sub>1</sub>.

ნახვასმულ სიტყვებს A<sup>1</sup>A<sup>4</sup> ნუსხები ასე წარმოგვიდგენენ: მათ გაეზარდეს, A<sup>2</sup>—მ<sup>3</sup>თ გაეზარდეს, B-ში მათ მიერ გაზრდილი იკითხება.

გაეზარდეს, ცხადია, კონტექსტს არ უღებებ. იგი ზ და ხ გრაფემების აღრვეის შედეგად არის მიღებული A რედაქციის ხელნაწერებში<sup>6</sup>. კ. კეკელიძემ მართებულად ივარაუდა ტექსტში ზარდ-/ზარდ- ფუძის შემცველი ზმნა, მაგრამ მორფოლოგიურად მცდარი ფორმა აღადგინა. გაეზარდა დეს თავისი ე-პრეფიქსით მეორე თურმეობითის ფორმად უნდა ვცნოთ, მაგრამ დაბოლოებაა უცნაური, უკანონო. მეორე თურმეობითის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო გვექონოდა ან გაეზარდეს (მას/მათ ივინი), ან გაეზარდა (მას/მათ ივი). რამდენადაც პირდაპირი ობიექტი (ბოკვერი) მხოლოებითში იგულისხმება, თურმეობითი მეორისათვის ერთადერთ შესაძლებელ წაკითხვად გაეზარდა რჩება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუ დაბოლოებას კი არ შევცვლით, არამედ მეორე თურმეობითის ნაცვლად აორისტის ფორმას ჩავსვამთ: გაეზარდეს. მომდევნო ზმნის (შეიქმნა), ფორმით აორისტის, მეზობლობაში გაზარდა ზმნის აორისტი უფრო ბუნებრივია. ვიდრე თურმეობითი მეორე. ჩვენთვის სანტერესო ფრაზის შინაარსი დღევანდელი ქართულით ასე გადმოიკვება: ოდესღაც შარვაშეს ლომის ბოკვერი გამოგზავნა [თამარისთვის], თამარმა გაზარდა და ისეთი დიდი და საზარელი შეიქნა, რომ...

3. ანუ ვისმცა ქება მიხლომდა დავითის მოყმისა, ბაყათარისა და თარხნისა მსგავსისა, ეფრემიანისა და დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისთა? 65<sub>4</sub>.

ნახვასმული სიტყვა კ. კეკელიძის კონიექტურაა. ხელნაწერებში ასეთი წაკითხვებია: A<sup>1</sup>A<sup>2</sup> გივებთა, A<sup>4</sup> გივებთა. A<sup>3</sup>-ს, როგორც ცნობილია, პირველი ნახევარი აკლია და ტექსტის ეს მონაკვეთი იმ ნახევარს განეკუთვნება. B რედაქციის ნუსხებში ფრაზის დაბოლოება შეცვლილია: დიდებულთა ბუმბერაზთა მოყმეთა ამის სამეფოსათა.

ვფიქრობთ, A რედაქციის ხელნაწერთა ჩვენება ანგარიშგასაწევია. იგი ოდნავ შეცვლილი სახით უნდა იცავდეს ნამდვილ (დედნისეულ) წაკითხვას. ებ სეგმენტი ამ სიტყვაში (გივებთა) გარკვეული მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელი ჩანს და მას შეცვლა არ სჭირდება. იგი სიტყვათმადწარმოებელი -ებრ ელემენტის ნაწილი უნდა იყოს. გივებთა < გივებრთა (= გივისებრთა, გივის მსგავსთა).

ანალოგიისათვის მიუფთითებთ პირის სახელისაგან -ებრ-ით ნაწარმოებ სხვა სიტყვაზე „აზმათა“ ტექსტიდანვე:

4 იგულისხმება თამარ მეფე.  
5 გრამატიკულადაც გაუმართაჲია. უნდა ყოფილიყო: გაეზარდეს. -დ სუფიქსი ენიან ენებში ამ დროისთვის სრულიად მოულოდნელია.  
6 ზ და ხ გრაფემების აღრვეის შედეგად მეორე თურმეობითის შემთხვევაში ცვლიან ფრაზაში A რედაქციის ნუსხები. და საზარელი-ს ნაცვლად აქ იკითხება: გაეზარება A<sup>1</sup>A<sup>4</sup> / გაეზარებ<sup>2</sup> ა A<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ჯერ მოხდა გადასვლა საზარელი>საზარელი, შემდეგ კი—საზარელი>გაეზარება.



ბესელიელ ბრნი = ბესელიელის მსგავსნი, ისევე როგორც სოლომონიანი = სოლომონის მსგავსნი<sup>7</sup>.

-ებრ თანდებული საშუალსა და ახალ ქართულში ზოგჯერ ბოლოკიდურ რ-ს იკვეცს<sup>8</sup>. ერთი მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“:

ბრძენ ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულეზ. 873<sub>1</sub>.

თქმულეზ = თქმულეზრ. სტროფში რითმაა ულებ, ამდენად თქმულეზ ფორმის სიძველე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში უეჭველია. -ებრ-ის გაცევა უკვე რუსთველისდროინდელ ქართულში ფაქტია.

შეიძლებოდა გივებთა-შიც იგივე პროცესი დაგვენაზა და ტექსტში ეს რ-დაკარგული ფორმა დაგვეტოვებინა, მაგრამ საქმე ის არის, რომ რ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში იკარგება (ე. ი. როცა -ებრ თანდებულია), სიტყვის შიგნით კი (ე. ი. როცა -ებრ სიტყვათამაწარმოებელი ელემენტია) რ-ს დაკარგვა ნაკლებ სააღბათოა. გივებთა-ში რ-ს დაკლება A რედაქციის ნუსხათა პროტოგრაფის გადაწერის მექანიკური შეცდომა ჩანს, რომელსაც უცვლელად იმეორებენ მომდევნო ხანის გადაწერები.

როგორც ვხედავთ, გმირ მოყმეებსა და ბუმბერაზებს ავტორი უდარებს „შაჰნამეს“ ორ პერსონაჟს—როსტომსა და გივს. ერთ შემთხვევაში შედარება გადმოცემულია სიტყვა მსგავს-ის გამოყენებით (მსგავსთა როსტომისთა), მეორე შემთხვევაში—სიტყვათამაწარმოებელი -ებრ ელემენტის დართვით (გივებრთა). მაშასადამე, გვაქვს თანწყობითი სახელური ჭფუფი, რომლის ბრუნების პარადიგმა ასეთია: მსგავსი როსტომისი და გივებრი, მსგავსმან როსტომისმან და გივებრმან, მსგავსსა, როსტომისსა და გივებრსა... მსგავსნი როსტომისნი და გივებრნი, მსგავსთა როსტომისთა და გივებრთა...

4. და ესრეთ მოჰმართეს გზასა, რომელ აღმავალ იყო აღარბადაგანი. 109<sub>1</sub>.

კ. კეკელიძის გამოცემაში ფრაზა ასე იკითხება:

და ესრეთ მოჰმართეს გზასა, რომელი აღმოვლეს აღარბადაგანი. 136<sub>2</sub>.

ორივე გამოცემაში კონიექტურაა მოშველიებული. ხაზგასმული სიტყვები ამ ფორმით ხელნაწერებში არ დასტურდება. კ. კეკელიძის კონიექტურა (აღმოვლეს) ემყარება A<sup>1</sup> A<sup>2</sup>-ის წაკითხვას—აღმოვლო: რადგან პირველი ზმნა (მოჰმართეს) სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავს, მეორეც მის კვალობაზეა გამართული (მხოლოდობითის -ა სუფიქსი შეცვლილია მრავლობითის -ეს დაბოლოებით). ს. ყაუხჩიშვილის კონიექტურას საფუძვლად უდევს A<sup>2</sup>-ის აღმოვლო<sup>9</sup>, რომელიც, მკვლევრის აზრით, მიღებულია აღმოვლო [იყო] დაწერილობიდან.

ტექსტში ასეთი რადიკალური ცვლილებების შეტანა, ვფიქრობთ, საჭირო არ არის. საკითხი უფრო მარტივად გადაწყდება, თუ ანგარიშს გავუწევთ B რედაქციის ნუსხათა ჩვენებას. ჩვენთვის საინტერესო ზმნა ამ ნუსხებში თურმეობითი მეორის ფორმით არის წარმოდგენილი: აღმოვლოთ. მიცემით ბრუნვაში დასმული სუბიექტის სიმრავლე, როგორც ცნობილია, ზმნაში სპე-

7 -იანი სუფიქსს რომ „მსგავს“-ის, „ეით“-ის მნიშვნელობა აქვს „აზმათა“ ტექსტში, ამის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 078.

8 ა. მარტიოსოვი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I. 1946, გვ. 227.

9 აღმოვლო იკითხება A<sup>2</sup>-შიც. ეს ნუსხა იმ დროისთვის (1959 წ.) ჯერ კიდევ არ იყო მიკვლეული.



ციალური აფიქსით ძველად არ აღინიშნებოდა. -თ სუფიქსი აქ B რედაქციის ხელნაწერებს გვიანდელი ენობრივი ნორმის შესაბამისად აქვთ დამატებული. ამისავალი ფორმაა აღმოველო, რომლიდანაც უმტკივნეულოდ გამოიყვანება A რედაქციის ნუსხათა ყველა წაკითხვა: აღმოველო > აღმველო > აღმოველო.

მაშასადამე, ფრაზა ასე უნდა გაიმართოს: და ესრეთ მომართეს გზასა, რომელ აღმოველო ადარბადაგანიტ (=და ასე გაუდგნენ გზას, ადარბადაგანიდან რომ ჰქონდათ ამოვლილი).

ლაპარაკია ქართველთა ჯარზე, რომელმაც ძლევამოსილად ილაშქრა ირანში და, შინსაკენ გამობრუნებული, მიანაშა მოვიდა. მიანიდან ქართველები თბილისში იმავე გზით (ადარბადაგანის გავლით) დაბრუნდნენ, რომლითაც იქითობას იარეს. სწორედ ასე გადმოსცემს ამ ამბავს ი. ჯავახიშვილი: „საქართველოს ჯარები ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და იმავე გზით, რომლითაც მოვიდნენ, უკან დაბრუნდნენ“<sup>10</sup>. შდრ. კ. კეკელიძის რუსული თარგმანი: „Они направились путем, идущим через Азербайджан“<sup>11</sup>, რომელსაც უფრო ესადაგება ს. ყაუხჩიშვილის კონიექტურა — აღმოველო იყო.

5. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანისცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნების-ყოფლობისა მათისა. 32გ.

კ. კეკელიძის გამოცემაში ციტირებული ფრაზის შუა ნაწილი ასეა გამართული:

წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანისცეს. უძალოთა აღიღეს ფიცი პატრონისაგან. 78<sup>11-12</sup>

გამოცემათა ტექსტის ხაზგასმული ადგილები A<sup>1</sup> A<sup>4</sup>-ში ასეა წარმოდგენილი: თაყუანისცა (A<sup>4</sup> თაყუანისცა) ემალთა, A<sup>2</sup>-ში: თყნისცა, ემელთა<sup>12</sup>.

კ. კეკელიძის კონიექტურა (უძალოთა) A<sup>1</sup>-ის უაზრო ემალთას გააზრიანების ცდას წარმოადგენს.

ჩვენი ვარაუდით, ხელნაწერების ემალთა/ემელთა დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა კი არ არის, არამედ წინამავალი სიტყვის ნაწილია: სხვანაირად რომ ვთქვათ, A რედაქციის ხელნაწერთა პროტოგრაფში ამ ადგილას ზმნა (თაყუანისცეს) და სახელი (ემალთა/ემელთას პროტოტიპი) კი არ გვქონდა, არამედ ერთი სიტყვა—მოქმედებითი გვარის მიმღეობა თაყუანისმცემელთა.

მაშასადამე, ვვარაუდობთ, რომ ტექსტში გამოყენებულია მიმღეობური კონსტრუქცია, რაც ასე დამახასიათებელია „აზმათა“ ენისათვის, კერძოდ, A რედაქციის ტექსტისათვის: წინაშე მოსრულთა, დავრდომით თაყუანისმცემელთა აღიღეს ფიცი პატრონისაგან<sup>12a</sup>. B რედაქციაში ამის სანაცვლოდ ჩვეულებრივი ზმნური კონსტრუქცია გვაქვს: მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყუანისცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ცვლის B რედაქცია ქართულისათვის ჩვეულებრივი ზმნური კონსტრუქციით A რედაქციის მიმღეობურ კონსტრუქციას, მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

10 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 286.  
 11 История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, исследованием и комментариями снабдил К. С. Кекелидзе. Тбилиси, 1954, с. 86.  
 12 ასეა (მშობით).  
 12a შდრ. ანალოგიური კონსტრუქცია: დავრდომით მიწა-ქანთ თაყუანისმცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა. 72<sup>16-17</sup>

მუნიტ გამოგზავრებულთა არცა თუ თუჯა ერთისკ გამომსუენე-  
ბელთა მსწრაფლ წარსრულთა ილაშქრეს არზრუმს, კარსა კარნუ-ქალაქისასა. 58<sup>10</sup>-  
მდრ. B1: და მუნიტ რა წარმოვიდეს, არლარა შეისუენეს არცადა თუ თუ ერთ,  
მსწრაფლ წარვიდეს და ილაშქრეს არზრუმს, კარსა კარნუ ქალაქისასა.

და შიგნით მყოფნი, ვითარცა მკეცი, ილრქენდეს კბილსა მათსა და წუერსა იფხურიდეს  
მხილველნი ვინმე ცოლთა და ბუუევებულთანი, და ვინმე შვილთა, და ვინმე  
სიმრავლესა ჭოვისასა და რემისასა, და მთქმელნი ესრე ტიროდეს. 58<sup>15</sup>18 მდრ. B1:  
შიგნით მყოფნი, ვითარცა მკეცი, ილრქენდეს კბილთა მათთა და წუერთა იფხურიდეს, ბე-  
დვიდეს რა ცოლთა და შვილთა მათთა ბუუექმნილთა და ჭოვისა და  
რემებისა მათისა იავარქმნილთა. ესრეთ ცრემლოდეს და გოდებით იბუოდეს.

6. და ვითარ ქართველთა განეშორეს, რათა არა ცხენითა მათითა და ითრგუნნა  
ქუეთინი ქართველნი. და მიმართეს სპარსთ-ყერძ. 97გ.

ხაზგასმული სიტყვები A რედაქციის ნუსხათა წაკითხვებს წარმოადგენს.  
პრეფიქსიანი ვნებითის ორივე ეს ფორმა (ენიანიცა და ინიანიც) მცდარია:  
მათში სუბიექტის სიმრავლის გამოხატვის ძველი (XII საუკუნის ქართულში  
ჭერ კიდევ მტკიცედ მოქმედი) წესი დარღვეულია.

პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში სუბიექტის სიმრავლე ორმაგი სუ-  
ფიქსით აღინიშნებოდა: აორისტში -ნ-ეს დაბოლოება გვქონდა, მეორე კავში-  
რებითში—ნ-ე-ნ. ციტირებულ ფრაზაში პირველი ზმნა აორისტშია დასმული  
და, მასასადამე, -ნ სუფიქსი აკლია. სწორი ფორმაა განეშორ-ნ-ეს. მეორე  
ზმნა მეორე კავშირებითს წარმოადგენს (რათა კავშირი კავშირებითი კილოს  
ფორმას მოითხოვს) და ამიტომ მრავლობითის -ნ სუფიქსის შემდეგ -ე-ნ და-  
ბოლოება უნდა გვქონდეს: დაითრგუნ-ნ-ე-ნ<sup>13</sup>.

B რედაქციის ნუსხებში პირველი ზმნა (განეშორნეს) სწორად იკითხება,  
მეორე კი ოდნავ სახეცელილია B<sup>4</sup> B<sup>6</sup>-ში: და ი თ გ უ ნ ე ნ (ორი იდენტური  
თანხმოვნიდან ერთი გამოტოვებულია: დაითრგუნნენ > დაითრგუნენ), B<sup>1</sup> B<sup>3</sup>  
B<sup>5</sup> B<sup>7</sup> B<sup>8</sup>-ში კი ძველი წარმოება გვიანდელით არის შეცვლილი, თანაც ზმნა,  
მრავლობითის ნაცვლად, მხოლოდობითშია გადაყვანილი: და ი თ რ გ უ ნ ო ს.

7. ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი და მიმდგომნი თავრეისანი განიზაბვიდეს, რათა  
ხარკის მიცემითა, და ძლუნითა და შვერდომითა და ზენარისა თხოვნითა და ამ შუდნეს  
ქართველნი თავადნი და სპანი. 106ქ.

დაამშუდნეს ი. ჭავახიშვილის კონიექტურაა<sup>14</sup>. ხელნაწერებში ასეთი ვა-  
რიანტული წაკითხვებია: A<sup>4</sup> დაამშვიდნა, A<sup>1</sup> A<sup>2</sup> A<sup>3</sup> დაამშვიდნა, B დაამშვიდონ.

A რედაქციის წაკითხვა, რასაკვირველია, მცდარია: აორისტის ფორმა აქ  
უადგილოა (რათა კავშირი აქაც მეორე კავშირებითს მოითხოვს), ამასთან,  
სუბიექტის რიცხვიც არ არის გამოხატული სათანადო სუფიქსით. B რედაქ-  
ციის დაამშვიდონ შინაარსობრივად კი უდგება კონტექსტს (მეორე კავ-  
შირებითია), მაგრამ ფორმით მიუღებელია: გვიანდელი წარმოებაა, პირდა-  
პირი ობიექტის რიცხვი მასში -ნ სუფიქსით არ არის აღნიშნული. არადამა-  
კმაყოფილებელია ი. ჭავახიშვილის კონიექტურაც: -ეს დაბოლოება ამ ზმნურ  
ფორმაში შეუფერებელია. დაამშუდნეს შეიძლება ორგვარად გავიგოთ:  
ან როგორც აორისტით—დაამშუდ-ნ-ეს (დღევანდელი ქართულით: დაამ-  
შვიდეს მათ ისინი), ან როგორც მეორე კავშირებითით—დაამშუდ-ნ-ეს  
(=დაამშვიდოს მან ისინი). არც ერთი ვაგება აქ არ გამოდგება.

13 დაითრგუნნა (ვნებითის ვაგებით) საერთოდ შეუძლებელი ფორმაა ქართულში.  
14 ი. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1965, გვ. 284.



ნუსხათა დამახინჯებული ჩვენება ძველი ენობრივი ნორმების ველზე ასე უნდა გასწორდეს: და ა მ შ ვ დ ნ ე ნ (= დაამშვდ-ნ-ე-ნ, სადაც პირველი ნ პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს, მეორე კი—სუბიექტისას, ე კი კავშირებითის მაწარმოებელია).

8. და მუნდა მოეგზვნეს დიდებულნი არანისანი, მტირალნი, დამსხმელნი თავსა ნაცრისანი, და ჰყარდეს: „ვაჟად აღარა იქმნებოსო; სიმაგრეთა ესე წაუხუამთ და ბუბქარს აღარ სად დაუღღნა ამას ქუეყანასა“. 76<sup>15</sup>.

მკითხველს შეეხასხენებთ, რომ ციტირებული ფრაზა დაკავშირებული ძეგლში მოთხრობილ ამბავთან, თუ როგორ მოაწამვლინა ბუბქარ ათაბაგო-ფილმა თავისი ძმა—ამირ-მირმანი—და შემდეგ როგორ აიღო განძა. შანქორს მისულ დავით მეფეს (სოსლანს) მგლოვიარე არანელებმა აუწყეს ამირ-მირმანის სიკვდილი და ბუბქარის ძლიერება.

В რედაქციის ხელნაწერებში ბუბქარის მიერ ამირ-მირმანის მოწამვლის ეპიზოდი შეტანილი არ არის, ამდენად ზემოთ მოყვანილ ფრაზას В რედაქცია არ იცნობს.

ციტირებული ფრაზის იმ მონაკვეთს, რომელიც ბრჭყალებშია ჩასმული, კ. კეკელიძე ასე თარგმნის: „Его уже нет, крепости забраны, нет на земли возможности противостоять Бубкару“<sup>16</sup>.

თ. ქორდანიას კომენტარი ამ ადგილისა ასეთია: „ეხლა გვიანდაა, დრო არ არისო: სიმაგრეები მტრებს უჭირავთ, ხოლო თვთ ბუბქარ აღარ არის ამ ქვეყანაშიო (ის გელაგუნს იღვა). მთელი ეს ფრასა შეიძლება ესრეც გავიგოთ: სიმაგრეები მტრებს უჭირავთო და ბუბქარს ვერც ერთი ცხე ამ ქვეყნისა ვერ დაუღდა, ყველა აიღოო“<sup>16</sup>.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „სიმაგრეთა ესე წაუხუამთ“ ნიშნავს: „სიმაგრენი წაუღიათ“<sup>17</sup>.

წაუხუამთ „აზმათა“ ტექსტში არ შეიძლება ნიშნავდეს ამას: „წაუღიათ“, „უჭირავთ“. ჯერ ერთი, -თ სუფიქსი მიცემითში დასმული სახელის სიმრავლის გადმოსაცემად (მათ წაუღიათ, მათ უჭირავთ) ამ დროის ქართულ-მა არ იცის, მეორეა და, მორფოლოგიური სუბიექტი (სიმაგრენი) სახელობითში უნდა იდგეს და არა მიცემითში. უცნაურად გამოიყურება, აგრეთვე, ესე ნაწევარი მიცემითში დასმულ სახელთან (სიმაგრეთა ესე). ორიდან ერთი: ან „სიმაგრენი ესე“ უნდა გვქონდეს, ან—„სიმაგრეთა ამათ“.

კ. კეკელიძემ სწორედ ამიტომ შეცვალა თავის გამოცემაში ს ი მ ა გ რ ე თ ა ფორმა ს ი მ ა გ რ ე ნ ი თ (ს ი მ ა გ რ ე ნ ი ე ს ე ვ ი თ ა რ ნ ი წაუხუამთ). მაგრამ ასეთი გასწორება საქმეს არ შევლის: ზმნაში აღუნიშვნელი რჩება სახელობითში დასმული სახელის რიცხვი. მოსალოდნელი იყო გვქონოდა: ს ი მ ა გ რ ე ნ ი წ ა უ ხ უ მ ა ნ / წ ა უ ხ მ ა ნ, რაც არსად არ დასტურდება.

ჩვენი აზრით, ტექსტში რადიკალური ცვლილების შეტანა საჭირო არ არის. ესე ნაწევარი, რომელიც გამოცემაში A<sup>3</sup>-ის მიხედვით არის შეტანილი, ერე-დან მომდინარეობს (ასე იკითხება ეს სიტყვა A<sup>2</sup> A<sup>4</sup>-ში. A<sup>1</sup>-ში დაქარაგმებულია: ე რ ე), ეს უკანასკნელი კი ვერ ნაწილად დამახინჯებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. ვფიქრობთ, ტექსტში გვქონდა: „სიმაგრეთა ვერ წაუხუამთ“. რაც ნიშნავს: „სიმაგრებს ვერ წავართმევთ/წართმევთ“.

შესაბამისად, მომავალი დროის გამომხატველი უნდა იყოს მომდევნო ზმნაც. აორისტის (დაუღღნა) ნაცვლად უნდა აღდგეს მეორე კავშირები-

<sup>15</sup> История и восхваление венченок. с. 65.

<sup>16</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ქორდანიას მიერ, თბ., 1892, გვ. 286.

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 623.

თი—და უ დ გ ნ ე ნ. „ბუბქარს აღარსად და უ დ გ ნ ე ნ ამას ქუეყანასა“ ნიშნავს: „ბუბქარს ველარსად გაუმკლავდებიან (ველარსად გაუწივეენ წინააღმდეგობას) ამ ქვეყნად“.

9. წარვიოთხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქარდინო, და ვ ც ა ნ სიცრუეენი შენი. 93<sub>13</sub>.

A რედაქციის ხელნაწერებში ხაზგასმული ზმნა აორისტის ნაცვლად კავ-შირებითი მეორის ფორმითაა წარმოდგენილი: ვ ც ნ ა. კავშირებითი აქ კონტექსტით გაუმართლებელია, გამომცემლები მართებულად იწუნებენ მას, მაგრამ აორისტის ის ფორმაჲ მიუღებელია, გამომცემებში რომ დამკვიდრდა. ამ ზმნის პირდაპირი ობიექტი მრავლობითში დგას (ს ი ც რ უ კ ე ნ ი) და მისი რიცხვი კანონზომიერად უნდა იყოს ასახული ზმნაში: ვ ც ნ ე ნ. სწორედ ამ საუარაუდო ფორმიდან ჩანს მიღებული A რედაქციის ნუსხების წაკითხვა: ვ ც ნ ე ნ > ვ ც ნ ა.

ზმნურ ფორმათ გვიანდელი შეცვლა-დამახინჯების ზემოთ მოყვანილ ბოლო ოთხ შემთხვევას (5—9 პუნქტებს) თუ დავაკვირდებით, ერთ საერთო მოვლენას შევამჩნევთ: ამოსავალ, პირვანდელ -ნენ დაბოლოებას A რედაქციის ხელნაწერები -ნა დაბოლოებით ცვლიან. და ი თ რ გ უ ნ ნ ე ნ, და ა მ შ უ ი დ ნ ე ნ, და უ დ გ ნ ე ნ, ვ ც ნ ე ნ ზმნები A რედაქციაში წარმოდგენილია და ი თ რ გ უ ნ ნ ა, და ა მ შ უ ი დ ნ ა, და უ დ გ ნ ა, ვ ც ნ ა ფორმით.

„აზმათა“ ტექსტში დასტურდება კიდევ ერთი მაგალითი -ნენ > -ნა გადასვლას:

არამელ ბრძანე, რათა ნიკოლსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მზა იყვნენ! 103<sub>19</sub>. აღიჭურნენ B რედაქციის წაკითხვაა. გამონაკლისია B<sup>5</sup>, სადაც ვნე-ბითის ახალი წარმოებაა: აღიჭურრონ. A რედაქციის ნუსხებში აღიჭურნა გვაქვს (აღიჭურნა და მზა იყვნეს). -ნენ დაბოლოებიანი ფორმის პირვანდელია აქ ექვს არ იწვევს; გამომცემლები მართებულად მოიქცნენ, B-ს წაკითხვას რომ მისცეს უპირატესობა.

-ნენ > -ნა გადასვლას ხუთივე შემთხვევაში საერთო საფუძველი უნდა ჰქონდეს.

საქმის ვითარება ჩვენ ასე გვესახება:

ძველ ხელნაწერებში ეს ზმნები დაქარაგმებული იქნებოდა: და ი თ რ გ უ ნ ნ (<და ი თ რ გ უ ნ ე ნ < და ი თ რ გ უ ნ ე ნ — ორი იდენტური თანხმოვნისგან ერთის გამოტოვებით), და ა მ შ უ ი დ ნ ნ, და უ დ გ ნ ნ, ვ ც ნ ნ, აღიჭურნ ნ ნ; ვვარაუდობთ, რომ A რედაქციის ერთ-ერთ ადრეულ (ჩვენამდე არ მოღწეულ) ნუსხაში, რომელსაც ანეტიკობა ახასიათებდა, ეს დაქარაგმებული ზმნური ფორმები ზედამეტი ა ხმოვნით იყო გართულებული: და ი თ რ გ უ ნ ნ ა, და ა მ შ უ ი დ ნ ნ ა, და უ დ გ ნ ნ ა, ვ ც ნ ნ ა, აღიჭურნ ნ ნ ა. მომდევნო ხანის ხელნაწერში (A<sup>1</sup> A<sup>2</sup> A<sup>3</sup> A<sup>4</sup>-ის პროტო-გრაფში) ბოლოკიდური ა მესამე სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გაგებული და ეს ზმნები ახლებურად გააზრიანდა; შესაბამისად, იმ ზმნებში, რომლებშიც ნ თანხმოვანი ფუძისეული არ არის, ერთი ნ ზედმეტად იქნა ჩათვლილი: და ა მ შ უ ი დ ნ ნ ა > და ა მ შ უ ი დ ნ ა, და უ დ გ ნ ნ ა > და უ დ გ ნ ა, აღიჭურნ ნ ნ ა > აღიჭურნ ა > აღიჭურნ ა. ზედმეტად იქნა ჩათვლილი მეორე ნ ცან-/ცნ- ფუძიდან ნაწარმოებ ზმნურ ფორმაშიც: ვ ც ნ ნ ა > ვ ც ნ ა. დაქარაგმებულ სიტყვებზე ზედმეტი ა-ს დართვისა და სიტყვათა ახლებურად გააზრიანების შემთხვევები „აზმათა“ ტექსტში საკმაოდ დასტურდება. მოიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ა) დღეს შენა სნან შშობელთა ამათთა ნაცვლად. 26<sub>1</sub>.

A<sup>1</sup> A<sup>4</sup>-ში ხაზგასმული სიტყვა ასე იკითხება: შ ი ნ ა (დღესა შინა ჩუენსა/ 13. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 3—4.

ჩვენთა). B-ში შენ გვაქვს. ცხადია, ეს ნაცვალსახელი ძველ ხელნაწილში დაქარაგმებული იქნებოდა: შ<sup>ნ</sup>. ამ დაქარაგმებულ სიტყვას დაერთო შემდგომ მეტი ა, რამაც გამოიწვია ამ სიტყვის გადააზრიანება: შ<sup>ნ</sup> > შ<sup>ნ</sup>ა > შინა.

A<sup>2</sup>-ში კი ეს მეორეული შინა არის დაქარაგმებული: შ<sup>ა</sup> (დღ<sup>ს</sup> შ<sup>ა</sup> ო.ჩ<sup>ნ</sup>.)

ბ) დღესა ხეთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად, რომელსა შინა ქრისტე-მან ლმერთმან ჩუენმან შემუსრა ძლიერება მკლამისა და დათრგუნა ორთავი იგი ვეშაპი. 685.

A რედაქციის ოთხივე ნუსხაში ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად იკითხება ქმნა. ესეც ზემოაღნიშნული პროცესის—დაქარაგმებულ სიტყვაზე ზედმეტი ა-ს დართვის—შედეგია: ქ<sup>ნ</sup>/ქ<sup>შ</sup>ნ<sup>ა</sup>+ა > ქმნა.

გ) იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსულანისა მოყმე ეფრემის ძეთაგანი. 466.

A<sup>1</sup> A<sup>4</sup>-ში ხაზგასმული სიტყვა ორად არის გაყოფილი: ძეთა გინა. მისი მიღების გზაც ანალოგიურია: ძეთაგ<sup>ნ</sup>+ა > ძეთა გინა. ამოსავლად სწორედ ძეთაგან უნდა ვივარაუდოთ (ასეა B<sup>2</sup>-ში) და არა ძეთაგანი, რომელიც ხელნაწერებში არ გვხვდება. B რედაქციის სხვა ნუსხებში ძეთა შორისთაგანი გვაქვს.

დ) მათცა ქმნეს საქმე ყოველთა ძველთა გინა ახალთაგან უბოროტესი. 4818.

A<sup>1</sup> A<sup>4</sup>-ში ახალთა გინა იკითხება. რასაკვირველია, არ უნდა გამოირიცხოთ წინმავალი გინა-ს გავლენა, მაგრამ მთავარი მიზეზი სიტყვის ახლებურად გააზრიანებისა აქაც ზედმეტი ა-ს დართვა უნდა იყოს: ახალთაგ<sup>ნ</sup>+ა > ახალთა გინა.

Г. А. Картозия

### ВОПРОСЫ ТЕКСТА «ИСТОРИИ И ВОСХВАЛЕНИЯ ВЕНЦЕНОСЦЕВ»

#### Резюме

Основываясь на сопоставлении разночтений рукописей обеих редакций и учитывая нормы грузинского языка эпохи Руставели, автор излагает свои соображения по исправлению некоторых искажений в тексте «Истории и восхваления венценосцев» — важнейшего памятника древнегрузинской исторической литературы.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გუბარიამ

## კუბლიკაცია

### აკად. კორნელი კეკელიძის გამომუშავებული ნაშრომი

საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში, პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის პირად ფონდში (№ 763, საქმე № 280) დაცულია აკად. კორნელი კეკელიძის რეცენზია პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის სადოქტორო ნაშრომზე: „ჩრდილო მხარეთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით (ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა), თბილისი, 1928, 261 გვერდი.

დიდი მეცნიერის ეს რეცენზია, რომელიც მანქანაზე გადაბეჭდილ 26 გვერდს შეიცავს, დღემდე გამოქვეყნებული არ არის და მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია. ამ რეცენზიის ერთი პირი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ბატონი კორნელის პირად ფონდში. რეცენზია აკადემიური ხასიათისაა და მასში დასმული პრობლემებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და, შეიძლება ითქვას, საპროგრამო მნიშვნელობა აქვს XI—XIII სს. ქართულ-სომხური რელიგიური პაქტობის ისტორიის თვალსაზრისით.

პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის პირად არქივში ვეძებთ პასუხი ამ რეცენზიაზე, მაგრამ ვერ ვნახეთ. არადა ისეთ პუნქტუალურ მეცნიერს, როგორც პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო, შეუძლებელია პასუხი არ გაეცა წერილობით და არ შეენახა.

ამრიგად, ვაჭვევებით აკად. კორნელი კეკელიძის აღნიშნულ ნაშრომს ყოველგვარი ორთოგრაფიული შეწორების გარეშე. ავტორის სტილი დაცულია.

ბონდო არეველაძე

დოცენტმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, რომელიც დიდი ხანია მუშაობს ქართულ-სომხური ფილოლოგიის დარგში, მეცნიერებას შემმატა ახალი შრომა, რომლის სათაური ზემოთ ამოვწერე. მოვალეობა ოფიციალი რეცენზენტისა და დანიშნულება შრომისა, როგორც სადოქტორო დისერტაციისა, მაიძულებს მე, როგორც იტყვიან, „მუშტრის თვლით“ გადავხედო მას და შევჩერდე არა იმდენად ღირსებაზე, რაც თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს სადისერტაციო შრომაში, რამდენად მის დეფექტებზე, რათა საექვო და არასავსებით დასაბუთებულმა შეხედულებამ და მოსაზრებამ ფეხი არ მოკლას მეცნიერებაში მხოლოდ იმიტომ, რომ მას ადგილი აქვს სადოქტორო დისერტაციაში.

დავიწყებ თხზულების მეთოდოლოგიური მხარედან და მერე გადავალ მის შინაარსზე.

#### 1

„ჩვენ მიერ აღძრული საკითხი“, ამბობს ავტორი წინასიტყვაობაში, „ეჭება „ჩრდილო სომხეთში“ მე-11—13 საუკუნეებში აღმოცენებულ „სომეხთა მოძღვართა“ სამეცნიერო-სალიტერატურო შემოქმედებას“ (გვ. 7). რამდენად ახალია ეს საკითხი? თვით გამოკვლევებიდან ვტყობილობთ, რომ „ჩრდილო მხარეთა“ სალიტერატურო „შკოლას“, როგორც ასეთს, ზოგადად სხვებიც შეხებიან, მაგალითად, კარაპეტ ტერ-მკრტიჩიანი, მალაქია ორმანიანი და ნ. აღონცი (გვ. 3—6). არ ყოფილან სომხურს სამეცნიერო ლიტერა-



ტურაში უცნობნი არც ცალკე წარმომადგენელი ამ „შკოლისა“; მაგალითად ნერსეს აკინიანს განუხილავს საკითხები გრიგოლ აბასისძის, დავით ურბანელის და ვარდან ახპატელის შესახებ; ამაზასპ ვოსკიანს—იოანე ვანაკინის, იოანე სარკავაძისა და მხითარ გოშის შესახებ (გვ. 7—9); კ. კოსტანიანს— გრიგოლ მაგისტროსის და დავით ალავეკის ძის შესახებ (გვ. 94—95, 165—166); ერვანდ ტერ-მინასიანს — ანანია სანაინელის შესახებ (გვ. 100—102). ერთი სიტყვით, თხზულებაში დასახელებულ „მოძღვართა“ შორის იშვიათია ისეთი, რომელსაც, სპეციალურად თუ შემთხვევით, არ შეეხებოდეს რომელიმე, ზოგიერთს შემთხვევაში რამდენიმე, მკვლევარი. ამნაირად, არც „ჩრდილო მხარეთა“ სალიტერატურო „შკოლა“ ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ აღმოჩენილი, არც მისი სხვადასხვა წარმომადგენელი, „სე რომ წაოყენებულ საკითხში ის პიონერად არ შეიძლება ჩაითვალოს. არც იმისი თქმა შეიძლება, რომ ავტორი წაოყენებული პრობლემის კარდინალურად ახალს გაშუქებას იძლეოდეს ანდა ახალი, ჯერ უცნობი, მასალით ამკრებდეს არსებულ დასკვნებს ამათუმი საკითხის შესახებ. ამით მე იმას კი არ ვამბობ, რომ ავტორის მიერ გაწეული შრომა ზედმეტია მეცნიერებაში, განსაკუთრებით ქართულში, მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ქართულ-სომხური ფილოლოგიის ისეთ სპეციალისტს, როგორცაა ლ. მელიქსეთ-ბეგი, შეეძლო დაემუშაებია და გაერკვია უფრო ახალი, მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი სომეხ-ქართველთა კულტურული ურთიერთობიდან.

2

„ჩრდილო მხარეთა“ მოძღვრების ვინაობა, ავტორის სიტყვით, იმ მხრივია საინტერესო, რომ მათ შექმნეს გარკვეული ლიტერატურულ-მეცნიერული „სკოლა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ (გვ. 3, 81, 82, 87). მართალია თუ არა ეს, ესე იგი, შეიძლება თუ არა ჩრდილო-მხარეთა ლიტერატურული წრე ჩაითვალოს „ახალ სკოლად“ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. გარკვეული ეპოქისა და ადგილის ლიტერატურული წრე იმდენად შეიძლება „სკოლად“ ჩაითვალოს, რადენადაც მას აქვს თავისი განსხვავებული იდეოლოგია, სპეციფიური მიმართულება, ახალი ინტერესები, საგანგებო წყაროები და დამახასიათებელი ლიტერატურული ფორმა და სტილი. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ჩვენ „ჩრდილო მხარეთა“ ლიტერატურულ წრეს, იმას „სკოლად“ ვერ ჩავთვლით. მართლაც, როგორც თვით ავტორი ამბობს, „ჩრდილო მხარეთა მოძღვართა მოღვაწეობა დაემყარა იმ იდეოლოგიას, რომელმაც მათდამი წარსული საუკუნეებიდან მოაღწია“ (გვ. 69); „წყაროების სარგებლობის მხრივ ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვართა მიერ მერმინდელი თაობისათვის ნაანდერძვე ლიტერატურულ მდიდარ საუწყეს ემჩნევა ერთი და იმავე ძველ ავტორთა ნაწერების წარუხმოცელი იდეოლოგიური კვალი: ერთის მხრივ—კირილე ალექსანდრიელისა, ხოლო მეორე მხრივ—ტიმოთე ელურისა“ (გვ. 260). თვით სომხური ნიადაგზე აღმოცენებულ სამწერლობო ძეგლთაგან, რომლებიც საფუძვლად დადებია ამ მოძღვართა ანტიდიოფიზიტურ იდეოლოგიას, უნდა დავასახელოთ „ეპისტოლეთა წიგნი“ 5—7 საუკუნეებისა, „სარწმუნოების ბეჭედი“ 618—628 წლებისა და „კანონთა კრებული“ 8—10 საუკუნეებისა (გვ. 71—74). კერძოდ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ დაწერილი ტრაქტატები ჩრდილო მხარეთა მოძღვრებისა (ანანია სანაინელი, მხითარ გოში) არაფერს ახალს არ შეიცავენ, მათ საფუძვლად უდევს ისტორია უხტანესისა, მოსე უტიელი-სა და ტრაქტატი მამუტოცისა, რომელთაც ისინი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ (გვ. 78). ერთი სიტყვით, — ძველი თემები, ძველი იდეოლოგია,



ძველი სქოლასტიკური სული (გვ. 257), ძველი პოლემიკური ფორმა და ძველი ლიტერატურული ტრადიციები, აი დამახასიათებელი ხაზები ჩრდილო მხარეთა მოძღვრების ლიტერატურული შემოქმედებისა, რომელიც მექანიკური გავრცელება ძველი, წინაპართაგან ნანადერძევი, შაბლონებისა. ამიტომ ეს წრე „შკოლა“ კი არაა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ისიც ახლად „შექმნილი“ და „ჩამოყალიბებული“, არამედ სამონასტრო სწავლა-განათლების და მწიგნობრობის ერთ-ერთი ცენტრი მხოლოდ. ეს მით უფრო, თუ ახმატსა და სანაინს, როგორც ავტორი ამბობს, სომხურს სინამდვილეში მართლაც ისეთივე ადგილი ეჭირათ, როგორც, მაგალითად, შიომღვიმისა. დავით გარეჯისა ანუ საფარის ლავრებს საქართველოში (გვ. 43). შიომღვიმე და დავით გარეჯა (საფარაზე არას ვამბობთ) საკმაოდ მსხვილი მწიგნობრული ცენტრებია საქართველოში, მაგრამ ლიტერატურულ „შკოლად“ ისინი არასდროს არ ყოფილან.

3

დისერტაციას მიზნად აქვს დასახული გაარკვევის ვინაობა სომეხთა იმ მოძღვრებისა, რომელნიც მოღვაწეობდნენ „ჩრდილო მხარეებში“, როგორც გარკვეულს გეოგრაფიულ ერთეულში. ავტორი ამ მოძღვრათა რიგს იწყებს გრიგოლ მაგისტროსით, რომელიც, მისი სიტყვით, სანაინში აღზრდილად ჩანს და რომელსაც ის ამიტომ სთვლის თუ დამაარსებლად არა ახმატ-სანაინის სკოლისა, აღმორძინებლად და სულის ჩამდგმელად მაინც (გვ. 96); და ეს მას შემდეგ, რაც წინა გვერდებზე მან კატეგორიულად განაცხადა, რომ გრიგოლ მაგისტროსის აკადემიის არსებობა სანაინში ზღაპარია, რომ გრიგოლის ბიოგრაფიიდან, რომელიც პირველწყაროებზე დამყარებით კ. კოსტანიანცის მიერაა შედგენილი, არ ჩანს ამ პირის სანაინში მოღვაწეობა, პირიქით — მისი ეპისტოლიდან მტკიცდება, რომ ის არ ეკუთვნოდა სანაინის ძმობას (გვ. 94—95). თუ გრიგოლ მაგისტროსის დაკავშირება კიდევ შეიძლება აღნიშნულ მხარეთა მოღვაწეობთან იმიტომ, რომ ის მიწერმოწერას აწარმოებდა სანაინის „სკოლის“ წარმომადგენლებთან. რითი უნდა გავამართლოთ პავლე ტარონელის შესახებ ლაპარაკი დისერტაციაში, როდესაც პავლე, როგორც ავტორიც ამბობს, „არ ეკუთვნის ე. წ. „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვართა“ გუნდს, კერძოდ ახმატ-სანაინის სამეცნიერო-სალიტერატურო წრეს და არც რაიმე კავშირი ჰქონდა ამ წრესთან“ (გვ. 160)? იმიტო, ამბობს ის, რომ პავლე მთელი თავისი არსებობითა და მოქმედებით არანაკლები სიმტკიცითა და მხნეობით ემსახურებოდა ანტიქალკედონისტური მსოფლმხედველობის დაცვის იდეას, ვიდრე „ჩრდილო მხარეთა“ სახელგანთქმულნი მოძღვარნი“ (აქვე), მაშასადამე, გეოგრაფიული პრინციპი, რომელზედაც ავტორი ამყარებს ჩრდილო მხარეთა მოძღვრების ვინაობის მიმოხილვას, შეცვლილია კონფესიონალურ-დოქტრინით. მაგრამ პრინციპის ამნაირად მობრუნებისას რატომ მართო პავლე ტარონელზე უნდა შეჩერებულყოფიყოს ის, განა, პავლეს გარდა, ცოტა იყვნენ ისეთები, რომელნიც მედგრად და მტკიცედ იცავდნენ ანტიქალკედონისტურ მოძღვრებას. ეს ერთი, მეორე: თუ სახელმძღვანელო პრინციპად მას სურს აიღოს ანტიქალკედონისტური ან ანტიდიოფიზიტური მსოფლმხედველობა თავისი მოძღვრებისა, რა საბუთით სთვლის ის „ჩრდილო მხარეთა“, კერძოდ ახმატ-სანაინის სკოლის წარმომადგენლად იაკობ ქარანელს, რომელიც იმდენად ეწინააღმდეგებოდა მონოფიზიტურ იდეოლოგიას, რომ კონსტანტინოპოლის კრებაზე დიოფიზიტთა ბანაკს მიემხრო და მის მიერ დაწერილი „სარწმუნოების წიგნი“ წმ. სოფიოს დაიდო (გვ. 98—99)?

ეს თხზულების მეთოდოლოგიური მხარის შესახებ: რაც შეეხება შინა-არსს თხზულებისას, მისი მიზანია გავიყვიოს 1) ვინაობა ჩრდილო მხარეთა მოძღვრებისა, 2) სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. ენახოთ, როგორ ასრულებს ავტორი ან ერთს, ან მეორე დაპირებას. ავტორი, რომელსაც სურს მოგვეცეს ერთგვარი ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა (გვ. 9), თითქოს გვერდს უვლის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. „ჩვენი მონოგრაფიის მიზანია“, ამბობს ის, „მოძღვართა ვინაობის გარკვევა, ხოლო მათი ლიტერატურული შემოქმედებისა იძენდა, რამდენადაც ამ შემოქმედების დახასიათებით ჩვენ საშუალება გვეძლევა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ და ამოვწეროთ ძირითადი საკითხი და აგრეთვე აღვნიშნოთ მათი დამსახურებანი სომხური მწერლობის ასპარეზზე“ (გვ. 80). მე ვფიქრობ, რომ ვინც სპეციალურად იხილავს საკითხს „ლიტერატურული სკოლის“ წარმომადგენელთა და მათი ვინაობის შესახებ, მას ნება არ აქვს დაკმაყოფილდეს მათი „სალიტერატურო მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვით“ (გვ. 9), „ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდაში“. ის ვალდებულია მოგვეცეს არა მარტო სია შრომებისა, არამედ აგრეთვე ანალიზი მათი მეთოდის, წყაროების, წარმოშობის და მნიშვნელობის მხრივ. ავტორი კი უმეტეს შემთხვევაში იძლევა მხოლოდ მშრალს, კატალოგისებურ ნუსხას ამათუიმ მოძღვრის შრომებისას და, წარმოიდგინეთ, ისიც კი არაა გარკვეული, თუ რას წარმოადგენს შინაარსის მხრივ, — ისაგოგისას, პატროლოგიას თუ კატენებს, — მავალითისათვის, ისეთი „უნიკალური ნაწარმოები“ სომხური მწერლობისა, როგორიცაა „მიზეზთა წიგნი“ გრიგოლ აბასის ძისა. აქედან ძნელია გავება ამ წიგნის სათაურისაც: „მიზეზი წმიდა მამათა და მოძღვართა მიერ შეთხზულ... წიგნებისა, რომელნიც შეკრებილი იქმნენ... გრიგოლ აბასის ძის ზრუნვით“ (გვ. 201), რაში მდგომარეობს გრიგოლის როლი: მან შეკრიბა მხოლოდ წმ. მამათა და მოძღვართა წიგნები, თუ ამავე დროს გამოიკვლია კიდევაც მათი მიზეზი, სახელობრ რა მიზეზი?! გაუგებარი რჩება აგრეთვე, რატომ მიეწერება იოანე სარკავას „განრიგება წმიდა წიგნებისა“, როდესაც ამ თხზულების სათაურში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს თხზულება „დაეწერე მე, მამა მხითარ მოძღვარმა-ისტორიკოსმა ერთ ტომად 170 დღეს“, სარკავამა კი მხოლოდ „შეამაწმა“ ის წიგნები, რომელთა განრიგება მოცემულია ამ თხზულებაშით (გვ. 143)? ვერ არის საკმარისად გარკვეული ვერც ვინაობა ამათუიმ მოძღვრისა, რამდენადაც ეს ვინაობა მის ბიოგრაფიაში გამოიხატება. თხზულების ბოლოს ავტორი ამბობს: „ჩვენ გამორკვეული გვაქვს, რომ 1123—1125 წლის პაექრობაში სომეხთაგან აუცილებლივ მონაწილეობა უნდა მიეღო იოანე სარკავას, ხოლო 1197—1205 წლისაში მხითარ გოშს“ (გვ. 250). ეს დებულება მას მიაჩნია ერთერთ მთავარ მიხწევად თავისი სამეცნიერო გამოკვლევისა. უფრო საფუძვლიანად იქცევა ჩვენი მკვლევარი, როდესაც, მავალითად, მხითარ გოშის ბიოგრაფიის მიმოხილვისას, ჰიპოთეზის სახით ამბობს: „ამიტომ საფიქრებელია, რომ 1197—1205 წლებ შორის ტფილისში მოწყობილი სომეხ-ქართველთა პაექრობა მხითარის უახლესი მონაწილეობით მომხდარიყოს“ (გვ. 221). საფიქრებელი და შესაძლებელი კი

1 ამ თხზულების დასათარიღებლად ასახელებენ, სხვათა შორის, სომხურ ვერსიას დონსე არეოპაგელის ცხოვრებისას, რომელიც გადმორგმწულია ბერძნულიდან იოანე ექიმის მიერ (გვ. 198). ამ საკითხს გადასინჯვა სჭირია, რამდენადაც უკანასკნელად ტერმინი „ეკლოკან“ ითარგმნება როგორც „ქართული“ (იხ. P. Peeters, *Analecta Bollandiana*, t. 31, p. 1—10).



არის ეს, მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს „აუცილებელი“ ასე იყო, ძნელია. ყოველ შემთხვევაში იოანე სარკავაგის შესახებ ექვს ბაღებს „ქართლის ცხოვრების“ სომხური ვერსიის ბოლო ნაწილის (გვ. 134) კონტექსტი. აქ ჯერ მოთხრობილია მოკლედ, რომ დავით აღმაშენებლის დროს მოხდა კრება, რომელსაც დაესწრენ „სომეხთა ეპისკოპოზნი და მოძღვარნი“. ამ მოთხრობას უშუალოდ მისდევს: „ხოლო მას (დავითს) უყვარდა სომეხთა ნათესავი და ეკლესიები და ვინმე რიტორი, მოძღვარი ახპატს, სახელით სარკავაგ“. თუ იოანე მთავარი მოქმედი პირი იყო ამ კრებაზე, ის მოხსენებული იქნებოდა თვით კრების შესახებ მოთხრობაში და მთარგმნელი არ იტყოდა, რომ დავითს უყვარდა „ვინმე სარკავაგო“, არც ისაა ნათქვამი „ქართლის ცხოვრების“ სომხურ ვერსიაში, როგორც ავტორი გვარწმუნებს, რომ იოანე სარკავაგი ამ პაექრობის დროს საქმაოდ მოხუცებული ყოფილა (გვ. 130).

5

ავტორის განცხადებით, მისი დისერტაცია „არ შეიძლება მოკლებულ იყოს სპეციალურ ინტერესებს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხის თვალსაზრისითაც“ (გვ. 3). ამიტომ მისთვის შესაფერი სახელიც მიუცია მას: „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით“. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა მე-11—13 საუკუნეებში, თუ ამ თხზულებას დაუჭერებთ, ამოიწურება საეკლესიო-სარწმუნოებრივი ინტერესებით მხოლოდ: ქართველები იდეოლოგიურად თავს ესხმიან სომეხებს და ითრევენ მათ კონფენსიონალურ ფისპეტებსა და სიტყვის-გებაში, სომეხები კი იძულებული ხდებიან თავდაცვაზე გადავიდნენ და ამ მიზნით ანტიქალკედონისტური ტრაქტატები სწერონ. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი დაუძაყოფილებელი რჩება: ნუთუ მე-11—13 საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის, შეიძლება ითქვას, ოქროს ხანაში, როდესაც მთელი „ჩრდილო მხარეები“ მის ფარგლებში იყო მოქცეული, სომეხ-ქართველთა ურთიერთობა, გარდა სარწმუნოებრივი შუღლისა და პაექრობისა, სხვა გამოხატულებას ვერ პოულობდა. სხვა რომ არა იყოს რა, თუგინდ იმავე პაექრობათა აღწერილობებიდან ვტყუბილობთ, რომ სომეხთა მოძღვარნი ხშირად მოდიან ხოლმე ტფილისს, თუ სხვაგან საქართველოში, მეფის კარზე; ნუთუ მათი მოსვლის მიზანს ყოველთვის სარწმუნოებრივი პაექრობა შეადგენს და არავითარი სხვა კულტურული ინტერესი მათ არ ამოძრავებს? მგონი, რომ არა.. კულტურულ-ლიტერატურული კავშირი, რასაკვირველია, არა ისეთი, როგორც იყო უძველეს დროს და, თუგინდ, მე-18 საუკუნეში, ეხლაც, ე-11—13 საუკუნეებშიც, არსებობს სომეხებსა და ქართველებს შორის. ამისი მაჩვენებელია, სხვა რომ არა ვთქვათ, შემდეგი ფაქტები: გრიგოლ ბაკურიანი პეტრიწონის მონასტრის წესდებს, სხვათა შორის, სომხურადაც სწერს; ამისში, როგორც ეპიფანე კათალიკოსის წარწერიდანა ჩანს, საქმაოდ დიდი ქართული კოლონია, რომელსაც, უეჭველია, რაღაც ინტერესები აერთებს სომეხებთან; სომხურად ითარგმნება ამ ხანაში უძველესი ქართული მატანე, მართალია, ყველაფერი ეს ხდება „ჩრდილო-მხარეთა ფარგლების გარეშე, მაგრამ ნუთუ მათ ფარგლებში მყოფ სომეხებზე ეს მოვლენა არავითარ გავლენას არ ახდენდა. მგონია, რომ ახდენდა: მაგალითად, იოანე სარკავაგთან მეცნიერულ ურთიერთობაშია ერთერთი ქართველი ეპისკოპოზი და ამ ურთიერთობის შედეგია სარკავაგის თხზულება: „შეკითხვა ქართველთა ეპისკოპოზისა სომეხთა მოძღვრის სარკავაგისადმი, თუ როგორ არის თქმული ფსალმუნის ქება ყოველ ერთა შორის“ (გვ. 137). საჭირო იყო, ავტორს, რო-





მელიც თავის გამოცვლევას სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საქართველოში უკავშირებს, ასეთი ურთიერთობაც აღენიშნა და მისი დამადასტურებელი ფაქტები მოეძებნა, თორემ როგორ დავიჯეროთ, რომ საქართველო ბაგრატ მეოთხის დროსა, როდესაც სომხურ-ქართულ დინასტიათა ნათესაური პავსორიც კი არსებობს, საქართველო დავით აღმაშენებლისა, რომელიც, მათე ურპაველის მოწმობით, აღმოჩნდა იმდენად მოყვარე სომეხთა ნათესავისა, რომ ყოველი ნათესავი სომეხთა მის დროს დიდს მზიარულებასა და აღტაცებაში იყო, რომელიც სომეხებისათვის აშენებდა არა მარტო ქალაქს, არამედ ეკლესია-მონასტრებსაც და მატერიალურად უზრუნველყოფდა მათ (გვ. 133—136); საქართველო თამარ მეფისა, რომლის დიდებას ჰქმნიდენ, სხვათა შორის, ზაქარია და ივანე მხარგრძელები,— ასეთი საქართველო სხვა ენას ვერ პოულობს სომეხებთან ურთიერთობაში, თუ არა სარწმუნოებრივი განქიქებისა და ინსინუაციებისა? დამაფიქრებელი და გასარკვევია ის გარემოება, რომ სწორედ ამ მეფეების დროს, რომლებიც იჩენდენ სომეხებისადმი უსაზღვრო შემწყნარებლობას, კერძოდ სარწმუნოებრივსაც, და რომელნიც ასე იაზლოვებდენ მათ საუკეთესო წარმომადგენელთ, ადგილი აქვს ანტი-სომხურ პაექრობასა და შუღლს, რომელმაც ვულგარული გამოხატულება თამარ მეფის დროს პოვა. ჰქონდა თუ არა ამ შუღლს ფესვები ქართულს სინამდვილეში, თუ ის შედეგი იყო სხვა გავლენათა და უცხო მიმართულებათა იმდროინდელს საქართველოში? ავტორი რომ ამ საკითხს ჩაფიქრებოდა, იქნება სულ სხვანაირი ახსნა-განმარტება მიეცა თავისი დისერტაციის ერთერთი დებულებისათვის, რომელიც ამბობს:

6

„თავისთავად ცხადია, რომ სომეხების ქართველებთან და ქართველების სომეხებთან ეკლესიურ-პოლიტიკურ სიახლოვეს და მეზობლობას ხელი უნდა შეეწყოს სომეხთა შორის ანტიდიოფიზიტური ან ანტიქალკედონისტური მწერლობის შექმნა-განვითარებისათვის“ (გვ. 83). ჩრდილო მხარეთა სომეხ მოძღვართა მთელს შემოქმედებას იდეოლოგიური თვალსაზრისით, განაგრძობს ის, ახასიათებს სამი მთავარი თხზულება ქალკედონისტთა ან დიოფიზიტთა წინააღმდეგ: ერთი — ანანია სანაინელისა მე-11 საუკუნის ნახევარში, მეორე — იოანე სარკავაგისა მე-12 საუკუნის პირველს მეოთხედში, და მესამე — მხითარ გოშისა მე-12 ს. დამლევს ან მე-13 საუკ. დამლევს, და პირდაპირ გასაოცარია, რომ ამ თარიღებს საუცხოვოდ უდგება ქართული წყაროებიდან კარგად ცნობილი სომეხ-ქართველთა სამივე პაექრობა მე-11—13 საუკუნეებში. პირველი — ტრტილას 1046 წელს, მეორე — ტფილისის 1123—1125 წ. დავით აღმაშენებლის დროს, მესამე — ტფილისსავე 1197—1205 წ. თამარის დროს... მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ მე-11—13 საუკუნეთა განმავლობაში სომხური მწერლობის ასპარეზზე რაც კი გამოსვლა ხდებოდა ქალკედონისტთა ან დიოფიზიტთა წინააღმდეგ, ყველა ასეთი გამოსვლა გამოწვეული იყო იმ ატმოსფერით, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში, და ამნაირად ჩვენ ხსენებული სამი ტრაქტატის დაწერის დროის გამორკვევაც შეგვიძლია, დაასკვნის ის. ანანია სანაინელისა 1046 წლის შემდეგ, იოანე სარკავაგისა—1123—1125 წლების ახლო, ხოლო მხითარ გოშისა 1197—1205 წლებში (გვ. 258—259).

მე ვფიქრობ, რომ სომხური ანტიქალკედონისტური ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების ახსნა ქართველებთან სიახლოვე-მეზობლობისა და მათთან სპორადიული პაექრობის ნიადაგზე მეტად ზერელე და უპერსპექტივოა. თუ ქართველები მართლა თავს ესხმიან ამ პერიოდში სომეხებს და



მათთან დოღმატიკურ დისპუტს აწარმოებენ, ეს მარტო საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერებით, როგორც ავტორი ამბობს (გვ. 259), და მასთან ახლოვით კი არ აიხსნება, არამედ სომეხთადმი იმ განწყობილებით, რომელმაც მე-10—13 საუკუნეებში თავი იჩინა ბიზანტიის იმპერიაში და რომელიც იქიდან საქართველოშიც გადმოვიდა.

ბიზანტიის ოფიციალურ ხელისუფლებას, საეროსა და სასულიეროს, მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული მეათემდე, არაერთხელ გაუმართავს მოლაპარაკება სომეხთან მათი ეკლესიურად შეერთების მიზნით (მაგრიკი კესარი 597 წ., ირაკლი კესარი 622 წელს, გერმანე პატრიარქი მე-8 საუკ., ფოტი პატრიარქი 862 წ., ნიკიტა ბიზანტიელი, თომა იერუსალიმელი, არეთა კესარიელი, ნიკოლოზ მისტეოსი). მაგრამ ეს მოლაპარაკება ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა; ეს გარემოება ბიზანტიელებს დიდად აღელვებდა და მწარე გრძნობებს აღვივებდა მათში, მაგრამ საერთო მტერი, როგორც იყო ბაღდადის ხალიფატი, შეუძლებლად ხდიდა ამ გრძნობების ცონკრეტულ ფორმებში გამოხატვას. მეათე საუკუნის ნახევრიდან კი, როდესაც სარკინოზები იმდენად დასუსტდნენ, რომ ისინი არავისათვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდნენ, სომეხ-ბიზანტიელთა უკმაყოფილებამ მწვავედ წამოყო თავი; მას აპლიერებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბიზანტიის იმპერატორები დროგამოშვებით თავს ეხსმოდნენ ხოლმე სომეხებს მათი დამორჩილების მიზნით (იმპერ. რომანოზ ლესკაპენი, ბასილი მე-2 ბულღაროკტონი, კონსტანტინე) და ბოლოსდაბოლოს მართლაც თავის ვასალებად გახადეს ისინი. ამის შედეგი იყო ის, რომ სომეხები და ბიზანტიელები განიმსქველენ ურთიერთისადმი უსახვგრო ეროვნული ზიზღითა და სიმძულვარით, რის გამომხატველია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ, თანახმად მათე ურჰაელის მოწმობისა, ბიზანტიელები მათს ეკლესიაში გადმოსულ სომეხებს იღებდნენ, როგორც წარმართებს. ნათლისღებით, ისე, როგორც ამას სჩადიოდნენ თვით სომეხებიც ქალკედონისტებში მიმართ მეათე საუკუნიდან (Всеобщая история Степаноса Таронского, стр. 163—4) ამ ზიზღისა და მძულვარების ნიადაგზე ბიზანტიაში ითხზება უამრავი პამფლეტი სომეხებისა და მათი რჯულის შესახებ, აგრეთვე ისეთი პოლემიკური თხზულებები, როგორცაა: „სომეხთა ბილწი რჯულისათვის“ ნიკონისა (988), „სიტყუანი განმაქიებელნი მემობრისა მის წვალებისა სომეხთათჳსა“ ნიკიტა სტოტატისა (1030 წ.), *Ποιως στυλιθευσεικως καιζα Αρμενιουσ* იოანე ნიკიელისა (მე-11 ს.), რომელსაც მიაწერენ მეთორმეტე საუკუნის სომეხთა არარსებულ კათოლიკოზს საპაკს, *Πνευπιλζ ονουμαικη* ექვთიმე ზილაბენისა (1081—1118), ორი *Διαλεξις* თეორიანესი (1170—1172) და *Θησαυρυς ορθωμοιζαζ* ნიკიტა ხონიატისა (11—13 საუკ.). ამავე დროს იმართება სომეხებსა და ბიზანტიელებს შორის დოღმატიკურ-რიტუალური ხასიათის ცხარე დისპუტები, როგორც, მაგალითად, იაკობ ქარაბნელი-სანაინელისა (გვ. 98—99), ჰორომთა სიბრძნისმოყვარეთა წინააღმდეგ „კონსტანტინე დუკის დროს (1159—1168), პავლე ტარონელისა (1123) „წინააღმდეგ თეოფისტო ფილოსოფოსისა ბერძნისა“ (გვ. 160—161) კათოლიკოზის ნერხსე მიმადლებულის (და არა „მადლიერის“, როგორც სთარგმნის ავტორი. გვ. 1191) წინააღმდეგ ფილოსოფოსთა ვიპატოსის თეორიანესა (1170 და 1172 წ.). იმართება აგრეთვე მოლაპარაკება ეკლესიათა შეერთების შესახებ, რომლის დროს ბერძნები მოითხოვენ სომეხებისაგან ქალკედონის კრების და ორი ბუნებისა და ორი მოქმედების ცნობას; ასეთს მოლაპარაკებას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, 1060, 1080 და 1179 წლებში, თავის თავად ცხადია, ეს პამფლეტები, ტრაქტატები, დისპუტები და უნიონალური ხასიათის მოლაპარაკებანი საქართველოშიც კპოულობდა გამოძახილს. თბრობა, მაგალითად,



„ალაჯორის“ შესახებ ანარეკლია ბიზანტიაში შეთხზული პამფლეტი (И. Меликсет-Беков, Грузинский извод оказания о поете „Араджавор“, Вест. У, 2, стр. 73—111, კ. კეკელიძე, პროვოკაცია თუ სიბეცე, გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. № 124), დადგენილება რუის-ურბნისის კრებისა „ესრეთ განვაწესეთ (სომეხთათვის), რათა სრულიად ნათელსცემდნ (მათ), ვითარცა წარმართთა“, განმეორება ბიზანტიელთა პრაქტიკისა, როგორც ამას თვით კრება ამბობს: „ვიწინადან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვპოვებთ ნოქმედად ამისა, ვითარ იგი არს საპატრიარქო საყდარი ანტიოქიისა“ (საქართვ. სამოთხე, გვ. 526). ქართული ანტისომხური პოლემიკური ლიტერატურა მე-11—12 საუკ. წარმოადგენს ბერძნულიდან გადმოქართულებას. თომა იერუსალიმელის, თეოდორე აბუკურას, ნიკიტა სტითათის, იოანე ნიკიელის, ფსევდომაქსიმეს და სხვათა თხზულებებისას (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია 1, 540). პაექრობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1046 წელს, აგრეთვე დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს, უბრალო გამოძახილია ბიზანტიაში მობობოქრე ანტისომხური მოძრაობისა, რომელიც უფრო ნაკლებს მასალას ვერ მისცემდა ჩრდილო მხარეთა მოძღვრების ლიტერატურულ შემოქმედებას, ვიდრე საქართველომდე მოხწეული გამოძახილი მისი, თვინდ ამ სამი პაექრობის სახით. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ძალიან ძნელია, ერთის მხრივ, თქმა იმისა, რომ 11—13 საუკუნეთა განმავლობაში რაც კი გამოსვლა ხდებოდა სომხური მწერლობის ასპარეზზე ქალკედონისტთა წინააღმდეგ, გამოწვეული იყო იმ ატმოსფეროთ, რომელიც შექმნილი იყო იმდროინდელ საქართველოში (გვ. 258—259), და, მეორეს მხრივ, „უშუალოდ“ (გვ. 105) დაკავშირება ანანია სანაინელის, იოანე სარკავაგის და მხითარ გოშის ანტიდიოფიზიტური ტრაქტატებისა დასახელებულ სამ პაექრობასთან საქართველოში, მით უმეტეს, რომ ანანია სანაინელის თხზულება, როგორც თვით მკვლევარი აღნიშნავს უნებლიეთ (გვ. 105), „ხვდება სწორედ იმ ხანას, როდესაც ადგილი ჰქონდა კონსტანტინოპოლის პაექრობას იაკობ ქარაბენელის მონაწილეობით“; იოანე სარკავაგის ანტიქალკედონისტური ტრაქტატი, რომელშიაც ქართველთა შესახებ არაფერი ყოფილა ნათქვამი (გვ. 158), კარგად უდგება პავლე ტარონელის თეოდისტო ბერძენთან დისპუტის დროსაც, ხოლო მხითარ გოშის თხზულება გამოწვეული ყოფილა, როგორც ის თვითონ ამბობს, არა თამარის დროს მომხდარი პაექრობით, არამედ ყველაფერი იმით, რაც ქართლის კათოლიკოსს „სომეხთა შესახებ დაუწერი ა“ და რაც მას „პირობთა, ესე იგი ბერძენთაგან, ჰქონია მოსმენილი“ (გვ. 242).

ნათქვამთან დაკავშირებით არ შეიძლება მთლიანად გავიზიარო არც შემდეგი დებულება ავტორისა: „იმ დროს, როდესაც წინაპერიოდში, მე-6—7 საუკუნეიდან მოყოლებული მე-10—11 საუკუნემდე, თავდამსხმელნი სომხები იყვნენ, მაშინ ქართველები თავდამცველად ჩანან, მე-12—13 საუკუნეებში კი, პოლიტიკურ-ეკონომიური მიზეზების გამო, მათი როლები იცვლება: ქართველები უკვე თავდამსხმელნი არიან, სომხები კი თავდამცველად გამოდიან“ (გვ. 259, შეად. გვ. 83—84). ძნელია იმისი თქმა, რომ მე-11 საუკუნემდე, ფაქტობრივად თუ ლიტერატურული პოლემიკის დროს, აქტიურ როლში გამოდიან სომხები, როგორც თავდამსხმელნი, ქართველები კი პასიურში, რამდენადაც ისინი მხოლოდ თავს იცავდნენ, ხოლო მე-11 საუკუნიდან, პირიქით, ქართველები აქტიურს როლს თამაშობენ, როგორც თავდამსხმელნი, სომხები კი პასიურს, როგორც თავდამცველნი, მართლაც, მეექვსე-მეთერთმეტე საუ-



კუნეთა მანძილზე ჩვენ გვაქვს ლიტერატურული ფაქტები, რომელნიც გვიჩვენებენ რომ ქართველები მართო პასიურ როლს არ თამაშობენ, არამედ თავდამსხმელებადაც გამოდიან. მაგალითად, ტრაქტატი კათალიკოზის არსენ დიდისა „განყოფისათვის ქართლისა და სომხიისა“, რომელიც ბრალსა სდებს სომხებს ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომაში, საეკლესიო დამოუკიდებლობის უკანონოდ მოპოებაში და მანასკერტის კრებაზე არაკანონიერ დადგენილებათა მიღებაში, აქტიური, თავდასხმითი ხასიათის, გამოსვლა არაა სომეხთა წინააღმდეგ, შინაარსაც რომ დავანებოთ თავი, იმ მხრივ მიიწე, რომ სომხები, უზტანესის სახით, იძულებულნი შეიქნენ შემდეგში საპასუხო, თავდაცვითი ხასიათის, ტრაქტატი დაეწერათ მის წინააღმდეგ? ვანა თავდასხმა არ არის ის დახასიათება სომხებისა, რომელსაც იძლევა სტეფანე მტბევარი „გობრონის ცხოვრებაში“, როდესაც ამბობს: „მიწა იგი სომხეთისა ამპარტავან და მკვიდრნი მისნი ცუდად მსუბრ, ანგარ, ლად და ცოდვის მოყვარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარულო და ყოვლად უკეთურებოთა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტისი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკლდა“ (საქართვ.—სამოთხე, გვ. 392). თავდასხმა არ არის ის ანტისომხური სტატიები, რომელნიც ექვთიმე ათონელს შეუტანია მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებებში, არა და ის სიტყვები, რომელნიც იმავე ექვთიმეს შეუტანია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებაში „ცხოვრება ბასილი დიდისა“ სომეხთა შესახებ: „ვითარცა არს ნათესავი იგი სომეხთა არა წრფელი, არამედ მზაკუარი და გულარძნილი და ბოროტი, მომსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღუასა შინა და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ; ესრეთ სხუასა იტყვან ივინი და სხუად უც გულსა მარადის და სარწმუნოება მათთანა არა არს, და რადასკრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუენენ: ვინათგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ და ბოროტად აღმსარებელ“ (სიძვ. მუხ. № 1., გვ. 283, № 16, ფ. 86). ესლა ვნახოთ, რა მდგომარეობა იქმნება მე-11 საუკუნიდგან, ნუთუ მართლა მართო ქართველები აწარმოებენ თავდასხმას, სომხები კი პასიურად თავს იცავენ. საკმარისია გადიკითხოთ „სიტყვისგება ბერისა ეფთვიმესი გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღურისა“ (საქართ. სამოთხე, გვ. 615—621), რომ დარწმუნდეთ წინააღმდეგში: მეფის კარზე მოსული სოსთენი ანაზღუელად ესხმის თავს ქართველებს, ასე რომ მათ არ იციან როგორ მოიქციენ და ვის მიმართონ თავდაცვისათვის. „მოვიდა უკუე“, ნათქვამია აქ, სოსთენი, და „იწყო ზუაობით და ამპარტავნობით ქებად სჯულისა თვისისა, ხოლო გმობად და ძაგებად სარწმუნოებისა ჩუენისა“. „უკუეთუ არს ვინმე სამეფუთოსა შინა შენსა“, ეუბნება ის ბაგრატ მეფეს, „მოუწოდე უკუე ყოველთავე სჯულის მეცნიერთა შენთა, რათა ყოველნივე ერთბაშად, ვითარცა ცოცხითა, მოვიგავენ და მაშინ გუწყყოს ძალი სარწმუნოებისა ჩუენისა და უძღურება თქუენი, და კუალად ამასაცა ვითხოვ მეფობისაგან თქუენისა, რათა ბრძანება დასდუა ესრეთ: უკუეთე მე ძლიო სჯულის მეცნიერთა შენთაგან, შიშუელი განმიყვანონ პალატით შენით, ხოლო თუ ივინი იძლიენენ ჩემგან, რათა განძარცვილ შიშუელნი განავლინე პალატით შენით“. ვფიქრობ, ასეთი გამოწვევი კილო და საქციელი თავდაცვა არაა. ესლა თვალი გადავაკლოთ დავით აღმაშენებლის დროს მომხდარ პაექრობას; მემატთანე ამბობს „შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი ყოვლად ბოროტთა სომეხთა, ეპისკოპოსნი და მონასტერთა მათთა წინამძღუარნი მრავალნი, რომელნი აზმნობდეს თავთა თვისთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისასა და მეცნიერებისასა და მოაჯენეს (დავიოს), რათამცა ყოს ბრძანებითა მისითა კრება და ყუეს

მცა სიტყვისგება და გამოძიება სჯულისა; და უკუეთუ იძლიენ (სომეხნი),  
იქმნენ თანაერთგმა სჯულითა და თვისი სჯული შეაჩვენონ, ხოლო მრევლისა  
სძლიონ, ესეოდენ მიემადლოს, რათა არღარა გვხედვიდეთო მწუალებელად,  
არცა შეგუაჩენებდეთ“ (ქართლ. ცხოვრ. მარიამ ღედლოფისა, გვ. 325—  
326). აქაც, როგორც ვხედავთ, ინიციატივა ქართველებს კი არ ეკუთვნის,  
არამედ სომეხებს, ისინი ყოყოჩობენ თავისი სიბრძნით და ცოდნით და იწვე-  
ვენ ქართველებს კრებაზე გარკვეული პირობებით. მაშასადამე, ამ შემთხვე-  
ვაშიაც თავდამსხმელნი სომეხები არიან და არა ქართველები. არც მხითარ  
გოშის თხზულება „ქართველთათვის“ არის მოკლებული ავრესიობას, რამ-  
დენადაც ის ამცირებს ქართველებს იმით, რომ მათ საპატრიარქოთა შორის  
განსაკუთრებული ადგილი არ უკავიათ (გვ. 247), უსაყვედურებს მათ ქალ-  
კედონის კრების მიღებას. აკრიტიკებს მათ „ჩვეულებებს“ და მოითხოვს, რათა  
ქალკედონისტები და არა სომეხები დაადგენ კომპრომისულ გზას, თუ წვრილ-  
მანებში არა, მთავარ განმასხვავებელ პუნქტებში მაინც. განა ავრესიული ხა-  
სიათის არაა „ეკეტური ადგილები“ დავით აღავეის ძის „კრებულისა“, რო-  
მელიც აბრაამ კათოლიკოზის (მე-7 ს.) ენციკლიკის პანგზევა აგებული და სომ-  
ხებს უკრძალავს ქართველებს მიერ დაკლული საქონლის ხორცის ხმარე-  
ბას (გვ. 167—168). ერთი სიტყვით, არ შეიძლება იმისი თქმა, რომ გარკვე-  
ულ ეპოქაში სომეხები ესხმიან იდეოლოგიურად თავს ქართველებს, ხოლო  
გარკვეულში ქართველები სომეხებს; ეპოქის მიუხედავად ისინი, ქართველები  
და სომეხები, მუდამ ესხმიან ერთმანეთს, თუ ამისათვის შესაფერ საბაბს და  
მიზეზს იშოვნიან.

8

შენიშვნას იწვევს აგრეთვე ზოგიერთი კერძო, ეპიზოდური ხასიათის, სა-  
კითხები, მაგრამ მე შევჩერდები მხოლოდ ერთზე, ეს არის საკითხი „ვარდა-  
პეტის“ შესახებ. ავტორი ამბობს, რომ მის შრომაში ტერმინი ვარდაპეტი გა-  
გებულია თავისი ისტორიული მნიშვნელობით, რომელსაც ძველს ქართულს  
მწერლობაში ჩვეულებრივ შეესატყვისება მოძღვარი (გვ. 11—12). ძველს  
სომხურს მწერლობაში, ავტორის სიტყვით, ის აზრი იყო გავრცელებული,  
რომ ეკლესიის ბურჯნი არიან ჯერ მოციქულნი, მერმე წინასწარმეტყველნი,  
ხოლო მესამედ მოძღვარნი (გვ. 11, შენ. 2). ასეთი აზრი არ არის სპეციფი-  
ური სომხური, ის პირველყოფილი ქრისტიანისმის შეხედულებაა, რომელიც  
პირველად მოციქულმა პავლემ გამოთქვა ასე: „რომელნიმე დაადგინნა ღმერთ-  
მან ეკლესიათა: პირველად მოციქულნი, მეორედ წინასწარმეტყველნი, მესა-  
მედ მოძღვარნი“ (I კორ. მე-12, 28). „მოძღვარი“ ეგრედწოდებული ქარი-  
ზმატიული ნიჭი იყო, რომელიც ქრისტიანობას მეოთხე საუკუნეშიაც კი არ  
გადმოყოლია. სომეხთა ეკლესიაში ამ ტერმინით აღინიშნებოდა, ნ. მარტის  
სიტყვები რომ ვიხმართ, *корпорация ученых духовного звания (Тексты  
и разыскания, V, 35)*; ეს იყო განსაკუთრებული, სრულიად ჩამოყალი-  
ბებული კორპორაცია მწიგნობრულ-მეცნიერული ხასიათისა. შესაძლებელია,  
ეს სპეციფიური კორპორაცია საქართველოშიაც არსებობდა თავდაპირველად,  
განსაკუთრებით სომეხ-ქართველთა ეკლესიური ერთობის ხანაში, მაგრამ ეს  
კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის, როდესაც ქართულს ძეგლებში სი-  
ტყვა „მოძღვარი“ გვხვდება, უსათუოდ სომეხური „ვარდაპეტი“ იგულისხმე-  
ბა ზემოაღნიშნული ტექნიკური მნიშვნელობით (გვ. 12, შენ. 1). ყოველ  
შემთხვევაში, ჩემ მიერ გამოცემულს „იერუსალიმის განჩინებაში“ „მოძღვა-  
რი“ რომ სწორედ „святитель“-ის, ესე იგი ეპისკოპოსის. ექვივალენტია და  
არა სომეხური „ვარდაპეტისა“, როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგის გვარწმუ-

ნებს ნ. მარის ავტორიტეტით, ეს თვითონ ტექსტითა დამოწმებული: იქ, სადაც ამათუიმ. ეპისკოპოსის ხსენებაა აღნიშნული, ნაჩვენებია, რომ მის სადიდებელად უნდა შესრულებულ იქნეს იმ ტიპის ღვთისმსახურება, რაც „მოძღუართათვის“ არის დადებული (იხ. მაგალითად, იანვრის 25, 26, 30, თებერვლის 22, 23, მარტის 11 და სხვ.). თავისი აზრის დასამტკიცებლად ავტორს ვერ გამოადგება ვერც ნ. მარის მიერ აღნიშნული მუხლი რუს-ურბნისის კრების ძველის წერისა (Извест. Акад. Наук, 1918, стр. 318, прим. 1), სადაც თითქოს პირდაპირ ნაჩვენებია, რომ „მოძღუარი“ ნიშნავს გარკვეული კვალიფიკაციის მქონე მონაზონს, სწორედ, ისე, როგორც სომეხთა „ვარდაპეტ“. ავტორს რომ ბოლომდე წაეკითხა ეს მუხლი და საფუძვლიანად ჩაფიქრებოდა მას, დაინახავდა, რომ აქ „მოძღუარი“ სრულიადაც არ ნიშნავს სომხურ „ვარდაპეტს“, არამედ „სულიერ მოძღუარს“, ესე იგი—ისეთს პირს, რომელიც მორწმუნეთაგან აღსარებას ღებულობს; რადგანაც ძველად მონასტრებში „მოძღურობას“, ესე იგი—მორწმუნეთაგან აღსარების მიღების უფლებას, ისეთი ბერებიც კი ითვისებდენ, რომელთაც მღვდლობის ხარისხიც კი არ ჰქონიათ, ამიტომ აღნიშნულს მუხლში, იმ სიტყვების შემდეგ, რომლებიც ჩვენს ავტორს მოჰყავს, ნათქვამია: „და პირველად ამას განვსახლვრებთ, რათა უმღუდელთა არა კელმწიფებოდის განმკითხველობად სულისა, არა თუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღვდელი ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკვრისა და განკსნისა კელმწიფებად უხმს ქონებად და ეგრეთთა განკითხვისა სულთაჲ კელყოფად“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 525).

აი ყველა ის, თუ შეიძლება ითქვას, დეფექტები, რომელთა აღნიშვნა მე საჭიროდ მივიჩნე. ამ დეფექტებით მეცნიერული ღირებულება წარმოდგენილი შრომისა არ ირყევა იმდენად, რომ ბოლოსდაბოლოს ის თავის მიზანს ვერ აღწევდეს. პირიქით, აქ თავმოყრილია სხვადასხვა წყაროებში თუ გამოკვლევებში გაბნეული ცნობები, რომელთაგან ზოგი უშუალოდ ხელნაწიდანაა ამოღებული, ზოგი კიდევ შესწორებული და შემოწმებულია ავტორის მიერ. ერთი სიტყვით, დისერტანტმა მოგვცა მთლიანი, დალაგებული, მდიდარი ბიბლიოგრაფიით შემკული მონოგრაფია, რომელშიაც ჩვენს თვალწინ იშლება ეგრეთწოდებული „ჩრდილო მხარეთა“ სომეხ მოძღვრების კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედება მე-11—13 საუკუნეთა მანძილზე. თხზულებაში ნათლად ჩანს გამოცდილი ხელი მეცნიერისა, რომლის კალამს ეკუთვნის არაერთი და ორი სპეციალური შრომა სომეხ-ქართველთა კულტურული ურთიერთობიდან, ამიტომ მე შესაძლებლად მიმაჩნია ეს შრომა გამოტანილი იქნეს აკადემიურ ტრიბუნაზე მისი საჯაროდ დაცვის მიზნით.

პ. რ. ფ. კ. კვიციანიძე

## კ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი გ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

## ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაჩენი

გასული წლის მიწურულს ჩვენმა საზოგადოებრიობამ შესანიშნავი ნობათი მიიღო: გამოვიდა ქართველ ისტორიკოს-ენათმეცნიერთა და აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ შექმნილი ვრცელი კოლექტიური ნაშრომი „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“. კრებულის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორთაგანია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გიორგი შაიქაძე; ოფიციალური რეცენზენტებია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. გრიგოლ გიორგაძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ედიშერ ხოშტარიანი-ბროსე.

ამ ტიპის წიგნის მომზადება-გამოცემის საჭიროებას ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება დიდი ხანია გრძნობდა, რამდენადაც, ფილოლოგიურ დისციპლინებში არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მაღალმეცნიერულ დონეზე დამუშავებისა და თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად, დღემდე არ მოგვეპოვებოდა ჩვენი ეროვნული სახელწოდების, (ეთნიკური ტერმინის) „ქართველი“ მეცნიერულად სარწმუნო ეტიმოლოგია. არადა ეთნონიმ „ქართველის“ შინაარსობრივ-სემანტიკურ „ჩხრეკას“ ჩვენში, სულ ცოტა, 250—300-წლოვანი ისტორია აქვს (ვახუშტი, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკო ჩუბინაშვილი...) აღარაფერს ვამბობთ ჩვენი სახელოვანი მემკვიდრის ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობილი კონცეფციების შესახებ „ქართლის“, აგრეთვე, სხვა ქართული კუთხე-ქალაქების სახელწოდებათა ანთროპონიმული წარმოშობის თაობაზე. მნიშვნელობა არა აქვს იმას, დღეს ვინ რა თვლით აფასებს შუასაუკუნეებისდროინდელი სწავლული მემკვიდრის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისებს; ფაქტი ის გახლავთ, რომ მროველისეული „ეტიმოლოგიები“ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას თუ ინტელექტურ დონეს მთელი შვიდი—რვა საუკუნის მანძილზე ცხოვლად ასაზრდოებდა. ყოველ შემთხვევაში ისინი თანმიმდევრულად არის გატარებული ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია). შევნიშნავთ, რომ ვახუშტის ნაშრომში არაერთი ეტიმოლოგიაა ისეთი, ლეონტი მროველის ნააზრევს სიტყვა-სიტყვით რომ თანხვედება. მროველს დასესხებია ვახუშტი „ქართლის“ განმარტებაშიც: „და ესე ქართლის მოვიდა პირველად ადგილსა მას, რომელსა ეწოდების არმაზი... და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი და ვიდრე აღმართებამდე მუნზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი“<sup>1</sup>. შდრ.: „აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლის და უწოდა სახელი თვისი... ამ ადგილის გამო ეწოდა ამა ქვეყანათა ქართლი“<sup>2</sup>. აქვე საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ, ტრადიციული მემკვი-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 811.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჩანაშვილისა, ტფილისი, 1891, გვ. 91.



დროებისადმი ერთგულების მიუხედავად, ვახუშტი ბატონიშვილი არის პირ-<sup>ერთგულნი</sup>ველი ქართველი სწავლული, რომელმაც „ყოველთა ქართველთა“ ზოგი სა<sup>ბავშვობის</sup>ტომო სახელის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების სახელწოდებათა (ივერია, მესხი, მესხეთი, სამცხე, გურია, თაკვერი, ლეჩხუმი, ოდიში, სვანეთი...) ახსნა-განმარტება საკუთრივ ქართული ენის მონაცემთა გამოყენებით სცადა. ნიშანდობლივია, რომ ვახუშტისეულ ეტიმოლოგიათა ერთი ნაწილი სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი ზოგიერთი ავტორის მიერ უშენიშვნოდ არის გაზიარებული. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია!

ქართული ონომასტიკონის, კერძოდ, ანთროპონიმიკა-ტოპონიმიკის, მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მოპოვებული XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ ნახევარში ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის წამყვანი მეცნიერების მიერ. ამ მხრივ მარტო ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის სპეციალურ ნაშრომთა დასახელებაც იკმარება. მართალია, მეცნიერული კვლევის პირველ ეტაპზე ძირითადი ყურადღება ძველ ბერძნულ-რომაულ, ასურულ-ურარტულ და სხვა უძველეს წყაროებში დადასტურებული ქართველთა უძველესი წინაპრების სატომო სახელწოდებების („კოლხი“ || „კულხა“, „ივერი“ || „იბერი“, „მოსხი“ || „მესხი“ || „მეშეხი“, „მუშქი“, „თაბალ“-„თობალი“) გენეზისის პრობლემებს ეძღვნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სპეციალისტ-მკვლევართა ინტერესის სფეროში ადგილობრივი სატომო სახელებიც (ქართლი, კახი, კუხი, ეგრი, ლაზი, სვანი, იმერი...) ექცეოდა. დაგროვდა დიდძალი ონომასტიკური ნაკვლევი, გამოითქვა არაერთი ანგარიშგასაწევი ვარაუდი, მაგრამ მიღწეული შედეგების გაცნობა ინტერესაღძრული საზოგადოებისათვის თითქმის შეუძლებელი იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მთელი ეს ონომასტიკური ლიტერატურა გაბნეული აღმოჩნდა სხვადასხვა დროს გამოცემულ სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთებსა თუ კრებულებში, რის გამოც მათი მოპოვება უშუალოდ დარგის სპეციალისტების გარდა, თითო-ორთა დაინტერესებულ პირს თუ შეეძლო. საბედნიეროდ, ამ დიდი ნაკულოვანების გამოსწორება თავს იდვა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა. შედეგად ჩვენმა სამეცნიერო-ინტელექტუალმა საზოგადოებრიობამ მიიღო ერთობ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, რომელშიც თითქმის სრულად არის წარმოდგენილი ყველაფერი ის, რაც კი დღემდე გამოქვეყნებულა „ქართველისა“ და „საქართველოს“, აგრეთვე სხვა ადგილობრივი სატომო სახელების აღმნიშვნელი ტერმინების ირგვლივ როგორც ქართულ-კავკასიური, ისე აღმოსავლურ და ზოგიერთ სხვა ინდოევროპულ ენებში. ბუნებრივია, მკითხველი აქ გაეცნობა იმ უახლეს მიღწევებსაც, რომელიც ქართული ონომასტიკის სფეროშია მიღებული ბოლო ათწლეულის მანძილზე (უმდიდრესი და უიშვიათესი ბიბლიოგრაფიითურთ).

სარეცენზიო კრებულში გამოქვეყნებული სტატიების დიდი ნაწილი გამოირჩევა სიახლითა და ორიგინალურობით: გვხვდება გაბედული, ამასთან ერთად, საკმაო არგუმენტებით შეჭერებული თვალსაზრისებიც, თუმცა აქა-იქ მაინც შეინიშნება წერილები, რომელთა ავტორებიც ძირითადად ადრე არსებული ნააზრევის ინტერპრეტირებით იფარგლებიან. მასალის დეტალური გაცნობა მკითხველს უთუოდ დაარწმუნებს იმაში, რომ რაც უფრო არქაულია საანალიზო მასალა, იმდენად უფრო ჭირს მის ლაბირინთებში გზის გაკვლევა და ჭეშმარიტების დადგენა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ძველი წ. ა. XII საუკუნის ასურულ და VIII საუკუნის ურარტულ ლურსმულ წერილობით წყაროებში დადასტურებულ იმ ეთნონიმებს და ტოპონიმებს, რომელთაც ჩვე-



ნი ისტორიკოსები ენობრივ პარალელებს (შესატყვისებს) ქართულ ტიკონში უძებნიდნენ და უძებნიან. ამგვარი ხასიათის კვლევა-ძიება უმრავლეს შემთხვევაში, სამწუხაროდ, ოდენ შესაღარებელ ერთეულთა ბგერობრივი (ფონეტიკური) მსგავსების პრინციპზეა დამყარებული, რაც, ბუნებრივია, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. გენეტურად, აგრეთვე, ქრონოლოგიურად ერთმანეთს ათეული საუკუნეებით დაშორებული ენობრივი ფაქტების კვლევა წარმატებით მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება, როცა სპეციალისტს, როგორც იტყვიან, გასივრცელებული ექნება შესაღარებელ ენათა ისტორიული ფონეტიკის ყოველი ფაქტი, ყოველი შესაძლო მორფოლოგიური თუ შინაარსობრივ-ფუნქციური ცვლა სიტყვისა დროსა და სივრცეში. სწორედ ამგვარ ფაქტთა გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ერთობ არაეფექტურად, წამგებიანდაც კი გამოიყურება ასურულ-ურარტულ ტექსტებში ამოკითხული ზოგი ტოპონიმის შესატყვისად თანამედროვე ქართულ ონომასტიკონში არსებული ერთეულების მისადაგების პრაქტიკა. მეციხოვნეს, ალბათ, გაუძნელდება ირწმუნოს, რომ უძველეს ასურულსა და ურარტულ ძეგლებში დადასტურებულ *შეშეთანა*, *ზაბახა*, *კულაღა*, *ალკანია*... ტოპონიმებს თურმე ქართული *შეშეთი*, *ჯავახეთი*, *წუნდა*, *არაქალი*... შესატყვისება! თანაც უთუოდ ანგარიშგასაწევეია ის ფაქტი, რომ ზემოჩამოთვლილი ქართული ტოპონიმების სარწმუნო ეტიმოლოგიები ჩვენ თვითონ დღემდე არ მოგვეპოვება! რაც შეეხება ლურსმული დამწერლობისდროინდელ *ალკანას* და მის ქართულ პარალელად *არაქალის* გულვებას (*დიდი* და *პატარა არაქალი* სოფლებია ჯავახეთში, ახლანდელ ნინოწმინდის რაიონში), აქაც დიდ დაბრკოლებას ვაწყდებით. საქმე ის გახლავთ, რომ ტოპონიმი *არაქალი* ქართულში ლამის ჩვენ თვალწინ არის გაჩენილი, — მას ვახუშტის „აღწერა“ საერთოდ არ იცნობს! ჩვენი აზრით, *არაქალი*, თურქული *არიკალ* (—*არიკ*) („არხი, სარწყავი რუ“) სიტყვისაგან უნდა წარმოდგებოდეს აზრობრივი გადსახვადებების გზით. დეკტიმოლოგიზაციის შემთხვევები განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ამა თუ იმ ენაში უცხოური, შინაარსობრივად გაუაზრიანებელი, ბუნდოვანი სიტყვა შემოდის. ნათქვამის საილუსტრაციოდ თუნდაც იმავე ჯავახურში არსებული სოფლის სახელი *გელსუნდა* იკმარებდა; მას ხან როგორ აზრიალებენ და ხან როგორ (*მგელს უნდა*, *გულს უნდა*...); არადა, ჩვენი ღრმა რწმენით, იგი თურქული *гѣл сунда*-ს („ტბა წუნდა“, „წუნდის ტბა“) შესიტყვებაა და სხვა არაფერი.

მკითხველისათვის ალბათ ასევე ძნელად დასაჯერებელი აღმოჩნდება ვერსია ურარტული *უიტერუხი*-სა და ქართველურად მიჩნეული ეთნონიმის ბიძირების, აგრეთვე ტოპონიმ *ოდრკეს* იდენტურობის შესახებ (გვ. 19).

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ისტორიოგრაფიისა და ენათმეცნიერების დარგში არაერთი თვალსაჩინო მიღწევის მიუხედავად, სპეციალისტებს დღემდე არა გვაქვს ჩვენი ეროვნული სახელწოდების „ქართველის“ მეცნიერულად სარწმუნო ეტიმოლოგია. ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, ეთნონიმი *ქართველი*, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ქართველთა უმთავრესი ეთნარქის *ქართლოსის* სახელს უკავშირდება. მაგრამ თანამედროვე ისტორიოგრაფია, შეიძლება ითქვას, ერთგვარი უნდობლობით ეკიდება მროველისეულ კონცეფციას საქართველოს კუთხეებისა და მნიშვნელოვანი ქალაქების სახელწოდებების ქართლოსიანთა შთამომავლების სახელების მიხედვით წარმოქმნის თაობაზე. სამაგიეროდ ფართო გავრცელება ჰპოვა თვალსაზრისმა ტოპონიმ *ქართლის* (აქედან — *ქართველის*) მესაქონლეობის დარგის

ტერმინ **ქართა**-საგან მომდინარეობის შესახებ<sup>3</sup>. ეს ვერსია ჩვენში სპეციალურად აღისტთა ერთი ნაწილისათვის ლამის საანბანო ქვეშარტებად არის ქცეული. თუმცა მას მოწინააღმდეგე ბევრი ჰყავს. ეს საწინააღმდეგო აზრი პრინციპულად არის ხაზგასმული საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტის აკად. დავით მუსხელიშვილის ვრცელ (გვ. გვ. 337—377) და მეტად საყურადღებო წერილში „ქართველთა თვისახელწოდების ისტორიისათვის“. წერილის ავტორი ტოპონიმ „ქართლის“ დასავლურ-ქართული ტერმინისაგან „ქართა“ („მოღობილი ადგილი“) წარმომავლობას, როგორც მოსალოდნელი იყო, საეჭვოდ მიიჩნევს, რამდენადაც „ქართა“ სიტყვისაგან წარმომდგარი ეთნონიმი „ქართი“, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, არც ერთ წყაროში დამოწმებული არ არის (გვ. 338). აქ ალბათ საჭირო იყო მცირე ისტორიულ-ლინგვისტური ექსკურსი „ქართა“ ტერმინის გურულ და იმერულ, აგრეთვე, მეგრულსა და სვანურში გაჩენის რეალებების ნათელსაყოფად, მაგრამ ავტორი ამ მნიშვნელოვან საკითხს რატომღაც გვერდს უვლის. არადა, ვფიქრობთ, დროა საბოლოოდ გაირკვეს საკითხი— მართლა მონაწილეობს თუ არა ტერმინი **ქართა** (|| **ქალტა** || **ქარტა**) ეთნონიმ „ქართველის“ სახელდებაში, მით უმეტეს, რომ აღნიშნული თვალსაზრისის სასარგებლოდ სპეციალისტთა ერთ ნაწილს საკმაო მოცულობის შრომა აქვს გაწეული (იხ. აქვე; სქოლიო 3). ისიც უთუოდ საგულისხმოა, რომ მოსაზრება: **ქართა**—**ქართლი**—**ქართ-ვ-ელი** აღნიშნული ვარაუდის ერთ-ერთ ავტორს საბოლოოდ გადაჭრილად არ მიაჩნია; იგი არ გამოირცხავს, რომ ასეთი მტკიცება „შეიძლება სადავო იყოს და ეჭვის ქვეშ დადგეს“<sup>4</sup>.

პირადად ჩვენც, ისევე როგორც სპეციალისტ-მკვლევართა უმრავლესობას, სარწმუნოდ არ მიგვაჩნია ტოპონიმ **ქართლის** სამეურნეო დარგის არა-ქართული (ინდოევროპული) **ქართა** (|| **ქალტა**) ტერმინისაგან წარმომავლობის ვერსია.

აქვე გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ აკად. დ. მუსხელიშვილის წერილში წარმოდგენილი ზოგი მოსაზრების ირგვლივ. ვფიქრობთ, სპეციალისტებს უთუოდ გაუძნელდებათ გაზიარება თვალსაზრისისა, რომლის მიხედვითაც ტერმინ **ქართველს** თურმე საერთო არაფერი ჰქონია ტოპონიმ **ქართლ**-თან. და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სახელწოდება **ქართლი** არ შეიცავს ვ თანხმოვანს. ავტორის თქმით ტოპონიმი **ქართლი** საფუძვლად დასდება ეთნონიმ **ქართლ-ელს**-ს (ეს მართლაც სრულიად ნათელია); რაც შეეხება **ქართველს**, იგი წარმომდგარი ყოფილა ეთნო-ტოპონიმისაგან **ქართუ**. ამ შემთხვევაში პრინციპული ღირებულება ენიჭება იმის გარკვევას, ეს საყრდენი (ამოსავალი) ფუძე მთლიანია, დაუშლელია თუ წარმოქმნილი? არადა წარმოქმნის გარეშე ეთნო-ტოპონიმის არსებობა შეუძლებელია. სათანადო ენობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ **ქართუ** ფუძეში ძირია **ქართ-**, უმარცვლო უ კი— დერივატი; ის ვ სონორის ალომორფად (**ქართ-ვ** || **ქართ-უ**-) უნდა ცნოთ. ეს რომ ასეა, ამას ქართველურ ენათა მონაცემებიც ადასტურებს<sup>5</sup>. სტატიის ავტორის მტკიცებით კი **ქართუ** დაუშლელ ძირად მიიჩნევა, რასაც, ვიმეორებთ, ენობრივი დაბრკოლება ახლავს.

<sup>3</sup> სარგ. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1924, გვ. 5—8; გ. მუსხელიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1968, გვ. 237—240.

<sup>4</sup> გ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

<sup>5</sup> შდრ. თბილისის მეგრული სახელწოდება **ქართი**, გვარი **ქორთ-უა**, აუხ. ა-ქვრთ-უა და მისთ.



ჩვენ მხარს ვუჭერთ საისტორიო ტრადიციას ეთნონიმ **ქართველები** (resp. ქართლელის) ტოპონიმ **ქართლი** საგან მომდინარეობის თაობაზე. თხვევითი სრულებითაც არ არის ის ფაქტი, რომ ქართული საისტორიო თუ ლიტერატურული ტრადიციის თანახმად „ქართველი“ ბუნებრივად ასოცირდებოდა „ქართლელ“-თან (შდრ. დავ. გურამიშვილისეული „კახელების აღმახსუნლი ქართველებმა დაღმა ფარცხეს...“). მნიშვნელოვნად გვეჩვენება, აგრეთვე, აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომლის მიხედვითაც სახელწოდება „ქართველი“ ტოპონიმ „ქართლი“-საგან მიღებულად გაიანჯრება<sup>6</sup>.

ასეა თუ ისე, სატომო სახელის „ქართველის“ გენეზისის პრობლემა პრობლემადღე რჩება. იგი თავსატეხ კითხვად დარჩება მანამ, სანამ გარკვეული არ იქნება ვ სონორის ფუნქციური დატვირთულობა ქართ-ვ-ელ ეთნონიმში. ეს ენობრივი სირთულეები სადღეისოდ დაძლეული და მოგვარებული არ არის. მიგვაჩნია, რომ ყოველი მოსაზრება თუ ვარაუდი ეთნონიმ „ქართველის“, აგრეთვე „ქართლელის“ წარმოშობის ირგვლივ იქნება სუბიექტური და ცალმხრივი, სანამ ჩვენ ხელთ არ გვექნება სრული ონომასტიკური მასალა ქართულ-ქართველურ ენათა დონეზე.

მრავალმხრივ საყურადღებოა პროფ. ნანა ხაზარაძის გამოკვლევა „მეხსი ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის“ (გვ. 21—42). წერილში დეტალურადაა წარმოჩენილი საკითხის შესწავლის ისტორია; კრიტიკულად არის დაფასებული ყველა ის თვალსაზრისი, ურთიერთგამომრიცხავი კი, რომელიც ეთნონიმ „მეხსის“ ირგვლივ გამოთქმულა ქართულ და არაქართულ სპეციალურ ლიტერატურაში. მდიდარი ლინგვისტური მასალის ურთიერთ შეჯერებით მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეთნოტერმინი „მეხსი“ გვიანდელი ხანის ტრანსფორმაციაა სახელწოდება „მოსხი“-სა (გვ. 40—41). დასკვნა ენობრივად არგუმენტირებული ჩანს. ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ „მოსხი“ ფუძე ქართულ წერილობით წყაროებში დოკუმენტობრივ დადასტურებული არ არის: „მოსხი“, ისევე, როგორც ზემოთ ნახსენები „ქართუ“, პიპოთეტური, თეორიულად დასაშვები ფორმაა.

გვინდა მკითხველის ყურადღება ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან, საკითხსაც მივაპყროთ. ზემოხსენებულ წერილში პროფ. ნანა ხაზარაძემ, სპეციალური ლიტერატურის მიმოქცევაში პირველმა, აღნიშნა ის ფაქტი, რომ ერთხმად აღიარებული ვარაუდი ეთნონიმ „მეხსი“-საგან ტოპონიმების **მცხეთისა** და **სამცხის** წარმომავლობის თაობაზე ჩვენ მიერ დღეს უკვე სხვაგვარად არის შეფასებული. სპეციალურ გამოკვლევებში<sup>7</sup> ჩვენ ვცადეთ ზემოხსენებული ტოპონიმების წარმოშობის სრულიად განსხვავებული გზა გვეჩვენებინა, ამისთან. გვემტკიცებინა, რომ არც **მცხეთა** და არც, მით უმეტეს, **სამცხე** ეთნონიმ **მეხსი**-თან არ ყოფილა დაკავშირებული. მოსალოდნელი იყო, რომ ეთნონიმ **მეხსის**ადმი მიძღვნილი სპეციალური სტატიის ავტორი ამ სიზხლის შესახებ ან ავს იტყოდა, ან კარგს, მაგრამ იგი მარტოოდენ ფაქტის აღნიშვნით დაკმაყოფილდა. სტატიის დასკვნით ნაწილში ცხადად არის გამოკვეთილი ნანა ხაზარაძის, როგორც სპეციალისტის, პოზიცია: იგი კვლავ ძველი, ტრადიციული შეხედულების მხარდამჭერად რჩება, თუმცა, ვიმეორებთ, ორასწლოვანი ისტორიის მქონე, აქსიომად მიჩნეული ვერსიის წიაღში

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990, გვ. 243,

<sup>7</sup> იხ. ჩვენი „მოსაზრებანი ტოპონიმ მცხეთის წარმოშობის შესახებ“, კრებ.: „საენათმეცნიერო ძიებანი“, თბ., 1983, გვ. 187—196; ტოპონიმ სამცხის ისტორიისათვის. კრებ.: „ეტნოლოგიური ძიებანი“, თბ., 1990, გვ. 3—13.



ენათმეცნიერული კვლევის დონეზე შემუშავებული ახალი, განსხვავებული თვალსაზრისის გაჩენა სპეციალისტის თუნდაც უბრალო განსჯის საგნად უნდა იქცეულიყო. რა გაეწყობა! როგორც ჩანს, მართლაც სისხლსა და ზორცში გვაქვს ქართველობას გამჭდარი ტრადიციისადმი განუსაზღვრელი ერთგულება და ლამის უსიტყვო მორჩილება!

სარეცენზიო კრებულში არაერთი საყურადღებო წერილი არის მიძღვნილი, აგრეთვე, „ყოველთა ქართველთა“ (ეგრი, სვანი, იმერელი, გურული, კახი, თუში, ფშაველი, ხევსური, პერი, გარდაბანელი...) სატომო სახელებთან დაკავშირებული ეთნო-პოლიტიკური პრობლემებისადმი. ამათგან სრულიად ბუნებრივად დიდი ადგილი ეთმობა ეთნონიმ **აფხაზს**, როგორც ლიხსი-ქითურ ქართველთა ზოგადი შინაარსის უძველეს ტერმინს. ამ თვალსაზრისით მკითხველი ბევრ საინტერესოს წაიკითხავს აკად. თ. გ. ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს, პროფ. ე. ო ს ი ძ ი ს, პროფ. ოტ. კ ა ხ ა ძ ი ს და უფროს მეცნიერ თანამშრომლის თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ი ს სპეციალურ გამოკვლევებში. ფასეულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც ეთნონიმი **აფხაზი** (—\*აზაზახა) ქართველ ხალხს ადიღე-ელთაგან (ჩერქეზთაგან) გვექონია ნასესხები (გვ. 562). თ. გამყრელიძის მტკიცებით ეთნონიმი აფხაზი წარმომდგარა „აფსუა“ სახელისაგან. ეს ენობრივი გარდაქმნა ქართულენოვან სამყაროში მომხდარა და სხვა თანამედროვე ენებში აქედან გავრცელებულა (გვ. 590). ეთნონიმ **აფსუას** („აფხაზი“) წარმომავლობის ძალზე საინტერესო, ახლებური ვერსიაა მოცემული თ. გვანცელაძის გამოკვლევაში, თუმცა, როგორც თვითონ ავტორი შენიშნავს, სპეციალისტთა შორის ცნობილი ყოფილა განსხვავებული თვალსაზრისიც.

არაერთ საინტერესო დაკვირვებას შეხვდებოდა მკითხველი პროფ. თ. მიზიუნაძის გამოკვლევაში „**სვანი** და **სვანეთი** ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის“ (გვ. 464—470). ოღონდ, ჩვენი ვარაუდით, მეტი ჩალრმავებისა და არგუმენტირების სურვილს აძძრავს მკვლევრისეული მოსაზრება ეთნონიმ **სვანის** წარმომავლობის თაობაზე. მისი ვარაუდით, ტერმინი **სვანი** (**სოან-**, **შოან-**, **მუშანი**), აგრეთვე **ს ვ ა ნ ე თ ი** (—**შუან-**) წარმომდგარა ერთგვარი ლითონის სახელისაგან **შანარ**, რომელსაც იგი არაქართულ **შანდალ** სიტყვასთან უძებნის რატომღაც საერთოს. ლითონის ეს სახელი სვანურში არ ჩანს; იგი რაჭულ დიალექტში დაუდასტურებია ეთნოგრაფ მიხ. ჩ ა რ თ თ ლ ა ნ ს. ავტორის მოსაზრებით **მუ-შანი** ნიშნავს **მელითონეს** (გვ. 468). საკითხავია: თუ **შანარ** ლითონის სახელია, მაშინ მისგან წარმოებულ სატომო სახელად ხომ **მუ-შანარ** იმე-შანარ უნდა გვექონოდა?

ამას გარდა, უთუოდ გადაჭარბებულად მოჩანს სტატიის ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიული სახელების ახსნა **მხოლოდ სვანურ-ზანური დიალექტების (sic) მეშვეობით ხერხდება** (გვ. 464). ამ განცხადების უმართებულობა საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს.

უღარესად მნიშვნელოვანი და ფასეულია პროფ. თენგიზ ჰაპუაშვილის მიერ ათეული წლების მანძილზე სადავოდ ქცეული პრობლემის— **გარდაბან** — **გარდმანის** ლოკალიზაციისა და თვით სახელწოდების მეცნიერული გადაჭრა. ვრცელი საანალიზო მასალის მოხმობით მკვლევარი ეჭვიმუტანელს ხდის, რომ ქართულ **გარდაბანს** სომხურ **გარდმან-**თან საერთო არაფერი აქვს, გარდა ფონეტიკური მსგავსებისა.

წერილში ვრცლად არის მიმოხილული ის თვალსაზრისები, რომლებიც ქართველ სპეციალისტებს გამოუთქვამთ ტოპონიმ **გარდაბანის** ეტიმოლოგიის თაობაზე. მკვლევართა უმრავლესობა ტოპონიმს ორფუძიან წარმონაქმნად



მოიჩნედა, რომლის პირველ ნაწილს (გარდ-) ეთონიმ ქართ'თან უტყუარად  
საერთოს (ნ. მარი, პ. ინგოროყვა, კ. თუმანოვი). სტატიის ავტორი კრიტიკულ  
ლად აფასებს აღნიშნულ ვარაუდს, ამასთან ერთად, მხარს უჭერს ტრადი-  
ციულ თვალსაზრისს (მროველა, სუმბატ დავითის ძე) **გარდაბანის** ქართველთა  
ერთ-ერთი ეპონიმის **გარდაბოსის** საკუთარი სახელისაგან მომდინარეობის თა-  
ობაზე. წერილის ავტორს ალბათ აქვე უნდა ეჩვენებინა აკად. ა. შანიძის  
განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გამოირიცხება **გარდა-  
ბანის** ანთროპონიმული წარმომავლობა; აკ. შანიძის მტკიცებით **გარდაბანი**  
**გარდა-უბანი-საგან** გვქონია მიღებული, რაც „**გადაღმა-უბანს**“ ნიშნავს.<sup>8</sup>

ჩვენი აზრითაც ტოპონიმი **გარდაბანი** ანთროპონიმული წარმოშობისა არ  
უნდა იყოს, ოღონდ მასში ჩვენ ვერც **უბან-** სიტყვას ვხედავთ. ვვარაუდობთ,  
რომ **გარდაბანი** **გარე დაბანი-საგან** ვეაქვს მიღებული; ნიშნავს: „**გარე დაბა-  
ნი-**“, „**გარე მიწები**“ ანუ ტფილისის გარეთ, ქალაქის სანახებში მდებარე სა-  
ხნავ-სათესის სავარგულები. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ აქვს თუ არა გამართ-  
ლება **გარე-დაბანის** ტერიტორიაზე მსხდომი ხალხის აღმნიშვნელ ტერმინს  
(„**გარდაბანელნი**“) ეთნიკური სახელი ვუწოდოთ? უფრო მართებული ხომ  
არ იქნებოდა, მისთვის წარმომავლობა-სადაურობის სახელი გვეწოდებინა?  
ეთნონიმი, ჩვენი აზრით, უფრო ფართო მნიშვნელობის მომცველი ტერმინია,  
ვიდრე სადაურობის აღმნიშვნელი ერთეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მთი-  
ული, ფხოველი, ქვემო ქართლელი, ლეჩხუმელი...** ეთნონიმებია, **გორელი,  
მცხეთელი, ზუგდიდელი, რკონელი...** კი — ადამიანის სადაურობა — წარმო-  
მავლობის აღმნიშვნელი ტერმინები.

ყველა სტატიის მიმოხილვა სარეცენზიო წერილში შეუძლებელია. დაინ-  
ტერესებული მკითხველი თვითონ, უშუალოდ უნდა გაეცნოს ამ მრავალი  
ღირსებით შემკულ, **უაღრესად საჭირო და მეცნიერული თვალსაზრისით მე-  
ტად ფასიულ** კრებულს.

შეუძლებელია მადლიერების სიტყვა არ ვთქვათ გამომცემლობა „მეცნი-  
ერების“ სტამბის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების მიმართ, რომ-  
ლებმაც უკიდურესი ტექნიკური დეფიციტის პირობებში შეძლეს პოლიგრა-  
ფიულად სრულყოფილი კრებულის გამოცემა და მკითხველი საზოგადოები-  
სათვის დროულად მიწოდება.

გუგუზო ბაქრაძე

<sup>8</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 261.

### ს ა ი ნ ტ ი მ ე მ ს ო ნ ა შ რ ო მ ი \*

მ. ნედოსპასოვას ნაშრომი „ძვირფასი ქვები არაბულ ბიბლიაში“, რომელიც გამოქვეყნდა „მეცნიერებაში“ 1991 წ. დასტამბა, გაგრძელებაა იმ დიდი შრომისა, მეცნიერი ბოლო წლების განმავლობაში რომ ეწევა არაბული ბიბლიის ლექსიკის შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ 1978 წ. გამოქვეყნდა მ. ნედოსპასოვას მეტად საყურადღებო გამოკვლევა: „უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში“, რომლის თანარეცენზენტი მე ვახლდით (იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 2).

ბიბლიის ქართულად თარგმნის მეტად რთულ საკითხებში ჩახედულთათვის გასაგებია მ. ნედოსპასოვას ნაშრომის მნიშვნელობა ქართული ლექსიკოლოგიის შესწავლისათვისაც. თუ ამ ავტორის წინა ნაშრომი არაბულ ოთხთავში ნახეს-ხობათა შესწავლას მიეძღვნა და მასში არაერთი საყურადღებო დასკვნა იქნა გამოტანილი, ამჯერად მეცნიერი იკვლევს ბიბლიის კონკრეტულ ლექსიკას — არაბულ გემოლოგიურ ნომენკლატურას უფრო დიდ მასალაზე — ძველი აღთქმის წიგნებზე. საკითხი მონოგრაფიულად პირველად მის მიერაა დამუშავებული. ავტორს გამოყენებული აქვს არაბული ბიბლიის 1966 წ. ბეირუთში ბიბლიური საზოგადოების მიერ გამოცემული კანონიკური ტექსტი: „ალ-ქითაბ-ულ-კუდდუსუ ვა ქუთუბ-ულ-‘აჰდი-ლ-კადნი ვა-ლ-‘აჰდი-ლ-ჯადნი“. აგრეთვე ძველი აღთქმის მეათე საუკუნეში შესრულებული თარგმანი, რომელიც შევიდა ლონდონში გამოცემულ აფენოვან ბიბლიურ ტექსტებში.

მ. ნედოსპასოვამ უაღრესად შრომატევადი სამუშაო ჩაატარა — მან ძველი აღთქმის არაბულ ტექსტში დადასტურებული ყველა ძვირფასი და ნახევრად-ძვირფასი ქვის სახელწოდება შეუდარა შესაბამის სახელებს ებრაულ ორიგინალსა და მის თარგმანებს: ბერძნულში (სეპტუაგინტა), ლათინურში (ვულგატა), სირიულში, არამეულში, ეთიოპურსა და სომხურში (თავისთავად იგულისხმება ბიბლიის ქართული და რუსული ტექსტები). როგორც ვხედავთ, ასეთი სამუშაო ხელეწიფება მხოლოდ კლასიკურ და ევროპულ ენებში გაწაფულ ჩინებულ სემიტოლოგს.

აქვე მინდა ვთქვა იმ მიზეზის შესახებაც, რომელმაც მ. ნედოსპასოვას ეს მონოგრაფია რუსულ ენაზე დააწერინა. თითქოსდა მიზეზი აშკარაა: ეროვნებით რუსი ავტორი ნაშრომს მშობლიურ ენაზე წერს, რადგან, იფიქრებს კაცი, ქართული ჯეროდ არ იცის. რუსულ სკოლადამთავრებულმა მან უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტში მიიღო და ქართული ისე ჩინებულად შეისწავლა, ბევრ ქართველს რომ შეშურდება. მისი ზემოხსენებული პირველი ნაშრომიც შესანიშნავი ქართულითაა დაწერილი. ამჯერად კი მონოგრაფიის რუსულ ენაზე დაწერა საქმემ მოითხოვა — რუს და ევროპელ ორიენტალისტებს, ჩვეულებრივ, ხელი ვერ მიუწვდებათ ქართულ ენაზე. ამიტომ მათ ნაშრომებში სრულიად უტყულებლყოფილია ქართული მასალის ანალიზი. ასეთ ანალიზს კი სარეცენზიო მონოგრაფიაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. რუსულ ენაზე ანოტაციის დართვა კი, ამ შემთხვევაში, საკითხის სპეციფიკურობის გამო, გაუმართლებელი იქნებოდა.

\* М. Е. Недоспасова. Драгоценные камни в арабской Библии. Тб., 1991.

ავტორი ძველი აღთქმის არაბული ტექსტის შეჭერებით თარგმანებთან შემონახსნებზე ენებზე წარმოადგენს ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვათა სახელების გენეზისს (ამასთან დაკავშირებით მცირე შენიშვნა მაქვს: ნაშრომს სათაურად უნდა ჰქონდეს — „Драгоценные и полудрагоценные камни...“) თუ ისინი არაბულში ნასესხობებია, ავტორი თითქმის ყოველთვის გვიჩვენებს ამ სესხებათა გზებს და მათ წყაროს — თავდაპირველ ენას, წარმოადგენს რა ხშირად თავის ორიგინალურ მოსაზრებას; წარმოაჩენს არაბული ენის როლს ზოგიერთი ტერმინის გავრცელებაში; თვალს მიადევნებს იმას, თუ რა ცვლილება განიცადა სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკურმა მხარემ, თუკი ასეთი ცვლილება მოხდა.

ზოგადი მსჯელობა რომ არ გამოვივიდეს, კონკრეტულ მასალას მოვიშველიებ. მონოგრაფიაში გაანალიზებულია გემოლოგიური ნომენკლატურის შემდეგი ტერმინები:

1. ბაჰთ და მისი დერივატები: ბაჰათ, ბჰჰით, ბუჰთან „სმარაგდონი“, „ზურმუხტი“.

2. ბაჰრამან „წითელი ლალი“, „წითელი იაგუნდი“.

ამ ძირს უკავშირებს და, ჩემის აზრით, მართებულადაც მ. ნედოსპასოვა ძვ. ქართ. ანთროპონიმს ვარამ და > გვარამ || გურამ, აგრეთვე გვარებს: ბარამიძე, ბარამია, გვარამაძე, გვარამია. მაგრამ, ვფიქრობ, მკვლევარს ისიც უნდა აღენიშნა, რომ ეს ქართული ანთროპონიმი და გვარები უშუალოდ უკავშირდებიან ფალაურ საკუთარ სახელს—ბაჰრამ—„ძღვეამოსილი“.

3. ბალლურ „ბროლი“:

„ჩნდება კიბხვა, — წერს მ. ნედოსპასოვა, — რა კავშირშია ზემოაღნიშნული სემიტური ლექსიკური ერთეული (შდრ. სპარს. ბოლურ, ქართ. ბროლი) საერთაშორისო მინერალოგიურ ნომენკლატურაში ფართოდ გავრცელებულ ბერძნ. ბერილლოს-თან?“ (გვ. 17). ამ უკანასკნელის პირველწყაროდ ზოგს მიაჩნია სანსკრ. ვეილურია „კატის თვალი“ (resp. იაგუნდი), ზოგს — აქად. ბურალლუ. ზოგს კი იგი ქალდეურიდან ნასესხები სიტყვა ჰგონია. მ. ნედოსპასოვას აზრით, შესაძლოა, ბერძნულმა და, უფრო გვიან, აქადურმა ეს სიტყვა სანსკრიტიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისესხეს და უკვე ბერძნულიდან (ბერძნებთან კი სემიტ ზალხებს. კერძოდ, ფინიკიელებს, ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ) იგი სხვა მრავალ ნასესხობასთან ერთად შევიდა სემიტურ ენებში. მონოგრაფიის ავტორის აზრით, ბალლურ-სა და ბერილლოს-ს ერთი წარმომავლობა აქვთ. არაბულში თავდაპირველად იგი ნიშნავდა ტექსტურითა და თვისებებით განსხვავებულ ამ ორ მინერალს, შემდეგ კი მხოლოდ „ბროლის“ მნიშვნელობით იხმარებოდა და ასეთად შემოვიდა ქართულში (დადასტურებულია მეცხრე საუკუნის წერილობითს ძეგლში). მარიამ ნედოსპასოვას მართებული აზრით, ამ სიტყვიდან იღებს სათავეს ანთროპონიმები ბროლისა, ნაზიბროლა (ალბათ ძაღლის სახელი ბროლიაც, — თ. მ.) და პატრონიმი ბროლაძე.

ქართულმა ბერილლოს-იც ისესხა მრავალი ვარიანტი: ბერილოსი, ბივრილი, ბივრითა, ბერილიონი, ბივრილიონი (ბიბლიაში), ბივრიონი (ეპიფანე კიპროსელის თარგმანში).

ავტორის დასკვნით, „ერთი სემანტიკური ველის საზღვრებში ასეთი დუბლეტები ფრიად დამახასიათებელია ამა თუ იმ სპეციალური ტერმინოლოგიის, კერძოდ კი, გემოლოგიურის შექმნაში“ (გვ. 19). იქვე მოჰყავს მაგალითები: ზაბარჯად „ქრიზოლითი“ და ზუმურბუდ „ზურმუხტი“; ააშმ „ნეფრიტი“ და ააშპ „იასპი“; ქართ. მარგალიტი და მარჯანი; რუს. ЯХОНТ და ГИАЦИНТ და სხვა მრავალი.

4. ჯაზ' „ონიქსი“.

ბერძნული წარმომავლობის სიტყვა „ონიქსი“ მრავალ ენაში შევიდა ან ნასესხებ სიტყვად (მაგ., ქართ. ონიკიონი) ან კალკირებულად (იგივე ქართ. ფრცხილი. ონიქსი ბერძნულად „ფრჩხილს“ ნიშნავს).

არაბულ ჯაზ'-ს მონოგრაფიის ავტორი უკავშირებს ზმნას ჯაზ'ა „ნაწილე-ბად, ნაჭრებად დაჰყო, მოავლიჯა ნაწილი“ (II თემის პასივი მიმღეობა მუჯაზზა' იხმარება ცხენის მეტაფორად: „ვეფხვივით ზოლებიანი“; ხორცის მახასიათებლად: „ფენა-ფენა ქონიანი“; უმწიფარ ფინიქზე: შავ-თეთრი). „შესაძლოა, — ფრთხილად გამოთქვამს თავის მოსაზრებას მ. ნედოსპასოვა, — ამ ქვას დაურქვა ჯაზ' მისი აშკარად გამოხატული ფენოვანი აგებულების გამო: იგი თითქოსდა დანაწევრებულია პლასტებ-ნაწილებად და სხვადასხვა ფერის პირდაპირ კვეთებად... მიუხედავად ამისა, ალბათ არ ზამს კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ იგი (ჯაზ'.—თ. მ.) ნამდვილი არაბული სიტყვაა“ (გვ. 21—22).

ავტორი აქაც და სხვაგანაც თავის მოსაზრებას ფრთხილად გამოთქვამს. ამის თაობაზე რეცენზიაში მის წინა ნაშრომზე რეცენზენტები შემდეგ ვწერდით: „ავტორს ახსიათებს მეცნიერისთვის საშური თვისებები; განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ საკუთარი და სხვისი მოსაზრებების მკვეთრი გამოჩენა, ორიგინალური შეხედულებების მორიდებული გამოთქმა, კატეგორიული ფრაზებისა და მსჯელობისათვის თავის არიდება“ (გვ. 200).

5. ჯამასთ „ამეთვისტო“.

ამ ტერმინის პარალელური ფორმების (ჯამაშთ, ჯამაზ) არსებობა უკვე დასტურია მისი არაარაბული წარმოშობისა, — წერს მკვლევარი. სხვადასხვა მეცნიერი ჯამასთ-ში სხვადასხვა მინერალს ხედავს, მაგრამ ბევრ ენაში იგი დამკვიდრდა ამეთვისტოს მნიშვნელობით, აშკარად, სეპტუაგინტას გავლენით (ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში: ამეთ ვისტონი, ამეთ ვისტოს).

6. ჯავპარ „ძვირფასი ქვები, სამკაულები“.

არაბულში სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა, სადაც იგი „მარგალიტს“ ნიშნავს. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში დასტურდება ფორმები გუპარ, გუარ, გოპარ, გოარ. ამ სიტყვასთან დაკავშირებით მ. ნედოსპასოვას ერთი უზუსტობა აქვს: 26-ე გვერდის სქოლიოში იგი წერს: „აკად. გ. ვ. წერეთლის სიტყვა-სტატიაში (იგულისხმება გ. წერეთლის არაბულ-ქართული ლექსიკონი. — თ. მ.) მოჰყავს ორი ქართული საკუთარი სახელი ჯავარი და ჯავაირი“. გ. წერეთელი არ მიუთითებს, რომ ეს სახელები საკუთარია. მართლაც, ეს ორი ფორმა, აშკარად არაბულიდან ნასესხები (ჯავაირი არაბულში მრავლობითი რიცხვია: ჯავაჰირ სიტყვიდან ჯავპარ), ქართულში საზოგადო სახელებად შემოვიდა შემდეგი მნიშვნელობებით: პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვლის წყალი, მომხიბვლელობა, ლაზათი, მადნის ძარღვი. ჯავარ ფორმიდან ქართულმა აწარმოვა ჯავარდენი, ჯავარიანი, ჯავარიანობა, ჯავარიანობა.

7. რუხნამ „მარმარილო“.

სიტყვის წარმომავლობა დადგენილი არ არის. მკვლევრის თქმით, რუხნამ არაბულში ნასესხები სიტყვაა, თუნდაც იმიტომ, რომ მარმარილოს ნაგებობები არაბებისათვის უცხო იყო და, საერთოდ, სამშენებლო მასალათა სახელწოდებანი, როგორცაა აჭურრ (ქართ. აკური), კირმზდ (ქართ. კრამიტი), ტაშაშორ (ქართ. თაშაშირი)..., ისევე როგორც მსხვილ ნაგებობათა სახელები: ჰაჰალ, კასრ „სასახლე“, ქანჩათ „ეკლესია“... არაბულმა სხვა ენებიდან ისესხა.

8. ზაბარჯალ „ქრიზოლითი“.

სიტყვა არაბულში დადასტურებულია უკვე ისლამამდელ პოეზიისა და ყურანში. ქართულში ამ ძვირფასი ქვის სახელი შემოვიდა (და გვხვდება ბიზნტიის შესაბამის ადგილებზე) ბერძნული კალკით: ანთრაკი, ოქროქვა (ბერძნ. ჰრიზოლიტოს < ჰრიზოს „ოქრო“ (მინერალი) და ლიტოს („ქვა“).



ზოგი მეცნიერის ვარაუდით ბერძნ. ჰრისოს სემიტური წარმოშობისაა. გან ოქროთი ღარიბ ბერძნებს იგი შემოჰქონდათ აღმოსავლეთიდან, კერძოდ ფინიკიიდან, და, შესაბამისად, ტერმინიც იქიდან შემოიტანეს; სხვები ამ ტერმინს ინდოევროპულ ძირს უკავშირებენ.

რაც შეეხება ტერმინ ზაბარჯად-ის წარმომავლობას, ისიც ვერ გადაწყდება ცალსახად. ფოლერსი მას ბერძნულად მიიჩნევს: ზაბარჯად < სმარაგდოს, ასევე ფიქრობენ ფრენკელი და ნოლდეკე. მაგრამ არამეული ან სპარსული უზით ისესხა ეს სიტყვა არაბულმაო. სპარსულიდან ნასესხობას სხვა მეცნიერებიც ვარაუდობენ.

ჩვენი მკვლევარი საკმაოდ სკრუპულოზური ანალიზის შედეგად ზაბარჯად-ს სემიტურ წარმოშობისად თვლის; არაბულში კი იგი მოხვდა „ნასესხობათა დიდი ხნისა და რთული პროცესების შედეგად“ (გვ. 31).

რაც შეეხება ამ ტერმინის ქართულ ენაში შემოსვლას, იუსტინე აბულაძეს იგი სპარსულ ნასესხობად მიაჩნია (შაჰ-ნამეში: ზობარჯად და ზობარჯი).

#### 9. ზუმურრუდ „ზურმუხტი“.

უკვე ყურანში დადასტურებული ტერმინია, რომელიც წარმოადგენს ეკვივალენტს ებრაულ ბარეკეთ / ბარკათ-ისა და ბერძნული სმარაგდოს-ისა. მ. ნედოსპასოვას იგი მიაჩნია სპარსულ ნასესხობად. თავის მხრივ კი სპარსული ზომორროდ, მზია ანდრონიკაშვილის მართებული მოსაზრებით, ფალაურ, ზუმურუხტ-ს უკავშირდებაო.

ქართულში (ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში) სხვადასხვა დროს გვხვდება ამ ტერმინის სხვადასხვა ფორმა: სამარაგდონო, ზმური, ზურმუხტი.

როგორც ვხედავთ, არაბულში დასტურდება ორი ლექსიკური ერთეული სხვადასხვა მნიშვნელობისა. ორივე ერთი და იმავე სემიტური ძირიდან იღებს სათავეს, მაგრამ სხვადასხვა გზით შემოვიდა არაბულში: 1. ზაბარჯად < არამ. სმარაგდ / ზმარაგდ < ბერძნ. სმარაგდოს სანსკრ. მარაგადა < სემიტ. ბარაკეთ და 2. ზუმურრუდ < სპარს. ზომორროდ < ფალ. ზუმურუხტ (სახეცვლილი სანსკრ. მარაგადა, მარაკათა).

#### 10. ზუჯაჯ „შუშა“.

ეს სიტყვა არამეულიდან (ძირი ზკ, ზქქ, ზიგ) ყოფილა არაბულში შესული. მის არაარაბულობას ჯერ კიდევ ბირუნი აღნიშნავდა: ამაზე პარალელური ფორმების არსებობაც მიუთითებს: ზუჯაჯ, ზიჯაჯ, ზაჯაჯ, ზუჯაჯათ.

ნასესხები ჰქონიათ არაბებს არა მარტო ზუჯაჯ, არამედ შუშის ნაკეთობანიც: კარტრათ „ბოთლი“, ქა'ს „თასი“, იბრჯ „დოქი“, ჭინჯან „ფინჯანი“ (მდრ. ქართ.).

არ გვეჩვენება სარწმუნოდ ქუზ-ის „კოკა“ დაკავშირება ქართ. კოვზთან; აგრეთვე ქუზ-ისა „ფილა“ ქართულ ქვაბთან. კურჭლის მნიშვნელობა ქართულში ამ სიტყვამ ზომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მიიღო; ადრე კი ნიშნავდა „გამოქვაბულს“, „საფარს“ და ა. შ.

#### 11. 'აკჯ „ქალცედონი“, „აყიყი“, „სარდიონი“.

ამ ქვის სამკურნალო თვისებების გამო, ჰადისების თანახმად, მისი ტარება თვით მუჰამად წინასწარმეტყველის მიერ იყო ნაკურთხი. სხვადასხვა შეფერილობის ეს ქვა უძველესი დროიდანვე გაჰქონდათ არაბეთის ნახევარკუნძულიდან, ძირითადად—იემენიდან და, რა თქმა უნდა, ტერმინი 'აკჯ დამოწმებულია როგორც ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში, ისე კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებში.

ძველ ქართულ ძეგლებში იხმარება „სარდიონი“ და მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება მისი შესატყვისი „აყიყი“; შემდგომ კი ეს ორი ტერმინი ერთმანეთს მონაცვლეობენ როგორც სინონიმები.

აანალიზებს რა სხვადასხვა შეხედულებას ტერმინ 'აკრის წარმოშობის შესახებ, იძლევა რა მის ეტიმოლოგიას, მკვლევარი მას არაბული წარმოშობისად მიიჩნევს და ძნელია, არ დაეთანხმო მის ასეთ დასკვნას; მაგრამ ვერ გავიზიარებთ მის ამ ადგილას გამოთქმულ აზრს ტოპონიმ ზორჯომზე. კერძოდ, იგი წერს: „ხომ საყოველთაოდაა ცნობილი ტოპონიმების ურთიერთობა მათ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ საბადოებთან...“ (გვ. 42) და ასახელებს ბორჯომის მავალითსაც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „ბორჯომი... ცნობილი ქართული მინერალური წყალი (ამავე სახელწოდების ქალაქისა და კურორტის სახელის მიხედვით)“ (ხაზი ჩემია — თ. მ.). ხოლო თვით ტერმინის ეტიმოლოგიაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგი მეცნიერი მასში გამოპოვებს **ომ** სუფიქსს (რომელიც დასტურდება ტოპონიმებში დილომი, წრომი და ა. შ.), ხოლო ბორჯ ძირს უკავშირებს ბორჯ/ბორჯღღს (ფესვი, მსხვილი ტოტის განაყოფი).

რახან 'აკრი ქალედეონია, საცხებით ბუნებრივია მისი ხმარება დეფინიციით სხვადასხვა ქვის აღსანიშნავად: აკრის აბაღად „თეთრი აყიყი“, 'აკრ აშმარ „წითელი აყიყი“, 'აკრ ახდარ „მწვანე აყიყი“, 'აკრ აზრაც „ცისფერი აყიყი“, 'აკრ ამანნ „იემენური აყიყი“. ამათგან ბიბლიაში დასტურდება თეთრი აყიყი — ქართულ ბიბლიაში იასპით გადმოცემული — და ცისფერი აყიყი — საფირონი.

მონოგრაფიაში დაწვრილებითაა გაანალიზებული აგრეთვე შემდეგი ტერმინები: აღმას/ანდამატი ქასს „ბეჭდის თვალი“, ძნრუზაჯ „ფირუზი“ (აღნიშნულია მისი ხმარება ქართულში მეთექვსმეტე საუკუნიდან, აგრეთვე როგორც ანთროპონიმებისა: ფირუზ — მამაც, სახ., ფირუზა — ქალისა), ლუ'ლუ' „მარგალიტი“, მარჯან „მარჯანი“ > „მარგალიტი“, მარმარ „მარმარილო“, მჯკუთ „იაგუნდი“ (ქართულში იაგუნდი იაკინთი; ეს მეორე საკუთარი სახელის მნიშვნელობითაც — იაკინთე, მაშბ/მაშმ „იასპი“ („ნეფრიტი“) ფონეტიკურმა დუბლეტმა მნიშვნელობათა დიფერენციაცია მოგვცა ისევე, როგორც ზემონახსენებ ტერმინ მარჯანი/მარგალიტის შემთხვევაში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და მოხმობა დასჭირდა ავტორს მონოგრაფიის დასაწერად. მით უფრო დასანანია, რომ ამ სიაში არაა შესული ნ. დარსაველიძის საყურადღებო ნაშრომი „შხამსაწინააღმდეგო ქვების აღმნიშვნელი ქართული ტერმინების წარმომავლობისათვის“ („მაცნე“, ელს, 1977, № 2).

თინა მარგველაშვილი.

## ვლადიმერ აბრამოვილი

## ნიკო ხიზანაშვილის ნაწარების ბიბლიოგრაფიის შესახებ

ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილმა თვალსაჩინო როლი შეასრულა XIX ს. მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო საკითხი, რომელსაც მისი მადლიანი კალამი არ შეხებოდეს და მათ შესახებ ამ ფრიად ერუდიერებულ მოღვაწეს თავისი შეხედულებები არ გადმოეცეს.

ნ. ხიზანაშვილი ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა დიდ მოღვაწეებთან ერთად დაუცხრომლად იბრძოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

მას, როგორც ისტორიკოსს, ეთნოგრაფს, ფოლკლორისტს, სოციოლოგს, ლიტერატურათმცოდნეს, პუბლიცისტს, მრავალი ნარკვევი, შრომა, წერილი აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი დარგი ქართული სამართლის ისტორია იყო და პირველ რიგში იგი სამართლის ისტორიკოსად გვევლინება.

ნ. ხიზანაშვილის (ურბნელის) მემკვიდრეობის შესწავლას არაერთმა მეცნიერმა მიაქცია ყურადღება. ისინი პირდაპირ თუ გაკერით იძლევიან ნ. ხიზანაშვილის საზოგადოებრივ შეხედულებათა შეფასებას, ამ მიმართებით აღსანიშნავია ის თვალსაჩინო შრომა, რომელიც გასწიეს ქართველმა მკვლევრებმა: ვ. აბაშმაძემ, ი. ანთელავამ, ლ. გორგილაძემ, ვ. ვაგოიძემ, ი. დოლიძემ, ი. კაჭარავამ, ა. კიკვიძემ, გ. ნადირაძემ, პ. რატიანმა, ი. სურგულაძემ, ზ. მშველიძემ, ე. ჩადუნელმა, შ. ხანთაძემ, ს. ხუნდაძემ და სხვა მრავალმა, მაგრამ მის, როგორც მკვლევრისა და მოაზროვნის, შეხედულებათა მთლიანი, ყოველმხრივი შეფასება დღემდე მაინც არ მოგვეპოვება, თუმცა ამ მიმართებით მუშაობა ვრძელდება.

ნ. ხიზანაშვილმა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი შრომები, ნარკვევები, წერილები, კორესპონდენციები ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს ქართველი საზოგადოებისათვის, მაგრამ მკითხველი სრულად როდი იცნობს მის შემოქმედებას, რადგან წერილებისა და შრომების ნაწილი დღემდე უცნობ ფსევდონიმებს იყო ამოფარებული, ხოლო ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ყველა ფსევდონიმის დადგენასა და ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვებებას.

რამდენიმე წლის წინ შევუდექით ნ. ხიზანაშვილის უცნობი ფსევდონიმების შესწავლას. ჟურნალ-გაზეთებში მივაგენით მრავალ წერილს, რომელთაც შინაარსის გადმოცემით, წერის მანერითა და სტილით ხიზანაშვილისეულობა აშკარად ეტყობოდათ. ჩვენი ეს ვარაუდი შემდგომი კვლევა-ძიებით დადასტურდა.

ნ. ხიზანაშვილის ფსევდონიმებით გამოქვეყნებული წერილები აქტიურ პრობლემებს ეხება და მადამზატურული გემოვნებით არის შესრულებული. ზოგიერთი მათგანი ძალზე კრიტიკულია, ზოგიც მსუბუქი იუმორით შეზავებული, ზოგი კი მეცნიერულად დახვეწილი და დასაბუთებული.



5. ხიზანაშვილმა 1882 წლის გაზეთ „დროებაში“ (№ 51) „ცხინვალელთა ცხინვალის ფსევდონიმით გამოაქვეყნა კორესპონდენცია — „სოფ. ცხინვალი“.

მისი მეორე ცნობილი ფსევდონიმია „პლებსი“. პირველად ამ ფსევდონიმის ხელწერით 1884 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდა კორესპონდენცია—„ხმა ცხინვალის მახრიდან“, მაგრამ მისი ყველაზე პოპულარული ფსევდონიმი მაინც „ურბნელია“, რომელიც თავისი მშობლიური სოფლის პატრისადაც აქვს აღებული.

6. ხიზანაშვილს „ნიკო ხიზანოვის“ ფსევდონიმით 1882 წლის ჟურნალ „იმედის“ № 11—12-ში, (გვ. 21—46) და 1883 წლის № 2-ში (გვ. 3—29) გამოქვეყნებული აქვს წერილი — „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“. იგი მთავრდება წინადადებით: „შემდეგ წერილში პირდაპირ გლუხაკაცზედ მოველაპარაკებით მკითხველებს“. ეს წერილი მართლაც დაიბეჭდა, მაგრამ არა ჟურნალ „იმედში“, არამედ ჟურნალ „ივერიაში“ 1884 წელს (№ 2, გვ. 83—113) ასეთი სათაურით „ჩვენი გლუხაკაცობის ისტორიიდან“.

6. ხიზანაშვილს „Z“-ის ფსევდონიმით 1882 წლის № 1 (გვ. 81—96) ჟურნალ „იმედში“ გამოქვეყნებული აქვს წერილი „შინაური საქმეების მაგიერად“, ხოლო № 11—12-ში (გვ. 48—60) „ნ-ო-ხ-ი“ ფსევდონიმით — „მცირედი რამ ჩვენი მამულიშვილობაზე“.

6. ხიზანაშვილს ეკუთვნის გაზ. „ივერიაში“ „ბზიკის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ორი წერილი — „სამშობლოს ცაზე ხეტიალს“ (1902, № 176) და „ხილად ახალი თაობის რაინდს“ (1903, № 6).

ასევე 6. ხიზანაშვილის ფსევდონიმებია: „ნ. მუჩაიძე“ (გაზ. „თეატრი“, 1890); „ნიკო თადეოზაშვილი“ (გაზ. „დროება“, 1882), „ბარელი ნიკო“ (გაზ. „ივერია“, 1887), „ურბნელი გლეხი“ (გაზ. „ივერია“, 1888), „ნიკოლოზა ლაქია“ (გაზ. „ივერია“, 1904), „მგელა ხინკალჭამიაშვილი“ (ჟურნ. „დროება“, 1885), „შენი მოლა პაშირ პალატხან ოღლი“ (ჟურნ. „თეატრი“, 1885), „შენი მოლა ბაშირი“ (ჟურნ. „თეატრი“, 1885), „შენი დოუდხანი“ (ჟურნ. „თეატრი“, 1886), „შენი მარად ერთგული ჰამზა“ (გაზ. „ივერია“, 1893), „შენი ბაშირ ეფენდი“ (გაზ. „ივერია“, 1893), „Z“ (გაზ. „ივერია“, 1903).

6. ხიზანაშვილის შრომებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ფსევდონიმმა „მგელა ხინკალჭამიაშვილი“. ჩვენს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც კი არ სცოდნიათ — ვის ეკუთვნოდა ეს ფსევდონიმი და იგი უმართებულოდ ვაჟა-ფშაველას მიაკუთვნეს. ამიტომ იყო, რომ ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ორი კორესპონდენცია ვაჟას ტომებში შეიტანეს, ხოლო „მგელა ხინკალჭამიაშვილი“ კი მისივე ფსევდონიმების ნუსხაში.

ამ საკითხს ჩვენ ცალკე წერილი მივუძღვევით და დავადგინეთ, რომ ფსევდონიმი „მგელა ხინკალჭამიაშვილი“ 6. ხიზანაშვილს ეკუთვნის და არა ვაჟა-ფშაველას! ეს აზრი გაიზიარეს ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო სპეციალისტებმა.

ასევე, ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის წიგნში დართულ პირთა სახელების საძიებელში „ნ-ო-ხ-ი“ უმართებულოდ 6. ხუდადოვის კუთვნილებად არის მიჩნეული, ხოლო ამ ფსევდონიმით ჟურნალ „იმედში“ (1882 წლის № 11, 12) გამოქვეყნებული წერილები მისივე შრომების ნუსხაშია შეტანილი; აგრეთვე, 6. ხუდადოვს მიაკუთვნეს 6. ხიზანაშვილის მეორე წერილიც „ზნეობითი დაუდევრობა ჩვენი“, რომელიც ავტორმა გაზეთ „დროებაში“ (№ 19) გამოაქვეყნა 1884 წელს ინიციალებით — 6. ხ.

1 ვლ. აბრამიშვილი, ვაჟა-ფშაველას ერთი ფსევდონიმისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 44.

ანალოგიურ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი ფსევდონიმების — „ბაშირის“, „შენი ბაშირ ეფენდის“ და „შენი მარად ერთგული ჰამზას“ ეინაობის გარკვევის დროს.

ს. მგალობლიშვილის აზრით, „მოლა ბაშირი“ მიხეილ ნასიძეა. ეს აზრი უცვლელად გაუზიარებია ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე გ. მიქაძე-საყ. ასეთი ცნობა ს. მგალობლიშვილისათვის მიუწოდებია ი. მანსვეტაშვილს. ჩვენ კი დავადგინეთ, რომ აღნიშნული ფსევდონიმები ნ. ხიზანაშვილისა და არა მ. ნასიძისა<sup>2</sup>.

მომხდარა პირიქითაც, პროფ. ალ. ხიზანაშვილის ორი შრომა — „წოდებათა ისტორია საქართველოსი“ და „იმუნიტეტი საქართველოში“, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, კატალოგების მიხედვით შეცდომით ნ. ხიზანაშვილისათვის მიუკუთვნებიათ<sup>3</sup>. ამიტომ იყო, რომ ეს წერილები ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული ნაწერების წიგნში, დაუბეჭდავ გამოკვლევათა ნუსხაში არასწორად შეიტანეს<sup>4</sup>.

ფსევდონიმებზე მუშაობისას მრავალი ისეთი წერილი, კორესპონდენცია გამოვამუშურეთ, რომელთა ავტორის ეინაობა მკითხველმა არ იცოდა. ისინი კუთვნილებიანამებრ ნ. ხიზანაშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში შევიტანეთ.

ე. ჩერქეზიშვილის მიერ შედგენილ მისი ჭმრის ნ. ხიზანაშვილის ნაწერების ნუსხაში (დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში) შეტანილ ერთ-ერთ წერილს — „შავი ქვის საქმე“ ვერ მივაკვლიეთ.

გამორიცხული არ არის, მას ჰქონდეს კიდევ სხვა, ჩვენთვის უცნობი ფსევდონიმები და წერილები, რომელთა კვლევა-ძიება კეთილშობილური საქმეა და, იმედია, ამ მიმართებით მუშაობას ურბნელის ლიტერატურული მემკვიდრეობით დაინტერესებული პირები განაგრძობენ. ბიბლიოგრაფიაში ძირითადად თავმოყრილია ურბნელის ნაწარმოებები.

ნ. ხიზანაშვილი ნაადრევად გამოაკლდა იმდროინდელ საზოგადოებას. მაღალი ინტელექტის მცენიერის, ი. ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრისა და თანამშრომლის სიცოცხლე 1906 წელს ტრაგიკულად დასრულდა. შავბნელი რეაქციის თარეშის დროს, 56 წლის ასაკში იგი მსხვერპლი გახდა იმ ავაზაკური ძალებისა, რომლებმაც მალე ი. ჭავჭავაძეც გამოასალმეს სიცოცხლეს.

ნ. ხიზანაშვილს, ცხადია, კიდევ მრავალი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ არ შეიძლება მოკრძალებითა და დიდი პატივისცემით არ მოვეპყროთ მის იმ ნაწერებს, რომლებიც წიგნებმა, ჟურნალ-გაზეთებმა, არქივებმა და მუზეუმებმა შემოგვინახეს.

<sup>2</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 252.

<sup>3</sup> გ. მიქაძე, ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი, ლიტერატურული მუზეუმი, № 22878.

<sup>4</sup> ელ. აბრამიშვილი, ნ. ხიზანაშვილის ფსევდონიმები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 04, გვ. 55—56.

<sup>5</sup> ა. ბარამიძე, შეცდომა უნდა გასწორდეს, „ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 32.

<sup>6</sup> ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 173.

## ნიკო ხიზანაშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფია

### შედგენილი ვლადიმერ აბრამიშვილის მიერ

#### I. გამოცემული წიგნბადა:

1. გორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი, ნ. ურბნელისა, ტფილისი, 1889, 117 გვერდი.
2. ძეგლისდება მეფე გორგი ბრწყინვალესი, ნ. ურბნელისა, ტფილისი, 1890, 131 გვერდი.
3. ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, ნ. ურბნელისა, ტფილისი, 1892, 411 გვერდი.
4. მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია, ნ. ურბნელისა, ტფილისი, 1894, 113 გვერდი.
5. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, პროფ. გ. ჩიტაიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1940.
6. ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, დასაბუქდად შოაშადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლოძემ, თბილისი, 1982.

#### II. უქრანალებსა და კრებულებში დაბეჭდალი ნარკვევები და წერილები

1. ხიზანოვი ნიკო, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი (რამდენიმე შენიშვნა), „იმედი“, 1882, № 3, გვ. 3—19.
2. ხიზანოვი ნიკო, საფუძვლები სახალხო განათლებისა, „იმედი“, 1882, № 5, გვ. 3—19; № 6, გვ. 42—68; № 7—8, გვ. 51—73; № 9—10, გვ. 29—58
3. ხ. ი. ნ., „ივერიის“ ეკონომისტი, „ივერია“, 1882, № VII და № VIII, შინაური მიმოხილვა, გვ. 178—190, (ცხება ჟ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ეკონომიკური ხასიათის წერილებს და აკრიტიკებს ავტორების მიერ გამოთქმულ ზოგჯერ დებულებას), „იმედი“, 1882, № 9—10, გვ. 79—91.
4. ხიზანოვი ნიკო, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“, 1882, № 11—12, გვ. 21—46; 1883, № 2, გვ. 3—29.
5. ურბნელი, შარშანდელი „კლასიკური სისულელე“ და სხვა რაღაცეები წლეუანდელ „შრომაში“, (გაზ. „შრომის“ თანამშრომელ ბოსლეველის (ესტატე შველიძის) წინააღმდეგ ავტორი იცავს გ. შაიაშვილს და იხსენიებს ფიხტეს, ლასალს და მარესს), „იმედი“, 1883, № 2, გვ. 35—46.
6. ურბნელი ნ., სამართალი და სისამართლო დაწესებულებანი, (ავტორი ეხება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეების განილვისა და წესებს, აგრეთვე მომრიგებელი მოსამართლეების უფლება-მოვალეობას. სტატიის ავტორი ნ. ურბნელი მხოლოდ სარჩევშია დასახელებული. ეს სტატია ანალიტიკურ საქმეებში გამორჩენილია). „საქართველოს კალენდარი“, 1893, განყ. X, გვ. 330—342.
7. ნ. ხიზანაშვილი, ჩვენი გლეხკაცობის ისტორიიდან (შენიშვნები ბატონ-ყმობაზედ), „ივერია“, 1884, № 2, გვ. 83—113.
8. ურბნელი ნ., რეცენზია წიგნზე — „შოაშინდელი, ზ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი“, (ბიბლიოგრაფიული შენიშვნები), „თეატრი“, 1885, № 6, გვ. 54—56; № 7, გვ. 62—64.
9. ურბნელი ნ., მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო (ისტორიული მონოგრაფია), „მოამბე“, 1894, № 1, განყ. II, გვ. 1—39; № 2, განყ. II, გვ. 1—35; № 3, განყ. II, გვ. 1—29; № 4, განყ. II, გვ. 1—12.
10. ურბნელი ნ., მესამე დასი და ბურჟუაზია, „მოამბე“, 1898, № 2, განყ. II, გვ. 76—88.
11. ურბნელი ნ., ჩვენის საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათოლიკოსისა



(უძველესი ჩვენის საეკლესიო მწიგნობრობის მფარველს ყოველად უსამღვდლოეს გორის ეპისკოპოსს ალექსანდრეს), „მოამბე“, 1898, № 3, განყ. II, გვ. 1—17.

12. ურბნელი ნ., ხმალი გატანება (ქართული „დღეული“), „მოგზაური“, 1901, № 1, გვ. 37—47.
13. ურბნელი ნ., შანთი და მდულარე (ჩვენის სამართლიდან), „მოგზაური“, 1901, № 3, გვ. 239—251.
14. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოველად სამღვდლო ალექსანდრე, 1903. კრებულში მოთავსებულია ნ. ურბნელის ნარკვევი — „სახელოვანი თანამედროვე“.

### III. გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი წერილები

1. ხიზანაშვილი ნ., ბატონო რედაქტორო (კამათი ნ. დიასამიძესა და ივანე მაჩაბელს შორის, ამის გამო ნ. დიასამიძის მიერ შერაცხუფის შეყენება ნ. ხიზანაშვილისათვის), 1881, 8 იან., № 4, გვ. 31.
2. ხ-ი (ხიზანაშვილი ნ.), ცხნვალი, 1 აპრილი (ორკლასიანი ნორმალური სკოლის გახსნისა და მისი ზედამხედველს ჯაფარიძის მოღვაწეობის შესახებ), 1881, 5 მაისი, № 73, გვ. 2.
3. ხ-ი (ხიზანაშვილი ნ.), ცხნვალი, 17 მაისი (კორესპონდენცია ეხება დღეობა „ზღუდ-რობას“), 1881, 26 მაისი, № 107, გვ. 2—3.
4. ურბნელი ნ., ჩვენი გლეჯაკობა და აქციზის საქმე (ორიოდე შენიშვნა), 1881, 14 ოქტ., № 214, გვ. 1.
5. ხ-ი (ხიზანაშვილი ნ.), ცხნვალი, 14 ნოემბერი (თვითმმართველობაზე დამყარებული იმდის ვაქცეობა), 1881, 21 ნოემბერი, № 244, გვ. 2—3.
6. ნ. ხ. (ნიკო ხიზანაშვილი), ჩვეულებრივი დაუღვენელობა (თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის დაუღვენელობა, გულგრილობა და ცუდი მუშაობა, უმადყოფილება მასწავლებლებთან), 1882, 5 ივნისი, № 115, გვ. 1—2.
7. ნ. ხ. (ხიზანაშვილი ნ.), წერილი რედაქტორთან, (პასუხი ჯაფანაშვილს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის გულგრილობისა და მასწავლებლებთან უთანხმოების საკითხზე), 1882, 12 ივნისი, № 120, გვ. 2.
8. ურბნელი ნ., ძველი და ახალი თაობა (განსხვავება მთ შორის, ს. მესხი და „დროების“ მიმართულება), წერილი დავით სოსლანთან, 1883, 21 მაისი, № 4, გვ. 1—3.
9. ურბნელი ნ., ჩვენს ლიტერატურულ კეთილ-წყისებებაზე (წერილი რედაქციისადმი), (წოდებათა შეთანხმების საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში და მისი მომხრე ელ. მიქე-ლაძე), 1883, 28 მაისი, № 99, გვ. 1—3.
10. ურბნელი ნ., გაზ. „შრომის“ იურიდიული სიბრძნე („შრომა“, 1883, № 19), (გაზ. „შრომის“ მიერ კანონთა მუხლების ვალთაღიერება და მისი კრიტიკა), 1883, № 105, გვ. 1—3.
11. ურბნელი ნ., მგზავრის შენიშვნები (თბილისიდან ელადიკავკაზმდე), (მუნებისა და მგზავრის აღწერა), 1883, 6 ივნისი, № 129, გვ. 1—3.
12. ურბნელი ნ., შენიშვნა სოფლის თვითმმართველობაზე, 1883, 18 აგვ., № 162, გვ. 1—2; № 163.
13. ურბნელი ნ., ხმა პრთინციიდან (საზოგადოებრივ თათნობას მოკლებული ახალ-გაზრდობის უმრავლესობა), 1883, 23 აგვ., № 166, გვ. 1—3.
14. ურბნელი ნ., „იერია“ №№ V და VI, 1883, რეცენზია — „ლიტერატურული მო-მოხილვა, (გარჩეულია ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავის და დ. ბაქრაძის ნაწერები), 1883, 2 სექტ., № 172, გვ. 1—3.
15. ურბნელი ნ., ქართული ენის შემოდების გამო (სასულოერო სასწავლებლებში), 1883, 22 სექტ., № 187, გვ. 1—3.
16. ურბნელი ნ., ჩვენი გლეჯაკობა და აქციების საქმე (ორიოდე შენიშვნა), 1883, 6 ოქტომბ., № 129, გვ. 1—3.
17. ურბნელი ნ., ეკონომია თუ აგრონომია? (ახალი გუთნების გასინჯვის გამო), 1883, 9 დეკ., № 248, გვ. 1—3.
18. ნ. ხ., „ზნეობითი დაუღვენეობა ჩვენი“, 1884, 26 იანვარი, № 19, გვ. 1—2.
19. Pichs, ხმა ცხნვალის მაზრიდან, (გორის მაზრის უფროსის ცდა ფოსტატელეგრაფის სასწავლებლის დაარსების თაობაზე, ებრაული და სომხური სკოლების შესახებ ცხნვალ-ში), 1884, 17 აპრ., № 82, გვ. 1—3.
20. ხ-ი (ხიზანაშვილი ნ.), საზღვარი ლიტერატურული ბძოლის გამო, № 12, 1884, № 131, 24 ივნ., გვ. 1—3.
21. ხ. (ხიზანაშვილი ნ.), პოლემიკადან, (ნ. ლომოურის პასუხად — პირადობა და კორიანობა ლიტერატურულ კრიტიკაში), 1884, № 131, გვ. 1—3, 24 ივნ.



22. ურბნელი ნ., „ივერია“, №№ V და VI. რეცენზია „ლიტერატურული ქრონიკა“, წერილი პირველი (არტურ ლასტის წერილის „ქართული ლიტერატურის“ გარჩევა), წერილი მორე (გადაღმელის „მოკლე ცნობა“, ლიტერატურა — გ. ლვინიაშვილის წერილი — „საილუმინაციო“ წარმოსდგა კავკასიაში ყაზლობა), 1884, 9 აგვ., № 172, გვ. 1—3; 10 აგვ. № 173, გვ. 1—2; 17 აგვ., № 178, გვ. 1—2; 18 აგვ., № 179, გვ. 1—3.
23. ურბნელი ნ., ენოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი), 1884, 26 ოქტ., № 231, 241, გვ. 1—3; 1885, 2 აგვ., № 165, გვ. 1—3; 3 აგვ., № 166, გვ. 2—3.
24. ხიზანაშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი, 1885, 4 იანვარი, № 2, გვ. 1—3; 5 მაისი, № 3, გვ. 1—3; 8 იანვარი № 5, გვ. 1—3; 27 აპრილი, № 89, გვ. 1—3; 5 იანვარი, № 92, გვ. 1—3; 8 მაისი, № 96, გვ. 1—3; 7 სექტ., № 192, გვ. 1—3; 8 სექტ., № 193, გვ. 1—3.
25. ურბნელი ნ., ძვირფასი სტუმარი მივარდნილ მხარეში (წერილი თიანეთიდან), (პოეტ რაფელ ერისთავის ჩასვლა თიანეთში სტუმრად და იქაური საზოგადოების შეხვედრა და ნადიმის გამართვა), 1885, 21 ივნისი, № 131, გვ. 1.
26. ურბნელი ნ., ერთი ადმინისტრატორი და მისი უსაფუძვლო პროექტი „სოფლის“ სამოსამართლო წესის ნაყოფანების გამო, № 185 და 186, 1884, 11 ნოემბ., № 196, გვ. 1—3; 12 ნოემბ., № 197, გვ. 1—3.

**IV. გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილები**

1. ურბნელი ნ., ტფილისი, 7 თებერვალი („Вестник Европы“ კორესპონდენციები კავკასიაში ავაზაკებისა და სასამართლო რეფორმების შემოღების შესახებ), 1886, 8 თებ., № 31, გვ. 1—2; 9 თებ., № 32, გვ. 1—2; 11 თებ., № 33, გვ. 1—2; 12 თებ., № 34, გვ. 1—2.
2. ურბნელი ნ., სატყეო საქმე ჩვენში, 1886, 13 მაისი, № 102, გვ. 13; 14 მაისი, № 103, გვ. 1—3.
3. ურბნელი ნ., ენოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი), 1887, № 8, 14, 15, 71, 72, 74, 158, 170, 171, 209.
4. ურბნელი ნ., ენოგრაფიული წერილები (ხევსურეთის შესახებ), 1886, №№ 267, 268, 269.
5. ურბნელი ნ., კადევი კრიტიკის უქონლობაზე (წერილი რედაქტორის მიმართ), (პასუხი ი. კეკელიძის წერილზე), 1887, 12 მარტი, №№ 52, 53; 13 მარტი, გვ. 1—2.
6. ურბნელი ნ., იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო, 1887, 29 მარტი, № 66, გვ. 2—3.
7. ურბნელი ნ., რისკომ გმირი (ფშაველეების გმირულ პოეზიიდან), 1887, 2 აპრილი, № 78, გვ. 1—2.
8. ხიზანაშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი\*, 1887, 20 აპრ., № 85, გვ. 2; № 86, 22 აპრ., გვ. 1—2; № 87, 23 აპრ., გვ. 1; № 88, 24 აპრილი, გვ. 1—2.
9. ურბნელი ნ., ბატონ რედაქტორს! (პირიქით ხევსურეთის — არხოტის საზოგადოება, კულტურული მდგომარეობა, „ეფფისტყაოსნის“ გავრცელება და იაფფასიანი წიგნების გავრცელების საქმეობა), 1887, 2 აგვ., № 159, გვ. 3.
10. ურბნელი ნ., ხევსურულ პოეზიაზე, (წერილი ბატონ პ. უშაკაშვილის მიმართ), 1887, 28 აგვ., № 178, გვ. 1—2.
11. ურბნელი ნ. (ურბნელი ნიკო), სასამართლოს მატთან, (ვაჰარ მელეიკოვის დაქორთვების მიზნით, მისი მოსამსახურის მიერ), 1887, № 252, გვ. 2.
12. ურბნელი ნ., ჩემი რეველიდან, (ნაწევები—არტინის ხეობა ფშავეში, ფშაველების სალოცავი ხატი, თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ხევის მონასტერი), 1887, 15 ნოემბ., № 267, გვ. 1—3.
13. ურბნელი ნ., უსაფუძვლო შენიშვნის გამო, (წერილი ბატონ დ. ფურცელაძისა და ელ. მიქელაძის მიმართ, პასუხი გეოგრაფიულ საზოგადოებაში მისი „ენოგრაფიული წერილები“ გარშემო გამართულ კამათზე), 1887, 25 დეკემბერი, № 272, გვ. 2.
14. ურბნელი ნ., ახალწლის წინათ (წერილი მეგობართან), (უკლება საზოგადოების ცხოვრების ნაყოფან მხარეებს, ტყუილ და კუშმარხიტ ინტელიგენციას, 1888 წლის „საქართველოს კალენდარში“ მოთავსებული წერილის — „ჩვენი ცხოვრების გზაკალის“ გამო), 1887, 30 დეკ., № 274, გვ. 1—3.
15. ურბნელი ნ., ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, ძველის წერა, 1888, №№ 38, 46, 47, 75, 270, 271.

\* „ივერიაში“ გამოქვეყნებული „ძველი ქართული ოჯახი“ გ. ჩიტაიას რედაქციით გამოცემულ წიგნში — ნ. ხიზანაშვილის ენოგრაფიულ წერილებში არ შეყუდა.





14. „შენი ბაშორ ეფენდი“, ტფილისდამ თერანს, წერილი მეგობართან (ქარაგმებით დახასიათებულია ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ფელეტონის ნაწილი) თელავი „ველის“ წინააღმდეგ, გაზ. „ივერია“, 1893, 4 მარტი, № 45, გვ. 1-3.
15. „შენი დოუღხანი“, წერილი მეგობართან, ჟურნ. „თეატრი“, 1886, № 3.
16. „შენი მოლაბაშორ პალატხან ოღლი“, ამ ფსევდონიმით დაბეჭდილია იუმორისტული ხასიათის წერილი — „თბილისიდან თერანს“, ჟურნ. „თეატრი“, 1885, № 4.

**VI. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ნიკო ხიზანაშვილის მიერ ჩაწერილი ზეპირსიტყვაობა**

1. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ, 1887, 16 დეკ., № 264, გვ. 1—2.
2. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (თქმულნი: მამისწვერა არაბულისა და მათიკა თოთიასშვილის არაბულისაგან), 1888, 6 თებ., № 27, გვ. 1.
3. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (ალუდა ზვიადურის და მათიკა თოთიაშვილის ნათქვამი), 1888, 12 თებ., № 32, გვ. 1.
4. ხევსურული ლექსები (ნ. ურბნელის მიერ გაგონილი, მთქმელი ბადია ბალიაური), 1888, 23 თებ., № 41, გვ. 1; 26 თებ., № 44, გვ. 1; 17 მარტი, № 57, გვ. 1; 14 აპრ., № 80, გვ. 1; 24 ივნ., № 135, გვ. 1; № 84; № 136.
5. ხევსურული სიმღერები შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (თქმულნი: ალუდა ზვიადურის, ბადია ბალიაურის და აფშინა გიგაურისაგან), 1888, 25 თებ., № 43, გვ. 1.
6. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (მთქმელი ხოლიგა არაბული, ალუდა ზვიადური და მამისწვერა არაბული), 1888, 12 აპრილი, № 78, გვ. 1.
7. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (მთქმელი გიორგი თათარას ძე არაბული), 1888, 13 აპრილი, № 79, გვ. 1.
8. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (მთქმელი ბათიკა თოთიაშვილი არაბული), 1888, 9 ივნისი, № 120.
9. „დაჯე დაგეხსენ ვაჟს ძეგ“, ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (თქმული ბათიკა თოთიაშვილი არაბულის მიერ), 1888, 11 ივნისი, № 121, გვ. 1.
10. ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ (მთქმელები: გიორგი თათარას ძე არაბული, ბადია ბალიაური, გიორგი სუბათიაშვილი-არაბული, მამისწვერა არაბული, მათიკა თოთიას ძე არაბული), 1891, 30 აპრილი, № 90, გვ. 1—3.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა

სპ 94/1



ბიბლიოთეკა 76198